

შინაურული პოპური



ვანტანგ
ჩიქოვანი

ვ ა ხ ტ ა ხ გ ჩ ი ქ ო ვ ა ხ ი

**შინაურული პოპული
ანუ ის რაც ტელეფონით საუბრის
დროს არ გვითქვამს**

**ბერკლი
2019**

ს ა რ ჩ ე ვ ი

მადლობა

შესავალი

VIII

პოლიცია ცამდე მართალია

1

ბლონდი

2

ენდი

3

ლორა

5

ერიკა

7

ლოტოსა და ჯონი

10

არჩევნები

13

ფენსაცმელი

14

ია

15

2014 წლის 1 აპრილი

16

სან-ფრანცისკო

17

ვერაზე

19

სკოლა

21

რატომ არ გავხდი ბალერონი

22

საბავშვო ბაღი

26

1953 წლის 6 მარტი

28

ჩეხეთი და სლოვაკია

31

ქართველი?!

35

Прекрати экскурсии возвращайся домой!

37

ქალაქი

38

„საშა პარტნოი“

41

მამას კაბინეტი

42

ტრამვაი

71

სოფელი	72
ხელმძღვანელი	81
მთაში	84
მონტეგები და კაპულეტები	84
წყარო	86
„აღმართ-აღმართ მივდიოდდი მე ნელა...“	87
ბილიკი	88
კეთილი სამარიტელის იგავის მწყემსური ვარიანტი	89
იმავე იგავის ბერკლოური ვერსია	90
კალიფორნიული ჯამაგირი	98
Give me a hug! ჩამიხუტე რა!	105
საქართველო?! ქართველი?! ქართული ენა?!	108
ABC ანუ American-born Chinese / ამერიკაში დაბადებული ჩინელი	109
უნებლიე მოგონებები	112
ლუკიანე	117
გვალვა	119
Breast Walk-ი ანუ დედიკოს მკერდზე დაყრდნობით გადადგმული პირველი ნაბიჯები	122
მეფეს ნუ დავპატიჟებთ ანუ შო და ქართული	
ხალხური ზღაპრები	123
დათვი	124
ლუკა და მანქანის მართვა-ექსპლოატაციის კალიფორნიული წესები	126
ჩიჩიას ბრალია?!	128
ჩვევა რჯულზე უმტკიცესია	130
სეხნია	132
ქვანახშირი	133
შემნახველი სალარო	135

ჩაი	137
ლოუკადრომი “ფაფუ“	139
კრემ-სოდის ფერი ჭალი	140
სერგო - Сержа	141
ლადო	143
რწმენა-წარმოდგენები, ფარისევლობა და წეს-ჩვეულებები	145
სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო	148
ტანტრუმი	150
დაზღვევა	151
მგონი მეტი ესმის, ვიდრე გვგონია	154
ლოუკას ვერბალური და ნონვერბალური ლექსიკონი და „ფრაზები“	154
იყო და არა იყო რას ქრონოტოპი	158
ინკლაპა	158
კვეტერა	159
„ფიშტო“	161
ბილწსიტყვაობა	162
კონტურული რუკები	163
ფილმის დასასრული	165
მკვდარი სეზონი	166
მესხეთ-ჯავახეთი	169
სან-ფრანცისკო - თბილისი	172
„მასოვკაში“	176
სადალაქო	179
„გრემი“	180
სასწრაფო	181
სპორტი	183
ძღვენი	185

ფოსტა	186
თუთუნი	187
„ლუკსიკონი“	188
კაპრიჩიო	190
„რა გაქვს ამათთან საერთო...“	192
55-ე	194
დღეობა	197
კალედოსკოპი	200
ამონარიდები ურბანული ლექსიკონიდან	202
“მიტოვებულ საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიანო”	204
უ.მ.	207
უშრომელი შემოსავალი	208
გამონაგონი ამბები	211
უსახელო წამალი	213
აფთიაქი	215
გაგრძელება	218
შემოდგომა	219
ცოტა რამ წარსულიდან:	
მატერიალურ-საგნობრივი გარემო, მოდა და სხვა	220
ლოგინი	224
ფილიპე და ერიკა	228
ერთხელაც...	234
აჭარა	237
“რასაც გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია”	239
ბერკლის “ალტა ბეითი”	241
ნიკოლი, არისი და სხვები	243
ტრანსფორმაცია	247
უნივერსიტეტი	250
ჯონი	251

ტილდენი	252
მონეტიზირებული ნეგატივიზმი	253
მაუი	254
ართვინი	255
დედულეთი	258
Собака друг человека?!	260
ბიბლიოთეკა	262
შეხმატკბილებულად	264
“რატომ იყო რევულუციამდელი ბავშვი გონებაჩლოუნგი?”	265
უსახლკაროები	267
“სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია”...	268
ემიგრანტები	270
2008 წლის აგვისტო	272
“სკოლისაკენ ჰერი-ჰერი”...	275
თიკუნი	276
ახლოვდება	277
“ჩუმად, ჩუმად არვინ გაგვიგოს”...	278
წვრილმან-მსხვილმანი	282
“Сумчатый волк» და მამა	285
შორენას კალიფორნიული ფაილი:	
“ქართული ენის და კულტურის პროგრამა” ბერკლის უნივერსიტეტში, 1994-2014	286
ილუსტრაციების აღწერილობა	304
ილუსტრაციები	305

მადლობა

გულითადი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, ვინც არ დაიზარეს და პირველებმა წაიკითხეს ჩანაწერები. აგრეთვე, დიდი მადლობა ეკუთვნის ყველას, ვისაც ეს მოგონებები მივუძღვენი.

ვ.ჩ. 23.11.19.

შესავალი

ვახტანგ ჩიქოვანი რამდენიმე ქართული, ინგლისური და რუსული სამეცნიერო და პოპულარული წიგნის ავტორი, თანაავტორი და შემდგენელ-რედაქტორია. ის უკვე მეოთხედი საუკუნეა, ოჯახთან ერთად კალიფორნიაში ცხოვრობს. წლების განმავლობაში, მეუღლესთან, დასავლეთში ცნობილი ინგლისურენოვან ქართველ ავტორთან, შორენა ქურციკიძესთან ერთად, კითხულობდა “ქართული ენისა და კულტურის კურსს” ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტში. მათი ყოფილი სტუდენტები და დოქტორანტები დღეს აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობენ და ხშირად აქვეყნებენ ნაშრომებს ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის შესახებ.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მოკლედ დაგვეხასიათებინა ავტორი და მისი ჩანაწერებისა და მოგონებების განწყობილება, რომლის წიგნად გამოცემა ახლობლების პოზიტიურმა რეაქციამ გადააწყვეტინა. ეს მოგონებები მშობლიურ ენაზე წერა-კითხვისა და ახლობელ ადამიანებთან საუბრების მონატრებამ დააწყებინა.

ას ოცნე მეტი სათაურიანი ამბავი დაგროვდა, რომლებშიც ქართულ-კალიფორნიული, სოციალისტურ-კაპიტალისტური თუ თითქმის ინტიმური თემატიკა მოულოდნელად ემიგრანტად ქცეული ადამიანის თვალთახედვითაა წარმოდგენილი.

“შინაურული პოპური ანუ ის რაც ტელეფონით საუბრის დროს არ გვითქვამს”, სასიამოვნო საკითხავი ავტობიოგრაფიული ჩანაწერებისგან შედგება, რომლებშიც პირადულისა და საზოგადოებრივის ურთიერთმიმართება იშვიათი სიცხადით არის გადმოცემული. კითხვის პროცესში, ადამიანს ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას, თითქოს კინოსერიალის ან გრაფიკული ნოველის პერსონაჟის თავგადასავალს და არა რეალური პიროვნების ცხოვრების ეპიზოდებს ეცნობა.

წ.ს. 23.11.19.

ლუკას ბებიებს, მამიდას, თინიკოს და შოს

*“არცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს”.*

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან, რომელიც შოს მთლიანად ზეპირად ახსოვს

03.10.12

პოლიცია ცამდე მართალია

ობამა-რომნის პირველი დებატების მეორე დღეს, შატუკზე, ბერკლის ცენტრალურ ქუჩაზე, „სეიფვეის“ განახლებული მაღაზიის დათვალიერების შემდეგ, როუზით სახლისაკენ დავეშვი. ტროტუარი გამხმარი ფოთლებითა და გასრესილი კენკროვნებით იყო დაფარული. სალონ „ფესტუნთან“ ახალგაზრდა კაცი და პატარა ბიჭუნა შინდისფერი გამხმარი ფოთლების გროვაში ჭყუმპალაობდნენ, სიცილით აყრიდნენ ერთმანეთს თავზე ათასგვარ ნაგავს. იქვე, მიწი-კაბაში გამოკვართული სვირინგებიანი ქალიშვილი მარიხუანის თვითნაკეთ სიგარეტს აფუილებდა.

მარტინ ლუთერ კინგისა და ვარდის ქუჩების გზაჯვარედინზე შევჩერდი. იმ ადგილს გავხედე, სადაც რამდენიმე წლის წინათ შეგნებულად არ ჩავიდინე უგუნური ვაჟკაცობა ანუ ისე მოვიქეცი, როგორც კანონის მორჩილ მოქალაქეს შეშვენის. მაშინ, „თიუზდი მორნინგიდან“ (<http://www.tuesdaymorning.com/>) შესვენებაზე სახლისაკენ წამოსულმა, ერთმანეთთან შეჭიდებულ აფრო-ამერიკელ ქალ-ვაჟს და აწიოკებულ პატარებს მოვკარი თვალი. ბავშვები განწირული ყვირილით მისდევდნენ შავ ესიუვი-ჯიპში ძალით შეტენილ ახალგაზრდა ქალს. საჭე მექანიკურად მარცხნივ მივატრიალე, რომ ადგილიდან ხმაურით დაძრული გამტაცებლისათვის გზა შემეკრა, მაგრამ ღმერთმა დამიფარა ხათაბალისაგან: ან ის ტვინამღვრეული დამილეწავდა მანქანას ან მოძრაობის საწინაღმდეგო მხარეს გადასული, ვინმეს დავაზიანებდი. ზედ ქუჩის გამყოფ ყვითელ ზოლზე დავამუხრუჭე, რადგან უეცრად ჩემსკენ წამოსული მანქანიდან ის ახალგაზრდა ქალი გადმოხტა და მუხლებით, მკერდით და ბოლოს

თავით ასფალტს დაენარცხა. მას ატირებული ბავშვები ელვის სისწრაფით შემოერთყნენ გარს. ესიუვის მძლოლმა ჯერ კიდევ მოძრავი მანქანა მიატოვა და ქვაფენილიდან, ჩემდა გასაკვირად, უვნებლად წამომხტარ ქალიშვილსა და ბავშვებს ღრიალით უკან გამოენთო. ეს ყველაფერი წამებში მოხდა. რამდენიმე დღის შემდეგ, წყნარად მოჭუკჭუკე ამ წყვილს ისევ კინგ-როუზის გზაჯვარედინზე შევავლე თავალი და მივხვდი, რომ პოლიცია ცამდე მართალია, როდესაც ადამიანებს მსგავს სიტუაციებში ჩარევას არ ურჩევს.

ბლონდი

სან-ფრანცისკოს ყურისაკენ დაშვებულ ვარდის ქუჩას, წყნარი ოკეანისაკენ, დასავლეთისაკენ გადახრილი მზის სხივები გვარიანად ათბობდა. ქალაქი ჯერ მთლიანად ვერ დაეფარა გოლოდენ გეითის ხიდიდან წამოსულ თეთრ ნისლს. კინგის ქუჩაზე „ფეთაფფლის“ რესტორანს და ჩვენი ყოფილი აპარტამენტის ხანდაზმული მეპატრონეების, პოლისა და მილის ახალ სახლს გვერდზე ჩავუარე და ჩრდილოეთ ბერკლის ბიბლიოთეკისაკენ წავედი. ოქსფორდის ქუჩაზე ცხოვრების პერიოდში, მილი სულ მსაყვედურობდა - უზომო შრომით თავს ნუ იკლავ, ასე ფული აქ უკვე კარგა ხანია აღარ იშოვებაო. ჯერ კიდევ ხალისით მომუშავე მისი კანადელი სიძის მაგალითს რომ შევახსენებდი, ჩვეულებისამებრ, ხელს ჩაიქნევდა და სინანულით მეტყოდა ხოლმე: „სამწუხაროდ ეგ ჯერ კიდევ აზრზე არ არის რა ხდება ამ ქვეყანაზე“.

ბიბლიოთეკის კარებში, სიმპათიური ზორბა ქერა ქალი და მისი ორი ზუსტი სხვადასხვა ზომის ასლი, 10-12 წლის სკოლის ზურგჩანთებიანი გოგონები გავატარე. უცებ, უჩვეულოდ აღელვებულმა „ბლონდომ“ ემოციურად მომაცხა: „Oh, My God! ეს რა ლამაზი ღიმილი გქონიათ, არაფერი მსგავსი ცხოვრებაში არ მინახავსო!“. შევცბი. რიტუალური, არაფრისმთქმელი ღიმილი ახლად გაპარსულ სახეზე შემაცივდა. გოგონები აშკარა ინტერესით ელოდნენ ჩემს რეაქციას.

კომპლიმენტისათვის მადლობისმაგვარი რაღაც წავიდუდღუნე, შემდგომი კონტაქტისათვის რომ არ წამეხალისებინა - ბერკლი უცნაური ხალხით არის სავსე - და ვიდეოების თაროებისკენ წავედი. ერთ-ერთ ზედა თაროზე რამდენიმე დივიდი შევარჩიე და ახალი ფილმების აღმოჩენის იმედით, ბუღასავით თავდახრილი ქვედა თაროებს ნელა გავყევი. მოულოდნელად, შუბლით რაღაც რბილსა და თბილს შევხე. წელში სწრაფად გავსწორდი. შეჯახება რომ თავიდან ამეცილებინა, წავიბორძიკე და უნებურად ხელებით იმ ქერა ქალის გაფუმფულებულ თეძოებს დავეყრდენი: თურმე, ჩემს წინ წელში მოხრილი ისიც ქვედა თაროებზე დალაგებულ ვიდეოებს ათვალთვლებდა. ჩურჩულით

მოვუხადე ბოდში, რადგან თავად არაფერი შეიმჩნია. კნაჭა გოგონები ისევ ინტერესით მომჩერებოდნენ.

ბიბლიოთეკიდან გამოსულმა, ჰოპკინსის ქუჩით მონტერეის მარკეტს მივაშურე. სალაროსთან რომ მივედი, ჩემს ზურგს უკან ისევ ის ქერა გიგანტი გაჩნდა, დახლოზე დადებულ ნავაჭრს მითვალთვლებდა. ეს ამბავი სალამოს შოს მოვუყევი. რატომღაც ძალიან გაწიწმატდა: „იქ რომ ვყოფილიყავი ცხვირ-პირს დავუნაყავდი, კარგად ვიცი მაგნაირი ქალების ხრიკებიო“. ბევრი ვიცინეთ. ის კი ველარ ვუთხარი, რომ წონით კატეგორიებში განსხვავების გამო, ბლონდის კი არა იმ კნაჭა გოგონებსაც კი ვერც ვერაფერს ვერ დააკლებდა ჩემი კომპაქტური მეუღლე.

ენდი

სახლში შესულმა, ახლად შეძენილი პედომეტრი შევამოწმე. სიარულის რეკომენდირებული დღიური ნორმა შესრულებული მქონდა. როგორც კი კომპიუტერი ჩავრთე, კარებს აპარტამენტების კომპლექსის მენეჯერის ერთ-ერთი ასისტენტი, ფილიპინელი ენდი, აქოშინებული მოაწყდა: „არიქა მანქანა გადააყენე, ქუჩის აქითა მხარის დასუფთავების დღეა, თორემ დაგაჯარიმებენო“. პოლიციის პარკინგ ათენდანტს მანქანა პირდაპირ ცხვირწინ ავაცალე. ეზოში შებრუნებულს, აპარტამენტის მენეჯერმა მითხრა, რომ ბინის ქირის ერთი დღით გვიან გადახდის გამო გამოწერილ ჯარიმას აღარ გადაგვანდევიანებდა; ასეთი რამ პირველად მოგივიდათ შენ და შენს ცოლსო. ეს სასიხარულო ამბავი შოს უმაღლეს დავუმესიჯე.

როდესაც თბილისში დიდი ხნით მოვდივართ, მანქანის გასაღებსა და სათანადო საჩუქარს, გასამრჯელოს, ჩვეულებრივ ერთი ჯარიმის ფულს - \$60, ენდის ვუტოვებ, რომ ქუჩის დასუფთავების დღეებში - ანუ ყოველი თვის პირველ პარასკევს და მეორე ორშაბათს - ქალაქის შიგნით სამოდროს ჩვენი „ტოიოტა ტერსელი“ სხვაგან გადააყენოს. ქალაქგარეთ სამოგზაურო, შედარებით უფრო ახალ „ტოიოტა ექოს“ კი აპარტამენტის მანქანების სადგომზე ვტოვებთ, სადაც მხოლოდ ერთი მანქანის გაჩერების უფლება გვაქვს, ხელშეკრულების მიხედვით. ენდი ჯერ-ჯერობით პირნათლად ასრულებს ამ საზაფხულო დავალებებს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი წელი უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო: მეუღლეზე ეჭვიანობდა და კინალამ ჭკუაზე გადავიდა. სურათების მიხედვით, მას ძალიან მომხიბლავი ახალგაზრდა ფილიპინო ცოლი და სამი ბავშვი ჰყავს. ბოლო ბავშვი სულ რამდენიმე თვისაა. ამ ახალგაზრდა ქალმა, თურმე, რაც ქალაქ ჰერკულესის ერთ-ერთი ადგილობრივი ბანკის ფილიალის მენეჯერის ასისტენტად დააწინაურეს, ყველას გასაკვირად, ოჯახზე და ბავშვებზე გული აიცრუა, უკეთესად ჩაცმას, სასმელების წრუპვას და დაქალებთან

ერთად კაზინო-სამორინოებში სათამაშოდ და გასართობად სიარულს და ტყუილების თქმას მიჰყო ხელი. ენდის ეჭვი გაუჩნდა, რომ რაღაცაში უნდა ყოფილიყო საქმე და ცოლს თვალთვალი დაუწყო. ძალიან მძიმე სიტუაცია შეიქმნა; ენდი უკვე ვეღარ მუშაობდა ნორმალურად, სულ თავისი ეჭვების შესახებ ელაპარაკებოდა გუთავებლად კომპლექსის მობინადრებს. ერთი სიტყვით, არაადექვატურად იქცეოდა. ცოტაც და სამსახურიდან დაითხოვდნენ, როგორც უუნაროსა და მძიმე ავადმყოფს. მაგრამ ღვთის წყალობით, დედამისის, სიდედრის, ეკლესიისა და მისი პირადი მოძღვარის დახმარებით ის ნელ-ნელა - და მგონი ცოლიც - გონს მოეგო და ოჯახი ჯერჯერობით შეინარჩუნეს. ენდი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეს განსაცდელი ქრისტე ღმერთის სიყვარულმა და ლოცვამ გადაატანინა. კიდევ ერთი რაღაც: კაზინოებში თამაშსა და სხვადასხვა სახის ლატარეებს აქ განსაკუთრებით ეთნიკური და რასობრივი უმცირესობების ნაკლებ განათლებული ფენების წარმომადგენლები ეტანებიან - ჩინელები, ტიბეტელები, ფილიპინელები, ოკეანელები, აფრო-ამერიკელები, მექსიკელები + თეთრკანიანი ხელმოკლე ხანდაზმული პენსიონერები და ა.შ. რამდენიმე წლის წინათ, ენდის სიდედრი სამორინოებში გაუთავებელი თამაშის გამო პასტორმა ეკლესიიდანაც კი დაითხოვა, მაგრამ ის თურმე ისევ ძველებურად ფლანგავს მძიმე შრომითა და რის ვაივავლანით ნაშოვნ ფულს კალიფორნიის ინდიელების კუთვნილ მიწებზე აშენებულ კაზინოებში, რომლებშიც უფასო ავტობუსებს მიჰყავს ხალხი. ნევადის შტატის გარდა, აზარტული სათამაშო ბიზნესები ყველგან აკრძალულია. ამიტომ მათ, ჩვეულებრივ, ამერიკელი ინდიელების ოფიციალური სტატუსის მქონე ტომები ხსნიან თავიანთი იურისპუდენციის ქვეშ მყოფი რეზერვაციების ტერიტორიაზე და მოგებას ტომის წევრების საჭიროებებს ახმარენ. ამ ვითომ სასიკეთო ფინანსურმა წყარომ, სამწუხაროდ, ინდიელების ნაწილი პროლეტარული ცხოვრების წესს ჩამოაშორა და უქმად მყოფ, გამაბრუებელი საშუალებებისადმი მიდრეკილ, საკუთარი ქვეყნის შიგნით გაუცხოებულ, ჯანმრთელობა-შერყეულ ინდივიდებად აქცია. ენდი დაბადებით, მისი სიტყვებით, ნაკლებ მორწმუნე კათოლიკე, ოთხი წლის წინათ ცოლივით ბაპტისტი გახდა - ორთავეს ერთი რწმენა მინდა გვქონდესო - და ქრისტე ღმერთის დიდად მოშიშარი და მოსიყვარულე 37 წლის კაცი შეიქნა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მისი მაშინდელი არასტაბილური ფსიქოლოგიური სტატუსის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი მისი საქმიანობაც შეიძლება იყო: მას ხშირად უწევს გასაქირავებლად მოსამზადებელ აპარტამენტებში სხვების დაუხმარებლად რემონტის გაკეთება და ამიტომ, დიდხანს არის ხოლმე ალერგიების გამომწვევი სხვადასხვა ქიმიკატების სუნით გაჟღენთილ გარემოში. ეს, აქურების რწმენით და ლოკალური კანონმდებლობით, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

ამ სიტყვებს, რომ ვწერ, ფანჯრიდან ვხედავ, რომ ენდი ჩვენი აპარტამენტის წინკარს გვისუფთავებს და თან მეზობელ ახალგაზრდა ქალს ელაპარაკება. ის ჩვენდამი საგანგებო კეთილგანწყობას იჩენს, რადგანაც გაჭირვების ჟამს ხშირად ვამხნევებდი და ერთი-ორჯერ ცოლ-შვილისათვის საჩუქრებიც კი გავატანეთ.

:+:+:+:

საღამოს გილმანის ნატურალურ მარკეტში ნაყიდი ორგანული ანუ უსასუქო ყურძენი, კახური რქაწითელი ანუ აქაური ტომპსონი და კონკორდი ანუ გურული ადესა დავწურეთ: მაჭარი ქილებში ჩავასხით, შუაღვინო დავაყენეთ და ცოტა ფელამუშიც მოვიდუღეთ.

13.10.12

ლორა

დღეს ანუ შაბათ დილას ნაყიდი მეტისმეტად ტკბილი ორგანული ყურძენი შომ ისევ თეთრ და წითელ ფელამუშად აქცია. უგემრიელესი რამე გამოვიდა. შუაღვინო ღვინისა და მეღვინეობის შესახებ დოკუმენტური ვიდეო ვნახეთ. საინტერესო რამეები გავიგეთ, თუმცა ბევრი ბოდიალიც იყო. ლორა ბენჯამენს, ჩვენს ყოფილ მეზობელს, ღვინის დაგემოვნების ტერმინოლოგია და შესაბამისი „ფილოსოფია“ ალბათ ასეთი ვიდეოებიდანაც აქვს ათვისებული. ის ყოველთვის მეტისმეტად სერიოზულად და დაწვრილებით იწყებს სუფრაზე მიტანილი ღვინოების თვისებების დახასიათებას. აშკარად, სონომას, ნაპას და მენდოსინოს ქაუნთების - რაიონების ვენახების (აქაური კახეთია თითქმის, ოღონდ წყნარი ოკეანის სიახლოვეს) მარნებში ღვინის დასაგემოვნებელ ტურისტულ ტურებზე შექმნილი გამოცდილებით იწონებს თავს. კიდევ ერთი დეტალი: აქ ღვინო უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანების სასამელოდ ითვლება, ვიდრე ლუდი. უკანსკნელის მომხმარებლები, ძირითადად, ნაკლებ შეძლებულები, ახალგაზრდები და დემოსის რიგითი წევრები, „ბლუ ქოლარ ჯობის“ - ლურჯ-საყელოიანი სამუშაო ტანსაცმლის სამსახურის მქონენი ანუ მუშათა „კლასის“ წარმომადგენლები არიან. შესაბამისად, ლორას შემთხვევაში, ღვინის ცოდნით თავის მოწონება „უაით ქოლარ ჯობზე“ - თეთრ-საყელოიან სამუშაო-ტანსაცმლის სამსახურის ქონაზე - ანუ უფრო მაღალ სოციალურ სტატუსზე პრეტენზია-განაცხადიც არის ალბათ.

აქაც, როგორც ყველგან, თურმე თითქმის ყველაფერი პრესტიჟულად და არაპრესტიჟულად, ელიტარულად და დემოსის თუ პლებეების კუთვნილებად ყოფილა დაყოფილი: განათლება, პროფესია, სახლი, უბანი, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, ჩანთა, მანქანა, ტელეფონი,

ნაცნობ-მეგობარი, მალაზია, რესტორანი, კანის, ტანისამოსის ფერიც კი და ასე დაუსრულებლად. თუმცა, სოციალური კონტრასტი კალიფორნიის „დემოკრეტიულ ციტადელში“, ბერკლიში, განსაკუთრებით ადგილობრივი უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის ასე თვალში საცემი არაა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა დეპარტამენტში ჰყავთ რამდენიმე პროფესორი, რომლებსაც წელიწადში \$300,000 და მეტი ხელფასი აქვთ დანიშნული. ბერკლის უნივერსიტეტის სტუდენტების ამერიკული ფეხბურთის გუნდის მწვრთნელს \$2,000,000, კამპუსის პოლიციის უფროსს ამდენივე და ა.შ. და ა.შ. მიუხედავად ამისა, აქ უმეტეს შემთხვევაში მაინც არ არის მიღებული შეძლებით, მაღალი სოციალური სტატუსით ან ძვირად ღირებული ნივთებით დაუფარვი ყელყელოობა და პრანჭვა-მარიაჟობა, ისე როგორც რესპუბლიკური სამხრეთ კალიფორნიის ბიზნესმენების, პოლიტიკოსებისა და მოსახლეობის „პოლივუდიზირებულ“ წრეებში ხდება. ბერკლიში, შეძლებულებისა და ნაკლებ-შეძლებულების ტანსაცმლითა და სხვა გარეგანი ატრიბუტებით გარჩევა არ არის ადვილი, რადგანაც უმეტესობა ცდილობს, რომ ამ თვალსაზრისით „ლოუ პროფილი“ დაიჭიროს ანუ სხვებისაგან არ იყოს გამოჩეული. ამიტომ, სხვა ადგილებიდან ახლად ჩამოსული არაადგილობრივი „პრანჭების“ ამოცნობა ქუჩაში არ ჭირს.

ლორა ბენჯამენი, შოზე10-12 წლით იქნება უფროსი. წლების განმავლობაში წიგნების მალაზიაში მიუშაობდა, თან ტურისტული კომპანიებისათვის ბუკლეტების შედგენას ცდილობდა. რამდენიმე წლის წინათ კომუნითი კოლეჯში რაღაც საგანმანათლებლო კურსები გაიარა. ახლა მასწავლებლის ასისტენტია ანუ თითქმის „თეთრ-საყელოიანი სამსახური“ აქვს ნაკლებ-პრესტიჟული სახელმწიფო სკოლაში. ის კომპოზიციის პრაქტიკულების ჩატარებაში ანუ ჩვენებურად თემების დაწერაში ეხმარება მოსწავლეებს. მას, ხელმოკლეობის გამო, ასისტენტის თანამდებობაზე მისაღებ ინტერვიუზე წასასვლელად შესაფერი ტანსაცმელი არ აღმოაჩნდა და შოს სთხოვა მაშინ დიდი მორიდებით დახმარება. შომ ჯერ თითქმის ჩაუცმელი, ფულბრაიტის სტიპენდიის დროს შეძენილი, საკმაოდ ძვირად ღირებული იმპორტული პიჯაკი უკან აღარ გამოართვა, რაც ძალიან გაუკვირდა ლორას: რამდენი უნდა იმუშაო ასეთი ხარისხიანი რამის შესაძენად ხომ იციო?! მაგრამ, რა თქმა უნდა, საჩუქრით ძალიან კმაყოფილი დარჩა. საქმე იმაში იყო, რომ ინტერვიუს დროს ლორა მაგრად გაუწურავთ და უკან მოტანილ პიჯაკს, სამწუხაროდ, სიმწრის ოფლის სუნი ასდიოდა. ამიტომ, მის გადაგდებას ისევ გაჩუქება ვამჯობინეთ.

ერიკა

ჩვენთან შედარებით, ბერკლეელი ნაცნობების უმეტესობას სხვანაირი დამოკიდებულება აქვს ყველაფრისადმი. ალბათ იმიტომ, რომ თითქმის ყველაფერი თვითონ, საკუთარი შრომით აქვთ მოპოვებული, სახლიდან 16-17 წლისანებს წამოსულებს. ამიტომ, ზედმიწევნით კარგად იციან უკლებლივ ყველაფრის რეალური ფასი. უმრავლესობას ჩვევად აქვს ყველაფრის გათვლა-ანგარიში და გააზრებული ეკონომია. თუმცა, ეს სრულებითაც არ უშლით ხელს, რომ თავისებურად ხელგაშლივც იყვნენ თუ ამის საშუალება მიეცემათ. აკი, ყოფილი ლენდლორდის მილის დიშვილმა, მაშინ ჩვენმა მეზობელმა და ახლო მეგობარმა ერიკამ, აღმოსავლეთ ევროპელი გერმანელი ებრაელების და ცოტათი ამერიკელი ინდიელების ჩამომავალმა, როდესაც მას უფროსმა ძმამ ათი წლის კარგად მოვლილი მანქანა აჩუქა, მამამისისეული თითქმის ჩვიდმეტი წლის „ვოლცვაგენ-რებითი“ აღდგომა დღეს ჩვენ გადმოგვილოცა. მოულოდნელ საჩუქარზე პირველად მტკიცე უარი ვუთხარი. მაშინ ერიკამ თავისი ხელგაშლილობის „ეკონომიკური საფუძვლები“ შემდეგნაირად ამიხსნა: „ამ მანქანის გაყიდვა აქ ნამდვილად ძნელი იქნება და თუ გაიყიდა, ისიც ალბათ სტუდენტი იყიდის, თანაც ძალიან იაფად. ამგვარად მოპოვებული თანხა კი საშემოსავლო გადასახადს ისე გამიზრდის, რომ უკეთეს შემთხვევაში „თხა გაყვიდე, თხა ვიყიდე“ გამომივაო. ამიტომ, ჯობია შენ გაჩუქო. მე და ბობს იმდენჯერ გემრიელად გვისადილია თქვენს ოჯახში, რომ ნამდვილად დავალებულად ვგრძნობთ თავსო. ასე კი ბარი-ბარში ვიქნებით ჩვენც და თქვენცო“. სახლში მომზადებულ საჭმელს მონატრებული, კენსინგტონის მოყვარული მუსიკოსების სიმფონიური ორკესტრის ბასუნისტი და ჩვენი კარგი მეგობარი ბობი, რომელსაც ხშირად დავყავდით სან-ფრანცისკოს კერძო სახლებში გამართულ კონცერტებზე (ამას წინათ 90 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სადილოზე მიგვიწვია) და მისი თითქმის ორმოცი წლის ასაკში გასტუდენტებული ვაჟი ერიკა, უმაღლესი ჩვენი სამზარეულოს კარებთან აიტუზებოდნენ ხოლმე, როგორც კი შოს მიერ გაკეთებული კერძის სასიამოვნო სუნი ეცემოდათ. მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ ცალყბა შემოპატიჟებაც აღარ სჭირდებოდათ, ისე მოუსხდებოდნენ ხოლმე შინაურულად სუფრას. ის კი არა, ერთხელ მამა-შვილს სერიოზული ცილობაც კი მიუვიდათ იმის შესახებ თუ კვირის რომელი დღეს ვის უნდა ესადილა ან ევანშმა ქართველებთან. ამ ამბავის შემსწრე უკრაინელმა ებრაელმა ქალმა გენიამ საგანგებოდ გაგვაფრთხილა: „ამას ნუ აკეთებთ, თორემ მაგათ ვეღარასოდეს ვეღარ მოიშორებთ თავიდანო!“. ბობმა მისი ფოლკლორისტი ცოლი კლარა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაიწხო მოკავშირეების მიერ ოკუპირებული ბერლინის საბჭოთა ზონაში, სადაც თვითონ, როგორც ამერიკელი ჯარისკაცს, რუს სამხედროებთან უმუშავია თურმე.

აღდგომის იმ სამახსოვრო და სასიხარულო ღამეს, ჩემდათავად მეც ვცადე ამეხსნა ბოზის ვაჟისათვის თუ რატომ ვმასპინძლობდით ანუ მისი სიტყვებით რომ ვთქვა, რატომ ვიგდებდით დამატებით ხარჯებში თავს მე და შო: არა იმიტომ რომ რაიმე სამაგიერო მატერიალურ საზღაურს ველოდებით მამა-შვილისაგან, არამედ იმიტომ რომ უბრალოდ აშშ-ში ახლად ჩამოსულებს ნამდვილად გვსიამოვნებდა მათთან მეზობლური ურთიერთობა და ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციით უხვად გაჯერებული მასლაათები. სათქმელი ჯერ კიდევ ბოლომდე არ მქონდა დამთავრებული, რომ მივხვდი, კედელს ცერცვს ვაყრიდი და დავდუმდი. დროთა ვითარებაში, მსგავს „გაუგებრობებს“ ანუ „კულტურულ მოკებს“ მეტნაკლებად შევეჩვიეთ: ერთხელ, ბერი ჯორდანმა, მისეული რუსული თარგმანით ბენია იორდანსკიმ, ბერკლის უნივერსიტეტის მაშინდელმა ბიბლიოთეკარმა და ქართული ენის კლასის მსმენელმა, ჩვენს სტუმრებს ჩვენს თვალწინ ასე „გაუშიფრა“ ქართული სტუმართმასპინძლობის „საიდუმლო“: იმიტომ მიგვიპატიჟეს ოჯახში, რომ სხვებზე უკეთესებად მოგვაჩვენონ თავიო. სოციალური დარვინიზმის თუ პავლოვის რეფლექსების თეორიებზე დამყარებული ასეთი სოციო-კულტურული ინტერპრეტაციები საკმაოდ გავრცელებულია აქურებს შორის და არც თუ იშვიათად საკმაოდ დამაჯერებლად ხსნის ამა თუ იმ მოვლენისა და სიტუაციის არსს.

მოკლედ რომ მოვჭრა, ასე იყო თუ ისე, იმ აღდგომის ღამეს საჩუქრად მიღებული „ვოლცვაგენით“ მე და შო წლების განმავლობაში ვმოგზაურობდით კალიფორნიის, ორეგონისა და ნევადის შტატების ნაკრძალებსა და პარკებში, წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლსა თუ სიერას მთისწინეთში, ჯეკ ლონდონის მოთხრობებში აღწერილი ლეგენდარული ოქროს ციებ-ცხელების დროს დაარსებულ და შემდეგ ღვთის ანაბარა მიტოვებულ პატარა ქალაქებში (<https://www.youtube.com/user/TripsterTube>). ბოლოს და ბოლოს, უცნაურად დაუძღურებული და არასასიკეთოდ აძიგდიგებული, თითქმის ოცი წლის „რებითი“ კალიფორნიის ძველი მანქანების საპენსიო პროგრამას ჩავაბარეთ 500 დოლარად... და ვინატრეთ, რომ ამ პროგრამის არსებობა ადრე გვცოდნოდა, როდესაც წინა მანქანა, პესკადეროს სანაპიროს ოქროსფერ ქვიშაში ამოგანგლული სპორტული „მაზდა-626“ \$78-ად მივყიდეთ „ჯანქ იარდის“ ანუ „მანქანების სასაფლაოს“ თანამშრომელს. მაშინ მანქანის შეკეთებლად საჭირო \$800 არ აღმოგვაჩნდა, ხოლო ლენდლორდმა მანქანების სადგომზე გაფუჭებული „მაზდის“ დროებით გაჩერება იუკადრისა. აქ სახლ-კარის მდგომარეობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეპატრონეები, რათა უბანში უძრავი ქონების ფასი არ დაეცეს და საჭიროების შემთხვევაში ბანკში კარგი კრედიტის აღების საშუალება ჰქონდეთ. კარგად მახსოვს, მაშინ „მაზდაში“ აღებული თანხა თითქმის

მთელი ორი კვირა(?!!!) გვეყო საჭმელ-სასმელზე; ახლა მხოლოდ 2-3 დღეს თუ გაწვდება „ანდრონიკოში“ საყიდლებს.

ცოტა ხნის მერე, ერიკასავით მოიქცა ჩვენი ყოფილი თანამშრომელი მარია ფერნანდესიც, „ჯეი ჯეი ნიუბერის“ კორპორაციის უნივერსალური მალაზიიდან. როდესაც ახალი ავეჯი შეიძინა, მან ძველი ჩვენ გვიფუქაშა, მის მეზობლად მისივე დახმარებით საცხოვრებლად გადასულებს. მაშინ მარიამ ჩვენი ახალი აპარტამენტის მეპატრონისაგან ალბათ \$200 მიიღო გასამრჯელოდ, რადგანაც ფინანსურად სანდო, ახალი მდგმურების შოვნაში დაეხმარა. ასეთი რამ აქ ჩვეულებრივ 4-5 წელიწადში ერთხელ ხდება, როდესაც ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელების გამო, ქალაქის ნორმალურ უბნებში ბინების დაქირავების მსურველების რაოდენობა საგრძობლად იკლებს, ხოლო სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანები მასიურად იწყებენ ნაკლებ პრესტიჟულ ადგილებში და შედარებით იაფ შტატებში საცხოვრებლად გადასვლას. ასე გამონთავისუფლებელ ბინებს, სამწუხაროდ, ჩვენს კომპლექსში უკვე კარგა ხანია ძირითადად ფაქტიურად სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი ე.წ. “სექშენ ეითის” (კალიფორნიის კანონმდებლობის #80 მუხლი) რეციპიენტები ავსებენ, რადგანაც ეკონომიკის გამოსწორებას ჯერჯერობით საშველი ვერა და ვერ დაადგა.

90-იანი წლების ეკონომიკური ბუმის პერიოდის დროს, განახლებული კანონმდებლობის მიხედვით, კალიფორნიაში შრომის უუნაროებსა და პენსიონერებს, რა თქმა უნდა მხოლოდ მათ, ვისაც კანონით ეკუთვნის და არსებული რთული ველოფარის სისტემის გამოყენების უნარი და საშუალება აქვს (დანარჩენები ღვთის ანაბარა არიან ქუჩებში), მნიშვნელოვანი დახმარება ეძლევათ სახელმწიფოსაგან დღემდე: ბინის ქირის დიდი ნაწილი, უფასო სამედიცინო დაზღვევა, საკვები პროდუქტების ტალონები, მობილური ტელეფონები და ა.შ. და ა.შ. არა და დღეს კალიფორნიის შტატი კისრამდე ვალებშია ჩაფლული, მაგრამ ამ მოძველებული კანონების ახლით შეცვლა დემოკრატიულ სახელმწიფოში ადვილი არ არის, რადგან ასეთი საკანონმდებლო ინიციატივის კენჭის საყრელად გატანა არც ერთ პარტიას არ უნდა, ამომრჩველების განაწყენების, მათი მხარდაჭერის დაკარგვის შიშით. დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა მთელი ქვეყნის მასშტაბშიც. ამიტომ არის, რომ სახელმწიფოს ვალი კატასტროფულად იზრდება ყოველწლიურად. აქ სახელმწიფო სამსახურის სხვადასხვა დონის ჩინოვნიკებს ისეთი პენსიები და შეღავათები-ბენეფიტები ენიშნებათ, რომელთა დაფარვა გადასახადებით შეგროვილი თანხებით ვერ ხერხდება და ამიტომ სახელმწიფო იძულებულია ჩინეთიდან ისესხოს ფული ადმინისტრაციის ყოველდღიური ფუნქციონირების ხარჯების დასაფარავად. მაგალითად, ბერკლის უნივერსიტეტის პოლიციის უფროსს დიდი პენსიის გარდა + \$2,000,000 დოლარი ეძლევა სამსახურიდან წასვლის შემდეგ + ძვირფასი სამედიცინო შეღავათიანი

დაზღვევა და სხვ.მრ. ამიტომ, ამ თანამდებობაზე, მორიგეობით, საპენსიო ასაკს მიღწეულ ისეთ ადამიანებს ნიშნავენ ხოლომე, რომლებსაც „საჭირო კავშირები“ გააჩნიათ და რომლებიც ჩვეულებრივ 4-5 წელიწადში გაიკრავენ თუ არა ამ მეფურ პენსიასა და ბენეფიტებს, სამსახურიდან თავქუდმოგლეჯილები გარბიან. ახალი კანდიდატის შესარჩევად, კანონის თანახმად, უნივერსიტეტი დამოუკიდებელ სპეციალიზირებულ ფირმას ქირაობს, რომელსაც ამ საქმეში \$2,000,000 დოლარს უხდის. და რამდენიმე წელიწადში ყველაფერი ისევ თავიდან იწყება და ასე იფანტება ნასესხები ფულები უთავბოლოდ და უსასრულოდ. რაღაცით, ეს ყველაფერი, ზოგჯერ „განვითარებული სოციალიზმის“ დროინდელ სსრკ-საც კი მაგონებს.

:+:~+:~:

მონტერეის მარკეტში ჩემი ნაყიდი, ჩვენებურის მსგავსი მწვანე პარკი-ლობიო, აქაური იტალიური ლობიო, შოს ძალიან გემრიელი გამოუვიდა. არა და მარტივად, მწვანე რეჰანით, ქინძითა და ზეთში მოშუმული ხახვით შეკმაზა.

სადამოს თრილერი „ჯულია“ ვნახეთ: ოსკარის მფლობელი მსახიობი ისე ოსტატურად თამშობდა მსუბუქი ყოფაცქევის, ფაქტიურად წყალწაღებული ლოთი ქალის როლს, რომ მთელი ფილმის განმავლობაში მასზე ნამდვილად ძალიან გაბრაზებულები ვიყავით.

14.10.12

ლოტოსა და ჯონი

კვირა დილას, სასტუმრო ოთახში მაჭრის სასიამოვნო სუნი დამხვდა. თურმე, ღამე, დუდილის პროცესში, შუადღინოს ერთი მეტისმეტად მაგრად თავდახურული ბოთლი გამსკდარა. სამზარეულოს იატაკი მინის ნამსხვრევებით იყო დაფარული. პერანგისამარა შომ იქაურობა სწრაფად დაასუფთავა. მე „მარანში“ ცხვირს არ მაყოფინებს. ძალიან გაერთო რთველის საქმეებით, მაჭრისა და ღვინის დაყენების საინტერესო პროცესით; სულ რაღაცის გადასხმა-გადმოსხმაშია, შესაბამის მასალებს კითხულობს ინტერნეტზე და სხვ. ერთი სიტყვით, სახლში ტრიალს მონატრებულისა.

4 საათზე ჩვენს ყოფილ მეზობლებთან, ლოტოსასთან და ჯონთან მივდივართ, მათ განახლებულ ეზოში, სპეციალურად ჩვენთვის მოწყობილ ფართიზე. თუ საშუალება მომეცა, კიდევ ერთხელ კარგად უნდა გავსინჯო მათი ფოტოაპარატები, რომ ბოლო-ბოლო გადავწყვიტო, ამჯერად რომელი კამერა ვიყიდო.

ბერკლი, სან-ფრანცისკოს ყურე და საერთოდ მთელი კალიფორნია მრავალეთნიკურია. აქ ძალიან ბევრი ეთნოსის, ერისა თუ რასის წარმომადგენელი ცხოვრობს. მაგალითად, ბერკლის უნივერსიტეტის ახლომანლო უბნებში, ქალაქის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილებში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპიდან გამოსული ებრაელები სჭარბობენ, ქალაქის სამხრეთში ინდოელები, შავკანიანები და სამხრეთ ამერიკელები და ა.შ.

ეს პატარა საუნივერსიტეტო ქალაქი ოკეანისაკენ წყნარად დაშვებულ მთის ფერდობზეა გაშენებული. რაც უფრო შორსაა სახლი და უბანი სან-ფრანცისკოს ყურიდან, ის მით უფრო პრესტიჟულად ითვლება. როგორც წესი, ბერკლის ჰილბზე-ბორცვებზე სხვებზე შედარებით უფრო შეძლებულები ან ოდესღაც პრესტიჟულად მიჩნეული თანამდებობის მქონეების შთამომავლები ცხოვრობენ. ლოტოსას სახლი სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადგილას დგას. მამამისს უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიაში დიდხანს უმუშავია უბრალო ტექნიკოსად და მაშინ ცოლთან ერთად ძალიან იაფად შეუძენია პატარა ხევში ჩაყუდებული ეს სახლი. ლოტოსა ძალიან ამაყობს, რომ ბერკლიშია დაბადებული და რომ სკოლაში უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორების შვილებთან ერთად სწავლობდა.

ლოტოსას მამა წარმოშობით უკრაინელი ებრაელების ჩამომავალი უნდა იყოს. დედამისი კი ჩინელია. ლოტოსას რიგით მეორე ქმარი, ჯონი, კანადელი ებრაელია ნიუფაუნდლენდიდან. მათ ერთმანეთი მგონი ინტერნეტის საშუალებით გაიცნეს. ჯონი სულ ახლახანს გახდა აშშ-ის მოქალაქე. მისი ფინელი ბებია, პირველი მსოფლიო ომის დროს ტფილისში ყოფილა ნამყოფი მოხალისე რუს მოწყალეების დებთან ერთად. ლოტოსა და ჯონი ყოველწლიურად დღესასწაულობენ ქრისტეშობას ჩვენსავით. სულ სხვანაირად იყო საქმე ლოტოსას პირველი ქმრის, ლონდონელი ორთოდოქსი ებრაელების ოჯახში გაზრდილი ჯერომის დროს. მათი წინაპრები წარმოშობით კენიგსბერგიდან, ყოფილი კალინინგრადიდან ყოფილან. კარგად მახსოვს, რომ ჯერომი ლოტოსას მხოლოდ იმ პირობით დაყაბულოდა ნაძვის ხის დადგმას, თუ კენწეროში ჩვეულებრივის მაგივრად დავით წინასწარმეტყველის ვარსკვლავს გააკეთებინებდა. ის ძალიან მზიარული, კარგი სამეზობლო ადამიანი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთხელაც ლოტოსა და ლორა, მაშინ განუყრელი მეგობრები და ჩვენი ყოფილი კარის მეზობლები, თავიანთ აშკარად უქნარა ქმრებს თითქმის ერთსა და იმავე დროს გაუბრაზდნენ და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე რამდენიმე დღეში დაითხოვეს აპარტამენტებიდან. არ გამიკვირდება, ერთხელაც გავიგო, რომ მათი ამ გადაწყვეტილების მიღებაზე, მეზობელი ქართველი ცოლ-ქმრის ანუ ჩვენი მრავალწლიანი და მუხლჩაუხრელი შრომა-გარჯის ყოველდღიურმა ყურებამაც მოახდინა თავისებური გავლენა. რამდენიმე წლის მარტოობის შემდეგ,

ორივე ძალიან კარგად გათხოვდა ცოტა უცნაურ, მაგრამ ნამდვილად ყურადღებიან, შომისმოყვარე, საქმიანსა და საკმაოდ შეძლებულ პროგრამისტებზე და მალე კერძო სახლებშიც გადავიდნენ საცხოვრებლად.

:+:+:+:

სამზარეულოდან გადასხმა-გადმოსხმის ხმა შემომესმა. შომ გასასინჯად თეთრი ყურძნის ერთი ყლოუპი მაჭარი მომიტანა. საოცარი რამე დადგება, ისეთი არომატი და გემო აქვს, თუ განუწყვეტელი გადასხმა-გადმოსხმების შემდეგ რამე დარჩა ამ ერთლიტრიან ბოთლში. თუმცა, არც ეს იქნება დიდი პრობლემა, რადგანაც არც ერთი ჩვენგანი ღვინის დიდი მოყვარული არ ვართ. უბრალოდ თავად დაწურვა-დაყენების და დუღილის პროცესი აღმოჩნდა საკმაოდ სახალისო და ბავშვობის მოგონებებთან, ჩვენს სახლებში მშობლების მიერ ყოველწლიურად გამართულ „რთველებთან“ დაკავშირებული.

05.10.12

ლოტოსას და ჯონის ეზო-ბაღში ძალიან ვიხალისეთ. დიდი ხარჯი გაუწევიათ: ბაღ-ბოსტანის განათებისა და ირიგაციის ავტომატური სისტემები, ახალი „ფლაჟერ-ვეჯიტებალ ბედები“ ანუ ყვავილებისა და ბოსტნეულის დასათესი შავი მიწით სავსე ხის ყუთები, ქუჩიდან ბაღში ჩასასვლელი ახალი კიბე, ბაღის სავალი ნაწილის მოკირწლოული საფარველი და კიდევ ბევრი რამ განაახლებინეს იტალიელ არქიტექტორსა და ხელოსნებს.

სამსახურიდან უფასოდ წამოღებული ბაღის ორნამენტირებული რკინის დიდი დასაკეცი სკამები ჩვენ ვაჩუქეთ, როდესაც ეს ძველი სახლი იყიდეს ლოტოსას მშობლებისაგან. მას შემდეგ, სულ არემონტებენ ნაწილ-ნაწილ. გასულ უიკენდზე სან დიეგოში ყოფილან და იქაურ ზოოპარკში გადაღებული სურათები დაგვათვალიერებინეს. აშშ-ში ცნობილ ზოოპარკად ითვლება, მაგრამ სურათების მიხედვით, მგონი თბილისური ზოოპარკი არაფრით ჩამოუვარდება. თუმცა, სან დიეგოს ზოოპარკი მართლაც ძალიან დიდია. ისინი მხოლოდ ერთ ნაწილში იყვნენ, სადაც ბილეთი \$79 ღირს. სხვა ნაწილებში, მაგალითად., ე.წ. „საფარიში“, დამთვალიერებლები დაჯავშნულ მანქანებში სხედან, ხოლო თავისუფლად გაშვებული მტაცებელი ცხოველები გარედან ათვალიერებენ მათ. იქ ბილეთის ფასი მგონი \$300 -მდე აღწევს.

ჯონთან და ლოტოსასთან საუბრისა და მათ მიერ კომპაქტური კამერით, „კანონ ელფ 310“-ით გადაღებული სურათების ნახვის შემდეგ

დავრწმუნდი, რომ ყველას აჯობებს თუ „ფაუერ შათ 40 ან 50“-ის ტიპის კამერას ვიყიდი თუ აიფონ-5-ის კამერას არ დავჯერდი.

06.10.12 არჩევნები

დღეს საღამოს, ობამა-რომნის მეორე დებატი გაიმართება. მოუთმენლად ველოდებით, რა მოხდება, ვინ გამოვა ამჯერად გამარჯვებული. იმაზე, თუ ვინ იქნება მომავალი პრეზიდენტი, ბევრი რამე იქნება დამოკიდებული: გადასახადებს მოგვიმატებენ თუ არა, ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება თუ არა და ა.შ. „იაკუს“ დღევანდელი კომენტარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ბევრი თვლის, რომ ობამამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და „ახალი სისხლია“ საჭირო. არა და რომნი მგონი უფრო ბიზნესმენია ვიდრე პოლიტიკოსი. თანაც რესპუბლიკური ადმინისტრაციის დროს ორი ომი დაიწო, მართალია დემოკრატების სრული მხარდაჭერით, რომლის ხარჯები მთლიანად ჩინეთიდან და იაპონიიდან ვალად აღებული თანხებით იფარება. სახელმწიფოს ისეთი დიდი ვალი აქვს თურმე, რომ აშშ-ში ყოველ ახლად დაბადებულ ბავშვს მისი სიცოცხლის პირველსავე დღეს \$50,000 ედება, იმედია სიმბოლოურ ვალად.

6 ნოემბერს, პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად, ადგილობრივი დონის არჩევნებიც ჩატარდება. ამ დროს, ერთადერთი საარჩევნო ბიულეტენით, სხვადასხვა სახის ლოკალური საკანონმდებლო ინიციატივისათვის ხმების შეგროვებაც მოხდება. ყველას შეუძლია ასეთი ინიციატივა გაიტანოს კენჭის საყრელად თუ შესაბამისი კამპანიის საწარმოებლად საჭირო ფინანსურ რესურსებს მოიპოვებს და მოსახლეობაში გარკვეული რაოდენობის ხელმოწერების შეგროვებას შეძლებს. ასეთი წინადადებები სხვადასხვანაირია: მაგალითად, აიკრძალოს თუ არა ტროტუარზე ჯდომა ან გაუკეთონ თუ არა ზოოპარკში ცხოველებს ახალი გალიები და სხვ. ასეთი „პრეპოზიშენების“ საშუალებით, ხშირად სხვადასხვა საბაბით და ხერხით სხვადასხვა სახის ადგილობრივი გადასახადების შემოღება-გაუქმებას ან გაზრდა-შემცირებასც ცდილობენ. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ის რაც ამჯერად ხდება მეზობელ ქალაქში, ძირითადად ღარიბი აფრო-ამერიკელებით დასახლებულ რიჩმონდში. იქ ქალაქის დაცარიელებული ხაზინის შესავსებად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საბაბით, დამატებითი ტაქსის-გადასახადის დაწესებას ცდილობენ იმ სასურსათო პროდუქტებზე, რომლების დამზადების პროცესშიც შექარია გამოყენებული. თუ ეს წინადადება გავიდა, მისი ოპონენტების აზრით, მაშინ რიჩმონდში თითქმის ყველაფერი გაძვირდება: სავაჭრო ობიექტები შემოსავალს,

მომხმარებელს და თანამშრომლებს, ხოლო ქალაქი გადასახადებიდან შეგროვილი ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს. შესაბამისად უმუშევრობა გაიზრდება და ისედაც რთული კრიმინოგენული ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება. ინიციატივის მომხეების აზრით კი, ის დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის კვებით ჩვევებზე და ღრმთა ვითარებაში ზედმეტი წონითა და დიაბეტით გამოწვეული ავადმყოფობების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება.

მსგავსი მოტივირებით, სხვა ინიციატივა მთელი კალიფორნიის მასშტაბშიც არის კენჭის საყრელად გამოტანილი. ერთი შეხედვით, მისი ინიციატივებიც ვითომ მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, რადგან საკვები პროდუქტების იარღიყებზე გენური ინჟინერიის მეთოდებით მიღებული კომპონენტების აღნიშვნას მოითხოვენ. თუ ეს ინიციატივა კანონად იქცა, მისი ოპონენტების აზრით, კალიფორნიაში საკვები პროდუქტების ფასი გაიზრდება, ხოლო ადგილობრივ აგრობიზნესს სხვა შტატებთან შედარებით უფრო რთულ ვითარებაში მოუწევს ფუნქციონირება.

ფენსაცმელი

დღეს, რატომღაც, ერთი ამბავი მომაგონდა, რომელიც უნივერსიტეტში მუშაობის დროს გადამხდა თავს. ჩვეულებრივ, ქართული ენის კლასის დაწყებამდე, აუდიტორიაში ყოველთვის ნახევარი საათით ადრე შევდიოდით, რომ გაკვეთილის ახსნის პროცესში გამოსაყენებელი მრავალრიცხოვანი მაგალითი წინასწარ ჩამომეწერა დაფებზე და დრო დამეზოგა. ერთხელ, დილაადრიანად, ამ საქმეს რომ მოვრჩი, სკამზე დავჯექი, ფენი ფენზე შემოვიდე და სტუდენტებს დავუწყე ლოდინი. როდესაც ფენსაცმელებს თვალი შევაავლე, რაღაც მეუცხოვა. აღმოჩნდა, რომ ერთ ფენზე სანდალი მეცვა, მეორეზე კი დახურული, უთასმო ფენსაცმელი, ე.წ. „სლიფონები“. დილაადრიანად სიბნელეში ამრევია. მათი გარჩევა ისედაც არ იყო ადვილი, რადგანაც ორივე ერთი გერმანული ფირმის, ჯოზეფ სიბელის ერთისა და იმავე სუპერ-კომფორტულ კალაპოტზე იყო შეკერილი. ფაქტიურად, ერთი ფენსაცმლის ორი - ღია და დახურული ვერსიები მქონდა. თუ დათბებოდა, ერთს ვიცვამდი და თუ აგრილდებოდა მეორეს, რაც ბერკლიში დღის განმავლობაში ხდება ჩვეულებრივ. ამიტომ, ვერც ჩაცმისა და ვერც სიარულის დროს ვერავითარი განსხვავება ვერ ვიგრძენი. არა მგონია, რომ სტუდენტებს (ორი მათგანი, რაიან მოსტედი და ერიკ სკოტი უკვე კარგა ხანია ასისტენტ პროფესორები არიან) შეემჩნიათ რამე, რადგანაც ორივე ფენსაცმელი შავი ფერის იყო და თვალშისაცემად ყველაზე განსხვავებულ მათ ზედა ნაწილებს შარვლის ტოტები მიფარავდა. ეს ამბავი შოს რომ მოვუყევი, კინაღამ ჩაბჟირდა სცილით. ამის შემდეგ, ამ ფენსაცმელებს გრძელი სკამის ქვეშ

ერთმანეთის გვერდზე აღარ მადებინებდა და კარგახანს მამოწმებდა სახლიდან გასვლის წინ თუ რა მეცვა ფეხზე და შარვლის ხვარჯარის შეკვრა ხომ არ დამავიწყდა, რადგან ასეთ ერთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. მთელი თუ არა ნახევარი დღე მაინც, შესვენებაზე საპირფარეშოდან აჩქარებით გამოსულს, უნივერსიტეტი ფართოდ გახსნილი ხვანჯრით შემომივლია.

01.11.12

ია

გუშინ „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის ტელეწამყვანმა ია მეურმიშვილმა დარეკა ვაშინგტონიდან: კალიფორნიაში ვაპირებ მივლინებით ჩამოსვლას საქმეებზე და შორენას შესახებაც მინდა სიუჟეტის გაკეთებაო. ნამდვილად ეკუთვნის, რომ მისი საქმიანობის შესახებ საქართველოშიც იცოდნენ, ის ხომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში უკვე რამდენი ხანია ნაყოფიერად მუშაობსო. მესიამოვნა, რომ ამ ახალგაზრდა ქალმა დაინახა თუ რამდენი რამის გაკეთება შეძლო შორენამ აშშ-ში ყოფნის პერიოდში. იამ კარგად იცის შოს შესაძლებლობები, რადგანაც ისინი რამდენიმე თვე ერთად მუშაობდნენ სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტების თარგმანზე. მას თურმე ჩაფიქრებულ აქვს გადაცემა, სადაც მაყურებელს გააცნობს იმ ქართველებს, რომლებიც ამერიკაში არ მუშაობენ მხოლოდ მომვლელელებად.

ერთი სიტყვით, ახალი საქმე გავიჩინე: შოს „კალიფორნიული ფაილი“ შევადგინე, რომელიც შეიძლება იასაც გამოადგეს თუ ამ სიუჟეტის გაკეთებაზე ეკონომიკურმა კრიზისმა ან სხვა რამემ ხელი არ შეუშალა და რომელსაც სრულად მივაბამ ამ ტექსტს, რადგანაც, ფაქტიურად, სხვადასხვა ამბის მოგონებაა და მეტი არაფერი.

ეს ამერიკული „რამაიანა“ ანუ შოს კალიფორნიული „პირადი საქმე“ რომ დავამთავრე, დავფიქრდი თუ რატომ ვშრომობდით შო და მე ასე თავგამოდებით აქ ჩამოსვლის შემდეგ. უამრავ მოტივს ერთმა აქაურმა #1-მა მოტივმა აჯობა: არ გვინდოდა, რომ ქუჩაში მოწანწალე უსახლკაროების გვერდით აღმოვჩენილიყავით. ჯ.ჯ. ნიუბერიში მუშაობის დროს, ხშირად ვხედავდი ამ დიდი უნივერსალური მაღაზიის წინ ერთ უსახლკაროს, რომელიც ქვაფენილზე შემთხვევით დავარდნილსა და გამვლელების ფეხსაცმელებით გასრესილ შოკოლადებსა და კანფეტებს ცერა თითის ფრჩხილით ოსტატურად ფხეკდა და იქვე მიირთმევდა. ნიუბერიში შეძენილ ამ ტკბილეულს, ქვაფენილზე ბერკლის „ჰაი სქულის“ მცირე-შემოსავლიანი ოჯახებიდან გამოსული, შაქრის შემცველ პროდუქტებზე განსაკუთრებით

მიდრეკილი აფრო-ამერიკელი მოსწავლეები „თესავდნენ“ ღლაბუც-დიდიგლაობის დროს.

2014 წლის 1 აპრილი

2014-04-14 22:29 GMT+04:00 Vakhtang Chikovani:

ძვირფასო მეგობრებო,

ზუსტად ორი კვირის წინათ, 2014 წლის 1 აპრილს, დილის 9 საათზე, ხუმრობისა და იუმორის ამ მხიარულ დღეს, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენდა სასიხარულოდ, მეტად სერიოზული ამბავი მოხდა: დათქმულ დროზე 39 დღით ადრე, სანატრელი ვაჟი, წონით ერთი ციცქნა, 1,870-გრამიანი, მაგრამ სამაგიეროდ "მაღალი", 47-სანტიმეტრიანი ლუკა შეგვეძინა! პაწაწინა ლუკა დაბადებისთანავე ისე მადიანად დაეწაფა დედის რძეს, რომ ეტყობა დღე-დღეზე დაეწევა მის თანატოლებს. და კიდევ ერთი რამ, რაც მართლაც რომ უმნიშვნელოვანესია: მეანე ექიმებისა და ჩვენი აზრითაც, ლუკა სრულიად ჯანმრთელი ბავშვია!

აი, ეს სასიხარულო ამბავი გვინდოდა ყველა ჩვენი კეთილისმყოფლებისათვის დროულად გაგვეზიარებინა, მაგრამ დღემდე ვერა და ვერ მოვახერხეთ პატარა ლუკას გადაყოლილებმა.

უკლებივ ყველას, თქვენს ოჯახებთან ერთად, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ,

ლუკას მშობლები,
შორენა და ვახტანგი

:+:+:+:

წერა-კითხვის უცოდინარი ლუკას მიერ 2014 წლის 29 ივნისის შუადღეზე გამოთქმული „ჰეროიკული ბალადა“, 47 წლის დედამისის მოთხოვნით სიამოვნებით ჩაიწერა 66 წლის მამამისმა, კალიფორნიის პატარა ქალაქ ბერკლიში, ჰოპკინსის ქუჩაზე, კვარაკუნჩხა აპარტამენტში ცხოვრების დროს.

ლუკა მქვია, ძილი მიყვარს, ნუ დამძრახავთ ამასაო, გავიზრდები, დედალს შევჭამ, თვითონ ვიზამ კაკასაო. დედიკოს და მამიკოსთან ყოფნა მიყვარს ძალიან, როცა ძუძუ მომბეზრდება, ხინკალს შევჭამ გვარინს.

ბანაობის მოყვარული ბიჭაჭო ვარ კარგი, უთენია ყვირილს ვიწყებ:

აი, აი, აი !!!

როცა მშია, არ დავეძებ, არ მაწუნებს დარდი,
დედიკონა ძუძუს მომცემს, ამაში ვარ მარდი.
წოვა ვიცი ვაჟკაცური, თან ხელს ვინმარ მარდად,
დედიკოს და მამიკოსთან თავს ვგრძნობ მეტად კარგად!

13.10.14

სან ფრანცისკო

მძინარე ლუკას ვდარაჯობ, ტახტიდან რომ არ გადმოვარდეს, იმ დღის არ იყოს. მაშინ ისე სწრაფად გადაგორდა საწოლის კიდისაკენ, რომ ხელის წავლება ვერც კი მოვასწარი. ღვთის წყალობით, ხელებითა და მუცლით რბილად დაეცა ხალიჩაზე და დიდად არ შეუცხადებია ეს მოკლე და უეცარი დაღმარება. დროის გასაყვანად, ეგებ გუშინდელი მოგონების ჩაწერით შევიქცეო თავი: წუხელ საღამოს, როგორც იქნა, ვითომ სასეირნოდ, სინამდვილეში კი მოტორული ჩვევებისა და სისხლის მიმოქცევის აღსადგენად ბოლოს და ბოლოს მოვახერხე უბანში გავლა. სახლიდან როუზის ქუჩას ავყევი მარტინ ლუთერ კინგის ქუჩამდე, რესტორან „ფეთეფფალოთან“ მარცხნივ გავუხვიე და უკვე შებინდებულზე, ჩვეულებისამებრ, სახლში ჰოპკინსით დავბრუნდი. თითქმის 45 წუთი ვიარე. დაახლოებით ხუთიათასამდე ნაბიჯი გადავდგი, სუფთა ჰაერზე მოძრაობას დანატრებულმა. გასეირნების იდეა შომაც მომიწონა და ამიტომ წყნარად ვიყავი, ვიცოდი რომ ლუკას და მის დედიკოს სასტუმრო ოთახში ტახტზე მშვიდად ეძინათ.

ჰოპკინსზე, მოვარჯიშებით სავსე კინგის სახელობის სკოლის სტადიონს გვერდზე რომ ჩავუარე, რატომღაც ერთი ძველი შემთხვევა გამახსენდა. ალბათ იმიტომ, რომ რამდენიმე წუთით ადრე, ყოფილი ლენდლორდების ამჟამინდელ სახლს გამოვცდი. ქუჩაში ღიმილით მოყიალე, საკმაო ხანს, ოცი წლის წინანდელი ამბის დეტალების, უფრო სწორად მათთან დაკავშირებული საკმაოდ მწვავე ემოციების განხილვას ვცდილობდი.

ბერკლიში სულ ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ მე და შო საწ-ფრანცისკოში სასეირნოდ წავედი. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, საღამოს ქალაქის პორტის #39 გემთსაყუდელის ახლოს, ემბარკადეროს ქუჩაზე, ერთ-ერთი იაფი ბარის ღია კარებში შევაბიჯეთ. უამრავი ხალხი ირეოდა. გვეგონა, ამ ალიაქოთში აღმოსავლეთ ევროპული აქცენტის მქონე უცხოელებს ყურადღებას არავინ მოგვაცქევს, გემრიელად ვივანშებთ და თვალსაც წყალს დავალევივინებთქო. სრულოად საწინააღმდეგო ამბავი დატრიალდა. საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილმა ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალების ჯგუფმა უცბად აღმოგვაჩინა და უმაღლ ხორუმის მსგავს ცეკვაში

ჩავვითრია. ძალიან გავხალისდით. ისეთი შთბეჭდილება შეგვექმნა, რომ ნამდვილი, 100%-იანი ამერიკელების, იუმორით სავსე, სტუმართმოყვარე, გულუხვი, გულკეთილი, მომღიმარი, ლამაზი ადამიანების წრეში მოვხვდით. სასმლით სავსე ჭიქებით ცეკვა-თამაშში, სიცილ-ხარხარსა და სალამ-ქალამში, ეჭვი ამეკვიატა: კერძოდ ის, რომ ეს ნახევრად შიშველი ქალიშვილები ქალიშვილები კი არა ქალურად ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცები, ხოლო დანარჩენები კაცებივით გამოწყობილი ქალები იყვნენ. ეს ჩემი ეჭვი შომ ჯერ „კულტურულ მოკად“ ჩამითვალა, თუმცა მალე ისიც მიხვდა, რომ არ ვცდებოდი. ბოლო-ბოლო თავი დავიწმუნეთ, რომ მაინც ძალიან გავვიმართლა, რადგან სრულიად შემთხვევით, მეტად ორგინალურ კოსტუმირებულ მეჯლისსზე თუ ლოკალურ კარნვალზე ამოვყავით თავი. იმ საღამოს ბევრი ვიხორხოცეთ უცნაურად გამოწყობილ მასპინძლებთან ერთად, თითო-თითო ბრუდერშაფტ-ვანტანგურიც მივირთვით და სურათებიც გადავიღეთ. თუმცა შედარებით მალე გავეცალეთ იქაურობას, იმიტომ, რომ მაინც „не в своей тарелке“ ვგრძობდით თავს - ვინ ვინ იყო ან რა მიზეზით იყო ასე უკუღმართად გამოწყობილი, ვერ დავადგინეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ყოფილი ლენდლორდის დიშვილმა, ჩვენმა მაშინდელმა ახლო მეზობელმა, სადილად მოსულმა ერთკამ იმ დღეს გადაღებული სურათები რომ ნახა, გაკვირვებულმა და აშკარად კმაყოფილმა, მოწონების ტონით საგანგებოდ აღნიშნა: „თქვენ უკვე გეი ბარშიც მოგისწრიათ ყოფნაო!“ ელდა გვეცა, თანაც კარგა ხნით: ჯერ ერთი, რომ თურმე არ გვცოდნია თუ ვისთან ვიჭუჭუკეთ ტკბილად თითქმის მთელი საღამო და კიდევ უფრო იმიტომ, რომ იმხანად სან-ფრანცისკოში სპიდი მძვინვარებდა და მისი გავრცელების ერთ-ერთ მთავარ ეპიცენტრში ვჭამეთ და ვსვით კეთილი მასპინძლების მიერ შემოთავაზებული საჭმელ-სასმელები...

დღემდე, ბარებისა და გეების შესახებ ისევ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს; მით უმეტეს მაშინ ხომ თითქმის არა ვიცოდით რა. ამიტომ, ახლად გაცნობილ მეზობელთან, რომელიც ხშირად ლოკალური ცხოვრების წესის თავისებურებების გარკვევაში ხალისიანად გვმეგზურობდა, ამ თემაზე ვრცელი სჯა-ბაასის გამართვას თავი შეგნებულად ავარიდეთ. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ადრე თუ გვიან აქაური ცხოვრების მსგავს ფაქტთან შეგუება უნდა მოგვეხერხებინა როგორმე.

17.11.14

ვერაზე

ლოუკას შემყურე, შო და მე ხშირად ვიხსენებთ ბავშვობას. ვცდილობთ მის საქციელსა თუ იერ-სახეში მსგავსი რამ დავინახოთ. ასე რომ, ეს თემატიკა თანდათან ჩვენი ფიქრების, მოგონებების, სჯა-ბაასისა და ახლა კი ჩემი ჩანაწერების საგანი გახდა. სასიამოვნო ემოციების გარდა, ამას ერთი სიკეთეც აქვს: ტვინს ავარჯიშებს, ასე ვქვათ, და შესაბამისად მის უდროოდ დახავსებას ხელს შეუშლის, იმედია. არც ერთი ჩვენგანი დიდი ლაილას მოყვარულები არა ვართ, თან არც ქართულად ნორმალურად წერა-კითხვის დრო და საშუალება გვაქვს აქ. მშობლიური რომ მთლად არ დამიხავსდექ, პირადად მე პატარ-პატარა ამბების თუ შემთხვევების გახსენებას ვეცდები. ეს მახსოვრობის თავისებური ინვენტორიზაციაც იქნება და თან მამაჩემის 20-30-იანი წლების დღიურების წაკითხვის შემდეგ, ქართულად წერა-კითხვის უკვე მერამდენედ განახლებულ სურვილს დავიკმაყოფილებ.

ყველაზე ადრეული მოგონება ჩვენი ოჯახის ვერის უბნის ცენტრში, ცისფერ ეკლესიასთან ახლოს, კორღანოვის თუ კლარა ცეტკინის ქუჩაზე ცხოვრების პერიოდთან არის დაკავშირებული. მაშინ, ერთი მხრიდან ნახევრად სარდაფის დონეზე გვქონია პატარა სამოთახიანი ბინა, ცნობილი ექიმის კოწია ერისთავის მეზობლადა. იქ 1950 წლამდე გვიცხოვრია. ორი წლიდან, ვაკის უბნის ცენტრში, ბარნოვისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე გადავბარგდით ჯერ კიდევ მშენებარე საკუთარ სახლში, რემელიც მამამ „მიჯაჭვულ ამირა ნში“ აღებული ჰონორარით ააშენა. სახლის ოთახები კედელში დატანებული ღუმლებით თბებოდა. ვერაზე ცხოვრების პერიოდში ისეთი წყნარი ბავშვი ვყოფილვარ, რომ ერისთავის ქალიშვილი, შემდეგ ომში ცნობილი ექიმი დალი გორდეზიანი ხშირად სთხოვდა თურმე დედაჩემს ჩემს თავს სახლობანას სათამაშოდ. იქვე ცხოვრობდა, თუ არ ვცდები, აგრაფინა ბებიას ძმის და ნინა მამიდას ქმრის დის ოჯახი.

რა მახსოვს: მაცვია ბაცი ყავისფერი თუ მწვანე ფუფაიკის წვრილი თეთრ-რგოლებიანი პიჟამო. ასეთი სამოსი რომ მართლაც მქონდა, ძველ ფოტოსურათებზეც ჩანს. დაბალ ტანზე მჯდომი დედაჩემი ძუძუს მაწოვებს. ლოლნაშოსფერად შელებილი იატაკიან გრძელ ოთახში ვართ, რომელშიც ჭერთან ახლოს მდებარე ფანჯრებიდან შემოდის სინათლე. უეცრად, შეწუხებულმა დედამ მოწყვეტით მომაშორა ძუძუს, თან რაღაცა მითხრა უკმაყოფილომ (ალბათ, შოსი არ იყოს, „ნელა, ნელა, მეტკინა ბიჭო“ს მსგავსი რამ) და გვერდზე დამისვა. შემდეგ დუნია და სერგო ასათიანების მიერ ქორწილზე მორთმეული ნამდვილი ვერცხლის პატარა კოვზით, ძუძუდან გამოწურული რძით

განაგრძო ჩემი კვება. ამის გამო, ძალიან უკმაყოფილო შევიქენი. მოკლედ რომ ვთქვა, ნამდვილად მეწყინა.

ვერცხლის კოვზი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რომ შეძლებულ ოჯახში დავიბადე, ინგლისური გამოთქმისა არ იყოს: "...been born with a silver spoon in his mouth"-ო. პირიქით, ტოტალური დეფიციტის პირობებში, ეტყობა სხვა კოვზები არც კი გაგვაჩნდა, რადგან თითქმის 60-70-იან წლებამდე მხოლოდ ასათიანების ნაჩუქარ ჩაის კოვზებს ვიყენებდით, სანამ ისინი თანდათან სადღაც არ გაქრა, მოსამსახურე ქალების მეშვეობით, და მათ საერთო ანუ საყოველთაო საბჭოთა, კრემლის-გამოსახულებიანი „ნერჟავეიკები“ არ ჩაენაცვლა.

ეს ამბავი რომ მართლაც მოხდა, თავის დროზე, 12-13 წლისას, დედამაც დამიდასტურა. თუმცა, ქეთო დეიდა თვლიდა, რომ ძუძუზე კბენის ამბავი უფროსებისაგან უნდა მქონოდა გაგონილი პატარაობისას, რაც შემდეგ მოგონებად გადამექცა უნებურად. თავად ერთ ციდას, ამ დრამატული შემთხვევის დამახსოვრების თავი ნამდვილად არ გექნებოდაო, მარწმუნებდა. ეტყობა მაშინ დედა ძუძუთი ჩემზე თვრამეტი თვით უმცროს მარინას კვებავდა, როდესაც უცებ ჩემი წილი რძე მოვთხოვე, უკვე ჩვეულებრივ საჭმელებზე კარგახნის გადასულმა. დეიდაჩემისაგან გამიგია, რომ ახალშობილ დაიკოს, რომელსაც მაშინ, თქმა არ უნდა, ყველა თავს ევლებოდა, შურითა და ეჭვის თვალთა ვუყურებდი თურმე, და როდესაც დავიმართობელი, აკვანში არტახებით ჩაკრულ ბაიას მარცხენა საფეთქელი ისე გაუვუკაწრე, რომ ნაიარევი ოდნავ დღესაც ემჩნევა.

ეჭვიანობა და შური არც ლუკასთვის აღმოჩნდა უცხო ხილი. ძუძუს წოვის დროს გამუდმებით მითვალთვალეებს თუ დედა-შვილის სიახლოვეს გამოვჩნდი. მაშინ, წოვას იმ წუთშივე თავს ანებებს და სანამ იქაურობას არ გავეცლები, საყვედურით სავსე თვალეებით მომჩერებია. ერთი სიტყვით, მისი თანდასწრებით, დედამისთან ყოველგვარი ვერბალური თუ არავერბალური კონტაქტი თითქმის გამორიცხებულია, რადგან აშკარად რაღაცნაირ საფრთხედ აღიქვამს. ეტყობა ცოლი უნდა შევრთოთ, რომ ნორმალური ურთიერთობები აღვიდგინო ოჯახში. მისი კბილა სორიას მშობლები აკი ძალიაც გველაქუცებია. ამას წინათ, ჰაიტემმა, რომელიც არაბულ ენას ასწავლს ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტში, შოს უსაყვედურა: „რატომ არ დაგვირეკეთ იმ საღამოს, ლუკა რომ ჰოსპიტალში წაიყვანეთ შესამოწმებლად, ლოგინიდან გადმოვარდნის შემდეგ, ეხლა ჩვენ ხომ ერთი ოჯახი ვართო (?!)“. ვა, ნამდვილად კარგები არიან, მაგრამ ერთი ლექსისა არ იყოს, მაგრამ ჩვენ „უფრო ლამაზი გვინდა“, ასე ვთქვათ. იმედია, ლუკიანე თავის დროზე თვითონ მოაბამს ამ ამბავს თავს, რა თქმა უნდა, დედიკოს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს. შო ნამდვილად მცველი ქორივით დასტრიალებს ბიჭუნას თავზე.

ვერაზე ცხოვრების პერიოდში, ყველასთვის მოულოდნელად იმ დროისათვის შინაარსობრივად შესაფერი და საკმაოდ რთული პირველი ფრაზა წარმომითქვამს დეიდაჩემის თანდასწრებით. ვერის ბაზრის ცნობილი აფთიაქის შენობის კუთხეზე მიმაგრებული სტალინის უნარმაზარი სურათი რომ მინახავს, უფროსებისათვის მიკითხავს : „სომა აქ არის ხომო?“ ანუ ამ სურათზე სტალინია გამოხატული ხომო. ლუკა ჯერჯერობით ე-ა-ე-ა, გ-ე-ე-ე, ავოე, დე-დეს ღუღუნ-ზუზუნის და ბგერების „სველი“ ჯგუფების დონეზეა.

სკოლა

აი, ერთი მზა მოგონება სკოლაზე.

From: Vakhtang Chikovani

To: N.K.

Sent: Sunday, January 22, 2012 7:56 AM

Subject: Re: surati 1

“ბატონო ნიკო,

დიდი მადლობა მეტად საინტერესო ბიოგრაფიული ეპიზოდების გაზიარებისათვის. გრიგოლ ჩხიკვაძე კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრას ხელმძღვანელობდა და მამასთან მეგობრობდა. მეც რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და ნამდვილი ჯოჯობეთი იყო ჩემთვის, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლად, მესამე კლასის ბოლოს, ქართულ სკოლაში ამომაცოფინეს თავი. ყველაფერი ეს ჩვენთან სტუმრად მოსული საშა ღლონტის ემოციური წამოძახილისა და საყვედურის გამო მოხდა: "მიშა, შენმა ბავშმა ქართული არ იცის?!" გაკვირვებულმა მამამ ნარდს თავი მიაწება და რამდენიმე კითხვა დამისვა. როდესაც მასაც რუსულად ვუპასუხე, "განაჩენის აღსრულება" დედაჩემს სთხოვა: ხვალიდან ქართულ სკოლაში წაიყვანეო. 55-ე სკოლაში ქართულის არმცოდნის მიღება არაფრით არ უნდოდათ, მაგრამ ბოლოს დედაჩემის ყოფილმა დირექტორმა, იპოლიტე სურგულაძემ, თითქმის ატირებულ ყოფილ მოწაფეს ანგარიში გაუწია და ბავშვებით გადატენილ საკლასო ოთახში შემეყვანა. ლენინის ორდენოსანი პენსიონერის, იულია ვერულაშვილის კლასში უკვე 52 ბავშვი იყო. როდესაც იპოლიტემ ერთ-ერთ სამ-ბავშვიან მერხზე ჩემი ჩაკვეტება სცადა, უპაერობით შეღონებულმა ხანდაზმულმა მასწავლებელმა დირექტორს მთელი კლასის გასაგონად უთხრა: ან ეს ყრუ-მუნჯი მომაშორეთ თავიდან ან მე თვითონ დავტოვებ კლასსო. ბოლო-ბოლო ორივენი კლასში

დავრჩით, მაგრამ მეორე დღეს უკვე მთელმა სკოლამ და ე.ი. უბანმაც იცოდა, რომ რაღაც უცნაური მიზეზის გამო, მშობლიური ენის ინჩი-ბინჩი არ გამეგებოდა. ალბათ მუდამ საქმეში ჩაფლოულმა მშობლებმა ვერ შეამჩნიეს, რომ რუსულმა საბავშვო ბაღმა, რუსულენოვანმა შინამოსამსახურეებმა თუ კერძო მასწავლებლებმა, სკოლამ და საინტერესო სურათებიანმა წიგნებმა ჩემს სააზროვნო ენად რუსული აქცია. ქართულზე გადასვლას წლები დასჭირდა. მუსიკალური სკოლის მოსამზადებელ კლასში გადატანილი ტკივილის და დამცირების განხენება დღესაც კი მიჭირს. "პედაგოგი" მ. ჩი-ძე, როგორც კი დედაჩემს გარეთ დაიგულეებდა, სახაზავის მოულოდნელი დარტყმებით მიჭრელებდა ხელებს და ა.შ. თქვენმა ბიოგრაფიულმა ეპიზოდებმა ბევრი დიდი ხნის წინათ გადავიწყებული ამბები გამახსენა.

დიდი მადლობა!

ღრმა პატივისცემით,
თქვენი ვ. ჩ.

21.11.14

რატომ არ გავხდი ბალერონი

ბალეტი და თეატრი პატარაობიდან ძალიან მიყვარდა. მე და მარინა, დედიკოსთან და ოჯახის ნაცნობ-მეგობრების ბავშვებთან ერთად, საშობაო არდადეგებზე თითქმის ყოველდღიურად სიამოვნებით ვესწრებოდით საბავშვო საბალეტო და თეატრალურ წარმოდგენებს თბილისის ოპერისა და ბელეტისა და რუსთაველის თეატრებში. ერთი პირობა, სპექტაკლებს ამ თეატრების დირექტორების ლოჟებიდანაც ვუყურებდით, რადგან მარინას ერთ-ერთი თანაკლასელისა და ამავე დროს ჩვენი ნათესავი გოგონას მამას მაშინ ძალიან მაღალი თანამდებობები ეჭირა.

სტუდენტობის პერიოდში, შესაბამის გადაცემას ტელევიზორში ხომ ხელიდან არ გავუშვებდი. ბებიამეც ეშინოდა და ბალერინას მოიყვანას ხომ არ აპირებ ცოლადო, მეკითხებოდა. ბალანჩინის, რობინსონის, ლენინგრადის, მოსკოვის, პერმისა თუ სხვა საგასტროლო ჯგუფების თითქმის ყველა თბილისური სპექტაკლი ნანახი მქონდა. ასევე იქცეოდა მგონი 60-70-იან წლებში ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც მე ვიცნობდი, სტუდენტები, მათი მშობლები და უბნელი ნაცნობ-მეგობრები. მიუხედავად ამისა, ჩემი ამბავი მაინც „სულ სხვა იყო“, რადგანაც 7-8 წლისას კინალამ საბალეტო სკოლაში მივრეს თავი. ამ საკითხზე დედაჩემი ჩემი თანდასწრებით ოჯახის ახლობელს, ჩემ რუსულის მასწავლებელს ევგენია ზახაროვნა ჩერქეზიშვილს დაეთათბირა. მას ოდესღაც კულტურის მინისტრის ამხანაგის თანამდებობა ეჭირა და იმ

ხანებში ცდილობდა საინტერესო წიგნების საშუალებით სახვითი ხელოვნების ისტორიაში გავითავითვინოთ ბავშვები, „ჯოტო-მოტო“ და სხვა ამისთანები. ევგენიამ ყურადღებით მოუსმინა დედას. ცოტა გვიან ხომ არის მაგისათვის, უთხრა და თან ვითომ, სხვათაშორის, მიაყოლა, ბალერონების ცხოვრების წესი ზოგჯერ ბიჭების მამაკაცურ თვისებებზე ახდენს თავისებურ გავლენას. დედამ უმალო ოთახიდან დამითხოვა და ევგენიას ნახევრად მიწურულ კარებს მიღმა სასტუმრო ოთახში დიდხანს ხმადაბლა ესაუბრა. ის იყო და ის: მას შემდეგ ბალეტის გაკვეთილებზე კრინტი აღარ დაუძრავს, თუმცა აშკარად ვხედავდი, რომ გული ეთანადრებოდა.

ქეთო დედასაგან ვიცი, რომ თვითონ თინეიჯერ დედას ქართული ცეკვის მოყვარულთა ანსამბლში გატაცებით უცეკვია კარგახანს, თან იმჟამად პოპულარულ დარახველიძის ანსამბლში გადასვლაზე ოცნებობდა თურმე. თუმცა, ისიც აფიქრებდა, რომ დარახველიძეს მოცეკვავე გოგონებს ბანდაჟები ეცვათ, როგორც წესი; ხოლო იმ დროს ქალაქში გავრცელებული აზრის მიხედვით, ამას მომავალი დედებისათვის შეიძლება პრობლემები შეექმნა. აქამდე საქმე არ მისულა. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, რომელიც პლენანოვზე, გორკის კლუბში ჩატარებულა, მამამისმა თურმე ცეკვაზე აღარ გაუშვა, რადგან მეტისმეტად თავმომწონე და დარდიმანდი კაცის მომხიბლავი ქალიშვილის სცენაზე გამოსვლასა და ცეკვას მაყურებელთა დარბაზში მყოფი უბნის ბიჭბუჭები მოწონების ნიშნად „უჰ, რა კარგი ხარ საყვარელო!!!“ ტიპის შეძახილებით შეხვდნენ.

მრავალი წლის შემდეგ, ჩემდა სასიხარულოდ, დედამ ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტში სასწავლებლად ჩემს „გაგზავნა-გაციმბირებაზე“ ხელი ააღებინა მამას, რადგან ვიღაც ღვთისნიერნმა უთხრა, რომ იქ არსებული ახალი ატომური რეაქტორი „ბიჭების მამაკაცურ თვისებებზე“ ახდენს თავისებურ გავლენას. საქმე ის იყო, რომ თბილისში სამედიცინოზე „მოწყობა“ მაშინ თითქმის შეუძლებელი გახდა დიდი „ბლათისა“ თუ ცეკვას სიების გარეშე. არადა დედას, ვორონცოვზე სახელოვანთქმული კარდელოლოგის მიხეილ წინამძღვრიშვილის ეზოში გაზრდილს, ძალიან უნდოდა, რომ ორივე ბავშვი ექიმი გამოსულიყო. ამის გამო, მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ მე, როგორც ბიჭი, ე.ი. უფრო ადვილად და უსაფრთხოდ „ტრანსპორტაბელური“, ტომსკში წავსულიყავი სასწავლებლად, სადაც მამაჩემის კარგი ნაცნობის, პროფესორ ნიკოლაი ბაბუშკინის ოჯახში ვიცხოვრებდი, ხოლო მარინას კი სახლთან ახლოს, თბილისში ეცადა ბედი.

ბალეტის არ იყოს, სამედიცინო მომსახურების სფეროც მომწონდა, თუმცა რაღა თქმა უნდა, სულ სხვა მიზეზების გამო. ჩემი აზრით, ის გაჭირვებაში ჩავარდნილებისათვის დახმარების გაწევის შესაძურ

საშუალებას იძლეოდა. ჩვენი ბავშვობის ექიმის, მამის ბიძაშვილის შემყურეს, ეს სურვილი თუ გრძობა პატარაობიდანვე დამყვა. ჩემს ლოგინთან ილარიონ ბიძიას მომლიმარი სახის გამოჩენა სიცხეს დაბლა მიწევდა და ნამდვილი სინარული გრძობა მეუფლებოდა ხოლმე, „ბატონების“ თუ მსგავსი საყმაწვილო რამის გამო შეუძლოდ მყოფს. თან ვიცოდი რომ ექიმობა ათასი შემთხვევისა თუ ბედის თვითმხილველს ხდიდა ადამიანს, რაც მგონი უფრო მხიბლავდა, ვიდრე სხვა რამ, გამოგონილი ამბებით სავსე წიგნებზე თავგადაკლულსა და სახლის კედლებს შორის გამოკეტილი მკითხველსა და მსმენელს. ერთხელ, წითურა რომ შემეყარა, კითხვამ თვალებზე არ იმოქმედოსო, იფიქრეს და ევგენია ზახაროვნამ - ნათელი დაადგეს - მაშინდელი საყვარელი ავტორის, უოლტერ სკოტის „აიკენგო“ თავიდან ბოლომდე წამიკითხა!!!

ჩემი შანსების გასაზრდელოდ და უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად, ხრუშჩოვის მიერ შემოღებული, თითქმის სავალდებულო 2-წლიანი სტაჟის დასაგროვებლად, ჯერ მე-11 მუშა-ახალგაზრდობის „ღამის სკოლაში“ გადამიყვანეს მშობლებმა მე-8 კლასიდან (ყოფილი მანთაშოვის აბრეშუმ საქსოვი ქარხნის ტერიტორიაზე რომ იყო), 55-ე სკოლის არაერთ თანაკლასელთან ერთად. შემდეგ, თბილისის ცენტრალური სასწრაფო დახმარების სადგურში, სანაპიროზე, მორიგე ბრიგადების სანიტრად დამაწყებინეს მუშაობა 14-15 წლის ბიჭს. იქ მართლაც რომ ბევრზე ბევრი რამის მომსწრე-მონაწილე გავხდი. კვირაში ორი-სამი 24-საათიანი სადღედაღამისო მორიგეობა მიწევდა და თვითონ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჩემზე მხოლოდ 20 წლით უფროს დედას ძალიან ვეცოდებოდი, სახლის გარეთ ასეთი გარჯა და ღამის თევა რომ მიწევდა. ამის გამო, არაერთხელ მიწახავს თვალცრემლიანი, დილაუთენია სახლში დაბრუნებულს, როდესაც შხაპის მისაღებად აბაზანის კარებთან მისულს პირსახოცით მელოდებოდა ჩვეულებისამებრ და ჩემი ღამენათევი, „ათას უსუფთაო ადგილას ნათრევი“ ტანსაცმელი გასარეცხად მიჰქონდა. „ჯერ ბავშვია და ნამდვილად ცოდოა ასეთი მუშაობისათვის“, ხშირად ეუბნებოდა მამას, მაგრამ ოჯახის უფროსი სხვა ბავშვების მშობლებივით ყალბი სტაჟის საბუთების გაკეთებას არ კისრულობდა თუ ვერ ახერხებდა მგონი.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო და თანდათან მეც შევეჩვიე სწავლა-შრომის უჩვეულო, „არასტანდარტულ“, ფაქტიურად, არანორმალურ პირობებს; მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში დარჩენილი გავლენიანი მშობლების შვილებისათვის - ანუ მათთვის, ვინც სტაჟის გარეშეც ადვილად მოეწყობოდა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში - და იმათთვის, ვისაც პრესტიჟული ფაკულტეტებზე ჩაბარების პრეტენზია არ ჰქონდათ, ჩვენ, თითქმის თავისუფალი დასწრების სტილით მომუშავე „ღამის სკოლაში“ გადასულებს,

ნამდვილი „თბილისელი ბიჭების“ (ხოლო დღის სკოლაში დარჩენილების მშობლებისათვის კი მათ ბავშვებზე საშიში ზეგავლენის მქონე „მამლაყინების“) ყველა ატრიბუტი გაგვაჩნდა. ითვლებოდა, რომ სახლსა, სამეზობლოსა და უბანში გამოკეტილ თანატოლებთან შედარებით, ღამის სკოლელები ქალაქსა და „ცხოვრებას“ უკეთ იცნობდნენ. შესაბამისად, ხშირად მართლაც რომ ძალაუფლებურად ზოგიერთი ჩვენთაგანი ექსპერტის როლში გამოდიოდა ათასგვარ სიტუაციაში, არჩევდა „საქმეებს“, სხვა უბნების „დაწინაურებული“ ბიჭებისაგან იცავდა ძველ თანაკლასელებს და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით „ღამის სკოლელობა“ თავისებური ხარისხის ნიშანივით იყო, რომლის მქონე ბავშვისაგან ყველა - დიდი თუ პატარა, წესიერი თუ უწესო - უკლებლივ მეტს მოელოდა, ვიდრე ნორმალური მოსწავლისაგან, რის გამოც იმ ხანად ჩვენს შორის ცოტანი როდი იყვნენ ბიჭი-კაცები ანუ უკვე არც ბიჭები და არც მამაკაცები. შესაბამისად, არც თუ იშვიათად, ყოფილი თანაკლასელები ღამის სკოლელებთან სიახლოვეთ ამყობდნენ, თავიანთი საქმეების მოგვარებასა და ვითომ „მომგებიანი“ იდეების რეალიზაციას ცდილობდნენ. მაგალითი: ერთმა ჩემმა „ტრუსიკის მეგობარმა“ ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან, ჩემი სახელით, მაშინ როდესაც ღამის სკოლაში მასწავლებლები „ნამდვილ აწონილ ოქროდ“ მთვლიდნენ (ერთ-ერთი მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ ამ ფრაზას რომ ყური მოჰკრა მშობლების კრებაზე მოსულმა მამაჩემმა, როგორც თვითონ შემდეგ მითხრა, სიხარულისაგან თურმე თვალებზე ცრემლები მოადგა), 55-ე სკოლის უმცროსკლასელებს მის სართულზე საპირფარეოში შესასვლელი გადასახადი დაუწესა. ამ სახით, სახლიდან წამოდებული „ბუფეტის ფულს“, ძირითადად ხურდებს, „აწერავდა“ საწყალ ბავშვებს რამდენიმე კვირა. როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ასე შეგროვილი თანხა მომიტანა, სახტად დავრჩი. უმაღლეს ბავშვებისათვის ფულის უკან დაბრუნება ვთხოვე. „ტექნიკური მიზეზების“ გამო, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: ვის, რამდენი და როდის გამოვართვი, აბა მე რა ვიციო, მიჰასუხა; მაგრამ პირობა მომცა, რომ ამის იქით მის სართულზე საპირფარეო ყველა უმცროსკლასელისათვის უფასო იქნებოდა. საიდან მოიგონა ყოველივე ეს გ.ღ-მ, დღემდე წარმოდგენა არა მაქვს; ერთი კია, რომ მაშინ „შეწერა-დაწერა“ არა მარტო სალაპარაკო თემა იყო თბილისის არა ერთ სკოლაში. იმ თანხით, 55-ე სკოლის პირდაპირ მდებარე სუპერ პოპულარულ მაღაზია-საცხობ „ფრანციაში“ ღვეზლები და გაზიანი კრემ-სოდა მივირთვით.

საბავშვო ბაღი

კერძო რუსულ საბავშვო ბაღში, რომელიც თსუ-ს პირველი კორპუსის პირდაპირ მდებარეობდა, სულ პატარა მიმიყვანეს მშობლებმა. ერთი უცნაურობა სჭირდა იქაურობას: ბაღში დილას გახამებული ნაჭრის ხელსახოც-გადაფარებული საჭმელებიანი პატარა კალათით მისულები, კარებში ინვალიდების ბორბლებიან სავარძელოში მჯდარ „სოვასილევნა“ (სოფია ვასილის ასულ) არღუტინსკაიას, ბაღის მოხუც დამფუძნებელს, აუცილებლად ფრანგულად და აუცილებლად მამაკაცური სტილის რევერანსით უნდა მივსალმებოდით. „ბონჟურ სოვასილევნას“ შესრულებაზე კარგა ხანს გვავარჯიშებდნენ ბავშვებს. სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო, სანამ რუსულის კი არა ჯერ კიდევ ქართულის არასაკმოდ კარგად მცოდნე დაიკო ბაღში არ გამომაყოლეს: უპატრონე, თუ საჭირო იქნა, პირველ ხანებში თარჯიმნობასაც გაუწევო. კარგა ხანი მართლაც ყველაფერი რიგზე იყო. მუსიკა-ცეკვა-სიმღერის შემდეგ, „სოვას“ ქალიშვილი, ჩვენი აღმზდელი ადა, იატაკზე გვსვამდა ჩუმად ბავშვებს და ფანქრებსა და შავი გრაფიტის ფირფიტებს გვირიგებდა, ხატვით რომ თავი შეგვექცია, სანამ ღრმად მოხუცებულ „სოვასილევნას“ ეძინა მეზობელ ოთახში. ასე იყო იმ დღესაც. მარინა და მე რატომღაც შორიშორს დაგვსვეს, ასე რომ ერთმანეთს ვერც კი ვხედავდით. ხატვა-ჯღაბნაში კარგა ხანი გავიდა. მოულოდნელად, ჩემსავით მასზე უმცროს დასთან ერთად იქ მყოფმა აღსაზრდელმა მახარა: შენ დას მგონი გაეპარაო. არა და ამ დროს, კაბა-წინდებსველი პატარა გოგუშა, ვითომ არც არაფერიაო, უტყვად და ურჩად ყვავილების ხატვას განაგრძობდა ცრემლმორეული... როდესაც მომვლელმა სახლში მიგვიყვანა, მე დარცხვენილი, რომ პატარას ვერ მოვუარე, ხოლო დაიკო „სოვასილევნას“ შვილიშვილის 2 თუ 3 წომით დიდ კაბა-წინდებში გამოწყობილი რომ გვხახეს მშობლებმა, მაკაჭუნია უმალო ჩვენი უბნის ქართული, #1 (ე.წ. უნაფქოშვილის) საბავშვო ბაღში გაამწესეს, ასე ვთქვათ, რუსულის არასაკმარისად ფლობის გამო.

ორ, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ საბავშვო ბაღში, ყოველდღიურად ჩვენი ტარება საქმეებით დატვირთულმა დედამ კარგა ხნის შემდეგ ვეღარ შეძლო, ეტყობა. რადგანაც უკვე საკმაოდ წამოზრდილ დაიკოს რუსულ-გერმანულ ენოვან „სამყაროში“ დაბრუნება არავითარ შემთხვევაში აღარ უნდოდა, ქართული საბავშვო ბაღის სტიქიას მე მაზიარეს. ეხლა უკვე მე მჭირდებოდა დროდადრო თარჯიმანი. საურთიერთობო ენის გარდა, განსხვავება ამ კერძოსა და სახელმწიფო ბაღებს შორის კიდევ ის იყო, რომ ნატალია უნაფქოშვილის ბაღის კარებში, „სოვასილევნას“ მაგივრად ცოცხალი ყვავილებით შემკულ, ულვაშ-ჩიბუხ-ჩექმებიანი იოსებ ბესარიონოვიჩის თითქმის ჭერამდე აზიდულსა და აბრეშუმზე დახატულ უზარმაზარ (კარიდან მობერილი გამჭოლი ქარის გამო სულ ვიბრაცია-მოძრაობაში

მყოფ) სურათს ყოველ დღე „ოქტომბრულად“ ვესალმებოდით: ვუპატაკებდით, ყვავილებს და ლექსების ვუძღვნიდით, ვუმღეროდით; ხოლო საღამოს, სახლში წასვლის წინ ვემშვიდობებოდით. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მასწავლებლების ხელმძღვანელობა-თანამონაწილეობით ხდებოდა. შესაბამისად, ყველაზე მომქმედი, განაჩენივით მძიმე მუქარა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს შორის „იცოდე, ძია სტალინს ვეტყვი“ იყო, რომლის აღსრულება, როგორც ბავშვები ჩურჩულებდნენ ხოლმე, ჩვეულებრივ ძალიან საიდუმლო ვითარებაში ხდებოდა.

უნაფქოშვილთან ახლად გადასულს, ერთმა შავტუხა და წითელლოყუბა ბიჭმა სრულიად უმიზეზოდ სახეში ხელი მთხლიძა, ალბათ, როგორც „უცხოს“. ეს ამბავი, როგორღაც, უმცროსების ჯგუფში მყოფი მარინეს ყურამდე მივიდა. ბავშვები პატარა სკამებზე წრიულად ვისხედით მასწავლებლის გარშემო, რომელიც ზღაპარს გვიკითხავდა, როდესაც კარები გაიღო და ოთახში მოკლე თეთრ-წინსაფრიალი და თეთრ-ბაფთებიანი ჩემი პატარა დაიკო გამოგვეცხადა. ძალიან გამიკვირდა, თუ როგორ მოახერხა ამ ერთი ციდა გოგომ ანეტა და ქეთო მასწავლებლების ხელიდან დასხლტომა და მეორე, უფროსი ჯგუფელების სართულზე ამოსვლა. ეს კიდევ არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა და რაც მთელი ბაღისა და შესაბამისად უბნის სალაპარაკო თემა გახდა. მარინე წრეში შემოვიდა, თითქოს ლექსის თქმას აპირებდა და ბავშვებს ხმამაღლა და წყნარად მიმართა: „ვინ გაარტყით ხელი ჩემს ძმასო?“ მასზე სიმალლით თითქმის ორი თავით მაღალმა ტონტორამ პასუხი არ დაუგვიანა და გამომწვევად წამოდგა სკამიდან. ფეხის წვერებზე შემდგარმა მაკაჭუნამ, არც აცია და არც აცხელა: გაშლილი ხელით სილა გააწნა პუტკუნა ლოყაში ბიჭს და ნელი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. მალე ყველამ გაიგო, რომ ასაკით პატარა დამ ქართულ ბაღში რუსული ბაღიდან ახლად გადმოყვანილი უფროსი ძამიკოს დაცვა-პატრონობა იკისრა.

1953 წლის 6 მარტი

მაშინ ჩვენს კვარტალში ანუ არაყიშვილი-ბარნოვი-რიგის (იმხანად საყარაულოს) ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სულ რამდენიმე მკვიდრად ნაგები საცხოვრებელი კერძო სახლი იდგა. დანარჩენი სივრცე ბალახით დაფარულ მინდორ-ველებს, ხეხილის ბაღებს, აგურის ქარხანას, ლურსმნების მეტად ხმაურიან საამქროს და სომეხი-ოსი-ბერძენი-თათარი-ქურთი-იეზიდის-აისორი მუშებისა და სოფლებიდან წამოსული ქართველების ოჯახების პატარ-პატარა ბარაკებსა და მიწურებს ეჭირა. ამ ქოხებს შეფარებულ ადამიანებს, ბინებში, რა თქმა უნდა, არც წყლი და არც კანალიზაცია არ გააჩნდათ და ამიტომ ჩვეულებრივ ეზოში იბანდნენ და იქვე მოწყობილი

საპირფარეშოებში ილევდნენ დიდსა თუ პატარა საქმეს ყოველ ცისმარე დღეს. ფარღალაღა ჩეჩმების ორმოებს დროდადრო „ტაჩკაზე“ დამაგრებული „ძღნ..ის ბოჩკის“ ტუმბოთი ცლიდა „მემძღ...ე გენო“ ანუ გენადი, რომელს ცხენს ბარაკებიდან გამოვარდნილი ბავშვები დიდი ჟივილი-ხვილითა და შეძახილებით ხვდებოდნენ. ასეთივე შეხვედრას უწყობდნენ პატარები მეორე „ცხენოსანსაც“, დარბაისელ აწერბაიჯანელ „ნავთის კაცს“, რომლის ზარზე, ცარიელი „ბიდონებით“ შეიღარებული დიასახლისები ბავშვებთან ერთად სახლებიდან გამორბოდნენ. დიდი ამბავი ხდებოდა ამ ბარაკების „შუკებში“ ქორწილების დროს. სასმლით, ზურნა-დუდუკ-აკორდეონის აკომპანიმენტის ქვეშ სისხლიანი ზეწრების ქნევით გახურებულ მოქეიფებსა და მათთვის ნასროლ ვაშლებს თავარიდებულ ნეფე-პატარძალს პატარა გოგო-ბიჭები უკან დასდევდნენ.

ბარნოვის მტვრიანსა და ტალახიან ქუჩა-ბილიკს, ახლადელი არაყიშვილის ქუჩის გასწვრივ, მცირე ზომის ბორცვი თუ ქედი კვეთდა, რომელიც ასეთივე ქოხებითა და ჩეჩმებით იყო დაფარული. ჩვენი სახლის წინ, ამ ბილიკზე, იოსკას „ბუტკა“ იდგა, რომელიც ღია იყო თუ დახურული, პატარა ღია აივანზე გასულები ვიგებდით. კიოსკში, ლიტრიანი ბორჯომის ერთი ბოთლის მოსატანად გაგზავნილმა, 5-6 წლისამ, უიაფესი მოკლე სიგარეტების, „პალმის“ ყუთი მოვიტანე სახლში; ლამაზი ყურებდაცქვეტილი გერმანული ნაგაზის სურათით დამშვენებულ წითელყუთიან „დრუგზე“ ფული არ მეყო. ბევრი ცდის მიუხედავად, ვერა და ვერ მოვახერხე სიგარეტების გაბოლება. დამწვრის სუნზე დედამ საპირფარეშოში შემოიხედა და დიდი აყალ-მაყალისა და საყვედურების გარეშე სიგარეტები ნაგავში გადამიყარა.

პატარა აივნიდან ძალიან კარგად ჩანდა თუ რა ხდებოდა ქოხებით დაფარულ ბორცვზე, როგორ შედიოდა გაბმული ხველებითა და ვეება „კეკვა“ ქუდით ჩეჩმაში ტუბერკულოზით დაავადებული ქართველი ოსი, სიმპატიური სერგო ბიძია და თითქმის ყოველ დღე როგორ აწიოკებდა ახალგაზრდა სედას და მის პატარა ბიჭებს გამოუსწორებელი ლოთი ქმარი, დამტვრეული რუსულით მოსაუბრე კეთილი გარეგინა. დროთა ვითარებაში, მართალია საკმაოდ გვიან, ქოხმახების მაცხოვრებლების ერთმა ნაწილმა ვითარება საგრძნობლად გაიუმჯობესა: ხრუშჩოვის ხანაში ძალით შესახლდა ვაკეში აშენებული ახალი სახლების პირველი სართულის ბინებში და დიდი აყალ-მაყალისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ საბოლოოდ მაინც დაისაკუთრა ისინი. მერე დეიდა სედა ახლად გაჩნნილი კინო „ყაზბეგის“ მოღარე, ხოლო ბიძია გარეგინა კინოდარბაზში შესასვლელი ბილეთების კონტროლიორი გახდა, ინგლისური და ფრანგული კომედიების და იტალიური ნეორეალიზმის ჩვენებურ ეპოქაში, და ეკონომიურად ცოტათი მოიხედა სულ გაჭირვებაში მყოფმა მათმა ოჯახმა. ბარაკებიდან სხვებმაც უბნის ახლად გაჩნნილ საპარიკმახეროებში,

ტანსაცმლის ატელიეებში, ფეხსაცმელების შესაკეთებელ და გასაწმენდ-გასაკრიალებელ კიოსკებსა და მაღაზიებში დაიწყეს მუშაობა. ასე რომ, უბნის „პარიკმახერები, მანიკიურები, პარტნოები, ჩისტილშიკები, საპოუნკები“, მოლარეები, გამყიდვლები და ა.შ., ძირითადად ჩვენი უბნელები ან წყნეთელები იყვნენ და ჩვენი ოჯახის ასავალ-დასავალი მეტნაკლებად კარგად იცოდნენ. ერთხელ, უკვე სტუდენტობის დროს, არაყიშვილის ქუჩაზე ხანშიშესულმა სიმპათიურმა სომეხმა ქალმა თავი შემახსენა და მომესიყვარულა: როდესაც შენ ლამაზ დედას ჩვეულებისამებრ ღია ლობიოსფერ მანიკიურს ვუკეთებდი ხოლომე, შენ აუცილებლად მაგიდაზე პუტკუნა ხელებს დამიწყობდი, ეგებ დეიდამ ფრჩხილები მეც შემიღებოსო. აფსუს რა ქალი იყოო, თავს კარგა ხანს დანანებით აქეთ-იქით აქანავებდა ჭაღარა მანდილოსანი. ეს რომ ზუსტად ასე ხდებოდა, დედაჩემისგანაც მქონდა გაგონილი. ერთხელ, სამეზობლოში პატარა გაუგებრობაც მოხდა. ბარაკში მცხოვრებ საბარგო მანქანის მძღოლს, სომეხ „რეისავიკს“ შვილი გაუხდა ავად და მამაჩემს როგორც ექიმს მოაკითხა: მერე რა მოხდა რომ „დოქტორ ნაუკ“ ხარ, მაინც გეცოდინება რაშია საქმე და გვიშველეო.

იმ დროს, საძინებელ ოთახად შემდგომი დროის ყველაზე უსინათლო ე.წ. „ზალას“ ვიყენებდით. მაშინ ყველაზე მეტი მზის სხივი ბინის სწორედ ამ მხარეს ხვდებოდა, რადგან ფართო ფანჯრები აგურების ქარხნის საშრობი და საწყობი მოედნისაკენ გადიოდა, ხოლო რიგის ქუჩამდე მაღალი შენობები ჯერ არ იყო აშენებული. მთელი ოჯახი ამ დიდსა და კედლის ღუმლით გამთბარ ოთახში ვიყავით შეკრებილები 6 მარტის იმ ადრთან დილას. მამა ფანჯრის რაფაზე დადგმული დიდი სარკის წინ იჯდა სახეზე გასაპნული და წვერს იპარსავდა. ხელში მამიდაჩემის მიერ ლეიფციგის ახლოს მდებარე ურანის საბადოების დასახლებიდან გამოგზავნილი, ყვითელტარიანი, მზის სხივებზე საშიშად მოლაპლაპე სამართებელი ეჭირა. აშკარად ცდილობდა, რომ საოცრად მჭრელი და ძნელად მოსახმარი ისტრუმენტით სახე არ გაესერა. იქვე მომარაგებული ჰქონდა მონიკელებული პატარა სასაპნე თასი ფუნჯით, თბილი წყლით სავსე ვერცხლისფერი მეტალის პატარა ჭიქა, მეორე, უფრო მცირე ზომის ლურჯტარიანი გერმანული „მეორე პირის“ გასაპარსი სამართებელი, გერმანულივე შაბი (რომლის გადაარჩენილ ნაწილს დღემდე ვიყენებ!!!), გერმანულივე სალესი ქვა და სპეციალური ღვედი, რომლითაც დროდადრო სამართებლებს „ფხას უსწორებდა“. თითქმის ხუთი წლისა, პირდაღებული გვერზე ვდექი და ინტერესით ვადევნებდი თვალს მთელ ამ პროცესს. ფრთხილად ვიყავი, რომ უნებურად ხელი არ შემეშალა მისთვის.

სიცოცხლითა და ენერჯით სავსე, 26 წლის დედა რატომღაც ისევ ლოგინში იწვა დაღონებული. როგორც წლების შემდეგ დეიდა ქეთომ ამიხსნა, თურმე ფეხმძიმობა-ხელოვნურად-შეწყვეტილი, უგუნებოდ იყო რამდენიმე დღე, მესამე შვილის გაჩენის საშუალება რომ არ მიეცა.

ძველი სამზარეულოდან, დიდ ღუმელს მიფიცხებული აგრაფინა ბებიას და მარინეს ხმები ისმოდა.

შუშაბანდზე გასასვლელ კართან, ქსელის რადიოსთან, მამაჩემის მოხუცი დედა იჯდა, ფიქრებით მშობლიურ სოფელში წასული, რომელშიც დაბრუნებაზე ის დღენიდაგ ოცნებობდა. რადიოში მოსკოვიდან დილის გამამხნეებელი ვარჯიშს გადმოსცემდნენ, რომლის დამთავრების შემდეგ, ცნობილმა დიქტორმა ლევიტანმა ავადმყოფი სტალინის გარდაცვალების ცნობა გადმოსცა. ამის გამგონე ნახევრად გაპარსულ მამას თვალებზე ცრემლები მოადგა. ეს რომ ბებია დაინახა, უსაყვედურა: “მამაშენის დაღუპვის გამო ცრემლი არ გადმოგვარდნია თვალიდან და ეხლა რაღა გატირებსო?!“ მამამ ხელი ისე აიქნია თითქოს რაღაცას თავიდან იშორებსო და უთხრა: "იმას ვდარდობ, დედა, რომ ეხლა ყველა ქართველებს წამოესევასო". ცამდე მართალი აღმოჩნდა. სულ მალე, ახლო-მახლო ბარაკებში მცხოვრებმა ნაცნობმა ბავშვებმა, რომლებსაც ხშირად აივნებიდან გადაგდებული კანფეტებით ვუმასპინძლდებოდით, ჩვენს სახლს “ლაგატკებით“ ქვებისა და ალუმინის მხვილი სინისაგან დამზადებული წვეტიანი კაუჭების სროლა დაუწყეს. მას შემდეგ, რაც ერთი მათგანი ფერდში მომხვდა, მშობლებმა კარგა ხნით ფანჯრებთან მიკარება და ღია აივანზე გასვლა აგვიკრძალეს. შემდეგ, უფროსების საუბრიდან ვიგებდი, რომ სტალინის სისასტიკეები მის ქართველობას დაბრალდა და რომ ქართველების ლანძღვა-გინება თითქმის საყოველთაო მოდად იქცა სსრკ-ში. სიტყვა კაცოს აღარ გავიგონებთ ამიერიდან მოსკოვშიო, უთქვამს ერთ-ერთ შეკრებაზე კულტურის მინისტრ ფურცევას და სხვ. ამ ვითარებით შემფოთებული უამრავი ადამიანი შეიკრიბა სტალინის ძეგლთან სანაპიროზე 1956 წლის 9 მარტს, მისი დაკრძალვის სამი წლისთავზე. მამამ ჩვენც წაგვიყვანა იქ და ხან მარინე და ხან მე ვეჭირეთ ხელში, რომ ლექსების დეკლამატორებისათვისა და მომღერლებისათვის თვალი შეგვეკვლო. ერთი პირობა ცოტა წამოწკუმპლა და ბავშვებმა მამიკოს ღიჰს შევაფარეთ თავი. დროდადრო მომიტიჩნებებს თავზე თვითმფრინავები გადაგვიფრენდნენ ხოლომე, რაც მამას არ მოსწონდა. როდესაც პლატფორმიან მანქანაზე მდგარი სტალინისა და ლენინის როლების შემსრულებელი მსახიობები გამოჩნდნენ სანაპიროზე, დაღლილები, მაგრამ მაინც კმაყოფილები, სახლისაკენ წამოვკედით.

იმ საღამოს, სანაპიროზე და რუსთაველის პროსპექტზე უბედურება დატრიალდა. ეს ამბავი გაბმული საყვირით მოძრავი „პობედიდან“ და საბარგო მანქანიდან გამყინავი ყვირილით გვამცნეს ჩაბნელებულ ფანჯრებს ამოფარებულ თანამოქალაქეებს ახლოგაზრდებმა... რამდენიმე დღის შემდეგ, მეზობლად მცხოვრებ მკერავთან გადავკედით. საკერავ მანქანასთან მჯდარმა თამარა დეიდამ ჩურჩულით გაანდო დედას, რომ მისი ქმრის, გრიშა ბიძიას ხე-ტყის დამამზადებელი საწარმო უკვე კარგა ხანია იმ საღამოს მე-8 პოლკის ჯარისკაცების მიერ

დახმარების სასახლეების სადღეღამისო დამზადებაზე იყო გადასული. ბავშვები იქვე ვთამაშობდით, მგონი ერთადერთი საბჭოთა სუნამოს „Красная Москва“-ს და გრიშა ბიძიას ოდეკალონის „Шипр“-ის ცარიელი ფლაკონებით. ყველფერმა ამან სხვა მსგავსი ამბები გამახსენა.

ჩენეთი და სლოვაკია

1968 წლის „პრადული გაზაფხულის“ შემდეგ, საბჭოთა ჯარებით ოკუპირებულ ჩეხოსლოვაკიაში თსუ-ს ჟურნალისტიკის კათედრის გაცვლის წესით ჩასული ქართული და რუსული სექტორის მესამეკურსელების დიდ ჯგუფს საკმაოდ დატვირთული პროგრამა გვქონდა: ხან პრადის უნივერსიტეტში, ხან ტელევიზიაში თუ ცენტრალური და პროვინციული გაზეთების რედაქციებში გვიწყობდნენ შეხვედრებს, ქვეყნის შიგნით არსებული სიტუაციის გამო, ნირწამხდარი უნივერსიტეტის პროფესორი პან ბარტაკი და მისი სტუდენტები. იმ დროს, პროფესიონალი ჟურნალისტებისა და განათლებული სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთში იყო გაქცეული. მათ ადგილებზე რედაქციებში და შემოქმედებით გაერთიანებებში იქაური კომპარტიისა და კომკავშირის ექვივალენტური ორგანიზაციების ნაკლებ კვალიფიცირებული აქტივისტები მიუშაობდნენ. უკანასკნელები განაკუთრებით მონდომებით ცდილობდნენ, რომ მათი ისედაც აშკარა პროსაბჭოთა ორიენტაცია ჩვენთვის უფრო თვალსაჩინო გაეხადათ. ამიტომ, არც თუ იშვიათად, სრულიად უინტერესო და უმაქნის ღონისძიებებზე გვიწევდა დასწრება.

ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, გაზეთ „რუდე პრვოს“ რედაქტორის კაბინეტში შემოსულმა მდივანმა იქ მყოფთ გამოგვიცხადა: ქვემოთ მისაღებში მოსულ ჩეხ ახალგაზრდას საქართველოში წასაღები ამანათი სურს ქართველ სტუდენტს გადასცესო. ის ახალგაზრდა პრადის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი მიშელ რანი იყო, ხოლო ვისაც ამანათი თბილისში უნდა წაეღო, მე ვიყავი. მიშელს წინა ღამით დავპირდი მისი თბილისელი ნაცნობი მხატვრებისათვის მის მიერ სპეციალურად შექმნილი ინგლისურენოვანი წიგნების, აგრეთვე მისი პირადი წერილების გადაცემას. ის უკიდურესად აღელვებული მოვიდა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში უცნობ ქართველ სტუდენტებთან, იმის მოსათხრობად თუ რა ხდებოდა რუსული ჯარებით ოკუპირებულ ქვეყანაში. ამანათის მიღების შემდეგ, ისევ შეკრებაზე დავაპირე შესვლა, მაგრამ მოულოდნელად დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მთხოვეს არქივში გავყოლოდი. იქ მათ ამხსნეს, რომ მიშელს ისინი კარგად იცნობენ და რომ ეშინიათ ამანათის საშუალებით ჩეხოსლოვაკიაში არსებული ვითარების შესახებ

დეზინფორმაცია არ გავრცელდეს საქართველოში, რადგან ეს ახალგაზრდა კარგა ხანია აქტიურად არის ჩაბმული ანტისაბჭოთა საქმიანობაში. იქვე საიდუმლო სამსახურების მიერ გადაღებული სურათები მაჩვენებს, რომელთა მიხედვით მიშელი პრადის ცენტრში, „სტარო მესტოში“ გამართულ „კონტრრევოლუციონერების“ მიტინგებზე არაერთხელ სიტყვით გამოსულა და სხვ. ბოლოს მთხოვეს, ამანათი მათთვის მეჩვენებინა. წიგნები უმაღლა მაგიდაზე დავუღლაგე, მაგრამ წერილების გახსნა ვიუხერხულე: ვუთხარი, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული მათში არაფერია ისეთი, რისიც თქვენ გეშინიათათქო.

რედაქციიდან გამოსულმა მეგობრებმა იქვე დიდ უნივერსალურ მაღაზიაში შესვლა დავაპირეთ, რომ უცებ ქუჩაში სროლა ატყდა: ორი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პისტოლეტებიანი მამაკაცი, ალბათ საგანგებო სამსახურის თანამშრომლები, ტყავის მოკლექურქიან და ასევე პისტოლეტით შეიარაღებულ ახალგაზრდას გადარბენებით მისდევდა. ჩვენ მაღაზიას შევაფარეთ თავი, სანამ სროლა არ შეწყდა.

ყოველივე ეს სუბრეალურად ჩანდა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე საათით ადრე, სწორედ იმ ქუჩაზე ვნახეთ იქ დაღუპული ახალგაზრდების სახელდახელოდ მოწყობილი პატარა, არაოფიციალური მემორიალები, რომელთა არსებობას ოკუპაციით შეჭვივრებული გამვლელ-გამომვლელები ვითომაც არ იმჩნევდნენ.

იმ საღამოს, ერთ-ერთმა მასპინძელმა, ერთ დროს პროსაბჭოთა საქმიანობის გამო ქაოსით მოცულ კონგოში დაპატიმრებული ცნობილი ჩეხი დიპლომატის შვილმა კარელ სვობოდამ მომაკითხა და სრულიად მოულოდნელად სამ ჩემს ახლო მეგობართან - ჭუბრიკა-კერესა-ჭოხოსთან ერთად - პრადის პოპულარულ რესტორანში დამპატიჟა. ეს ახალგაზრდა პარიზში სწავლობდა და 1968 წლის მაისის ცნობილი სტუდენტური გამოსვლების თვითმხილველი-მონაწილე იყო. ამ დრამატულ გამოსვლებში განსაკუთრებით აქტიურობდა იმ პერიოდში მეტად პოპულარული მემარცხენე ფრანგი ინტელექტუალებისა და მათისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფი ყმაწვილკაცობაც. სვობოდა თვლიდა, რომ ჩეხოსლოვაკიაში პარიზის საპირისპირო ამბავი დატრიალდა და რომ ეს ყველაფერი დასავლეთის, კერძოდ დასავლეთ გერმანიის სპეცსამსახურების მოწყობილი იყო. საშიში ამბები ხდება, გუშინ ღამე ტელევიზიაში მორიგეობის დროს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი (იმ ნაკლებად სასიამოვნო საქციელის მქონე გოგოს სახელი გადამავიწყდა) ვიღაცამ მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოაგდო. შემთხვევით გადაურჩა ნაღდ სიკვდილს. იძულებული ვარ შეიარაღებულმა ვიარაო, მითხრა და დასტურად მაგიდის ქვემოდან ახალთახალი ვერცხლისფერი პისტოლეტი გადმომაწოდა.

ბოლოს და ბოლოს სუფრაზე გაირკვა, რომ სვობოდასაც თურმე იმ წერილების ნახვა უნდოდა. მასაც იმავე მიზეზით უარი ვუთხარი. ვიფიქრე, ამით მორჩა ეს წერილომანიათქო, რომ მეორე სადამოს ჩვენმა თანმხლებმა თს-ს მაშინ სრულიად ახლოგაზრდა ლექტორმა იმავე თხოვნით მომაკითხა: დელეგაციის უფროსმა გამომავაზნა შენთან ამ საქმეზე. უკანასკნელს ხათრი ვეღარ გავუტეხე. მიშელისაგან თავიდანვე მოცემული ნებართვით ვისარგებლე და წერილები გავხსენი. მათში პირადული მოკითხვა-სალამ-ქალამისა და იმჟამად ქვეყნად არსებული სიტუაციის დახასიათების გარდა არაფერი ახალი და მოულოდნელი არ იყო.

თბილისში ადრესატებისათვის ამ წერილებისა და წიგნების დასარიგებლად გამზადებულს, რუსული სექტორის ერთმა სტუდენტმა მთხოვა, მხატვრებთან სახელოსნოებში მეც წამიყვანეო. ბოლოს გაირკვა, რომ მისთვის ჩემი „კომპანიონობა“ დელეგაციის ხელმძღვანელს ჰქონია დავალებული. ეტყობა, უკანასკნელი ასე ცდილობდა დაედგინა პრადის იატაკქვეშეთში გამომავალი „რუდე პრავოში“ გამოქვეყნებული სტატიის წყარო („ახლოგაზრდა ქართველი ჟურნალისტები მხარს უჭერენ ჩემ პატრიოტებს“). არადა სწორედ ჩემი „პატრიოტების“ მეტისმეტად აგრესიულად განწყობილმა ჯგუფმა გვაიძულა მე და რამდენიმე სტუდენტი, პრადის პოპულარული კარელი ჩაპეკის წიგნის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის“ მთავარი გმირის საყვარელი ლუდხანა „უფლეკუ“ მათთან დაპირისპირებულებს ნელნელა უკუსვლით დაგვეტოვებინა, რადგან რუსული სექტორის ერთ-ერთმა სტუდენტმა, მექანიკურად, ოფიციალტს, რომელმაც ლუდის ახალი ულოუფა მოგვიტანა, გმადლობთო, რუსულად უთხრა. ხსენებული პუბლიკაციის გამო, უკანა გზაზე მოსკოვში ჩასულებს თბილისში გამოფრენა რამდენიმე დღით გადაგვიდეს, ხოლო დელეგაციის ოფიციალურ ხელმძღვანელს სერიოზული საყვედური გამოუცხადეს.

პრადაში, ბრატისლავაში, პლოზენში, კარლოვი ვარში და სხვა ქალაქებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო „პრადის გაზაფხულის“ ძირითადი „მონაპოვარი“, „თავისუფალი სამყაროს“ ცხოვრების წესის ატრიბუტები: ვითომ პარიზული ტიპის კაფე-შანტანები, უამრავი მკერდშიშველი - ვითომ მოცეკვავე და ვითომ გოგონებით - „ინტიმურ-ინტერიერიანი“ სტრიპტიზ ბარები, სადაც ძალიან ძნელი გასარჩევი იყო ვინ იყო მაყურებელი და ვინ სტრიპტიზის შემსრულებელი, „სექსუალური რევოლუციის“ იდეების პროპაგანდისადმი მიძღვნილი უცხოური წარმოების დოკუმენტური ფილმები - მათ შორის, სან ფრანცისკოს 1967 წლის „სიყვარულის ზაფხულის“ შესახებ, სადაც მამების ცხოვრების წესზე „გაბრაზებულმა“, ნარკოტიკებით გაბრუებულმა ჰიპების „რევოლუციურმა“ ბრბომ თავაშვებული სექსით ბევრი „თანამებრძოლი“ გააბახა. „ბითლზების“ ფირფიტები, დასავლეთში

გამოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურა, უთვალავი ლეგალური და ნახევრად ლეგალური ორგანიზაცია მათი პუბლიკაციებით რამდენიმე თვეში მაისის თოვლივით გაქრა, რადგან საბჭოთა ჯარმა კომუნისტური მონოკულტურა უცებ უკან დააბრუნა. იქ დასავლურ სტილში დროის გასატარებლად ჩემს ნაკვალევზე წასული ბავშვობის მეგობარი გ.დ. და მისი თანაკურსელი ნ.ჯ. ძალიან უკმაყოფილოები დაბრუნდნენ უკან: „შენ რასაც გვიყვებოდი, იმის კვალსაც კი ვერსად ვეღარ მივაგენით იქო“.

თითქმის ორი თვის განმავლობაში, სტუდენტები შეძლებისდაგვარად ვცდილობდით ადგილობრივებისაგან ნაკლებად გამოვრჩეულიყავით, რადგან სსრკ-რუსეთთან ყოველგვარი ასოციაცია მოსახლეობაში უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევდა. არ გვინდოდა, რაიმე ხიფათი გადაგვყროდა თავს. ამიტომ, როდესაც საკვებით მოწამლულს კერძო პრაქტიკის მქონე ექიმთან მომიწია პრალაში მისვლა, ჭუბრიკა გავართხილე რუსულად ხმა არ დაეძრა. ექიმსა და მის ასისტენტებს თურქებად გავაცანი თავი. ყველაფერმა სანაქებოდ ჩაიარა. ბოლოს ჭუბრიკამ მადლიერების ნიშნად სიმპატიურ ასისტენტ გოგონას ერთი შეკვრა ჩვენებური სიგარეტის კოლოფი უფემქაშა. უცებ ორივეს თავში დაგვარტყა, რომ კოლოფს რუსული წარწერაც ჰქონდა და გაკვირვებულ ექიმსა და მის ასისტენტებს აჩქარებით გავეცალეთ.

ერთხელ, კარლოვი ვარში „ინკოგნიტოდ“ შოპინგის დროს, რუსი წყვილის ჩურჩულს მოვკარი ყური. ტყავის ქურქს ყიდულობდნენ ახლობლისათვის და ზუსტად არ იცოდნენ, იქაურსა და რუსულ ზომებს შორის რა სხვაობა იყო. ყოველგვარი სალამ-ქალამის გარეშე ავუხსენი, რაშიც იყო საქმე. გაუკაცრიელებული კარლოვი ვარის ცარიელ მაღაზიაში უცებ რუსულის მცოდნის გამოჩენა ძალიან იუცხოვეს და მორიდებულად მკითხეს, საიდან ხარო. ქართველი ვართქო, ვუთხარი. „Мы очень хорошо знаем какой это вы грузин из ФРГ“-ო მომახალა მოულოდნელად, აჭარხლებულმა ქალმა. არა, ნამდვილად ქართველი ვარ, თბილისიდანთქო, დავიწყე, მაგრამ მივხვდი, რომ თავის მართლებასავით გამომივიდა. თუ ქართველი ხარ, მაშინ დედა შეიგინეო, ისევ ქალმა შემომიტია. ეტყობა ჩვენებური გინება არაერთხელ ჰქონდა გაგებული. ეხლა მე ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში. აბა, როგორი საქმე იყო, ისე გამოდიოდა, რომ ჩემი ქართველობის დასამტკიცებლად და რუსების დასაწყნარებლად, ქმრის თვალწინ მისი ცოლისათვის დედა უნდა მეგინებინა. ღვთის წყალობით, მაღაზიაში ჭუბრიკა, კერესა და ჭოხო შემოვიდნენ. ცოლ-ქმარს გულზე მოეშვა, როდესაც ბიჭებს სიტუაცია, რა თქმა უნდა, ქართულად ავუხსენი. უცბად დამტკბარი და ლაპარაკის იმტარზე მოსული ქალი ჭუბრიკას მიუბრუნდა: „Анука, сам подумай голубчик, голубоглазый блондин с явным московским акцентом уверяет нас что он грузин! Только дурак мог ему поверить, не правда ли?!“ „Он у нас к

сожалению нестандартный“, მოკლედ მოუჭრა უგუნებოდ მყოფმა ჭუბრიკამ. წინა დღით, პრალაში ადგილობრივი სტუდენტების მიერ მოწყობილი გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე, მან ერთ ჩენ ახალგაზრდასთან ერთად მცირე ერების სადღეგრძელო შემოგვთავაზა სუფრის გარშემო მსხდომთ. ამას ძალიან დიდი აურზაური მოჰყვა. სადღეგრძელოს ჩეხმა თანაავტორმა და მისმა თანამზრახველებმა (ერთი მათგანი მგონი იატაკქვეშეთის „რუდე პრავოში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი იყო) პროტესტის ნიშნად, ჩვენთან გამომშვიდობების შემდეგ, სუფრა დატოვეს. ბანკეტი თითქმის ჩაიშალა.

ქართველი?!

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს ქართველობაში სხვა დროსაც არაერთხელ დაეჭვებულან. რამდენიმე წლის წინათ მე და შო ფონით რეისის ნაკრძალში ვსეირნობდით. გზაზე რუსი ებრაელების ოჯახი წამოგვეწია. ბებია კითხვებს აყრიდა ახალგაზრდებს: ეს ადგილი სად არის და ის ადგილი თუ გავიარეთ უკვე და სხვა. ერთ-ერთ კითხვაზე, ისევ სალამ-ქალამის გარეშე, მე ვუპასუხე. ძალიან გაიკვირვა უნებლიე უცხო თანამგზავრის რუსული. საიდან ხარო, მკითხა. თბილისელი ქართველი ვართქო, ვუთხარი. სიცილი აუვარდა, საკუთარი თავით კმაყოფილს, რომ არ „ჭამა“ ჩემი „ხუმრობა“. დარწმუნებული იყო, რომ უცხად ამოიცნო ჩემში თანამოდმე და შინაურულად მითხრა: „Какой это ты лрузин, когда картавиш как настоящий плешивый еврей“-ო. მე და შოს სიცილი წაგვცდა. ეს ბებომ მისი „გამჭრიახობის“ აღიარების დასტურად მიიჩნია.

სხვა ასეთი შემთხვევები იაპონელ ქართველოლოგ ჰიროტაკე მაედასთან არის დაკავშირებული. ჰირო ორჯერ ჩამოვიდა ბერკლის უნივერსიტეტში, მოწვეული მკვლევარის სტატუსით. ის ჩვენსავით ბუნების მოყვარული აღმოჩნდა და შაბათ-კვირას წყნარი ოკეანის სანაპიროზე პარკებსა და ნაკრძალებში დაგვყავდა ხოლმე. ერთ-ერთი „ვოქინგ-ჰაიკინგის“ შემდგ, სან ფრანცისკოს გირის ავენიუზე ქართველი ებრაელის მალაზიაში, „მოსკოვი-თბილისის საცხოვრებელი“ გავიარეთ, ხაჭაპურებისა და ჩურჩხელების შესაძენად. სანამ რამეს ავარჩევდით, მე, შო და ჰირო ქართულად ვსაუბრობდით. ამას იქაურმა თანამშრომელმა, ქართველმა ქალიშვილმა მოჰკრა ყური და გახარებულმა სხვა ქართველ გოგონებს გასაძახა საცხოვრებელი: დარბაზში გამოდით, ამერიკელი კაცი ქართულად ლაპარაკობსო. უკვე ქუჩაში გასულელებს, გოგონები მორიდებით მოგვიანლოვდნენ. ერთ-ერთმა არა 100% უცხოელ ჰიროს, არამედ მე მკითხა: ბოდიშს გინდით ბატონო, მაგრამ ძალიან გვაინტერესებს, ასე კარგად ქართული სად ისწავლეთო. თბილისში, თბილისელი ქართველი ვართქო, ვუთხარი. ხუმრობად ჩამომართვა, ზუსტად ისე, როგორც რამდენიმე წლის წინათ

ახალციხეში მივლინებით ჩასულს, საკანცელარიო მალაზიის გამყიდველმა გოგონამ. ახსნა-განმარტების მიუხედავად, ორივე დარწმუნებული იყო, რომ ქართულის ზედმიწევნით კარგად მცოდნესა და ხუმრობის ხასიათზე მყოფ ამერიკელ ბიძიას ელაპარაკებოდნენ.

აი, კიდევ რა შეგვემოხვას ყოველივე ამის შემდეგ მე, შოს და ჰიროს: ტილდენის ტყე-პარკში წავედით ერთად საჰაიკინგოდ და როდესაც ყველაზე მაღალ ბორცვს თავზე მოვექეციით, სან ფრანცისკოს ყურის მართლაც რომ მშვენიერი ხედის ნება-ნება დათვალიერებას მივყავით ხელი; თან ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს. ჩვენს გარდა, ჩამავალი მზის სხივებით აფერადებულ ყურეს ორმოც წელს ახლახან გადაცილებული, საჰაიკინგოდ ჩაცმულ-მოკაზმული კაცი შეჰყურებდა. ეტყობოდა, ქართულმა მეტყველებამ დააინტერესა. რა ენაზე ლაპარაკობთ, ვერაფრით ვერ მივხვდი, მითხრა. მეგობარი გვეწვია იაპონიიდან და იაპონურადეტქო, ვეხუმრე. ეს რა დიალექტია, აზრზე ვერ მოვედი, იაპონური ენის ტოკიოურ დიალექტზე ჰკითხა უცებ ჰიროს. ბევრი ვიცინეთ. თურმე, განათლება იაპონიაში ჰქონია მიღებული, დოქტორანტიურაც იქ დაუმთავრებია და ახლა იაპონური ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიას ვასწავლი ბერკლიშიო. ამ რიგის თითქმის ყველაზე გასაოცარი ამბავი მაინც თბილისში შემემთხვა. ჩვევად მექცა: იქ ჩასული გზად შეხვედრილ ხალხში ნაცნობ სახეებს ვეძებ, თან ვცდილობ, ესა თუ ის პიროვნება 15-20 წლით უფრო ახალგაზრდა წარმოვიდგინო, რომ ჩემი ღრობის თბილისელების სახეების ამოცნობა გამიადვილდეს. ასე თამაშ-თამაშში, ქალაქის სხვადასხვა უბანში რამდენიმე ადამიანი მართლაც ამოვიცანი. ასეთი საქმით გართულმა, მეტროში სტუდენტობისდროინდელ ჩემს ერთ კარგ ნაცნობ ფიზიკოსს მოვკარი თვალი. უმაღ გამოვეცნაურე ყოველი შემთხვევისათვის: ესა და ესა ვართქო. ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა და... ინგლისურად დამიწყო ლაპარაკი. ყველაზე საინტერესო კიდევ ის იყო, რომ როცა დარწმუნდა, ქართული ისევ ისე კარგად ვიცოდდი როგორც ადრე, ეხლა ქალაქში მეგზურობა შემომთავაზა, თბილისში დაბადებულ, გაზრდილსა და გაჭაღარავებულ კაცს: სადაც შენ გინდა მისვლა, მიგიყვანო. მე მგონი, ეს ყველაფერი ამ ჩემს კარგ ნაცნობს, ასე ვთქვათ, მექანიკურად გამოუვიდა. საქმე იმაშია, რომ მას ქართული ენის მცირე მცოდნე ახლო ნათესავის, მენშევიკების მთავრობის ცნობილი წევრის შვილებისა და შვილიშვილების მასპინძლობა უწევს ხშირად და უნებურად მეც მათ კატეგორიას მიმართვალა ეტყობა.

სულ სხვაა თბილისელი, ქუთაისელი თუ ბათუმელი მათხოვრების ამბავი. ისინი ხან რუსულად და ხან ინგლისურად მომმართავენ და აშკარად არ სიამოვნებთ, როდესაც ქართულად ვპასუხობ.

“Прекрати экскурсии, возвращайся домой!”

ჩეხოსლოვაკიის შემდეგ, რუსული სექტორის სტუდენტებთან კონტაქტები გამიხშირდა. ორი მათგანი სახლშიც კი დადიოდა ჩვენთან. ამიტომ, სვერდლოვსკის უნივერსიტეტის იუბილეზე დასასწრებად გაგზავნილ ჯგუფში მეც ჩამრთეს და რუსული სექტორის სამ სტუდენტთან ერთად (ისინი ჩეხოსლოვაკიაში არ იყვნენ ნამყოფნი) გზას დავადექი. მრავალმხრივ საინტერესო იყო, როგორც ურალის მხარის ნახვა, ისე რუს თანაკურსელებთან ურთიერთობა. ლიტერატურის მოყვარულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების დეკლარირებაში. არც მე ვუდებდი ტოლს: ზოშჩენკოს და ბაბელის არაერთი მოთხრობა და მაიაკოვსკის არაერთი ლექსი ვიცოდდი ზეპირად.

სვერდლოვსკის ქარხანა-ქალაქის შემდეგ, მართლაც რომ უკიდევანო ვოლგაზე გემით დავემვით. იაფი უხის წვნიანის ხვრეპით, ყაზანს, ნაბერეჟნიე ჩელნის, ულიანოვსკს და ტოლიატს გადავხედეთ. ყაზანში ჩემს ერთ თანამგზავრს ისრაელში წასასვლელად გამზადებული ახლობლები დახვდნენ და მათთან ერთად ვათენ-ვალამებდით რამდენიმე დღე. ამ შეხვედრებზე გაშინაურებულმა ერთმა ახალგაზრდა ყაზანელმა პოეტმა, იმ დროისათვის მეტად გაბედული ლექსი მომიძღვნა. სამწუხაროდ, მუსიკალურ გამომცემლობაში რედაქტორად მომუშავე ამ კაცის გვარი ვერ გავიხსენე. მხოლოდ მისი საკმაოდ დიდი ლექსის ერთი, რეფრენივით, განმეორებადი რამდენიმე სტრიქონი მახსოვს:

„...Слово серебро, молчание золото,
Как удары молота,
Слово серебро, молчание золото“...

ამასობაში ფული შემომელია და მამას მოკლედ ვუდეპეშე: „Папа вышли деньги.“ სწრაფადვე მიპასუხა: „Прекрати экскурсии, возвращайся домой.“ თითქმის მშიერი თანამგზავრები სიცილით კინადამ გაიგუდნენ. თბილისში დაბრუნების შემდეგ, იმავე მარშრუტით ისევ ჩემი ბავშვობის მეგობარი გ.ლ-ძე და მისი უკვე ორი თანაკურსელი გაემგზავრა. ისინი მდინარეს სტალინგრადამდე ჩაჰყვნენ. ანეკდოტური ამბავი სწორედ იქ შეემთხვათ. ღამე რესტორნიდან გამოსულ შემარხობებულ ერთ-ერთ მათგანს, ის-ის იყო იქვე კუთხეში პიპი მოულოვია, რომ თურმე თავზე მილიციის ოთხკაციანი პატრული დააცხრა. ბეწვზე გადავრჩი პოლიტიკური რომ არ შემტენესო, სიცილით მიყვებოდა, რადგან კუთხე, რომელსაც ჩემი ჭკუით მაშინ საიმედოდ ამოვეფარე, სტალინგრადის ცენტრში მდგარი ლენინის ძეგლის პოსტამენტი ყოფილაო!

ქალაქი

ბუნდოვნად და ფრაგმენტულად მახსოვს ყოველივე, რის გახსენებასაც ქვემოთ შევეცდები. ამის გამო, ამა თუ იმ ადგილის აღწერის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ.

ჩემს ბავშვობაში, თბილისის ცენტრალური უნივერსიტეტისა და ლენინის მოედნის მეტროს სადგურის მაგივრად, მცირე ზომის შენობების მთელი წყება იყო. ერთ-ერთ მათგანს პატარა, გაუქმებულ-შადრევანიათი შიდა ეზოც ჰქონდა, სადაც ოდესღაც, მგონი, ილია ჭავჭავაძისდროინდელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და შემდეგ სსრკ-ს ფილატელისტთა გაერთიანება იყო განთავსებული. იქვე, მცირე ზომის საკომისიო მაღაზიაში, დირექტორის თანამდებობაზე, დედაჩემის მამის მეგობარი კ. ჯ-ა მუშაობდა. მისი მეუღლე დედის მხრიდან გვენათესავეობდა. ძალიან პატარა ვიყავი, დედას ხელში აყვანილი ვყავდი სიარულისაგან დაღლილი, როდესაც იქ პირველად შევიარეთ ქალაქის ცენტრში სავაჭროდ გამოსულებმა. ამ მაღაზიაში უამრავი ძველებური და ძვირფასი ნივთი იპყრობდა მნახველის ყურადღებას. მათ შორის იყო ძველი ევროპული ფერწერის ნიმუში, რომელზედაც შებინდებისას გამოქვაბულის შესასვლელის წინ მდგომი ყვითელთვალეებიანი რუხი მგელი იყო გამოხატული. ოქროსფრად მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ეს დიდი ტილო წლების განმავლობაში შესასვლელი კარების ახლოს კედელზე ეკიდა.

იქ მომუშავე მოლარის დახმარებით, დედა ქალის დეფიციტურ, გამჭვირვალე, „შოვიან“ წინდებს ყიდულობდა ხოლმე. საკომისიოში ოფიციალურად ახალი იმპორტული საქონლით ვაჭრობის უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ ასეთი საქმეები სანდო ნაცნობობის დონეზე უნდა მოგვარებულიყო.

ეს მოდური წინდები ისეთივე იშვიათობა იყო იმხანად, როგორც თითქმის ყველაფერი, რაც მუდამ შიშის ქვეშ მყოფ „გადამყიდველებს“ თავად მოჰქონდათ ჩვენთან სახლში, როდესაც ზოგჯერ ერევნის ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების შეკვეთას და ზომებს იღებდნენ დედაჩემისაგან. მამა ასეთ რამეებს აშკარად არიდებდა თავალს. ზომის აღება ბავშვების თანდასწრებით ხდებოდა: დედა სუფთა თაბახის ფურცელზე დადებდა თხელ წინდიან ფეხს, ხოლო მუხლებზე დაჩოქილი შეკვეთის ამლები სიზუსტისათვის წითელი ფანქრით თავად შემოავლებდა ხაზს მის ტერფს. შემდეგ, ასლზე შემკვეთის სახელსა და შეკვეთილი ფეხსაცმლის აღწერილობას აწერდა, მაგალითად ასე: ნ. ახვლედიანი, ექვს-სანტიმეტრიანი „კაბლუკი“, „პლატფორმებზე“, შავი ზამშის, „ბანტიანი“ და ა.შ. და ა.შ. შემდეგ, სათუთად დაკეცილი ფურცელს სამხედრო სტილის პერანგის გულზე დაკერებულ ჯიბეში

ინახავდა სხვა შეკვეთებთან ერთად და „ბეს“ მოლოდინში დაყურდებოდა.

ამ მოვაჭრე და ვითომ ხელოსანი ადამიანებისაგან ყველაფრით გამოირჩეოდა ულტრა-მოდურად, ფართო „კლეჩატი“ ტვიდის პიჯაკსა და ასეთივე კეპში გამოიწყობილი, წარბებ გამოქნილი, ოდნავ რუსული აქცენტით მოსაუბრე კეთილშობილური საქციელის მქონე, მაგრამ მეტისმეტად უცნაური, შუახანს კარგა გადაცილებული, ქალოია კაცი, „ტუზიკა“. როგორც მისი საუბრებიდან ჩანდა, ის ჩვენი ოჯახის ახლობელსა და ნათესავს ჩვეულებისამებრ ეხმარებოდა დეფიციტური ნივთების შეძენაში. მას ზოგჯერ ჩვენთვის, ბავშვებისათვის, საჩუქრად ჩეხური კანფეტებიც კი მოჰქონდა.

ზემოთ ხსენებული ეს იმპორტული წინდები ისე ადვილად ზიანდებოდა მოუწესრიგებელ ქუჩებში, შენობებსა და ტრანსპორტში, რომ მათი შემკეთებლები, ე.წ. „თვალის ამომყვანები“ ისევ მრავლად იყვნენ ტოტალური დეფიციტით შეჭირვებულ ქალაქში ჩემი სკოლის პერიოდშიც. ისინი ახლად გახსნილი ე.წ. „კეთილმოწყობისა და მომსახურების ატელიეებში“ ახლად შემოსული ბურთულიანი კალმების, გაზის სანთებლების დამტენებისა და საათების ბატარეების გამომცვლელების გვერდით ისხდნენ.

ასეთივე სიმპათიური „სპეკულიანტები“ (როგორც მაშინ დაუფარავი ზიზღით მოიხსენებდა პრესა წვრილი, ინდივიდუალური ბიზნესის მიმდევარ ადამიანებს), ვერის ბაზართან ახლოს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდა კონტა რუსი ებრაელი ცოლ-ქმარი იყო. მუდამ ერთად მყოფებს, ეტყობა, ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდიოდდათ. ერთხელაც, მათ ეზოში წინდების საყიდლად შესულ დედა-შვილს, ორძელოზე და შტანგით გატაცებით მოვარჯიშე ტანმორჩილი კოტიკას მაგივრად მისი შეშინებული მეზობელი შემოგვეფეთა და „მოგვახარა“: „კოტიკა დაიჭირეს და 20 წელი მიუსაჯესო“. ციხიდან გამოსული, უკვე ხანში შესული, მძიმედ ტრამვირებული კოტიკა და მისი დანალვლიანებული ლამაზი მეუღლე შემდეგ ქალაქის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში წლების განმავლობაში ოპერის ბილეთებსა და აბონემენტებს ავრცელებდნენ. ყურმოკრული მაქვს, რომ თითქმის კოტიკა ერთ-ერთი მისი მუდმივი კლიენტის გაბრაზებულმა ქმარმა ჩაასმევინა ციხეში.

:+:+:+

ბავშვობაში, ლენინის მოედანზე განსაკუთრებით „მონკავშირის“, „სამხედრო“ და მოგვიანებით გახსნილი თითქმის სულ ცარიელი „საჩუქრების“ მაღაზია იპყრობდა ჩემი თანატოლების ყურადღებას.

„ზაკვოს“ ანუ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის შესასვლელთან, მონადირეთა მაღაზიაში ნაყიდ ე.წ. „პისტონებს“, სანადირო თოფების ტყვიების სპილენძის ასაფეთქებლებს ზოგჯერ 55-ე სკოლის წინ ლიანდაგებზე ვალაგებდით გაქანებული ტრამვაის ვატმანების გულის გასახეთქად და გამვლელ-გამომვლელების დასაფრთხობად; სინამდვილეში კი, ალბათ უფრო ჩვენი თანატოლების დასარწმუნებლად, რომ ასეთი რამის გაკეთება ჩვენც შეგვეძლო. საჩუქრების მაღაზიაში, ქალაქის ერთადერთი 15-კაპიკიანი ოდეკოლონის ავტომატით მორიგეობით ვინამავდით თავს, საბავშვო ბაღის მეგობარი და შემდეგ თანაკლასელი, გ.ღ., სანამ აპარატი არ გამოვიდა წყობიდან, ხოლო „ვოენტორგის“ ვიტრინებში, მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე საბჭოთა ფილმების ყურებაში წამოზრდილები, იმ სამხედრო ატრიბუტიკას ვათვალიერებდით ინტერესით, რომლებიც მხოლოდ რუს სამხედროებზე იყიდებოდა.

:+:+::

თბილისში, 50 -იან წლებში, პირველი სკოლა-გიმნაზიის შენობის წინ, დღეს რომ ფართე ტროტუარია, ნახევრად მიწაში ჩასული გრძელი სავაჭრო „პასაჟი“, ყოველთვის თითქმის ცარიელი „ბავშვთა სამყარო“, რის ვაივაგლახით ფუნქციონირებდა. იქ ბავშვები ინტერესით შევყურებდით ჭერის დონეზე მოწყობილ პატარა რკინიგზას, რომელზედაც დროდადრო სათამაშო მატარებლის გრძელი შემადგენლობა დადიოდა, სანამ ეს „ანტრაქციონიც“ საბოლოოდ არ გაფუჭდა. სათამაშო რკინიგზა შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე გადატანილ „ბავშთა სამყაროშიც“ მუშობდა ცოტა ხანს, თუმცა იქაც ძალიან მალე გამოვიდა მწყობრიდან. ასეთი რამ ნორმად ითვლებოდა მაშინ, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ საბჭოთა წარმოების სათამაშოები, მსუბუქი მანქანები, ხელსაწყო-დანადგარები, განსაკუთრებით კი საოჯახო მოხმრების საგნები - სარეცხი მანქანები, მტკერსასრუტები, ფირფიტების დასაკრავი „პრაიგრივატელები“, რადიოები, მაგნიტაფონები, ფოტოაპარატები, ტელეფონები, ფარნები და სხვა, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე წუთი, საათი თუ დღე მუშაობდნენ შეუჩერებლად. ამიტომ, „საბჭოთა ნაწარმი“, ჩვეულებისამებრ, უქმად იყო და ტყუილად იმტკერებოდა ბევრ, მათ შორის ჩვენს ოჯახშიც. ზღაპრების „იყო და არა იყოსი“ არ იყოს, გვქონდა და თანაც არც არაფერი გვქონდა. ვითარება 1961 წლის ფულის რეფორმამ შეცვალა. ერთ ლამეში მამას ხელფასი 15,000 მანეთიდან 500 მანეთამდე დავიდა და იმიერიდან არც საბჭოთა წარმოების ნივთების შეძენა შეგვეძლო, იმპორტულებს რომ თავი დავანებოთ. ერთადერთი ტელევიზორი, რომელიც წლების განმავლობაში გვქონდა, ისიც ჩვენს სახლში ახლად გადმოსულმა შეძლებულმა მეზობელმა გვაჩუქა, როდესაც თვითონ „რუბინის“ უკეთესი, გაუმჯობესებული ვერსია შეიძინა. მან თავისი ბიზნესკარიერა სრულიად ახალგზრდამ თურმე

საკუთარი „პოზიციით“ ფენსაცემლების ერთევიდან ჩამოტანით დაიწყო და 60-70-იან წლებში თბილისში საყოველთაოდ ცნობილი „ცენაკივი“ გახდა.

ბავშვობიდან არც ერთი ისეთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ მთელი ოჯახით ქალაქგარეთ ან სოფელში წასულებს შეფერხების გარეშე მიგვეღწია მიზნამდე: ხან რა და ხან რა უფუჭდებოდათ მამას მიერ ქუთაისში „ჯაჭვის ხიდზე“ ნაქირავებ მაშინდელ „პოზედებს“, „ვოლოგებს“ თუ „კოლხოზნიკებს“. ისეთივე პრობლემები მქონდა უკვე 70-80-იან წლებში ექსპედიციების ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში. ამიტომ, როდესაც მე და შომ 2001 წელს ჩვენი ახლად შექმნილი ახალთახალი „ტოიოტა ექოთით“ ბერკლიდან ლოს-ანჯელოსამდე შეუჩერებლად ვიმგზავრეთ და 374.4 მილი ანუ 601 კილომეტრი 6 საათში დავფარეთ, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. იგივე რამ განმეორდა უკან დაბრუნების დროსაც. ამ ამბავმა პირადად ჩემზე ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რაც არც პოლიციუდის ფანტასტიკური სტუდიოებისა და არც დისნეილენდის ზღაპრული ანტრაქციონების დათვალიერებას არ მოუხდენია. და მაინც მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, საბოლოოდ დავარწმუნე საკუთარი „პომო სოვიეტიკუსი“, რომ აქაურ მანქანებს ათეული წლების განმავლობაში შეუძლიათ სრულიად უპრობლემოდ მუშაობა.

“საშა პარტნიო“

ჩემს ბავშვობაში, საშა პარტნიო ანუ ალექსანდრე ახვლედიანი თბილისის ყველაზე სახელგანთქმული და პრესტიჟული მკერავი იყო. ის სუნიშვილების ტოლი პოპულარობით სარგებლობდა გემოვნებით ჩაცმას მონატრებულ ადამიანებს შორის. სხვათა შორის, ბოლო წლებში, ის ბარნოვის ქუჩაზე ცნობილი ატელიეში, ნინო და ილიკო სუნიშვილების სახლთან ახლოს მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ გვენათესავეობდა და დედაჩემი განსაკუთრებით უყვარდა, სასწრაფო შეკვეთებით მეტისმეტად დაკავებული (საქართველოში ჩამოსულ ოფიციალურ სტუმრებს და ცნობილ პიროვნებებს როგორც წესი ის უკერავდა მთავრობის მიერ მათთვის საჩუქრად მირთმეულ სამოსს. მათ შორის ინგლისის დედოფალს, ირანის შაჰს და მის მეუღლეს, ჯავაჰარლალ ნერუს, ინდირა განდის და ა.შ. უკანასკნელები სად იცვამდნენ საშას მიერ შეკერილ ევროპული სტილის სამოსს, ნამდვილად არ ვიცი) ყოველთვის როდი ახერხებდა დროზე დაესრულებინა დაწყებული კაბა იყო, პალტო თუ ლაბადა. საქმე რომ ადგილიდან დაეძრა, დედაჩემი ბიძამისს ალე ბაბუას, ალექსანდრე ასათიანს არეკინებდა საშასთან და სასურველი შედეგი გარანტირებული იყო: მორიგი „პრიმერკა“ უახლოეს დღეებში ინიშნებოდა. ეს ორი ადამიანი, იმის გარდა, რომ თითქმის ერთი

ასაკისანი იყვნენ, ნათესაობდნენ და როგორც ჩანს საქმიანი ურთიერთობებიც ჰქონდათ.

ყოველმხრივ საინტერესო „პრიმერები“ ატელიეში და ზოგჯერ საშას სახლოშიც სრულდებოდა. ის თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი, დღევანდელი ტერმინოლოგიით, სახელოვანი დიზაინერი იყო. მუშაობის პროცესში ამ არტისტული გარეგნობისა და საქციელის კაცის ყურება ერთ რამედ ღირდა. საშა ზემელზე, რუსთაველის მეტროს სადგურის მაგივრად რომ შენობები იყო, ერთ-ერთ მათგანში ცხოვრობდა. დედასთან ერთად მისული ბავშვები ინტერესით ვათვალისწინებდით ხოლმე მისი სასტუმრო ოთახის კედლებზე გამოფენილ მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმულ ძველი ფერწერის ნიმუშებს.

ერთხელ საშა ბიძამ მის წინ მდგარ დედას მომავალი კაბის რომელიღაც დეტალზე სარკეში მიუთითა და თან საქმიანად უთხრა: „თვითონ ნახე, ეს ვარიანტი ჯობია, ლამაზი თექოები გაქვს და უფრო მოგიხდებაო“. სახლოში დაბრუნების შემდეგ, საძინებელი ოთახის დიდი სარკის წინ მდგარმა ერთი ციდა მარინამ დედას ჰკითხა: მეც ლამაზი „თევზები“ მაქვს თუ არაო?! შემდეგ მარინა ხშირად ითვალისწინებდა სარკეში „თევზებს“, რომლების ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ იყო და ვერ დაედგინა.

უკვე საკმაოდ ხანში შესული, მაგრამ ისევ ძალიან მოუცლელი საშა ბიძა დედას ავადმყოფობის დროს და შემდეგაც რამდენჯერმე მოვიდა ჩვენთან სახლოში ჩემი და მარინას მოსანახულებლად და გასამხნევებლად; თან ყოველთვის ჩვეულებისამებრ ათ-ათი, დიდი, ყველაზე ძვირისანი, „პლიტკა“ შოკოლადები მოჰქონდა „ნათელას ბავშვების“ გასახალისებლად. ბოლოს რომ ვიყავით თბილისში, რუსი ავტორის გამოცემულ წიგნში თუ „იუტუბზე“ დედას სურათი ვნახე, სადაც საშა ბიძა იყო ნახსენები, თუ არ ვცდები.

მამას კაბინეტი

მამას სამუშაო ოთახი ყოველთვის განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა. ყველა ცდილობდა, ხელი არ შეეშალა დღენიადაგ მუშაობაში გართული ოჯახის უფროსისათვის. უმიზეზოდ იქ შესვლას მგონი დედაც კი ერიდებოდა. ბავშვები გაფრთხილებულები ვიყავით, კაბინეტის კარების წინ შეძლებისდაგვარად არ გვეხმაურა, მაგრამ გაფრთხილების მიუხედავად მაინც თავს ვერ ვიკავებდით, რომ ძილის წინ იქ ერთი-ორჯერ მაინც არ შეგვეჭყიტა. სანამ წამოვიზრდებოდით, ჩვენი გაუთავებელი იწილო-ბიწილოს გამო სიწყნარეს მონატრებული

მამა ძირითადად ღამლამობით მუშაობდა. როდესაც ულევო საოჯახო საქმეებით დატვირთული დედა დარწმუნდა, რომ იმ ასაკს მივალწიე, რომ ჩემი ნდობა შეიძლებოდა, დროდადრო კაბინეტში მამას სამუშაო მაგიდის წინ დიდ სავარძელში მსვამდა სურათებიანი წიგნებს დასათვალიერებლად. ამრიგად მე თავი უნდა შემეცცია, სანამ თავად გადაუდებელ საქმეებს წინ წასწევდა. ასე უტყვად ჯდომის დროს არაერთხელ ისე მიმწეპებია შიშველ წვივებზე „ბოლშაია სოვეტსკაია ენციკლოპედიის“ ჩემთვის იმ დროს ნამდვილად რომ ძალიან მძიმე ტომი (ძლივს ვხსნიდი და ვხურავდი ამ უხვსურათებიან ტომეულებს), რომ მის ყდაზე ამოტვიფრული საბჭოთა კავშირის გერბის ანაბეჭდი კარგახანს მაჩნდა ხოლმე კანზე. იმ სავარძელში ვისწავლე კითხვა და იქვე წავიკითხე პირველი საბავშვო დასურათებული წიგნი „სიკვა ბურკა“ და კიდევ სხვა მრავალი.

დროთა ვითარებაში, ისე დავხელოვნიდი ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკის ჭერამდე აზიდულ თაროებზე აძრომა-ჩამოძრომაში, რომ მამას ნაკლებ სანდო, ახალი, მაგრამ უკვე არასტაბილური საბჭოთა წარმოების გასაშლელი კიბის გამოყენება არც კი სჭირდებოდა, თუ იქ ვიყავი: სასურველ წიგნს უმაღლეს მაგიდაზე დავუდებდი ხოლმე. მალე ისე გავუშინაურდი წიგნების თაროებს, რომ მათ თავზე ჩემს მიერ დაშლილი და „აწყობილი“ გერმანული მაჯის საათების, თოფის დაცლილი ვაზნისაგან გაკეთებული სანთებლების, მეტალის პატარა ბურთულების, სადაფის ლამაზი და დიდი დეკორატიული ღილებისათვის და კიდევ ათასი პაჭიპუჭისათვის „სამალავი“ მოვიწყვე. ერთხელ, მამას სამსახურში ყოფნის დროს, ბიბლიოთეკის ბოლო თაროზე ხელოვნებად ვთამაშობდი ამ ნივთებით, როდესაც ჩემს მოსაძებნად გამოგზავნილი, ქეთო დეიდა (მაშინ ჩვენთან ცხოვრობდა ახალშობილ მახოსთან და ტარიელ ბიძიასთან ერთად. მე და მარინა სულ მახოს ვეთამაშებოდით. სიარული რომ დაიწყო, ღიტიწით ვაბჟირებდი და თან ვემუქრებოდი უნდა შეგჭამოქო, მაგრამ მაინც სულ უკან დამდევდა „ათო უნდა შევჭამოს“ ძახილით) ისე გავიდა ოთახიდან, რომ ვერც კი შემამჩნია, რომ ზუსტად მის თავზე, კაბინეტის ჭერზე ვიყავი აკრული.

ერთხელაც, სრულიად ლაწირაკმა, ქართული წერა-კითხვის დაუფლების პროცესში, მამას მიბაძვით, კაბინეტში ბარათაშვილის („ქართველი ბაირონის“) უცნობი ლექსი „აღმოვაჩინე“ და ვითომ ლურსმულ-ძველებური ხელწერით პოეტის დაბადებიდან 120 წლისთავზე გამოცემულ საიუბილეო კრებულს ბოლო გვერდზე, ფრთხილად, ფანქრით, ჩიქორთულად, მივაწერ-მივახატე:

“მე ამ ცხოვრებას მსურს ვუწოდო არ-არ-აობა,
მის ბედის ბრუნვას მე დავყავარ როგორც მას უნდა,
ე-ე-ეჰ, გადის წლები, დღე ტრიალებს წალმა-უკულმა,
ყოველი მიაქვს და დაბრუნება კი აღარ უნდა!”.

როდესაც სამსახურიდან დაბრუნებულ მამას ეს ამბავი “ვამცნე”, გაეცინა, წარმოდგენა არა მაქვს ეგ მე როგორ გამომრჩაო. ბარათაშვილის სხვა გამოცემებიც ნახე, ეგებ კიდევ რაიმე იპოვო, მითხრა და საწერ მაგიდას მიუჯდა.

კაბინეტში უამრავი საინტერესო რამე იყო: უნიკალური, ტყავის ყდაში ჩასმული, ტყავისსავე შესაკრავებიანი ხელნაწერი და ძველნაბეჭდი ქართული საეკლესიო წიგნები. მათი უმრავლესობა მე-17 -19 საუკუნეებში რომში, თბილისში, საჩხერესა თუ მოსკოვში იყო გამოცემული. იქვე, ბერძნული, რუსული და გოთური შრიფტით დაბეჭდილი გერმანული ბიბლიების გვერდით, იყო ვენეციაში 1823 წელს გამოცემული ილუსტრირებული სომხური ბიბლია და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ში დასაბამიდან საეკლესიო ლიტერატურა ფაქტიურად აკრძალული იყო, მისი შენახვა თუ კითხვა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობას ნიშნავდა, შესაბამისად, ასეთ წიგნებს საჯაროდ, დემონსტრაციულად წვავდნენ, ყრიდნენ და ყოველნაირად ანადგურებდნენ. მამა ძველ ნაბეჭდ ქართულ, მათ შორის საეკლესიო წიგნებს ყმაწვილკაცობიდანვე აგროვებდა, როგორც ქართული კულტურის უნიკალურ ნიმუშებს. ზოგი მათგანი ბოლშევიკების მიერ აფეთქებული თუ დანგრეულ-გაკვერანებული ეკლესიების ნანგრევებში მოუძიებია დასავლეთ საქართველოში, ზოგი მისთვის ოცდაათიან წლებში ცნობილი ქართველი კათოლიკე მღვდლისა და პუბლიცისტის („ვინმე მესხის“ ფსევდონიმით რომ წერდა გაზეთ „ივერიაში“), ივანე გვარამაძის ვაჟს, თავად პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, კოტე გვარამაძეს უჩუქებია მესხეთში საექსპედიციო მუშაობის დროს და სხვ. იშვიათი ქართული გამოცემებისადმი ინტერესი და მათი მოვლა-პატრონობის სურვილი მეც დამყვა; თუმცა, ეს არც ჩვენს დროში იყო და არის ადვილი. აი, ერთი ასეთი ხასიათის ფაქტის ნიმუში, რომელიც ერთ-ერთ ჩემს ძველ წერილებშია აღწერილი.

----- Original Message -----

From: Vakhtang Chikovani

To: z.k.

Sent: Wednesday, November 24, 2010 1:17 AM

Subject: ხუცური წიგნები ხანდოს ხევიდან

“დრმად პატივცემულო ბატონო ზურაბ,
...მარინემ მითხრა, რომ ამ 30-35 წლის წინათ ხანდოს ხევიდან წამოღებული წიგნების ბედიტ დაინტერესდნენ თურმე ადგილობრივები და ამის გამო თქვენ დაგიკავშირდნენ. მარინესაგან გავიგე აგრეთვე, რომ ამავე საკითხზე ჩემს მეგობარს, რეჟისორ-

დოკუმენტალისტ ზურაბ ინაშვილსაც მიაკითხეს ხანდოელებმა გასულ თვეში მგონი (უკანასკნელისათვის გაგზავნილი წერილის ასლს თქვენც გიგზავნით საინფორმაციოდ. მისგან საპასუხო წერილი დღემდე არ მიმიღია).

ხანდოს ხევის ქორწინება, ნათლობა და აღმსარებელთა სია, იმედია დღეს ისევ საქართველოს სახელმწიფო არქივშია დაცული, ხოლო ხუცური წიგნები ცაგერის ეკლესიაში (რომლებიც მაშინ ძალიან ახალგაზრდა მღვდელს, იმჟამად მცხეთის სასულიერო სემინარიის ახლად კურსდამთავრებულ ახვლედიანს გადავეცი).

იმ წიგნებიდან, მხოლოდ ვახტანგის სტამბაში გამოცემული ულამაზესი მხედრული შრიფტით აწყობილი კონდაკის რამდენიმე ფურცელი მაქვს დღემდე თბილისში შენახული, რადგან წიგნის პალატამაც კი არ იკისრა ამ დაზიანებული, მაგრამ ჩემი აზრით ნამდვილად ძვირფასი 300 წლის ფურცლების პატრონობა.

ძალიან გამიხარდება თუ ხანდოელები, დეკანოზ ივანე მნათობლიშვილის ან სოფლის საბჭოს თავჯდომარის დავით შაქაროვის მემკვიდრეები თუ ხანდოს ეკლესიის დღევანდელი მშენებლები მათ პატრონობას იკისრებენ.

მათი ტელეფონი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი რომ მქონდეს, თავად დავუკავშირდებოდი და თქვენ არ მოგაცდენდით ამ საქმის გამო.

ბ-ნო ზურაბ, თქვენი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები, თარგმანები და ლექსიკონები ნამდვილად გვიადვილებს მე და შორენას აქ საქმიანობას და ამის გამო გვინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ!

ჭემმარიტი პატივისცემის გრძნობით და კეთილი სურვილებით, თქვენი ვ. ჩ.”

საინტერესო, კაბინეტში არ ილუოდა: წიგნებთან ერთად, რომლებსაც სულ ახალი და ახალი გამოცემები ემატებოდა, მამას ხელოფასის დღეებში, უამრავი ჟურნალ-გაზეთი და 50-იანი წლების შუა ხანებიდან კი, საფოსტო მარკების გამო, სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული კორესპოდენცია იქცევდა ჩემს განსაკუთრებულ ყურადრებას. მამას ხშირად სწერდნენ „რკინის ფარდის“ მიღმა მცხოვრები საქმიანი კონტაქტების მოსურნე ქართველოლოგები: ინგლისიდან - დევიდ ლანგი, რომელმაც ქართველ კოლეგებთან შესახვედრად ორჯერ თუ სამჯერ თბილისშიც კი მოახერხა ჩამოსვლა, რობერტ სტივენსონი და ქეთრინ ვივიანი. რობერტ სტივენსონი - „ამირან-დარეჯანიანის“, ხოლო ქეთრინ ვივიანი - „კეფნისტყაოსნისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნის დროს, მამას კონსულტაციებით სარგებლობდნენ. მამას სწერდნენ

აგრეთვე: ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ენათმცნეიერი ჰანს ფოქტი, ბერნარდ უტიე და კალე სალია საფრანგეთიდან, იანიმორ ედლიჩკა ჩეხოსლოვაკიიდან, ფელიქს ოინასი, ოლოგა მეი, მარანდა და სხვები აშშ-დან, ლაური ჰონკო ფინეთიდან, მარტონ იშტმანოვიჩი უნგრეთიდან, ჰაინც ფენრიხი გერმანიიდან, ლეა ფლოური და იოლანტა მარშევა შვეიცარიიდან, ჰედა ჯასონი ისრაელიდან, მკვლევარები ბელგიიდან, იტალიიდან და სხვ. ამის გამო, უკვე ქართული სკოლის მესამე კლასიდან ფილატელიით დავინტერესდი და ბევრი ქვეყნის საფოსტო მარკის კოლექციის მფლობელი გავხდი, რადგან მამას ჩემთვის სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესიდან უცხოური საფოსტო მარკებიც ჩამოჰქონდა. ამ გატაცებას უკვე გვიან, სტუდენტობის ხანაში ცხენოსნობა ჩაენაცვლა, იპოდრომზე სავარჯიშოდ სიარულს კი მაშინ მოდურ ტოტალიზატორზე მეგობრებთან ერთად თამაში და ჟურნალ „КОНЕВОДСТВО И КОННИИ СПОРТ“-ის კითხვა და სხვ.

მალხაზის კლასელის დახმარებით, ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკის საპატრიარქოს უნივერსიტეტისათვის გადაცემის შემდეგ, კაბინეტში მამას ძველი არქივის მასალებს წავაწყდი. ამ დოკუმენტებს მხოლოდ ორიოდე წლის წინათ გადავხედე და მათი მოკლე აღწერილობის შედგენა დავიწყე, რომელსაც ქვემოდ სრულად მოვიყვან, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საქმე ბოლომდე არ მიმიყვანია. ეს მასალები გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს, აკაკი ბაქრაძის ვაჟს ლაშას და მის მოადგილეს გადავეცი თბილისში ჩვენი ბოლო ყოფნის დროს. მანამდე კი ჩვენთვის და მარინესათვის ამ მასალების ციფრული ასლები დავამზადე უნივერსიტეტის სკენერის საშუალებით.

აი, ეს დაუმთავრებელი აღწერილობა:

მიხეილ იასონის ძე ჩიქვანის (1909-1983) 30-იანი წლების არქივი: დღიურები, უბის წიგნაკი, რომანის მასალები, ლექსების კრებული, პუბლიკაციები, ძველქართული ნაბეჭდი წიგნები, გრაფილი თამასუქები

დღიურების მიხედვით, მამამ თურმე ქალაქ ცაგერის საშუალო სკოლა 1926 წელს დაამთავრა. 15 წლისა, ყოფილი ლეჩხუმის მაზრის განათლების განყოფილებამ, რომელიც იმხანად „ძველი ყაიდის“ მასწავლებლებს მასიურად ათავისუფლებდა თანამდებობიდან, მათემატიკის მასწავლებლად გაამწესა მეზობელი სოფლის ნასპერის ოთხწლიან სკოლაში. ამ ამბავმა ძალიან გაახარა თურმე არა მარტო მამამისი, იასონ ონოფრეს ძე ჩიქვანი (1877-1939) და დედამისი, ელისაბედ დავითის ასული ყრუაშვილი, არამედ მისგან მუდამ საჩუქრების მომლოდინე უმცროსი დები, ნათესავები და სხვა კეთილისმსურველები, მათ შორის მისი ძველი მასწავლებლები -

ტრიფონი, შ.გენძეხაძე, ვ.გარდაფხაძე, განსაკუთრებით კი დეიდამისი, რომელთანაც ცოტა ხნით საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ცხოვრობდა. ახალგაზრდების მე-7 სამაზრო კონფერენციაზე, ცხენისწყალ-რიონის წყალგამყოფ ქედზე შეფენილ სოფ. ცხუკუმერიდან წარგზვნილმა ახლობელმა მასწავლებელმა, რომელსაც უკვალავ თოვლში ღამე ცაგერამდე ათ კილომეტრზე მეტი ფეხით უვლია, დეკემბრის ყინვისაგან აწითლებული ყურებითა და ცხვირპირით, ლეჩხუმის მაზრის ცენტრის განაპირა უბანში, ჩხუტელში, იმხანად სოფლად მეტად პრესტიჟულ თანამდებობაზე მუშაობის დაწყება პირველად სწორედ დეიდამისს მიახარა თურმე.

ამ დღეების ამალღებულო განწყობილების კვალი აჩნია მის მიერ თოვლში ჩაფლოული პროვინციული ქალაქის ცაგერის აღწერას. „ქალაქში მყუდროება სუფევდა... ხალხი კანტიკუნტად მიმოდდიოდა დუქნების წინ. მყუდროებას არღვვდა მხოლოდ სახლის მშენებელთა ნაჯახების რაკუნი. სიცივისაგან შეზარხოშებული ოსტატები გამალებით იქნევდნენ ნაჯახებს, ეჩოებს, ჩაქუჩებს. სალაშინს მარჯვედ აქანებდნენ აქეთ-იქეთ, რომ გახურებულიყვნენ. მხერხაკებიც წახალისებულები მარდად ამოდრავებდნენ დიდ კბილებიან ხერხს... მიკიტნები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს გამვლელებს - ხომ არ შემოხვალთო? ეგებ ამოვაცალოთ ჯიბიდან მანეთიო.“

ამ ამონარიდში, ნათლად ჩანს ახლობელმა მასწავლებლის იმჟამინდელი განწყობილება - შრომის პროცესის პოეტურად ჭვრეტის სურვილი, აღებ-მიცემობის საშუალებით კაპიტალის მოხვეჭის მსურველებისადმი უნდობლობა. ერთგან, 40-იანი წლების ჩანაწერში, როდესაც მხარეთმცოდნე სერგი მაკალათიასთან და მწერალ ელიზბარ ზედგინიძე-პოლოუმორდვინოვთან ერთად (უკანასკნელი მაშინ ისტორიულ რომანზე მუშაობდა) ლეჩხუმში მოგზაურობის დროს ღვირიშის კლდეებში დაღუპულ მამამისს იგონებს, წერს, რომ შრომისმოყვარეობა მემკვიდრეობით სწორედ მისაგან ერგო: „მან მიქადაგა შრომისადმი სიყვარული. შენს მარჯვენას ენდეო. სანამ ცოცხალი იყო, მართლაც ამ გზით მოდიოდაო“ (რვ.#3, 1940).

1926 წლის უხვთოვლიანი დეკემბრის ერთ-ერთ საღამის ბუხართან მჯდომ იასონს ოჯახის წევრების თანდასწრებით გაუხსენებია მისი ყმაწვილკაცობის დროინდელი ამბები და მძიმე შრომით ჯანგაწყვეტილი ჭიათურელი მაღაროელების საპროტესტო გამოსვლები: „პირველი ბუნტი ჭიათურაში მოხდა 1898 წელს. მაშინ მე ახალი ჩასული ვიყავი იქ. მთელი მუშები ჯოხებით, დროშებით დავდიოდით ქუჩებში... ღამე ოთახებში პროკლამაციებს გვიყრიდნენ და ვკითხულობდით. ჩუმად ვინახავდით. მე მაინტერესებდა თუ ვინ ყრიდა მათ. დავუდარაჯდი და გავიგე, რომ ერთი მეგრელი ბიჭი ჩამოივლიდა ხოლმე ყველგან მუშების ბინებს. ბუნტი მაშინ პირველი

გაგონება იყო მუშებისათვის და ყველა მოუთმენლად ველოდით მის შედეგს... მე მალე გავიგე, რომ ორგანიზაცია არსებობდა. შევხვეყნე ერთ ნაცნობ ამხანაგს წავყვანე. ერთ ღამეს წავედით. მივედით ერთ განაპირა ადგილას. მინდორში მუცელზე ხოხვით მივუახლოვდით ერთი მეორეს. იქ ილაპარაკეს და დაგვირიგეს ქაღალდები. დავიშაღეთ იმ პირობით, რომ ხვალ ისევ შევკრებილიყავით. საწევროს გვახდევინებდნენ 10%-ს. მე ორი მანეთი მქონდა დღიური და ყოველდღე აბაზს ვიხდიდი. რამდენი რევოლუციური გადაუგდიათ ყვირილაში მუშებს. როცა ჩხრეკა იქნებოდა, შეკრავდნენ ბაზარს, ისე რომ საშველი გზა არსად იყო. რომ იარაღი არ ენახათ, ამიტომ ყრიდნენ წყალში ატირებული მუშები. მერე რატომ არ მისდიე იმ საქმეს? - ვკითხე... ეჰ, შე სულელო, მე ძალიან მინდოდა, მაგრამ ოჯახმა არ მომცა ამის საშუალება, თორემ მეც ახლა კაცი ვიქნებოდი, დანანებით სთქვა მან. 1905 წელში სოჭიდან სული ძლივს გამოვატანე ისე მაწვალეს იმ ოხრებმა... აქ მოვედი და ალიხანოვი მოვიდა... ვინ იცის რამდენი ტანჯვა გადამხდენია თავზე - დაჭერა, ცემა-ტყეპა და სხვა... ალიხანოვის ხსენებაზე დედაჩემმაც მოიგონა ალიხანოვის სიმხეცე ლეჩხუმში და მშობლიური ალერსით გვითხრა ლექსი: „ალიხანოვი შემოვიდა აჯამეთის მხეცივითა...“ (რვ.#1, გვ.57-58, 23.12.1926). იმ დროს ჭიათურაში ძალიან გახშირებული ყოფილა მთავრობის კაცების, თავად-აზნაურებისა თუ უბრალოდ შეძლებული ხალხის მკვლელობები...

სკოლაში მუშაობის დაწყებით გახარებულ ყმაწვილს, სწორედ ამ პერიოდში გადაუწყვეტია დღიურის წერა ე.წ. „უკანასტრებზე“ (?), რომლებიც შემდეგ კარგა მოზრდილ რვეულად შეუკრავს. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის სოფ. ნასპერში მასსავით ახლოგაზრდა მასწავლებელთან გიორგისთან ერთად ცხოვრობდა სკოლისათვის გამოყოფილი შენობის ერთ-ერთ ოთახში. ამ ოთახის მოვლა-პატრონობის ხარჯს ისინი ადგილობრივ „რელისტ“ გლეხს აძლევდნენ. მათი „ხაზინი“ თავის შრომას თურმე ძალიან ძვირად აფასებდა, თუმცა მაინც სულ უფულობას მისტიროდაო.

მამას არქივში სულ ხუთი დღიურია. აქედან ოთხი სხვადასხვა ზომისა და ფორმის რვეული და ერთი უბის წიგნაკია. პირველს, ყველაზე მოზრდილს, ზემოთ ხსენებული უკანასტრებიდან აკინძულ რვეულს (რვ.#1), წინა გვერდები აკლია. ის მეხუთე გვერდიდან, 1926 წლის 10 დეკემბერს სოფ. ნასპერში პარასკევს, ღამის თერთმეტის ნახევარზე გაკეთებული ჩანაწერიდან იწყება. ეს 346-გვერდიანი, საკმაოდ ძნელად გასარჩევი ხელნაწერი, ქრონოლოგიურად 1927 წლის 20 მარტის ჩანაწერით მთავდება. ამავე რვეულში, ყოველდღიური გამაბეზრებელი, ყოვლად უღიმღამო რუტინის აღწერის გარდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კალმის ნაემშაკარი“ რამდენიმე, აშკარად რევოლუციის მოტრფიალე პოეტების მიბაძვით დაწერილი ლექსი და

ჩანახატია. ეტყობა, საღამომობით, მოცალეობის ჟამს, სხვადასხვა ჟანრში ავარჯიშებდა კალამს. ამავე დროს, ის ზამთრის ოთხი თვის ცხოვრების თავისებურ ქრონიკა-დღიურს მისი ტოლი ადგილობრივი გოგობიჭების მისწრაფებების გასამჟღავნებლად იყენებდა.

ფაქტია, რომ გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესებისა და თანმდევი, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად სასიამოვნო ფაქტების გამო მათი მომსწრე-მოწაწილე ყმაწვილკაცი ყველაფერს წერა-კითხვაში გასაწაფად მოგონილ დღიურს ვერ ანდობდა. ეტყობა ნდობის საკითხი ძველისა და ახლის უკომპრომისო დაპირისპირების ეპოქაში მაღალ მთებში ჩაკარგულ ერთი ციდა ნასპერშიც მწვავედ იდგა. ამას დღიურის ერთი ჩანაწერიც მოწმობს, სადაც სოფლად გავრცელებული უნდობლობის საყოველთაო სენის გამო უკმაყოფილო მთვრალი გლეხის სიტყვებია მოყვანილი, რომელიც ღვინით გათამამებულს კომუჯრედის კრების შემდეგ უთქვამს: „ერთმანეთის არ უნდა გვეშინოდესო“. უკანასკნელის უკმაყოფილებას რეალური საფუძველი ჰქონია, „გამსახლოში“ ანუ ცაგერის ციხეში სრული ორი კვირა უყურყუტებიათ მიწის ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკასთან დაკავშირებით “პოლიტიკურად არაკორექტული” აზრის უადგილო ადგილას გამოთქმის გამო (რვ.#1, 30.01.1927). ამავე დაწესებულებაში, იმავე პერიოდში, ალბათ მსგავსი „დანაშაულისათვის“ ორი წლით ჰყოლიათ გამოკეტილი ცაგერელი ნათესავის ქმარი (რვ.#1, 29-31.12.1926).

ამ წლებთან დაკავშირებული, მამაჩემის ერთი მოგონება მაფიქრებინებს, რომ ახალგაზრდობის მიუხედავად ის ბევრ რამეს დღიურში აღწერა-განხილვის საგნად არ გახდიდა. ამბავი, რომელსაც ქვემოთ გადმოქცემთ, პირველად მე და ჩემმა მეგობარმა მამაჩემისაგან მგონი 1983 წლის ზაფხულში მოვისმინეთ. ვფიქრობ, რომ ჩვენამდე არც არავისათვის არ ჰქონია მოყოლილი. მაშინ საკავშირო მთავრობამ საბჭოთა სისტემის ღია კრიტიკა თითქმის საყოველთაო მოდად აქცია და მეგობრებიც ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ტოლს არ ვუდებდით ერთმანეთს. ემოციურად ვმსჯელობდით აივანზე, როდესაც სსრკ-ს „მტრების“ მხილების არაერთი კამპანიის თვითმხილელმა და ამის გამო ათას ჭირ-ვარამ-გამოვლილმა მამაჩემმა ღიმილით, თითქმის მობოდიშებით გვითხრა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა, რა ვიცით ხვალი როგორ შეტრიალებენ ამ საქმეს, შეიძლება დღეს ნათქვამი 30 წლის შემდეგ გაგიხსენონო“. ცამდე მართალი აღმოჩნდა, მხოლოდ ვადებში შეცდა; იმჯერად ანგარიშსწორება გაცილებით სწრაფად დაიწყო და „საგანგებო ღონისძიებების“ ათასი ხრიკებით, “ფრონტებად“ და „არაფრონტებად“ დაყოფილ და დეზორიენტირებულ ადამიანებს საკუთარი ხელით აღასრულებინეს. აშკარად საკუთარმა მწარე გამოცდილებამ ალაპარაკა მაშინ მამა. ეჭვობდა, ხომ არ იყო ეს მასშტაბური კომპანია „ნკავედეს“ მემკვიდრეების მიერ ხელოვნურად

„მტრების“ გამოსაგონებლად გამიზნული, რომ შემდგომ „ნილაბ-ჩამოგლეჯილების“ მასიური დევნა-შევიწროება და მათი „თავკაცების“ სამაგალითოდ დასჯა-ლიკვიდაცია მოეხდინათ. მამას კარგად ახსოვდა, თუ როგორ გაქრა მის თვალწინ უცბად წალვერში მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლის ბაღში ჩამოკიდებული ჰამაკიდან მიხეილ ჯავახიშვილი. იმავე პერიოდში მას პირადად არაერთი დრამატული აბავი გადახდენია თავს.

ბოლოს, იმ დღეს სხვებთან ერთად ეს შემადრწუნებელი ამბავიც მოგვიყვა. თურმე, მასწავლებლობის პირველ წელს, მან, დილაუთენია მშობლიური ცხუკუშერიდან ნასპერის სკოლაში გზად მიმავალმა, 15 წლის ახლად გამომცხვარმა პედაგოგმა, შეიარაღებული ადამიანების ჯგუფს მოჰკრა თვალი, რომელსაც მისი გაკოჭილი თანასოფლელი მოგვარე მიჰყავდათ დატუსაღებული. იმის დასადგენად, თუ სად და რატომ მიჰყავდათ მისი სახლიკაცი, ის თურმე შეუმჩნევლად უკან ასდევნებია თოფიანებს. სულ მალე, შეიარაღებულებს გზიდან პატარა ხევში გადაუხვევიათ და მის თვალწინ სამხედრო წესების სრული დაცვით დაუხვრეტიათ ეს ახალგაზრდა. ამ საზარელი სანახაობით ელოდნაცემი ბიჭი უკან გაქცეულა თავქუდმოგლეჯილი. სოფელში შებრუნებულს, მათი უბნის წყაროსთან ოფლად გაღვრილი მამამისი შემოგებებია, რომელიც სროლის ხმაზე მის საძებრად ნახევრად ჩაცმული გამოვარდნილა სახლიდან. იასონი თურმე მეტისმეტად დაადარდიანა და შეაშფოთა მომხდარმა ამბავმა. გვარის გამო შვილი არ დამიღუპოს ვინმემო, აწრიალებულა კაცი, რადგან კარგად იცოდა, რომ 1924 წლის აჯანყების შემდგომ ჯერ კიდევ არ-დასრულებული მასშტაბური ტერორის პროცესში ადგილებზე „წმენდა“ ძირითადად გვარების მიხედვით ხდებოდა. რამდენიმე წლით ადრე, ასე დაუხვრეტიათ გზაში, სოფელ მექვენასთან თუ ღვირიშთან მოწყობილ ე.წ. „საკარანტინო პოსტზე“ პეტერბურგიდან სახლში არდადეგების გასატარებლად წამოსული ჩვენი მოყვარე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გელოვანი და სხვა. ბაბუაჩემს სწორედ გონიერის წყალთან, სულის მოსათქმელად ჩამუხლულს, მიუცია ვაჟიშვილისათვის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად წასვლის უფლება: ეგებ დიდ ქალაქს უკეთ შეაფაროს ბიჭმა თავიო. ამ შემთხვევის შემდეგ, მას მიწის ახალი ნაკვეთების შეძენისათვის თავი მიუხებებია, რადგან ბავშვობიდან თბილისში სასწავლებლად წასვლაზე მეოცნებე ვაჟიშვილის სოფლად დაბრუნების იმედი სრულებით დაუკარგავს. თან ეტყობა ცოლის წინასწარმეტყველების ახდენის ეშინოდა: „სულ ტყუილად წვალობ, ესენი მაგ მიწებს არ შეგარჩენენ, იცოდეთო“.

ეტყობა, იმ დროს სოფლის ოთხწლიედის მათემატიკის მასწავლებლის სამუშაო დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. ამის გამო, ყოველი დღის ბოლოს, ჩვეულებრივ გვიან ღამით გაკეთებული ჩანაწერები შინაარსობრივად ერთმანეთს ძალიან ჰგავს. მათი ავტორი

სკოლაში გაკვეთილების ჩატარების შემდეგ თვითონ მეცადინეობს იმ საგნებში, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შეიძლება გამოადგეს. ამხანაგთან ერთად სწავლობს ისტორიას, თამარის მეფობის ხანას, ინგლისის და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის თავისებურებებს, ბავშვების ფსიქოლოგიას, კითხულობს წერილებს ჟურნალ „მნათობში“, პლექანოვის და სტალინის შრომებს, ალექსანდრე ბოგდანოვის უტოპია-რომანის „წითელი ვარსკვლავის“ გაგრძელებას ანუ არისტო ჭუმბაძის (რომელსაც სულ მალე სხვა ცნობილ ქართველ მწერლებთან ერთად პირადად გაიცნობს) ნათარგმნ „ინჟინერ მენს“, ლევ ტოლსტოის „ადდგომას“, რომელიც პოლიო კალანდაძემ თარგმნა და სხვ. ამავე დროს, მონაწილეობს მეზობელი სოფლის ნაკურალეშის გაუქმებული, მისი წინაპრების ფრესკით შემკული წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესიის ეზოში გამართულ თემსაბჭოს და კომუნურების კრებებში, სოფლისა და მაზრის მასწავლებლების კონფერენციებში, ხან როგორც მდივანი, ხან როგორც ორგანიზატორი ან დელეგატი. განაკუთრებული მონდომებითა და ხალისით შრომობს სოფელში წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლის დასაარსებლად, სადაც საღამოობით ატარებს მეცადინეობებსა და საუბრებს გლეხებთან, მონაწილეობს გაზეთების ფურცლებზე გამართულ სასკოლო განათლების სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, წერს და აგზავნის წერილებს და გამოხმაურებებს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, დიდი გატაცებით, მაგრამ ჩვეულებრივ უშედეგოდ ნადირობს მეგობრებთან ერთად კურდღლებზე და ჩხართვებზე, გიორგისთან ერთად დადის სტუმრად მეზობელი სოფლის მასწავლებლებთან, ახლოგაზრდა ქალიშვილებთან, რომელთა შორის ერთ-ერთი გიორგის ღრმად ჩავარდნია გულში და ა.შ. და ა.შ.

დღიურის მკითხველს ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დარჩეს, რომ ყოველი კვირის ბოლოს, ნაკურალეშიდან მშობლიურ სოფელში (გათავადებული და გადადიანებული ჩიქოვანების საზახლო აგარაკისაკენ) და პირიქით იმ საზარელი გზით წინ და უკან მოგზაურ ბიჭს ორლოულიანი სანადირო თოფი სულ მუდამ მზად მარტო ჩნიკვების დასაფრთხობად არ ჰქონდა ალბათ. დადიანების ნასახლარი სოფლის ულამაზეს კუთხეში, ელიაზე, წმ.ელიას დანგრეული ეკლესიის მახლობლად იყო, საიდანაც ერთდროულად ცხენისწყლისა და რიონის ხეობების იშვიათი სილამაზის, მართლაც რომ თვალწარმტაცი პეიზაჟი იშლება. როდესაც ერთხელ, ჩემს ყმაწვილკაცობაში, სულ საქმეში ჩაფლულმა და მოუცლელმა მამამ ეს ადგილები, როგორც იქნა, ჩემთან ერთად მოინახულა, აქაურობამ დავით კაკაბაძის იმერული პეიზაჟები მომაგონათქო, ვუთხარი. გაეცინა, დავითმაც ნახა ეს ადგილები, როდესაც ნაკურალეშის ფრესკების ასლების იღებდაო, მიპაუხა. მაშინ ჩემთვის ნათელი გახდა

თუ რატომ აირჩია მან ახალგაზრდობაში პოეტურ ფსევდონიმად „ელელი“.

მისგან გამიგია, რომ ნასპერის შემდეგ ის ცნობილი ენათმეცნიერისა დედის მხრიდან ჩვენი ნათესავისა და მოკეთის გიორგი ახვლედიანის მშობლიური სოფლის დერჩის სკოლაში გადაიყვანეს მასწავლებლად; საიდანაც, ბოლოს, სკოლის დამთავრებიდან, ლეჩხუმის მაზრაში 3-წლიანი მასწავლებლობის შემდეგ, თბილისს მიაშურა. პირველი ღამე დედაქალაქში თურმე მაშინ ხეხილის კერძო ბაღებით და ტყით დაფარულ ვაკეში, ხის ძირში გაუთენებია გასტუდენტების მოსურნე სხვა პროვინციელების პატარა ჯგუფთან ერთად, რომელთა შორის თუ არ ვცდები მგონი მისი შემდგომში უახლოესი მეგობარი საშა ლლონტიც იყო. პირველად, მათემატიკის ფაკულტეტზე დაუწყია სწავლა, სადაც ცნობილი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის ლექციებს დიდი გულისყურით ისმენდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბავშვებს, სკოლაში სწავლის პერიოდში, ძალიან გვაკვირვებდა მათემატიკა-ალგებრა-გეომეტრიაში მისი განსაკუთრებული განსწავლულობა. შემდეგ მაინც ფილოლოგიისაკენ გაუწია თურმე გულმა და იმდროინდელი თბილისის უნივერსიტეტის თითქმის უკლებლივ ყველა ცნობილი მკვლევარისა თუ პედაგოგის თუ ქართველი მწერლის მოწაფე და შემდეგ უმცროსი კოლეგა გახდა.

ის ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში (საარქივო მასალების მიხედვით მაგ. ტიცვიან ტაბიძესთან ერთად ქართველი და ოსი მწერლების ერთკვირიან შეხვედრას გაუკეთა ორგანიზება 1932 წელს ცხინვალში და სხვ. მრ.), რომლის დავალებით სხვადასხვა იდეოლოგიური, სამეურნეო თუ პატრიოტულ-სამხედრო კაპანიების დროს, პოლიგრაფისტების პატარა ჯგუფთან ერთად, ორ-ორი თვის განმავლობაში, პორტატულ „ამერიკანკაზე“ აწყობდა, გამოსცემდა და ავრცელებდა სპეციალურ გაზეთებს („მბეჭდავი“, „ჭიათურის მაღაროელი“, მესამე გაზეთის სახელი ვერ გავიხსენე) დუშეთში, ჭიათურაში, ქართულ სამხედრო ნაწილებში (იშვიათობად ქცეული მათი კომპლექტები საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა 70-იან წლებში). ამავე პერიოდში პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით და შემკრებლობით საქმიანობას (ბოლოს ხუთასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ოცამდე მონოგრაფიის ავტორი შეიქნა). იმ წლებში გამოსცა ფაქტიურად ავტობიოგრაფიული შინაარსის ნარკვევების პატარა კრებულებიც („ადმშენებლობის მოთხრობები“, ჭიათურა: ჭიათურის მაღაროელი, 1931, 114გვ.; „ანუელი. ორი თვე“, ტფ. გა-ობა ქართული წიგნი, 1931, 115გვ.; „თეთრი ქალაქი“, ნარკვევები. ტფ. სახელგამის გა-ობა, 1932, 42გვ.). ერთ-ერთ მის მოთხრობას, მგონი „ანუელს“, სკოლაშიც კი ასწავლიდნენ (რომელსაც შემდეგ კ.ლორთქიფანიძის „კოლხეთის

ცისკარი“ ჩაენაცვლა). ბოლოს ასე შეგროვებული ჰონორარით ზემო ვერა-ვაკის საზღვარზე ცხენების ძველი დანგრეული თავლა შეიძინა თურმე, რომელიც თანდათან ოთახად გადააკეთა. ამრიგად, პროვინციიდან ჩამოსულ მის ნაცნობ სტუდენტებს შორის, რომლებთან ერთად პირველი ღამე ვაკეში ხის ქვეშ გაათია, თბილისში პირველმა გაიჩინა საკუთარი კუთხე, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა თავის იმჟამად „უბინაო“ მეგობრებთან ერთად. ალექსანდრე (საშა) ღლონტი, მამას სტუდენტობის პერიოდის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, შემდგომში ცნობილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენთან სტუმრად ყოფნის დროს არაერთხელ სიცილით და სიამოვნებით იგონებდა, თუ როგორ ჰკიდებდნენ, ჩვეულებრივ, ღამით, ყოფილი საჯინბოს ჭერში ფეხსაცმელებს შეჭივრებული სტუდენტები, ვირთხებს რომ არ შეეჭამათ ისედაც შელახული მათი „ბაჩები,“ როგორ ოსტატურად წვებოდნენ ლეიბის ქვეშ დადებულ შარვლებზე მათი გაუთოების მიზნით და რა „მდიდარი“ ჩანდა მაშინ სხვებთან შედარებით ყმაწვილკაცობიდანვე ყოველთვის ყელამდე საქმეში ჩაფლული მისი მეგობარი მიშა.

დღიურების მესამე რვეულიდან (რვ.#3, „გზა და შტრიხები“, 1933-35) ირკვევა, რომ სწორედ ზემო ვერაზე, ყოფილ თავლაში, ჯერ კიდევ სტუდენტს „გამსვლელ თემაზე“, პირველი მსოფლიო ომის-დროინდელი ლეჩხუმის მაზრის ყოფის შესახებ ანტიმილიტარისტული, ანტიიმპერიალისტური და თანადროულობისათვის შესაფერისი რევოლუციურ-კლასობრივი პათოსით გაჟღერებული სქელტანიანი რომანის - „ადამიანები ქვეყანას ქმნიან“ წერა დაუწყია, რომლის მასალების შეგროვებაში (624-გვერდიან ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერების მიხედვით) ეტყობა საბინაო პირობების გაუმჯობესების იმედიით წახალისებული მეგობრებიც ეხმარებოდნენ: კერძოდ, საშა ღლონტი პრესის სათანადო მასალების მოძიებაში ეხმარებოდა თურმე და სხვ. რომანის ხელნაწერზე არსებული ასეთი შინაარსის მინაწერები მაფიქრებინებს, რომ მამას რომანისა და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშნიას“ პერსონაჟებისა თუ მთელი რიგი ეპიზოდების ადვილად შესამჩნევი თანხვედრების საფუძველი სწორედ ამ ხასითის მასალები უნდა იყოს.

რომანის ძირითადი ნაწილი, სადაც ალბათ ლეჩხუმის მაზრაში რეალურად მომხდარი ამბებია აღწერილი (მაგ. ციხეზე თავდასხმის ეპიზოდი და სხვ.), ახალბედა ავტორისათვის დასაშვები მეტ-ნაკლები ოსტატობით გადმოცემული, მაინც ინტერესით იკითხება, რასაც ვერ იტყვის კაცი ხელნაწერის დასაწყისში ნაწარმოების გმირის „პროლოგებლადთან“ ხილვა-გასაუბრების და მოდურ წინდებში გამოწყობილი, გერმანიაში ნამყოფი ქართველი მუშა ქალის აშკარად გვიან, კონიუქტურული მოსაზრებით ჩასმულ ეპიზოდებზე. არ არის გამორიცხებული, რომ რომანის სხვადასხვა წარმოშობისა და შინაარსის

ეპიზოდების გასაერთიანებლად და შესაკრავად, ნაწარმოების მთავარ გმირად მოწინავე ფეიქარი ქალის გამოყენების იდეა ავტორს ქუთაისში გაუჩნდა, როდესაც პროპაგანდისტული მისია-დავალების შესასრულებლად ქართველი მწერლების ჯგუფი სტუმრობდა ქუთაისის ძაფსართავ ქარხანას. იმ დროს ქარხანაში გადაღებულ სურათზე მიხეილ ჯავახიშვილთან, კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, შალვა დადიანთან, იოსებ გრიშაშვილთან, ნიკოლოზ მიწიშვილთან, ბესარიონ ჟღენტთან და სხვებთან ერთად (მეტი ვერავინ ვერ ამოვიცანი ახლახანს გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე იხ. წიგნი „ნიკოლოზ მიწიშვილი, პუბლიცისტიკა,“ გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2011) მამაც არის გამოხატული (მეორე რიგში მარცხნიდან მესამე).

თავდაპირველად, მასშტაბურსა და ამბიციურ რომანზე მუშაობა თითქოს კარგად მიდიოდა. ჯერ კიდევ დაუსრულებელი და შენიშვნების გათვალისწინებით ჩასასწორებელი ნაწარმოების ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნების შესახებ დაწყებულია მსჯელობა, როგორც ხელნაწერის ერთ-ერთ თავფურცელზე გაკეთებული შალვა რადიანის და რედკოლეგიის ერთი სხვა წევრის მიხაწერებიდან ჩანს (ზუსტად არ მახსოვს კიდევ ვისი რეზოლუცია ედო თავფურცლის საპრეზენტაციო ვარიანტს, რომელიც სად მიმემალა ჯერ ვერ დავადგინე). მაგრამ შემდეგ, როგორც ეტყობა, ნიკოლოზ მიწიშვილმა მთელი სამი თვით, დღეს-ხვალე პრინციპით გააჯანჯლა - კაცმა რომ თქვას ალბათ გასაგები მიზეზების გამოც - ჯერ კიდევ გაურანდავი მასალების სტამბაში გაგზავნა, რის გამოც ახალგაზრდა ავტორი ეტყობა ზომაზე მეტად განაწყენდა (რვ.#2, უბის წიგნაკი, 1933 წლის 26 სექტემბრის ჩანაწერის მიხედვით), მწერლობას თავი სულ მიაწება და მთლიანად მეცნიერებას მიუბრუნდა. მამას ეგონა, რომ პაოლო მასზე გაბრაზებული იყო, რადგან დუნდუამ (?) თურმე მიწიშვილთან, ქართველი მწერლების მაშინდელ ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად, 1933 წლის აგვისტოში გააგზავნა მოსკოვში, მწერალთა საქალაქო კომიტეტების საკავშირო თათბირზე. მაშინ მან პირველად იფრინა თვითმფრინავით, რომელიც თბილისიდან მოსკოვამდე მატარებლის ლიანდაგებს მიჰყვებოდა თურმე. ამრიგად, შედარებით უფრო კეთილმოწყობილსა და სამუშაოდ ვარგის ბინაში გადასვლის ვარიანტი გაურკვეველი დროით გადაიდო, მაგრამ სამაგიეროდ, ახალგაზრდა კაცი მგონი პირველად გასცდა რესპუბლიკის საზღვრებს და სსრკ-ს და იმპერიის ყოფილი დედაქალაქიც მოინახულა (რვ.#2, უბის წიგნაკი, 1933 წ.) და რაც უმთავრესია, მას მომავალი რეპრესიების დროს „მოღალატე“ მწერლების კატეგორიას ვეღარავინ მიაკუთვნებდა.

როგორც იტყვიან ხოლმე, როდესაც ერთი კარი იკეტება, მეორე ფართოდ იღება. მალე სწორედ ასე მოხდა. ფილოლოგიითა და ენათმეცნიერებით ყმაწვილკაცობიდანვე გატაცებულ მამასა და მის

ამხანაგებს, ერთ-ერთი საენათმეცნიერო კონფერენციის დროს (რვ.#2, უბის წიგნაკი, 1932 წ.), იმხანად რუსეთიდან ჩამოსულმა, იმდროინდელი ფილოლოგია-ენათმეცნიერების „მეფემ“, მსცოვანმა აკადემიკოსმა ნიკო მარმა ასპირანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაცია გაუწია და ყველა ერთად ლენინგრადში მის მიერ დაარსებულ ენისა და აზროვნების ინსტიტუტში მიიწვია. ასე აღმოჩნდნენ ახლო მეგობრები: საშა ლლონტი, იოსებ მეგრელიძე (შემდგომში ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, მიხეილ ზანდუკელთან ერთად დააპატიმრეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში), მიხეილ ჩხენკელი (შემდეგ რეპრესირებული), ლოლოტა ვირსალაძე (მგონი 40-იან წლებში გადასახლებული იყო, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“), მამა და კიდევ ბევრი ქართველი სტუდენტი და ასპირანტი ისევ ერთ შენობაში თავშეყრილები, უკვე ლენინგრადის ნევის პროსპექტზე მდებარე „მეცნიერთა სახლში.“ მათ მართალია ვერთხები აღარ აწუხებდათ, მაგრამ პრობლემები, როგორც ამ პერიოდისადმი მიძღვნილი დღიურების ძალიან საინტერესო ჩანაწერებიდან ანუ ლენინგრადში ცხოვრების ერთგვარი კერძო ქრონიკიდან ჩანს (რვ.#3-4, 1933-36), იქაც ნამდვილად არ აკლდთ. იმ პერიოდში, იმპერიის ყოფილ დედაქალაქში ბევრი მომავალი ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სწავლობდა თუ მუშაობდა (იხ. ქვეინ თუითის *The reception of Marr and Marrism in the Soviet Georgian academy. Socialist Era Anthropology in the Caucasus and Central Asia*, ed. by Florian Mühlfried and Sergey Sokolovsky; Max Planck Institute for Social Anthropology, Halle; მარჩელო ქერჩის და პოლ მანინგის *Disciplines and Nations: Niko Marr vs. his Georgian) Students on Tbilisi State University and the 'Japhetidology'/'Caucasology' Schism. The Carl Beck Papers: The Center for Russian and East European Studies, University of Pittsburgh, 2002.*).

ლენინგრადის ასპირანტურიდან დაბრუნებული ახლოგაზრდა მეცნიერი, შემდგომ რეპრესირებული ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ დაარსებული რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგედ დანიშნეს და ამავე დროს, როგორც ბეჭვდიითი საქმის კარგი მცოდნე, „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო, მხოლოდ საპატიო სტუმრებისათვის და პოლიტიბიუროს წევრებისათვის საჩუქრად გამიზნულ, ძვირფას, უნიკალურ ტყავში ჩასმულ გამოცემაზე სამუშაოდ გაამწესეს თსუ-ს სტამბაში. იმავე პერიოდში, მამა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, კიდევ ერთი ახლად რეპრესირებული ადამიანის, რუსთაველის საიუბილეო სახელმწიფო კომისიის მდივნის თანამდებობაზე დაუნიშნავთ ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით და ახლობლები უკვე დღე-დღეზე ელოდნენ მის თითქმის გარდაუვალ დაპატიმრებას. ყოველივე ამას ჩვენს ახალ, სანახევროდ აშენებულ ვაკის ბინაში, 50-60-იან წლებში ხშირი სტუმრობის დროს ახსენებდნენ მამას ახლო მეგობრები, მასთან ერთად ათას ჭირ-ვარამ და ლხინ-გამოვლილი უკვე

ცნობილი მეცნიერები, პროფესორები, ენათმეცნიერი საშა ლლონტი და ლიტერატურათმცოდნე იოსებ მეგრელიძე.

იმხანად მამას არაერთხელ მოუწია თურმე ლენინგრადში ჩასვლა, ძვირად ღირებულო ილუსტრაციების კლიშეების დასამზადებლად თუ შრიფტის, ქალაქის, საღებავებისა და კიდევ ათასი რამის გამო. ერთხელ თბილისში ხმა დარხეულა „მიშა ლენინგრადიდან უკან ჩამოჰყავთ სასწრაფოდო“, რაც იმ დროს თურმე ოფიციალური განაჩენივით ჟღერდა (მისი წინამორბედი სტამბის დირექტორი უკვე დახვრეტილი ჰყავდა „ნკვედეს“). უკან დაბრუნებულს, მისი სახლის სადარბაზოში ვიღაცა ღვთისნიერმა ადამიანმა, რომელსაც თავისი ვინაობა არც შემდეგ გაუმხელია მისთვის, აშკარად „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ პრინციპის გამო, ბნელი კიბის უჯრედის ქვემოდან ხმადაბლა დაუძახა „მიშა სახლოში ნუ შეხვალაო“ (მაშინ უკვე ყორღანოვზე, ცისფერ ეკლესიასთან, ერისთავების სახლოში შედარებით კეთილმოწყობილ ჰონორარებით შეძენილ ნახევრსარდაფში იყო გადასული) და ისიც აღარ შესულა სახლოში, სადაც ორგანოს თანამშრომლების უეცარი სტუმრობით შემფოთებული მისი შუათანა და ნინო და „ნკვედეს“ თანამშრომლები ელოდებოდნენ. მამა თურმე მეორე, გამჭოლი გასასვლელით ქუჩაში გავიდა, ისე თითქოს არც არაფერი მომხდარა და რამდენიმე დღე გარეთ გამოუსვლელად, ნათესავების ბინაში გაატარა, სანამ მეგობრებებმა არ დაადგინეს, რომ საშიშროება აღარ ელოდა.

აღბათ ამ პერიოდში მოხვდა ის მე-9 ნომრის ქვეშ, ძალიან მძიმე პოლიტიკური „დიაგნოზით“ (აქტიური კონტრ-რევოლუციონერი, ახლოგაზრდა ფაშისტი) 147 დასახვრეტი ცნობილი ქართველი ინტელიგენტის რუსულად შედგენილ სიაში, რომლებიც მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ თავად ამ სიის შემდგენელი დახვრიტეს, სანამ საქმეს მსვლელობას მისცემდა (იხ., გაზეთი „ერი“, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორგანო, 1991 წლის 27 ნოემბერი, წერილი „საიდუმლო დოკუმენტები“). იმ საცოდავს, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა რომ დასცლოდა, ძნელი წარმოსადგენია როგორი იქნებოდა დღეს ქართული წიგნის ფონდი; აღბათ აღარ იარსებებდა მეცნიერების მრავალი დარგი, ლიტერატურის მთელი რიგი ჟანრები, სხვა - მოსალოდნელი, ჰუმანური თვალსაზრისით ტრაგიკულ შედეგებს რომ თავი დავანებოთ.

აი, ზოგიერთები იმ ავადსახსენებელი სიიდან:

ახვლედიანი გიორგი, შანიძე აკაკი, ნუცუბიძე შაღვა, ჯანელიძე ალექსანდრე, უზნაძე დიმიტრი, ბერიძე ვუკოლ, კეკელიძე კორნელი, ჯანაშია სიმონ, ჩიქოვანი მიხეილ, სიხარულიძე ქსენია, ინგოროყვა პავლე, ქიაჩელი ლეო, გრიშაშვილი იოსებ, ფაშალიშვილი სვიმონ, ჭუმბურიძე არისტო, გამსახურდია კონსტანტინე, ქიქოძე გერონტი,

დანელია სერგო, აბაშელი ალექსანდრე, ალადაშვილი ალექსანდრე, ასათიანი ვლადიმერ, ადრონიკაშვილი ლუარსაბ, ასათიანი ლევან, ბერძენიშვილი ნიკოლოზ, ბენაშვილი გიორგი, ბარამიძე ალექსანდრე, ბერაძე პანტელეიმონ, ღლონტი ხარამში, გოგიბერიძე მოსე, გოგიჩაიშვილი ფილიპე, გოწალიშვილი გიორგი, გაწერელია აკაკი, ძიძიგური შოთა, ჯავახიშვილი ივანე, ჯიქია სერგი, ზანდუკელი მიხეილ, კაკაბაძე სარგის, ქუთათელი ალექსანდრე, კვესელავა მიხეილ, ყაუხჩიშვილი სიმონ, ლეონიძე გიორგი, ლისიაშვილი იაკინთე, მუსხელიშვილი ნიკოლოზ, თოფურია ვარლამ, ტატიშვილი ირაკლი, უზნაძე დიმიტრი, წუწუნავა ალექსანდრე, წერეთელი გიორგი, ჩიქობავა არნოლდ, ჩუბინაშვილი გიორგი, ჭიჭინაძე კონსტანტინე და სხვები.

ეს ყველაფერი, ლიტერატურის მუზეუმისათვის მამაჩემის 30-იანი წლების საარქივო მასალების ერთი ნაწილის გადასაცემად მზადების პროცესში მომაგონდა.

აი, იმ მასალების ჩამონათვალი, რომლებიც გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს ლაშა ბაქრაძეს და მის მოადგილეს გადავეცი 2012 წლის ზაფხულში:

1. მ.ჩიქოვანი, დღიური, რვ.#1, 1926-1927 წლები, 346 გვ. (ხელნაწერი, დანომრილია მხოლოდ ნაწერი გვერდები).
2. მ.ჩიქოვანი, დღიური, რვ.#2 (უბის წიგნაკი), 60 გვ. 1933 წელი (ხელნაწერი).
3. მ.ჩიქოვანი, დღიური, რვ.#3, 1933-1935 წლები, 137 გვ. (ხელნაწერი).
4. მ.ჩიქოვანი, დღიური, რვ.#4, 1936 წელი, 7 გვ. (ხელნაწერი).
5. მ.ჩიქოვანი, დღიური, რვ.#5, 1940 წელი, 13 გვ. (ხელნაწერი).
6. მ.ჩიქოვანი, „ადამიანები ქვეყანას ქმნიან“, რომანი, ეპიზოდები, ნაწ.1-7, 1932 წელი, 626 გვ. (ხელნაწერი).
7. მ.ელელი (მიხეილ ჩიქოვანი), „მას შემდეგ“, ლექსები, ტფილისი, 1928 წელი, 32 გვ. (მანქანაზე ნაბეჭდი, ერთად აკინძული და ყდაში ჩასმული ლექსების კრებული).
8. მიხეილ ჩიქოვანი, აღმშენებლობის მოთხრობები, ჭიათურა, 1931, 115 გვ. (წიგნაკი).
9. მიხეილ ჩიქოვანი, თეთრი ქალაქი, ნარკვევები, სახელმწიფო გამომცემლობა, 1932, 43 გვ. (წიგნაკი).
10. მ.ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, 300 გვ.
11. მ.ჩიქოვანი, მცირე წერილები, 1934-1947 წლებში გამოქვეყნებული ნაწერების კრებული. დაახლოებით 350 გვ.
12. მ.ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, მეორე გამოცემა, თსუ, 1937, 360 გვ.

13. საქრისტიანო მოძღვარება / [აღწერილი იტალიურ ენაზე დავით ტულოუკაშვილის მიერ და მისგანვე თარგმნილი ქართულად]. - რომი: "პროპაგანდა ფიდეს" გამოცემა და სტ., 1741. - 366გვ. ეს უნიკალური # #13,14,15 ძველნაბეჭდი ქართული წიგნები მამას 1935-36 წლებში მესხეთში, „ხალხურ ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროს აჩუქა ცნობილი მესხი პუბლიცისტის, ეთნოგრაფის და საზოგადო მოღვაწის ივანე გვარამაძის („ვინმე მესხის“) შვილმა, თავად მწერალმა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, კონსტანტინე გვარამაძემ, რომელთანაც მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. მის მიერ მამასათვის ნაჩუქარი ხელნაწერი წიგნები ხელნაწერების ინსტიტუტში ინახება.

14. საქრისტიანო მოძღვარება, მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის / [აღწერილი იტალიურ ენაზე დავით ტულოუკაშვილის მიერ და მისგანვე თარგმნილი ქართულად]. - რომი : "პროპაგანდა ფიდეს" გამოცემა და სტ., 1741.

15. დავითნი, ფსალმუნი, ხუცურად. მრავალმხრივ უნიკალური გამოცემა, რომლის ანალოგი არც ერთ ბიბლიოთეკაში არ ინახება და არც „ქართულ წიგნშია“ აღწერილი. არ არის გამორიცხული, რომ ის 1817-1818 წლებში საჩხერის სტამბაში იყოს გამოცემული.

16. იასონ ონოფრეს ძე ჩიქოვანის სახელზე შედგენილი სამი ცალი ძველი გრაფილი თამასუქი ანუ მიწის ნასყიდობის „წიგნი“. ამ მასალებმა, ჩემი აზრით, შეიძლება დააინტერესოს ქართული ლიტერატურის, კულტურის, ჰუმანიტარული და სოციალური დარგების მეცნიერებების ისტორიის შემსწავლელი სპეციალისტები, აგრეთვე ფოლკლორისტები და მხარეთმცოდნეები.

მამას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, ქართლ-კახეთში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, ოსეთში, აფხაზეთში და სხვაგან) გადაღებულ ძველ ფოტოსურათებს ჯერჯერობით ვერ შევკელიე. 30-იანი წლების ერთ ფოტოსურათზე მამა, ირაკლი აბაშიძე და კარლო მელაძე არიან ერთად არიან გადაღებული. იმავე პერიოდის მეორე სურათზე მამა, სიმონ ჩიქოვანი და სხვები ბამბის პლანტაციას ათვალიერებენ, მესამე სურათზე მამა გალაქტიონ ტაბიძის გვერდზე ზის ქართველი და ოსი მწერლების ჯგუფში. უკანასკნელი სურათი, რომელიც დღემდე სახლში მაქვს შენახული, განსაკუთრებულია, რადგან გალაქტიონის მარცნივ მჯდარი რეპრესირებული პიროვნების გამოსახულება ამოჭრილია.

ვინ იჯდა გალაქტიონის მარჯვენა მხარეს, კარგა ხანია მაინტერესებს. ამის შესახებ სულ ახლახანს მიმოწერა მქონდა მამას მეგობრის, ცნობილი ლიტერატურათმცოდნის ვაჟთან, ნ. კ.-სთან, მას შემდეგ რაც ერთ-ერთ ახალ პუბლიკაციასთან დაკავშირებით წერილი მომწერა.

აი, ამ კორესპოდენციის ერთი ნაწილი:

„From: Vakhtang Chikovani
 To: N. K.
 Sent: Monday, January 2, 2012 6:56 AM
 Subject: Re: ახალი წელი

ბატონო ნ.,

ჩვენი მამების მეგობრობის ამბავი მეც კარგად ვიცი და მსიამოვნებს, რომ ამ ურთიერთობის თავისებურად გაგრძელების საშუალებას მაძლევს თქვენი კეთილგანწყობა. სწორს ბრძანებთ: მეცნიერების ჩვენს დარგებში დღეს სახარბიელო მდგომარეობა არც მანდ და არც აქ არის.

მიუხედავად ამისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება.

რადგან გამოგზავნილ ფოტოსურათზე აღბეჭდილი პიროვნებების ამოსაცნობად სხვებსაც დაიხმართ, ვბედავ კიდევ ერთი ძველი სურათი გამოგიგზავნოთ. ის 1932 წელს ცხინვალშია გადაღებული. ეს ოსი მწერლების ყრილობაში მონაწილე ქართველი მწერლების დელეგაციის ფოტოსურათია.

ძალიან მაინტერესებს თუ ვინ იყო გალაქტიონ ტაბიძის მარჯვნივ მჯდომი პიროვნება, რომლის გამოსახულება ფოტო სურათიდან ამოშლილია. გალაქტიონის მარცხნივ ანგინითა და მაღალი სიციხით გათანგული მამაა, მის გვერდით ბ.ჩხეიძეა. სხვები ვინ არიან, მგონი მამასაც არ ახსოვდა. გალაქტიონის მარჯვნივ ა.ჭუმბაძე და ა.გომიაშვილია. ფეხზე დგანან: ს.ეული, ი.ლისიაშვილი, ი.ვაკელი, ფარნიევი (კოსტა ფარნიონი 1907-1937), ჩერმენი და სხვ. სამწუხაროდ, არ მახსოვს რა მითხრა მამამ, როდესაც სურათიდან ამოჭრილი 1937 წელს რეპრესირებული პიროვნების ვინაობა ვკითხე. ერთი კი ვიცი, რომ მამა ცხინვალში იმავე წლებში ტიცციან ტაბიძესთან ერთად იყო რამდენიმე დღით, მწერალთა კავშირის საქმეებზე.

ერთი სიტყვით, ძალიან მაინტერესებს, სურათიდან ამოფხეკილი ტიცციან ტაბიძეა თუ არა?! ტიცციანისადმი, როგორც უფროსი მეგობრისა და საყვარელი პოეტისადმი, მამა ჭეშმარიტად ღრმა პატივისცემის გრძნობით იყო განმსჭვალული.

დიდი მადლობა გულისხმიერებისათვის.
 თქვენი ვ.ჩ. „

„From: Vakhtang Chikovani
 To: N. K.
 Sent: Tuesday, January 24, 2012 12:37 AM
 Subject: სურათი 2

ბატონო ნ.,

მამას არქივში აღმოჩნდა ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ მის მიერ ეტყობა გაზეთისათვის მომზადებული მასალის ხელნაწერი -

"განვამტკიცოთ კავშირი მოძმე ერის ლიტერატურასთან - საქ.საბჭ.მწ. დელეგაცია სამხრეთ ოსეთში".

ამ ანგარიშის მიხედვით გამოდის, რომ ტიცვიანი და მამა 1932 წლის 26 სექტემბერში ჩასულან მაშინდელ სტალინში, ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო დელეგაციის დანარჩენი წევრები - სანდრო ეული, ნიკო ლორთქიფანიძე, არისტო ჭუმბაძე, იონა ვაკელი, გალაქტიონ ტაბიძე, იაკინთე ლისიაშვილი, ბორის ჩხეიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი ლეონიძე და პაოლო იაშვილი 27-ში სადამოს შეუერთდნენ მათ. მწერლები თბილისში 30-ში ღამით დაბრუნებულან.

ამრიგად, სურათზე ქართველების ოფიციალური დელეგაციის ოთხი წევრი არ ჩანს - ნიკო ლორთქიფანიძე, გოგლა ლეონიძე და რეპრესირებული წყვილი - ტიცვიან ტაბიძე და მისი განუყრელი მეგობარი პაოლო იაშვილი. ამრიგად, თეორიულად ისიც შესაძლებელია ალბათ, რომ ამოჭრილი ან პაოლოს ან ტიცვიანის გამოსახულებაა.

ვერ მოვითმინე, რომ თქვენთვის არ გამეზიარებია ეს ინფორმაცია. ღრმა პატივისცემით, ვ.ჩ.“

”
From: Vakhtang Chikovani
To: N. K.
Sent: Wednesday, October 3, 2012 2:05 AM
Subject: მოკითხვა

ძვირფასო ნ.,
დღეს შორენა და მე ახალ ბიბლიოთეკარს შევხვდით და თქვენი მონოგრაფია თბილისიდან წამოღებულ სხვა გამოცემებთან ერთად გადავეცით.
მან თქვენი მონოგრაფია სხვა ქართულ-კავკასიური კოლექციის სიამოვნებით მიიღო და ამის შესახებ ინფორმაცია ბერკლის უნივერსიტეტის ფეისბუქის გვედზე ჩადო უმაღლეს:
<https://www.facebook.com/media/set/?set=a.286659374778052.62000.100003019757366&type=1&l=7ad3e0c00a>

თან ძალიან გვთხოვა, ქართულ-კავკასიური კოლექციის გამდიდრებაში დავეხმაროთ, ანუ მნიშვნელოვანი ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ; რაზეც უარი არ გვითქვამს, რა თქმა უნდა; თუმცა ასეთი ინფორმაციის მოპოვება არცთუ ისე ადვილია. აი, წიგნების სია, რომლებიც დღეს უსასყიდლოდ გადავეცით ბერკლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას:

1. H-2 SO-4, #1, Tbilisi, 1924, 48 p. (Reprint of Unique Old Georgian Avant-garde Art Magazine prepared by Lasha Bakradze, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, Tbilisi 2011, ISBN 978-99940-28-65-8)

2. Софии Гиоргиевне Мельниковой, Фантастический Кабачек, Тифлис 1917 1918 1919. To Sofia Georgevna Melnikova. The Fantastic Tavern, Tiflis 1919 1918 1919 (Reprint of Unique Old Avant-garde Art Almanac prepared by Lasha Bakradze, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, Tbilisi 2012, ISBN 978-99940-28-78-8)
3. Georgia – India (Historical and Philological Studies) by Nikoloz Kenchoshvili, Publishing House Tsitsero-7 , Tbilisi, Georgia, 2010, 285 p, ISBN 978-9941-0-2804-5
4. The Koran, translation from Arabic into Georgian, preface and notes by Giorgi Lobjanidze, Publisher Caucasian House, Tbilisi 2006, 675 გვ., ISBN 99940-921-3-8
5. Alexandre Roinashvili First Georgian Photographer, 1846-1898, Prepared by Lika Mamatsashvili, Publishing Group Litera, Tbilisi 2010, 136 p., ISBN 99940-742-9-6
6. Kutaisi, Old Georgian Cities and Towns, Published by Eka Privaliva Center Betania, Tbilisi, 2006, 158 p., ISBN 99940-0-926-5
7. Medieval Cloisonné at Georgian State Museum of Fine Arts, Cataloge prepared by Leila Khuskivadze, Publishing House Khelovneba -Art, Tbilisi, 1984, 160 p
8. Jennie Gerhardt by Theodore Dreiser, translated from English into Georgian by Ciala Khachidze, Children's Literature Publishing House "Nakaduli", Tbilisi, 2005, 399 p. (Georgian), ISBN 999 28-47-21-2
9. The Snows of Kilimanjaro and Other Stories by Ernest Hemingway, translated from English into Georgian by Vaxtang Chelidze and Ana Ratiani, Children's Literature Publishing House "Nakaduli", Tbilisi, 2005, 430 p., (Georgian), ISBN 999 28-47-39-5
10. The Little Lady of the Big House by Jack London, translated from English into Georgian by Tamar Magradze, Children's Literature Publishing House "Nakaduli", Tbilisi, 2008, 423 p., ISBN 1512-4776 ISBN 99 28-47-44-1
11. The White Gauntlet by Mayne Reid, translated from English into Georgian by Valentina Tatishvili, Children's Literature Publishing House "Nakaduli", Tbilisi, 2005, 415 p., ISBN 999 28-47-22-0

ღრმა პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,
თქვენი ვ. ჩ.

ამ ბოლო წერილებმა კიდევ ერთი შემთხვევა გამახსენა და რომ არ დამავიწყდეს, მოკლედ მოვჭრი: აქაური ავტორები კონგრესის ბიბლიოთეკას საჩუქრად უგზავნიან თავიანთი ახალი პუბლიკაციების ცალებს თუ ბიბლიოთეკიდან ასეთ შესაწირავზე თანხმობას მიიღებენ. ამიტომ, ბიბლიოთეკის კავკასიური ლიტერატურის კურატორს ეს წიგნები შევთავაზეთ: შორენას Essentials of Georgian Grammar with Conjugation Tables of 250 Most Commonly Used Verbs, Munich: Lincom Europa, 2006 და ჩვენი ერთობლივი ნაშრომი: Ethnography and Folklore of

the Georgia-Chechnya Border: Images, Customs, Myths & Folk Tales of the Peripheries, Munich: Lincom Europa, 2008. ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის არ იყოს, აქაც ქართული და საქართველოს შესახებ არსებული ლიტერატურის ფონდის შევსება ეროვნებით სომეხს ჰქონია დავალებული. ჩვენი წერილი უპასუხოდ დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ, უკვე მთელი ახლო აღმოსავლეთის სექციის ხელმძღვანელს მივწერეთ, რომ ასეა და ასე დღემდე არანაირი პასუხი არ მიგვიღია ჩვენს შემოთავაზებაზე-თქო. რამდენიმე დღეში გვიპასუხა, მისი თანამშრომლის მაგივრად მოგვიბოდიშა, ასეთ მნიშვნელოვან პუბლიკაციებს სიამოვნებით და მადლიერების გრძობით ჩავრთავთ კონგრესის ბიბლიოთეკის ფონდებში თუ წიგნებს შესაბამისი სექციის ხელმძღვანელს გამოუგზავნით, რომელთანაც უკვე მქონდა ამ საკითხზე საუბარი. რამდენიმე დღეში უკვე სექციის აშკარად ნირწამხდარი კურატორისაგან მივიღეთ ბოდიშის წერილი, ნამდვილად შეცდომა მომივიდა და გთხოვთ მაპატიოთო. რა თქმა უნდა, ვაპატიეთ და წიგნებიც გავუგზავნეთ. მალე კონგრესის ბიბლიოთეკამ ოფიციალური მადლობის წერილი გამოგვიგზავნა.

უცხოეთის ბიბლიოთეკებში ქართული და საქართველოს შესახებ წიგნების გაგზავნის ტრადიციას პეტრე უმიკაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ეტყობა მამა ამ საქმეშიც მას ჰბაძავდა. ის ახალ, მნიშვნელოვან ქართველოლოგიურ გამოცემებს რეგულარულად უგზავნიდა უცხოელ კოლეგებსა და დასავლეთის ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს, რაშიც ხალისით მეც ვეხმარებოდი. ერთ-ერთი ასეთი ადრესატი, ჩემი ინიციატივით, ცნობილი ფრანგი მკვლევარი კლოდ ლევი-სტროსი და კოლეჯ დე ფრანსში არსებული მისი სტრუქტურული კვლევების ლაბორატორია გახდა. სახელოვანი მკვლევარი არც ერთ ასეთ ამანათს უყურადღებოდ არ ტოვებდა და არც მადლობის წერილის გამოგზავნას აგვიანებდა.

ცხინვალში 1932 წელს გადაღებული სურათის ამბავს, “უნებლიე მოგონებებმა” (მოკლედ, უ.მ.) გადამახვევინა. სურათიდან ამოჭრილი პიროვნების დადგენის სურვილი მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობით არ არის გამოწვეული. მინდა მიახლოებით მაინც წარმოვიდგინო თუ რა განწყობილებაზე იქნებოდა მამა, როდესაც იძულებული იყო ეს სურათი დაეზიანებინა. ამიტომ, ცოტა შორიდან დავიწყებ. ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნების ერთი ნაწილი მამამ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში შეიძინა, როდესაც სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში მომხდარი ხანძრის შემდეგ საცვლელ ფონდში დაგროვილი ლიტერატურის ზედმეტი ეგზემპლარების გაყიდვა დაუწყიათ. მათ შორის იყო 1925 წელს ი.ს. ექოვის და ე.ი. შამურინის მიერ შედგენილი, თითქმის 700-გვერდიანი უნიკალური წიგნი "Русская поэзия XX века. Антология

русской лирики от символизма до наших дней“, რომელშიც მოკლე ავტობიოგრაფიებითურთ წარმოდგენილი პოეტების ნაწილი შემდგომ რეპრესირებული იყო. ამიტომაც, უცნაურად მივიჩნევთ, ოფიციალური ლიტერატურათმცოდნეობისა და ენციკლოპედიური გამოცემების მიერ „არასაიმედო“ და „ხალხის მტრებად“ გამოცხადებული პიროვნებების კვალი მეთოდურად იშლებოდა ყველგან, მათ შორის სახელმწიფო თუ კერძო ბიბლიოთეკებში, საოჯახო ალბომებში. კარგად მახსოვს, თუ როგორ გამიკვირდა და მესიამოვნა ხუთი წლის ბავშვს, როდესაც მამამ ნება დამრთო დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში „ხალხის მტრად“ გამოცხადებული ერთ-ერთი ყოფილი საბჭოთა ლიდერის „პაპიროსის ქალაქით“ დაფარული ოფიციალური სურათი ამომეჩია და ნაკუწებად შექცია. ასეთი მასალების შენახვა და ფლობა წყობის საწინააღმდეგო ქმედებად და მოსალოდნელი ბრალდების საფუძვლად შეიძლება გამოეყენებინა ხელისუფლებას ნებისმიერ დროს. ასე იქცეოდნენ „კომპეტენტური ორგანოები“ თბილისში 70-იან წლებშიც, როდესაც თავად ავრცელებდნენ ინტელიგენციისა და სტუდენტებს წრეებში ე.წ. „არალეგალურ ლიტერატურას“ (სოლჟენიცინი, მანდელშტამი, რობაქიძე, კაპანელი, ალილუევა და სხვ.) უკანასკნელების „შესაკრავად“ თუ კონტროლის, დაშინების და „დამუშავების“ მიზნით.

(უ.მ.: თსუ-ს ბოლო კურსზე, როდესაც მომავლის გეგმებზე დავიწყე ფიქრი, ერთ მშვენიერ დღეს, ჯერ კიდევ სტუდენტს, სახლში ჩვენი ფაკულტეტის დეკანმა პირადად დამირეკა. ცნობილმა მკვლევარმა „სასიხარულო“ ამბავი მამცნო: მომილოცავს, შენი სამუშაოზე მიღების მოსურნეები სერიოზული ხალხია და დღეს ან ხვალ ტელეფონით ამ ნომერზე დაუკავშირდი, გელოდებიან რომ გაგესაუბრონო. დავრეკე, სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მისაღებიდან გამაგონეს, გისმენთო. მოულოდნელობისაგან ყურმილი ხელიდან გამივარდა თუ დაკვიდე ზუსტად აღარ მახსოვს. ხსენებული ორგანიზაციისადმი ნამდვილად ნაკლებ სასიამოვნო გრძნობები სტუდენტური „საიდუმლო“ ჯგუფის წევრობის დროს გამიჩნდა, როდესაც ერთ-ერთმა წევრმა ჯგუფის შექმნის ინიციატორის მამას, თვალსაჩინო მკვლევარს, ჩვენს შესახებ ყველაფერი „ჩაუკარკლა“. ეს უსიამოვნო ეპიზოდი იმით დასრულდა, რომ უახლოეს შეკრებაზე ჯგუფმა თვითლიკვიდაცა გამოაცხადა, ხოლო უნდობლობა-შეყრილი ახალგაზრდები ერთმანეთთან შეხვედრას კარგა ხანს ვერიდებოდით.

დეკანთან სატელეფონო საუბრის შინაარსი მამას იმავე დღეს გადავეცი, იმ იმედით, რომ ეგებ რაიმე მირჩიოს როგორ დავიძვრინო თავი ამ საკმაოდ „დელიკატური“ სიტუაციიდანთქო. მას აშკარად არ ესიამოვნა ყოველივე ეს: „რაშია საქმე, რაღა მაინცდამაინც შენ შეგარჩიეს ამდენ სტუდენტში (არადა ჩემს გარდა სხვებიც ყოფილან დაბარებული, როგორც შემდეგ გავიგე), ალბათ რაღაცით დაიმსახურეო“, აქეთკენ

შემომიტი. ბოლო-ბოლო „გასაუბრებაზე“ უშიშროების სამმართველოს ორ ოფიცერს მადლობა გადავუხადე შემოთავაზებისათვის, მაგრამ სულ სხვა გეგმები მაქვს, მამამ მირჩია ასე უთხარიო. მერე რაღაც ჯანდაბად, რადგან ერთი სული მქონდა ოღონდ მალე გავცლოდი იქაურობას, ჩემდათავად დავუმატე, მეგონა ესამოვხებოდათ, ეხლა ვერა მაგრამ თუ ომი ატყდა მაშინ ნამდვილად მოგენმარებიტოქო. ამ სიტყვებზე მათ შორის უფროსი მგონი გაწიწმატდა, ძლივს შეიკავა თავი სკამიდან რომ არ წამომხტარიყო. ისე გამიბრაზდა, როგორც რამდენიმე წლით ადრე წვეკანდელების სამხედრო კომისარიატის სამედიცინო კომისიის წევრი, როდესაც კითხვაზე თუ სად დავიბადე, „ლეჩკომბინატში“ თქო, ვუთხარი, რადგანაც მეგონა, რომ მაშინ კომისარიატში მარტო თბილისში დაბადებულები ვიყავით დაბარებულები. „ეს ბიჭი სიმულიანტობს, თავი სულელად უნდა მოგვაჩვენოს. ერთი შენებურად მიმიხედე ამ ყურ-უმსაღსო“, უთხრა კოლეგას და თავად მოსაწევად დერეფანში გავიდა. უშიშროების ის ოფიცერი ისე გავიდა ოთახიდან, რომ არაფერი არ უთქვამს. მაშინ, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ მქონდა, რომ კიდევ არაერთი „გასაუბრება-დამუშავება“ მელოდა წინ, როგორც ოფიციალურ ისე „არაოფიციალურ“ და ინტიმურ გარემოცვაში.).

30-იანი წლების რეპრესიების ისტორიები მრავლად იყო დაკავშირებული არა მარტო საბჭოთა, არამედ ბოლშევიკებისადმი სიმპათიით განწყობილი უცხოელი ავტორების წიგნებთანაც. მათი თარგმანების მასიური ტირაჟით გამოცემას მაშინ მაქსიმ გორკი ხელმძღვანელობდა. ლენინგრადიდან ჩამოტანილი ასეთ ავტორებს შორის იყო მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრანგი მწერალი, თავისი დროის ცნობილი გამხელილი გეი (რაც მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გავიგე მისი ბიოგრაფის ნაშრომიდან) ანდრე ჟიდიც. მან, ძალიან ახლო მეგობრების ჯგუფთან ერთად, ოცდაათიანი წლების შუა ხანებში სსრკ-ში და კერძოდ საქართველოშიც იმოგზაურა. ეს პროპაგანდისტული ვიზიტი პარიზში მცხოვრებმა რუსმა მწერალმა ილია ერენბურგმა (1891-1967) მოამზადა, რომელიც სტალინის დავალებით საბჭოთა იდეების პროპაგანდას ეწეოდა ევროპელ და ამერიკელ მემარცხენებს შორის (ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ის ერნესტ ჰემინგუეისაც დაუახლოვდა) და ამავე დროს ბელადის და „ნკვედეს“ საგანგებო დავალებებსაც ასრულებდა.

ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ჟიდიმა წიგნი მიუძღვნა. როგორც ჩანს, ის ფიქრობდა, რომ ფართოდ რეკლამირებული ვიზიტის დროს (მან წითელი მოედანზე, გორკის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე 1936 ივნისში სსრკ-ს მხარდასაჭერი სიტყვაც კი წარმოთქვა) უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც მისი აზრით „საოცნებო უტოპიის რეალობად ქცევის პროცესს ხელმძღვანელობდა“, გეური ცხოვრების წესის ლეგალიზაციის შესახებ

კანონის მიღებაზე დაიყოლიებდა. იმ დროს საბჭოეთში კულტურული და სექსუალური ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის იდეები და პრაქტიკა ჯერ კიდევ საკმაოდ პოპულარული იყო: ისევ „სერიოზული“ მსჯელობა მიდიოდა მდედრობითი სქესის მოქალაქეების „კოლექტივიზაციის“ და „თავისუფალი სიყვარულის“ ანუ „ჭიქა წყალის“ თეორიის მიმდევართა ურთიერთობების შედეგად გაჩენილი მომავალი თაობის სახელმწიფო დაწესებულებებში აღზრდის აუცილებლობის და კიდევ ათასი „ანტიურჟუანიული“ ღონისძიების გატარების შესაძლებლობის შესახებ. ამ საკითხების შესახებ აქტიურად წერდა 30-იან წლებში მამას ნაცნობი პროლეტარული მწერლების ასოციაციიდან, კრიტიკოსი კარლო მელაძე (იხ. მისი წიგნი „ბრძოლა ახალი ყოფაცხოვრებისათვის“, თბ., 1931). ჩანს ჟიდის სსრკ-ში ყოფნის პერიოდში იმედეები მალე გაუცრუვდა და საფრანგეთში დაბრუნებულმა, 1936 წელს გამოცემულ პატარა წიგნში „Retour de l'U. R. S. S.“, რომელიც შემდეგ ბესთსელერი გახდა და მრავალ ენაზე ითარგმნა, სტალინი და მისი პოლიტიკა სასტიკად გააკრიტიკა. ამავე წიგნში ის მის მასპინძელ ქართველ პოეტებს პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს, მათი გვარების მოუხსენებლად, დიდ მადლობას უხდის იმის გამო, რომ მათ თვალის აუხილეს საბჭოთა წყობის უმსგავსოებებზე. პაოლო იაშვილს, პარიზში სწავლის პერიოდში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ერენბურგთან; (იხ. პაოლოს „ფერადი ბუმბუტები, სენტიმენტალური ამბავი“; ამ მოგონების თარგმანი და პოეტის მოკლე ბიოგრაფია შოს თავის „Advanced Georgian Reader“-ში, 2014 წელს Dunwoody Press-ის მიერ გამოცემულ წიგნში აქვს შეტანილი). მამა თვლიდა, რომ სწორედ ამ პუბლიკაციამ შეიწირა ეს ორი განუყრელი მეგობარი, ოდესღაც ბოჰემური ცხოვრების დიდად მოყვარული პოეტები და მეტად კოლორიტული პიროვნებები. ჟიდის წიგნაკის გამოსვლის შემდეგ, მათ მალე ტროცკიზმში და საფრანგეთის დაზვერვასთან თანამშრომლობაში დასდეს ბრალი.

ორიოდე წლის წინათ, შემთხვევით წავაწყდი ჟიდის ამ პატარა წიგნაკის ინგლისურ თარგმანს (Return from the U.S.S.R, by Andre Gide, New York, Alfred.A.Knopf, 1937) ბერკლის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და მის სხვა ნაშრომებსაც, მრავატომიან „Journals, 1889–1949“ და Alan Sheridan-ის სქელტანიან მონოგრაფიასაც (André Gide: A Life in the Present. Cambridge, MA: Harvard University Press, 1999) გადავხედე, იმ იმედიით რომ კიდევ რამეს წავაწყდებოდი ქართველ მასპინძლებთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ამაოდ დავშრი. სამაგიეროდ გავიგე, რომ ჟიდი თურმე არა მარტო თავისი დროის სკანდალურად ცნობილი, გამხელილი გეი მწერალი, არამედ გეური ცხოვრების აპოლოგეტიც ყოფილა და რომ აფრიკაში მოგზაურობის შემდეგ ძალიან ახლო ურთიერთობები ჰქონია მის გეი მენტორთან, სახელმოხვეჭილ ირლანდიელ მწერალთან, ოსკარ უაილდთან და რომ ეს უკანასკნელიც მთელ ევროპაში სკანდალურად ცნობილი „იმნაირი“ იყო და რომ პიჯაკის საყულოეზე

მიმაგრებულ მწვანე მიხაკს ინგლისელი გეები მგონი ოსკარ უაილდის მიზაძვით ატარებდნენ და რომ 1894 წელს გამოცემულ ნოველაში *The Green Carnation by Robert Hichens* ფაქტიურად ოსკარ უაილდის და მისი ახალგაზრდა საყვარელის ლორდ ალფრედ დუგლასის „რომანია“ აღწერილი და რომ არსებობს სპეციალური სუნამო *The Green Carnation* და ა.შ. და ა.შ. და ა.შ. და ა.შ.

ჟიდის ხსენებულმა წიგნმა ფრანგი და სხვა ევროპელი მემარცხენეების რისხვა და დაუნდობელი კრიტიკა გამოიწვია, რომელსაც ეტყობა ისევ ილია ერენბურგის მეშვეობით რუსეთიდან ხელმძღვანელობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა სსრკ-ში ფართოდ რეკლამირებული ფრანგი მწერალი რომენ როლანი (ამ მწერლის ერთ-ერთი რომანის შესახებ ვრცლად მსჯელობს მამა 30-იანი წლების დღიურში). ოპონენტებს ჟიდმა ახალი, პატარა, საკმაოდ უინტერესო წიგნით (*Afterthoughts on the U.S.S.R by Andre Gide, The Dial Press, New York, 1938*) უპასუხა.

რატომღაც მგონია, რომ ცხინვალში გადაღებული სურათიდან, ტიციანი ან სხვა ქართველი მწერლის გამოსახულება უნდა იყოს ამოჭრილი. ამ სურათზე სხვა რეპრესირებულებიც არიან გამოხატულნი. მაგალითად, ოსი მწერალი ჩერმენი (*Беджызаты Чермен Давидович, 1898 — 1937*), მაგრამ რადგან მასთან ეტყობა მამას განსაკუთრებული ახლობლობა არ აკავშირებდა, შეიძლება იფიქრა, რომ ჩერმენის დატოვება არ დააზიანებდა მას. ადრე თუ გვიან, ალბათ, სურათის სხვა ასლი აღმოჩნდება, მასზე გამოხატული რომელიმე პიროვნების არქივში და ამოკვეთილი რეპრესირებული მწერლის ვინაობის დადგენაც შესაძლებელი გახდება.

მამა რომ ტიციანისადმი განსაკუთრებული პატივისცემით იყო განმსჭვალული, ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნებული მისი პატარა პუბლიკაციიდანაც ჩანს, რომლის ტექსტს სრულად მოვიყვან ქვემოთ.

„ტიციან ტაბიძის უცნობი წერილი

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, დიდი ხანია აღარ გამოჩენილა მიხაკით გულდამშვენებული მისი კოლორიტული ფიგურა... მას სულზე მეტად უყვარდა მშობლიური ქალაქი; თბილისში გავლა შთაგონებას მატებდა. 30-იანი წლების ლიტერატორებს, უნივერსიტეტიდან ახლანდელ ლენინის მოედნამდე ფეხით მოსიარულეთ, ხშირად გვინახავს პოეტი თავაწეული მთარგმნეად გამვლელთ და გამომცემლობისაკენ მიიჩქაროდა.

ტიციანს ხშირად ვხვდებოდით, საერთო საქმეშიც ხშირად მიგვიღია მონაწილეობა და მეხსიერებაში არაერთი საგულისხმო მოგონება

შემომრჩა. ამას წინათ მტვერწყარილ არქივს ვათვალისწინებდი. მრავალ სახსოვარს შორის ტიცვიანის ხელით ჩაწიკვიკებული ბარათი ვიპოვე. კეთილი გულით დაწერილმა სტრიქონებმა ლენინგრადში ყოფნის წლები თავიდან განმაცდევინა.

ტიციან ტაბიძე ნათელი და ღრმა გრძნობის პოეტი იყო. მისი ლექსი და საუბარი, საჯარო გამოსვლა მუდამ ლირიკის ემბაზში იყო ამოვლებული. გულწრფელობა, უშუალოება, მაღალი კულტურა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული მასში საოცრად იყო შერწყმული; იგი ადვილად ამყარებდა კავშირს ადამიანებთან. არ მეგულება პიროვნება, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ტიცვიანს და იგი დაევიწყებინოს.

მე ბედნიერება მქონდა ტიცვიან ტაბიძესთან ერთად ერთი კვირა ვყოფილიყავი ცხინვალში სამხრეთ ოსეთის მწერალთა ყრილობის მოსამზადებლად. ახალი ქართული ლექსის ერთ-ერთმა რეფორმატორმა იმ დღეებს საგანგებო ნარკვევი უძღვნა: „ერთი კვირა ოსეთში“. ტიცვიანი წერდა: „მე და მიხ.ჩიქოვანს დავალელებული გვქონდა ამ დელეგაციის ავტოდირიგობა - უნდა წინასწარ ჩავსულიყავით და მოგვემზადებინა ნიადაგი საქართველოს საბჭოთა მწერლების შესახვედრად“.

ყრილობა სასახლოდ ჩატარდა. იმ სამახსოვრო კვირის განმავლობაში ერთ ოთახში ვცხოვრობდით ლიახვის პირას პატარა სასტუმროში. ყველგან და ყოველთვის იგრძნობოდა, ტიცვიანი მთელი არსებით პოეზიას, სიტყვის ხელოვნებას რომ ეკუთვნოდა. ლიახვის პირს გატარებულმა ღამეებმა უფრო დამაახლოვა, მართლაცდა მეწყერივით მოვარდნილ ადამიანთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თბილისის უნივერსიტეტმა ასპირანტურის კურსის დასამთავრებლად ლენინგრადში გამაგზავნა. მუშაობა დავიწყე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში; სხვადასხვა დისციპლინებს ვისმენდი ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და პარალელურად ვეცნობოდი ძველ ქართულ ხელნაწერებს იქაურ სიძველეთსაცავებში.

ლენინგრადში პირველად ვიყავი. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ქალაქმა, ისე იქ დამკვიდრებულმა სამეცნიერო ტრადიციებმა. ჩრდილოეთის სიკეთე ქართველ მოღვაწეებზე ოდითგანვე ღრმა კვალს ტოვებდა. ასეთ ვითარებაში ადამიანს ყოველთვის უჩნდება მოთხოვნილება სათქმელი მახლობელს გაუზიაროს. და აი, პირველი შთაბეჭდილება ტიცვიან ტაბიძეს გაუზიარე. მართალია, პოეტი ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საქმიანი მიწერ-მოწერისათვის.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესოა თუ რას ურჩევდა პოეტი უმცროს ამხანაგს.

„ტფილისი
10 დეკემბერი
1934 წ.

ძვირფსო ძმაო მიხეილ!

არ ვიყავი ტფილისში და თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღე. მართალი გითხრათ, ძალიან გამეხარდა. ვიგრძენი ლენინგრადის ნისლი, ჩემი სტუდენტობა და საერთოდ საქართველოდან შორს ყოფნა - უფრო კიდევ თქვენი პატიოსანი და აღფრთოვანებული გული. ასეთ წერილზეც მადლობაც ზედმეტია, ეს არის ადამიანის საკუთარი ბიოგრაფია და კეთილშობილება.

სხვა ძმაო მიხეილ, ტფილისში არაფერია ისეთი, რომ კაცს გული დააწყდეს - არის გაუთავებელი დისკუსიები რუსთაველზე და ერთმანეთს აბითურებენ. ასე, რომ მაინცა და მაინც თუ შესაძლებლობა გაქვს, მანდ კარგად მოიცადე: ყოველი ზედმეტი დღე და თვე ლენინგრადში, ვისაც სწავლა და მეცადინეობა უნდა, მოგებულია - არავითარი დავიდარაბა და კინკლაობა; არის მხოლოდ ყოველის დამტევი ცოდნა და შთაბეჭდილება. თუ საჭირო იქნეს, მომწერე და მოველაპარაკები უნივერსიტეტის რექტორს ლეო აღნიაშვილს. თქვენი წერილი, როგორც მითხრა გოგლა ლეონიძემ, მიდის „ლიტ. მემკვიდრეობაში“. ლევანთან ვნახე კიდევ კორექტურები. ეხლა, ჩემო მიხეილ, მანდ ლენინგრადში გამოდის რუსულად ქართველი რომანტიკოსები: ნ.ბრათაშვილი, გრ.ორბელიანი და ალექს.ჭავჭავაძე; Ленинградское Издательство Писателей - ხელმძღვანელობს გრიგოლ იმმანუილის ძე სოროკინი ტექნიკურად, - ისე ტინიანოვი და ტინონოვი. რედაქციას მე მივწერე თქვენი მისამართი და თუ მოგმართავს, თქვენ დაეხმარეთ, გასამრჯელოს მანდ გაიღებენ, თუ ასეც არ იყოს, მე შევეცდები ტფილისიდან მოვახერხო - მხოლოდ თქვენ თვალი იქონიეთ და საჭირო დახმარება აღმოუჩინეთ. მალე ალბათ მეც გავჩნდები ლენინგრადში. ეხლა კი სამუშაოთი ვარ დატვირთული და ერთი თვით მივდივარ მახინჯაურში. წერილებს თუ გამომიგზავნით, ტფილისის მისამართით მომწერეთ და ბათუმში სახლიდან გამომიგზავნიან.

თქვენი ერთგული და მეგობარი
ტიციან ტაბიძე“.

ამ ბარათის დაწერიდან, ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა.

მიხეილ ჩიქოვანი

(ქურნალი „დროშა“, #10, 1977, გვ.14-15).

მამას არქივის მასალების გაცნობის შემდეგ, ქართულ ვიკიპედიაში მის შესახებ შემდეგი მოკლე ინფორმაცია შევიტანე:

მიხეილ იასონის ძე ჩიქოვანი (დ. 25 მარტი, 1909, სოფ. ცხუკუშერი, ყოფილი ლეჩხუმის მაზრა — გ. 24 ოქტომბერი, 1983, თბილისი) — ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ქართული ფოლკლორის პოპულარიზატორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1950), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987), ნარატიული ფოლკლორის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი (1972). 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1933 წელს ნიკო მარის რეკომენდაციით ჩაირიცხა ასპირანტურაში და მივლინებული იქნა პეტერბურგში, ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. 1936-1983 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას და არქივს, ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით, საექსპედიციო-შემკრებლობით, საგამომცემლო და პედაგოგიურ საქმიანობას. იკვლევდა ზოგადი და კერძო ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობათა პრობლემებს („ხალხური ვეფხისტყაოსანი“, 1936-37; „საქართველოს სამეფო კარის მგოსნები“, 1949; „იაკობ გოგებაშვილი და ზეპირსიტყვიერება“, 1950; „დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია“, 1955; „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია“, 1956; „აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება“, 1958; „სულხან-საბა ორბელიანი და ხალხური შემოქმედება“, 1959; „შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“, 1966; „ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება“, 1989), ქართულ ეპოსს („მიჯაჭვული ამირანი“, 1947; „ეთერიანი“, 1954; „ქართული ეპოსი“, I-II, 1959-65; „ამირანის თქმულება“, 1961) და მითოლოგიას („ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები“, 1971), ფოლკლორის თეორიის საკითხებს („ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები“, 1986); ავტორია სახელმძღვანელოებისა („ქართული ფოლკლორი“, 1946; „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, 1952, 1956, 1975). იგი არის „ქართული ხალხური პოეზიის“ (I-XII, 1972-84) კორპუსის გამოცემის ინიციატორი, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა „ქართული ფოლკლორის სერია“, (I-IV, 1936-40), პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“ (I-IV, 1964), თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში და თუშეთში შეკრებილი ლექსები (1953), ქართლ-კახეთში და ფშავში შეკრებილი ზღაპრები (I-1951, II-1952), კათოლიკე მისიონერის ბერნარდო ნეაპოლიტანელის მიერ XVII საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრების კოლექცია (1961), „ხალხური სიტყვიერება“ (I-V, 1950-1956), „ხალხური სიბრძნე“ (I-V, 1963-65), „ქართული ფოლკლორი. მასალები და გამოკვლევები“ (I-XIII, 1964-83), „ქართული ფოლკლორის

ლექსიკონი“ (I-II, 1974-75), ვაჟა-ფშაველას (I-X, 1960-64) და ვასილ ბარნოვის (I-X, 1961-64) თხზულებათა ტომეულები და სხვა. დაიწყო „ქართული ხალხური პროზის“ ოცტომიანი კორპუსის გამოსაცემად მომზადება, რომლის პირველი ხუთი ტომი თავად შედგინა.

მისი გამოკვლევები და შედგენილ-რედაქტირებული ქართული ფოლკლორის კრებულები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, უნგრულ, ჩეხურ და ბულოგარულ ენებზე: *Грузинские народные сказки*, Тб., 1939, 1954, 1956, 1971, 1986; *Амираниანი*, Тб., 1960; *Сказания и легенды*, Тб., 1963; *Народный грузинский эпос о прикованном Амირани*, М., 1966; *Народный юмор: притчи, сказки*, Тб., 1967; *Грузинские народные сказки и мифы*, Тб., 1985; *Gruzinske Narodni Pohadky*, Praha, 1949; *Грузински народни приказки*, София, 1957, 1975; *Die Zauberkappe: Georgische Marchen*, Berlin, 1957, 1959, 1963; *The Theme of Youth Seeking Immortality in Ancient Folklore and Literature*, М., 1963; *L'Épopée Populaire Georgienne D'Amirani # Enchaîne (Elements Non-Iraniens Dans la Culture Persane Antique)*, Bedi Karthlisa, *Revue de Kartvelologie. Etudes Georgiennes et Caucasiennes (BKRK)*, vol. XXIII-XXIV, Paris, 1967; *Rapports Entre le Mythe Prometheen Grec et la Légende Ibero-Colchidienne D'Amirani, Enchaîne a un Sommet du Caucase*, BKRK, vol. XXVII, Paris, 1970; *About the Problem of Typological Similarities between Three Mediaeval Novels - "Tristran and Isolde", "Abessalom and Eteri" and "Vis and Ramin"*, VIII International Congress of Anthropological and Ethnological Sciences, Tokyo, 1968; *Coincidences Dans les Folklores Iberiques (Georgien et Espagnol)*, BKRK, vol. XXIX-XXX, Paris, 1972; *Ancient Colchic and Iberian Mythological Characters in Georgian Poetic Folklore*, IX International Congress of Anthropological and Ethnological Sciences, Chicago, 1973; *Tendency of Extention of Structure in Fairy Tales*, VI Congress of the International Society for Folk-Narrative Reserch, Helsinki, 1974; *Das Buch von Helden Amirani, ein Altgeorgischer Sagenkreis, bearb. und mit einem Essay "Amirani u. Prometheus" von Micheil Tschikowani. Aus dem Georg. übers. Von Heinz Fähnrich, Gustav-Kiepenheuer-Bücherei, Leipzig and Weimar, 1978; Die Georgische Folklore der Vorliterarischen Period, Georgica : Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, vol. IV, Jena-Tbilisi, 1981; Georgian Folk Tales, Tb., 1999, 2007; Maximus the Confessor in Georgian Legends from the Seventh and Eighth Centuries, in *Maximus the Confessor and Georgia, Iberica Caucasica*, vol. III, London, 2009.*

ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს, იყო საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ლიტ.:

ქსე, ტ. X, თბ., 1987, გვ.142;

ქართული ფოლკლორი (მ. ჩიქოვანის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), III, თბ., 1969;

Amiraniani, A Georgian Epic, by Mikheil Chikovani, review by David Lang,

Folklore, vol.73, The Folklore Society, Spring 1962, London, pp.59-61;

Enzyklopadie des Marchens, Handwörterbuch zur hisrorischen und vergleichenden Erzahlforschung, Band 3, Lieferung 1, Walter Gruyter, New York, 1978. pp. 35-39; Краткая Литературная Энциклопедия, т.8, М.,1975, с.510.

ტრამვაი

ჩემს ბავშვობაში, ვაკის სტუდენტთაგან ვერის ბაზრამდე და უკან, ერთლიანდაგიან ტრამვაის გზაზე, ცალ-ცალი ვაგონები დადიოდნენ, ზუსტად ისეთები, როგორებიცაა დღემდე სან ფრანცისკოს ცენტრალურ ნაწილს ათვალიერებენ ტურისტები. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ თბილისში ვაგონებს ხელით კი არ ატრიალებდნენ სან ფრანცისკოსავით, უკანა მიმართულებით წასასვლელად, არამედ უბრალოდ ტრამვაის სამართავი მოსახსნელი საჭე-ბერკეტი ვაგონის ერთი ბოლოდან მეორეში გადაჰქონდათ და ეს იყო და ეს. ვაგონში ასულ მგზავრებს უნიფორმაში გამოწყობილი კონდუქტორი ბილეთებს მიჰყიდოდა და როდესაც ყველა თავის ადგილს დაიჭერდა ან ჭერზე დამაგრებულ ღვედებზე ჩამოკიდებულ მოთეთრო მეტალის სახელოურებს ხელს ჩასჭიდებდა, კონდუქტორი მის სკამთან მიმარგებულ ბრინჯაოს ზარს ხელს ჩამოჰკრავდა და ააჟღარუნებდა, იმის ნიშნად რომ ყველაფერი მზად იყო მომავალ გაჩერებამდე სამგზავროდ. მხოლოდ ამის შემდეგ ძრავდა ვაგონს ადგილიდან რუსი მალაკანივით დიდწვერებიანი ვატმანი, ტრამვაის საყვირ-ზარის პერიოდული ჟღარუნით.

ამგვარი ტრამვაით, მშობლებთან ერთად არაერთხელ მიმგზავრია ვერის ბაზრამდე, ვაკეში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ. ერთხელ, ვაგონში ასვლის დროს, დედა „დამეკარგა“ და ტირილი მოვრთე. წვეროსანმა ვატმანმა მანამდე არ დაძრა ტრამვაი, სანამ აღელვებულ დედა-შვილს გულეები საგულეებში არ ჩაგვიჯდა. ხმაურიანი ტრანსპორტის ეს სახე და მატარებელი მაშინ არა მარტო პატარებში, ზრდასრულ ადამიანებშიც მოსალოდნელი საშიშროების შეგრძნებებს ბადებდა.

ვერის ბაზრის მთავარ შესასვლელთან ახლოს, მლესაკების რიგის იქით, ჩამოსასხმელი ღვინოებით მოვაჭრეების დახლები იდგა, რომლების წინ ორჯერ ზედიზედ მამასა და მე შოთა რუსთაველის სახელობის

ლიტერატურის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, პოეტი-აკადემიკოსი გოგლა ლეონიძე შეგვხვდა. ღიმილიანი მთა კაცი და მისი მოადგილე ყოველთვის ინსტიტუტის საქმეებზე იწყებდნენ საუბარს, მე კი, მამას „ნაგვიანები მეურნეობა“ (ასე გააცნო მან ჩემი თავი პირველი შეხვედრის დროს ბ-ნ გიორგის), დიდი ინტერესით ვათვლიერებდი ღვინისა და მლესავების რიგის განხვავებულ მომხმარებლებს და თან ვცდილობდი გამეაზრებინა თუ რატომ ვიყავი მამაჩემისათვის მეურნეობა და ისიც ნაგვიანები?!

ერთხელ, საახალწლოდ, მე და მამამ იმ ხის-სკამებიანი და ხისავე დასაკეც-კარებიანი ტრამვით ვერის ბაზრისაკენ გავსწიეთ. ოჯახის უფროსმა ბელინსკის ქუჩის კუთხეში წყნეთელი გლეხისაგან თითქმის ორმეტრიანი ნამდვილი ნაძვის ხე შეიძინა და იქვე დაქირავებულ მეკურტნე მუშას სახლში გაატანა. როდესაც მამამ დედას დახმარებით როგორც იქნა ნაძვის ხე მეზობელ ეზოში მცხოვრები ოსი ხელოსანის, ბიძია გიორგის მიერ გაკეთებულ რკინის სადგომში ჩაამაგრა, „აბა, ეხლა შენ იცი როგორ მორთავო“, მითხრა და კაბინეტში შებრუნდა. დედამ უმაღლეს გოგუცა მამიდას მიერ გერმანიიდან გამოგზავნილი საახალწლო ორნამენტებით სავსე ყუთი წინ დამიდო და თვითონ სამზარეულოს მიაშურა. ძალიან, ძალიან გაკვირვებული კარგა ხანს ვიდექი ნაძვის ხის ძირში, სანამ ყველასაგან დამოუკიდებლად მის მორთვას დავიწყებდი.

მას შემდეგ ალბათ 60 წელზე მეტია, რაც ნაძვის ხის დეკორატორის ფუნქციას ვასრულებ შინ და ზოგჯერ გარეთაც. ერთხელ, სამსართულიან „ჯ.ჯ.ნიუბერიში“ მენეჯერის ანუ შორენას ასისტენტად მუშაობის დროს, ჩემს მიერ საგანგებოდ მდიდრულად გაფორმებული დიდი ნაძვის ხე ერთმა წითელ „მუსტანგიანმა“ ახალგაზრდა კაცმა საახალწლო აყალმაყალში საფასურის გადახდის გარეშე „ხელს გააყოლა“. უცებ, გარეთ გასულმა, ქურბაცაცა „შოფლიფტერს“ გზაჯვარედინზე მივუხწარი და პოლიელების ჩვეული ქესტით, ანტენიანი რადიო-ტელეფონიანი ხელით მივუთითეთ თუ სად უნდა მიეყენებინა მისი გაკრიალებული „მერანი“. იმ ბედოვლათს ეტყობა მართლა სამოქალაქო-ტანსაცმლიანი პოლიციელი ვეგონე და ცხვარივით დამყვა: ჩემს მიერ გაფორმებულ ნაძვის ხეში თითქმის ორმაგი ფასი უსიტყვოდ გადაიხადა.

პირდაპირ გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად აქაურები სამხედრო გამოცდილების მქონე პირად აღმითქვამენ, რაც შოს რატომღაც მოსწონს კიდევ. ერთხელ, „თიუზდი მორნიგის“ მენეჯერობის პერიოდში, ერთმა ჩემმა ძველმა თანამშრომელმა ალოფრედ თაბორმა შესვენებაზე შინაურულად, მთელი სერიოზულობით, მკითხა „ომების დროს კაცის მოკვლამ თუ მოგიწიაო“ (???!).

სოფელი

ჩვენი დედუღეთის უგზო გზებზე მავალი ადამიანისათვის, ყველაზე საშიში რიონზე გადებულ, 100-120 მეტრის სიმაღლეზე დაკიდებული ჩამტვრეულ-ფიცრებიანი და საკიდებ-დაწყვეტილი, მუდმივ ტალღისებურ მოძრაობაში მყოფი გრძელი ვაი-ხიდი იყო. მას შემდეგ, რამდენი დაკიდებული ხიდი მინახავს, მაგრამ არაფერი მისი მსგავსი. დედას ისე ეშინოდა ამ ვიწრო ხიდზე ადგილობრივი ტრანსპორტით - ადრე ხარებ-შებმული ურმით, ხოლო შემდეგ საბარგო მანქანით - გადასვლის (ქუთაისში ჩვენი მშობლების მიერ შექმნილი პროდუქტებით სავსე მსუბუქ მანქანებს მხოლოდ ხიდის ჩასასვლელამდე მივყავდით), რომ ერთხელ მისი თხოვნით გზაში შეხვედრილმა ნაცნობებმა ხელში ატატებულები და თვალებ-აკრულები გადაგვიყვანეს ხიდზე, „ბავშვებს თვალი არ მოსტაცოს წყალმაო“.

უგზოობის მიუხედავად, ჩვენ მაინც ზაფხულის ბოლო ნაწილს ხშირად ვატარებდით ბებიასთან. აგრაფინა ბებია, ომის პერიოდში დიდი გაჭირვების დროს ბავშვებთან ერთად თბილისიდან მშობლიურ სოფელში გადასულა დროებით საცხოვრებლად და იქ კარგა ხნით ჩარჩა. ჯარში გაწვეული ბაბუას ტიფით დაღუპვის შემდეგ, მათი სახლი ვორონცოვზე ჯერ გაუტეხავთ, მშალიერები ჩამოუხევიათ კედლებზე, „ლადოს ფულების“ ძიებაში, ხოლო შემდეგ ვიღაც ძალით შესახლებულა შიგ. ასე ბინა დაკარგულმა, ადრე დაქვრივებულმა და სულ მალე ყირიმის ბრძოლებში ვაჟიშვილ-დაღუპულმა ქალმა (17 წლის სერგო ჩუმად გაპარულაა სახლიდან მეგობრებთან ერთად ომში, საშინაო ფლოსტების ამარა. დედა თურმე ფესხაცმელებს უმაღავდა იმ ამხანაგებს აყოლილს, რომლებიც მშობლებს აიმედებდნენ „სულ ტყუილა გეშინიათ, ორ კვირაში გამარჯვებულები დავბრუნდებითო“) ქალაქური ტანისამოსი კოჭებამდე ჩამოშვებული ბებრული შავი კაბით შეცვალა და მარტოდმარტო შეუდგა მეურნეობას.

ბებოს წაბლის ხის ფიცრებით ნაგები სახლის „პალატი“, ქვებით და ხსნარით ნაშენი პირველი სართული, ყოველთვის სავსე იყო გემრიელი სანოვავით. ამ ჭირნახულის ნაწილი ზამთრობით ჩვენთვის თბილისში ჩამოჰქონდა ამ კაფანდარა, „ოთარაანთ ქვრივის“ ტიპის იშვიათად მომღიმარსა და ოდესღაც ნამდვილად ლამაზ მანდილოსანს. ერთხელ, სტუდენტობის პერიოდში, მახომ სადღაც მოძიებული მისი გამზრდელი ბებოს ახლოგაზრდობის სურათები თავიდან დაბეჭდა და ახლობლებს გვაჩვენებდა, ჩემი საცოლოეაო. ყველანი მოხიბლულები ვიყავით მოდერნის სტილში ჩაცმულ-დანურული ლამაზი თინეიჯერი გოგოს ხილვით. ბებოს მიერ ჩამოტანილი შებოლილი შაში, ქათმები, ყველი, ლობიო, ჭადის ფქვილი, კაკალი, თაფლი, ბადაგი, ტკბილი და მჟავე

ტყლაპები და კვერები, ჩურჩხელები, ფელამუში, ტყემალი, ხილის ჩირი, ყუთებით ვაშლი და სხვა მრავალი, გაზაფხულამდე გვყოფნიდა ხოლმე.

ჩვეულებრივ, ნატურალური გემრიელი კერძებით ნაკვებები და სუფთა ჰაერით გაჟღენთილები, აგვისტოს ბოლოს ვუბრუნდებოდით პაპანაქებით გათანგულ თბილისს და ფოსტალიონის მიერ ჩვენი კარების ფოსტის ჭრილობში ჩაყრილი ჟურნალ-გაზეთების შთამბეჭდავი გროვის განხილვას ვიწყებდით დაუყოვნებლივ: ვიგებდით რომ თურმე კონგოში ისევ არ მიდიოდა საქმე კარგად და რომ პატრის ლულოუმბა ისევ ციხეში ჩაუსვამთ, რომ კინალამ ომი დაწყებულა ამერიკასთან კუბის გამო და ა.შ. და ა.შ. სკოლამდელ პერიოდში და 1961 წლის ფულის რეფორმამდე, სოფელში წასვლამდე ცოტ-ცოტა ხნით ხან სად და ხან სად ვისვენებდით: ერთხელ წყნეთის პიონერთა ბანაკში, სადაც მაკაჭუნას წითურა შეეყარა; რამდენჯერმე სოჭში (იქ მაკომ ჩუტყვავილა მოიხადა) და ქობულეთში; ძალიან ცოტა ხნით კისლოვოდსკში (სადაც კინოფილმ „რაფსოდის“ ყურების პროცესში ელიზაბეტ ტელიორისადმი უცნაური გრძნობა გამიჩნდა და ამიტომ დიდხანს დავყვებოდი აქეთ-იქით მშობლებს პირველი სიყვარულით გაბრუებული); წადვერში; ბაკურიანში; ყველაზე ხშირად კი საირმეში, რადგან მამას იქაური მინერალური წყალი უხდებოდა.

სოფელში, ბებიას სოფლის განაპირა და გზისპირა კარმიდამოს იშვიათად თუ გავცდებოდით ბავშვები, ისიც მხოლოდ უფროსებთან ერთად. ერთადერთი გამონაკლისი, მოგვიანებით, წყაროზე წასვლა იყო, როდესაც ცოტა წამოვიზარდე და ორლიტრიანი ბიდონის ზიდვა შევიძელი. ბეჟანის კოდამდე დაახლოებით 700-800 მეტრი მთის ციცაბო და ქვიანი ფერდი იყო ასავლელი, რომელზეც შემდგომ წლებში, უკვე გამოცდილ მეთულოუნჩეს, ორი დიდი კანისტრით დღეში ორჯერ წყალი მომქონდა.

მოაგარაკები და ჩვენს სანახავად მოსული სტუმრები ძირითად დროს სახლის წინ მდგარი დიდი კაკლის ხის ჩრდილობაში მოლოზე წამოგორებულები ვატარებდით: ბავშვები თამაშში, საქანელასა და ჰამაკში ქანობაში, შემდეგ უკვე წიგნების კითხვაში (რენე შატობრიანის „რენე“, ბერნარდენ დე სენ-პიერის „პოლი და ვირჯინი“, აბატ პრევის „მანონ ლესკო“ და დანტე ალიგვიერის „ღვთაებრივი კომედია“ და სხვა იმ კაკლის ჩრდილობა წამაკითხა) და ტალახიან შუკაზე გამვლელ-გამოვლელების თვალიერებაში. დილა-სადამოს, სოფლის ნახირს ზოგჯერ ჩვენი იქაური ნათესავი, ძალზედ წარმოსადეგი კაცი დათიკო ასათიანი მირეკავდა. ის თავის ამ მორიგეობებს წიგნების კითხვაში ატარებდა. საძოვარზე მიმავალს, ყოველთვის ლევ ტოლსტოის რომელიმე ნაწარმოები ეჭირა ხელში.

კაკლის ხის გარდა, წინა ეზოში, ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში, მუდამ მსხმოიარე და რამდენიმე ჯიშის მსხლის ხეები იდგა. სიმწიფისაგან კოინდარზე ჩამოცვენილ მათ ნაყოფს ბებო ყოველდღე აგროვებდა ყურიანაში, ფქვილის რაოდენობის ასაწყავ ხის ჭურჭელში. შემდეგ განუყრელი ძველი, პირდალუელი ჯაყვით გათლილ და წვრილად დაჭრილ ღვიჯე მსხლებით მეთოდურად გვკვებავდა მის გარშემო შემოკრებილ დიდსა თუ პატარას. მსხლის კანებსა და ღუნჭებს დიდ თუჯის ქვაბში აგროვებდა. ამ სავალდებულო რიტუალად ქცეულ ქმედებას ინტერესით ადევნებდა თვალს ოჯახის მარჩენალი დეტი, რომელიც ქუხნის წინ დაბმული, სულ ჩვენსკენ იყურებოდა და წყნარი ზმუილით დროდადრო თავს გვახსენებდა, რომ ბებოს თუჯის ქვაბი მასთან დროზე მიეტანა.

სოფელში ჩვენი ჩასვლის დროისათვის, ბებოს ძროხის გარდა ყოველთვის ჰყავდა ერთი-ორი წლის ხბო, 3-4 თხა თავისი თიკნებით, კვერცხის მდებელი ქათმები წიწილებით (რომლებსაც სინდიოფალა, სიასამურის მსგავსი ლამაზი ცხოველი, მელები, ქორები და ძერები მტრობდნენ), 1-2 მამალი, 4-5 ვარია (მათ, ბუხარში ჩამოკიდებულ კარდალაში გაკეთებული ჩახოხბილის სახით, სიამოვნებით მივირთმევდით დროდადრო), ინდაურები, ღორი და ფუტკრების სამი სკა. დეიდა ქეთო, იმჟამინდელი მოდის თანახმად, ფუტკრებს რეჟმატიზმის საპროფილაქტიკოდ იყენებდა და წვივებზე ისვამდა საკბენად. ერთხელ, მისთვის განკუთვნილმა ფუტკრებმა ხელსა და ლოყაზე ისე მიკბინეს, რომ რუმბივით გასიებულსა და დახეთქილი ხელის თითებს კარგა ხანს ვერ ვხრიდი, ხოლო ნაკბენი ლოყის მხარე ისე იყო გაფუებული, რომ ბალიში აღარ მიხმარია რამდენიმე დღე.

ერთხელ სოფელში ყოფნის დროს დავადგინე, რომ თურმე ბებო, როგორც ყველა იქ მცხოვრები უფულო ადამიანი, სახელმწიფოს მიერ გაწერილ ბეგარას ნატურით იხდიდა. გამიკვირდა, როდესაც ჩვენს თვალწინ ჭიმკარზე მოსულ დავთრიან უცხო კაცს, გადასახადების ამკრებს, კვერცხები და რამდენიმე თავი ყველი გამოუტანა. ძალიან მაინტერესებდა თუ როგორ მიიტანდა ათ კვერცხსა და ორ წველა ყველს ის კაცი სოფლის კანტორაში, რომლამდეც ორ კილომეტრამდე მანძილი უნდა გაევილო ფენშველას, ტალახიან აღმართ-დაღმართში, და თუ როდის და რა სახით იღებდა ხოლმე სახელმწიფო ბებოს მსგავსი ხალხის გადასახადებს.

დილით, უთენია, მეორე სართულზე, თბილისელი მოაგარაკებს ძილში ჩაგვესმოდა ხოლმე მოწველილი რძის ქვაბში ჩასვლის საოცრად რიტმული და სასიამოვნო მზუილი და ბებოს ჩურჩულით წამოძახებული სიტყვები: „დეტი, დეტი, გაჩერდი, შე სამგლე, ნელა, რძე არ დამიქციო“ ან სხვა რამ ამის მაგვარი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფაქტიურად ჯერ კიდევ უკუნეთ ღამეში ბებოს უკვე ძალიან ბევრი

რამის გაკეთება მოუხწრია: დეთი ბოსლიდან გამოუყვანია, სახლის წინ ბოდზე დაუბამს, წველის დაწყების წინ ნავთის ლამფის შუქზე (ლამფის შუქები ადრე ნახსენები შოვიანი წინდების მსგავსად დიდი დეფიციტი იყო. ეს იყო ერთადერთი რამ, რომლის ჩატანას გვთხოვდა ხოლომე ბებია ქალაქიდან) მისთვის ტუა დაუბანია, ხოლო ხბო იქვე მოკლევზე მიუბამს, რომ ჯიქანს და ძუძუებს ვერ მიწვდომოდა, ძროხა კი წაეხალისებინა, რომ მეტი რძე მოეცა. ასე მოპოვებული რძით, ის პალატში აგიზგიზებული ბუნრის პირას ყველს ამზადებდა. ყველი ამოჰყავდა საკვეტელ ჩასხმული რძიანი ქვაბიდან, რომლის ჭიპებს, ჭყინტი ყველის ბებოს ხელით გაკეთებულ გემრიელ ბურთულეებს, სასაუზმოდ ჩასულ ბავშვებს გვაჭმევდა. დილის ძირითადი კერძი რძეში ჩაფურჩხნული, ქვამარილომცრეული ჭადი ან ჩაი, კარაქიანი და თაფლიანი პური იყო. თუ თონე იყო იმ დღეებში ჩაცხობილი, მეზობლის, თამარიკა მანაგაძის დახმარებით, ხაჭაპურებს, ლობიანებს და ქადის პურებს, რა თქმა უნდა, კონკურენციას ვერაფერი უწევდა. თიხის კეცებზე გამომცხვარი ხაჭაპური და ჭიქა ჩაი ან რძე მე პირადად მაინც ყველაფერს მერჩივნა.

ჩვენი ადგომის დროისათვის, ბებოს უკვე საქონელი საბალახოზე ჰყავდა გაყვანილი, ორი კილომეტრით დაშორებული თხილნარ-წაბლნარში მიმალული საზიარო წისქვილიდან, მხრებზე გადებული ტომრით მოტანილი სიმინდის ფქვილიდან, წაბლის ფოთლებით დაფენილ ჭადებს გავარვარებულ კეცებში აცხობდა, სადილისა და ვახშმის თადარიგს იჭერდა, თან კარ-მიდამოს, ეზოს, ბოსტანს, სიმინდის ყანას, ბოსელსა და საქათმეს უვლიდა გარშემო, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი რომ რიგზე ჰქონდა. მსუბუქი ვახშმის შემდეგ, მოაგარაკები სწრაფად ვაქრობდით ნავთის ლამფებს, რომ საძინებელ ოთახებში მწერები არ შემოსულიყვნენ და ჩვენ-ჩვენ ლოგინებში დარიგებულები პატარა მარინასა და ლექსების მხატვრულად კითხვაში მისი მენტორი ქეთო დეიდას - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის - თითქმის ყოვლადღიურ იმპროვიზებულ შეჯიბრება-ვარჯიშს ვუგდებდით ყურს:

„როცა მთვარე შეწყვეტს კაშკაშს და ბნელს შემოიხვევს,
 ისე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს, მძიმედ სძინავს ციხეს.
 სძინავს ციხეს, ნატამალი ხმაც არ აკრთობს სმენას,
 სძინავს ციხეს და თამარის საოცნებო სენაკს.
 სძინავს, ფიქრებს ალამაზებს და სიზმარში ხედავს,
 რომ მის ბებერ გალავანზე არწივები სხედან.
 რომ კვლავ ისმენს ძველთა ველთა ნიაჭ-ქარის ნანას,
 რომ მის ბებერ საძირკველთან ქართველები დგანან,
 რომ დილისკენ, როცა დნება მუქი შუქი მთვარის,
 გალავანზე გადმოდგება საქართველოს თვალი.
 იხურება ჯიხურებად დაღრუბლოული სივრცე,

დედოფალი იყურება არტანუჯის მხრისკენ.
 სძინავს ციხეს, ჯანიანი თრთის და სიზმრად ხედავს:
 ეს ქართველთა ჯარი არის თუ უღრანი ხეთა,
 ეს ნისლია ჩვენებური მწესავით რომ მოჩანს,
 თუ ქართველთა ძველებური ჩაღისფერი დროშა.
 ვისკენ მოაქვთ ეს ალმები, ვის უხდიან ჩაჩქანს.
 ეს თამარი ესალმება საქართველოს ლაშქარს.
 იხურება ჯიხურებად დაღრუბლული სივრცე,
 ეს თამარი იყურება არტანუჯის მხრისკენ.
 სძინავს ციხეს, მაგრამ დილით მზე რომ იწყებს კაშკაშს,
 ეღვიძება, როგორც ძილით დასვენებულ ვაჟკაცს.
 ეღვიძება, როგორც სისხლით გაგიჟებულ მხედარს.
 ეღვიძება, მაგრამ ძილში ნახულოს ველარ ხედავს,
 ველარ ხედავს, გაავდება, აშლის ხავსის ბალანს
 და გრუხუნებს ნაადრევი გაწაფხულის გვარად.
 მერე ისევ ალაამაზებს სიზმრით თავის სვე-ბედს
 და ხავსიან გალაკანზე არწივები თვლიემენ“.

დეიდა-დიშვილის დუეტის შესრულებით, ლადო ასათიანის სხვა
 ლექსებიც დიდხანს ისმოდა სიბნელეში, თითქმის ფანჯრებში
 შემოსული, მთვარის შუქით ვერცხლისფრად განათებული
 სურნელოვანი კაკლის ხის ფოთლების შრიალის ფონზე. სწორედ ერთ-
 ერთ ასეთ პოეტურ საღამოს, „ბალიშებით ბრძოლის“ შემდეგ, ქეთო
 დეიდას ჩაფიქრებულმა ვაჟიშვილმა, პატარა მახომ, მომავალმა
 პედიატრმა და ოთხი შვილის მამამ, რომელმაც მაშინ ათამდე თვლიაც კი
 არ იცოდა, უცებ საოცად პროზაული ფრაზით მიმართა დეიდამისს: „
 დედა, მე რომ ცოლს შევირთავ, ბალიშები აღარ გვეყოფა და რა უნდა
 ვქნათო“. დიდი თუ პატარა, სიცილით კინალამ გავიგუდეთ. ქეთო
 დეიდამ მახო დააიმედა, რომ იმ დროისათვის რაღაცას მოხერხებდა.

მარინე განსაკუთრებით კომფორტულად გრძნობდა თავს სოფელში,
 რადგანაც ჩემზე მეტი იცოდა იქაური ცხოვრების შესახებ. საქმე იმაში
 იყო, რომ დედას სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადების პერიოდში
 ქეთო დეიდამ და ბებომ ის სოფელში წაიყვანეს. თითქმის ორი თვე,
 მარინე ბებია “გრაფინიასა” და დეიდამისს ბეჭებზე შესმული დაჰყავდათ
 აქეთ-იქით: წითელი სოკოების და მაცვლის მოსაკრეფად, ნავენახარში
 დეთის და თხების ახალ საბალახოზე გადასაბმელად, ლაიშა ღელეში
 საბანაოდ, სკოლაში დეიდა ქეთოს გაკვეთილებზე დასასწრებად და ა.შ.
 წაფხულის ბოლოს, მის წამოსაყვანად რომ ჩავედით, მანქანიდან
 გადმოსულიც არ ვიყავი, რომ ძამიკოს დანახვით მეტად
 გახალისებულმა მარინემ საქმიანად გვერზე გამიყვანა და სხაპასხუპით
 მიაგმო თუ როგორ დაბადა თურმე მისი თანდასწრებით დეთიმ ხბო
 და თხამ თიკნები, რამდენი ჩურჩხელა და ტკბილი კვერი აქვთ იქაურ
 მასწავლებლებს სკოლაში (რომლებიც დეიდამისის მიერ სახლიდან

ჩემად წაღებულნი ტკბილეთულოთ უმასპინძლოდებოდნენ კუდრაჭა (სტუმარს), სად ჰქონდა საგანგებოდ შენახული ჩემი პატარა ბირდაბირი-ხერხი და კიდევ არ მახსოვს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

მე მაკაჭუნისათვის მოსაყოლო დიდი არაფერი მქონდა. სრული ორი თვე, პაპანაქება სიცხეში, შუშაბანდში მაგიდის ქვეშ თამაშის დროს ყურს ვუგდები თუ როგორ ემზადებოდნენ გამოცდებისათვის მაგიდის გარშემო მსხდომი ჩითის თხელ კაბებში გამოწყობილი დედა და მისი ამხანაგები. ერთი ის იყო, რომ საზეპიროების გამოკითხვის დროს, ზოგჯერ ხან ოლიკოს, ხან ნანას და ხან დედიკოს ვეხმარებოდი, როდესაც ზემოდან ჩამომძახებდნენ: თუ გახსოვს ხამურაბის კანონების ან ბერძნულ-რომაული სამართლის ამა და ამ მუხლში ეს სიტყვა-ტერმინი გამოყენებულია თუ არაო.

სოფელი ადრე იძინებდა, რადგან დენი არ იყო და ნავთივ დეფიციტად ითვლებოდა. მხოლოდ ბებია განაგრძობდა საქმიანობას ჭრაქის შუქზე. ასევე შრომობდა, უკვე საკმაოდ ხანდაზმული ბებო, სოფლის სახლისა და კარ-მიდამოს ჩალის ფასად გაყიდვის შემდეგ, ჯერ ჩვენთან და მერე ქეთო დეიდასთან თბილისში. თუმცა, დროდადრო, ჟურნალ „ცისკრის“ პროზის განყოფილებაზე თვალის გადავლება არა და არ ავიწყებოდა. სამოცდაათიანი წლების ბოლოს, ბებომ, როგორც ომში დაღუპული ქმარ-შვილის პატრონმა, აღმასკომიდან წერილი მიიღო ომის დროს წართმეული ბინის დაბრუნების ან სამაგიეროს მიღების დაპირებით, მაგრამ მთავრობაზე გაბრაზებულმა („რა გარანტია ჰქონდათ, რომ აქამდე უსახლკარო ცოცხალი დავრჩებოდიო“), წერილი დახია და საქმეს მსვლელობა არ მისცა.

ბებოს შვიდივე დედმამიშვილი, სისო და ანტიოფ ასათიანების შვილები, ასეთივე დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. სისო პაპა (ნათლობის სახელი ვერა და ვერ გავიხსენე), 105 წლის გარდაიცვალა თბილისში; მას ჩვენც, მისი შვილიშვილისშვილებიც მოვესწარით. ერთხელ, დასავლეთში სოფლისაკენ წასულებმა, მექვენაში აგრაფინა ბებიას ერთ-ერთ დას, ნემსაძეზე გათხოვილი ლიდას, ასლან გელოვანის ბებიას გავუარეთ. ლამაზი, გაწკრივებული ხის სახლის პირველი სართულის ღია აივანზე ღრმად მოხუცებული სისო პაპა მზეს მიფიცებოდა, რომელიც ზახულს ჩვეულებრივსამებრ სოფლად ატრებდა. მე რომ დამინახა, აშკარად ესიამოვნა მოხუცს, ღიმილით მუხლებზე დამისვა და რაღაც მკითხა. უფროსები ერთსა და იმავე კითხვებს გვისვამდნენ პატარებს და ამიტომ ადვილად მივხედი, რაც უნდოდა. რიხიანად დავიწყე:

„Широка страна моя родная,
Много в ней лесов, полей и рек!
Я другой такой страны не знаю,

Где так вольно дышит человек.
 От Москвы до самых до окраин,
 С южных гор до северных морей
 Человек проходит как хозяин
 Необъятной Родины своей.
 Всюду жизнь привольно и широко,
 Точно Волга полная, течет.
 Молодым везде у нас дорога,
 Старикам везде у нас почет...“

ამასობაში, ლიდა ბებია მხატვის წინ ლოცვა დაამთავრა და აჯაფსანდლის კეთება დაიწყო. თეთრ-ბლანჟეიანმა, ქათქათა ტანისამოსში გამოწყობილმა სისომ, ღიმილით უცბად გაულექსა: „აჯაფსანდალი იყო სკანდალი...“ (მეტი აღარ მახსენდება). მერე კი, შენ ხომ ვახტაგი გქვიაო, მითხრა და ეს ლექსი მიაყოლა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
 ციდან ჩამოესმა რეკა,
 იალბუზზე ფეხი შედგა,
 დიდმა მთებმა იწყეს რეკა“.

ლექსი რომ დაამთავრა, მუხლები მოულოდნელად აათამაშა და გააგრძელა:

„აჩუ, აჩუ, ცხენო,
 საით გაგაჭენო,
 ჯერ ქერი არ გიჭამია,
 შე კუდმოსაჭრელო.
 ალაზანი დიდია,
 შიგ ბებერი ჰკიდია,
 პური ვთხოვე არ მომცა,
 ჩემი ცოდვა ჰკიდია“.

სისო ბაბუამ ლექსი რომ დაასრულა, ზუსტად ჩვენს წინ, იატაკზე, პატარა ბარტყმა გაადინა ზღართან. ჩემდა გასაკვირად, პაპამ გაბრუებული ყვითელნისკარტა იატაკიდან ძალიან ადვილად აიყვანა ხელში, ისე რომ პატარა სკამიდან არც კი წამომდგარა და არც მე ჩამოვუსვივარ მუხლებიდან. ეს უცნაურად წყნარ გარემოცვაში ხდებოდა. ოჯახის წევრებითა და მოსასვენებლად წამოწოლილი სტუმრებით სავეს ოთახებიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხოლო ბოსტნის მზრიდან საშიშად მოდუღუნე რიონის ხმა მეტ განსაკუთრებულობას სძენდა ყოველივეს. როდესაც ბარტყი გონზე მოეგო, სისო პაპამ, თავზე ლოცვით სამჯერ შემომავლო და მეჭი გაშალა. ჩიტუნამ კარგა ხანს

გვათვალისწინებთ ორივე, მერე პაპას დაძარღვულ მაჯას დაეყრდნო ფრთებით და გაფრინდა.

ბავშვობაში, დასავლეთში მოგზაურობის დროს, ნათესავების სახლებში სტუმრობისას ყოველთვის მაკვირვებდა მდიდრულად დეკორირებული ქამარ-ხანჯლებისა და ხმლების ანუ ძველი დროის მაღალი სოციალური სტატუსის აღმნიშნელი ნივთების არსებობა. არაფერი მსგავსი თბილისელების ბინებში არ მენახა. ასე იყო მექვენაში ლიდა ბებოსთან, ქუთაისში აბელა ბაბუასთან და ცაცუ ბებოსთან ცხუკუშერში, სადაც ამ ნივთებთან ერთად მიწის ნაკვეთების შექმნის დახვეული დავთრებითა და ძველი საოჯახო სურათებით სავსე პატარა ზანდუკიც იყო. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა აგრაფინა ბებია მშობლების ნამდვილად თავადური სახლის ინტერიერი შიდა კიბით, რომელიც ცხენების უნაგირებისა და სხვა აკაზმულობის შესანახ სპეციალურ ოთახში ადიოდა. ამავე სახლში, განსაკუთრებით ბავშვებისათვის ბევრი სხვა საინტერესო ნივთი ინახებოდა. მათ შორის, ცხრაასიანი თუ ათიანი წლების ამერიკული, „ჟილეტის“ ტიპის თეთრი მეტელის წვერის საპარსი, სალაშინის მსგავსი სამკუთხედი მჭრელი პირით, რომელსაც ტარზე ამერიკული დროშა ჰქონდა ამოტვიფრული. იქვე იყო ძველი სტერეო-სურათების დიდი კოლექცია, მე-19 მე-20 საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ღირსშესანიშნავი ადგილების ხედებით (მათი დასათვალისწინებელი სპეციალური სათვალის-მაგვარი სახელურიანი ჩარჩოთი), ძველი ფერწერული ტილოები ზღვის პეიზაჟებით, ძვირფასი ბარომეტრი, ჭადრაკის დაფა-მაგიდა ბროლის მაგვარი შემინული კარადით და სხვა. ეტყობა, ამ ნივთების ნაწილი ოციანი წლების „ნეპის“ დროს იყო ალე ბაბუას მიერ რუსეთში შექმნილი.

ხელმძღვანელი

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, მამამ მითხრა, რომ ნაწყენი იყო მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტზე, რომელსაც მისთვის წლების წინათ უკითხავს თუ სად გააგრძელებინე უნივერსიტეტის შემდეგ შენს ვაჟს სწავლაო. როდესაც გაუგია თუ სად ჩავაბარე ასპირანტურაში, გაოცებულს პირდაპირ უთქვამს: კაცო, ეს რა გიქნია, დაგიღუპავს ბიჭი, მაგ ხალხი ერთმანეთთან ჩხუბის გარდა არაფერს არ აკეთებსო. თურმე სიმართლეს მეუწებოდაო, გულდაწყვეტით მითხრა მამამ.

ასპირანტურაში ყოფნის პერიოდში, ხელმძღვანელმა, რომელიც ყველას ყველაფერში ეჯიბრებოდა (ეტყობა მამაჩემსაც: ერთხელ განყოფილების თანამშრომლებით გარშემოტყუმულმა, ყველას გასაგონად მითხრა: შენ და მამაშენს რაც არ უნდა დაგავალოთ

დროულად მაინც არ შეასრულებთო. საიდან სადაო წმინდა საბაო?!), მხოლოდ ორჯერ დამიბარა „სალაპარაკოდ“, ისიც სახლოში და ერთხელ ბორჯომის ხოლო მეორეჯერ ლიმონათის მოსატანად გამაგზავნა. სულ ეს იყო და ეს ჩემი ასპირანტურა. პირველი შეხვედრის დროს, უცნაური „სამეცნიერო“ რჩევა-დავალება მომცა: „ მე შენზე უარესი ღლავი ვიყავი, ეხლა ხელები კარგად დაიკაპიწე და ჩხუბში ჩაერთეო“. ვისთან და რაზე იყო ჩხუბი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, როდესაც ჩემს საკვალიფიკაციო ნაშრომად მისი ყოფილი უფროსისა და მთავარი „კონკურენტის“ თანამშრომელთა საკვლევ თემებთან „დაპირისპირებულნი“ თემატიკის დამტკიცება დაიწყო. ჯამში, სულ სამჯერ (!) შემიცვალა ოფიციალურად სადისერტაციო თემა და ბოლოს, მრავალი წლის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, საპენსიოდ გამზადებული, მგონი ინსტიტუტის დირექციამ აიძულა, რომ წლების წინათ გამოქვეყნებული ჩემი წიგნის საკვალიფიკაციო ნაშრომად დაცვაზე თანხმობა მოეცა.

განყოფილების ხანდაზმული გამგე ჩემდამი თავიდანვე ხაზგასმით უცნაურ დამოკიდებულებას იჩენდა: თუ სხვებს კონფერენციებსა და ექსპედიციებში მონაწილეობას აძალბდა, მე პირიქით ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას ფაქტიურად მიკრძალავდა, ვითომ ზრუნავდა, დისერტაციის წერას არ მოწყდო. ამის გამო, წლების განმავლობაში, საკუთარი ინიციატივითა და თანხებით მიწევდა ველზე მარტოდმარტოს მუშაობა, არც თუ იშვიათად კუთვნილი შვებულების ხარჯზე. სხვებს თუ გამოსაქვეყნებელ ნაშრომებზე ვიზას წესისამებრ ნაშრომის სატიტულო გვერდის მარცხენა ზედა კუთხეში ადებდა, მე პირიქით მარჯვენა ქვედა კუთხის უკიდურეს კიდეზე მიწერდა ხელს და თან ნაშრომს აუცილებლად სხვების დასანახად უკან გადმომიგდებდა ხოლომე ეს დროული კაცი.

ერთხელ ნამდვილ კურორზამდეც მივიდა საქმე. გიორგი V ბრწყინვალის (1286 -1346) „ძეგლისდების“ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოპოვებული საველე მასალების შეჯერების შედეგად, ამ უნიკალური სამართლის ძეგლის ერთ-ერთი ძირეული სოციალური ტერმინი, კერძოდ *ჰეროვანი* და *კაი ყმის* ინსტიტუტი ერთმანეთს დავუკავშირე, ხოლო თავად ტერმინი ბერძნულ-რომაული *hero* -ს ქართულ ვარიანტად მივიჩნიე. განყოფილებაში წაკითხული წლიური თემის საფუძველზე, ჩვეულებრივ, საინსტიტუტო კონფერენციის მოხსენებები მზადდებოდა და მეც გადავწყვიტე, ამ მეტად საინტერესო საკითხზე მოსხენება გამეკეთებინა. უფროსმა, კონფერენციის დაბეჭდილი დღის წესრიგი რომ ნახა, სახლოში ორჯერ დამირეკა, ბოლოს კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე კონფერენციაზე გამოსვლა ამიკრძალა, თან დირექციაში ჩასაბარებელი ჩემი წლიური ნაშრომიდან ტერმინ *ჰეროვანთან* დაკავშირებული ნაწილის ამოღება დამავალა. ძალა აღმართს ხნავსო ნათქვამია და მეც დავყვი რატომღაც

განჩხლებული უფროსის ნებას, მით უმეტეს, უკვე კარგად ვიცოდი, რომ შესიტყვებას არავის არასოდეს აპატიებდა.

ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, უფროსმა, უცებ, განყოფილების გაკვირვებულ თანამშრომლებს სხდომაზე „გვანარა“: „ძეგლისდების“ ჰეროვანი, კაი ყმის ინსტიტუტი და ინდოევროპული ჰერო-ჰეროი ერთმანეთს დავუკავშირე და სულ მალე წაგიკითხავთ ამის შესახებ მოხსენებასო. ამ განცხადების შემდეგ, სხდომაზე მეტისმეტად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, ხომ გახსოვთ წლიურ თემაში სწორედ ამ საკითხზე მქონდა ვრცელი მსჯელობათქო. ამ ჩემს ნათქვამს თვალეზღაწკურული შემოხედვითა და დუმილით უპასუხა და სახლში ისე წავიდა, რომ არავის გამოგვმშვიდობებია. მაშინ პირველად გამიელოვა თავში აზრმა, რომ მას დროდადრო მგონი მანსოვრობაც ღალატობდა.

მორიგი, ნაკლებ სასიამოვნო „ეპიზოდი“: სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში, საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიური იერიში მიიტანა ძირძველი ეროვნული ტრადიციების სფეროზე და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა თითქმის ყველა მამაპაპურ წეს-ჩვეულებას, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების წესისათვის შეუფერებლად გამოაცხადა. მალე ამ მასშტაბურ კამპანიაში ოცი-ოცდაათიანი წლების „კულტურული რევოლუციის“ თანმყოფი სოციალური კონტროლის, სინამდვილეში კი ტერორის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებას მიჰყვეს ხელი. ხალხი დაშინდა: ნათლობა-დღეობა, ქორწილისა და ნებისმიერი სხვა სუფრისა თუ თავყრილობის ან უბრალო შეკრების გამართვა პრობლემად იქცა დასმენის, დარბევის, თანამდებობის ან სულაც სამსახურის დაკარგვის ან სხვადასხვა სახის სასჯელის, „გაფრთხილების“ და „პირად საქმეში შეტანილი საყვედურის“ შიშით.

კაცმა რომ თქვას, არაფერი ახალი არ ხდებოდა. ანალოგიური კამპანიები ცარიზმის რუსიფიკატორული კოლონიალური რეჟიმის შემადგენელი ნაწილი იყო ოდითგანვე. პროპაგანდა-აგიტაციით გაბრუებულებს, ეს ყველას როდი ესმოდა. ამიტომ სრულიად ახალგაზრდამ გადავწყვიტე ისეთი ნაშრომი დამეწერა, სადაც მეტნაკლები სისრულით გამოჩნდებოდა თუ როგორ გაართვეს თავი მეფის მთავრობის მიერ თავსმოხვეულ მსგავს აგრესიულ კამპანიებს ჩვენმა წინამორბედებმა. დასრულებული წიგნი, წესისამებრ, სარედაქციოდ, განყოფილების გამგეს სახლში მივუტანე, იმის იმედით, რომ წაუკითხავად ხელს მოაწერდა. ასეც მოხდა: ცხონებულმა ხელმოწერილი დედანი უკან გადმომიგდო და თან მოაყოლა „ეგ მამაშენმა წაიკითხოსო“.

ნაშრომის ხელნაწერი მეორე დღეს აკადემიის გამომცემლობას ჩავაბარე. სულ მალე, ცენზორმა, საცენზურო კომიტეტთან განსაკუთრებულად

დაახლოებული ინსტიტუტის თანამშრომლის პირით შემოთვალა: ამ წიგნის გამოქვეყნება თუ გინდათ, ავტორს ნაშრომიდან ესა და ეს გვერდები ამოაღებინეთ, ხოლო დანარჩენებზე, უკლებლივ ყველაზე ინსტიტუტის დირექტორმა უნდა მოაწეროს ხელი. უფროსმა, მისი მეუღლის საშუალებით, სასწრაფოდ დამიბარა სახლში, უკვე აშკარად არც ლიბონათის და არც ბორჯომის მოსატანად. თვითონ თავზე ცივ-საფენებწაკრული და მეტად ფერწასული დამხვდა, მწოლიარე: შენ ჩემო ძმაო თუ ციხეში წასვლა გინდა უჩემოდ, წადი, მე თავი დამანებეო. ოღონდ ჯერ რაც ცენზორმა შემოგვითვალა, უსიტყვოდ გააკეთე თუ კაცი ხარო, აკანკალებული ხმით მითხრა და ზურგი შემექცია.

ნამდვილად შემეცოდა. გაგებული მქონდა, რომ ემიგრანტი ნათესავის გამო, რაღაც უსიამოვნებები ჰქონოდა გადატანილი წარსულში. ისიც გავიფიქრე, რომ მისი უცნაური, ინსტიტუტის მასშტაბში ჩემდამი საჯაროდ აფიშირებული ნეგატიური დამოკიდებულება, ერთის მხრივ, უშიშროების კომიტეტის თანამშრომლების მიერ ჩემი პიროვნებისა და საქმიანობისადმი გამოჩენილი ინტერესითაც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული. ასეთი წნების ქვეშ მყოფი ადამიანის საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობაზე დაყოლიება, ჩვეულებრივ, უადვილდებოდათ მეცნიერებათა აკადემიაზე მიმაგრებული უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლების ხელშეუხებლობისა და გარანტირებული კარიერის დაპირებებით შეიარაღებულებს.

წიგნთან დაკავშირებით, მე მართლაც სხვა გზა მაინც არ მქონდა, წლების მუხლჩაუყრელო შრომას წყალს ხომ არ გავატანდი და ნაშრომი ისე შევკვეცე, რომ წამკითხავი მაინც მიხვდებოდა თუ რაში იყო საქმე.

მთაში

70-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თვეების განმავლობაში მარტოდმარტო მუშაობის დროს, ბევრი რეალური და ბევრიც ალბათ, ქალაქისა და სოფლის ცხოვრების წესების განსხვავების გამო, ჩემს მიერ გამოგონილი სიძნელეების გადალახვა მიწევდა. იქ ხომ ბებია აგრაფინა არ იყო, რომ მის მიერ მოწეული მზამზარეულო ჭირნახულზე ჩემთვის მასპინძლობა გაეწია. ყველაფერი პრობლემა გამიხდა: ჭამა-სმა, ღამის სათევზი, უცხო და უგზო-უკვლო მთიანეთში სიარული ჩემი ბარგი-ბარხანით (ზურგჩანთა + საძილე ტომარა + ტყავის მძიმე კოფრი ფოტოაპარატით, გამანათებელი დიდი „ბლიციტ“, მაგნიტაფონით, კასეტებითა და სათადარიგო ელემენტებით სავსე), სამეურნეო საქმებით დატვირთულ მთიელებთან ურთიერთობა, უფროსის მიერ მოცემული „დედინაცვლის დავალებები“, რომლების მიხედვით, საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე დასახლებებში „არქაული“ კულტის და „ადრეკლასობრივი“ პერიოდისათვის

ნიშანდობლივი სოციალური ინსტიტუტების „გადმონაშთები“ უნდა მომეძია, ფული, ფული და კიდევ ფული და სხვა მრავალი.

მონტეგები და კაპულები

ველოზე მუშაობის პროცესში, არა ერთი სამახსოვრო შემთხვევის თუ მოვლენის მომსწრე და მონაწილე გავხდი. ერთხელ ქვეყნის დასალიერში, თოვლიან მთებში ჩამალულ ციხე-სახლიან და კოშკიან კოპწია ერთი ციდა სოფელში მასპინძელს ვესაუბრებოდი, ვისთანაც ბინად ვიდექი ექსპედიციის ორ თანამშრომელთან ერთად, რომ კარზე ახლოგაზრდა ვაჟი და მისი თანმხლები მამაკაცი მოგვადგნენ. მეზობელი ასევე პაწია სოფლიდან არყის სავსე ბოთლით მოსულ მთიელებს ეტყობოდათ, რომ მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ ჩვენს მასპინძელთან. ბოსლის თავზე მოწყობილი ოთახიდან გასვლა დავაპირე თანამშრომლებთან ერთად, მაგრამ მასპინძელმა და ახლად მოსულებმაც დარჩენა გვთხოვეს. ორივე მხარეს აშკარად ჩვენი თანადგომის იმედი ჰქონდა.

ასე შევესწართ სრულიად ახლოგაზრდა მომხიბლავი ქალიშვილის ხელის სათხოვნად მოსული ბიჭისა და მისი თანმყოლის, მთლიანად მთიელების წეს-ჩვეულების მიხედვით გამართულ ვრცელ საუბარს გოგონას მამასთან. ორივე პარტია ხაზგასმული პატივისცემით ეპყრობოდა ერთმანეთს. გოგოსა და ბიჭს თურმე დიდი ხნის დიდი სიყვარული აკავშირებდათ და ცოლ-ქმრობის პირობაც ჰქონიათ დადებული. საპატარძლოს მამა, მიუხედავად იმისა რომ გზაზე მყარად დამდგარსა და სიმპატიურ და გამრჯე ვაჟს მისი ქალიშვილის შესაფერის პიროვნებად თვლიდა, მაინც მათი შეუღლების სასტიკი წინააღმდეგი აღმოჩნდა. ისიც მხოლოდ ერთადერთი მიზეზის გამო: ბიჭის ოჯახის წევრს გოგოს დედის ოჯახის წევრი ჰყოლია ოდესღაც შემთხვევით მოკლული. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს სასჯელი კარგა ხნის წინათ ჰქონია მოხდილი და მოსისხლე ოჯახები მთიელების წესის თანახმად დიდი ხნის შერიგებულებიც ყოფილან, ანუ „თავ-სისხლი უთავებიათ“, ჩვენი მასპინძელი მაინც მტკიცე უარზე იდგა: ქორწილი რომ გავმართოთ, ვაჟის ხალხი იცეკვებს, იმღერებს და იმხიარულებს და ამის შემყურე ჩემი ცოლოურები ვერ მოითმენენ, ნამდვილად ვიცი ახალ უბედურებას დაატრიალებენო.

საოცრად დრამატული სიტუაცია შეიქმნა. ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ, ერთის მხრივ, უფაქიზესი გრძობებით დაკავშირებული მთიელი ქალ-ვაჟი, მართლაც მშვენიერი წყვილი, და მეორეს მხრივ, ქალიშვილის ბედნიერებაზე დღენიადაგ მოფიქრალი მამა, რომელიც მთიელთა ცხოვრების წესის ცოდნით დამძიმებული საიმედო დარაჯად ედგა ყოფილ მოსისხლეებს შორის თემის

წარჩინებული კაცების მიერ ათეული წლების ზრუნვა-მონღომებით მიღწეულსა და ყველასათვის მეტად ძვირად ღირებულ მშვიდობას. ჩვენ, ამ შემთხვევის უნებლიე მონაწილეები, ორთავე მხარეს თანავუგრძნობდით, მაგრამ ამავე დროს სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ვხედავდით. მოსულებმა ახალი არგუმენტების მოშველიებით ჩვენი კეთილი მასპინძლის თანხმობის მოპოვება კიდევ ერთხელ სცადეს და შეთანხმების დასტურად მათ მიერ მოტანილი არყის რიტუალურად შესმა შესთავაზეს. უკანასკნელმა ძველი წესითვე უპასუხა: ქუდი თავიდან მოიხადა და მოსულებს ღიმილით ფეხებში მიუგდო და ამ ქესტით მათ ელოჩობას წერტილი დაუსვა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მეზობელ სოფელში თავშეყრილ მამაკაცებთან საუბრის ბოლოს, ჯგუფური ფოტოსურათი გადავიღეთ. მასზე, წინა რიგში, ცალ მუხლოზე დაჩოქილი, ფიქრებში წასული და თავკაქინდრული ვაჟია გამოხატული. მისი სატრფოს, სიყვარულით გაცისკროვნებული გოგონასა და უკანასკნელის ნათესავი მწყემსი ქალიშვილის ფოტოსურათი იმ შემთხვევამდე გაცილებით ადრე მქონდა გადაღებული. ორივე სურათი მე და შოს გერმანიაში გამოცემულ წიგნშია შესული (Ethnography and Folklore of the Georgia-Chechnya Border: Images, Customs, Myths & Folk Tales of the Peripheries, Munich: Lincom Europa, 2008). დროდადრო ამ ნაშრომის გადახედვა მიწევს და ხშირად მაგონდება ჩვენებური მონტაჟებისა და კაპულებების დრამატული დაპირისპირების ამბავი და სულ თავს ვიძიებ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა ალბათთქო.

მთიელთა ეგზოტიკური ცხოვრების წესის შესახებ წლების წინათ დაწერილი რამდენიმე გამოუქვეყნებელი ნარკვევი შემომრჩა და თუ დრო და საშუალება მომეცა ამ შინაურული პოპურის დანართში ჩავბეჭდავ, რადგან იმ ტექსტებში ნათლად ჩანს რაც მთას ბარისაგან განასხვავებდა.

წყარო

ერთ-ერთ ცხრა მთას იქით გადაკარგულ სოფელში მისასვლელად, ძალიან დიდხანს მომიწია, მეტისმეტად მწყურვალს, ფიქალი ქვის ნამსხვრევებით დაფარულ ციცაბო მთის ფერდზე სიარული. ფეხქვეშ საშიშად ასხლეტილი ქვები კარგა ხნის შემდეგ ზღართანს ადენდნენ ქვემოთ, თეთრი ზოლივით დაკლაკნილ მდინარეში. დილის ბინდ-ბუნდში გახვეული თოვლიანი მთებიდან ჩამონადენი ნაკადულებით დასერილი ხეობა ქარვაში ჩაყინულ გიგანტურ საცეცებიან ობობას ჰგავდა. არადა წყარო არ ჩანდა და არა. ოფლოში გაღვრილი, იმის იმედით, რომ წყაროს ან ადამიანს მოვკრავდი თვალს, ხეობას გოჯ-გოჯად ვსწავლობდი. ბოლო-ბოლო, როგორც იქნა, ბილიკზე კაცი

გამოჩნდა. ერთი სული მქონდა, როდის გავუსწორდებოდი, რომ წყაროს ამბავი მეკითხა. დილაადრიანად უცნოს თვალი მოკრა თუ არა, მთიელმა გეზი შეიცვალა და ფერდობზე დაშვება დაიწყო. ელდა მეცა, ღვთის მიერ გამოგზავნილი კაცი არ დავკარგოთქო და მეც ქვევით ჩავიწიე. ეს რომ დაინახა, ფენს აუჩქარა და მალე თვალიდან დამეკარგებოდა, რომ არ დამეძახა. მთიელები ისე სწრაფად დადიან, რომ ცხენზე მჯდომ ბარელსაც კი გაუსწრებენ. არ დამავიწყდება, ერთხელ ორწყალში ზურგჩანთიანი კოჭლი ფშაველი შეგვხვდა, ფენით შუაფხოსკენ მიმავალ მე და ჩემს მეგობარს. ბოდიში მოგვინადა გაკვირვებულებს, თქვენთან ერთად ვერ ვივლი, მეჩქარებაო და მალე გაგვცილდა. ჩვენ რომ შუაფხოს მივალწიეთ, ის უკვე კარგახნის მისული, დასვენებული და ნაბახუსევი დაგვხვდა. მთიელებმა იციან თქმა, ბარელებს მუხლი არ უვარგათ, ჩვენი ფენმძიმე დედაკაციც კი აჯობებთ სიარულშიო. ეს რომ ასეა, ბარისახოს თემში მუშაობის დროს დავრწმუნდი, როდესაც ვერაფრით ვერ ავუწყვე ფენი აღმა-დაღმა სიარულის დროს ახალგაზრდა ფენმძიმე თუმ მანდილოსანს, მუხედავად იმისა, რომ თბილისელ თანატოლებში მაშინ მუხლმოუღლელებად ვითვლებოდი.

სალამ-ქალამს რომ მოვრჩით, წყაროს ამბავი ვიკითხე. რომელ წყაროზე მელაპარაკები, ვერ გავიგეო. რომ ისმება მეთქი, ისეთზეთქო. შე კაი კაცო, წყალს მიაქვს აქაურობა, ვერ ხედავო, მითხრა და ფიქალის ქვებ შორის ჩამოსული ნაკადულებისაკენ და ბოლოს მდინარისაკენ გაიშვირა ხელი. კი მაგრამ ესენი ისმება კი თქო, უნდა მეკითხა, რომ გაბრაზებული გამეცალა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ კლდე-ღრეში ამოსული, ალბათ, თავიდან მოსისხლე ვეგონე, მერე კი იმიტომ, რომ ონკანის წყალზე გაზრდილი ტიპიური ქალაქელი შერჩა ხელში. ჭიქა, ჭიქა ხომ გაქვსო, მომაცხა შორიდან. არადა მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი უჭურჭლოდ როგორ შემეგროვებინა და დამელია თოვლიანი მთებიდან ჩამოდენილი წყალი.

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა...“

მთიულეთში, ხადას ხევის ბოლო სოფელ ქოროლოში მუშაობის დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე იქიდან ცეცხლიჯვარის სალოცავისა და დიდველ-კაიშაურის ველის გავლით მლეთის დაღმართზე საცალოფებო ბილიკით დავშვებუდიყავი, ხოლო არაგვზე გადასვლის შემდეგ, საქართველოს სამხედრო გზით სოფელ ქვეშეთის სკოლაში მივსულიყავი ღამის გასათევად.

მლეთის დაღმართზე ჩასვლას კარგა ხანი მოვანდომე. როდესაც არაგვზე გადასვლის შემდეგ გზაზე ავედი, იქ ასფალტის დაგებაზე მომუშავეების უფროსს ასანთი ვთხოვე. “ვაჰ მე, ქართველი ხარ კაცო?!”

ჩვენ ზურგჩანთიანი რუსი ტურისტის გვეგონე და უკვე ერთი საათია გაგინებთ: რა უნდა ამ კლდე-ღრეში რო დაეხეტება, წერას ხომ არ აუტანია ეს საცოდავითქო“. ასე, რაზე ირჯებიო, მკითხა. ვუპასუხე. სიჩუმე არჩია იმის თქმას თუ ნამდვილად რას ფიქრობდა. მაშინ უკვე აღარ მიკვირდა ადგილობრივების ნეგატიური დამოკიდებულება მხარეთმცოდნეობითი საქმიანობისადმი. სწორედ ხადაში, ბურსაჭირის ალპიურ საძოვრებზე ასულს, ერთმა შუახანს გადაცილებულმა ქალმა პირდაპირ მითხრა: „ჯანმრთელი ახალგაზრდა ჩანხარ და ნამდვილ საქმეს რატომ არ ჰკიდებ ხელსო“. ამგვარ ნიჰილიზმს კიდევ ისიც ასაზრდოებდა, რომ ველზე სამუშაოდ ჩამოსულების მიერ მომზადებულ პუბლიკაციებში, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ კუთხის ყოფაცხოვრება არ არის „სიმართლით“ გადმოცემულიო, პირდაპირ მითხრა მეორემ. მაგალითად, ადგილობრივი დიალექტის ტექსტების ერთი პუბლიკაცია დამისახელა, სადაც საპნის შემცველი ხსნარის დამზადების ძველი ხერხია დაწვრილებით აღწერილი. „ისე გამოდის, თითქოს ჩვენს კუთხეში საპონი რა იყო არ ვიცოდით. აბა ეს რანაირი მეცნიერებააო“, გულნაწყენი იყო კაცი.

მხარეთმცოდნეობის ასეთ „ოპონენტებს“ ყოველთვის მხარდამჭერები სჭარბობდნენ. ისინი შეძლებისაგვარად ცდილობდნენ ველზე მომუშავესათვის ხელი გაემართათ. არაერთმა ასეთმა ადმიანმა დამამახსოვრა თავი. ერთხელ, გვიან შემოდგომაზე ველზე მუშაობის პროცესში, დამიზამთრდა. უხიაგო კვებისაგან მისუსტებულს სურდომ დამრია ხელი. გუდამაყრელმა გლეხმა, რომელთანაც ბინა ვიქირავე, მისი ცივი სახლის წინ თოვლზე ნაბადი გაშალა და მზეზე „გამოსაცხობად“ გამიყვანა, თან ადგილობრივი ერბოთი „მკურნალობდა“. მისმა მეზობელმა მოხუცმა მანდილოსანმა კი შვილების მიერ ბარიდან მისთვის ამოტანილი ხილი მომიკითხა. როდესაც ვივუარე, არგუმენტად შემდეგი მითხრა: „აბა, რას ამბობ ვაჟო, ამ მსხალს რომ პირი ჰქონდეს, თავისთავს შაშქამდაო“.

ბილიკი

არდოტისაკენ მიმავალს, სულ ცოტადა მქონდა გასავლელი, რომ მოსახვევში გაკვირვებულმა გზა ველარ დავინახე: მთის ძირში გამავალი ბილიკი წინა ღამით ადიდებულსა და კალაპოტშეცვლილ ანდაქის წყალს წაეღო. ჩაქცეული ბილიკის ნაპირზე ზურგჩანთა დავდე და ზედ ჩამოვჯექი. მალე დავრწმუნდი, რომ სხვა გზა აქ არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ციცაბო კლდეზე, რომლის ძირში ბილიკი გადიოდა, ადამიანი ფეხის ვერ მოიკიდებდა, ხოლო ადიდებული ანდაქის წყალში ჩემი შესვლა, თან ბარგი-ბარხანით, ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო. კარგა ხანს ვიჯექი ასე ამღვრეული და ხმაურიანი მდინარის ახალ გაჩენილ ნაპირზე, რომ უცებ ზურგზე რაღაც შემეხო. გამიხარდა, ვილაც

გამოჩნდათქო. ზურგჩანთიდან აუღდგომლოად, უკან მივიხედე და მძიმედ დატვირთული ვირის თბილი დრუნჩი შემრჩა ხელში. მალე ბილიკზე ბარგაკიდებული მისი პატრონიც გამოჩნდა. სრულიად ახალგაზრდა ქალს ფქვილის ტომარა, პირამდე სავსე ხურჯინი და კიდევ რაღაც ბოხჩა გაედო ბეჭებზე. ყოველივე ამაზე ზემოდან კიდევ ცინკის დიდი ტაშტი ჰქონდა წამოხურული. რა უნდა ვქნათ ახლათქო, ვკითხე. მე მომყვილი, წყნარად მიპასუხა, ისე რომ არც შეჩერებულა. ცინკის დიდი ტაშტი ხელში მომაჩეჩა, ხოლო საპალნიანი ვირი მდინარეში შეაგდო. გულმა რეჩი მიყო, ვერ მივხვდი რას აპირებდა. მოულოდნელად ქალი ციცაბო ფერდისაკენ შებრუნდა, ჩემს ნავალზე დაადგი ფეხი, მომძახა და წინ გამიძღვა. არაფერი მსგავსი არასოდეს არ განმიცდია, არც მანამდე არც იმის შემდეგ. მძიმე ტვირთის ქვეშ წელში მოხრილი ახალგაზრდა ქალი ციცაბო კლდეზე აქა-იქ ამოწვერილ ბალახის პატარა კორომებს მარდად ადგამდა როგორღაც ფეხს და თან შუა მდინარეში მკერდამდე წყალში მდგარ ვირს ქვებს ესროდა: ფეხი გადაადგი, შე სამგლე, რამ შეგაშინაო. მე რას ვაკეთებდი ამ დროს, ზურგჩანთა + კოფრზე ცინკის დიდ-ტაშტ-წამოფარებული, ნამდვილად ანგარიშში არ ვიყავი. ერთი კია: მეგონა, რომ ქალი გაჯიუტებულ ვირს კი არა მე მიყვიროდა: ფეხი გადმოადგი, შენ რაღა ჯანდაბა დაგემართა, კაცოო.

გავივაკეთ თუ არა, ჩემი ბარგი-ბარხანა ტაშტიანად მიწაზე დავყარე და ბალახზე გავკორდ-გამოვკორდი. როდესაც წამოვდექი, აღარც ქალი, აღარც ვირი და აღარც ცინკის ტაშტი ჩანდა სადმე.

ერთხელ, იმავე ხეობის ბოლო სოფლისაკენ მიმავალს აი, რა შემემთხვა. შატილში ვირი ვიქირავე და ჩემი ბარგი-ბარხანა ზედ ავკიდე იმის იმედით, რომ ხანაბომდე მსუბუქად ვივლიდი. ჩემდა გასაოცრად, ჯიუტობის გარეშე ხალისით მავალი სახედარი შუა გზაში უცებ ბილიკიდან მდინარეში გადავიდა და მოპირდაპირე ნაპირს ცერულად, აჩქარებით, მიაშურა. სხვა გზა არ მქონდა, მეც უმაღლ შევტოვე მუხლებამდე ყინულივით წყალში, რომ ვირის ზურგზე დამაგრებული საპალნე როგორმე დასველებას გადამერჩინა. ფაქტიურად, პატარა ჩოჩორი ბარგიანად ხელში ატატებული გავიყვანე მეორე ნაპირზე, სადაც თურმე მის პატრონს საზაფხულო ქოხი ჰქონია და ბალახს თიბავდა. ის იყო და ის, იმის იქით მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა ხანაბომდე ზურგით ვატარე, რადგან საარაკოდ გაჯიუტებული ვირი ადგილიდან ველარ დავძარით ვერც მე და ვერც ვირის პატრონმა.

“კეთილი სამართლის“ იგავის მწემსური ვარიანტი

ამხანაგთან ერთად, გაუკაცრიელებული მუცოსკენ მიმავალმა, გზის პირას მიწაზე გაშოტილო კაცს მოვკარი თვალი. ეტყობა ცხენიდან

გადმოვარდნილსა და მოვრალს ქვისთვის დაეკრა თავი და უგონოდ იყო. შორიანლოს, სამგზავროდ შეკაზმული ცხენი წყნარად ძოვდა ბალახს. რა არ ვცადეთ, მაგრამ ამოდ, ვერაფრით ვერ მოვიყვანეთ გონზე საბრალო. ეძინა თუ გულწასული იყო, ისიც კი ვერ დავადგინეთ. ცოცხალ-მკვდარი კაცის გზაში მიტოვება გვეთაკილა და გამვლელებს დავუწყეთ ლოდინი, ეგებ ერთად რაიმე ვილონოთთქო. სულ მალე ასეთიც გამოჩნდა, ჩვენდა გასაკვირად. დაცარიელებული მიღმახევის უგზო გზაზე კაცის გამოჩენა დიდი რამე იყო მაშინ. „ეგ, ახმეტელი მწყემსია, ფარა გაყიდა, ხურჯინი ფულით აივსო და აგერ უკვე ერთი კვირაა ქეიფობსო“, გვითხრა მთიელმა და ვითომც აქ არაფერია საგანგაშო, გზა განაგრძო.

გადავწყვიტეთ, მწყემსი უახლოეს სოფლამდე, ხონისჭალამდე ან ხონემდე როგორმე მიგვეყვანა და შემდეგ ჩვენი საქმისათვის მიგვეხედა. ფულიანი ხურჯინის გამო ვინმემ ყელი არ გამოჭრას ამ მამაცხონებულსთქო. როგორც იყო, ცხენზე შევსვით. მალე იძულებული გავხდი უკან შემოვჯდომოდი, რადგან უნაგირზე თავს ვერ იკავებდა და ასე ვაივაგლახით ვიარეთ კარგა ხანს აღმართ-აღმართ. როდესაც მთის ფერდზე შეფენილ ჭვავის ყანას დავადექით თავზე, მწყემსმა უეცრად გვერდიდან მუჯლოუგუნი მკრა და ჩემი კოფრიანად ცხენიდან მომისროლა. კარგა ხანს მივგორავდი ლიწილიწინით ჭვავით დაფარულ ფერდობზე, რომ უცებ მარჯვენა ფერდით საზღვრად ჩაგდებული სამანის ქვას წამოვკეე ზედ. თვალთ დამიბნელოდა. ასე მეგონა გატეხილმა ნეკნებმა გულ-ღვიძლი დამიგლიჯა.

ჩემი თანამგზავრის თვალწინ, უეცრად გაცოცხლებულმა ახმეტელმა სულ ჩორთით წაიყვანა თურმე ცხენი სოფლისაკენ. „ეტყობა, გზაში გონს მოეგო და იუკადრისა ქალაქელების დახმარებაო“, ამიხსნა მეგობარმა.

ჩალეწილი ნეკნების მიუხედავად, ჭკუა ვერ ვისწავლე და გაჭირვებულის დასახმარებლად გული დღემდე მაინც მიწევს ხოლმე.

20.02.15

იმავე იგავის ბერკლური ვერსია

ცოტა რამ „ზაფხულ გრილი და ზამთარ თბილი“ ქალაქის შესახებ: ბერკლი ცნობილია მისი უნივერსიტეტით, ლიბერლოურად განწყობილი უცნაური ადამიანებით და საარაკო მიკროკლიმატით. ზაფხულში როდესაც ყველგან პაპანაქება დგას, აქ სიგრილეა. წყნარი ოკეანიდან, გოლდენ გეითის ხიდის გავლით ბერკლიზე გადმოღვრილი ნისლი ქალაქს ქოლოგასავით ადგას თავზე. აქაურები

ზამთარში ხშირად თიშერთის, შორტებისა და ფლოსტების ამარა დადიან.

ხის ერთი და ორსართულიანი კერძო სახლებით გაშენებულ ამ პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში, საქვეყნოდ სახელოვანთქმული უმაღლესი სასწავლებელი უკვე საუკუნე ნახევარია წარმატებით ფუნქციონირებს. უნივერსიტეტში სამოციათასამდე ადამიანი სწავლობს და მუშაობს. მათ შორის ნობელის პრემიის 14 ლაურიატი. მოკლედ, 110,000-იანი ბერკლი უნივერსიტეტისათვის და უნივერსიტეტი ბერკლისათვის არსებობს და მუშაობს და სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე, ამ საზღვრის დადგენა ძალიან ძნელია.

ეს კონტა, სხვებისაგან განსხვავებული ქალაქი წყნარი ოკეანისაკენ, უფრო სწორად სან ფრანცისკოს ყურისაკენ დაშვებულ ფერდობზეა გაშენებული და უჯრებიანი რვეულის მსგავსად ავენიუებითა და მათი გადამკვეთი ქუჩებით არის დასერილი. ზემო მხრიდან ტილდენის რეგიონალური დიდი ტყე-პარკი, ხოლო ქვემოდან ბერკლის მარინა ანუ ყურის სანაპიროზე მოწყობილი სასეირნო პარკი და იალქნიანი ნაკებისა და კატარღების სადგომები აკრავს.

მის მთავარ ქუჩად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ორიენტირებული შატუკი ითვლება. ცნობილი ბიზნესების, სავაჭრო დაწესებულებებისა და რესტორნების თითქმის ნახევარი სწორედ აქაა განლაგებული. შატუკის ზემოთ არსებული, ოკეანიდან ყველაზე უფრო დაშორებული ქალაქის ნაწილი, უფრო პრესტიჟულია, ვიდრე მისი ქვემო უბნები. შესაბამისად, ბინის ფასი რაც უფრო მაღლა იწევს ადამიანი მთის ფერდობზე, მით უფრო მაღალია. ჩვენი ჩამოსვლის დროისათვის საშუალო სახლის საშუალო ფასი საშუალო უბანში \$60-\$100-ათასამდე მერყეობდა. დღეს იმავე კატეგორიის სახლი, სულ ცოტა, ათჯერ მეტი ღირს. შეძლებულ ჩამოსულ მყიდველთა შორის დიდი კონკურენციის გამო, მხოლოდ და მხოლოდ ნაღდ ფულზე იყიდება, ისიც ძალიან სწრაფად. აქ სახლს პირველად ინვესტორი ყიდულობს და საფუძვლიანად გადაკეთების შემდეგ სარფიანად ჰყიდის. დღეს აქაური სახლებისა და ბიზნესების უმეტესობას ჩინელები იძენენ ნაღდ ფულზე. ამიტომ მათ სილიკონ ველის კომპიუტერების ბიზნესებში მომუშავეებიც კი ვეღარ უწევენ კონკურენციას.

ქალაქი, ქვეყნის მხარეების მიხედვით, ოთხ უბნად არის დაყოფილი. განსაკუთრებით პრესტიჟულად ჩრდილოეთ ბერკლის ე.წ. ჰილები, ბორცვები ითვლება. ჩვენ პირველი რამდენიმე წელი სწორედ ამ უბანში, ადგილობრივი ებრაელების სათვისტომოს ახლოს ვცხოვრობდით, სანამ ხანშიშესულმა ლენდლორდმა სახლი არ გაყიდა და ახალი, შატუკის ქვემოთ, მარტინ ლუთერ კინგის სახელობის ავენიუზე არ შეიძინა.

ქვემოთ აღწერილი შემთხვევები ჰაოლო იაშვილის „სენტიმენტალურმა ამბავმა“ მომაგონა. ამ მცირე მემუარში ჰოეტი მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეულის თბილისელ და პარიზელ მათხოვრებს უდარებს ერთმანეთს.

ბერკლიში მათხოვრები ჩვეულებრივ არიან: 1. ცენრში, შატუკზე, “დაუნთაუნის” “ბარტის” ანუ აქაური მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ისევ შატუკის ავენიუზე, 3. უნივერსიტეტის მიმდებარე ტელეგრაფის ქუჩის ბიზნესების ახლომახლო და 4. ჰაივეების შესასვლელ-გამოსასვლელებთან განლაგებულნი. უკანასკნელებს შორის, ბევრი წყალწაღებული ალკოჰოლიკი და ნარკომანია. მათ შორის, არც თუ იშვიათად, სხვადასხვა ომში ჯანმრთელობა-და-ფსიქიკა-შერყეული ვეტერანი სამხედროებიც არიან.

60-70-იანი წლების ბერკლის საქვეყნოდ ცნობილი „რევოლუციური გამოსვლების“ ცენტრში, ანუ ტელეგრაფის ავენიუზე, სულ სხვა სიტუაციაა. აქ ძირითადად სხვადასხვა მიზეზით თუ უმიზეზოდ ან უბრალოდ „სამყაროს გასაცნობად“ სახლებიდან გამოქცეული თეთრკანიანი ახალგაზრდების „ოპოზიციურად“ განწყობილი ჯგუფები მათხოვრობენ. ისინი სპეციალურად შეკერილ, მეტალის სხვადასხვა ფორმის კნოპებით და რგოლებით უხვად შემკულ შავი ფერის უცნაურ თანსაცმელსა და ქამრებს ატარებენ, რომლებზედაც ზოგიერთებს ტროტუარზე დასაჯდომი თხელი ბალიშები აქვთ მიკერებული. უმრავლესობას ფერადი სვირინგებით და ვერცხლის რგოლებით აქვს სხეული დაფარული და სამწუხაროდ, მგონი, ტვინიც აჭრელებულ-დახვრეტილი. გარშემო მყოფთაგან ისინი ეგზოტიკური ვარცხნილობით, ნარკოტიკებისადმი ერთგულებით და პირადი ჰიგიენის წესების უგულვებლყოფით გამოირჩევიან. ამ ჯგუფის ახალბედები, სამწუხაროდ, ძალიან სწრაფად კარგავენ „რევოლუციურ“ პეწს და ჯანმრთელობა-შერყეულ წვრილოფეხა ქურდბაცაცებად, ნარკობარიგებად და იაფასიან ქუჩის პროსტიტუტებად იქცევიან ხოლმე.

სრულიად განსხვავებულები არიან ჩრდილოეთ ბერკლის თითზე ჩამოსათვლელი, მთლიანად მათხოვრულ ბიზნესზე ორიენტირებული მათხოვრები. ისინი ყოველთვის ხაზგასმით სუფთად ჩაცმულ-დახურულები არიან და ისე ექცევიან გამვლელ-გამომვლელებს, როგორც მეზობლებს, რომლებსაც მათი ვალი ჯერ კიდევ არ გაუსტუმრებიათ. ვეჭვობ, რომ რომელიმე მათგანი მართლაც უსახლკარო იყოს. თითოეულს დასაკუთრებული ადგილი გააჩნია რომელიმე მნიშვნელოვანი ბიზნესის შორიახლოს. მათი უკონფლიქტო თანაარსებობა რაღაც დაუწერელ კანონებს ექვემდებარება, ეტყობა. უსახლკაროები ბერკლიში გაზეთს “Street Spirit”ს გამოსცემენ

(<https://afsc.org/program/homeless-organizing-project-street-spirit>), რომელსაც ხურდა ფულის სანაცვლოდ სთავაზობენ ადამიანებს.

ამ ოთხი ჯგუფის მათხოვრებს შორის განხვავება კიდევ ის არის, რომ “დაუნთაუნის” მათხოვრების ნაწილი, ასე ვთქვათ, ბეის-ყურის მასშტაბში მოხეტიალეებისაგან შესგება. ისინი სან ფრანცისკოს ყურის ქალაქებში “ბარტით” გადაადგილდებიან ხოლმე. დღეს ეს საკმაოდ ჭრელი, არასტაბილური, გამაბრუებელი საშუალებებისადმი განსაკუთრებით მიდრეკილი ორივე სქესის „ყოფილი ადამიანების“ ჯგუფია. 90-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც შო და მე ქალაქის ცენტრის, “დაუნთაუნის” ბიზნესებში ვმუშაობდით, მათ შორის არაერთს ჰქონდა „ბერკლის ცენტრალური ნაწილის უსახლკარო მუდმივი მკვიდრის“ სტატუსის პრეტენზია. ისინი დიდი ბიზნესების წინკარებში ათევედნენ ღამეს. დილაადრიაანად, ბერკლის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ბარტის საპირფარეშოებში შეძლებისდაგვარად იწესრიგებდნენ თავს და საუზმის ფულის შეგროვებით იწყებდნენ დღეს.

მათ შორის, ყველაფრით: აღნაგობით, საქციელითა და რაც მთავარი იყო შემოსავლიანი პოზიციით, გამოირჩეოდა ინგლისურ, ესპანურსა და პორტუგალიურ ენებზე თავისუფლად მოსაუბრე ასაკოვანი აფრო-ამერიკელი მამაკაცი. ის ქალაქის ერთადერთი უნივერსალური, დიდი სამსართულიანი მაღაზიის, „ჯეი.ჯეი. ნიუბერის“ შესასვლელის წინ იჯდა წლების განმავლობაში და ამიტომ თითქმის მთელ ქალაქს სცნობდა. ბევრი თვლიდა, რომ ის ხასიათით, თავისი „საქმისადმი“ ერთგულებით, დინჯი მიხვრა-მოხვრითა და თავდაჯერებული საუბრით წარმატებული კორპორაციის ხელმძღვანელს, ე.წ. CEO -ის (Chief Executive Officer) უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ უსახლკარო მათხოვარს. ამიტომ, ერთ ბედ ქვეშ მყოფებისაგან განხვავებულად ეჭირა თავი; ასე ვთქვათ, ქუჩის ავტორიტეტის როლი ჰქონდა მორგებული. ამ სტატუსის საფუძველი ისიც იყო, რომ მობილური ტელეფონების გავრცელებემდე, ის ნარკოტიკების შეძენის მსურველებისათვის ფასიანი ცნობათა ბიუროს ფუნქციას ასრულებდა; მათ მუდმივად მოძრაობაში მყოფი ნარკო-ბარიგების მონახვაში ეხმარებოდა. მისი „ბიზნესის“ მეორე ნაწილი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ნიუბერის კორპორაციის უნივერსალურ მაღაზიასთან იყო დაკავშირებული, რომლის მენეჯერი მაშინ შორენა იყო, ხოლო მენეჯერის ასისტენტის ფუნქციას მე ვასრულებდი.

მილიონიანი ბრუნვის მქონე, ბერკლის ცენტრის ამ პოპულარულ და ისტორიულ შენობაში განთავსებულ მაღაზიაში, მას ძირძველი ბერკლელები დაუნთაუნის უმნიშვნელოვანეს „ინსტიტუტუნად“ თვლიდნენ, თითქმის ყველაფერი იყო, რაც კი შეიძლება ადამიანს დასჭირვებოდა, საკვები პროდუქტებიდან და ტანისამოსიდან

დაწყებული და ავეჯით დამთავრებული. ამ ხალხმრავალი სავაჭრო ობიექტის მოლარეები მომხმარებლებს საფასურის გადახდის შემდეგ შერჩეულ საქონელს ჩვეულებრივ კორპორაციის დიდ საფირმო პარკებში ულაგებდნენ. ამრიგად, ვისაც ასეთი ჩანთა ეჭირა ხელში, ითვლებოდა, რომ მას შეძენილი საქონლის ფასი უკვე გადახდილი ჰქონდა და დაუბრკოლებლად შეეძლო მალაზია დაეტოვებინა. ამით სარგებლობდნენ ე.წ. „შოფლიფტერები“ ანუ ქურდბაცაცები. ისინი მალაზიის წინ მჯდარი მათხოვრისაგან, გარკვეული საზღვაურის ფასად, შეძენილი საფირმო ჩანთების საშუალებით ბევრი რამის გატანას ახერხებდნენ მალაზიიდან. გარდა ამისა, იგივე პიროვნება მათ მომხმარებლების მიერ გადაყრილი ან მისთვის საგანგებოდ ხურდის მაგივრად დატოვებული ქვითრებით ამარაგებდა, რომლების საშუალებითაც შოფლიფტერები მოპარულ საგნებს უკან უბრუნებდნენ მალაზიას. მაშინ ასეთი რამ შესაძლებელი იყო, რადგან გაყიდული საქონლის ინდივიდუალური ნომრის ფიქსაცია არ ხდებოდა ქვითარზე და თაღლითები, ამრიგად, უკვე მართლაც მუქთა ფულს იგდებდნენ ხელში. გაირკვა, რომ ამ ახალთახალ საფირმო ჩანთებს მათხოვარი მალაზიის სხვადასხვა ცვლაში მომუშავე მოლარეებს თურმე თითქმის ყოველდღე სთხოვდა, ვითომ მისი ავლადიდების შესანახად და წვიმისაგან დასაცავად. როდესაც ყოველივე ამის შესახებ ვესაუბრე იმ აფრო-ამერიკელს, ის კარგა ხნით გაქრა. შემდეგ, რამდენიმე დღით გამოჩნდა და ბოლოს სულ გადაიკარგა.

ნიუბერის კორპორაციას ოთხასზე მეტი მალაზია ჰქონდა აშშ-ში. მისი მეპატრონე, ხოლო კორპორაციად გადაკეთების შემდეგ CEO, Meshulam Riklis (მეშულამ რიკლისი) იყო. პალესტინაში ადრე გადასახლებულმა, მდიდარი რუსი ჰასიდის ებრაელების ვაჟიშვილმა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში აშშ-ში ნამდვილი ფინანსური იმპერია შექმნა და ათეულობით მსხვილი კორპორაციისა და კომპანიის ფაქტიური მფლობელი და ბილიონერი გახდა (<http://thebillionaireswoman.com/>). მას, ფრენკ სინატრას ლას ვეგასური შოუს მომღერალი Pia Zadora (პია ზადორა) ჰყავდა ცოლად (http://en.wikipedia.org/wiki/Pia_Zadora).

ხანდაზმული ტურისტებით, ჭრელა-ჭრულა ტანისამოსში და ძველისძველ სპორტულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი რიკლისის რამდენჯერმე იყო ჩამოსული ბერკლიში, ინვესტორებისათვის ნიუბერის ერთ-ერთი საუკეთესო მალაზიის საჩვენებლად. ბოლოს მან ფინანსურად უფრო მომგებიანად ჩათვალა ნიუბერის გაკოტრებულად გამოცხადება და კორპორაციის კუთვნილი შენობების ნაწილის გაყიდვა. გასაყიდ ობიექტებს შორის, ქალაქის ერთ-ერთი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობა, ბერკლის მალაზიაც მოხვდა. ეს შენობა ბოლოს ერთ-ერთმა ჩვენმა ძველმა მომხმარებელმა, უძრავი ქონების ბერკლელმა ბიზნესმენმა ჯონ გორდონმა შეიძინა. ის მამასთან

და ძმასთან ერთად ქალაქის კომერციული შენობების დიდ ნაწილს ფლობს და ფაქტიურად მთელი ამ სფეროს აკონტროლებს ბერკლიში.

მაღაზიის დახურვის პროცესში, კორპორაციის დასავლეთ სანაპიროს დისტრიქტის ხელმძღვანელმა შორენას სამხრეთ სან-ფრანცისკოს, ხოლო მე კი ქალაქ სანტა როზას მაღაზიების მენეჯერობა შემოგვთავაზა. უარი ვთქვით, რადგან გორდონმა დაბეჯითებით გვირჩია ბერკლიში დარჩენა. მალე, მისი რეკომენდაციით, მე „თიუზდი მორნინგის“ კორპორაციის გახსნისათვის მომზადების პროცესში მყოფი ახალი მაღაზიის მენეჯერად დავიწყე მუშაობა, ხოლო შორენა კონკურსით ბერკლის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმის თანამშრომელი გახდა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა მათხოვრებთან დაკავშირებული მეორე სინტერესო შემთხვევა.

ერთ დღეს, შესვენებაზე ქალაქის ცენტრში გამოსულმა, უნივერსიტეტისა და შატლუკის ქუჩების გადაკვეთაზე, მექსიკური რესტორნის „თაკვერიის“ წინ მჯდარ, მუდამჟამ გათიშულ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდა აფრო-ამერიკელ მათხოვარს ჭიქაში დაკეცილი ოც დოლარიანი ჩავუგდე და გზა უსიტყვოდ განვაგრძე. ერთი კვირის შემდეგ, ამ მათხოვარმა „თიუზდი მორნინგში“ მომაგნო და გამომიცხადა: „დიდი მადლობა, იმ დღეს რომ დამეხმარე. ეხლა არ მჭირდება ეს \$20, უკან დაიბრუნე და სხვა დროს რომ მოგაკითხავ, თუ ცოტა თანხას მასესხებ კარგი იქნებაო“. რა თქმა უნდა, შორს დავიჭირე. მივხვდი, რომ წამლისაგან ტვინამღვრეული რეკეტის დაწესებას ლამობდა და საქმე პოლიციას გადავაბარე. ეს იყო და ეს, მალე „თაკვერიის“ წინ სულ სხვა პერსონაჟებმა დაიწყეს ხურდა ფულის შეგროვება.

მსგავსი პრობლემები, განსაკუთრებით შოფლიფტინგი, კორპორაციების იმ თვითმომსახურების დიდ მაღაზიებს აქვთ, რომლებთან მისვლასაც მაწანწალები და მუქთა საქონლის გამრავლებული მოყვარულები საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებით ახერხებენ. ამის გამოა, რომ ბევრ დასახლებაში არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი, არც მაღაზიები და არც იაფი რესტორნებია, სადაც „დეკლასირებულ ელემენტებს“ შეეძლება თავის რჩენა. შოფლიფტინგი კიდევ იმის გამოა აქ გაადვილებული, ათასნაირი საქონლით გადატენილ თვითმომსახურების მაღაზიებში, რომ პოლიცია ქურდბაცაცას არ აპატიმრებს თუ მოპარული საგნები \$500-ზე ნაკლები ღირს. მას უბრალოდ სურათს უღებს, რეგისტრაციაში ატარებს და მხოლოდ მრავალი შემთხვევის შემდეგ აძლევს პასუხისმგებლობაში, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ დაზარალებული გადაწყვეტს ჩივილს. ამას კი ბევრი ერიდება, რადგან სასამართლოს ხარჯები მეტისმეტად დიდია. ეს მშვენივრად იციან პროფესიონალმა ქურდბაცაცებმა და ნამდვილ ბრძოლას იწყებენ თუ დაცვამ მოპარული

საქონლის წართმევა დაუპირათ. ერთი ასეთი პერსონაჟი, ზემსუბუქი წონის ყოფილი პროფესიონალი მოკრივე, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მიერ აკრძალული ჰქონდა ჩვენს მაღაზიაში შემოსვლა, დროდადრო მაინც გვეწვეოდა ხოლმე. ის ნიუბერიში გასაყიდად გამოფენილ ერთ-ერთ დიდ ზურგჩანთას შეარჩევდა და ჩვეულებისამებრ ნება-ნება იწყებდა მის სხვადასხვა ნივთებით გავსებას. ამ დროს მას დაცვა ხელს ვერ ჰკიდებდა, რადგან ითვლებოდა, რომ ჯერ კიდევ „მოპინგის“ პროცესში იყო, რომელსაც ეს პუერტო რიკოელი ნარკუშა საგანგებოდ აჭიანურებდა. ბოლოს და ბოლოს, სათანადო მომენტში ყურადღება-მოდუნებულ დაცვას კარებში გაუსხლტებოდა ხოლმე. ქუჩაში მის დევნას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც სუპერ სწრაფი და სხარტი იყო. უკეთეს შემთხვევაში, დაცვის ყურადღებითა და ხანგრძლივი თვალთვალით გადაღლილი, თავისი ნებით ტოვებდა გატენილ ზურგჩანთას მაღაზიაში და უკმაყოფილო ბურდღუნით გადიოდა გარეთ. საქმე უფრო რთულად იყო, როდესაც დაცვის დასაბნევად პარტნიორებთან ერთად გვეწვეოდა ხოლმე. ერთხელ შორენამ მას იმდენხანს სდია ქუჩაში (მე შესვენებაზე ვიყავი გასული, ხოლო დაცვამ გიჟური სრბოლის ტემპს ვერ გაუძლო), რომ სირბილით დაღლილი მოკრივე ეხვერწებოდა თურმე, თუ ღმერთი გწამს თავი დამანებე, შარში ნუ გამხვევო. ამ ამბის შემსწრე ნაცნობმა, ყოფილმა სამხედრომ მომიყვა მერე: მე უკან მივსდევდი შენს ცოლს, რომ რამე ცუდი არ შემთხვოდეთ.

მსგავსი ძიძგილაობის დროს, ერთი მოფლიფტერი მარჯვენა ხელის ნეკა თითში ჩამაფრინდა, რაც მაშინ სასაცილოდაც არ მეყო. ეს აფრიკელ-ამერიკელი ახალგაზრდა კაცი, როდესაც დარწმუნდა, რომ თითი ბუდიდან ნამდვილად ამომიგდო, მუშტი მომიქნია. მექანიკურად ასეთივე დარტყმით მინდოდა მეპასუხა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად და დიდი მონდომების მიუხედავად, მუჭი ვერა და ვერ შევკარი. შემდეგ გავიგე, რომ ასეთ ბიზნესში მყოფებმა ზედმიწევნით კარგად იციან ბრძოლის ნაკლებად შესამჩნევი, საიდუმლო, ძველისძველი ხერხები და სწრაფად იყენებენ მათ შესაბამის სიტუაციებში. ამ შემთხვევაში, ამოგდებულმა ნეკა თითმა ნამდვილად ხანგრძლივი ხათაბალა ამაცილა თავიდან, რადგან პოლიცია უმაღლესი იქ გაჩნდა, ხოლო ლოკალური კანონის მიხედვით კრიმინალის წინააღმდეგაც კი არ შეიძლება ძალის გამოყენება.

„თიუზდი მორნინგის“ ერთი შემთხვევაც მომაგონდა: მილიონიან მაღაზიაში, ჩემი ჩათვლით, ხან 10 და ხან 12 შტატიანი თანამშრომელი იყო. მათ შორის თვითური ხელფასი და სამედიცინო დაზღვევა მხოლოდ მე და ჩემს ასისტენტს გვქონდა. დანარჩენები მხოლოდ საათობრივ ანაზღაურებაზე იყვნენ და მათი მოსვლა-წასვლა და შესვენებაზე ყოფნა პროგრამირებულ საათში შეყვანილი ბარათებით კონტროლირდებოდა. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ხალხს

ისევ საათობრივი ანაზღაურებით სპეციალური ფირმის „ლეიბორ რედის“ საშუალებით ვქირაობდი. ეს ლოკალური ფირმა სხვადასხვა პროფესიის უმუშევრებს დროებით სამუშაოებზე ანაწილებდა, რაშიც მათ მიერ გამოიმუშავებული თანხის ნახევარს თავისთვის იტოვებდა. მაგალითად, არაკვალიფიცირებული შავი მუშის ერთ საათში, ჩვენ „ლეიბორ რედის“ \$14-ს ვურიცხავდით, მაშინ როდესაც ხელზე ადამიანს მხოლოდ \$7 ეძლეოდა.

მაღაზიაში ასეთი დამატებითი მუშახელი ახალი საქონლის მიღების დღეებში, ყოველ ორ კვირაში ან 10 დღეში იყო საჭირო - 1,500-1,600 ყუთიანი ტრაილერის გადმოსატვირთად, საქონლის ამოსალაგებლად, ფასების დასადებად, საწყობში და სავაჭრო დარბაზის შესაბამის თაროებზე ნივთების დასალაგებლად და ა.შ. და ა.შ. თან ყველაფერი ეს დილის 5-6 საათიდან მაღაზიის გახსნამდე ანუ 10 საათამდე ისე უნდა დამთავრებულიყო, რომ სავაჭრო დარბაზში შემოსულო პირველ მომხმარებელს ყველაფერი წესრიგში დახვედროდა. ამის გამო, წინასწარ ვუთანხმებდი ხოლმე „ლეიბორ რედის“ თუ როდის, რამდენი, რა ვადით და როგორი დამხმარე დამჭირდებოდა. ერთხელ საქმემ დამატებითი ადამიანი მოითხოვა და რადგან ფირმას უკვე ყველა განაწილებული ჰყავდა, ქუჩიდან აყვანილი შეუმოწმებელი ადამიანი გამომიგზავნა. ცხენის-თავიანი გიგანტი, ტანთხელი აფრო-ამერიკელი ნამდვილად არ იყო იმ დილაადრიანად მუშაობის ხასიათზე. მალე, რამდენიმე თანამშრომელმა შემომჩივლა: მუშაობის საშუალებას არ გვაძლევს, გვემუქრება, გვაშინებს, ფული მომეცით, მშიერი ვარ, თორემ კარგად არ წაგივათ საქმეო და სხვ. საქმეში გართულოს, იმ სისხამ დილით არც დროისა და არც ზედმეტი მუშახელის დაკარგვა არ მინდოდა და ამიტომ ცხენისთავა დაუყონებლივ გარეთ, უკაცრიელ ქუჩაში გავიყვანე სალაპარაკოდ: თანამშრომლებს თავი დაანებე, წესიერად იმუშავე, თუ არა შენი სამსახურიდან დათხოვნა მომიწევსთქო, ვუთხარი. კარგა ხანს უტყვად იდგა. ბოლოს ამოღერდა: შენ მართლა ბედი გქონია, მხოლოდ გუშინ გამოვედი ციხიდან, 26 წელი ვიჯექი კაცის მკვლელობაზე და შენი გულისათვის დღესვე ციხეში უკან შებრუნება არ მინდა, თორემ მე შენ გიჩვენებდი სეირსო, თქვა და ჯერ კიდევ ღამის ნათურებით განათებული ქალაქის ცენტრისაკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა. მაღაზიისაკენ რომ შევბრუნდი, მოსალოდნელი უთანასწორო ორთაბრძოლის საყურებლად, დიდ ვიტრინასთან შეკრებილი იმედგაცრუებული თანამშრომლები თავიანთი სამუშაო ადგილებისაკენ ზღაზვნით დაიძრნენ.

ასეთი შემთხვევების დროს, ზოგჯერ საკმაოდ კომიკური ამბებიც ხდებოდა. ერთხელ, როდესაც შოფლიფტერს მოვთხოვე ლაბადის შიგნით ჩაკერებული უზარმაზარი ჯიბეებიდან მოპარული ნივთები ამოელაგებინა, შავკანიანი კაცი უეცრად საშინლად აღელდა, უცნაური კვიცილი-წივილი ატეხა მომხმარებლებით სავსე დარბაზში. იძულებული

გავხდი, მისთვის ხმამაღლა საკმაოდ მკაცრად მეთქვა: დაწყნარდითქო! საცოდავი უცხად ჩემს წინ მუხლებზე დაეცა. თურმე ჩემი „Calm down!“-ი, „დაწყნარდი!“ მას პოლიციელების ჩვეულო ბრძანებაში, „Come down!“-ში, „მიწაზე დაწედი!“- ში აერია და დაპატიმრების მოლოდინში მაჯები გამომიწოდა.

ბერკლელი უსახლკაროები ყოველთვის როდი ქურდბაცაცობენ და მათხოვრობენ. უნივერსიტეტის კამპუსის სიახლოვეს, ერთი თეთრ წვერა ლოყებდაჟდაჟა მოხუცი ათევეს ხოლომე დამეს, სტუდენტური მოდური ტანსაცმლის მაღაზიის წინ გამოწეული ვიტრინის ქვეშ. იქ მას არც აწვიმს და არც არავინ აწუხებს, რადგან ვიტრინის ნათურები არემარეს კარგად ანათებს. ერთხელ, მე და შომმ გადავწყვიტეთ მისთვის ფული მიგვეცა. უარი გვითხრა გაკვირვებულებს: „მე „ჩეპტერ“ 14-ის რეციპიენტი ვარ (ალბათ, კანონმდებლობის რომელიღაც მუხლს თუ გულისხმობდა) და ფული არ მჭირდება. ვინც ქუჩაში მათხოვრობს, იცოდეთ, ნარკომანია და ძალიან გთხოვთ, თქვენი ფულით ამაში ხელს ნუ შეუწყობთო“.

ამ ამბებმა რამდენიმე წლის წინათ ბათუმში მომხდარი შემთხვევაც გამახსენა. მე და შორენა ხალხით სავსე ყოფილ კათოლიკურ ეკლესიაში შევედით სანთლების დასანთებად. უცებ ჩვენთან კრეპდეშინის უთხელეს შავ კაბაში გამოწყობილი, შავ-პირბადიანი წარმოსადეგი ახალგაზრდა ქალი მოვიდა და ფული გვთხოვა: შვილი მყავს ავად, წამლებისათვის მჭირდებაო. ეს შაოსანი ერთ საათში კვარიათის სანაპიროზე შეზლონგებზე წამოწოლილებს დაგვადგა თავზე. როდესაც ვუთხარი, რომ ერთი საათის წინ ეკლესიაში უკვე მოგვციტო რაც შეგვეძლოთქო, უკმაყოფილოდ, უსიტყვოდ გაემართა გაშიშვლებული და მწეს მიფიცხებული სხვა დამსვენებლებისაკენ.

04.03.15

კალიფორნიული ჯამაგირი

მე და შომმ ჯერ კიდევ ფულბრაიტის სტიპენდიის პერიოდში დავიწყეთ მუშაობა ბერკლის კომერციულ დაწესებულებებში. გვინდოდა დამატებითი შემოსავალი გაგვეჩინა და თან უცხო გარემოსთან ადაპტაცია დაგვეჩქარებინა. ყველაფერი ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა; განსაკუთრებით, ფინანსური თვალსაზრისით. უკლებლივ ყველა, კერძო თუ კორპორაციული ბიზნესი, ფულის დაზოგვას ცდილობდა. ეს ყოველი კვირის ბოლოს საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლების ხელფასის ფონდის მეტისმეტი მომჭირნეობით ხარჯვაში გამოიხატებოდა. ამის გამო, თანამშრომლები კვირის განმავლობაში გულდასმით სწავლობდნენ თავიანთ „თაიმ ქარდებს“, რომლებზედაც პროგრამირებული საათი მათ მიერ გამოიმუშავებულსა

და შესვენებაზე დახარჯულ დროს აღნიშნავდა. ყველა ცდილობდა, გამოეთვალა, რამდენი ერგებოდა და თუ ეყოფოდა ეს თანხა შემდეგ „ფეი ჩეკამდე“. დაუფარავი შურით უყურებდნენ იმ თანამშრომლების ბარათებს, რომლებსაც მენეჯერი სხვებზე მეტ საათს ამუშავებდა.

მაშინ, 1994 წელის ქრისტიანობის არდადეგებზე, ერთი საათის მინიმუმი ანაზღაურება კალიფორნიის კანონმდებლობით 3 დოლარი და 10 ცენტი იყო. თბილისთან ტელეფონით ლაპარაკის ერთი წუთი კი 1 დოლარი და 99 ცენტი, ხოლო ერთი ლიბრა (456 გრ.) ქათმის ხორცი 59 ცენტი ღირდა. \$1.99-ად თიშერთს, \$3.99 -ად გოლოფის ნორმალურ პერანგს ვყიდულობდი, რომლის ფასი დღეს \$20-30-ია. ამჯერად ერთი საათის მინიმალური ანაზღაურება \$9-ია, თბილისთან საუბრის ერთი წუთის ფასი 8 ცენტია (ეს ერთადერთი რამეა რაც გაიფადა ჩვენი აქ ყოფნის პერიოდში!), ხოლო ლიბრა საჭმელად ვარგისი ქათმის ხორცი საშუალოდ \$8 დოლარი და 99 ცენტი ღირს.

ერთხელ, სატელეფონო ფირმამ, ფულბრაიტის სტიპენდიის პერიოდში, \$6,000-იანი, დიან, ზუსტად ექვსიათას-დოლარიანი ქვითარი გამოგვიგზავნა და როდესაც გადავინახდეთ, გვთხოვა აგვეხსნა მათთვის თუ რა სახის ბიზნესი გქონდა ოკეანის გაღმა, რომ ამდენს ვხარჯავდით ტელეფონზე საუბარში. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას წაყრუება ვამჯობინეთ. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდით, რომ ოჯახის წევრებს ველაპარაკებით თითქმის ყოველდღეთქო.

90-იანი წლების შუა ხანებში, ჯერ კიდევ ისეთი ხანა იდგა, რომ დროებით სამუშაოებზე მოწყობას როგორღაც ვახერხებდით, მაგრამ როგორც წესი, დამქირავებელს ხელფასის დროულად ან სრულად გადახდა, უკეთეს შემთხვევაში, „ავიწყდებოდა“. შო ცდილობდა მის მიერ მოქსოვილი და მაღაზიაში გასაყიდად ჩაბარებული ქუდებით შეეკოს ამგვარი დეფიციტი, მაგრამ 20 თუ 25 ნამდვილად ლამაზი ქუდიდან მხოლოდ 1 გაიყიდა. დანარჩენები ნაცნობებს დავურიგეთ საახალწლო საჩუქრებად. ამიტომ მეც სხვა ხერხს მივმართე და არაერთხელ თითქმის ძალით მოვიპოვე ჩვენს მიერ გამოიმუშავებული თანხა: ერთხელ ინდურ რესტორანში; მეორეჯერ, პატარა კაფე-რესტორნის პაკისტანელი მეპატრონე, რომელიც მარწმუნებდა, რომ საკმარისი ფული ჯერ არ ჰქონდა დაგროვებული, დაბნეული და შეშფოთებული მომხმარებლების თვალწინ ვაიძულე სალარო გაეხსნა და კუთვნილი ხელფასი მოეცა ჩვენთვის; მესამე შემთხვევაში, ბალიდან ჩამოტანილი დეკორატიული ხის ნაწარმისა და ვერცხლის სამკაულების გამოფენა-გაყიდვის მომწყობ ბერკლეო ბიზნესმენს სამი კვირის ხელფასი, \$3,000, ისევ იძულებით გადავანდევი, ეს ჩეკი ლამაზ კონვერტში დავლოუქე და საახალწლო ნაძვის ხეზე ისე ჩამოვკიდე, რომ შოს ყურადღება მიექცია. შემდეგ, ამ თანხას კიდევ \$2,000 დავუმატეთ და ნახმარი „ტოიოტა ტერსელი“ შევიძინეთ, რომელიც 15 წელი

გვემსახურა. ბოლოს \$1,000-ად ძველი მანქანების საკენსიო პროგრამას გადავულოცეთ.

ასე აგდებულად, ადგილობრივი ბიზნესის მფლობელები და მენეჯერები ძირითადად ქვეყანაში ახლად ჩამოსული „გოიმებს“ ექცევიან ხოლმე ან მათ, ვისაც საკუთარი ინტერესების დაცვის უნარი რაღაც მიზეზის გამო არა აქვს. არადა ასეთი, როგორც ადგილობრივი ისე ჩამოსული ხალხით, სავსეა აქაურობა. მაგალითად, მსგავსი ამბავი შეემთხვა ერთ ნაცნობ ქართველ ბიჭს. მისი სამი კვირის ხელოვანი სრულიად უცხო კაცს უცბად გამომიწერა ნირწამხდარმა მენეჯერმა, როდესაც ვუთხარი თუ რა საქმეზე ვიყავი მასთან სანტა როზაში ჩასული და რომ გადაწყვეტილი მქონდა, ეს ამბავი ადგილობრივი ბიზნესის ბიუროსათვის მეცნობებინა.

სხვა მრავალი ხერხით, ვითომ სავალდებულო და ვითომ გამამხდელისათვის სასარგებლო გადასახადებით, თანამშრომლებზე ფირმის ვითომ „ფასიანი ქაღალდების“ გასაღებით და კიდევ რაღაც-რაღაცეებით ზოგავენ ხელოვანის ფონდს კერძო ბიზნესები. ზოგიერთი ფირმა დაქირავების პროცესში მომავალ თანამშრომელს გარკვეულ ვადაში, ვთქვით 6 თვეში ერთხელ, ხელოვანის მომატებას ჰპირდება, რაც დროთა ვითარებაში ხშირად პრობლემად ექცევით ხოლმე: ძვირად ღირებული თანამშრომელი მალე ტვირთად აწვება მათ ბიუჯეტს. ამიტომ დამქირავებელი ცდილობს ასეთი თანამშრომლები, როგორმე, შრომის კანონმდებლობით ოფიციალურად და ლეგიტიმურად აღიარებული მიზეზით, თავიდან მოიშოროს და მათ მაგივრად დაბალხელოვანიანი ახალბედები დაიქირაოს. ეს ჩვეული პრაქტიკაა.

ასეთი რამ პირადად მეც შემემთხვა, ერთ-ერთი ფირმის ახალთახალი პოპულარული მაღაზიის მენეჯერად მუშაობის ორი წლის თავზე. როდესაც ბიზნესის ბრუნვამ მილიონ დოლარს მიაღწია, ხელოვანის მორიგი მომატების შემდეგ, კორპორაციის ორმა წარმომადგენელმა მოულოდნელად, მაღაზიის გახსნამდე, მთავარი სეიფი „შემიმოწმა“ და \$500 „დანაკლისი“ ანუ ჩემი სამსახურიდან დათხოვნის იურიდიული საბაზი „აღმოაჩინა“. წინასწარ შევსებული „ფინქ სლიფი“ ანუ ვარდისფერ ქაღალდზე დაბეჭდილი სამსახურიდან განთავისუფლების გადაწყვეტილება, ღიმილით, ვითომ „რას იზამ ასეთი რამეც ხდებაო“, სასწრაფოდ შემაჩერეს გაკვირვებულს ხელში. სეიფისა და მის გვერდზე არსებული უჯრის განმეორებით შემოწმების დროს, მოულოდნელად \$5-იანი ბანკნოტების დასტით გაბერილ დიდ ტყავის საფულეს წავაწყდი, რომელიც არც ერთი ჩემი თანამშრომლის არ აღმოჩნდა. საფულეში ერთ-ერთი შემმოწმებელის პირადობის მოწმობა და საბუთები იყო. ამკარა გახდა, რომ სეიფის „შემმოწმებლებმა“ ჩემი ასისტენტის მიერ დილას ბანკიდან მოტანილი და ხურდად

გამოსაყენებელი ხუთ-დოლარიანების შეკვრა დროებით „ისესხეს“, რომ სამსახურიდან ჩემი გათავისუფლების საბაზი ხელოვნურად შეეკოწიწებინათ. ძალიან რბილად რომ ვთქვა, ამ უსიამოვნო შემთხვევის „შენც სუ, ჩვენც სუ“-ს პრინციპით „სამუდამოდ დასავიწყებლად“, ოფიციალური წერილობითი გარიგების შედეგის შემდეგ, ფირმამ სოლიდური თანხა გადამიხადა, რომლის ნახევარი შუამავალმა ვექილმა ჰონორარში მიითვალა.

ამ კარგ „ჯამაგირიანი“ სამსახურის დაკარგვა, ჩემდა გასაკვირად, შოს ძალიან გაუხარდა: „სახლში დასაძინებლად მოსულო რობოტს ჰგავდი უკვეო“. მართლაც მგონი პირველად მოგვეცა მაშინ საშუალება უფრო ხშირად გაგვეტარებინა თავისუფალი დრო ერთად და სხვადასხვა ღირშესანიშნაობები მოგვეჩაულებინა სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ კალიფორნიაში, ორეგონის, ნევადის, ნიუ მექსიკოსა თუ ჰავაის შტატებში. 50 წელი რომ შემისრულდა, შომ საჩუქრად \$1,500-იანი „Canon“-ის კამერა მიყიდა და მოგზაურობები კიდევ უფრო სახალისო გახადა.

მალე მე და შო, ჩვენი მეგობარის ჯონ რასელის რეკომენდაციით და წაქეზებით ბერკლის ფოტომოყვარულთა კლუბის წევრები გავხდით რამდენიმე წლით და არაერთი ჯილდო დავიმსახურეთ მათ მიერ მოწყობილ კონკურსებში. მათ შორის მედალი „2007 წლის საუკეთესო სურათისათვის“. იმავე ნამუშევარმა ჩრდილოეთ კალიფორნიის კლუბების კონკურსში მეოთხე ადგილი დაიჭირა. ჯილდოებს, ჩვეულებისამებრ, ბერკლის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში, Spenger's Fresh Fish Grotto-ში, ყოველწლიურ ბანკეტებზე საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ ხოლმე გამარჯვებულებს.

კლუბის ყოველკვირეული შეხვედრები ბერკლის ერთ-ერთ ეკლესიაში და ჰონორარით მოწვეული პროფესიონალი მსაჯების მიერ საზოგადოების წევრების სურათების განხილვები ძალიან სასიამოვნო და საინტერესო იყო, მაგრამ ერთობლივ წიგნზე მუშაობისა და უდროობის გამო, გარკვეული პერიოდებიდან ჩამოვშორდით კლუბს. თანაც რიცხვული კამერების ეპოქა დაიწყო და ჩვენი ფირიანი კამერით სრულიად ახალი ტიპის აპარატებით შეიარაღებულ კლუბის წევრებს, რომლებსაც საკონკურსოდ ასეულობით გადაღებული კადრიდან ამორჩეული ნამუშევრები მოჰქონდათ, მხარს ვეღარ ავუბამდით აშკარად. ამას წინათ კლუბის ერთ-ერთი ხანდაზმული და ყოველთვის ყველას კრიტიკოსი წევრი თავის მეუღლესთან ერთად შემხვდა მეზობელ ქალაქში. სალამ-ქალამის შემდეგ მითხრა: რომ აღარ გამოჩნდით შეკრებებზე, კლუბის წევრებს გვეგონა გერმანიაში თუ დაბრუნდით შენ და შენი ცოლიო; ვიღაცამ თქვა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნებსო. გამიკვირდა, რომ ჩვენს შესახებ რაღაცა იცოდა და ის, რომ ჩემი სურათები ამდენი წლის შემდეგ კიდევ ახსოვდა. ერთხელ, ერთ-

ერთი სურათის განხილვის შემდეგ, მე და შოს მოგვიბრუნდა და უცნაური კომპლიმენტი გვითხრა: “I think you are the Master and she is your Margarita“-ო (ასე ვფიქრობ, “ოსტატი და მარგარიტა” ხართო). სახელმწიფო დაწესებულებებში, ფინანსების დაზოგვა სხვა მასშტაბითა და მეთოდებით ხდება. მაგალითად, უნივერსიტეტში 6 წელი კონტრაქტით მომუშავე ლექტორი „ამერიკის მასწავლებლების პროფესიული კავშირის ასოციაციასთან“ (ყველა ვინც უნივერსიტეტში ასწავლის, მექანიკურად ხდება ამ ორგანიზაციის „მფარველობის“ ქვეშ) დადებული შეთანხმების მიხედვით, ადმინისტრაციამ ამ ვადის გასვლის შემდეგ სრულ შტატზე უნდა აიყვანოს და მისი კუთვნილი შესაბამისი შეღავათების-ბენეფიტების (სამედიცინო დაზღვევა, საუნივერსიტეტო და სახელმწიფო, ე.წ. „სოუშალ სექიურითის“ ფონდები, ფასიანი შვებულება და ა.შ.) წილობრივი დაფინანსება იკისროს. ამის მაგივრად, 6 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ მიწვეული ლექტორი თითქმის ყოველთვის თანახმაა ძველი პირობებით გააგრძელოს მუშაობა, მას სამსახურიდან ათავისუფლებენ, სათანადო თანხების „უკმარისობის“ გამო. ჩემს შემთხვევაში, ეს ნაწილობრივ მართალიც იყო, რადგან ყველაფერი ცნობილ მიხედვით ეკონომიკურ კრიზისს, ე.წ. „რესეშენს“ დაემთხვა, რომლის დროსაც ჩემთან ერთად მილიონობით ადამიანი დაკარგა სამსახური.

ამგვარი „დათვური სამსახური“ ანუ მომუშავეთა უფლებების უცნაური „დაცვა“ იშვიათობა როდია აქაური პროფესიული კავშირებისათვის, რომელთა ძირითადი ფუნქცია ის არის, რომ დამქირავებელი აკონტროლონ, რათა უკანასკნელმა არ „გააჭნოს“. ამგვარი საშიშროება კი მუდამ არსებობს რეალურ შედეგებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში. შორენას და ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას რამდენიმე წელი დასჭირდათ, რომ ის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების პროფესიული კავშირიდან გამოეყვანათ და მისი ამჟამად ყოფილი თანამდებობა პროფკავშირის „დაცვიდან“ გაეთავისუფლებინათ. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი შორენას კვალიფიკაციის კატეგორიის ოფიციალური შეცვლა-ამაღლება, შესაბამისად ხელოფასის მომატება (ამიტომ არის, რომ დღეს ფინანსურად, ღვთის წყალობით, იმავე მდგომარეობაში ვართ, როგორშიც ორივეს მუშაობის დროს ვიყავით!) და ახალ თანამდებობაზე კონკურსის წესით დაწინაურება. საქმე ისაა, რომ მისი წინამორბედი, ვისაც ასპირანტურის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა 36 წელი ეჭირა, პროფაქტივისტი იყო და მან თავის დროზე ეს საშტატო ერთეული ოფიციალურად პროფკავშირის კონტროლის ქვეშ მოაქცია. ამის გამო, ამ თანამდებობის ხელოფასი წლების განმავლობაში ფაქტიურად ერთ დონეზე იყო გაყინული. ასეთი, რამ, ჩვეულებრივ, იმათ აწყობთ, ვინც სტაბილურობას სათუოდ წინსვლის პერსპექტივას არჩევს, რადგან მსგავსი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანის სამსახურიდან გაშვება ძალიან

რთული და ძვირადღირებული ბიუროკრატიული პროცესია, რის გამოც ადმინისტრაცია ასეთ საქმეებს საგანგებოდ ერიდება.

სამსახურის შოვნა ხომ ძნელი იყო და არის, მაგრამ მისი შენარჩუნება გაცილებით უფრო რთულია. ამის მისაღწევად ერთადერთი ხერხი არსებობს: სადაც არ უნდა მუშაობდე, დამქირავებელს ყოველდღიურად რაც შეიძლება მეტი უნდა დააზოგვინო და მოგება ანახო, ანუ ჩვეულებრივ ორი ან სამი ადამიანის სამუშაო სწრაფად, ხარისხიანად და უსიტყვოდ შეასრულო; ხოლო თუ ვთქვათ კომერციული ორგანიზაციის მენეჯერი ხარ, მაშინ საჭიროების შემთხვევაში, შენს ძირითად მოვალეობებთან ერთად, პარალელურად, უკლებლივ ყველა შენი თანამშრომლის ფუნქციის შესრულება უნდა შეძლო ანუ შესაბამისი უნარ-ჩვევები უნდა შეიმუშაო. ამიტომ, ერთსა და იმავე დროს, საკუთარი ასისტენტის, ოფისის მენეჯერის (საქმის წარმოება შომ ნიუბერიში ხანშიშესული სან-ფრანცისკოელი ქალბატონისაგან, ნენსი სიტისაგან შეისწავლა. მის მიერ მრავალი წლის წინათ მოცემული რჩევა დღესაც აქტუალურია: „Stick were you are! – “დარჩი სადაც ხარ!”), ბუღალტერისა და „სქეჯუალერის“ (თანამშრომლების სამუშაო საათობრივი ცხრილის შემდგენელი), ხელოსნის, დამლაგებლის, მცველის, მოლარის, მდივნის, მძღოლის, მტვირთავის, დიზაინერის, რეკლამის, რასობრივ-ეთნიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობების, აგრეთვე სამედიცინო მომსახურების სპეციალისტის, დაზღვევის ექსპერტის და თუ საჭიროა მათი დამხმარე პერსონალის როლიც უნდა იკისრო.

თუკი თითოეული თანამშრომლის სამუშაო დრომ კვირაში კანონით დადგენილ 40 საათს არ უნდა გადააჭარბოს, მენეჯერის შემთხვევაში ასეთი ზღვარი არ არსებობს, რადგან ის თვიურ ხელფასს მოჭრით იღებს და ზოგჯერ მისი სამუშაო კვირა შეიძლება 60 საათსაც კი გადასცდეს. აი, როდის დავრწმუნდით საბოლოოდ, ჯერ მე და ცოტა მოგვიანებით შო, რომ ადამიანის შესაძლებლობები მართლაც უსაზღვრო არ არის. მიუხედავად ამისა, კომერციული ბიზნესების მუშაობის პროცესში (მათ შორის შოს ანთროპოლოგიის მუზეუმის მაღაზიაში), არაერთი მომგებიანი სიახლის შეტანა მოვახერხეთ, რის გამო სამუშაო ადგილებზე უფრო კომპეტენტურად ვგრძნობდით თავს.

აი, ერთი პატარა მაგალითი: ერთხელ, ნიუბერის მენეჯერმა (მას ეს თანამდებობა შორენამდე ეჭირა) გამოსაფენად თორმეტი ხის სკამის აწყობა მთხოვა, თან დრო დაინიშნა, ვნახოთ რამდენ ხანს მოანდომებო. საქმე ზუსტად 30 წუთში, ინსტრუქციაში ჩაუხედავად, ჩარლი ჩაპლინის ცნობილი ფილმის სტილში მოვრჩი (დროთა ვითარებაში დავრწმუნდი, რომ ამ ეპიზოდში თურმე არც არაფერი ყოფილა კომიკური, რადგან ზუსტად ასეთია მუშაობის აქაური სტილი ანუ ადამიანი უბრალოდ კარგად დაზეთილი მანქანასავით - well oiled

mashin-ივით უნდა მუშაობდეს, და ესაა და ეს) და ტრანსპორტირებისა თუ გასაყიდად გამოფენის დროს ნაწილებ-დაკარგული და დაზიანებული ავეჯის შეკეთების უფლება ვთხოვე, რომ შემდეგ შეღავათიან ფასებში გაგვეყიდა ეს საქონელი. მანამდე არსებული წესის თანახმად, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი სახის საქონელი უნდა განადგურებულიყო, რადგან შეკეთება-რესტავრირება უფრო მეტი უჯდებოდა კომპანიას, ვიდრე მათი თვითღირებულება იყო. ამიტომ, მაღაზიის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი თანამშრომელი ყოველ ცისმარე დღეს გარკვეულ საათებში იწყებდა ამ სახის ჩამოწერილი საქონლის ჩაქუჩით, მუყაოს კოლოფების გასახსნელი დანითა და სხვა ხელსაწყოებით და ხსნარებით უვარგისობამდე მიყვანას, რომ გადაყრის შემდეგ ისინი ვინმეს არ გამოეყენებინა და ფირმას ამრიგად პოტენციური მომხმარებელი არ დაეკარგა. ზემოთხსენებულმა ექსპერიმენტმა დროთა ვითარებაში გაამართლა და დანაკარგებმა საგრძნობლად იკლო.

აი, ძალიან მოკლედ, მეორე მაგალითიც: შორენამ ბერკლის უნივერსიტეტის ფიბი ჰერსტის სახელობის ანთროპოლოგიის მუზეუმის წამგებიანი, დოტაციაზე მყოფი მაღაზია რამდენიმე წელიწადში მომგებიანად აქცია, იმით რომ ამერიკელი ინდიელების მიერ დამზადებული ნაწარმის შექმნა პირდაპირ ნიუ მექსიკოს შტატის რეზერვაციების საბითუმო სავაჭროებში დაიწყო და ინდიელი ოსტატების სამკაულების გამოფენა-გაყიდვები უნივერსიტეტის მასშტაბით პოპულარული გახდა. ასეთ დღეებში, მაღაზია \$10,000-დან \$15,000-მდე მოგებას ნახულობდა ჩვეულებრივ და მუზეუმის დამთვალიერებლების რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა. ამგვარმა ფინანსურმა წარმატებამ მუზეუმის იმჟამინდელი ადმინისტრაციაზე ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შოს უპრობლემოდ უშვებდნენ ნიუ მექსიკოს შტატის ინდიელების რეზერვაციებში სამკაულების ახალი პარტიების შესაძენად. ამ საქმიანი, მაგრამ ნამდვილად მეტად სასიამოვნო, მივლინებების დროს, ამერიკელი ინდიელების არაერთი პუებლოსა და ღირშესანიშნაობის დათვალიერება შევძელით. ვნახეთ ბანდელიერის ისტორიული დასახლება (http://en.wikipedia.org/wiki/Bandelier_National_Monument), პრერიაში აღმათული კლდის თავზე გაშენებული პუებლო აკომა (http://en.wikipedia.org/wiki/Acoma_Pueblo), საოცრად ლამაზი პუებლო ტაოსი (http://en.wikipedia.org/wiki/Taos_Pueblo) და ა.შ. და ა.შ. ზუნი ინდიელების პუებლოში (http://en.wikipedia.org/wiki/Zuni_Pueblo,_New_Mexico) ძალიან გაგვიმართლა, რადგან სრულიად შემთხვევით შევესწარი თიხისთავიანი კაჩინების, გაშიშვლებული და ათასი აქსესუარებით მორთული, ასეულობით მითოლოგიური პერსონაჟის მრავალსაათიან მისტიკურ ცეკვა-პროცესიას და პუებლოს ცენტრში მათი თავმჯდომარის ღრმად შთაბეჭდავ ცერემონიას ([eater.blogspot.com/2010/10/may-you-be-](http://eater.blogspot.com/2010/10/may-you-be)

blessed-with-light-zuni.html). ამ რიტუალის დაწყების ზუსტი დღე და საათი არავინ იცის და ამის გამო მასზე, ჩვეულებრივ, მხოლოდ ინდიელები ესწრებიან, ხოლო სურათის გადაღება და ჩანახატების გაკეთებაც კი ყველასთვის სასტიკად აკრძალულია.

ყველაფერს თავისი თავი და ბოლო აქვსო, ნათქვამია. დროთა ვითარებაში, მუზეუმში ხელმძღვანელობა შეიცვალა და ახლებმა თავისი საქმიანობა თანამშრომლებში „ავტორიტეტის“ მოსაპოვებლად წინამორბედების გაკეთებულის უარყოფა-განადგურებით დაიწყეს. ყოველივე ამას სათავეში ახალი დირექტორის ახალი მოადგილე ჩაუდგა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ქალს არც განათლება და არც სათანადო გამოცდილება ჰქონია. ამ ყოფილ ეგზოტიკური სტილით მოცეკვავეს ანუ სტრიპტიზის შემსრულებელ ქალს, ხანში შესვლის შემდეგ ლას ვეგასის ერთ-ერთი მანქანების სადგომზე მოწყობილი ქალაქის ძველი ნეონის განათებებისა და რეკლამების „მუზეუმის“ „დირექტორობისათვის“ მიუღწევია და ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის კომისიას როგორღაც თავი მოაწონა. როგორც კი ოფიციალურად დაინიშნა თითქმის \$200,000-ანი ხელოვასი, ის მუზეუმის ძველ თანამშრომლებს დაერია და ათი თუ თორმეტი მათგანი სამსახურიდან ძალიან მალე დაითხოვა. აშკარა იყო, რომ შემდეგი შორენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შორენამ დაასწრო და თვითონ წამოვიდა მუზეუმიდან. მერე რამდენიმე თვე სახლში ისვენებდა, სანამ „ოფის დეპოს“ ბეჭვდის სერვისში დაიწყო მენეჯერის ასისტენტად მუშაობა. იქ რამდენიმე თვეში უამრავი რამ შეისწავლა, რასაც შემდეგ უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტში მუშაობის დროს ძალიან გამოადგა.

მუზეუმის დირექტორის ის მოადგილე კი შემდეგ თვითონ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, როდესაც მისი არაკვალიფიცირებულობა ყველასათვის ცხადი გახდა; მაგრამ მანამდე იმდენი რამის გაფუჭება მოასწრო, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იძულებული იყო მუზეუმი კარგა ხანით დაეკეტა.

ასეთი რამ ხშირად ხდებოდა ადრე, როდესაც სამსახურში მისაღებ ადამიანს უბრალოდ სიტყვაზე ენდობოდნენ და არც განათლება-კვალიფიკაციის და არც გამოცდილების დამადასტურებელ ოფიციალურ საბუთების წარდგენს არ სთხოვდნენ. ეხლა პირიქით, ამ თვალსაზრისით მგონი მეტისმეტს შვებიან და პერსპექტიულ კანდიდატებს რა საგნები აქვთ გავლილი შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში და რამდენ-საათიანი ლექციების კურსები აქვთ მოსმენილი, ამის დამადასტურებელ დოკუმენტებსაც კი სთხოვენ.

12.03.15

Give me a hug! ჩამიხუტე რა!

სათაურად გამოტანილი ამ ფრაზით რომ მომმართავს ხოლომე ვინმე, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, ქალი იქნება თუ კაცი. საქმე ისაა, რომ აქ, სხვადასხვა ვითარებაში, დიდმა თუ პატარამ, ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების „გაპრანჭულ-არტისტულად“ მკერდში ჩახუტება ხელების ზურგზე შემოხვევითა და თათუნით იცის. ჩემთვის ნამდვილად უცნაური, ყოფითი სიტუაციებისათვის უადგილოდ ინტიმური და არაადექვატური ეს ჩვევა აქ საკმაოდ გავრცეებულია. შეიძლება ითქვას, რომ პოპულარულიც კი არის. ამგვარი ქმედებით, სიმპატიასა და სიყვარულს, თანაგრძნობას, მოწონებას, დაძმობილებას და კიდევ ათას რამეს გამოხატავენ. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით არ მსიამოვნებს, როდესაც ასეთი ფრაზით მამაკაცი მომმართავს ხოლომე. შომ ერთ ეთნოლოგიურ ნაშრომზე მსჯელობის დროს ფრთიანი ფრაზით ასე განსაზღვრა ზოგადად ლოკალური ტრადიციული კულტურების ფენომენი: ყველა ერსა თუ ეთნოსს თავისი უ-კულტურობა გააჩნიაო! სწორედ რომ ასეა!

ამ დილაადრიანად, ეს ყველაფერი იმან გამახსენა, რომ ნაგვის გადაყრის დროს, კომპლექსის დიდ კოლექტორთან ჩვენი მეზობელი ჯოანი შემომეგება ღიმილით ხელგაშლილი: Give me a hug! -ო. ეტყობოდა, რომ თავად იმ წუთში თავისი ნაგავი გადაუძახა „დამფსტერში“. ძალიან კმაყოფილმა, ხელები უმაღლ შემომაჭდო, ფაქტიურად შემახოცა სხეულზე და წინა დღით გაქათქათებული სამოსი ისევ გასარეცხი გამიხადა.

უარი ვერ ვუთხარი: ნაგვის გადაყრის შემდეგ ხელები არც მე და არც შენ არა გვაქვს სუფთათქო, ხომ არ ვეტყვოდი. ეს აშკარად ეწყინებოდა. რაც მთავარია, ვერ გაიგებდა თუ რას და რატომ ვამბობდი. აქაურებს სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ ნაგავთან და ჰიგიენასთან. ერთი კია, რომ აქაური ნაგავი ისე განსხვავდება ჩვენებური ნაგვისაგან, როგორც თავად ქვეყნები; მაგრამ ნაგავი, როგორადაც არ უნდა იყოს დახარისხებულ-შეფუთული (ცალ-ცალკე მინა, პლასტმასის ნაწარმი, მეტალი, საკვები პროდუქტების ნარჩენები, ქაღალდი-მუყაო, ელემენტები და ა.შ. და ა.შ.) მაინც ნაგავია ხომ?!

აქაურებს სჯერათ, რომ “One man’s trash is another man’s treasure” - „ერთი კაცის უვარგისი რამ მეორე კაცის საუნჯეაო“ - და შესაბამისად მოქმედებენ კიდევ. სანამ რამეს, ძველსა და უვარგისს, დაზიანებულს, ყავლოგასულს ანდა უკვე მათთვის არასაჭიროსა და ზედმეტს გადააგდებენ, მანქანის სადგომში აგროვებენ ჩვეულებრივ და შემდეგ

შაბათ-კვირას, კარგ ამინდში, საკუთარი სახლების წინ ე.წ. „გარაჟ სეილებზე“ ან „იარდ სეილებზე“ იაფად ყიდიან (ტანსაცმელს, ავეჯს, ჯამ-ჭურჭელს, ხელსაწყოებს, წიგნებს, ვიდეოებს, ფირფიტებს, კომპიუტერებს, აპარატებს, ტელევიზორებს, ტელეფონებს და ათას წვრილმან-მხსვილმანს. განსაკუთრებით საინტერესოა მემკვიდრეობით მიღებული, 50-70-იან წლებში დაგროვილი, ქონების გაყიდვები. იქ უნიკალურ რამესაც შეიძლება წააწყდეს კაცი: ნივთებს, რომლებიც პროფესიონალ დილერებსა და კოლექციონერებს მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე). რასაც ვერ გაყიდიან, შემდეგ ქუჩაში ტოვებენ წარწერით „Free“ - უფასოაო, ხოლო თუ მაშინაც არავინ უპატრონა, ბოლოს ნაგავში ყრიან.

ამ პროცესის ყველა ეტაპზე, თავიდან მოსაშორებელ ნივთებსა და მასალებს თავისი მომხმარებლები (უსახლკაროები, ღარიბები, „Garbage eaters“ ანუ „ნაგვის მჭამელთა“ სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები <http://en.wikipedia.org/wiki/Freeganism>), მუშტარი (მეორადი მოხმარების მასალების შემგროვებლები), გადამყიდველები თუ კოლექციონერები ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი, მარტოხელა ინვალიდი ებრაელი ქალი შელბი, აპარტამენტების ჩვენს კომპლექსში მთავრობის მიერ ფინანსირებულ ოროთახიან (\$2,300-იან !!!) ბინაში ცხოვრობს და ჩვენი უბნის ნაგავს „კურირებს“ თავის იაკონელ მეგობარ ქალთან ერთად. ის დღეში რამდენჯერმე ათვალისერებს საერთო მოხმარების ნაგვის ყუთებს და გასაყიდად ვარგის საგნებს და მასალებს აგროვებს. მისგან ამ „დოვლათს“ „ფლი მარკეტის“ (აქაური შავი ბაზრის) დილერი-გადამყიდველი ყიდულობს, უკანასკნელს კი ხელს ე.წ. „ტილების ბაზრის“ ვაჭრები უცლიან ხელს. შელბის თავისი „საქონლით“, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, გადატენილი აქვს მისი ოროთახიანი აპარტამენტი (რის გამოც ლენდლორდმა, სახანძრო რაზმის წარმომადგენელმა და მერიამ რამდენჯერმე გააფრთხილა) და სამი მსუბუქი მანქანა (რომლებსაც ვიღაცა დროდადრო საბურავებს უხვრიტავს). როდესაც შელბის ამ მანქანების სხვა ადგილზე გადაყენება უწევს, ქუჩის დასუფთავების დღეებში, ფაქტიურად საჭეზე ჩამოკიდებულს მიჰყავს მანქანა ახალი ადგილისაკენ, რადგან მისი სხეულის ნახევარი ყოველთვის გარეთ რჩება უადგილობის გამო.

ის არა მარტო ნაგვის ყუთებს ამონიტორებს, არამედ ჩვენც, თუ რა მიგვაქვს გადასაყრელად. ამას წინათ ბევრი ძველმანი გადავყარე, მათ შორის ჯ.ჯ.ნიუბერის კორპორაციის უნივერსალურ მაღაზიაში 90-იანი წლების შუა ხანებში მუშაობის დროს შედგენილი ჟურნალი, რომელშიც მოფლიფტერების, “ბედ-ჩეკერებისა” და სხვა თაღლითების ჩემს მიერ გადაღებული ფოტოსურათები და ამ შემთხვევებთან დაკავშირებული პოლიციის შესაბამისი რაპორტების ასლები მქონდა ჩაკრული. იქვე იყო ბერკლის ბიზნესების ასოციაციაში ნიუბერის ზოგიერთი თანამშრომლის წინააღმდეგ მომხმარებლების მიერ

შეტანილი საჩივრების დედნები, რომლებსაც ქალაქის ბიზნეს ბიურო ჩვენ გადმოგვიგზავნიდა ხოლმე და სხვა. შელობის ეს ჟურნალი და 60-70-იანი წლების ნიუბერის სხვადასხვა დეპარტამენტისა და თანამშრომლების ფოტოსურათებიანი დიდი ალბომი ნაგავიდან ამოუღია, დაწვრილებით განუხილავს და ბერკლის ისტორიული საზოგადოებისათვის ჩაუბარებია, როგორც ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინსტიტუტთან დაკავშირებული დოკუმენტები. მე მგონი, ბიზნეს ბიუროშიც კი უნდა იყოს მისული, რადგან ძალიან გაუკვირდა, რომ ასოციაცია საჩივრების დედნებს ჩვენ გვიგზავნიდა, რომლებზედაც მომჩივანი ადამიანების სახლების მისამართი და ტელეფონების ნომრები იყო დაბეჭდილი. ეს ხომ საჩივრების კონფიდენციალურობის წესების აშკარა დარღვევა არისო; ძალიან დარდობდა, რომ ასეთი რამ თურმე ბერკლშიც კი ხდებოდა.

ლოუკას დაბადება შელობის ძალიან გაუხარდა. შენ და შენმა ცოლმა ამ ბავშვის დაბადებით სამყარო ძალიან გაალამაზეთო, მითხრა, მისი მოულოდნელი პოეტური განწყობილებით გაკვირვებულს. რამდენიმე კვირა ღიმილი არ მოშორებია სახეზე. ორი თვის წინათ, ჩვენი მეორე მინი საკუჭნაო-საწყობის დაცლა გახდა საჭირო, რადგან ხელშეკრულებით მხოლოდ ერთი ეკუთვნის ბინის დამქირავებელს. ამრიგად, უადგილობის გამო, ბევრი რამის გადაყრამ მომიწია. ჯამ-ჭურჭელი, სრულიად უხმარი ფაქსიანი და ქსეროქსიანი ფერადი პრინტერი, წაკითხული წიგნები, ნანახი ვიდეოები და ა.შ. გარეთ რომ გავიტანე, შელობის მოვკარი თვალი: აბა, ნახე, ეგებ რამე გამოგადგესთქო, ვუთხარი. მან და ჩვენი მეზობელი ქალის მომვლელმა ისე უცბად გაინაწილეს ყველაფერი, რომ გადასადები და ქუჩაში დასადები აღარაფერი დამრჩა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შელბი და ის მომვლელი ქალი უფრო „დიდ ინტერესს“ იჩენენ ჩვენდამი. მგონი უკანასკნელიც „პოეტურ“ განწყობაზე დააყენა ლოუკამ: „თქვენი ლამაზი ბიჭი რომ მაგონდება, სულ ცეკვა მინდებაო“, ეზოდან ამომძახა დღეს.

ერთი სიტყვით, ლოუკა ბევრს მოსწონს და არა მარტო იმათ, ვინც ჩვენგან რაიმეს ელის: შოს დეპარტამენტის ძველსა და ახალ ხელმძღვანელებს, მათი ოჯახის წევრებს (ცნობილი არაბისტის, პროფესორ მარგარეტ ლარკინის 96 წლის დედა ნიუ-იორკიდან რომ ურეკავს შვილს, ყოველთვის სთხოვს ლოუკას შესახებ რაიმე ახალი ამბავი მოუყვეს. ლარკინი შოს ძალიან დიდ პატივს სცემს. ის და მისი ქმარი შოს განსაკუთრებულ პიროვნებად და უნარ-ჩვევების პიროვნებად თვლიან. მეორე არაბისტი პენსიაზე გასვლის შემდეგაც კი რეგულარულად გვამარაგებს მისი ბაღის ლედვითა და ლიმონებით. იმდენს ტოვებს ჩვენი კარების წინ, რომ მეზობლებს ვურიგებთ ხოლმე. ასირიოლოგი კილმერი სახლში გაკეთებული მურაბებით გვამარაგებდა არიზონაში გადასვლამდე და ა.შ.), სხვა პროფესორ-

მასწავლებლებს, დოქტორანტებს და სტუდენტებს, აქაურ ნაცნობ ქართველებს, რუსებს და სრულიად უცხო ხალხს, პარკებში, მაღაზიებში თუ უბრალოდ ბერკლის ქუჩებში რომ გვხვდებოდნენ.

22.03.15

საქართველო?! ქართველი?! ქართული ენა?!

ოცი წლის წინათ ძალიან ძნელი იყო აქაურებისათვის იმის ახსნა თუ ეთნიკურად ვინ ვიყავით ან რომელი ქვეყნიდან ჩამოვდით. არა და ჩვენდამი ინტერესი სწორედ ამგვარი კითხვებით იწყებოდა ყოველ დღე, სამეზობლოში, უნივერსიტეტში, დროებით სამსახურებში თუ ქუჩაში. ერთ გაწამაწიაში ვვარდებოდით, რადგან ასეთი საუბრების დროს, საუკეთესო შემთხვევებში, „მცოდნე ხალხისათვის“ უნდა დაგვემტკიცებინა: ა) რომ სლავები ან რუსები არ ვიყავით, ბ) რომ ქართული არ შედიოდა სლავური ენების ჯგუფში, გ) რომ ჩვენი აქცენტი სამხრეთული ანუ ამერიკის ჯორჯიის აქცენტი არ იყო (ერთხელ, როდესაც კალიფორნიელებთან საუბრის დროს შომ ახსენა, რომ საქართველოდან ვიყავით, ერთ-ერთი მათგანი ძალიან გახალისდა: „თავიდანვე მივხვდი რომ ჯორჯიის შტატიდან იყავით, რამდენიმე წელი იქ ვცხოვრობდიო!“), დ) რომ საქართველო შავსა და კასპის ზღვებს შორის მდებარეობდა, ხოლო ეს შედარებით პატარა ზღვები თავად ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარეობდა და ა.შ. და ა.შ.

ამრიგად, უნივერსიტეტში ჩვენი საქმიანობა, „ქართული ენისა და კულტურის კურსი“ და შესაბამისი ვებგვერდი (<https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/>), ქართული ენის დაწყებითი კურსის გაკვეთილები და სტატიები ინტერნეტზე, ფიბი ჰერსტის სახელობის ანთროპოლოგიის მუზეუმში ჩვენს მიერ მოწყობილი ხუთთვიანი გამოფენა, საჯარო ლექციები და მოხსენებები, საგაზეთო და სატელევიზიო ინტერვიუები არა მხოლოდ სამეცნიერო ინტერესებით იყო განპირობებული, არამედ ინგლისურენოვანი აუდიტორიისა და მკითხველებისათვის ქართული იდენტობის საინტერესოდ წარმოჩენის ცდასაც წარმოადგენდა. რაც ადვილი არ იყო, საქართველოსთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის საარაკო სიმწირის გამო. (იხ. 03.04-01.08.2004 -“Images From the Georgia-Chechnya Border, 1970-1980: Visual Anthropology of the Peripheries”, Phoebe A.Hearst Museum of Anthropology, University of California, Berkeley, News, Volume 4, Number 2, Spring/Summer 2004: https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/photo2/photo_splash.html -; აშშ-ში და გერმანიაში გამოცემული წიგნები და სტატიები: Shorena Kurtsikidze and Vakhtang Chikovani, “Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey”, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, University of California, Berkeley, Spring 2002; “Georgian Folklore, Reader, Parts 1-2”, Compiled by

Shorena Kurtsikidze and Vakhtang Chikovani, *Anthropology* 162, Spring 2005, University of California, Berkeley; Ryan K. Shosted and Vakhtang Chikovani, "Standard Georgian: Illustrations of the IPA," *Journal of the International Phonetic Association*, 2006, 36: 255-264; Shorena Kurtsikidze, "Essentials of Georgian Grammar with Conjugation Tables of 250 Most Commonly Used Verbs", Munich: Lincom Europa, 2006; Shorena Kurtsikidze & Vakhtang Chikovani, "Ethnography and Folklore of the Georgia-Chechnya Border: Images, Customs, Myths & Folk Tales of the Peripheries", Munich: Lincom Europa, 2008; Shorena Kurtsikidze and Vakhtang Chikovani, "Response to Paul Manning's Review of the Publication *Ethnography and Folklore of the Georgia-Chechnya Border: Images, Customs, Myths, and Folk Tales of the Peripheries*", by Shorena Kurtsikidze and Vakhtang Chikovani, Lincom Europa, 2008, 711 pp. ISBN: 978-89586-328-8 (Hard cover), *Anthropology of East Europe Review (AEER)*, Vol 28, No 2 (2010); Shorena Kurtsikidze, "Essentials of Georgian Grammar with Conjugation Tables of 250 Most Commonly Used Verbs and Answer Key to Exercises", Munich: Lincom Europa, 2014. Shorena Kurtsikidze, "Advanced Georgian Reader", Dunwoody Press, 2014; Shorena Kurtsikidze & Vakhtang Chikovani, "Georgian Tales," *Encyclopedia of Folktales and Fairy Tales: Traditions and Texts from around the World, Revised & Expanded Edition*, (2015).

ABC ანუ American-born Chinese / ამერიკაში დაბადებული ჩინელი

სხვადასხვა ბიზნესში მუშაობის პროცესში, მე და შო დავრწმუნდით, რომ ჩინელები (მათი უმრავლესობა) თავიანთი მუყაითობით ყველა სხვა ეთნიკური და რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (ფილიპინელების გამოკლებით) სჯობდნენ. ისინი ნებისმიერი სახის სამუშაოს ჩვეულებრივ სხვებზე უფრო ხარისხიანად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ. ამის გამო, სამუშაოზე დაქირავების დროს, სხვებივით ჩვენც უმეტესწილად ჩინელებს ვაძლევდით უპირატესობას, რადგან მათთან შედარებით სხვა - ესპანური, პორტუგალიური, მექსიკური, ინდურ-პაკისტანური, აფრიკული, კარიბიული, ბრაზილიური თუ სხვა წარმოშობის - ადამიანებთან საქმიანი ურთიერთობა გაცილებით მეტ ენერჯიასა და ყურადღებას ითხოვდა. ამის გამო, როდესაც „თიუზდი მორნინგში“ მენეჯერად დავიწყო მუშაობა, „ჯეი.ჯეი. ნიუბერის“ ერთ-ერთი ძველი თანამშრომელი მაიკლო მო წავიყვანე ჩემს ასისტენტად და არც შევმცდარვარ. ის უსიტყვოდ, ყოველთვის დროზე აკეთებდა გასაკეთებელს. მხოლოდ ერთი უცნაურობა სჭირდა: მისთვის რაც არ უნდა ეკითხა ნებისმიერ თანამშრომელს, ყველას განურჩევლად, მასზე უფროსსა თუ უმცროსს „I don't know“-თი ისტუმრებდა. რა კარგი ამინდია, არა მაიკლო, რომ გეკითხა, აუცილებლად „I don't know“-ო, გიპასუხებდა. ამიტომ, მაიკლოთან დიდი მასლაათი არასოდეს არ იყო საჭირო, უნდა გეთქვა რა იყო გასაკეთებელი და მორჩა.

რაც არ უნდა მომხდარიყო მის პირად ცხოვრებაში, მაიკლი სამსახურს არავითარ შემთხვევაში არ გააცდენდა. ამისთანა ადამიანი ნებისმიერი ბიზნესისათვის ოცნება, ხოლო კომერციული დაწესებულებისათვის კი პირდაპირ მისწრებაა. ამიტომ ის ყოველთვის ყველგან ყველაზე უღალატო, სანდო და კეთილსინდისიერ თანამშრომლად ითვლებოდა. ერთ დღილას მაიკლმა მითხრა, რომ წინა დღეს მოულოდნელად მამამისი გარდაიცვალა თურმე. ძალიან შევწუხდი, ვუთხარი, რომ თუ უნდოდა ნებისმიერი ვადით შეეძლო სამსახურში არ გამოცხადებულიყო. ასეთი რამ სრულიად არ არის საჭიროო, მამაჩემი ეხლა ხომ სამოთხეშიაო, ღიმილით მიპასუხა და მივხვდი, რომ თავისი ნათქვამის მას ნამდვილად ღრმად სჯეროდა. მუზეუმში და შემდეგ დეპარტამენტში მუშაობის დროს, შოც ხშირად იღებდა ჩინური წარმოშობის სტუდენტ გოგონებს სამსახურში და მათი საქმიანობით ყოველთვის კმაყოფილი იყო. ერთ-ერთი მათგანი, ჩუტარატი, არქიტექტურის დეპარტამენტის კურსის დამთავრების შემდეგ დიდხანს იყო უმუშევარი და ბოლოს ბერკლის ყველაზე ცნობილ პიცერიაში (<http://www.cheeseboardcollective.coop/pizza>) დაიწყო მუშაობა და მალე ამ მეტად წარმატებული კოლექტიური ბიზნესის გარკვეული წილის მფლობელიც გახდა.

ერთხელ შომ ხევსურული თვრამეტნაოჭიანი ხინკლები ბლობად მოახვია და ნაწილი სამსახურში გამატანა თანამშრომლების გასამასპინძლებლად. შესვენებაზე ყველამ მოიწონა მისი ნახელავი, ხოლო მაიკლ მომ ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება: „ჩვენც ხშირად ვაკეთებთ სახლში ჩინურ დამფლინგებსო“. სად ხევსურული ხინკალი და სად ჩინური დამფლინგები, იფიქრებს კაცი; მაგრამ მაიკლმა ჩვენებური ხინკალი ნამდვილად ჩინური დამფლინგების ქართულ ვარიანტად ჩაგვითვალა. გამორიცხული არაფერი არ არის და შეიძლება მაიკლ მო სწორიც იყოს, არა?! ვინ იცის, ეგებ ხინკალი ე.წ. „ჟამიანობის დროს“ ანუ ხევსურეთში მითოლოგიური „ჟამების“ (ზოგის აზრით, მოხლოლები ან მათი ჩრდილო-კავკასიელი მოკავშირე ალანები უნდა ყოფილიყვნენ) შემოსევების დროს აითვისეს ჩვენმა მთიელებმა და შემდეგ ლოკალურ „ეროვნულ“ კერძად აქციეს?!

მსგავსი „საეთაშორისო პარალელები“ თუ გავლენა-ნასესხობის ფაქტები ხომ ბლომად არის „სამყაროს მოწყვეტილ“ ხევსურეთში?! ხევსურები მათ უხვად დეკორირებულ ლამაზ სამოსს, ტალავარს ხოლო მექსიკელები კი ასევე დეკორირებულ კერამიკის ნაწარმს Talavera-ს უწოდებენ (http://talaveraceramics.com/Talavera/Talavera_Ceramics_Website.html). ორივე შემთხვევაში, ალბათ, ამ „თანხვედრის“ წყარო მუსლიმანურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის შედეგი უნდა იყოს.

ასეთივე წარმომავლობისაა მამაკაცის ხევისურული სახელი ბალათერა (შედ.რუსულ-მონღოლური Богатырь) და გვარი არაბული და სხვა.

კიდევ რამდენიმე „საერთაშორისო პარალელი“:
წყაროების მიხედვით, ლორიანი ლობიანი ხაჭაპურის „სამშობლოს“ ანუ რაჭა-ლეჩხუმს თაკვერი, ხოლო ადგილს სადაც მექსიკურ „ლობიანს“ ანუ ტაკოს აკეთებენ ან ყიდნიან Taquería-ა ჰქვია. ასეთი რესტორნებით მოფენილია კალიფორნია.

ჩვენი სახლის მახლობლად, ბერკლის ერთ-ერთ მცირე ხევში, ნაკადული, Codornices Creek ჩამოდის, რაც მდინარე კოდორის და მისი ხეობის ასოციაციას იწვევს. გაქალაქებამდე, ბერკლის მიდამოებში ესპანელების რანჩოები იყო და აქაური ტოპონიმები და ჰიდრონიმები ეტყობა მათი შექმნილია.

შორენას „ქართული ფოლკლორის კურსის“ ერთ-ერთმა სტუდენტმა, კლასში სვანური რიტუალური ცეკვის „მელიაი ტულეფიას“ ვიდეოს ნახვის შემდეგ, ერთი ძველბერძნული ლარნაკის სურათი მოგვიტანა, რომელზედაც გამონახული რიგში ჩამდგარი წვერიანი შიშველი მამაკაცები აშკარად „ადრეკილას“ მსგავს ეროტიკულ ცერემონიას ასრულებენ.

ან ვთქვათ, რა კავშირია, შოსი არ იყოს, ერთმანეთთან, ჩვენებური ყურძენი და კარგი ღვინოებით ცნობილი იტალიური Gordzoni და ა.შ. და ა.შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ნახევრად ხუმრობით იყო ნათქვამი. თორემ ასეთი კავშირების დადგენა-უარყოფას კვლევის დრო და სურვილი უნდა ჰქონდეს ადამიანს. ლუკიანეს შემხედვარეს, ახლა არც ერთი და არც მეორე არა მაქვს ნამდვილად.

უნებლიე მოგონებები

წინა ამბავმა, ბრიტანეთის მუზეუმში ნანახი ანტიკური რომისადმი მიძღვნილი არქეოლოგიური ექსპოზიცია გამახსენა, რომლის ძირითადი თემა საოჯახო კულტი იყო. ჭერიდან ჩამოშვებულ უხილავ ძაფებზე დაკიდებული ნატურალური ზომისა და შესახედაობის, ბომბებივით კვერცხებიან, თიხიდან გამოძერწილ „მფრინავ“ ფალოსებს, ძველი რომაელების ოჯახის ამ აუცილებელ რიტუალურ ატრიბუტებს, ღიმილით და ინტერესით შესცქეროდა ხანდაზმული აზიელი ტურისტი ქალების მცირე ჯგუფი. იმ დღეს, იქვე, ბრიტანეთის საქვეყნოდ ცნობილ ბიბლიოთეკაში სამანსოვრო ამბები შემემთხვა. როდესაც მუზეუმის ექსპოზიციების თვალთვლით დაღლილი, ჩვეულებისამებრ, საარაკო სილამაზისა და ისტორიის მქონე მრგვალ და მაღალგუმბათიან სამკითხველო დარბაზში შევბრუნდი

(http://en.wikipedia.org/wiki/British_Museum_Reading_Room#/media/File:British_Museum_Reading_Room_Panorama_Feb_2006.jpg). 1990 წელის აპრილ-მაისში, ბრიტანეთის მუზეუმი და ბრიტანეთის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ ერთ მენობაში იყო განთავსებული. ჩემს გვერდით მაგიდაზე ადრე თავისუფალი ადგილი დაკავებული დამხვდა. სიმპათიური, მოდიდან კარგა ხნის წინათ გამოსულ კოსტუმში კოპწიად გამოწყობილი ასაკოვანი მამაკაცი წიგნს ჩაჰკირკიტებდა. მაგიდას მივუჯექი თუ არა, მომესალმა, ბოდიში მომიხადა შეწუხებისათვის და მკითხა ვინ და საიდან ვიყავი. სანამ აქ არ იყავით, თქვენს წიგნებს გადავხედე და მივხვდი, რომ სოციალური ანთროპოლოგიით ხართ დაინტერესებულიო. ჩემი ქართველობა ძალიან გაუხარდა. თქვენი მენშევიკური მთავრობის პირველი თავმჯდომარის შვილთან, ექიმ აკაკი რამიშვილთან ვმეგობრობ და ბევრი რამე მისგან მაქვს გაგებულო. თვითონ ძველი თაობის უკრაინელი ემიგრანტი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს ამბებს დიდი იმედით ადევნებდა თვალს, ეგებ მსგავსი რამ მომავალში, ღვთის წყალობით, ჩვენშიც მოხდესო, ნატრობდა. ბიბლიოთეკის სამარისებურ სიჩუმეში დიდ მასლაათს ხომ ვერ გავაბამდით; თან მითხრა, არ მინდა ეს ძვირფასი დრო წაგართვათო და მალე ჩვენს საქმეებს მივუბრუნდით. ელიადეს „მითსა და რეალობას“ გადავავლე თვალი და თან ცხადად ვოცნებობდი: რა კარგი იქნებოდა რომ ამ სიმპათიური ემიგრანტისათვის რამეთი დახმარების გაწევა შემეძლოსო. ამასობაში, უკრაინელი თვითონ მომიბრუნდა და დიდი ბოდიშით გულის ჯიბეში ოცფაუნდიანი ასიგნაცია ჩამიღო: კარგად ვიცი, ყოფილი კავშირიდან ჩამოსულები ფინანსურად რა დღეში ხართ; ნეტავ მეტი შემძლოს, რომ ხელი გაგიმართოთო. საშინლად ვიუარე. ბიბლიოთეკაში უნებურად ისეთი ჩოჩქოლი ავტეხეთ, რომ ბიბლიოთეკარმა ყურადღება მოგვაქცია. ბოლოს იძულებული გავხდი მის ნებას დავყოლოდი, რომ არ სწყენოდა და ის ოცი ფუნტი ჩემს მართლაც ჩია ბიუჯეტს მადლიერებით მივუმატე. ვუთხარი, რომ წინა დღით მისმა მეგობარმა, ბ-ნმა აკაკი რამიშვილმა „ლონდონის უნივერსიტეტის ქართული დღის“ მონაწილე ქართველები კაფეში დაგვიპატიჟა და სხვა. იმ დღის სიურპრიზები ამით არ დამთავრებულა. მოსალამოვდა და სასტუმროში წასასვლელად გავემზადე. მუზეუმიდან გამოვედი. სვეტებიანი მთავარი შესასვლელის წინ კარგა ხანს ვიდექი, რომ გვერდითი კარებიდან ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დიდი, ფართე ფორმატის ცხრილების შესადგენი საბეჭდი მანქანა გამოიტანა და სანაგვე ყუთის გვერდზე დადო. გაფუჭებულიათქო? ვკითხე. არა, უბრალოდ ახალი კომპიუტერები ამ სამუშაოს უკეთესად ასრულებენო. ვერ მოვითმინე, მე რომ წავიღო თუ შეიძლებაო. Of course, რა თქმა უნდაო, მიპასუხა და მუზეუმში შებრუნდა. თბილისამდე სულ მეჩვენებოდა, რომ თვითმფრინავი დროდადრო იქითკენ იხებოდა, საითკენაც სტიუარდესამ ამ ვეება და სუპერ მძიმე საბეჭდი მანქანისათვის ადგილი გამომითავისუფლა.

ლონდონის ჰაიდ პარკში შთამბეჭდავი შემთხვევის მოწმე გავხდი. ქალაქში სეირნობის დროს, აღმოსავლეთმცოდნე იცხაკ დავითს ისრაელის საელჩოში საქმე გამოუჩნდა (ისაკ დავითაშვილი ქართულ-ებრაულო ურთიერთობების მკვლევარი, წლების განმავლობაში ისრაელის პრემიერ მინისტრის შიმონ პერესის მრჩეველი იყო. თითქმის ერთსა და იმავე დროს ვსწავლობდით თსუ-ში, მაგრამ მხოლოდ „ლონდონის უნივერსიტეტის ქართულ დღეზე“ გავიცანი) და იმ პირობით გავიყარეთ, რომ ორ საათში ბრიტანეთის ეროვნულ გალერეაში შევხვდებოდით ერთმანეთს. ის ორი საათი ჰაიდ პარკის ლეგენდარულ „ორატორებს კუთხეში“ სიამოვნებით გავატარე. ხან ერთსა და ხან მეორე ორატორს ვუგდებდი ყურს. ბოლოს, მსმენელების ერთმა ჯგუფმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ქრისტიანული მოძღვრების მოქადაგე ინდოელ მამაკაცს სხვადასხვა რასის ახალგაზრდა მუსლიმების ჯგუფი შემორტყმოდა გარს და რომ იტყვიან, გასაქანს არ აძლევდა. სასაცილოდ იგდებდნენ, შეძახილებით და ტანისამოსზე წაპოტინებით ცდილობდნენ მისთვის სიტყვა გაეწყვიტინებინათ და სხვა. ერთმა შავკანიანმა, ინდოელს ბიბლია ხელიდან გამოსტაცა, მიწაზე დააგდო და ზედ აცეკვდა. შემდეგ დემონსტრაციულად ბიბლიიდან ფურცლების ნელ-ნელა ამოხევას მიჰყო ხელი, გარშემო მყოფთა წამახალისებელ სიცილ-ხარხარში. ინდოელი სტოიკურად იტანდა ყველაფერს და თავის საქმეს აუღელვებლად განაგრძობდა. ამ სცენას ღიმილით შეჰყურებდა, ეტყობა პაბიდან ახლად გამოსული, ხანშიშესული და ლუდისაგან სახე-აწითლებული ინგლისელი მამაკაცი. ჩემთვის უჩვეულო და უცხო სიტუაციაში რომ გავრკვეულიყავი, მაროკოელ ახალგაზრდას გამოველაპარაკე: რა ხდება ერთი გამაგებინეთქო. რა და აქ რომ ჩამოვდივართ, კარგ სამსახურებში არ გვიღებენ, მხოლოდ ოფიცინტებად და დამხმარე მუშებად გვამუშავებენ და ეს ყელში გვაქვს ამოსულიო. მაროკოზე უკეთ კი ვარ აქ, მაგრამ მეტი მინდა, საცოლო მყავს და სხვაო. დაუფარავმა უკმაყოფილებამ და რაც მთავარია უსაფუძვლო ამბიციამ, რომელსაც სათანადო ამუნიცია ანუ ადექვატური განათლება-გამოცდილება არ ახლდა, ძალიან გამაკვირვა. ის კიდევ აღარ ვკითხე ამ ახალგაზრდა სიმპატიურ თავდაჯერებულ „ლონდონისტანელს“, რელიგია რაღა შუაშიათქო, რადგან პასუხი ისედაც პირზე ადგა, ცხადი იყო.

ლონდონურმა ამბებმა იმავე პერიოდში სხვადასხვა ქალაქთან დაკავშირებული მოვლენები მომაგონა. იმავე წლის ზაფხულში, თანამშრომელთან ერთად ხანგრძლივი მივლინებით ბულოგარეთში მომიწია წასვლა, სადაც ბევრ საინტერესო მოვლენას შევსწარი. ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადების ციებ-ცხელებას მოეცვა. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, მეტად თავდაბალი და სასიამოვნო პიროვნება, ფილოსოფოსი ჟელიუ ჟელიუვი განსაკუთრებული სიმპატიით სარგებლობდა ჩვენს ბულოგარელ

კოლეგებს შორის. ის თავის სუპერ პოპულარულ და ერთ დროს აკრძალულ წიგნში „ფაშიზმი“, კომუნისტური და ფაშისტურ-ნაციონალისტური სისტემების ანალოგიების შესახებ ვრცლად მსჯელობდა. ეროვნული მოძრაობით მოცული საქართველოდან ჩასულისათვის, მასთან შეხვედრა განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა, მარწმუნებდნენ მასპინძლები. მოკლე, მაგრამ შინაარსიანი შეხვედრა, რომელსაც მომავალი პრემიერ მინისტრი ბერონიც ესწრებოდა, სოფიაში დემოკრატიული ძალების საარჩევნო კამპანიის შტაბ-ბინაში, მართლაც რომ საინტერესო აღმოჩნდა. ბატონი ჟელევის აზრით, ეროვნული იდეოლოგიის მეშვეობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ძნელი და სარისკო საქმე იყო: ევროპას ნაციონალიზმის ტრაგიკული გამოცდილება აქვს და ამის გათვალისწინება აუცილებელი იქნებოდა. საუბრის ბოლოს, მისი წიგნი „ფაშიზმი“ მაჩუქა წარწერით. როდესაც ვუთხარი, რომ კარგი იქნება, რომ დღეისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ნაშრომი ქართულადაც არსებობდესთქო, ნამდვილად არ ვიქნები თარგმნის წინააღმდეგიო, ღიმილით მითხრა. იმავე საღამოს დავურეკე თბილისში ერთ-ერთ ახლად გამოჩეკილ კერძო გამომცემელს და ჟელევის ნაშრომის ქართულად გამოცემის შესაძლებლობაზე ვესაუბრე. იმ პერიოდში, საკმაოდ აქტიურად ვიყავი ჩართული კომერციულ საგამომცემლო საქმიანობაში: არა ერთი ძველი, საბჭოებამდელი ქართული პოპულარული წიგნის ახალი გამოცემა და ქართული ზღაპრების, მითების და ლექსების ქართული და რუსული კრებული მოვამზადე; მეგონა, რომ არც ამ საქმეს დაუდგებოდა წინ რამე; მაგრამ, როგორც ნათქვამია, „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, სიტუაცია შეიცვალა და ეს პროექტი, როგორც ბევრი სხვა, განუხორციელებელი დარჩა.

ჟელევთან შეხვედრის შემდეგ, ბუღარული ეროვნული მოძრაობის ლიდერს, პროფესიით ექიმს (გვარი სამწუხაროდ გადამავიწყდა) და მისი პარტიის წევრების ჯგუფს შევხვდი. მაინტერესებდა, როგორ წარმოედგინათ მათი ქვეყნის მომავალი საერთაშორისო ურთიერთობები და ასე ვთქვათ, ერთი იდეის ტესტირებასაც შევცადე: საქმე ის იყო, რომ არსებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების, თანამეგობრობებისა თუ კავშირების სიცოცხლისუნარიანობა სათუოდ გახდა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი სსრკ-ს რესპუბლიკებში და მის ყოფილ სატელიტ ქვეყნებში და ახლებური პრინციპით შექმნილი უნიებისა და გაერთიანებების შესაძლებლობების ძიება დაიწყო. სწორედ ასეთი ძიების შედეგია ძველი, თითქოს მივიწყებული და ყავლაგასული კულტურულ-ისტორიული და ეთნიკურ-კონფესიური ალიანსების კონცეფციების განახლების ცდები: რუსეთში ევრაზიულობის, აზერბაიჯანში, თათარისტანსა და ყოფილი სსრკ-ს სხვა თურქულენოვან ხალხებში პანთურქიზმის, ჩრდილო კავკასიაში ისლამური ემირატის იდეოლოგიის გასავრცელებლად გადადგმული

ნაბიჯები და ა.შ. მაშინ ვფიქრობდი, რომ საქართველოსათვის უფრო უპრიანი იქნებოდა ისეთ ქვეყნებთან ახლებურსა და თანასწორუფლებიან ალიანსში ყოფნა, რომლებთანაც საერთო კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა დააკავშირებდა და რომ ნეო-ბიზანტიზმის კონცეფციით შეკავშირებული, განსხვავებული ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოები მათ წინაშე მდგარ პრობლემებს ერთად უფრო ადეკვატურ გადაწყვეტას მოუწახვდნენ. ყოველივე ამის შესახებ, პრესაში გამოქვეყნებული სტატიით და ნეო-ბიზანტიზმის იდეით, საერთაშორისო ურთიერთობების განხრით მომუშავე რამდენიმე ქართველი პოლიტიკოსი დაინტერესდა და ამის გამო, ბუღარეთში, როგორც დემოკრატიული ისე ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ვცადე ხსენებული იდეის მიმზიდველობისა და სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი იყო: სუპერ-პრაქტიკულმა და გამოცდილმა პოლიტიკოსებმა, რა თქმა უნდა, ჩვენებური თქმისა არ იყოს, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინეს: დემოკრატები დასავლეთთან, ხოლო ნაციონალური მოძრაობის წევრები კი სხვა სლავურ სახელმწიფოებთან კავშირის განმტკიცებაზე იყვნენ ორიენტირებულები.

იმხანად, საქართველოშიც პირველი დემოკრატიული ხასიათის არჩევნისათვის მზადება მიმდინარეობდა და ახლად აღმოცენებული პარტიებისა და პოლიტიკური გაერთიანებების საინიციატივო ჯგუფები მომავალი პარლამენტის პოტენციური წევრების კანდიდატების სიების შედგენით იყვნენ დაკავებული. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის წევრები დაბეჯითებით მთხოვდნენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა მათი სიით მიმეღო, რაზეც რამდენჯერმე უარი ვთქვი: ოპერაში სამღერლად ნუ მეპატიჟებით სიმღერის არმცოდნე კაცს თქო.

იმ ხანებში, სხვა მრავალ რეალურ პრობლემასთან ერთად, რომელიც ქვეყნის წინაშე იდგა, ხშირად გამოგონილი, თითოდაც გამოწოვილი „პრობლემებიც“ ერთვოდა, რომელთა ნაწილს საკუთარი ინიციატივითა თუ დაკვეთით არაკეთისინდისიერი მოსკოველი მკვლევარები ააგორებდნენ ხოლმე. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, სსრკ-ს სამეცნიერო აკადემიის მიკლოუნო მაკლასის სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტმა მრავალტომიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული პუბლიკაციის ორგანიზება ითავა, რომლის თითოეული ტომი ჯერ თითოეულ საკავშირო რესპუბლიკას, შემდეგ კი თითოეულ ეთნოსს თუ სუბეთნოსს ან ეთნოგრაფიულ ჯგუფს უნდა მიძღვნოდა. როგორც საქართველოსადმი მიძღვნილი ტომის კურატორს, არაერთხელ მომიწია ამ სერიის მოსამზადებელ სამუშაო შეკრებებზე მოსკოვში, ზვენიგოროდში, სუზდალში, ვლადიმირში და ალმა-ატაში ჩასვლა, სადაც დაგეგმილი სერიის ტომებში შესატანი

მასალების შერჩევის პრინციპების შეცვლის საბაზით, სერიის მთავარი რედკოლეჯის მიერ ჩვენი ტომიდან ჯერ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ დასაწერი სტატიები იყო ამოღებული; ხოლო შემდეგ კი, არაერთხელ, სერიის მთავარი რედაქტორის მოადგილის მხარდაჭერით, თავად ქართული ეთნოსისტემის ერთობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებას შეეცადნენ ზოგიერთები და ტომიდან მეგრელებისა და სვანებისადმი მიძღვნილი ნაწილების ამოღების აუცილებლობის შესახებ მართავდნენ მსჯელობას. ჩვეულებრივ, საკმაოდ უსიამოვნო გარემოცვაში მიწევდა ქართული ეთნოსისტემის ერთიანობის თვალსაზრისის დაცვა, მაშინ როდესაც გარშემო სერიის მაცურებლების გარდა არავინ იყო. ერთ-ერთ შეკრებაზე, მსგავსი „დისკუსიის“ შემდეგ ეთნოგრაფიის ინსტიტუტის იმჟამინდელმა დირექტორმა „შინაურულად“ მირჩია, ჩრდილოკავკასიელი, ადიღეველი, ბალყარელი, ინგუში და ჩეჩენი კოლეგებით გარშემორტყმულს - და ისე გამოვიდა როგორც ანდაზაშია - „მულო, შენ გეუბნებიან და რძალო - შენ გაიგონეო“: „თქვენ თუ გინდათ რესპუბლიკის ერთიანობა შეინარჩუნოთ, მაშინ ქვეყანას სახელი უნდა გამოუცვალოთ, თორემ საქართველო ხომ მხოლოდ ქართველებით დასახლებულ ტერიტორიას ნიშნავსო!“. თბილისში ჩამოსულმა, რუსული გაზეთის ნაცნობ ჟურნალისტს შევთავაზე ამ საკითხზე საკავშირო ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორისათვის ინტერვიუ ჩამოერთვა მოსკოვში და მალე „Вечерний Тбилиси“-ში უზარმაზარი ორგვერდიანი ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც სსრკ-ს მომავალი ეროვნებათა მინისტრი საქართველოში ფედერაციული სისტემის შექმნის საჭიროების შესახებ მსჯელობდა.

24.03.15

ლოუკიანე

ლოუკა რვა დღეში თორმეტი თვის გახდება. მას უკვე თავისებურად გამოკვეთილი ჩვევები ახასიათებს. ზოგი „ძველი“ და ზოგი ახალი. ძველებიდან ისევ პირველ ადგილზეა ყველაფრის პირში ჩადების სურვილი. ქვედა სამი და ზედა ერთი კბილის ამოჩენით თითქმის არაფერი შეცვლილა, მხოლოდ დროდადრო კბილების ღრჭიალი გვესმის და ეს არის და ეს. ძველი ჩვევების ერთი ნაწილი მგონი აღარც მას მოსწონს, რადგან სულ უფრო ნაკლებად მიმართავს მათ. მაგალითად, უკვე კარგა ხანია ჭამის დროს კოვზებს აღარ გვტაცებს ხელიდან, იატაკზე გადასაგდებად. ამ მხრივ „დაუვიწყარი“ რვა-კოვზიანი საუზმე ჯერ-ჯერობით ისევ რეკორდად რჩება. თუმცა, ისევ ძველებური მუყაითობით ცდილობს ჭამის დროს ყელზე ჩამოფარებული წინსაფრიდან გათავისუფლებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სადღორბლის ნელ-ნელა ჩამოგლეჯის პროცესში ახლა უკვე ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩვენს რეაქციას.

დედამისის და ჩემი სახის გამომეტყველებით ცდილობს დაადგინოს, რომ ყველაფერი ოკეი იქნება თუ არა. ხსენებულ, თითქმის რიტუალურ ქმედებას, მან სულ ახლახანს ახალი დეტალი დაუმატა: სადღორბლეს ყოველთვის იატაკზე კი აღარ აგდებს, რომ გასარეცხი არ გაგვიხდეს, არამედ ღიმილით ჩვენ გვაწოდებს, რასაც „პედაგოგიურად კორექტული“ შეძახილებით, „ყოჩაღ!!! ყოჩაღ!!!“ და ტაშისკვრით ვხვდებით.

ახალი უნარ-ჩვევებიდან, პურის ყუის ჭამა-ლოღნა და საკუთარი სპეციალური ჭიქიდან წყლის დამოუკიდებლად გამოწოვა მაინც განსაკუთრებულ რამედ რჩება. ლუკა პურის ჭამის დროს დროდადრო დიდი ადამიანივით მოიყუდებს ხოლმე თავის ჭიქას და სიამოვნებით ყლურწავს წყალს. თუ წყალი გადასცდა, უმაღლეს ჩვენ შემოგვხედავს, იმის მოლოდინში რომ სწრაფად მივქნებარებით პატარა ზურგზე და მხრებზე ხელის დაპარტყუნებით.

ძუძუს ისევ გატაცებით წოვს და ეხუტება, ზოგჯერ ემოციურად ესაუბრება კიდეც. ჯერჯერობით ვიციტო ჭამის, დაძინების, გაღვიძების, დედიკოს სამსახურიდან მოსვლა-წასვლის, საჭმელზე დასაყოლებელი და ისე, ასე ვთქვათ, გასართობი „წოვები“, რომელთა დროს ლუკა სიამოვნებისაგან ხშირად კვნესის, ფეხს ჰაერში ათამაშებს ან კვების სეანის ბოლოსათვის კმაყოფილ ღულუნს იწყებს. ასეთი დროსტარების შემდეგ, გაცისკროვნებული სახით შემოგვხედავს ხოლმე. როდესაც აღარ წოვს, შოს პერანგს ჩამოუწევს ზოგჯერ და მკერდზე ისე აჩერდება თითქოს ვაჟას პოეტური ხედვის რეალობასთან მიმართების დადგენას ცდილობდეს. თუ ისე მოხდა, რომ მსგავს ამბავს ან წოვის პროცესს შევესწარი, ლუკა უკმაყოფილო გამომეტყველებით თვალებში მანამდე შემომყურებს, სანამ იქაურობას არ გავეცლები. მას შემდეგ რაც კბილები წამოეზარდა, წოვის ბოლო ეტაპზე, კარგად რომ გამოძლება თამაშის ხასიათზე დადგება და ძუძუს თავებს სიმკვრივეს თითებით ან კბილებით „ამოწმებს“, რომ შო თოჯინასავით ააჭყიპინოს, „მტკივა-მტკივაო!“. შემჩნეული ახალი დეტალი: მკერდს რომ ხელს უჭერს სიცილს თურმე იმიტომ იწყებს, რომ დედიკოს რძის ძნელად შესამჩნევი ჭავლი სახეზე ესხმება ხოლმე.

მისი „ინელექტუალური“ გართობის ძირითადი აქტიური ფორმა ისევ იგივეა: სადაც არ უნდა იყოს ლუკა, „ლოუკადრომში“ ანუ მანქანაში, ლოგინზე თუ მაღალ სკამზე, სათამაშოებს და სხვადასხვა საგნებს (წნევის აპარატს, ძველ ტელეფონებს, საკუთარ თუ ჩვენს სამოსს, წინდებს, ცხვირსახოცებს, ქუდს, სათვალეს, მიწი ფარანს, მისი ცხვირის გასაწმენდ ხელსაწყოებს და ა.შ.), რომლებსაც ტირილით მოიპოვებს ხოლმე, იატაკზე ისვრის. შემდეგ, გადაყრილ ნივთებს ზემოდან უყურებს. ოღონდ, მთელ ამ პროცესში, ამჟამად, ჩვენს რეაქციას ძალიან ფრთხილად დიდი ყურადღებით ადევნებს თვალიყურს. საერთოდ ამ

ეტაპზე აშკარაა, რომ ლუკა თითქმის ყოველთვის ყურადღებას აქცევს მის საქციელთან დაკავშირებულ გარშემომყოფთა რეაგირებას და შესაბამისად ცდილობს მათ მანიპულირებას. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ტირილ-ყვირილ-ზუზუნ-ზიზინ-ბუყბუყის ფორმა-სტილის ინტენსივობის და სრულიად ახალი, სულ რამდენიმე დღის, მაგრამ მგონი უკვე „მავნე“ ჩვევად ჩამოყალიბებული „თაურების“ აღსრულების დროს ჩანს. აშკარაა, რომ ვერძის ზოდიაქოს მქონე ერთი ციდა ლუმ უკვე მშვენივრად იცის, რომ ამ ბარბაროსული გამოგონებით, კედელსა და ავეჯზე მრავალჯერადი თავის მირტყმით, მართლაც ძალიან გვაშინებს და ჩვენს ვაი-ვუმზე კმაყოფილს ელიმება. ერთი სიტყვით, თავისებური ოსტატობით ცდილობს ახალ თამაშში მშობლების ჩართვას.

მეტად სასიამოვნოა ლუს გაღვიძების პროცესის ყურება. ცოტა ხანს ნაბახუსევით უტყვად მოგვჩერებია, მაგრამ მალე, ჯერ კიდევ მძინარე დედიკოს ნოყიერი რძით და კოცნებით ენერგია-აღდგენილი, ლოგინზე კედელ-კედელ ხელების ტყაპუნით ხტუნვა-საიარულს, „ლაპარაკითა“ და „სინტაქსურად“ დაკავშირებული შეძახილებით ჩვენს გამოფხიზლებას და დილის რუთინის შესრულებას იწყებს. ჯერ ფანჯრის ჩამოსაფარებელ „ბლაინდს“ ძიძგის და როდესაც უკვე საფუძვლიანად შელახული ამ ფარდის მაგიერის შემორჩენილ ნაწილს აკვეცავ (ახლის ყიდვას აზრი არა აქვსო, იმასაც უცბად მოინელებსო, შო მიმტკიცებს), მშობლებს მოგვიბრუნდება საღლაბუცოდ. მერე წინააღმდეგობების გადალახვაში სავარჯიშოდ ანუ მშობლების სხეულებზე გადაგორება-გადმოგორებისათვისაც იცლის, ფანჯარაში ოკეანიდან მობერილი ნიავით ამოძრავებულ ბამბუკების კენწეროებს გაყურებული კარგახანს შესცქერის, შემდეგ ე-ე-ეი!!! ე-ე-ეი!!! შეძახილები თ მეზობელ ეზოში ბატუტზე მოხტუნავე გოგონასა და მის წრიპინა მეგობარს შეეხმაურება ხოლმე ან ჩემ მკერდზე და მაჯებზე „მატყლის“ ბლუჯა-ბლუჯა „დამზადების“ საკმაოდ მტკივნეულო პროცესს იწყებს და სხვ. მერე, დედამისს რომ საფუძვლიანად გალოკავს და დადობრლავს, თმებს დაუწიწკნის და ყელ-ყურ-ცხვირ-პირს დაუთვალაიერებს (აბა არა?! იმას რომ უსინჯავს კიჭებს ის ხომ კარგია?!), ჩემი ღამის თავსაბურავის მოხდა-ჩაცმობანას მეთამაშება. ხელის ერთი ძლიერი მოსმით მაძრობს თავიდან თურქულ ბადე-ჩაჩს, რომელსაც მე ხელიდან ვტაცებ და ისევ თავზე ვიხურავ და ის კი ისევ მხდის და ასე სანამ მე აიფონით ამინდის ინფორმაციის, მესიჯების, იმეილების და ახალი ამბების შემოწმებას, ხოლო ის კი ანატოლიაში დამზადებული ბადე-ქუდის ღეჭვას არ ვიწყებთ. ახალთახალი დეტალი: მე რომ ქუდს მომხდის ღიმილით, ეხლა თავად იდებს თავზე, რასაც „ყოჩაღ, ყოჩაღ!!!“ შეძახილებით და ტაშისკვრით ვხვდებით, რის გამოც თვითონ დაიწყო ამ ბოლო ხანებში ტაშით ჩვენი წახალისება! მერე, ჩაბანის და პამპერსის გამოცვლის, ცხვირ-პირის დაბანის, იმ ოთხი წამოზრდილი კბილის ჩანასახების გაკრიალებისა და ტანისამოსის ჩაცმის შემდეგ, საუზმედ

ფაფასა და დესერტად გახეხილ ხილს მიირთმევს და უკვე მზადაა სათამაშოებიან ლუკადრომ-მანქაში ჩასაშვებად. ამასობაში, დედიკო მალვით მზავს იღებს, საუზმობს და სამსახურში იპარება.

კიდევ ერთი „დეტალი“, დედიკოს ამ საყვარელმა ბიჭაჭომ, ფაქტიურად, ცოლი წამართვა. სამსახურიდან დაბრუნებულ შოს არც ერთი წამითაც „ხელიდან არ უშვებს“, ღამითაც. ეს ჩანაწერები ხომ საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებთან „სასაუბროდ“ წამოვიწყე ვითომ, ეხლა მგონი მათ შეიძლება შოც მიათვალოს კაცმა. ლუკას დაბადების შემდეგ, ერთმანეთთან არც ვერბალოური და არც ნონვერბალოური საურთიერთობო დრო აღარ გვრჩება თითქმის. არა და ისიც ძალიან საეჭვოა, რომ შომ ახლო მომავალში ამ ჩანაწერებზე თვალის გადასავლელად დრო გამოიხსნას.

07.04.15

გვალვა

გუშინ თითქმის მთელი ღამე წვიმდა. დიდი ხნის ნანატრმა ცის ნამმა ყველაფერი გადაახალისა: ჰაერი დაარბილა, გააგრილა, ბერკლის ქუჩებს მეტი პეწი შესძინა, მწვანე საფარი უფრო ცინცხალი გახადა. უკვე მეოთხე წელია, რაც სიმწვანით და ინდუსტრიული მასშტაბის ბაღ-ბოსტნებით ცნობილ კალიფორნიაში არნახული გვალვა დგას. აქ ქვეყნის ხილის და ბოსტნეულის ორი მესამედი მოჰყავთ. უცნაურმა გვალვამ ბევრი რამე გააძვირა, მათ შორის წყალი.

გვალვის შედეგი პირდაპირ ჩვენი საძინებელი ოთახის ფანჯრიდან ჩანს: ლუკას საყვარელი მაღალი ბამბუკების ლამაზი კორომი, რომელიც მეზობლის ეზოდან გამოგვყოფს და თან ხმაურისაგან იცავს ჩვენს სახლს, ისე გამეჩხერდა, გამოშრა და ფოთლებისაგან განიძარცვა, რომ ვიზუალური საფარველისა და აკუსტიკური ბარიერის ფუნქცია მთლად დაკარგა. გვალვა დაეტყო წყალსაცავებს და ტილდენის პარკის ტბებს, განსაკუთრებით ჯუელ ლეიქს, რომელიც მწვანედ ჩაყვითლებული გაუმჭვირვალე წყლის დიდ გუბედ იქცა.

არა და ასე არ იყო. რაც თავი მახსოვს, აქ მთელი ზამთარი განუწყვეტლად წვიმდა, უფრო სწორად სასიამოვნოდ ჟინჟლლავდა და ხშირი, თბილი და მზაპუნა წვიმებით გადამწვანებული არემარის ცქერას არაფერი სჯობდა. ერთხელ ასეთ წვიმიან ზამთარში მე და შომ რამდენიმე დღე გავატარეთ სან ლუის ობისპოსთან ახლოს მდებარე ძვირფას რეზორტში, ჩვენებურად კურორტზე. მსუბუქ საწვიმარ ლაბადებში გამოხვეულები, სიამოვნებით ვსეირნობდით ჩვენი კოხტა სასტუმროს ეზოში, თბილი ნისლით დაფარული წყნარი ოკეანის სანაპიროზე გამართულ „ბორდვოქზე“, ხის ფიცრებით დაფარულ

ბილიკზე, რომლის ქვეშეიდან უცხო ადამიანების გამოჩენით დამფრთხალი ველოური, რუხ-მომწვანო ფერის ბაჭიები კუკუ-დამალობანას გვეთამაშებოდნენ.

მაშინ, 9/11-ის ტრაგედიის შემდეგ, ქვეყანა რადიკალურად შეიცვალა, თვითმფრინავებით გადაჭედებული ცა მთლიანად დაცარიელდა, შეშინებულმა ხალხმა მოგზაურობას თავი დაანება და ძვირად ღირებულ სასტუმროები გაიფადა. სწორედ ამ დროს „ავიწყობით“, თბილისში ავტომატების კაკანს შეჩვეულებმა და არაერთი საინტერესო ადგილი მოვიჩაბულეთ, მათ შორის ლოს-ანჯელესი, დისნეი ლენდი, ჰოლივუდი, სამხრეთ კალიფორნიელი ინდიელებით დასახლებული ტულეს ხეობა, ჰერსტის სასახლე, ბიგ სური და წყნარი ოკეანის სანაპიროს გაყოლებაზე #1 “ჰაიკეის”, ჩქაროსნული მაგისტრალის ახლოს მდებარე მრავალი ღირსშესანიშნაობა.

რამდენიმე დღის წინათ კალიფორნიის შტატის მმართველმა, „გაკერნერმა“, ადგილობრივი ადმინისტრაციის უმაღლესმა მოხელემ, წყლის დასაზოგად მიმართული, ქალაქებისათვის სავალდებულო ღონისძიებების მთელი ნუსხა გამოაქვეყნა: წყლის მოხმარება 25%-ით უნდა შემცირდეს. შოს ახალი თანამშრომელის ქმარი ჯერი ბრაუნის ამ მოწოდებას დაჰყვა და გადაწყვიტილება მიიღო, რომ მხოლოდ ორ დღეში ერთხელ იბანოს (!). შოს ნახევრად ხუმრობით ვუთხარი, შემთხვევით არსად არ წამოგცდეს, რომ ისევ დილა-საღამოს ვჭყუმპალაობთ სამივეთქო.

ერთი ბანაობის ამბავი გამახსენდა. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის უწყლო, უსინათლო, უგაზო და გათბობის გარეშე დატოვებულ, ღვთის ანაბარა მიტოვებულ თბილისში, ცივი ზამთრის ერთ-ერთ „მშვენიერ“ საღამოს მოულოდნელად გაზი მოვიდა. უცებ გადავწყვიტე, მებანავა. საყინულესავით ცივი აბაზანიდან ჩვენი ბავშვობისდროინდელი ტაშტი, ცინკის დიდი „ლახანკა“ გამოვიტანე და წყლის გასაცხელებლად სამზარეულოს გაჯერაზე შემოდგმული ქვაბების წინ დავდგი, იმ იმედით, რომ გაზი ცოტა ხანს მაინც არ გაქრებოდა და როგორმე მაინც მომათბობდა სიცივისაგან ნესტოებმომწვარსა და ასეთ ავანტიურას შეჭიდებულ ადამიანს. ოთახებში შეგროვებული სანთლის ნარჩენების შუქზე, ბანაობას შევუდექი. რაღაც ჯანდაბად, ერთი პირობა, ტაშტში დაგროვებულ ჯერ კიდევ თბილი წყალში ფეხმორთხმული ჩავჯექი და ტაშტის გვერდებს შორის ისე მაგრად ჩავეჭდე, რომ სიმწრისაგან კინალამ ვიყვირე. სიბნელით მოცულ ცარიელ სახლში არავინ იყო, რომ მომშველებოდა. ერთ ხანს ასე ვიყავი, საკუთარ თავზე გაბრაზებული, რომ მაინც სულმა წამძლია და ავჩქარდი. გაზი მალე მთლად მიწავლდა და სიცივისაგან აძაგაგებებულებულმა საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ თუ ამ ხაფანგიდან თავს როგორმე დავიძვრენდი და ქვედა სართულის

მეზობლებს სამზარეულოს კედლებს არ ჩავურეცხავდი, პირად ცხოვრებას რადიკალურად შევიცვლიდი. ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი არაა რომ დღიური შნაპების მიღების შესახებ ისევ გვალვამდელო აზრზე დავრჩე, ხომ?!

უ.მ.: ბავშვობაში, დედულეთში გატარებული ერთი გვალვიანი ზაფხული გამახსენდა. მთაგორიან სოფელში ისეთი უჩვეულო „სიცხეები დაიჭირა“, რომ დეთიმ ჭრიჭინების ტკრციალით ახმაურებული ბალახის ძოვა სულ მიატოვა და ხეების ჩრდილებს კარგა ხნით შეაფარა თავი, მთლიანად ბებოს მომზადებულ სალაფავეებზე გადასულმა. აგრაფინა-“გრაფინია” ბებია ძალიან დარდობდა, სიცხე სიმინდის ყანას გამირუჯავს და შემოდგომაზე ასაღები არც არაფერი მექნებაო. მაშინ, ყანის გამარგვლაში, სარეველების მოშორებაში და სიმინდის თითოეულ ძირზე ნესტის შესანარჩუნებლად მიწის შემოყრაში, კეთილი თანასოფლელო მოხუცი სოფრომა მოქმარა. ბებომ ის მამაჩემის ნაქონი ძველი ცილინდრით დაასაჩუქრა. ეს ძველი ფეტრის ინგლისური, სოფლოურ სტილზე გადასხვაფერებული ცილინდრი ძალიან ადგებოდა კაფანდარა, ტანმორჩილ სოფრომას: სიცხეში მზისაგან, ხოლო ავდარში წვიმისაგან იცავდა. ამის გამო, ის დროდადრო ბებოს შუკიდან შემოსძახებდა ხოლმე, რაიმეში ხელის წაკვრა ხომ არ გჭირდებაო. იმედს არ კარგავდა, რომ აგრაფინა სიძის ნაქონ კიდევ ერთ „შლიაპას“ უფეშქაშებდა. ბებო ყოველთვის გულუხვად უმასპინძლებოდა ყანიდან შესვენებაზე ამოსულ სოფრომას და საკვებს ბლომად ულაგებდა ტაბლაზე. იცოდა, რომ ამ უკბილო მაგრამ ლამაზ მოხუცს ერეყანი ანუ ბუღეშია სჭირდა და უზომო ჭამა უყვარდა.

იმ გვალვიან ზაფხულში, სხვა ამპლოუაშიც ვიხილე მამაჩემის ნაქონ დიდ-ფარფლებიან და თაგვისფერ ქუდს შეფარებული პატარა სოფრომა. ის რამდენიმე დღე, დილაადრიანად, გვალვით შეწუხებულ ხანში შესულ ქალებთან ერთად მოწიწებით მიაბრძანებდა ხოლმე ჩვენი სახლის წინ შუკაში წმ. ელიას ხატს, სოფლის ბოლოს ჩამომავალ ღელეზე განსაბანად. არა და არა, წვიმას რომ არ დაადგა საშველი, ჯვრის ფორმის, მწვანე ბალახის ღეროთი შეკრული ნეკა თითის ზომის ვერცხლის საგანგებოდ გაკრიალებული წმ. სანაწილე რამდენიმე დღე ციციანათელებს აფრქვევდა, სოფლის ბოლოს, მდინარის პირას, ბროლივით ანკარა მოჩუხჩუხე ნაკადულში ჩასვენებული. მისთვის ხელის ხლებას აბა ვინ გაბედავდა, თორემ ალბათ ჩემი არ იყოს, ბევრს აინტერესებდა თუ რა იყო მასში ჩამალული. ეს სანაწილე ისევ სოფრომამ წააბრძანა სადღაც, რადგან საწვიმრად მოიქუფრა და ძვირფასი რელიქვია უეცრად მოვარდნილ ნიაღვარს შეიძლებოდა სადღაც გადაეკარგა.

ლაიშა ღელემ ისეთი გავეშება იცოდა ასეთ დროს, რომ მთაშავიდან ჩამოტანილი უზარმაზარი ლოდებით ავსებდა იქაურობას და სოფლის შარაგზის მდინარისპირა მონაკვეთს სავალად კარგახნით უვარგისს ხდიდა. ამ ჩვეულებრივ წყალთხელ პაწაწკინტელა მდინარეს არაერთხელ წაუღია მასზე რის ვაივაგლახით გადებულ საცალოფხო ხიდი, რის გამოც მთის საბალახოებზე და მთაშავის ტყეებში შეშისა და სამშენებლო მასალების დასამზადებლად წასულ სოფლელებს სახლებში დაბრუნება, სანამ წყალი არ დაიკლებდა, არა ერთხელ დაჰკვიანებიათ. საინტერესო სანახავი იყო, როდესაც ზურგს უკან, ქამარში სამართებლებივით ალესილი და გრძელტარიანი წაოდებ-დანაჯახებ-გაყრილი ადგილობრივი ვაჟკაცები როგორ მოთმინებით ელოდნენ ხოლმე პაწია ლაიშას დაწყნარება-დაშოშმინებას, რომ მთიდან ჩამოყვანილი საქონელი და შეშა-მასალებით მძიმედ დატვირთული ვეება-რქებიან-ხარებ-შებმული ურმები სახლებში მიეღალათ.

09.04.15

Breast Walk-ი ანუ დედიკოს მკერდზე დაყრდნობით გადადგმული პირველი ნაბიჯები

გუშინ, ლუკადრომში დედიკოსთან თამაშის დროს, ლუკა ფართოდ გაჩაჩხულ „ფეფებზე“ კარგა ხანს, თითქმის მთელი წუთი დამოუკიდებლად და სტაბილურად იდგა. გაცისკროვნებულ სახეზე ეტყობოდა, რომ აშკარად ხვდებოდა თუ რა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა. მერე, მშობლების ანუ „ეეს“ და რძეუხვი „ედას“ ოვაციების ქვეშ, მის წინ დაჩოქილ შოს მკერდზე ხელები ჩასჭიდა და პირველი, დამოუკიდებლად გადადგმული ნაბიჯებით გაჰყვა ლუკადრომში უკუსვლით დაძრულ დედიკოს. ასე, შემთხვევით, იშვა ერთ წელს მიღწეული თოთო ბავშვების სიარულის სასწავლებად ვარგისი, მგონი სრულიად ახალი მეთოდი, რომელსაც დედა-ავტორმა საკმაოდ მოსწრებულად Breast Walk-ი დაარქვა.

ბოლო შეხვედრაზე, პედიატრმა გვითხრა, რომ ახლა ლუკას თვითდამკვიდრების მეტად საინტერესო პერიოდი დაეწყება და გახშირებულ „ტანტრუმებს“ ანუ ტირილებს წყნარად შეხვდით, რადგან სრულიად ნორმალური პროცესის შემადგენელი ნაწილიაო. ყველაფერი ისე აგინდეთ, როგორც პედიატრის „წინასწარმეტყველება“ აგვიხდა რამდენიმე საათში. თუმცა მგონია, რომ გაჯიქებული ტანტრუმ-ტირილების ერთ-ერთი მიზეზი იმ ვიზიტის დროს გაკეთებული აცრებიც უნდა იყოს.

ამ დღეებში, ლუკიანემ ძველი ჩვევებიც გაიხსენა. ჭამის დროს კოვზებს ისევ მართმევს, ოღონდ კოვზის გალოკვას რომ მორჩება, ხან

დემონსტრაციულად ღიმილით უკან მაწოდებს, აშკარად გააზრებით აკეთებს ამას, ან ასევე დემონსტრაციულად მაგიდის ქვეშ იატაკზე აგდებს. ორივე შემთხვევაში, ინტერესით სწავლობს ჩემს რეაქციას. ამ ბოლო ხანებში სინარული, ალტაცებისა და გაკვირვების თუ პროტესტის გამოხატვის ახალი ხერხი, საკმაოდ რთულად შესასრულებელი აკუსტიკური „ფრაზა“ აითვისა: ხმის იოგებს შესუნთქული და არა ამოსუნთქული ჰაერის ჭავლით აახმოვანებს ხოლმე. თვითონაც ძალიან მოსწონს ეს „ნახევარ-ყროყინი“, თუმცა არც სრულ ყროყინზეა მწყრალად, მინიატურული ჩოჩორივით მორთავს ხოლმე, ჩვენი ყურადღება რომ მიიქციოს.

მეფეს ნუ დავპატიჟებთ ანუ შო და ქართული ხალხური ზღაპრები

ამ შაბათ-კვირას „სკაიპი“ ცოტა მეტი მოგვივიდა. ოთხი კარგა ხნის უნახავი ამხანაგის ოჯახის წევრებს ვესაუბრეთ და არა მარტო ლუკა, არამედ ჩვენც გვარიანად დავილაღეთ. არადა ისე წაეწყო, რომ ვერა და ვერ მოვჭერთ სათქმელი მოკლოედ, ვერც ჩვენ და ვერც მათ, ვისთანაც საუბარი გვქონდა.

სკაიპის შემდეგ შომ მითხრა, ჩვენი ოჯახის წევრების და ძალიან ახლობლების გარდა სხვებს ნულარ აჩვენებ, რომ ლუკაზე მზე და მთვარე ამოგვდის, ასე აჯობებსო. ხომ განსოვს, ქართული ზღაპრებში შვილის ყოლით გახარებული ქმარი ცოლს რომ ეუბნება, გინდა თუ არა ხელმწიფე დავიპატიჟოთ, პატივი ვცეთ და ჩვენი პირმშოც ვაჩვენოთო. ცოლი უარზეა, მაგრამ ქმარს ყოველთვის თავისი გააქვს და ხომ გასნოვს, რაც მოჰყვება ჩვეულებრივ ასეთ სტუმრობასო? ყველაფერს ველოდი ამ ფოლოკლორული პასაჟის გარდა. ისეთი სიცილი ამივარდა, რომ სული ძლივს მოვითქვი. შოს ამ მოულოდნელმა ზღაპრულმა და გონივრულმა შეგონებამ დამარწმუნა, რომ ის უფრო უკეთ არის ჩახედული ქართული ზღაპრულსა თუ რეალურ სამყაროში, ვიდრე თქვენი მონა მორჩილი.

11.04.15

დათვი

ეს არის ის სიტყვა, რომელიც ლუკამ პირველად გარკვევით წარმოთქვა, ორი თუ სამი დღის წინათ. ამ მნიშვნელოვანი მოვლენით გახარებული, ორგანული ბამბისაგან დამზადებულ ყვითელ სათამაშო დათუნასთან ერთად ახლა ყველაფერს “დათს” უძახის, უკვე მერამდენე დღეა. შოს სიტყვები ამჯერადაც ახდა: ბავშვობაში, ყველა ცდილობდა სიტყვების “დედას” და “მამას” წარმოთქმა ესწავლებინა ჩემთვის, ხოლო პირველი სიტყვა რაც ბაგებზე მომადგა, „თითი“ იყო და ლუკაც ალბათ ასევე

მოიქცევა, აგერ ნახავო. სულ ტყუილად ცდილობ „დედიკო“ და „მამიკო“ ათქმევინო.

როგორც ყველაფერი, ესეც თამაშით დაიწყო. შო ლუკადრომში ჩაყრილ ნაჭრის სათამაშო ცხოველებს აცნობდა ლუკას. მინიატურულ არსებებს, ზანზალაკიან, გერმანიაში შეკერილ საკმაოდ ძვირადღირებულ \$29.99-იან ძაღლს, ჩინეთში ამერიკული პატენტით დამზადებულ სხვადასხვა დიზაინის ორ სპილოს და ჭყიპინა მაიმუნს შორის, ამერიკაში დამზადებული დათუნია ყველაფრით - ზომა-წონით, ფერიტა და ფორმითაც გამოირჩევა. როდესაც შომ პირველად გააცნო ლუკას ყვითელი დათუჩელია, ის ზომით ლუკაზე დიდი იყო და ბიჭაჭო მას საკმაოდ უნდობლად შეხვდა, მგონი ცოტა შეეშინდა კიდევ. ეს რომ შომ ნახა, ენა მოუჩლიქა ლუკას და ვითომ დათვის ხმით გაუბა მეგობრული საუბარი. შემდეგ დღეებში მეც ჩავები თამაშში და ლუკას დათვის სხეულის ნაწილები - თავი, ყურები, თვალები, პირი და „ხელ-ფეხი“ ვაჩვენე, მათი სახელები რამდენჯერმე გავუმეორე. დროთა ვითარებაში, ლუკა სიმპათიით განიმსჭვალა დათუჩელას მიმართ. ახლა ხშირად დააკონწიალებს აქეთ-იქეთ დათვის მეგობარს კუდიით, ყურებით ან მწვანე „პეპელა“ ჰალსტუხით, თან კბენს, ლოკავს და ფეხებით ეტლინკავება. ყოველივე ამის შემდეგ, ლუკამ მხოლოდ სიტყვა დათვი აითვისა, რომელსაც ჩვეულებრივ ღიმილით ძალიან სასიამოვნოდ წარმოთქვამს, ურბილესი და გასაქრობად დამზადებული თვ-თი და ყოველთვის უშეცდომოდ მიჩვენებს თუ სად აქვს დათვს თავი.

ჯერჯერობით, ესაა ლუკას მთელი „ხმოვანი“ ლექსიკონი, თუმცა შოსთვის უდაოა, რომ ბიჭაჭო სხვა სიტყვების შინაარსსაც ხვდება, როდესაც ვსაუბრობთ, მაგრამ ვერ წარმოთქვამს მათ. შომ რამდენჯერმე საგანგებოდ გამაფრთხილა, არაფერი უხეირო არ წამოგცდეს, თორემ ლუკა სულ მალე ყველაფერს უკლებლივ უკანვე დაგიბრუნებსო. ღმერთი რჯული, საერთოდ არ მიყვარს ბილწსიტყვაობა და რაღა ახლა გამიწყრება ღმერთითქო, ვაწყნარებ ხოლმე. ზოგი რამ მართლაც რომ ესმის, ფაქტია. მაგალითად, ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორებიცაა „პირი გააღე“, „მოდი აქ“- ხელების გაშლით თუ ეტყვი, „არა“- თან თავი უნდა გააქან-გამოაქანო, სათანადოდ და სხვა.

9 აპრილს ლუკას მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა დათვი იმიტომ იყო, რომ კეთილი, ბელებიანი, ლამაზი დედა დათვი ხომ ჩემი და შენი საყვარელი ტოტემიაო, ხუმრობს შო. საქმე იმაშია, რომ კალიფორნიის და ორეგონის ნაკრძალებსა და ტყე-პარკებში მოგზაურობა-სეირნობის დროს, არაერთი გარეული ცხოველი გყავს ნანახი, ფოცხვერისა და მთის ლომის ბოკვერის ჩათვლით; ველური ბუნების თითქმის ყველა ადგილობრივი წარმომადგენელი ვნახეთ შავი მურა დათვის გარდა. ის კალიფორნიის ერთ-ერთ სიმბოლოდ

ითვლება და მისი გამოსახულება შტატის დროშასაც კი ამშვენებს. ულრან ტყეებში ხეტიალის დროს, შოს არა ერთხელ უნატრია ნეტა დათვს მოვკრათ სადმე თვალთ. ასეთი ნატვრა ჩემში ყოველთვის ჯიბის დანის იმედზე მყოფი კაცის შეჭიკრებულ გრძობებს იწვევდა, მაგრამ არაფერს არ ვიმჩვევდი და რა თქმა უნდა, კარგი იქნებათქო, ჩვეულებისამებრ კვერს ვუკრავდი. ასე იყო იმ დღესაც, როდესაც ტაპოს ულამაზეს ტბაზე გატარებული შაბათ-კვირის შემდეგ უკანა გზაზე ტყეში წახმსება გადავწყვიტეთ და ძირითადი ჰაივეიდან ტალაკის მთის წვერისაკენ მიმავალ გზაზე გადავუხვიეთ. შორენამ მანქანა ლამაზ ტევრში გააჩერა და ის იყო კარების გასაღებად მოვემზადე, რომ შომ ისევ დაწყო: „ნახე, ნახე, მგონი დათვიაო“. პატარა მინდორზე, ჩვენგან ასე 15-20 მეტრზე, მართლაც დიდ მურა დათვს მოვკარი თვალი, მაგრამ ისე უძრავად, გვერდითი ხედვით შემოგვყურებდა, რომ იაფფასიან „დისპლეიზე“ დადგმულ ფიტულს ჰგავდა. ის იყო შოს დაწყნარება დავაპირე, მოდი ჯერ ჩვენ საქმეს მივხედოთთქო, რომ გულმა რეჩნი მიყო, „ფიტული“ დინჯად ამოდრავდა და ნამდვილ, რძით სავსე ძუძუებიან ძალიან ლამაზ დედა დათვად იქცა. ნამდვილად გაგვიმართლა, კეთილმა დათუნამ ისევ გვერდითი მზერით წყნარად დაგვათვალა და ბოლოს ბელებიც გვაჩვენა.

ყველაფერი ეს მანქანის საჭესთან მჯდომმა შომ ვიდეოზე გადაიღო და მერე კლიპი იუტუბზე ჩავდეთ მეგობრებისათვის საჩვენებლად. ამ გახსენებაზე შევამოწმე და ის თურმე უკვე თითქმის 2,800 ადამიანს უნახვს (<https://www.youtube.com/user/nature2u/videos>). ამ მეტად დრამატული, მაგრამ მშვიდობიანი შეხვედრის შემდეგ, ეს ლამაზი დედა დათვი, ასე ვთქვათ, ჩვენი ოჯახის ტოტემი გახდა, რაც ლუკამ მისი პირველად წარმოთქმული სიტყვითაც დაგვიდასტურა.

ლუკა და მანქანის მართვა-ექსპლოატაციის კალიფორნიული წესები

ლუკას დაბადების შემდეგ, ბევრი საზრუნავი გაგვიჩნდა, მათ შორის მანქანით მისი ტრანსპორტირების პრობლემაც. აქაური წესებით, ნებისმიერი ასაკის ბავშვს, ახალდაბადებულების ჩათვლით, უსაფრთხო „კალათი-სკამი“ ან სავარძელი უნდა ჰქონდეს, რომელიც მანქანის უკანა საჯდომის ცენტრში მაგრდება. ორ წლამდე სკამი საბარგულისაკენ უნდა იყოს შებრუნებული, ხოლო ორი წლის შემდეგ სათანადო ზომის სკამი პირიქით, წინა მხარისაკენ არის მიმართული. შესაბამისად, მანქანის წინა და უკანა რიგებს შორის საკმარისი მანძილი უნდა იყოს, რომ წინ მჯდომ მძღოლსა და მგზავრს მოზარდმა ზურგში ფეხები არ უბრაგუნოს. გარდა ამისა, ისეთი რამ უნდა შეარჩიო კაცმა, რომ შენს მიერ არჩეულ საბავშვო ეტლზე დამაგრდეს და სხვ. ამ ვითომ მარტივი წესების აღსრულება არც ისე ადვილია, რადგან ბავშვის ზომა-წონა სწრაფად იცვლება და კონკრეტული სახის მანქანის და ეტლის შესაფერი

მოწყობილობის შერჩევა და დამონტაჟება გარკვეულ დროსა და მოხერხებას მოითხოვს. საქმე უფრო რთულადაა, როდესაც სუბკომპაქტურ, ძალიან პატარა და თან ორკარებიან მანქანასთან ანუ ჩვენს მსგავს შემთხვევასთან აქვს კაცს საქმე.

შომ სამშობიაროში ყოფნის დროს ინტერნეტზე ჩვენი მანქანის სარგო, გერმანული, 4-დან 36 ლიბრამდე (2-იდან 15.5 კილოგრამამდე) წონის ბავშვებისათვის ვარგისი, \$260-იანი, „კალათი-სკამი“ Aton 2 აღმოაჩინა, რომელიც შედეგ Amazon.com-ის ვებ გვერდის საშუალებით გამოვიჩერეთ. სკამი ინსტრუქციის მიხედვით მანქანაში დავამონტაჟეთ თუ არა, ლუკას სამშობიაროდან „გამონსნისათვის“ მზადება დავიწყეთ. პროფესორ ჰანა კრონფილდის მორთმეული „საგარეო“ ტანსამოსი და სახლის „ჭინჭები“ გავურეცხეთ, პამპერსები და საკვები მოვუმარაგეთ და მოვიმარაგეთ; პაწია ლოგინიც ვუყიდეთ (რომელიც, შემდეგ, იძულებული ვიყავით, სულ სხვა ტიპის ხუთი საწოლით შეგვეცვალა; კიდევ კარგი აქ ნაყიდი ნივთის 90 დღის განმავლობაში უპრობლემოდ დაბრუნება შეიძლება. ბოლო საწოლის გადაკეთებამ მაინც მომიწია და ზედ კიდევ ორი ზედმეტი ლეიბის დამატება გახდა საჭირო, რომ დედა-შვილი ერთ დონეზე ყოფილიყვნენ) და გავუწვრიალეთ, მთელი ბინა და საძინებელი სათანადოდ მოვამზადეთ და სხვა.

აქ ასეთი სკამის გარეშე, ბავშვს სამშობიაროდან გაწერა არ ხდება. მეანე ექთანი თვითონ აწვეს და ღვედებით ამაგრებს ბავშვს სკამ-ლოგინში და თუ ის ნახევარი საათი მშვიდობიანად არის, მაშინ მშობლებს ბავშვის სახლში წაყვანის უფლებას აძლევს. ლუკას ცხოვრების აღნიშნული მომენტები ფირზე გვაქვს მე და შოს ფიქსირებული.

ატონ 2-ით ლუკას აქეთ-იქეთ ტარება, პატარა ორკარებიანი მანქანის უკანა საჯდომზე მისი ჩამაგრება თუ ამოღება, ბავშვის გვერდზე იქ ჯდომა და იქიდან გადმოსვლა-გადმოყვანა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა ჩემი ზომა-წონისა და კონსტიტუციის ადამიანისათვის. მთელი წლის განმავლობაში, პირველად გუშინ ვიჯექი შოს გვერდით მანქანაში, ხოლო „ასაკში შესული“ ლუკა, ღვთის წყალობით, უკვე უკანა სკამის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან, ჯერ ერთი, უჩვეულო უმოძრაობით, ძირითადად მთელი დღე სახლში ყოფნის გამო, უკვე დაბაგული ფეხები როგორც იყო გავშალე და მეორეც, ახალი, უფრო ტევადი, 36 ლიბრაზე მეტი წონის ბავშვისათვის ვარგისი სავარძლისათვის საჭირო სივრცის მქონე ოთხკარებიანი მანქანის შეძენა კიდევ რამდენიმე თვით გადაიდო, ანუ იქამდე, სანამ ლუკა ატონ 2-ის წონის მაქსიმუმის ზღვარსაც არ გადააჭარბებს (მაქსიმალური სიმაღლის ზღვარს ის უკვე გადასცდა!) და ახალი სავარძლისა და მანქანის ყიდვა მაშინ ნამდვილად გარდაუვალი გახდება.

თავის დროზე რომ ორკარებიანის მაგივრად ოთხკარებიანი „ექო“ შეგვეძინა, რამდენიმე ხანი ალბათ კიდევ 2-3 წელი აღარ მოგვიწევდა ახალი, უფრო ტევადი, შედარებით ძლიერი და უფრო ძვირი მანქანის შეძენა, მაგრამ მაშინ ასეთი პრობლემა თუ არსებობდა, საერთოდ წარმოდგენა არ გვქონდა. ფულის დაზოგვის მიზნით, მაინც ორკარებიანი, უკონდიციონერო, მექანიკურ-სიჩქარეებიანი და სხვა ტექნოლოგიურ სიახლეებს მოკლებული \$14,000-იანი მანქანა შევიძინეთ, ძალიანაც ამაყებმა, რომ ჰაივეიზე ჩვენი ძველი და დასუსტებული მანქანის „საქციელის“ გამო შოს გაწითლება აღარ მოუწევდა.

აქ ძალიან ადვილია განვადებით ახალი მანქანის შეძენა, თუ საიმედო სამსახური გაქვს და კრედიტი დროულად შეგიძლია დაფარო. მართალია ასე ნაყიდი მანქანა და მისი დაზღვევა უფრო ძვირი ჯდება საერთოდ, მაგრამ სამაგიეროდ აქ აუცილებელ სატრანსპორტო საშუალებას მაშინ ყიდულობ, როდესაც ნამდვილად გჭირდება და ამისათვის წლების განმავლობაში სათანადო თანხის დაგროვებას არ ელოდები, რაც თითქმის წარმოუდგენლია სან ფრანცისკოს ყურეში და კერძოდ ბერკლიში ცხოვრების სიძვირის გამო. თუ ისე მოხდა, რომ კაცმა კრედიტის აღების პერიოდში სამსახური დაკარგა, მაშინ ის მანქანასაც და მასში მანამდე გადახდილ თანხასაც დაკარგავს ავტომატურად. ეს არ ემართება მხოლოდ იმას, ვისაც მანქანის ნაღდ ფულზე შეძენის თავი ან სურვილი აქვს, რაც საკმაოდ იშვიათია დაბალი შემოსავლის მქონე ხალხში. ჩვენ შემთხვევაში, საქმეს კიდევ ის ართულებს, რომ შედარებით ხელმისაწვდომი ფასის (სინამდვილეში კი ძალიან ძვირი, ჩვენი შეძლების ადამიანებისათვის!), სანდო, სამართავად ადვილი და რაც უმთავრესია ეკონომიურ იაპონურ მანქანებს ვეღარ ვენდობით, რადგან მათი ქარხნების უმრავლესობა ფუკუშიმას დაზიანებული ატომური რეაქტორის ზონაშია და შესაბამისად, მათი პროდუქციის რადიოაქტიური დონე ალბათ მაღალი იქნება. თუმცა, ამის შესახებ საეჭვოდ სდუმს როგორც იაპონური ისე ამერიკული მხარე. ფაქტი კია, რომ იაპონური მანქანების ყიდვის მსურველების რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა იმ არნახული ტრაგედიის შემდეგ და ხალხმა სხვა ქვეყნებისა და ფირმების მანქანების შეძენას მიჰყო ხელი. ჩვენ იაფ, ეკონომიურ, სამართავად ადვილი და საიმედო იაპონურ „ტოიოტებზე“ შეჩვეულებს, გვიჭირს არჩევანის გაკეთება. ჩვენი ენლანდელი „ტოიოტა ექო“ 15 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გაფუჭებულა და საწვავის ეკონომიურად ხარჯვის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ყველა სხვა მანქანასთან შედარებით, რა თქმა უნდა, ელექტრო ბატარეებზე მომუშავე, სამჯერ უფრო ძვირი „ჰიბრიდების“ გამოკლებით. მიუხედავად იმისა, რომ ვითომ ანალოგიური კლასის, მონაცემებისა და ფასის ბენზინზე მომუშავე მანქანებს სხვა ქვეყნების ფირმებიც აწარმოებენ, სინამდვილეში მათი „ტოიოტას“ შესაბამის მანქანებთან შედარება არც კი შეიძლება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ეტყობა წლის ბოლოს, ნოემბერ-დეკემბერში, როდესაც ახალი მოდელების მოლოდინში ძველი მოდელების მანქანები შედარებით იაფდება, მაინც მოგვიწევს ახალი მანქანის ყიდვა, მაგრამ რომლის ამას მონაცემების შედარებითა და საცდელი ტარების შედეგების მიხედვით გადავწყვეტთ.

14.04.15

ჩიჩიას ბრალია?!

ლოუკამ ჩვენი მიბაძვა დაიწყო. ზოგჯერ ჩვენც ვბაძავთ მას უნებურად. რომ წაგვახალისოს, ეხლა თვითონ გვიკრავს ტაშს და აღტაცების გამომხატველ ხმებს გამოსცემს. გაფაციცებით ადევენებს თვალს ყველაფერს - რას, როგორ, სად და რითი ვაკეთებთ: კერძს ვუმზადებთ თუ პურს ვჭრით, ხილს ვრეცხავთ თუ ვთლით, სახლიდან მივდივართ სადმე თუ უკან ვბრუნდებით და ა.შ. აივანზე თუ ვინმემ გაიარა, ეზოში, ქუჩაში თუ ახმაურდა რამე ან ვინმე, არაფერს და არავის უყურადღებოდ და სათანადო რეაქციის გარეშე არ ტოვებს: საჩვენებელ თითს იქით მიმართავს, საიდანაც ხმა მოდის და ემოციური „ფრაზებით“ ცდილობს გაარკვიოს თუ რა ხდება: ეი-ეი-ეი, ჰეი-ჰეი-ჰეი, ანჰ-ანჰ, ტა-ტა-ტა-ტა, უჰ-უჰო და სხვა. ასევე რეაგირებს სახლის ტელეფონის ზარზე. თუ ინგლისურად გამოველაპარაკეთ იმას ვინც რეკავს, ენერგიულ ჯაჯღანს იწყებს. ასე არ ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბებიებსა და მამიდამისს ვესაუბრებით. ამ ბოლო დროს, ბებიებთან სკაიპით მგონი უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აიფონის მაგივრად კომპიუტერის ჩართვა დავიწყეთ და ბებიების გამოსახულება უფრო მასშტაბური და ადვილიად აღსაქმელი გახდა: ლალი ბებოს კითხვებს თავისებური „ლაილაით“ პასუხობს კიდევ.

რამდენიმე წუთის წინათ, სულ ახალი რამ შევამჩნიე: ეს პატარა კაცუნა ცდილობს ტელევიზორის „რემოუთ კონტროლი“ - დისტანციური სამართავი პულტი ვითომ ისე „გამოიყენოს“, როგორც უფროსები ვიყენებთ: ტელევიზორისაკენ მიმართული გაშლილი ხელით ჩართოს, არხები შეცვალოს, ხმა დაარეგულიროს და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ლუკა ხვდება ამ მოწყობილობის მთავარ ფუნქციას, რომლის ლოკვა და კბილებით სინჯვა ძალიან უყვარს. ამის გამო ტელევიზორი დროდადრო ითიშება, ალბათ კონტაქტები დაასველა და დაჟანგა.

ტელევიზორს ზოგჯერ შუადღის 2-3 საათისათვის ვრთავ, რომ გაჭინჭყლებული ლუკა საბავშვო მულტფილმებით და გადაცემებით შევიქცეო დედიკოს მოსვლამდე. გუშინ მულტფილმის ყურების დროს დაიღალა და ჩემს კალთაში ჩაეძინა. ეგებ დღესაც ასე მოხდესთქო, ვიფიქრე და ისევ საბავშვო პროგრამა ჩავრთე. იმავე წუთში პულტი

მომთხოვა. ცოტაც და ტელევიზორმა ისევ უნებლიე ჩართვა-გამორთვა დაიწყო. პულტი მოვიძიე ტელევიზორის გასასწორებლად, მაგრამ ვერა და ვერ მივაგენი. ამასობაში, რამდენჯერმე ყასიდად ვკითხე ლუკას, პულტი სად არის, რა უქენითქო. თან მის თვალწინ ლუკადრომში და მის გარშემო არსებული ყველა სამალავი განვიხილე. სად გაქრა ხელსა და თვალს შორის ეს საკმაოდ გრძელი საგანი, მიკვირდა და ლუკას ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ვკითხე თამაშ-თამაშით, შენ რომ ტელევიზორის ჩასართველი პულტი მოგეცი, სად არის თუ იცითქო. ლუმ საჩვენებელი თითი იქვე მდგომი სავარძლისაკენ გაიშვირა და თვალეში მომაჩერდა. ლუკადრომის გვერდზე მდგარი სავარძლიდან სულ ახალი წამომდგარი ვიყავი, მაგრამ თამაშის წესების თანახმად, მაინც დემონსტრაციულად გავიხედე იქითკენ და... მის ქვეშ ხალიჩაზე დაგდებულ პულტს მოვკარი თვალი. ლუკას ჩვევა აქვს, სათამაშოდ შერჩეულ საგნებს დროდადრო საკმაოდ შორს ისვრის ლუკადრომიდან. როგორც ჩანს, პულტიც ასე მოისროლა სავარძლისაკენ, შეუმჩნევლად. მთავარი კი ის არის, რომ ლუკამ დასმულ კითხვაზე პირველად გამცა „ადამიანური“ პასუხი ანუ ურთიერთობის სრულიად ახალ ფორმაზე გადასასვლად საინტერესო ნაბიჯი გადადგა. გამოდის, რომ წლისა და ოცდაორი დღის ბავშვს უკვე მთელი რიგი სიტყვების მნიშვნელობა და წინადადების კითხვითი ფორმის არსიც ესმის და ისიც იცის თუ როგორ უპასუხოს დასმულ კითხვას?!

ამბობენ, რომ ამ ასაკის ბავშვების გონებრივ განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს საქონლის ხორცი. ლუკამ სამი დღის წინათ პირველად დააგემოვნა დედიკოს მომზადებული ჩიჩია. ნუთუ ეს ყველაფერი იმ გემიელი კერძის შედეგია?!

ბიჭაჭომ დღეს დილას კიდევ სხვა მსგავსი რამ მოიმოქმედა. მანგო გავასინჯე და როდესაც თავისი ულოუფა დაამთავრა, ცარიელი თასი გამომიწოდა: კიდევ მინდაო.

ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ისევ საუზმობის დროს მოხდა: ჩაიდანმა დუღილი დაიწყო და ლუკამ საჩვენებელი თითი გაიშვირა გაწურისაკენ, რომლისადმი ზურგშექცევით ვიჯექი.

კიდევ ერთი რამ: როდესაც თამაშის დროს ლუმ ბურთს მოჰკიდა ხელი, ყუთში ჩააგდეთქო, ვუთხარი და სათამაშოების ყუთი ლუკადრომის მოაჯირს მივაბჯინე. ბიჭაჭომ ბურთი პირდაპირ ყუთში ჩააგდო და ამრიგად მამიკოს „ყოჩაღ! ყოჩაღ!“ და ტაშიც დაიმსახურა.

და კიდევ: ლუმ სათამაშო სამშენებლო ერთი ბლოკი მეორეს დაადო ზემოდან და სცადა მესამეც ზემოდან დაედო იმ ორზე, მაგრამ ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ერთი ბლოკი მეორეს რამდენჯერმე წარმატებით

დაადლო ზედ, ჩემს მიერ წახალისებულმა. ეს რომ შოს ვუთხარი, არ გაკვირვებია, უკვე მეორე კვირაა რაც ასეთ რამეებს აკეთებხარ. ამას რომ ვწერ, ლუკამ ისევ დაადლო ერთი ბლოკი მეორეს და შემდეგ ორივე ერთად აიღო და ყუთში ჩაყარა. ისე გამოდის, რომ უკვე გარკვეული უნარ-ჩვევები უყალიბდება და არა უნებლოე შემთხვევებთან გვაქვს საქმე. ვაშა!

მე მგონი ლუს მართლაც სიახლეებით დატვირთული ახალი ეტაპი დაეწყო ცხოვრებაში, როგორც პედიატრმა „იწინასწარმეტყველა“ ბოლო შეხვედრის დროს.

ჩვევა რჯულზე უმტკიცესია

ერთხელ, ქართული კლასის დაწყების მომლოდინე დოქტორანტი ოფისის კარებში ჩემს წინ გავატარე და უნებურად აქაურებისათვის უჩვეულო ქცევის დემონსტრირება მოვახდინე. გაკვეთილის დროს გულდაწყვეტით მითხრა: ჩემი ქმარი არასოდეს არ მატარებს კარებში პირველს, თქვენსავითო. ახლად გათხოვილი ქალიშვილს ვუთხარი, რომ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მისი მეუღლე უბრალოდ სხვაგვარად იყო “თრეინდი” ანუ აღზრდილი და ეს იყო და ეს.

დღეს ბერკლიში ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების ქცევა, თითქმის მთლიანად თავისუფალია, ასე ვთქვათ, „ევროპულ-კლასობრივ-კულტურული“ ხასიათის ეტიკეტის ელემენტებისაგან და ყოველმხრივ „თანასწორთა“ ურთიერთობის არასტანდარტიზებულ ხასიათს ატარებს. ეს გარკვეულწილად აადვილებს, უფრო საქმიანს ხდის ურთიერთობების სფეროს, როგორც ასაკობრივ-გენდერულ ისე სხვადასხვა სტატუსის მქონე სოციალურ ჯგუფეთა შიგნით და მათ შორის. ამ მხრივ, სიმბოლოურად, ყოველმხრივ, თანატოლებში ყოფნა უფრო ადვილია, თქმა არ უნდა, ვიდრე, განსკუთრებით, ლინსიქითური კულტურით დატვირთული ადამიანებთან ურთიერთობა. ერთ ასეთ, ასაკით უფროს პიროვნებასთან ყოველი შეხვედრა ამა თუ იმ დაწესებულების შესასვლელთან თუ კორიდორში ნახევარსაათიან ნაკლებდ სასიამოვნო „ჯერ თქვენ მიბრძანდით!“ იწილო-ბიწილოში გადაიზრდებოდა ხოლმე. აქ ასეთი რამ არა მგონია რომ მოხდეს. ძნელი წარმოსადგენია, აგრეთვე, რომ ბერკლიში ქალს ვინმე მოსასხამის ან ქურქის ჩაცმაში მიეხმაროს ან ტრანსპორტში ადგილი დაუთმოს. ამგვარი საქციელი მანდილოსანმა შეიძლება დაცინვად, შეურაცხყოფად, თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური შესაძლებლობების შეუფასებლობად ან პირადი სივრცის ხელყოფად აღიქვას. ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, ჩვენებურ საქალაქათაშორისო ავტობუსებში და მატარებლებში უბილოეთო დედა-შვილების გამო ფეხზე გატარებული მრავალი საათი და უძილო ღამე მაგონდება.

აქ ჩამოსვლისთანავე, ადგილობრივების სისუფთავისადმი და პირადი ჰიგიენისადმი სხვაგვარმა დამოკიდებულებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ვერა და ვერ შევეჩვიეთ იმას, რომ ბევრი, ვინც ყოველდღიურად იღებს შხაპს და ამის გამო არ ცნობს სუნამო-კოლონებს, ხოლო ყოველი წახემსების შემდეგ სამგზავრო დასაკეცი ჯაგრისით ბეჯითად იწმენდს კბილებს, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჯდება ქუჩაში ტროტუარზე, პარკებში ბალახზე ან შენობაში იატაკზე. ამის გამო, „საეჭვო“ სტუმრობის შემდეგ, არაერთხელ გაგვირეცხავს ჩვენი სავარძლებისა და ტანტის შალითები. უნივერსიტეტის აუდიტორიების წინ, ჩვეულებრივ, იატაკი ლექტორის მომლოდინე, კომპიუტერებით შეიარაღებული „მჯდომარ-მწოლარე“ სტუდენტებით არის მოფენილი. საპირფარეშოში შესულს, ხშირად მინახავს მათ მიერ იატაკზე დაყრილი ზურგჩანთები, მოსასხამები და წიგნები. მარკეტში დახლებზე დალაგებულ ხილს დიდი და პატარა გემოს უსინჯავს, სიამოვნებით შეექცევა და ა.შ. აქ, ევროპის მსგავსი საშინელი ისტორიული ეპიდემიებიდან თავისუფალ ე.წ. „ახალ სამყაროში“, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი შედარებით უფრო „სუფთაა“ ვიდრე ჩვენთან (გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები გარეცხილი, ანტიბიოტიკებით, ულტრაიისფერი სხივებით ან დაბალი სინშირის რადიაციით არის დამუშავებული, შენობებში და გარეთ სისუფთავა და სხვა), მაგრამ ჩვენი გაგებით ჰიგიენის წესების უცნაურ უგულებელყოფას რომ რაღაც სხვა რამე ასაზრდოებდა (რელიგია, კულტურა თუ „უკულტურობა“ ან სისუფთავის განსხვავებული კონცეფცია) ისიც ფაქტი იყო. ვერა და ვერ შევხვდით ისეთი პიროვნებას, ვისთანაც ამ საკითხზე გულხდილად ვისაუბრებდით.

ბოლოს, სრულიად მოულოდნელად, ყველაფერ ამაზე ლუკას პედიატრმა „აგვიჩილა თვალი“. ამას წინათ ვკითხე: ნუთუ საშიში არაა, რომ საბავშვო მოედნებზე ჩვილები სილაში თამაშის დროს ყველაფერს რომ გემოს უსინჯავნებო?! არაო, მიპასუხა, ეს აუცილებელიც არის, რომ ბავშვის იმუნური სისტემა ნორმალურად განვითარდეს და ბაქტერიებთან ბრძოლის უნარი გამოიმუშავოსო. გულზე მოგვეშვა, ლუკას სიარულის დაიწყება და ნაკლებ-სუფთა ზედაპირებთან მისი ყოველდღიური კონტაქტი ნამდვილად გვაფიქრებდა. ამის შემდეგ იმასაც მივხვდი, რომ აქაურები ზოგჯერ სკოლის ბავშვებივით ყელყელაობენ კიდევ მარკეტებსა და ტყე-პარკებში გაურეცხავ, თერმულად დაუმუშავებელი პროდუქტების, ყვავილებისა თუ კენკროვნების ჭამით: ნახეთ, რა მაგარი ვარ, სხვებისათვის საშიში ბაქტერიები მე ვერც ვერაფერს დამაკლებსო. საკუთარი შესაძლებლობების საჯაროდ წარმოჩენა ხომ ერთმანეთთან გაუთავებელ წყნარ შეჯიბრებაში მყოფი აქაურების ერთ-ერთი უმთავრესი ჩვევა-თვისებაა.

სეხნია

ჯერ კიდევ 55-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, რომ თანაკლასელმა გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული სამგლოვიარო გაანცხადება მაჩვენა. დამწუხრებული ოჯახი გაზეთის მკითხველებს ვახტანგ ჩიქოვანის გარდაცვალების ამბავს ამცნობდა. სახლში მისვლისთანავე გაზეთი სამზარეულოში მოფუსფუსე დედას ვაჩვენე: ცოტა ადრე ხომ არ მოგივიდათ განცხადების გამოქვეყნებათქო, ვინ-უმრე. განცხადება რომ წაიკითხა შეწუხდა: ერთ დროს თანაკლასელები ვიყავით, ძალიან კარგი საამხანაგო, გამორჩეული ბიჭი იყო, მერე სულ რაღაც უცნაური ამბები მესმოდა მაგის შესახებო.

მალე ქალაქში ხმა დაირხა, რომ ჩემი სეხნია მეგობრებმა დიდი პატივით დაკრძალეს, ბროლის ზღაპრულ სასახლეში ჩასვენებული და რომ მის გასვენებას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული უამრავი ხალხი ესწრებოდა. თურმე მას უთვალავი საარაკო თავგადასავალი გადახდენია თავს. ერთ დროს მოსკოვში, კრემლის წინ, წითელ მოედანზე განთავსებული ქვეყნის მთავარი, გრანდიოზული, უნივერსალური მაღაზიის „გუმის“ დღიური ნავაჭრი თანხა გაუტაცია და ალყაშემორტყმული უნივერსალიდან გარეთ რომ გამოსულიყო, ფულიანი ტომრები მაღაზიის ცენტრში მდებარე ცნობილი შადრევნის აუზში ჩაუყრია. წყალში მოტივტივე ასიგნაციების ამოღების მოსურნეთა ბრბოს ისეთი ამბავი აუტეხავს, რომ სეხნია სრულიად უპრობლემოდ გამოსულა მაღაზიიდან. მეორეჯერ ციმბირის კოლონიიდან გამოქვეყნულს, რომელიღაცა დიდი მდინარე მაღალი ძაბვის ელექტრო სადენებზე ჩამოკიდებულსა და ხელებდასერილს მის საძებრად წამოსული მდევრების სროლის ქვეშ გადაულახავს და სხვ. ეს ამბები დედას რომ მოვუყუვი, არ გაკვირვებია. ბევრ ძნელად დასაჯერებელ რამეებს ჰყვებოდენ მასზეო. ერთხელ ქუჩაში შემთხვევით შემხვდა და როცა შესამჩნევად შევცბი, ღიმილით დამაწყნარა: ჩემი ნუ გეშინია ნათელა, მე ხომ მთავრობას ვერჩი და არა ხალხსო. მდინარეზე გადასვლის ამბავი საქართველოში მშენებარე ელექტროსადგურის თანამშრომლებისათვის დასარიგებელი ხელოფასის გატაცების დროს მომხდარა მგონიო.

იმ პერიოდში, „დისიდენტური“ „Блатная романтика“-ის ტრუბადურის, ვლადიმერ ვისოცკის, რენტგენის ფირფიტებზე ჩაწერილ სიმღერებს სკოლის მოწაფეები სიამოვნებით ვყიდულობდით სასტუმრო „საქართველოს“ ხმის ჩამწერ სალონში. მაშინ რამდენიმე ჩვენგანს ღრმად სწამდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოებთან თანამშრომლობა ნამდვილად სათაკილო საქმე იყო. სხვათა შორის, პოლიციისადმი დამოკიდებულება მხოლოდ ბერკლიში ჩამოსვლის შემდეგ შემეცვალა, ისიც თანდათან. ხელისუფლებასთან

ართანამშრომლობის და პაციენტიზმის ტოლსტოისეულმა იდეოლოგიამ სტუდენტობის პერიოდში გამიტაცა, როდესაც ლეგენდარული მაჰათმა განდის დრამატული მოვლენებით სავსე ავტობიოგრაფიის „ჩემი ცხოვრების“ ახალი გამოცემა ჩამოიტანა მამამ მოსკოვიდან და წამაკითხა.

ქვანახშირი

მეხუთე კლასში ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე მასწავლებელმა, „პეშკას“ ვეძახოდით, მერხიდან ამაყენა და ბავშვებისათვის ახალი გაკვეთილის ხმამაღლა წაკითხვა დამავალა. ტანმორჩილი, ჩაპუტკუნებული, სიმპათიური და ჩემდამი, ალბათ, „პროფესორი მამის შვილობის“ გამო კეთილგანწყობილი ქალბატონი დარწმუნებული იყო, რომ არ შევარცხვნიდი და ახალ მასალას თანაკლასელებს გარკვევით და დამაჯერებლად წავუკითხავდი. ელდა მეცა, მხოლოდ ჩემთვის გასაგები მიზეზის გამო. ინტიბარი არ გავიტეხე და რაღაც სასწაულის მოლოდინში, ძლივს მაგრამ მაინც რიხიანად ჩამოვკარკლე, უფრო სწორად ჩემებურად საჯაროდ დავმარცვლე გაკვეთილის სათაური: „ქვა-ნახში-რი“ თქო. ბოლოს თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, სათაურად გამოტანილი სიტყვა გამართულად სინარულით წარმოვთქვი, რადგან ნამდვილად მივხვდი თუ რაზე იქნებოდა გაკვეთილში მსჯელობა.

თანაკლასელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვლლახუცობდი და მხარდასაჭერად ერთი აურზაური ატეხეს. ეს ის იყო, რასაც ბავშვებისაგან მსგავს გამოხტომებს შეგუებული და მეტისმეტად მორიდებული „პეშკა“ ჩემგან ნამდვილად არ ელოდა. დაიბნა, ვერ მიხვდა რა ხდებოდა. კიდევ კარგი, მერხზე ჩემს გვერდით მჯდომმა გ. ლ-მ უცბად განმუხტა სიტუაცია, მასწავლებელს „ვინ იტყვის სიმართლის“ პრინციპით ახარა: „პატ.მას. ჩიქოვანმა კითხვა არ იცისო!“ სინამდვილეში კითხვა გვარიანი ვიცოდდი. მაშინ უკვე ვიქტორ ჰიუგოს, ჟიულ ვერნის, მაინ რიდის, ჯეკ ლონდონის და სხვათა ტომეულების უმრავლესობა სულ გადაბუღებული მქონდა, ოღონდ რუსულად. ეს მშობლებს ძალიანაც სიამოვნებდათ, მაგრამ ქართულად ნურას უკაცრავად. მიუხედავად იმისა, რომ რუსული სკოლიდან უკვე ორი წლის გადასული ვიყავი, ქართულად მართლაც ხეირიანად ვერც ვკითხულობდი და ვერც ვწერდი.

იმ დღის ნამდვილი გმირები მე და გ.ლ. გავხდით, რადგან თანაკლასელების სასინარულიოდ, ბუნებისმეტყველების გაკვეთილი ჩაიშალა. ზომაზე მეტად აღელოვებულმა „პეშკამ“, სასწავლო ნაწილის გამგესთან, მუდამჟამს ერთსა და იმავე თეთრ, წვრილ-ზოლებიან, ლურჯ კოსტუმში გამოკვართულ კეთილ ბიძიასთან, მასსავით მორიდებულ „რუხ მგელთან“ მიმიყვანა პირდაპირ გაკვეთილიდან და

საქმის ვითარება აუხსნა. დროული კაცი გაოგნდა. ყურებს არ უჯერებდა, რომ თურმე მის სკოლაში მეხუთე კლასის თითქმის ფრიადოსანმა მოსწავლემ ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. „მაშინ საგნებში ფრიადებს როგორღა იღებდაო“, დეჭვებულმა ჰკითხა „პეშკას“. იძულებული გამხადეს გუდისათვის თავი მომეხსნა და დედა-შვილის საიდუმლო გამემჩილა: რუსულიდან ქართულ სკოლაში გადმოსვლის შემდეგ, თანაკლასელებს რომ არ ჩამოვრჩენილიყავი, დედა მეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებაში; ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, მასწავლებლებს სკოლაში სხაპასხუპით მის მიერ წაკითხული გაკვეთილების შინაარს ვუყვებოდი. რაც მოხდა, ამის შემდეგ ასე ვეღარ იქნებოაო, თქვა „რუხმა მგელმა“ და დედაჩემი სკოლაში დაიბარა.

საქმე გართულდა. ჩემი ღრმა რწმენით, „უდანაშაულო დამნაშავეს“ ეს ამბავი ჯერ დედაჩემისათვის უნდა მომეყოლა დაწვრილებით, ხოლო შემდეგ კაბინეტში ორივეს ერთად მამაჩემის შეგონებები მოგვესმინა. ჩვენდა გასაოცრად, საქმეებში ჩაფლულმა ოჯახის უფროსმა პრობლემა სწრაფად და ადვილად „გადაწყვიტა“: ზაფხულში წერა-კითხვაში ვამეცადინოთ და სექტემბერში წელგამართული მივალთ სკოლაშიო, ღიმილით დაგვაიმედა დედა-შვილი და მგონი საკუთარი თავიც. ასეთი ოპტიმისტური განწყობილების მიუხედავად, ქართულად ფიქრი და წერა-კითხვა მხოლოდ ძალიან გვიან, ბევრი ზაფხულისა და შემოდგომის გავლის შემდეგ, ისიც ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე თსუ-ს მესამე კურსის სტუდენტმა.

შემნახველი სალარო

რუსთაველის თეატრსა და სასტუმრო „თბილისს“ (რევოლიუციამდელო „ევროპას“ ანუ ამჟამინდელი „მარიოტს“) შორის ქალაქის #1 შემსალარო იყო. მის ადგილას ცნობილი ინგლისური ბანკის, HSBC-ის ფილიალი დაგვხვდა ბოლოს თბილისში ჩასულებს. ამ სალაროში ათეული წლების განმავლობაში იღებდნენ ჰონორარებს თბილისელი ავტორები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, უმეტესწილად ხელოვნების ხალხი, იქვე სასტუმრო „თბილისის“ რესტორანში, კაფეში ან მეორე სართულზე, არარატას ბუფეტში ტოვებდა აღებულო თანხას. მეგობრების საამოდ გამართული ეს იმპოვიზებული „დღესასწაულები“, უკეთეს მერმისზე ხორცშესხმული ოცნება, ჩვენს შემთხვევაში, მამებისა და შვილების მეგობრების ერთობლივი ღიზინი იყო. ასეთ ლამაზ, პოეტურ და მოკრძალებულ სუფრებზე რამდენჯერმე ვყოფილვარ თანაკურსელებთან - ჯემალ კერესელიძესთან, ზურაბ ჭუბაბრიასთან, ბადრი ჭოხონელიძესთან, რამაზ გიორგობიანთან, გია სურგულაძესთან და კერესას და ჭუბრიკას მამებთან ანუ კომპოზიტორ არჩილ კერესელიძესთან და დრამატურგ ლევან ჭუბაბრიასთან ერთად.

ერთხელ, ბატონმა არჩილმა სასტუმრო „თბილისის“ რესტორანში დაგვიბარა შვილის მეგობრები, სუფრა გააშლევინეთ, მეც შემოვიერთდებით მალეო. თვითონ კინოსტუდიაში მომდევნო ფილმის გახმოვანებაზე მუშაობდა და გვიან მოვიდა, თან თითქმის ფანჯრიდან შემოვიდა რესტორანში; დიდ დარბაზში მისი ნაცნობები შემოსხდომოდნენ სუფრას. სხვაგვარად თქვენამდე ვერ მოვალწევდიო, გვითხრა და მისთვის პირადად, ყმაწვილკაცების სამაგალითოდ, ოჯახური კატლეტი და გამაგრილებელი სასმელი შეუკვეთა.

ძველებური იერსახის, მუქი ყავისფერი ხით მოპირკეთებულ შემნახველ სალაროში ბავშვობაში ბევრჯერ ვყოფილვარ მშობლებთან ერთად. ერთხელ დედაჩემის კალთას შეფარებული იქაურობას ვათვალიერებდი, რომ უცებ სალაროში ახლად შემოსულმა წვერებაშლილმა ბიძამ სახელით მიმართა დედას და საუბარი გაუბა. თუ რაზე ისაუბრეს, აღარ მახსოვს. ის კია, რომ ორივემ რამდენჯერმე ახსენა მამას სახელი. გალაკტიონი კიდევ ერთხელ შეგვხვდა იმავე სალაროში მამას ჰონორარისათვის თუ 3%-იანი ობლიგაციების გასანაღდეבלად მისულ დედა-შვილს და ისევ შინაურულად მოიკითხა ოჯახის უფროსი. როგორც ჩანს, მამას ხელოფასის ნაწილი კარგა ხანს ობლიგაციებით ეძლეოდა, რადგან გაუქმებული ობლიგაციების დიდ ტომარას რატომღაც ძალიან დიდხანს ვინახავდით სახლში. ახალგაზრდა დედა ხაზგასმული პატივისცემით ვასუბობდა სახელმობვეჭილი პოეტის შეკითხვებს, თან ხელს არ მიშვებდა, რომ გარეთ არ გავპარულიყავი.

გალაკტიონი, შემდეგ, მარჯანიშვილის თეატრში საახალწლო ნაძვის ხის დღესასწაულოზე მიმავალ მთელ ოჯახს შეგვხვდა მაშინდელი უნივერსიტეტის, ეხლანდელი TBS-ის ბანკის შენობასთან. მანქანიდან გადმოვლაგდით თუ არა, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დიდი ვიტრინის ბრინჯაოს მოაჯირზე მთელი ტანით მიყრდნობილმა წვეროსანმა მამას შინაურულად, ისე როგორც მხოლოდ ახლო მეგობრები მიმართავდნენ ხოლმე, „მიშაო“, დაუძახა. მამამ ნაძვის ხის მოსაწვევებით შეიარაღებული და თოვლის ბაბუის საჩუქრების მომლოდინე ბავშვები დედასთან დაგვტოვა და თვითონ გალაკტიონთან მივიდა. რაზე ილაპარაკეს იმ დროს, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ საუბრის შინაარსი აქვს გადმოცემული პოეტის თავის 1958 წლის დღიურში. ამ მასალას გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მიერ მომზადებულ ვებგვერდზე სრულიად შემთხვევით წავაწყდი.
(იხ. <http://www.galaktion.ge/?page=Diaries&id=4855>).

„დღიური 470-13 - [1958 წელი]

მიხეილ ჩიქოვანი: წერილი ფოლკლორზე მე მეკუთვნოდა, მასალებიც მე მივეცი. ამის შესახებ არაფერი არააო ანტოლოგიაში (ე. ი. ჩემი სახელი

და გვარი არაა გამოცხადებული), ჰონორარიც არ მოუციათო (ვინ დაუკავებდა ჰონორარს?). ს. ჩიქოვანს ვთხოვეო მოსკოვში: მიჩვენე-მეთქი оттиск-ები. სიმონს ეჩქარებოდაო და მითხრა: ტფილისში გიჩვენებო, თბილისში ჩამოვედით, სთქვა: მოსკოვში გიჩვენებო! საერთოდ არ მიჩვენა და სჩანდა, რომ რაღაცას მამაძაღლობდაო.

- ამ წიგნის შესახებ დისკუსია უნდა მოვაწყოთ აკადემიაშიო (მაგრამ რატომ აკადემიაში და არა მწერალთა კავშირში?).

- როდისთვის აპირებთ-მეთქი, - შევეკითხე.

- აი, როგორც კი წიგნი გავრცელდებაო! ჯერ არავის არა აქვს ეს წიგნის (წიგნი ნამდვილად მხოლოდ ავტორებს ურიგდება ჩუმჩუმად, ფასის გადახდით, ისიც არა მწერალთა კავშირში, არამედ წიგნის მაღაზიაში №2 პლენხანოვის პროსპექტზე: ასე შორს მწერალთა კავშირიდან? ასეთი მაგალითი ჯერ არ ყოფილა, რაღაც შიშინაობას ჰგავს. უმაღლეს არა მარტო მწერალთა წრეებს, არამედ მთელ საზოგადოებას. რატომ ხდება ასე?).

მაშასადამე, დისკუსია მალე არ მოხდება.

ნოდარი - წიგნი იყიდებოდაო უნივერსიტეტში. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე დაიტაცესო!”

აქ საუბარია 1958 წელს მოსკოვში რუსულად გამოცემულ ქართული პოეზიის 800-გვერდიან ანთოლოგიაზე, რომლის საფუძველზეც შემდგომ არაერთი პუბლიკაცია იყო მომზადებული სხვადასხვა ენაზე. აი, როგორაა მოკლედ დახასიათებული ეს უნიკალური გამოცემა ერთ-ერთ ვებ გვერდზე: „Антология грузинской поэзии отображает многовековой путь развития поэтического творчества грузинского народа. В ней даны лучшие образцы народной поэзии, избранные отрывки из крупнейших творений древнегрузинской поэзии XII—XVIII веков, широко представлена поэзия XIX и начала XX века.“ როდესაც სოლიდურად გამოცემული ეს წიგნი სტუდენტობის პერიოდში ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებზე აღმოვაჩინე და მის ფოლოკლორულ ნაწილს გავეცანი, ბევრი რამ მეცნო და მაშინვე ვცადე იმის დადგენა თუ ვისი მომზადებული იყო ეს ყველაფერი. თავად წიგნში ამის შესახებ რომ ვერაფერი ვნახე, მამას მივაკითხე. მე მოვამზადე, როგორც ქართული ფოლოკლორის მიმოხილვა, ასევე ხალხური პოზიის სათარგმნი ნიმუშების ტექსტების კოლექციაო, მიპასუხა. რატომ არ იყო ეს ფაქტი წიგნში ან მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიაში აღნიშნული, ის კი აღარ უთქვამს და ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი მოსკოველი ლიტერატორების ან გამომცემლობა „Художественная Литература“-ს ბრალი უნდა ყოფილიყო.

ბ-ნ სიმონ ჩიქოვანთან და მის მეუღლესთან რომ გულობილი ურთიერთობა აკავშირებდათ მამას და დედას, ეს კარგად ვიცოდით ბავშვებმა, რადგან არაერთხელ იყვნენ ჩვენი მშობლები შეუძლოდ

მყოფი ქ-ნი მარიკას და თვალისჩინ-დაკლებული ბ-ნი სიმონის მოსანახულებლად წასულები „თერთმეტ სართულიანში“, 60-იანი წლების დასაწყისში. მგონი ქ-ნი მარიკა და დედა ერთად მკურნალობდნენ ლენინგრადის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში და იმ დღეებიდან მოყოლებული, ერთმანეთს განსაკუთრებით გულშემატკივრობდნენ. ამიტომ, გალაკტიონის ჩანაწერების შესაბამისმა ადგილმა ძალიან გამაკვირვა. ეტყობა იმ დროს მამას ეგონა, რომ ბ-ნმა სიმონმა, როგორც ქართველი მწერლების ერთ-ერთმა თავკაცმა, მოსკოვში რატომღაც ვერ შეძლო მისი საავტორო უფლებების სათანადოდ დაცვა და ამის გამო ალბათ ძველ მეგობარზე ცოტათი ნაწყენიც იყო.

ჩაი

ამის შესახებ, თვითონ მინდოდა მომეთხრო, მაგრამ შოსა და მისი კათედრის ყოფილი გამგის მიმოწერა ვნახე და მივხვდი, რომ ამაზე სრულად მე ვერ აღვწერდი თუ რა გადაგვხდა თავს იმ დღეს და როგორ განიცადეს ეს ამბავი ჩვენმა ნაცნობ-მეგობრებმა.

From: M. L.

Date: May 23, 2015 at 11:08:00 PM PDT

To: Shorena Kurtsikidze

Subject: Re: Contact

“Oh, Shorena, I am so sorry to hear this. I can imagine how awful this must be for you and Vachi. Did they give you any information about what they would do for the burns at St. Francis? I hate to think of him being in pain. But it sounds as if you did everything right, which is great. I'll call tomorrow and see if you're able to talk. In the meantime, take care of yourselves as well as the little man. All our best to you and Vachi.

Love,
M.”

On Sat, May 23, 2015 at 10:29 PM, Shorena Kurtsikidze wrote:

“Dear M.,

Thank you so much for your sweet message. It means so much to us.

Luka was asleep when you called and my phone was off and I forgot to turn it back on. We had a really rough day yesterday. I have no idea how he managed to stretch his arm/body to reach for the hot tea cup that I had just put on the table. He had just had his breakfast and was playing and was not even nearby when Vachi and I were getting ready to sit down to have our teas. Somehow Luka got there in a less than a second and grabbed the cup. It happened so fast... I then grabbed him and put him under the cold water instantly, with his

clothes on (which, apparently, was a right thing to do, otherwise it would have been worse), but he kept crying and had seizure-kind movements and that's when we got really scared and called 911 and we ended up in Oakland's Children's hospital. They gave him some pain medicine while in the ambulance and then again at the hospital, applied specialized bandages and kept him for a couple of hours for observation and then released us. He has second degree burns on his left arm and fingers and left leg. His skin has completely peeled off his thigh... anyway we will have to go to St. Francis Hospital in San Francisco that has a specialized burn facility. They made an appointment for us for Tuesday. Meanwhile we are keeping his arm and leg moist with the specialized bandages, and it is quite a challenge to keep them on him. He has been very brave. He did not need any more pain medication and has been handling the pain well. Today he played as usual and was very happy. Thank you, again, dear M., for thinking of us and for your kindness and support. How is H.? We hope that he is doing better. All the best wishes to him from us. Shorena”

On Sat, May 23, 2015 at 7:47 PM, M. L. wrote:

“Dear Shorena,

I just heard today from C. about Luka's accident. I tried to phone you but your phone was not taking messages. I hope the little guy is doing okay. When you are able, drop me a line or give me a call to let me know how he is. All our prayers for his well-being and safe recovery. I know how hard this is for you, Shorena. We're thinking about you and hoping all is well.

Love,
M.”

24.06.15

ლოუკადრომი „ფაფუ“

სან ფრანცისკოს დამწვრობის ცენტრში თითქმის ერთი თვე დავდიოდით. ლუკას ჭრილობების მოვლით დაკავებულიებმა, ერთ დღეს გაკვირვებით აღმოვაჩინეთ, რომ ლუკადრომით კარგახანია აღარ ვსარგებლობდით. ფაქტი ის იყო, რომ მანუში ყოფნა ლუკას კარგა ხანია აღარ მოსწონდა. ორი კვირის ცდის შემდეგ, ლუკადრომი დავშალე თუ არა, თითქმის 15 თვის ლუკას სიანლეებით სავსე, ცხოვრების ისეთი ეტაპი დაეწყო, რომ მისთვის თვალის მოშორება უკვე არც ერთი წამით აღარ შეიძლება: დავსდევთ და დაგვსდევს ყველაფერზე დამინებელი საჩვენებელი თითით და ე-ე-ე, მე-მე-მეს ძახილით და... ვართ ასე. შოს ვუთხარი, ძალიან მაგარი ვარჯიში კი გამოგვდისთქო. ცოტა დასვენებაც რომ შეგვეძლოს, არ იქნებოდა ურიგო, სამსახურისკენ მიმავალმა კარებიდან მომაცხა.

გალიიდან ამოხვლის შემდეგ, ლუკა ძალიან გაეშმაკდა, ყოველნაირად ცდილობს თავისი გაიტანოს. თუ რამის გაკეთებას ვუშლით (სიცილით იმეორებს „ალა! ალა! ალა! ალა!“ და თან ხუჭუჭა თავს აქეთ-იქეთ სიამოვნებით აქანავებს გაუჩერებლად), მერე საცოდავად დაიმანჭება, თვალეზე ხელს აიფარებს, ტირილს ვიწყებ ხომ ხედავთო. იმავე დროს, პუტკუნა ხელის გაშლილი თითებიდან გვითვალთვალეებს, გაჭრა თუ არა ამ ხერხმაო. ან ყელს მოიღერებს, საყვარლად მოჭმუჭნის პაჭუა ცხვირს, თვალეებს დაწკურავს და დაყენებული ღიმილით რაიმესთან მიახლოების ნებართვას გამოითხოვს. ყველაზე ხშირად შემდეგ ხერხს მიმართავს: დღის განმავლობაში იატაკზე რამდენჯერმე საგანგებოდ „წაიქცევს“ თავს და უხერხულ პოზაში გარინდული ელოდება ხელოში როდის ავიყვანთ და მოვეფერებით. სულ რამდენიმე დღეა, წივილისა და კივილის ძალა აღმოაჩინა, მგონი მეზობელი გოგონების შემყურემ და სრულიად უმიზეზოდ დროდადრო ისეთ წივილ-კივილს მორთავს, რომ გული გვისკდება, ვინმემ ბავშვების დაცვის სამსახურის თანამშრომლები არ გამოიძახოს.

სასაუბროს რა გამოლევს, შენ დრო თქვი თორემ. ყოველდღიური სიურპრიზების პირობებში, უკვე მეორე დღეა ლუკა ყველაფერზე აძრომა-ჩამოდრომას ლამობს. ჩანაწერების გაგრძელებას ვითომ შევძლებ ამ პირობებში? თუმცა ვინ იცის, ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს შეგონებებმა გაჭრას და ლუკა მშობლების დამჯერე ბიჭუნად გადაიქცეს?! ვა, აღარც ვიოცნებოთ?!!!

05.07.15

კრემ-სოდის ფერი ქსოვილის ფოჩებიანი ჭადი

დღეს დილას, საუზმობისას, ბავშვობისდროინდელი სასადილო ოთახის გამჭვირვალე ჭადი მომაგონდა. მისი რბილი და თბილი შუქი ოჯახური პურობის მონაწილე დიდსა თუ პატარას სახეებს გვიფერადებდა. სამზარეულოდან შემოტანილი კერძებს, პირველს, მეორესა და მესამეს ანუ დესერტს, დედა ჩამოგვირიგებდა და ბავშვები საქმეს შევუდგებოდით. დამრიგებლისა თუ დამხმარის როლში ყველაზე ხშირად დიასახლისი, მერე ბებია და ბოლოს ევგენია ზახაროვანა გამოდიოდა. მაშინ სამზარეულოში ჭამა საერთოდ წესი არ იყო, მით უმეტეს მაცივართან მარტოდმარტო ფენზე სტუდენტური წახემსება თუ შეიძლებოდა, არც არავის მოსდიოდა აზრად თავში.

იმხანად, უბნის ერთადერთსა და თითქმის ყოველთვის ცარიელ გასტრონომში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, საეჭვო ხარისხის ასაწონი „პეჩენია“, „ზალატოი კლიუჩიკი“, „ირისი“, „მომპასი“, „პადუშკა კანფეტი“, რუხი მაკარონი, ქვამარილი (სუფთად დაფქვილი მარილი მოსკოვიდან ჩამოჰქონდა მამას სადღესასწაულო სუფრების დასამშვენებლად),

„მარლა“ გადაფარებული და ბუზებდახვეული შებოლილი „ასეტრინა“, უფილტრო სიგარეტები - „პრიმა“, „პალმა“, „ყაზბეგი“, „დრუგი“, „ბუკეტ გრუზი“ და „ბელამორკანალი“, შოკოლადი „გვარდეისიკი“, „ბორჯომი“, „საირმე“ და „ნარზანი“ იყიდებოდა. ამიტომ, ძირითად პროდუქტებს, ბეზიას მიერ სოფლიდან ჩამოზიდული ჭირნახულის შესავსებად, დედა ან მოსამსახურე ვერის ბაზარში ყიდულობდნენ. ტკბილეულით, კანფეტებით (ვაფლი, „მიშკა კასალაპი“, „ტრიუფელი“ და სხვ.) და ტანისამოსით, მოსკოვში მივლინებით წასული მამა გვამარაგებდა. ამიტომ ბავშვები თავით ვიყავით ხოლომე მის მოსკოვურ ჩემოდანში ჩამძვრალეები.

80-90-იან წლებში, ზუსტად იგივე „ასორტიმენტი“ უკვე მე ჩამომქონდა ოჯახისათვის მოსკოვსკოვური მივლინებებიდან, იქაურ დაცარიელებულ უნივერსიტეტში („გუმი“ → „ცუმი“ → „მოსკვა“ → „ბელოგრად“ და ა.შ.) მოწყობილი „ბლიცკრიგების“ შედეგად. ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან, დროდადრო, სხვადასხვა კონგრესში მონაწილე მამა ზოგჯერ „იმპორტითაც“ გვახალისებდა და ჯიბის ფულად მიცემული ჯერ \$25 მერე კი \$50-ით ინდოეთში, ფინეთში, საფრანგეთში, იაპონიასა, აშშ-ში და სხვაგან ნამდვილად სასარგებლო და იმ დროისათვის ძვირფას საჩუქრებს იძენდა ჩვენთვის: მარინასთვის სხვადასხვანაირ „შმოტკებს“, ხოლო ჩემთვის ახალ ტექნიკას. ერთხელ იაპონიიდან „სონის“ ტრანზისტორული რადიომიმღები და ორჯერ აშშ-ფინეთიდან „პანასონიკის“ კომპაქტური მაგნიტოფონები ჩამომიტანა. უკანასკნელებს წლების განმავლობაში ველოზე მუშაობის დროს ვიყენებდი და სწორედ ამის გამოა, რომ სოლიდური აუდიო-კოლექცია დამიგროვდა.

ერთხელ, შემოდგომით, მთაში ერთ-ერთმა მინი „პანასონიკმა“ დიდზე დიდი სამსახური გამიწია. უკაცრიელ ალპიურ ზონაში, მეცხვარის ბომბორა ნაგაზმა შორიდან დამლანდა მარტოდ მავალი და ფარასმოწყვეტილმა მთამალაიდან შურდულივით დაიწყო ჩემსკენ დაშვება. სანამ ამ დეკუელისხელა „ВОЛКОВА“-მა ოთხოდე ხევი გადალახა, „მოვემზადე“: რატომღაც საწვიმარი ლაბადა ტანზე შემოვიტმასნე, მხარზე გადაკიდებული აპარატურით სავსე ტყავის კოფრის სახელურში მარცხენა მკლავი გავუყარე და სირბილით ქვის ან ჯოხის ძებნას მივყევი ხელი, მაგრამ ამაოდ: არემარე მხოლოდ ნოყიერ ბალახს დაეფარა. ის იყო ეს მგლების ნამდვილი რისხვა უნდა დამტაკებოდა, რომ ბალახში ჩავჯექი და კოფრიდან ამოღებული მაგნიტოფონი უეცრად მაქსიმალურად „ავაძრახე“. მთის უკაცრიელ ფერდზე ადგილობრივ დიალექტზე მოსაუბრეთა ხმას რომ მოჰკრა ყური ბომბორამ, ქშენა შეწყვიტა და გაკვირვებული დამაკვირდა. მალე თვალეები დახარა, კბილები დამალა და უკან წაძუნძულდა. არა და სასოწარკვეთილმა, „პანასონიკი“ კოფრიდან თავდაპირველად ნაგაზისათვის თავში ჩასაცხებად ამოვიღე, ჩემი ჭკუით; რა თქმა უნდა,

საუკეთესო შემთხვევაში საშინლად დამგლოჯდა თუ ყელს არ გამომლადრაკდა საერთოდ.

24.08.15

სერგო - Сержа

1948 წლის ზაფხულის ბუნიობის ბოლო დღეგრძელ დღეს დაბადებულ ჩვენებურ „ბებიბუმერებს“, თავიდანვე თალხებით შემოსილი მანდილოსნები და ქალიშვილები დაგვტრიალებდნენ თავს: ვინ ომში დაღუპულ თუ დაკარგულ ქმარ-შვილს, ძმას, ბიძას, საქმროს, მეგობარს თუ ვინ იცის კიდევ ვის არ მისტიროდა. ეს ჩუმი, მაგრამ მეტად მძიმე გლოვა ძალიან, ძალიან, ძალიან დიდხანს გაგრძელდა. მგონი, ზოგ შემთხვევაში, საერთოდ არც კი დამთავრებულა. ომში დაღუპული ლადოს შვილსა და სერგო - სერიოჟას დას ანუ დედაჩემს, თურმე მხოლოდ ქორწილის წინ გახადა შავები უდროოდ დაქვრივებულმა დედამისმა. თავად აგრაფინას, სიცოცხლის ბოლომდე, იმ საშინელ დღეებში, კოჭებამდე ჩამოშვებული შავი კაბა ეცვა, ხოლო თავზე ულტრა-მოდური ჩაჩის მაგივრად, შავი თავშალი ეხურა. კარგად მახსოვს, რომ ქეთო დეიდამ ღია ფერის ტანსცმლის ჩაცმა მხოლოდ ვაჟიშვილის, ჩვენი საყვარელი მახოს გაჩენის შემდეგ გაბედა, ისიც დედაჩემის დაჟინებული, ხანგრძლივი თხოვნა-მუდარა-ჩიჩინის შემდეგ. ასე რომ, ბავშვობის და მერე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა 36 წლის დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, თითქმის მთელი ყრმობა და სტუდენტობის წლები მე და მარინემ თალხებში შემოსილი ოჯახის წევრებისა და ახლობლების ზრუნვის ქვეშ გავატარეთ.

საოჯახო გადმოცემების მიხედვით, სახლიდან ჩუმად გაპარული უწლოვანი სერგო - სერიოჟა ომში მოხალისედ მიმავალი უფროსი მეგობრების გასაცლილებლად წასულა რკინიგზის სადგურში. ამ ამბის თვითმხილველი მეზობლის მოწმობით, ის სულ ბოლო მომენტში, საშინაო ფაჩუჩების ამარა შეახტა თურმე ახალბედა ჯარისკაცებით სავსე ეშელონს, რადგან ომში წასვლის მოსურნე ბიჭებს აყოლილს, დედა ფეხსაცმელებს საგულდაგულოდ უმაღავდა.

სერგო ჯერ მამამისის ახლო მეგობრის, შემდგომში ცნობილი გენერლის გიორგი ყურაშვილის ნაწილში მოხვედრილა და „საბრძოლო ნათლობა“ მარუხის ურელტეხილზე გამართულ ბრძოლებში მიუღია. მაგრამ მალე ყმაწვილმა მამამისის ძმობილის პატრონობა იუკადრისა თურმე და სხვა ნაწილში გადასული, ყირიმის ბრძოლებში სასიკვდილოდ დაიჭრა. სავლეთ ჰოსპიტლის სარეცელზე მიჯაჭვულმა, თითქმის 19 წლისამ, დედას სამკუთხედად დაკეცილი ჯარისკაცული წერილი მოსწერა, რომელიც მისი პირადი სამხედრო ნომრის ებონიტის კაპსულასთან ერთად კარგახანს ჩვენთან ინახებოდა. ფანქრით ნაწერ

ბარათში, სერიოზუა დედამისის ბოდიშს უხდიდა, რომ დაუფიქრებელი ნაბიჯით მშობელს ესოდენ დიდი სატკივარი გაუჩინა და სთხოვდა: თუ შეძლებთ, ომის შემდეგ აქ ნუ დამტოვებთ, საქართველოში წამასვენეთო; ჰოსპიტლის ძმათა სასაფლაოზე დამმარხავენ და ჩემი ამოცნობა რომ არ გაგიჭირდეთ, ფეხებზე სპილენძის და ალუმინის დაგრეხილ მავთულებს შევიბამ, თან მარცხენა ყურის ძირში ვეება ჭრილობა მაქვს და იმით მაინც ადვილად მიცნობთო.

ყირიმში ჯერ კიდევ საომარი მოქმედებები გრძელდებოდა, რომ ბიძამისი, ალე ასათიანი, ცალხელა ქუთაისელი ებრაელს გაურიგდა, რომელმაც სერიოზუა თბილისში ჩემოდნით ჩამოასვენა. “სისოევიჩმა“ დიშვილი ჯერ კუკიაზე დაკრძალა, ხოლო მერე, 60-იან თუ 70-იან წლებში, ბაბუამისის, სისო ასათიანის გვერდზე, საბურთალოს სასაფლაოზე საოჯახო ანდაბში გადაასვენა.

როდესაც თავად ყველას იმედად მყოფ ალე ბაბუას იმქვეყნად წასვლის დრომ მოუწია, ჭარმაგი, მეტად შემოსავლიან სამსახურში ჯერ კიდევ აქტიურ უფროსად მომუშავე ხანდაზმული კაცი რამდენიმე დღე უტყვად იწვა მრავალრიცხოვანი ანლობლებით გარშემორტყმული და რატომღაც სულ მე მომჩერებოდა. ეს პირველმა ქეთო დეიდამ შეამჩნია და მითხრა: ეტყობა ალეს უკვე იმ ქვეყნაში ჰგონია თავი და შენ ასე იმიტომ გიყურებს, რომ სერიოზუას ჰგეცხარ და ყირიმში დაღუპული მისი დიშვილი ჰგონიხარო.

26.08.15

ლადო

მუდამ საქმეებში ჩაფლოულო მამას, ბევრი საყოველთაოდ გავრცელებული თავშესაქცევი დროის უაზრო ფლანგვად მიაჩნდა. ამიტომ სასმელი, ქეიფი, თამბაქო, კარტის თამაში, ტელევიზორის უზომო ყურება და ა.შ., მისთვის, “აჰ-აჰ-აჰ-ა-ა!!!”, სრულიად მიუღებელი იყო. ასეთი ცხოვრების წესის მიმდევრებს ის ჩვეულებრივ ან თვალს არიდებდა ან არ იმჩნევდა. ეტყობა, ეს იცოდა აკადემიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, „აღმოსავლური რენესანსის“ კონცეფციის ავტორმა და პატიმრობაში სტალინის ზედამხედველობის ქვეშ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელმა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ და როდესაც თურმე „ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით“ დაბეჯითებით „ურჩიეს“ ახალ წევ-კორესპოდენტად მიხეილის მაგივრად ამას და ამას უნდა მისცეთ ხმაო, გაბრაზებულს უთქვამს: „აკადემიაში მეცნიერს ვირჩევთ თუ თამადასო?!“

ასეთი გუნება-განწყობილების გამო, მამას, რა თქმა უნდა არ მოსწონდა, როდესაც სტუდენტობის პერიოდში მეგობრებთან ერთად არც თუ

იშვიათად გვიანობამდე შევრჩებოდი ხოლმე ლხინის სუფრას და სახლში ნასვამი მივდოდი. ერთხელ, ასეთი ღამისთევის შემდეგ, სამწარულოში შემოსულმა, საუზმის სამსაზიდისში გართულო აგრაფინა ბებიას ჩემი თანდასწრებით შესჩივლა: „ ასე რომ იქცევა ეს ბავშვი, ვის ჰგავს ნეტავი ის მაინც ვიცოდეთ“. „ლადლოსო!“, თავისთვის წაიჩურჩულა ბებიამ, მაგრამ ისე რომ მე და არა მამას გაეგო. საუზმის შემდეგ ბებოს ვკითხე, ერთი გამაგებინე, ეგ რომელი ლადოს და რაში ვგევართქო. ჯერ იუარა, არც არაფერი მითქვამსო და როდესაც გასაქანი არ მივეცი, ბაბუაშენსო, მოკლედ მომიჭრა. მიუხედავად დიდი ცდისა, მეტი ვერც ვერაფერი ვათქმევინე, არც მაშინ და არც მერე, ომის დროს გარდაცვლილ ახალგაზრდა მეუღლეზე.

რაც შემდეგ ბაბუა ლადოს შესახებ შევიტყვე, დეიდა ქეთოსაგან ვიცი, რომელიც მამამისზე საუბრის დროს დედამისივით უცნაურ სიტყვაძეუნობას იჩენდა. მოკლედ რომ ვთქვა, დროთა ვითარებაში ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ, როგორც ჩანს, ბაბუაჩემი თავისი დარდიმანდული საქციელითა და ცხოვრების იმ დროისათვის არასტანდარტული და უჩვეულო წესით, ცოლ-შვილს საკმაოდ პრობლემებს უქმნიდა. თურმე, მეგობრებზე მეტისმედად გადაყოლილი, „ქარის მოტანილ ფულს“ (სადღაც ვორონცოვზე თუ „პესკებზე“ საზიაროდ დუქანი თუ სასადილო ჰქონია გახსნილი) ქარსავე ატანდა: „ აბა, ამრიგად ნაშოვნ ფულს ოჯახში ხომ არ შევიტანო“, ამრეხით ამბობდა და წვრილ-შვილს მხოლოდ „სუფთა“ ხელოფასით არჩენდა. ეგ კიდევ არაფერი, კარგი გარეგნობის მამაკაცს, ქეთო დეიდას მტკიცებით, სწორედ რომ ქალები არ აძლევდნენ მოსვენებას (!) და ასეთ მატრონებთან თანაცხოვრების შედეგად, ბავშვებიც კი შესძენია. ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც მოგვიანებით თავისი გვარიც მისცა, კარგა ხანს აგრაფინას აზრდევინებდა თურმე. ამ ნახევარ ძმასთან, სერიოზუსთან და გოგონებთან ერთად, ოჯახში კიდევ ერთი ბიჭი იზრდებოდა, რომელიც მივლინებაში მყოფ ბაბუაჩემს სადღაც სადგურზე უნახავს სახლიდან გამოქცეული და მშიერი. შემდეგ, აგრაფინას ეს ორივე უნებლიე შვილობილი საკმაოდ შეძლებული ადამიანები გახდნენ და ქეთო დეიდას, დედაჩემსა და ბებიაჩემს დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ეტყობა, ლადოს „ენგერ მენეჯმენტის“ პრობლემებიც ანუ ფეთქებადი ხასიათიც უნდა ჰქონოდა. ერთხელ სკოლიდან სახლისაკენ მიმავალი მესამე კლასელი დედა, თურმე, ვორონცოვის ხიდიდან მტკვარს გადაჰყურებდა, როდესაც ვიღაც ქალს მისთვის კეფაში ხელი წამოუკრავს, „ეს რა კარგი ვინმე ჰყავხარ შენს გამჩენსო“, და შემთხვევით გოგონას შუბლი ხიდის მოაჯირზე მიაკვრევინა. ოჯახში მეტად მკაცრ მამას ბავშვისათვის საყვედური რომ არ ეთქვა, აგრაფინამ დედაჩემის მოზრდილი კოპი მეზობელი მეზოვის ბავშვებთან თამაშს

გადააბრალა, რის გამოც ლადომ გვერდითა ეზოში მცხოვრებ უდანაშაულო ოჯახს შავი დღე დააწია.

ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი ლადო, ეტყობა როდესაც საჭიროება მოითხოვდა, არც მუშტი-კრივში ჩართვას ერიდებოდა. ერთხელ, სკოლის შემდეგ, პლეხანოვის გამზირზე ქეთო დეიდა თურმე ძალიან დიდ ჩხუბს შეესწრო, რომლის დროს რაღაც მიზეზის გამო გაბრაზებულმა მამამისმა იქაური მესაათეები და მათი შეგირდები თავიანთი ადგილებიდან დაიფრინა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; თავკუდმოგლეჯილები შეესივნენ ეზოებს დასამალვად. ამ შემთხვევიდან სულ მალე, ისევ პლეხანოვზე, ლადო თურმე ვიღაცის გაქანებულ ფაეტონს ჩაუხტა წინ და ქვაფენილოზე წაქცეული ბავშვი ჭენებაზე გადასული ცხენების ფლოქვებს გადაარჩინა. ასეთი დაუდევარი ბუნების კაცს, სამხედრო ნაწილის ინტენდანტად მუშაობის დროს ტიფი შეყრია და გორის ჰოსპიტალში ისე დაუღევია სული, რომ ოჯახს ამის შესახებ არაფერი სცოდნია.

29.08.15

რწმენა-წარმოდგენები, ფარისევლობა და წეს-ჩვეულებები

ცოდვა გამხელილი სჯობს: ღმერთის უარყოფისა და გამობის გარემოცვაში წამოზრდილს, ირონიული დამოკიდებულება მქონდა მორწმუნეებისა და სამღვდელოების მიმართ, რომელთა კარიკატურებით აჭრელებული იყო იმდროინდელი პერიოდული გამოცემები. უკანასკნელებს, ტონს საკავშირო „ოფიციალური“ იუმორისტული ჟურნალი „Крокодил“-ი აძლევდა. ის განსაზღვრავდა ადამიანებისათვის ნებადართულ სახუმარო თუ დასაგმობი მოვლენისა თუ პერსონაჟების სიას. კითხვა „არსებობს თუ არა ღმერთი?!“ საოხუნჯო საჯარო მასლაათების მუდმივი საგანი იყო, ღმერთზე „გამარჯვებული“ ბოლშევიკებისა და მათი მემკვიდრეების „იუმორის საღამოებზე“. უკანასკნელებმა, „ცივი ომის“ წაგების შემდეგ, „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების“ სათაყვანებელი პორტრეტები უმალო შეცვალეს მათ მიერვე აშენებულ ეკლესიებში ნაკურთხი ხატებით.

თბილისში გამოსაწამთრებლად ჩამოსულმა ცაცუ ბებომ, ნათლობით ელისაბედმა, დამრიგებლური ტონით იცოდა თქმა: „ყველაფერი ღვთის ნება არისო“ და შესაბამისი სურათებიანი წიგნებისა და ჟურნალების თვალთვრებით „განათლებული“ მცირეწლოვანი, იმ წუთშივე „დისკუსიებს“ ვუმართავდი ღრმად მოხუცებულ მანდილოსანს „სათანადო“ თემებზე: უთო, მტვერსასრუტი ან ტელეფონი ღმერთის გაკეთებული არის თუ არათქო და სხვა. ყოველივე ამის გამო, დღესაც კი უხერხულად ვგრძნობ თავს ცხოვრებული წინაშე. ამ დროს მუდამ შრომაში გართული „გრაფინია“

ბებისაგან ათვისებულ წეს-ჩვეულებას დღემდე ერთგულად ვასრულებ. სათანადო დღეებში, საკურთხს „წავდგამ და სანთლებს მოვანთებ“ ხოლო იმქვეყნად გარდასული ოჯახის წევრებისა და მოკეთებების სახელოზე.

„ნათელას ბავშვები“, დედას ამხანაგებმა ქაშუეთის ეკლესიაში მგონი პირველად ნახევრად-გასაიდუმლოებული ნათლობის დროს მიგვიყვანეს მის დაკრძალვამდე ორი თუ სამი დღით ადრე. შემდეგ, ჩვეულებრივ, ეკლესიაში აღდგომის ღამეს მივდიოდით იმ მეგობრებთან ერთად, რომლებიც ტელევიზორში სპეციალურად გაშვებული „კინოკანონრამის“ ყურებას ეკლესიაში სანთლის დანთებას ამჯობინებდნენ. არც ეს იყო ადვილი, რადგან ქალაქის ეკლესიების მისასვლელელებს მილიციონერები, რაიკომების თანამშრომლები და უმაღლესი სასწავლებლების კომბიუროს აქტივისტები აკონტროლებდნენ: ხომ უნდა სცოდნოდათ თუ ვინ დღესასწაულობდა აღდგომას ანუ ვინ იყო მათი აზრით ნაკლებ სანდო, ორპირი და დასასჯელი.

ერთხელ, როდესაც სტუდენტ გოგო-ბიჭებთან ერთად, აღდგომის ღამეს სიონის ტაძარს გარს ვუვლიდით, უცხად ფოტო-ბლიცმა გაგვანათა. მეგობრები უმაღლ მივატოვე და იმ ადგილს სწრაფად მივაშურე, საიდანაც სინათლის ხნივი წამოვიდა. სიბნელეში საყდრის კედელთან ხელი ვიღაც ფოტოაპარატთან წავავლე: რას სჩადიხარ, არ გრცხვენიათქო, ყურში ჩავძახე და ისე შევანჯღიე, რომ კინაღამ წონასწორობა დაკარგა. ჩია, ტანმორჩილ ბიჭს ისევ მე აღვუდგინე ბალანსი და ჩემდა გასაოცრად, ხელში თითქმის მეგობარი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რუსული სექტორის სტუდენტი, ჩვეთან სახლში არაერთხელ ნამყოფი, ნ. ბ. შემრჩა. დამავალეს და აბა რა მექნაო, გულახდილად მითხრა. მერე ჩემთვის არც ის დაუმალავს, რომ თსუ-ს დამთავრების შემდეგ უშიშროების კომიტეტში, ალბათ ისევ ვიღაცის დავალება-რჩევით, დაიწყო მუშაობა.

სტუდენტობის პერიოდში, ხელოვნების ისტორიითა და ძველი თუ ახალი მხატვრების ბიოგრაფიებით გატაცებული, ინტერესით ვკითხულობდი „ახალ აღთქმას“, ერთმანეთს ვუდარებდი მხარობლების მონათხრობს, რათა ამა თუ იმ ნახატის სიუჟეტის საფუძველი ზუსტად დამედგინა; იმავე მიზნით ვცდილობდი მითოლოგიის შესწავლას. ამგვარ საქმიანობაში გართულმა, სრულიად მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ კლოდ მონემ „მხატვრების პიკნიკის“ კომპოზიცია მითოლოგიურ თემაზე შექმნილი ანტიკური სტელიდან ისესხა, ხოლო უკანასკნელის ამ ტილომ ერთ-ერთ ჩვენებურ, პარიზში 20-30-იან წლებში სასწავლებლად მივლინებულ მხატვარს, ახლა ზუსტად აღარ მასხვავს ვის, თანამედროვე ფერწერის მშვენიერი ნიმუში (ხელოვნების მუზეუმში რომ ინახება, „მხატვრები

ნავში“ ჰქვია მგონი), რენუარის ერთი ნახატის პალიტრის მიბაძვით შეაქმნევინა. ამრიგად, თანდათან დავრწმუნდი, რომ ახლისა და ორგინალურის საფუძველი თითქმის ყოველთვის ძველი ან გადავიწყებული რამე იყო.

მოხდა ისე, რომ საკმაოდ დიდხანს ე.წ. ხალხურ წეს-ჩვეულებებს ვსწავლობდი. ამის გამო მთიელების არაერთ სოფელსა და ოჯახს ვწვევივარ, არაერთ მორწმუნესა თუ ხევისბერ-დეკანოზთან მისაუბრია, არაერთი რიტუალისა თუ ცერემონიის აღსრულებას დაკვირვებივარ და შემდეგ დაწვრილებით აღმიწერია. ჯერ მონღოლებისა და მერე ბოლოშევიკების შემოსევის შემდეგ, ბარის კულტურულ ცენტრებსა და დედა ეკლესიას მოწყვეტილი მთიელთა საზოგადოებები ღმერთთან ურთიერთობის ადამიანურ მოთხოვნილებას მამა-პაპური წეს-ჩვეულებების აღსრულებით იკმაყოფილებდნენ. სწორედ ამგვარ რიტუალებზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ არგონავტების ცნობილი მითი, ყოველ შემთხვევაში მისი პინდარისა (ძვ.წ. 522 – 443) და აპოლონ როდოსელისეული (დაბ. ძვ.წ. 295) ვერსიები სხვა არაფერია თუ არა სახლიდან შორს გარდაცვლილი ადამიანის, ამ შემთხვევაში კოლხეთში გარდაცვლილი აიეტის სიძის, ფრიქსეს მღელვარე სულის (ჭირისუფლების სიწმრების მიხედვით) სამშობლოში დასაბრუნებლად და დასაწყნარებლად მოწყობილი ლაშქრობის პოეტური აღწერა. სტრუქტურულად, შინაარსობრივად და პერსონაჟების ფუნქციებით (სულის მკადრე-წამომბრძანებელი, სულის გამრთობი მუსიკოსი და ა.შ.) მსგავს მოგზაურობა-რიტუალების ლოკალურ ვერსიებს ოდითგანვე ასრულებდნენ, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩვენი წინაპრები. დროშა-ბოვრაციით, წმინდა ხის ანუ სვეტიცხოვლის ამ სიმბოლოთი (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, გუდამაყარი) ან ცხვრის ან თხის ტყავისაგან დამზადებული ტიკით (სამეგრელო-სვანეთი), არგონავტების მითში კი, ეტყობა, წმინდა მუხაზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისით, სახლიდან შორს გარდაცვლილი ადამიანის სულის უკან დაბრუნება და ამით მისი „დაშოშმინება“, ჩანს ფართოდ გავრცელებული ჩვეულება იყო წარსულში და არა მარტო ჩვენში. ალბათ, ადრე თუ გვიან, არგონავტიკის ინტერპრეტატორები მითისა და მის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის დროს ამგვარ „ეთნოლოგიურ“ ვერსიასაც მიიღებენ მხედველობაში.

მთაში მუშაობის დროს, არაერთ ნამდვილად ეგზოტიკურ, ჯადოსნური ზღაპრის მაგვარ მითოლოგიურ გადმოცემა-მემორატს და შესაბამის რიტუალს წავაწყდი. ერთ-ერთი მოხსენების შემდეგ, წარმოდგენილი მასალების ხასიათით გაკვირვებულმა უფროსმა კოლეგამ, მაშინ თსუ-ს ეთნოგრაფიის კათედრის გამგემ, მთელი სერიოზულობით მკითხა: გულახდილად მითხარი, ეს მართლაც ასე იყო თუ ყველაფერი შენ თვითონ გამოიგონეო. არაფერი მსგავსი მაგ

რეგიონში მუშაობის დროს არც მე და არც სხვას არ შეგვინიშნავსო. ასეთ სიტუაციაში ჩვეულებრივ ველოზე გაკეთებულ აუდიო ჩანაწერებს ვიმოწმებდი, რომელთა ნაწილი დღემდე შემომრჩა.

ამავე თემაზე გაკეთებული ერთი მოხენების შემდეგ, იცხაკ დავითმა მითხრა, შენს მიერ აღწერილი მითო-რიტუალური წარმოდგენები კაბალის მიმდევარი ებრაელი ქალების წეს-ჩვეულებებს მაგონებსო. რადგანაც ეს მასალები მხოლოდ მდიდარი მთიელების საიდუმლო საოჯახო კულტთან იყო დაკავშირებული, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, რომ საქართველოს ძველი სამხედრო გზის პირას, მთიულეთ-გუდამაყარში მცხოვრები რჯულშეცვლილი ქართველი ებრაელების ყოფასთან ხომ არა გვაქვს საქმეთქო; მით უმეტეს, რომ შუა საუკუნეების ჟინვალის ერთ-ერთ უბანში, ე.წ. „დევეგორაზე“, ზოგიერთების აზრით შესაძლო „ურიათ უბანში“ არქეოლოგიური გათხრების დროს, საოჯახო კულტის მეტად უცნაური საკურთხევლები აღმოჩნდა. ამ ვერსიის საფუძვლიანად შემოწმება, მთელი რიგი ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერა და ვერ შევძელი.

მთაში საინტერესოსა და საკვლევს რა გამოლოვდა და მეც, ზოგჯერ, მგონი მეტისმეტი მონდომებით ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მენახა და მეტი აღმეწერა. ერთხელ, ხანდაზმულ მთიელებთან მრავალსაათიანი მუშაობის შემდეგ, საუბრების დროს მათ მიერ ხშირად ნახსენები „ნაძრახი ალაგის“ მონახულება გადავწყვიტე. სოფლის განაპირა ბორცვზე გავედი, იმ მიზნით რომ დამედგინა, ლოკალური ლანდშაფტის თავისებურებები ხომ არ უწყობდა ხელს აქაურების დევებთან და ავ სულებთან შეხვედრა-შერკინების მრავალრიცხოვანი ამბების შექმნას. ზურგჩანთაზე წამომჯდარი, მიდამოს გულდაგულ ვათვალიერებდი, რომ უცებ ძალიან ცხადად, მეტისმეტად უცნაური, მართლაც რომ არაამქვეყნიური ხმები შემომესმა. გულმა რეჩხი მიყო, თავი შემეცოდა: ეტყობა ამ კლდე-ღრეებში ხეტიალში „დავუსტვინე“ და ჰალუცინაციები დამეწყო მეთქი. მერე იმის ანგარიშს მოვყევი თუ რის გამო შეიძლებოდა ასეთი რამ დამმართოდა: ვეღარ გავიხსენე, ბოლოს საკმაო საკვები როდის მივირთვი და სხვა ამისთანები. მართალია მალე დავრწმუნდი, რომ ხელო-ფეხი, თავი, თვალები, საერთოდ ყველაფერი ისევ ნორმალურად ფუნქციონირებდა, მაგრამ ამ უკაცრიელ ადგილას ეს არაამქვეყნიური ხმები საიდან მოდიოდა, ვერ იქნა და ვერ დავადგინე. არადა იქვე ბუჩქნარს შეფარებული სოფლის ნახირის ექოდ ქცეული ზმუილ-ფრუტუნ-ღნავილი მესმოდა, თურმე.

05.09.15

სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეთ

ამ ანდაზის არ იყოს, კალიფორნიაში თბილისური „კეპით“ სიარული მართლაც რომ არ გამომივიდა: სულ იმას მეკითხებოდნენ, საიდანაც ჩამოსული ხარ, იქითკენ როდის აპირებ დაბრუნდებასო და თან რატომღაც სულ იმ ჩემი ძველი ქუდისაკენ აპარებდნენ თვალს. ამიტომ „ადგილობრივი პროდუქციიდან“ ხან რა და ხან რა არ მოვირგე თავზე.

ერთი პირობა, მეტად პრაქტიკული, ბეისბოლის კეპით დავიწყე სხვებივით სიარული. რადგან უნივერსიტეტში ვმუშაობდი, ერთხელ „სეილზე“ უნივერსიტეტის მაღაზიაში ახალი, კარგი ხარისხის კეპი შევიძინე, რომელსაც კოკარდაზე ოქროს ამოზურცული ასოებით Cal ჰქონდა ამოქარგული. კარგა ხანს არც კი ვიცოდი, რომ კალიფორნიის უნივერსიტეტის ამერიკული ფეხბურთის გუნდის ოფიციალურ ლოგოს ვატარებდი ქუდით: ბერკლის უნივერსიტეტის სტადიონიდან გამოსული მაყურებლები „გაგებით“ მიდიმოდნენ და ხელის აწევით მესალმებოდნენ მათი გუნდის „ვეტერან გულშემატკივარს“.

ეს ყველაფერი საკმაოდ გვიან გავაცნობიერე, „მეისის“ ერთ-ერთ დიდ მაღაზიაში შესულმა. რაღაცის საყიდლად ვემზადებოდი, რომ უცნობი ახალგაზრდა კაცი ძველი ნაცნობივით მომესალმა და გატაცებით დამიწყო იმდღევანდელი მატჩის დეტალებზე სუბარი: ეს რა ბურთი გაიტანა ამან და ამან, უგრძესი დრიბლინგით ხომ ნამდვილად ამდენი და ამდენი ფუტი გაირბინა და ა.შ. და ა.შ. თავგადაკლოულ, პოზიტიური ემოციებით სავსე გულშემატკივარს ვერ ვუთხარი, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რაზე მელაპარაკებოდა და იმ დღეს თამაში თუ იყო, გაგებაში არ ვიყავი. საერთოდ არაფერი ვიცოდი და არ ვიცი დღემდე ამერიკის სუპერ-პოპულარულ #1 და #2, მაქსიმალურად თეატრალიზირებულ სპორტული სანახაობების ანუ ბეისბოლისა და ამერიკულ ფეხბურთის შესახებ. რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რომ თამაშების დროს ბერკლიში და სან-ფრანცისკოში მანქანით მოძრაობა ძალიან ჭირს, ხოლო ბილეთების ფასი ზოგჯერ ათასობით დოლარამდე იწევს და რომ ასეთ დღეს ტელევიზორის ყურებას აზრი არა აქვს, რადგან თამაშამდე და თამაშის შემდეგაც თითქმის ყველა არხზე სულ მატჩის შესახებ არის საუბარი.

ზამთრობით, კარგა ხანს, კალიფორნიისათვის უჩვეულო თავსაბურავით, შავი ფეტრის ბერეტიით დავდიოდი და ჩემდა უნებურად ეტყობა ადგილობრივ აფრიკელ ამერიკელებში შფოთიანი 60-70-იანი წლების მოგონება-ასოციაციებს ვიწვევდი. აკი ქუჩაში ერთმა, თავისი ხუმრობით ძალიან კმაყოფილმა, სიცილით მითხრა კიდევ: „შავი პანტერების“ რაზმის მებრძოლი ხარ ხომო?!“ საქმე იმაშია, რომ ფერადკანიანთა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის ხანაში,

ბევრი აფრო-ამერიკელი ანტი-კაპიტალისტური, რევოლუციური-სოციალისტური და პან-აფრიკული იდეოლოგიების მიმდევარი გახდა და ყველაფერს, თეთრი ამერიკულისათვის ნიშანდობლივს, ზურგი შეაქცია: რელიგიას, გვარ-სახელს, ტანისამოსს, ყოველდღიური მოქმედება-ქცევის სტერეოტიპებს და ბევრ სხვა რამეს. ამის გამო იყო, რომ ბერკლის მეზობელ ოკლენდში ჩამოყალიბებული „შავი პანტერების“ პარტიის შეიარაღებული რაზმელები არაამერიკული ქუდებით, ესპანური სამოქალაქო ომის შემდეგ მემარცხენეებს შორის მეტად გავრცელებული „რევოლუციური“ ბერეტებით გახდნენ ცნობილი.

ამ ბერეტით, ერთხელ, ყოველწლიურ შემოწმებაზე ექიმთან მისულს, უკანასკნელმა მკითხა: „ბასკეთში ხშირად დადიხარ თუ არაო?!“ თურმე მაგიდაზე უკუღმა დადებული ქუდის აბრეშუმის საფირმო ნიშან-იარლიყზე ამოუკითხავს: ეს ბერეტი ბასკეთში არის დამზადებულიო. კახური ქუდის პაკისტანურმა, სადა შავი ჩითიდან და არა თექისაგან შეკერილმა ვარიანტმა ყველას აჯობა და უნივერსიტეტის ნაცნობ-მეგობრების მუსლიმურ და ებრაულ ნაწილებში ჩემი სტატუსი საგრძნობლად ასწია. აქ, ჩვეულებრივ, წესი არაა კაცს ჰკითხო რა ეთნო-კონფესიურ ჯგუფს ეკუთვნის და ამიტომ „თავისიანების“ ამოცნობა ფიზიკური ნიშნებით, ქცევა-აქცენტით, ტანისამოსის ხმარების წესით, თარგით, აქსესუარებით, პროფესიითა და კიდევ ათასი რამის საშუალებით ხდება. ჩემს შემთხვევაში ისე მოხდა, რომ მგონი ქუდის გამო ერთმანეთთან დაუსრულებელ კონკურენციაში მყოფმა სემიტების ამ ორი ჯგუფის გამორჩეულობა წევრებმა, ჩემდა სასიხარულოდ, თავისიანად მიგულეს. და კიდევ: მომხიბლავი მუსლიმი სტუდენტი გოგონები ხაზგასმული პატივისცემის ნიშნად, 1001 ლამის შეჭერაზადას ღიმილით მესალმებოდნენ ხოლომე, პაკისტანში შეკერილი „კახური“ ქუდის წყალობით.

სულ ბოლოს, ზამთარ-თბილი ზაფხულ-გრილი ანუ ბერკლისათვის ზედ გამოჭრილი კომფორტული ქუდი Goorin Bros.-ის მაღაზიაში შევიძინე და იმ დღიდან შევამჩინე, რომ ახლა უკვე პოლიციელები, სამხედროები და მათი ზომანზე მეტად გასუქებული მეუღლეები „თავისიანად“ აღმიქვამენ, რადგან ქუდების ტიპს რომლებსაც უკვე არაერთი წელია სიამოვნებით ვატარებ, Cadet Hat-ი ჰქვია.

ერთი სიტყვით, სათაურად გამოტანილ ჩვენებურ ანდაზას, კაცმა ერთი ორი ისეთი სიტყვაც უნდა დაუმატოს, რომ არც სხვები შეიყვანოს შეცდომაში და დროდადრო თავადაც ხმადაბლა მაინც წაიღიღინოს: „კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქედს არ ვუხრი არავის; არც არავის ვემონები, არც ვბატონობ არავის“.

06.09.15

ტანტრუმი

მე და შომ გუშინ მთელი სიგრძე-სიგანით პირველად გავიაზრეთ, რაც პედიატრმა კარგა ხნის წინათ გვითხრა და მთლად კარგად არ გვესმოდა: თუ რატომ უნდა დაეწყო ლუკას, ასე ვთქვათ, უმიწეოდ თითქმის ისტერიული ტირილები ანუ ტანტრუმები. რადგან ლუკა უკვე სერიოზულად ცდილობს ჩვენი საოჯახო საქმიანობის ყველა სფეროში უშუალო მონაწილეობა მიიღოს, გუშინ შო იძულებული გახდა დაზღვევის თანამშრომელთან ტელეფონით მანქანიდან ელაპარაკა. როდესაც დედიკო უკან ამობრუნდა, მე და ლუკა კარებში დავხვდით. ამ დროს, ჩვენი მეზობელი ერიკაც გამოჩნდა და მე და შო მასთან მასლაათს შევყევით. თბილისიდან დაბრუნებულებს, მისი ცოლი ალისენი ფენმძიმედ დაგვხვდა და ამ თემაზე საუბარი საკმაოდ გაგვიგრძელდა. ამ დროს, ლუკა, რომელიც ხელში მეჭირა, წყნარად გვიგდებდა ყურს და რა თქმა უნდა, არაფერი არ ესმოდა, რადგან მეზობელს ჩვენი ბინის წინკარში მისთვის უჩვეულო ენაზე, ინგლისურად ვესაუბრებოდით. მოკლედ, ლუკა კარგა ხანს, ასე ვთქვათ, უყურადღებოდ, ჩვენთან უშუალო ურთიერთობის გარეშე დარჩა. სახლში რომ შევბრუნდით, ჩვენ-ჩვენ საქმეებს მიბრუნებულებს, ლუკამ ერთი ამბავი დაგვათია: იატაკზე მოწყვეტით განგებ დაეცა და შუბლი ხალიჩით დაფარულ იატაკს ისე დასცხო, რომ გული შეგვიღონდა. ყველაფერ ამას ისტერიკული ტირილი მოაყოლა და იმდენ ხანს იყვირა, სანამ ხმა კინაღამ არ ჩაუწყდა.

შო ასეთი რამეებისათვის მომზადებული აღმოჩნდა პედიატრისა და ბავშვებიანი თანამშრომლების მიერ და მკერდზე მიხუტებული ბავშვი თანდათან, როგორც იქნა, დააწყნარა.

ამ ასაკიდან და ეტყობა ხუთ წლამდე, სამყაროს ათვისების გააქტიურებულ და რთულ პროცესში, ლუკას მუდმივი ურთიერთობა და ურთიერთმოქმედება უნდა და სჭირდება ჩვენთან და გუშინდელის მსგავს „პაუზებს“, ეტყობა, უკვე არავითარ შემთხვევაში აღარ გვაპატიებს. ექსპერტების აზრით, თურომე ამ ასაკის ბავშვები ყველაფრის ჩამდენები არიან, ოღონდ მშობლების ყურადღება დაიმსახურონ!

14.09.15

დაზღვევა

სექტემბერია. უამრავი ანაღბედა სტუდენტი ეწვევა ხოლომე ამ დროს ბერკლის უნივერსიტეტს. მანქანის ტარების ასაკს, 18 წელს სულ ახლახანს მიღწეულები, ჩვეულებრივ პატარა დაბებიდან ჩამოდთან და უცხო გარემოში მოძრაობის წესების დაცვა უჭირთ: დროდადრო ისმის „ბამფერების“ შეჯახების და მანქანის ნათურების მსხვრევის ხმა.

ამ პერიოდში განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვინმე მაინც გაგვკრავს ხოლომე „ემვს“ საბარგულის მხრიდან. სამივე შემთხვევაში საჭესთან შო იჯდა, ხოლო „ექსიდენტების“ ინიციატორები მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. ერთხელ, ვოლნათ ქრიკში ანუ „კაკლიანთწყაროში“, საუბარში გართული გოგონა დაგვეჯახა. მეორედაც ისევ ქალიშვილმა დაგვდო პატივი, მესამეჯერ კი ტილოდენის პარკის ავტოსადგომზე ფეხმძიმე ჩინელმა უკანა ნათურა ჩაგვიმსხვრია. ყველა შემთხვევაში, ბამფერის შეკეთებისა და გადაღების ფასი, \$1,000 ამ ქალბატონების ღებების სადაზღვევო კომპანიებმა გადაიხადეს.

ამჯერად, სრულიად განხვავებულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რადგან არ ვიცით თუ ვინ დაეტაკა ჩვენს „ექოს“. მანქანა უნივერსიტეტის გარაჟში იდგა და შეჯახების მხილველი არავინ იყო: შედეგად უკანა ბამფერის მარჯვენა კუთხე ტენისის ბურთის სიდიდეზე შიგნით შეიზნიქა, ისე რომ საღებავიც კი არ მოსცილებია. მიუხედავად ამისა, შეკეთება მაინც \$1,000 დაჯდებაო, გვითხრა ჩვენი სადაზღვევო კომპანიის აგენტმა, თან ე.წ. „დედაქთაბალი“ \$500 უნდა გადაიხადოთ, რადგან იმის საბუთი არა გაქვთ, რომ მანქანა სხვამ და არა თქვენ თვითონ არ დააზიანეთო.

ასეთი პასუხი გვემწუთხა. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ დაზიანებას თვითონ შევაკეთებდი, მაგრამ იმ ჩაზნექილი ადგილის ცენტრს ვერაფრით ვერ მივუდექი, ხოლო ბამფერის მოსახსნელად საჭირო არც ხელსაწყოები, არც გამოცდილება და რაც მთავარია, ლუკას გამო, აღარც დრო მაქვს. მეორე ვარიანტი გვიან გაგვახსენდა: მანქანა დაზღვევის გარეშე მიგვეყანა ხელოსანთან, იმ იმედით რომ შეკეთება უფრო ნაკლები დაგვიჯდებოდა.

ვინ იცის, შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიები ხელოვნურადაც კი სწევენ მაღლა მსგავსი მომსახურების ფასს, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გახდეს მათი კლიენტი ან მსგავს სიტუაციაში მყოფებმა მანქანა მათ გარეშე შეაკეთებინონ. სადაზღვევო ხარჯების გაბერვა რომ ხდება, ეს ძალიან კარგად ჩანდა ლუკას სამშობიაროდან გამოგზავნილ ანგარიშში, რომლის ჯამი \$300,000-ზე მეტი იყო. ასეთი არარეალური ფასებით დაშინებული ადამიანები, თუ საშუალება აქვთ ჩვენსავით ყოველთვიურად \$400-500 და მეტს უხდიან სამედიცინო სადაზღვევო

კომპანიებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მსგავსი თანხების გადახდა არ მოუწიოთ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სამედიცინო დაწესებულების გარეშე მყოფ ნაკლებ შეძლებულებსა და უსაბუთო ემიგრანტებს ნებისმიერ სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას ჰოსპიტლები უფასოდ უწევენ.

ასეა თუ ისე, ამჯერად რადგან მხოლოდ ერთი მანქანა გვყავს, რამდენიმე დღე უმანქანოდ მოგვიწია ყოფნა. ჩვეულებრივ, ნაქირავები მანქანის ფასს სადაწლვევო კომპანია იხდის, მაგრამ რადგანაც გვეგონა, რომ მანქანას სულ რამდენიმე საათში გაგვიმართავდნენ, როგორც „ტოიოტას“ „დილერშიფში“ ხდება ხოლმე, ასეთ შემთხვევაზე უარი ვთქვით. როდესაც გადატვირთული დილერშიფიდან სხვაგან გაგვაგზავნეს, იქ კი გვითხრეს რომ გადაღებული ბამფერის გაშრობას 3-4 დღე დასჭირდებაო; უკვე გვიან იყო და სადაწლვევოს აგენტს დროულად ვეღარ დავუკავშირდით.

კიდევ კარგი, უნივერსიტეტთან და „ბარტის“ სადგურთან ახლოს ვცხოვრობთ. სამსახურში ფეხითაც კი შეიძლება მისვლა თუ საჭიროებამ მოითხოვა. გარდა ამისა, თითქმის ყველა კარგი, ორგანიზაციის პროდუქტებით მოვაჭრე სასურსათო მაღაზია, ჰურის საცხობი და მონტერეი მარკეტი ჩვენგან ფეხით სავალ დისტანციაზეა. ამ თვალსაზრისით, დიდი არაფერი დისკომფორტი არ გვიგრძვნიან, მხოლოდ „ფარმერს ჩიზის“ - ნაკლებცხიმინიანი ხაჭოსა და ქალაქის ხელსახოცების ყიდვა გადგვედოდ რამდენიმე დღით, რადგან „ჰულ ფუდი“ და „თარგეთი“, სადაც ეს პროდუქტები შედარებით უფრო იაფად იყიდება, ჩვენგან საკმაოდ დაშორებულია.

გაკრიალებული მანქანა რომ უკან დავიბრუნეთ, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ ამ რამდენიმე დღეში მართლაც ბევრი გასაკეთებელი რამ დამიგროვდა. ამიტომ იმ საღმოს თითქმის ორი საათი დავქროდი ერთი უბნიდან მეორეში. ამ შემთხვევამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, მანქანის საბურავი ლურსმანმა გაგვიხვრიტა და ოთხივე საბურავის გამოცვლამ მოგვიწია, რათა საბურავები სრულ ბალანსში ყოფილიყო, რაც \$530 დაჯდა. ასე რომ ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენი სუპერ ეკონომიური „ექო“ \$1,000-ზე მეტი დაგვიჯდა. როგორც ჩანს, მალე, როგორც ხელოსანმა გვითხრა, მარჯვენა „უილბერინგის“ გამოცვლაც მოგვიწევს და ხარჯებს კიდევ სულ ცოტა \$400-\$500 მაინც დაემატება. არა და ამ ასაკის „ექო“ „კელის ცისფერი წიგნის“ მიხედვით \$2,500-\$3,200 ღირს, თუმცა ჩვენსას ორჯერ უფრო ნაკლები მილი აქვს გავლილი, ვიდრე საშუალოდ ამ ხნის მანქანას უნდა ჰქონდეს, რადგან ჩვეულებრივ, ყოველდღიურად, მხოლოდ მეორე მანქანას, ტოიოტა „ტერსელს“ ვიყენებდით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ უკვე თითქმის ორი წელია რაც ბერკლიში მანქანით მოძრაობა საკმაოდ გართულდა, რადგან ახლად ჩამოსული და ბერკლის მოქალაქეებად გადაქცეული შეძლებული ჩინელების რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ფულის ნუვორიშებს თითქმის ყველაფერი გააჩნიათ უკვე: სახლები თუ ბიზნესები და ა.შ., გარდა მანქანის ტარების ელემენტარული ჩვევებისა. ისე დააგორებენ აქეთ-იქეთ მათ მიერ სულ ახლახანს შეძენილ ძვირფას „პიპიებს“, როგორც მოეპრიანებათ. როდესაც ქუჩის სამოდრო ნაწილზე უცნაურად შეჩერებულ ღია ფერის ძვირად ღირებულ მანქანას მოვკრავ ხოლომე თვალს, 100%-ით ვიცი თუ ვინ ზის მის საჭესთან სრულიად არაფრისმთქმელი გამომეტყველებით.

ჰო, კიდევ ერთი რამ: ახალი, უფრო დიდი მანქანის განვადებით ყიდვა, ღვთის წყალობით, ამჟამად აღარ არის საჭირო, რადგან ჩვენს „ექოს“ მშვენივრად მოერგო ლუკას ახალი, წინა მხარისაკენ მიმართული სავარძელი და ჯერჯერობით მისი ფეფებისათვის საკმარისი სივრცეც დარჩა. ვაშა!!!

ახალი ე.წ. „იაფი მანქანები“ ისე გაძვირდა, რომ ამას წინათ ტელევიზიის წამყვანსაც კი წამოსცდა „ეს რა ამბავიაო!“. ასეთი მანქანა დღეს დაახლოებით \$25,000-\$28,000 ჯდება + 10% ლოკალური ტაქსი-გადასახადი.

29.09.15

მგონი მეტი ესმის, ვიდრე გვგონია

ლუკა 1 ოქტომბერს წლინახევრის განდება. ჩვენ კი ზოგჯერ ისევ აღუასავით ვეპყრობით. ფაქტია, რომ ლუს დედიკო მთლიანად სულ მისთვის უნდა. არც ერთი წუთით, არავითარ შემთხვევაში არ აპირებს არავისთან, მათ შორის ჩემთანაც, მის გაზიარებას. ამ პოლიტიკას ის უკვე კარგა ხანია საშური თანმიმდევრულობით ატარებს. ორიოდე მაგალითი: შო სურათებიან წიგნებს ათვალთქვინებდა, თან უხსნიდა, რომელ შინაურ ცხოველს რა ჰქვია. ტახტს რომ ჩავუარე შოს მექანიკური შეცდომა „ბოსტნეულის ბაღი“ „ბოსტნით“ შევუსწორე. უკმაყოფილო ლუკა გაშლილი ხელებით ჩემსკენ შემოტრიალდა და დამრიგებლური ტონით შემომიტია, „თავი დაგვანებო“. ამას წინათ, ადგომის წინ, მე და შომ რამდენიმე სიტყვით გავიხსენეთ ჰავაიზე გატარებული დღეები და მართლაც რომ ჰავაის შესაფერ ხასიათზე დავდექით. ლუს რა მოელანდა, არ ვიცი, მაგრამ ერთი ამბავი კი დაგვათია: შოს თმები დააწიწვნა, ლოყებზე პუტკუნა ხელები გამეტებით უპარტყუნა, ხოლო მე ცხვირ-პირი და ყურები დამიკაწრა. ერთი სიტყვით, ლოგინში ეჭვიანობის კლასიკური სცენა გავვიმართა.

ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პატარა კაცუნას ეგოცენტრულ პრეტენზიებს მეტი სერიოზულობით უნდა მოვკიდდით. მეორე დღეს შომ ნახევრად ხუმრობით მკითხა: ბოლო-ბოლო თქვენ შერიგდით თუ არაო?! ნამდვილად მოულოდნელი კითხვა იყო. ბევრი ვიცინეთ. მას შემდეგ „რაც მოხდა“, ასე ვთქვათ, ლუკაზე ცოტა „ნაწყენი“ ვიყავი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა თუ ეს შომ იცოდა.

კიდევ ერთი მომენტი: ამას წინათ, შორენამ მთხოვა ზურგი დამიზილეო და როდესაც საქმეს შევუდექი, ლოგინზე ამოფოფხებული ლუკა ჩემსა და დედიკოს შორის მოკალათდა და ჩემნაირი მოძრაობებით დაუწყო შოს ზურგზე ხელების თათუნის, თან სულ მე შემომყურებდა, აქაო და ხომ ხედავ მეც შემოიღია მასეთი რამეების გაკეთებაო.

16.10.15

ლუკას ვერბალური და ნონვერბალური ლექსიკონი

დათი/დათ(ვ)ი - დათვი

ფცე - ნებისმიერი ფეხსაცმელი, ფაჩუჩების ჩათვლით

ბა - ბაყაყი, ბანანი

ბაბა - მამა

დედე - დედა და დედასთან დაკავშირებული საგნები და მოვლენები

დედე, დედე - დედიკოს მკერდი

დედე დუდე - პირველი მარტივი წინადადება, რომელითაც

სამსახურიდან დაბრუნებულ დედიკოს შეეგება

ბებე - ბებიები

მუუუ - ძროხა

ბაა - ცხვარი ან თხა

მე, მე - ანუ ლუკა

ააჰ-ყყა-აჰ-ყყა - ვირი, ჩოჩორი

უყ-უყ-უყ - ეს, ეს, ეს ან ის, ის, ის

ეთი - ერთი

ათი - ათი

გი - კი

არა, არა (თავის და ხელების ქნევითურთ) - არა!!!

გილი, გილი, გვიან ჩამოყალიბდა როგორც გიდევ - კიდევ. ეს „სიტყვა“

„კიდევ გინდა?!“-ს სიტუაციაში წარმოიშვა

ადუ, ადუ - არ ვიცით რას ნიშნავს, მგონი „მაღლა“

აუ, აუ - ძაღლი

მააა - კატა

ჩე - ჩიტი

დიდი - დიდი

ნტუ, ნტუ - წყალი

წიტა - ჭიტა

ბუთი - ბურთი, ბუშტი
 ბოთლი - ბოთლი
 ცე - ტელევიზორი
 ბაფა - ფაფა
 თითი - თითი
 ბიქი - ბრინჯი
 ბაში - ბალიში
 დითი - ჯინსი
 ამ-ამ - ამიყვანე
 და-და - დამსვი

+++

ტირლით, ზოგჯერ ცდილობს ის გაგვაკეთებინოს, რაც მას სურს, ვთქვათ მივცეთ მობილური ტელეფონი, ჩავურთოთ მუსიკა ან მისი ვიდეოები, ან ეძინება და ყველას ერთად გვეპატიჟება ლოგინში. თუ რომელიმე დავაგვიანეთ, რაღაც მიზეზის გამო, მჭექარე ხმით მოგვიხმობს მეზობლების „გასახარად“, სიბნელეში: ბაბა!!! დედე!!!

ზოგჯერ ბეჭებს მოზიდავს წელში მოხრილი, ხელებს წინ წასწევს და „ძვლებიჭური“ სტილის წინ და უკან რიტმული რხევით რაღაცის „მტკიცებას“ გვიჩვენებს დუდღუნით, როდესაც უნდა რაიმეზე ყურადღება მიგვაქცევინოს და რაიმეში დაგვარწმუნოს.

ტულაეტიის ქაღალდები სამზარეულოს კარადის ზემოდან ჩამოვიღე. ეს რომ ლუკამ დაღაიანდა, თამაშს თავი მიაჩნება და სასწრაფოდ აბაზანის კარებისაკენ გამიძღვა. ამრიგად საოჯახო საქმიანობაში თავისი წვლილი შეიტანა. ამ ბოლო ხანებში ასე ძალიან ხშირად „მეხმარება“: სარეცნი რომ მიმაქვს სამრეცხაოში, კალათას აუცილებლად ხელებს წაავლებს და კარებამდე მიმაცილებს ხოლმე. ამის გამო, იძულებული ვარ ფეხი შევუწყო და საქციელიც მოვუწონო. ასეთ წახალისებას კი აშკარად მოუთმენლად ელის, რადგან უკვე კარგად იცის, რომ მსგავს საქციელს „ყოჩაღ ბიჭოს“ შეძახილით ვხვდები ჩვეულებრივ.

დღეს მე და შო კიდევე ერთხელ გაგვაკვირვა. ტილდენის პარკიდან სახლში წამოსასვლელად ვემზადებოდით, რომ მანქანის საჭეს მიუჯდა, აქეთ-იქით დაუწყო ტრიალი და სიჩქარეების გადართვისათვის საჭირო მოძრაობებით ბერკეტიც ამოძრავა, თვრამეტი თვის ბავშვმა.

რადგან ყველაფერში გვბაძავს, გადავწყვიტეთ უფრო ფრთხილად ვიყოთ, რომ უნებლიედ რაიმე უხიაგო ჩვევა არ გაიჩინოს მშობლების შემხედვარე, ლუკამ, და დასაწყისისათვის ამ ბოლო ხანებში რატომღაც „აჩემებულ“ ორგანულ-ნატურალურ საღებო რეზინზე ხელის ალება გადავწყვიტეთ.

ერთხელ შოს რაღაც ვუთხარი, ეტყობა ცოტა ხმამაღალი ტონით, და ლუკამ უმალო მომბადა: ჩემი თანდასწრებით დედამისს სრულიად უმიზეზოდ დაუწყო ჯაჯღანი. მეორე შემთხვევა: ჩაბანა-გამშრალება-გამოცვლის დროს, ტაკოზე ხელი დავუტყაპუნე, რომ მრავალი ცდის შემდეგ როგორმე საქმე ბოლომდე მიმეყვანა და ატირებული ბავშვი ცოტათი მაინც დამეშოშმინებინა. შედეგად ის მივიღე, რომ ლუკამ ჩაცმაზე სულ უარი თქვა და ტიტლიკანამ დუნდულებზე ხელის რტყმით დაიწყო ოთახში სირბილი. ეს მომენტი ვიდეოთი გადავიღე და როდესაც კლიპი შემდეგ ვნახე, მივხვდი, რომ სრულიად სამართლიანად გულნატკენ ადამიანთან და არა უმიზეზოდ გაანჩხლებულ ბაიასთან მქონია საქმე.

22.12.15

აქი - აქ

გიმი - გემი

ფონი - ფორთოხალი

ბაში - ბავშვი

ბანი - ბადრიჯანი

ესე - ეს

დენი - სინათლე, გაზი და ა.შ.

28.12.15

ფანი - ფანქარი

მანი - მანდარინი

ფონი - ფორთოხალი

დოდო - გოგონა

დანი - დინოზორი

გაჟი - გაზი ან გარაჟი

დანი - ბამბუკის დანა

ამ ამ - ამიყვანე

ბუთი - ბურთი

მე - მე

ანა, ანა - არა

ბაში - ბავშვი

აიააააააა! - შეძახილი და კმაყოფილების გამოსახატავი სიმღერის ძირითადი „სიტყვა - ტექსტი“

18.01.16

ქითე - იქით

აქი - აქ

ბიჟი - ბიჭი

ჟაჟი, ზაზი, ძაძვი - ნაძვი

ჩუჩუ - მატარებელი
 აუაუ - ძაღლი
 აჩუაჩუ - ცხენი
 ბანი - კურდღელი
 დიდი-დიდი
 აია, ანა-არა
 კიდე
 უე, უე - მეორე
 დედა, ბაბა, ბაში - დედა, მამა და ლუკა
 ბაბუ - კაცი
 ბაი - ნახვამდის
 ნანა-ძილი

17.10.16

ქანი - კანი
 ფუფუ - ცუდი, გადასაგდები
 ფუნი- პური
 თა - თავი
 დინი-დინოზავრი
 დიდი - დიდი, ბევრი, მაღალი
 ქაქა - კაკა, ფისი
 კინი - კინო
 ბაბუ - კაცი
 ცე - ტელევიზორი
 დოდი - ტოტი
 დადი - წადი
 დაჯი - დაჯეჯი
 აქი აქი - აქ
 ქითე - იქით

11.01.17

იყო და არა იყო რას ქრონოტოპი:

60-იანი წლები, ღამის სკოლა, მესხეთ-ჯავახეთი, სასწრაფო, აფთიაქი, მთაწმინდელები, სასაფლაო, კაფეები „KM“ და „Московские огни“, საბილიარდო, თსუ, მოსკოვი-ტალინი-მოსკოვი, კინოფესტივალი, „ბერიოზკა“, „მკვდარი სეზონი“, დოკუმენტური კინემატოგრაფია, სერენადა, საჯარო ბიბლიოთეკა, აბანოთუბანი, რესტორანი „გრემი“, „გეგეშიძის ბაღი“, კორუფცია, კინოთეატრი „კოსმოსი“, ველიამინოვის სახინკლე და ა.შ. ორი უკანასკნელი იშვიათი სიზუსტით აქვს აღწერილი-დასურათებული გია სართანას ნოველა „ნიძლავში“.

ინკლაპა

ათასგვარი საჭიროებით გათანგულ იმდროინდელ თბილისში, ნარკოტიკებისა თუ ალკოჰოლის მოხმარებელთა ძველ გვარდიას მრავალი ახალგაზრდა წევრი შეემატა. სამწუხაროდ, ამ გაუკუღმართებულ ჩვევას ბევრი პირტიტველა ბიჭის სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის იყვნენ როგორც „ბლატნაია რომანტიკის“ ისე „ჰიპებისა“ თუ მათი ყოფილი თანამოძმების, ჩაზმანული „შტატნიკების“ ანუ ადგილობრივი „იაპების“ იდეოლოგიის თაყვანისმცემლები. ერთნი ვისოცკის სიმღერებს ატრიალებდნენ, მეორენი სულგანაბულნი უსმენდნენ „ბითლოებს“, მესამენი კი რეი ჩარლოზს და ოსკარ ჰიტერსონს მიაგებდნენ საგანგებო პატივს. ყველა მათგანი უდარდელად ფლანგავდა ღვთისაგან ბოძებულ ძვირფას დროს: სვამდა, ეწეოდა, კენკანდა, იჩხირავდა ნარკობარიკებისაგან შექენილ უცნაურ ნივთიერებებს.

ერთხელ თსუ-ს ბაღში შეკრებილმა ვაკელმა ბიჭებმა, რომლებსაც უკვე სახელებით იცნობდნენ ნარკომომხმარებლებზე მონადირე ოპერმუშაკები, აბანოთუბანში ჰაშიშის შესაძენად წასვლა გადაწყვიტეს და მე, როგორც მილიციისათვის უცხო, მათთან ერთად რამდენიმე „ბაშის“ საყიდლად წაყოლა შემომთავაზეს.

მოხუც ინკლაპას, მაშინ თითქმის მთლიანად მიწაში ჩაფლული ერთ-ერთი გუმბათიანი აბანოს მახლობლად წავაწყდი. „საქონელი“ ჩავიბარე თუ არა, ერთი აურზაური ატყდა: საიდანღაც მოვარდნილი გადაცმული „ძაღლები“ დაგვერივნენ და ხელებგადაგრეხილი ბიჭები მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში მიაბრძანეს. ბედად, თითქმის ყველა აბანოს სახურავი გადავირბინ-გადმოვირბინე და მდევარს ხელიდან დავუხსლოტი. უკვე არც არავინ მომდევდა, მაგრამ მაინც არ მჯეროდა, რომ სამშვიდობოს გავედი: ამიტომ „ბაშები“ პერანგში ჩავიყარე და შარვლის ტოტიდან გზადაგზა აქეთ-იქით მიმოვფანტე.

ამ ფათერაკიანი თავგადასავლის შემდეგ, ისევ თსუ-ს ბაღში მოვიყარეთ თავი და ერთ-ერთის ამბავი მოვიკითხეთ. აღმოჩნდა რომ ჩემს მიერ გადაყრილი „სამხილები“ ერთ-ერთ მათგანს ქვაფენილიდან უკლებლივ აუკრეფია. მილიციიდან პანდურით გამოგდებული თემო უკან ამდევნებია და ქვაფენილზე დაყრილი „ბაშები“ სათითაოდ ჩაუჯიბავს უკვე ერთხელ გაჩხრეკილ ჯიბეებში.

ჩვენი საუბრის შემსწრე სოლოლაკელმა ბიჭმა, რომლის შინაურები სადღაც იყვნენ წასულები, ვაკელები დღეობის ნამცეცობაზე მიგვიპატიჟა, „შეკეთებული მასტირკების საკაიფოდ ასაფეთქებლად“.

სწორედ იმ იმპროვიზირებულ წვეულებაზე დავრწმუნდი, რომ ნარკოტიკები ჩემი საქმე არ იყო. ქაშქარულმა ჰაშიშმა უკლებლივ ყველას შავი დღე გვაყარა, დედის რძე არ შეგვარჩინა.

მერე კიდევ კარგახანს მესმოდა, რომ ოპერმუშაკებისათვის რატომღაც „მოუხელოთებელი“ ინკლაპა, თურმე, ავლაბარისა და ძველი თბილისის კინოთეატრებიდან გამოსულ ნაცნობ ბიჭებს ჰაშიშს ნისიად ურიგებდა.

პვეტერა

მეორე თუ მესამე კურსზე, თსუ-ს ჟურნალისტიკის, ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები „შიდა ყამირზე“ გაგვამწესეს. ასე მოვხვდი თანაკურსელებთან ერთად, მთელი ზაფხულით, ახმეტის სკოლა-ინტერნატის ერთ-ერთ ოცსაწოლიან საძინებელ ოთახში. დღისით კვეტერის ციხე-სიმაგრის გასუფთავება-გათხრებზე ვმუშაობდით, საღამოსაკენ კი ნამდვილი დროსტარება იწყებოდა. მას ადგილობრივი კოლომეურნეობების „მოწინავეები“ გვიმართავდნენ, რაიონში ჩამოსული მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის, ვასილ ჰავლოვიჩის დავალებით. ამის გამო, საკლავი, სანაქებო ღვინო და უხვ-ხაშლამიანი პურმარული არ იყო და არ ილეოდა. მალე ეს საღამოები კახური სტუმართმასპინძლობის თავისებურ აკადემიად გადაიქცა, რომელსაც ერთხელ ჩემი ბავშვობის მეგობარი გ.ღ-ძეც ეზიარა. დილით თბილისიდან ჩემთან სტუმრად ჩამოსული მომავალი ექიმი ისე დატვირთეს გემრიელი ტანინიანი ღვინით ახმეტელებმა, რომ ღამე ნახევრად მძინარემ, მისი აზრით ისევ საკუთარი ვაკის სახლის საპირფარეშოსაკენ მიმავალმა, ინტერნატის ოცსაწოლიან გაუმიჯნავ დარბაზში ზუსტად გაიმეორა ჩვეული, მიხვეული-მოხვეული მარშრუტი და ენაჩავარდნილი თვითმხილველის, ძილგატეხილი ერთი ჩვენი თანაკურსელის თვალწინ, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ფრიადოსან სტუდენტს თავზე დააფსა. უკანასკნელმა, მეორე დღეს წაიწუწუნა: „მთელი ღამე ოფლში ვცურავდიო“. „შურისძიებამ“ არ დააყოვნა: მომდევნო ღამით, მძინარე გ.ღ-ს „ველოსიპედი“ გავუკეთეთ, რის გამოც ცეცხლმოკიდებული გაზეთიანი ფეხი საკმაოდ შეეტრუსა. ახმეტელების „ოქრო კაცს“, ჩაის ჭიქებით ღვინის იმხელა ულოუფა ჰქონდა მიღებული, რომ ცეცხლმოკიდებული ფეხი ერთიორჯერ კი გაიქნია, მაგრამ მერე საბნის ქვეშ შეაცურა და გაკვირვებული სტუდენტების თვალწინ მშვიდი ფშინვა ამოუშვა.

კვეტერის შემდეგ, თანაკურსელ ყმაწვილებს „ძმაკაცური ქეიფები“ გაგვინშირდა, თუმცა დღემდე ვუცნობ ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებსა და „განსხვავებულ“ სასმისებს.

კვეტერაზე ექსპედიციის მონაწილეებმა, ჩემი თბილისში ცოტა ხნით ყოფნის დროს, მიწაში ბარათებით სავსე ბოთლი ჩაფლეს, ვითომ ოცი წლის შემდეგ ვნახოთ ვისი ოცნება ასრულდებაო. ეს „თაიმ კაფსულა“ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, არავინ იცის. დათქმული ვადის შემდეგ მის ძებნას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, ჩემი სცენარით, ჩემი მეგობრის, ზურა ინაშვილის მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა „დამარხული ოცნებები“ ბევრი კარგა ხნის წინათ გადავიწყებული სურვილები გაგვახსენა. ერთი მათგანი, მართალია საკმაოდ გვიან, მაგრამ ბოლო-ბოლო მაინც ამიხდა. ბავშვობასა თუ ყმაწვილკაცობაში დღენიადაგ ვოცნებობდი, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავზრდილიყავი და შევცვლილიყავი. ლოყებლაჟლაჟა, მეტისმეტად „ჯანმრთელი“ გამომეტყველების გამო, თანატოლებთან თავს ზოგჯერ უხერხულად ვგრძნობდი. აკი ერთხელ, ძალიან შავტუხა თანაკურსელმა, რომელიც ასაკით ყველა ჩვენთაგანზე გაცილებით უფროსი იყო, სერიოზულად მკითხა: „თუ კაცი ხარ, ერთი მითხარი რას ჭამ ყოველდღიურად ასეთი სასიამოვნო ელფერი რომ გადევსო“.

„სისხამ დილით „ყაზბეგში“ დიდ მათლაფა ხაშსა და 100 გრამს ვურტყამთქო“, ვებმრე. ამის შემდეგ „ბიძია“ ლექციებზე რამდენჯერმე შეჭიკჭიკებული მოგვევლინა და ბიჭები ხუმრობდნენ „ეს დროული კაცი შენ გაგვილოთქო!“.

„ფიშტო“

არ ვიცი საიდან, მაგრამ ბავშვობაში ყოველგვარი იარაღი ძალიან მიყვარდა. ეს მეტად აკვირვებდათ საგონებელში ჩავარდნილი მშობლებს. ყოველივე ალბათ ჩემს დაბადებამდე სამი წლით ადრე დამთავრებულსა და კინოთეატრების ეკრანებზე 70-იანი წლების ბოლომდე გაგრძელებულ ომთან იყო ერთგვარად დაკავშირებული. მაშინ სულ ვჩხირკედელაობდი, ხშირად რაღაც სასროლო მოწყობილობას, რევოლვერსა ან პისტოლეტს ვამზადებდი, ვხეხავდი, ვაპრიალავდი, ვცდიდი, ვღებავდი და ა.შ. ცოტა რომ წამოვიზარდე, ნაცნობ-მეგობრებში უკვე ნამდვილი იარაღებთან დაკავშირებული ატრიბუტების შეგროვებას მივყევი ხელი: ათასნაირი დაცლილი მასრებით, ტყვიებით, „გილოზებიდან“ დამზადებული სანთებელებით და სხვა სამხედრო თუ სანადირო ხარახურით ვავსებდი „საიდუმლო სამალავებს“, ჩვენი სახლის თუჯის მძიმე კარებიან კედლის ღუმლებს. ზამთრობით მათი დანთება, შინამოსამსახურეებს ერთი სახიფათო ეპიზოდის შემდეგ, საკმაოდ საფრთხილო საქმედ მიაჩნდათ.

ერთხელ, ჩემი სკოლის მეგობარმა მესამე თუ მეოთხე კლასში, ბაკურიანის სამთავრობო აგარაკებიდან შაშხანის დაცლილი მასრებით სავსე რამდენიმე ყუთი ჩამოიტანა და არკადი გაიდარის „თემურის და მისი რაზმის“ მიბაძვით, თავისი სახლის უკან, მდინარე ვერეს ხეობაში,

სანდო თანატოლებს „საიდუმლო“ სამხედრო რაზმისა და მისი შტაბის ჩამოყალიბება შემოგვთავაზა. „შტაბობანა“ მალე სკოლის მასშტაბში ისეთი კოპულარული გახდა, რომ შვილების მასრებიანი მძიმე ჩანთებით შეწყუბულმა მშობლებმა იჩივლეს. ერთ დღეს, ადმინისტრაციამ ჩვენი კლასის ჩანთების გაჩხრეკა გადაწყვიტა. როდესაც, დღის ბოლოს, დამრიგებელმა ბავშვები კლასიდან გასასვლელად ხელჩაკიდებულ წყვილებად დაგვალაგა, სკოლის საკმაოდ ხანდაზმული დირექტორი ასეთივე ხანდაზმულ სასწავლო ნაწილთან ერთად თავზე დაგვადგა და ჩანთებიდან "შტაბის" ამოლაგება მოგვთხოვა. ყველა მიხვდა, რომ დირექტორს წარმოდგენა არ ჰქონდა თუ რას ეძებდა და ამან დიდი თუ პატარა ძალიან გაგვახალისა.

საქმეებისაგან სულ გაბრუებული ჩვენი დირექტორის შესახებ, ბევრი ანეკდოტი დადიოდა. ორს მაინც ნამდვილი შემთხვევა ედო საფუძვლად. ერთხელ, გაკვეთილზე შემოსულს, რუსულის მასწავლებელმა სკამი შესთავაზა, დაბრძანდითო. „Ничего, пешком постою-о“, პასუხი არ დაუგვიანა იპოლიტემ. მეორეჯერ, კლასში ჩემი ბავშვობის მეგობარი გ.ლ-ძე მერხზე წამოწოლილი რომ ნახა, შენს მშობელ აუცილებლად დავიბარებ სკოლაშიო, ალბათ ეს უნდოდა ეთქვა და მთელი კლასის წინაშე ბავშვს ასე მიმართა: „ჰო, წამოწე, წამოწე ღ-ძე, შენ რა გენაღვლება! ამ დღეებში წამოვაწვენ დედაშენს ჩემთან კაბინეტშიო!“. ასეთი რამეების გამო, დირექტორის ყოველ გამოჩენას მოსწავლეები ყოველთვის ღიმილით ვხვდებოდით.

არ მახსოვს რატომ, მაგრამ ერთხელ უკვე ღამის სკოლაში ყოფნის დროს, ერთ ახლობელ ვაკელ ბიჭს კონფლიქტი მოუვიდა დიდუბელებთან და „საქმის გასარჩევად“ მზადების პროცესში მეგობრებმა იარაღების შეგროვება დაიწყეს. ასე, ჩემი ერთი თანაკლასელის სახლში, ექვსმა თუ შვიდმა რევოლვერმა და პისტოლეტმა მოიყარა თავი. ისე მოხდა, რომ წარმოდგენა არ მქონდა თუ რა ხდებოდა და როდესაც ერთ დღეს, მეგობარს, ჩვეულებისამებრ სახლში შევუარე, იქ შეკრებილმა ბიჭებმა მთხოვეს, იარაღით სავსე ძალიან მძიმე ჩანთა შეხვედრის ადგილამდე მეტარებინა.

ეტყობა ვიღაცამ „წაგვიბოზა“. სადარბაზოდან გავედით თუ არა, მილიციის ორმა თაგვისფერმა „ვოლოგამ“ შენობის წინ საბურავების ჭრიალით დაამუხრუჭა. მანქანებიდან ყვირილითა და „სვისტოკების“ სტვენით გადმომხტარი ოპერმუშაკები არაყიშვილისა და ბარნოვის ქუჩის გზაჯვარედინზე გაფანტულებს გამოგვკვიდნენ. მე მცხეთის ქუჩი საკენ გავქუსლე ჩანთიანად და სულ კერძო სახლების ეზო-ეზო ვირბინე აღმართ-აღმართ, ღობეებზე გადახტომით, სანამ რაჭველი მეხი ნკლეების უბნის ერთ-ერთ ეზოში მუხლებში ძალაგამოლუული მიწაზე არ ჩავიკეცე. სირბილისაგან ღონემინდილმა, კარგა ხანს სული ვერ მოვითქვი, რომ რამე მეთქვა ეზოში მყოფი შემფოთებული

მდგმური ქალიშვილებისათვის. ბოლოს მათ წყალი ვთხოვე და თან ავუხსენი, რომ მილიციას ვემალებოდი იარაღებიანი ჩანთის გამო. მალე, ეტყობა იქვე მეზობლად მცხოვრები ჩემი ნაცნობი ორი ფეხბურთელი ბიჭი, ბორია და მიშა მომიყვანეს, რომლებმაც იარაღებით სავსე ჩანთა ჩაიბარეს და სალამოს, დაპირებისამებრ, პატიოსნად, დათქმულ ადგილზე მოიტანეს. ეს იყო და ეს: მას შემდეგ იარაღს სათოფეზეც აღარ გავკარებივარ.

ბილწისიტყვაობა

ასე მგონია, თითქოს ყველა ბილწი სიტყვა და ფრაზა, რაც დღეს „პოპულარულია“, ჩემს ყმაწვილკაცობაში უნდა იყოს გამოვლენებული. მე-5 თუ მე-6 კლასში, ერთმა „ცნობილმა“ უფროსკლასელმა, საუბრის დროს, სკოლის ეზოში შეკრებილებს, თავმომწონედ განგვიცხადა: „ბოზის შვილი ვიყო თუ ვიტყუებოდეთ!“ მისმა სიტყვებმა დიდი ხნით ჩამაფიქრა: ვერ გამეგო თუ რა დაუშავა ამ საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულ ბიჭს დედამ. იმავე ბიჭმა, ცოტა ხნის შემდეგ ფიცის უკვე ახალი ფორმულა გაგვაცნო და ყველა ისევ კარგა ხნით გაგვაშტერა: „ჩემი დედა მო.....ნ თუ მართაღს არ ვამბობდეთ“. ეს ყველფერი მაშინ ხდებოდა, როდესაც გინების ნებისმიერი, თუნდაც საკმაოდ „მსუბუქი“ ვარიანტის გამო, ბიჭები ერთმანეთს ცხვირპირს უნაყავდნენ. განსაკუთრებით მწვავედ აღვიქვამდი თუ ნაცნობისა და მეგობრის დედას ან დას ვინმე, თუნდაც „ხუმრობით“ (ასეთებიც იყვნენ), აუგად მოიხსენებდა. ზოგჯერ ფრაზის დასრულებასაც არ ვაცდიდი, ისე შევებმებოდი ხოლმე უზრდელს. ამის გამო, ორივე მხარეს ზოგჯერ უსაყვედურებია, „რა მოგივიდა, ხუმრობა არ იცი თუ რაო?!“

მიუხდავად ამისა, უხიაგო სიტყვა, რომლის მნიშვნელობა ხეირიანად დღესაც არ მესმის, ერთხელ უადგილოდ წამომცდა და იმ წუთშივე სათანადოდ დავისაჯე. ღამის სკოლიდან სახლში მისვლა დამავციანდა და მამამ საყვედურივით რაღაც მითხრა. „კარგი რა, შე ჩემათქო“, წამოვაყრანტალე ქუჩიდან შემოსულმა და მისი პირველი და უკანასკნელი სილა დავიმსახურე. ორივენი ძალიან გაოცებული ვიყავით ჩემი მოულოდნელი უზრდელობითა და მამაჩემის ნამდვილად სრულიად მოულოდნელი მომენტალური რეაქციით.

ეს ამბავი ერთხელ შორენასაც მოვუყევი. ანეკდოტია, მაგრამ ფაქტია, რომ შორენას მიერ იმავე სიტყვების ისევ მექანიკურად გამეორების გამო, ტაპოს ტბისაკენ მიმავლ გზაზე, საარაკო სიცილი ავიტეხეთ. მთებს შორის გაჭრილ ფართო ჰაივის მოსახვევის თითქმის ციცაბო მონაკვეთზე, ჩვენს წინ სხვადასხვა ხაზებზე მანქანები მიჰქროდნენ. ბუნების ამ თვალწარმტაცი „დისპლეის“ ცქერით ვტკბებოდით, რომ უცბად მეტად უცნაური რამ მოხდა: მანქანებმა უწესრიგოდ და რაც

მთავარია მეტად სახიფათოდ, ჭიანჭველებივით დაიწყეს ხაზიდან ხაზზე გადასვლა-გადმოსვლა. საჭის ტრიალით შელონებულ შოს ამ დროს მოულოდნელად მისთვის სრულიად უჩვეულო, მაგრამ სიტუაციის ნამდვილად შესაფერი ფრაზა წამოსცდა: „რას შვებთან ეს ჩემისებო?!“ ისტერიკული სიცილით შევვარდით, უეცრად, მაისის თოვლიან ქარბუქში. ფიფქებით დაფარულ საქარე მინას, ამ სიცილ-ხარხარში იმდენი წყალი მივაშხურეთ, რომ მალე ყინულის ჩამოსაფხეკად მანქანის გაჩერება მოგვიწია. თიშერთის ამარა გარეთ გადასვლა დავაპირე, მაგრამ საარაკო სიცივემ სუნთქვა შემიკრა, მანქანაში უმალო ცანცარიტო შევბრუნდი და უკვე ახალი კომიკური სიტუაციის გამო, გულიანი სიცილი კიდევ კარგახანს გაგვიგრძელდა.

კონტურული რუკები

ერთხელ, ღამის სკოლის ახლად გადმოსულ მთაწმინდელ თანაკლასელს ხათრი ვერ გავუტეხე და დროებით პიჯაკები გავცვალეთ. მე ღია ჩალისფერი მხვილი ველვეტის, ხოლო მას მონაცრისფრო-მომწვანო ტვიდის პიჯაკი ერგო. რამდენიმე დღის შემდეგ, გაკვეთილების დაწყებას ველოდებოდი, რომ „მატალოზე“ წასვლა მომინდა და უცბად საკლასო ოთახის ფარჯრიდან გადავხტი. ღია ჩალისფერი ველვეტით დაფარულ ზურგს თურმე კარებში შემომსვლელმა ქართულის მასწავლებელმა მოჰკრა თვალი და იმ დღეს გრიპის გამო სახლში დარჩენილი მთაწმინდელის სკოლიდან გარიცხვის საკითხი დააყენა. უჩემოდ ჩაფარცხულმა ამ ამბავმა, მე და ის მეგრული ბიჭი უფრო დაგვაახლოვა და შემდეგ ხშირად ვუწევდით ერთმანეთს „სპარინგ პარტნიორობას“.

ერთხელ, როდესაც ჩვენი მუშტის ძალას საკლასო ოთახის ფარდალალა კედელზე ვცდიდით, ჩემდა გასაკვირად, რაღაც მანქანებით, მუშტით კედელი შევამტვრიე და მთელი მაჯით სამასწავლებლოში აღმოვჩნდი. საკლასო ოთახში სასწრაფოდ შემოვარდნილმა სკოლის დირექტორმა, მიუხედავად იმისა, რომ მაჯა-მუშტი დასისხლიანებული მქონდა, თვალი მაინც იმ მეგრულ ბიჭს დაადგა. „სახელის გატენას, თავის გატენვა სჯობიაო“, ნათქვამია.

წარმოდგენა არ მქონდა, თუ ეს ჩემი ახალი თანაკლასელი კრივზე დადიოდა და როდესაც შემომთავაზა, მოდი დავარტყათ, ვნახოთ ვინ მოერევასო, ქუჩური „ქიქბოქსინგის“ „მიღწევებით“ გათამამებული, ძალიან ადვილად დავთანხმდი. ორთაბრძოლა მალე შეწყდა, რადგან მას ჩემი წიხლები არ მოეწონა, მე კი მისი დამუშავებული „აპერკოტები“.

მალე, მისი 1-ლი და 47-ე სკოლელი მეგობრები ღამის სკოლელ ვაკელებს გაგვიშინაურდნენ და ერთხანს ქუჩებში ერთად

დავლოტილობდით. ერთხელ რუსთაველზე სეირნობის დროს, ტელეგრაფის ძველი შენობის წინ რომ გაზეთების ჯიხური იყო, იქ შევჩერდით. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, ჯიხურში ჩუმად დეფიციტურ კონტურულ რუკებსაც ყიდიან და თუ ძმა ხარ, ჰკითხე, ახლები ხომ არ მიუღია; მე კკითხე უკვე და მერიდებო. ჯიხურში თავი შევყავი თუ არა, უბნის ბიჭების გაუთავებელი ხუმრობებით ნერვებაშლილმა გამყიდველმა ჟურნალი თავში ჩამცნო და უშვერი გინებით უკან გამომეკიდა. ამ დროს, ტელეგრაფის კუთხეს ამოფარებულმა ერთმა მთაწმინდელმა, ჯიხურის ფანჯრიდან რამდენიმე ყუთი პოლონური სიგარეტი „F“ „აწაჰნა“ და შემდეგ „ლალდის სახაჭაპურეში“ ჩასულ „აქციის“ თანამონაწილეებს დაგვირიგა. ამ ჯგუფის ბიჭები ვაკელებთან შედარებით უფრო „გაქექილები“ ჩანდნენ. მათ მეტი იცოდნენ ქალაქის ცენტრის ყოფა-ცხოვრების შესახებ და ზოგიერთ მათგანს უკვე მოსკოვური „სექს ტურების“ გამოცდილებაც გააჩნდა.

ფილმის დასასრული

ერთ მშვენიერ დღეს, შეძლებული პროვინციული ოჯახებიდან გამოსულმა თანაკურსელებმა სოფლებიდან ჩამოტანილი პურმარილი თბილისელებს წყნეთის ერთ-ერთ წიწვნარში გაგვიშალეს და სასახლოდ გვაგრიალეს. ალბათ იმის იმედით, რომ ამის შემდეგ პოტენციური მეგობრები გავზნდებოდით. ყველაფერი მართლაც ძალიან კარგად მიდიოდა, სანამ ერთ-ერთი მათგანი ისე არ გამოტყვრა, რომ მანამდე მეტისმეტად ენა-ტკბილი მოსაუბრე უეცრად ყველას შემაწუნებელ ღრიტინა შფოთისთავად არ გადაიქცა და ხელების უაზრო ქნევას არ მოყვა. აშკარა იყო, რომ ამ ყმაწვილს მისი თვინიერი ქალაქელები თანამონახეები თვალში არ მოუვიდა, არა და „ჩანგალზე“ არც ერთი ჩვენთაგანი არ იყო მისული; რბილად რომ ვთქვათ, თავზე დაჯდომა მოგვიწოდოდა. აღმოჩნდა რომ მას განსაკუთრებით ჩემი „ზუბი“ ჰქონდა, რადგან საერთოდ თურმე ვაკელები აღიზიანებდა და ამ ტყე-ღრეში უხერხული ბლლარძუნი დამიწყო. რა არ ვცადე, მაგრამ თავიდან ვერაფრით მოვიშორე. ვერ დავაშოშმინე, „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“, სულ ამას გაჰყვიროდა შეუჩერებლად, ხელების ქნევით. მოთმინებადაკარგულმა, ერთი ისე ლაზათიანად გავბერტყე ეს ნამდვილად ნიჭიერი ბიჭი, რომ ნაცემ-ნაბეგვი ადგილების მოსაშუშებლად სოფელში მთელი თვე ჩარჩა. სწორედ ამ დროს გამოვიდა ქართლოს ხოტივარისა და რეზო გაბრიადის მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი „სერენადა“, რომელშიც ფიზიკურად უფრო ძლიერ კაცს ძლიან „მიმწოლი“ „დუხიანი“ კაფანდარა ბიჭი სჯახნის. არ ვიცი, რა მოელანდა ამ ფილმი-იგავის ნახვის შემდეგ იმ ჩემ თანაკურსელს, რომ რევანშის მოლოდინში კრივზე დაიწყო სიარული. ეტყობა, როდესაც მისი აზრით, რინგზე

საკმაო გამოცდილება დააგროვა, ბოყვერა ნაცნობ-მეგობრებთან ერთად ჩემთან არაერთხელ გამოცხადდა სრულიად შეუფერებელი სიტუაციებში, „სერენადის“ სუპერსიმპათიური გმირივით: „წამოდი, უნდა დავარტყათ“. თქმა არ უნდა, მის ნებას ყოველთვის უსიტყვოდ დავეყვი და თონზე ნავარჯიშებ-მკლავებიანი მისი ძმაკაცებით გარშემოტყმულმა, ბარე სამჯერ თუ ოთხჯერ კარგად მიმაბეგვია თავი.

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მეტად პოპულარული ფილმის კაფანდარა გმირს მთელი გულითა და სულით ვგულშემატკივრობდი (მას ჩემი ახლო მეგობარი რამაზ გიორგობიანი თამაშობდა), მაინც ვერა და ვერ ვაცემინე თავი იმ ჩემი ცოდვით სავსე იმერელ ყმაწვილს. ეტყობა, დროთა ვითარებაში, მის ძმაკაცებსაც მობეზრდათ სრულიად უაზრო ცემა-ტყუპების ყურება და კარგა ხნის შემდეგ, ბიჭმა მუტრუკების ექსკორტის გარეშე დაიწყო ლექციებზე სიარული. ბოლო-ბოლო, ეტყობა საბოლოო დაზავების თუ თავისებური რევანშის ნიშნად, მან უკლებლივ მთელი ჯგუფი წაგვიყვანა მშობლიურ სოფელში, სადაც ორი დღე ზღაპრული პატივი გვცეს მისი ოჯახის წევრებმა - ლამაზ სახლში, რომლის ყველა ოთახი, ჩვენდა გასაკვირველად, სულ ახალთახალი რუსული სერიის „Жизнь замечательных людей“-ს წიგნებით აღმოჩნდა გამოტენილი.

მკვდარი სეზონი

ამხანაგებმა, უჩვეულოდ ცივ საშობაო არდადეგებზე, რატომღაც ბათუმიდან ოდესაში გემით წასვლა გადავწყვიტეთ. ბოლოს და ბოლოს თავდაპირველი ექვსი სტუდენტიდან, მხოლოდ მე და თითქმის ბათუმელი გ. დავადექით გზას. ბათუმში ჩასულებმა, მის მეგობარ მე-9 კლასელ ბიჭს სკოლაში მივაკითხეთ, რომელიც მასწავლებელმა გაკვეთილიდან უპრობლემოდ დაითხოვა, ჩამოსულებს მიხედევ. ადრე დავაჟკაცებულ წვერულვაშიან მეცხრეკლასელს, მართლაც რომ ზრდასრული კაცის იშვიათი უნარ-ჩვევები და მარიფათი აღმოაჩნდა. ჯერ, დილას, დაცარიელებული საკურორტო ქალაქის სხვა შეძლებულ ოჯახიშვილებთან ერთად სასტუმრო „ინტურისტის“ კაფეში - სამ მანეთიანი ამერიკული „ქემელის“ კვამლში გახვეულებს - აჭარული ხაჭაპურით, ჩეხური ლუდითა და ბათუმური ყავით გაგვიმასპინძლდა, მერე კი საღამოხანს, იქვე რესტორანში ვახშამი გაგვიმართა, ხოლო მეორე დღეს მახინჯაურის აგარაკზე სანაქებო პურმარილი გაშალა. მან ჩვენს თვალწინ ბათუმის ბაზარში კარგად გამოცდილი კაცივით მშვენიერი სურსათ-სანოვაგე შეარჩია და მასსავით სტუმართმოყვარე ძმაკაცებთან ერთად უგემრიელესი კერძები დაამზადა. ნამდვილად ყოველმხრივ სამახსოვრო და სასიამოვნო საღამო გამოვიდა.

ბათუმელებმა მეორე დღეს პორტში ისევ ქეიფ-ქეიფით მიგვიყვანეს. გრძელი გუ-გუ-ტუ-ტუს შემდეგ, „Россия“-დ გადაღებილი ყოფილი გერმანული ხომალდი "Adolf Hitler", რომელიც ბავშვობაში სოჭის პორტში მყავდა უკვე ნანახი და რომლის ძველი სახელი ჯერ კიდევ კარგად ჩანდა საღებავის ქვეშ, როგორც იქნა, ნავსადგურიდან გავიდა და ცხვირი შუა ზღვისაკენ იბრუნა. გაკრიალებული კაიუტისა და არტახებიანი საწოლების ათვისების შემდეგ, ჯერ ბარს, ხოლო შემდეგ რესტორანს, საკონცერტო დარბაზს, ქვედა სართულებს, გემბანსა და ბოლოს კაპიტნის სამყოფს შევავლეთ თვალი და საარაკო ღელვაც დაიწყო. უზარმაზარი, შავი ზღვისათვის სრულიად შეუფერებელი ტალღები, პირდაპირ გემბანზე დათარეშობდნენ. გ-ა ზღვის დაავადებამ ქამანდებიან ლოგინს მიაჯაჭვა. ცარიელ ხომალდზე მარტო დავბოდიშდით. ადამიანებს მონატრებულმა, ერთი-ორჯერ ბარში შევიარე, რესტორანში ვისადილე და ბოლოს კაიუტაში უქეიფოდ მყოფს დავხედე. საპირფარეშოდან გამოსულმა, უჩვეულოდ ძლიერი ღელვისაგან შეწუხებულმა, გოგოები თუ არიან გემზეო, წაიბლუყუნა და პასუხს არც დალოდებია, ისე შევარდა ერთი ციდა ჩემში. მომსახურე პერსონალისა და შვებულებაში მყოფი ორი თუ სამი მთვრალი რუსი საზღვაო ოფიცრის გარდა, გემზე არავინ იყო. ერთ-ერთი მათგანი ძალიან მოწონებულ იყო, ოდესაში ჩასვლის შემდეგ თავისი ქალიშვილი ჩემთვის გაეცნო: ასე მირჩევნია, ის მაინც მეცოდინება, რომ წესიერ ახალგაზრდასთან არისო - კორიდორებში ყოველი შეხვედრის დროს ერთსა და იმავეს მეუბნებოდა, თან ვითომ სხვათა შორის მკითხავდა, ცოტა ქართული ჭაჭა ხომ არ დაგრჩა კაიუტაშიო. აშკარად ვიღაცაში ავერიე.

უსაქმურობის გამო, ფოსტიდან სახლში ორი დეჰემა გავაგზავნე და ასე ღრჭიალ-ჭრიალით სოჭის ნავსადგურში შევედი. ამინდი გამოსწორდა, მაგრამ თითქმის ცარიელი საკურორტო ქალაქის ნახვა მაინც ნაკლებად სასიამოვნო იყო. ამიტომ ყველა ღონეს ვხმარობდი გასამხიარულებლად ანუ ქუთათურად „საგლახაოდ“. მაღაზიაში, კიოსკში თუ კაფე-რესტორანში ახლად გაკეთებულმა წარწერებმა მიიქცია ჩემი ყურადღება: „Вас обслуживает Ирина Александровна Богатырева“ და ა.შ. და ა.შ. მეც, შესაბამისად, კარგი ნაცნობივით მივმართავდი ხოლმე დახლიდარებსა და ოფიციანტებს. ჩემი თანამგზავრი პირდაღებულ იმომჩერებოდა. ბოლოს ამოღერლა: „ვა-ა-ა?! აქ ბოლოს როდის იყავი ან ამდენი სახელი, გვარი და მამის სახელი რამ დაგამახსოვრებინაო“. მე მეტიც არ მინდოდა, თავი მოვიგიჟიანე: უცნაური მახსოვრობა-ამოცნობის უნარი მაქვსთქო, მორცხვად გავუმხილე პარაფსიქოლოგიური ფაქტების თავგადაკლულ მოტრფიალს.

თამაშ-თამაშითა და ტორტმან-ტორტმანით, რამდენიმე საპორტო ქალაქი მოვიარეთ და ბოლოს ისააკ ბაბელის ოდესას მივადექით.

ღვთის წყალობით, რიშელიეს ძეგლი, „ჯავშნოსან პოტიომკინის“ კიბეები, „Дерibasовская“, ბაროკოს სტილში ნაგები ოპერა, ცენტრალური პარკი და რაც მთავარია, განუმეორებელი ოდესელების სული, ადგილზე დაგვხვდა. თითქმის სრულიად ცარიელი სასტუმრო „Красная“-ს ვითომ „ლოუქსში“ გაჩერებულები, უნებურად ყველას ყურადღებას ვიმსახურებდით. იქვე, ცარიელ რესტორანში მცირე ვახშამის დროს, მეზობელი მაგიდიდან ერთხელ ორმა ახალგაზრდა შესაძლო ოპერმეუშაკმა ან ადგილობრივმა აფერისტმა თუ „ჩანგალისტმა“, ოფიციალტის ხელით პაპიროსში შეკეთებული ჰაშიშის ორი „მასტირკა“ გვიფეშქაშა, რომლებიც ოფიციალტისავე ხელით, მადლობის აღმნიშვნელი რევერანსით უკან დავუბრუნე. ამის შემდეგ, სასტუმროში თითქმის „Бывалые блатные ребята“-ს სტატუსი გავიკარით და აღიარების ნიშნად კარტის სათამაშოდ აგარაკზე მიგვიწვიეს. ეს ნამდვილად საეჭვო წინადადებაც შორს დავიჭირე და ისევ ზღვისპირა ქალაქის დათვალიერება განვაგრძეთ.

ბანქოს თამაშით ფულის მოგების იდეა რომ ჩემს თანამგზავრს ადრე თუ გვიან შეაწუხებდა, ადვილი მისახვედრი იყო. თაღარიგი თავიდანვე დავიჭირე. სასტუმროს საჩუქრების მაღაზიაში კარტი შევიძინე. ჩემდა გასაკვირად, ყოველი კარტის ორნამენტირებული მხარე „ბრიტვის“ ნაკაწრით საკმაოდ ოსტატურად დავნიშნე და გამყიდველს უკან დავუბრუნე: ჩემი თანამგზავრი კარტის საყიდლად რომ მოვა, ეს კალოდა მიყიდეთქო. მოგებას დანატრებული ოდესეული მანდილოსანი გაგებით მოეკიდა ჩემს წინადადებას და სიამოვნებით დამყაბულდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, გ-მ შარვლის ჯიბიდან ახალთახალი, ჯერ კიდევ „გაუხსნელი“ კალოდა დააძრო და თავისი იდეით აღფრთოვანებულიმა, მითხრა: მოდი ვნახოთ თუ კარტის ამოცნობასაც შეძლებ; ეგებ იმ საიდუმლო აგარაკზე, სადაც „СССР“-ის ყველაზე მაგარი მოთამაშები იკრიბებიან, ბედს ვეწიოთო. ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე დავყევი მის ნებას და მის მიერ ჩემს წინ გაშლილი კარტის „შესწავლა“ დავიწყე. თოვლით დაფარულ ოდესაში, ნელა მაგრამ საქმე მაინც წინ მიდიოდა. თითქოს ბაბელის „ოდესური მოთხრობების“ პერსონაჟების ხასიათი გადამედო, სულ გავაჭენე. კარტების ამოცნობის ახლად აღმოჩენილმა ჩემმა უნარმა დოყლაპიად გადაქცეული ბიჭი მთლიანად გააოგნა. ჯერ კარტები საგულდაგულოდ შეისწავლა, ბეჭდვის დროს შემთხვევით რამე განსხვავებული ნიშნები ხომ არ აჩნიათო, შემდეგ სასტუმროს ყველა სარკესა და პრიალა ზედაპირს ტილოები და პირსახოცები ჩამოაფარა, მათი ანარეკლებიდან ხომ არ ხედავ კარტებსო და ბოლოს ფარდებჩამოფარებული ოთახის ცენტრში ზეწარზე დამსვა და იქაც რომ უშეცდომოდ ამოვიცანი ბანქოს ყველა ქალაღი, დიდი ხნით დამუხჯდა.

ამდენი ტყუილების გამო, ცოტა ნამუსი კი მქენჯნიდა, მაგრამ მაინც ტკბილად, ასე ვთქვათ, ნამდვილი ოდესელივით ჩამეძინა. გამთენიის ხანს შუბლოზე რაღაც წვეტიანი, ცივი საგნის შეხება ვიგრძენი. უცბად გამოვფხინო და უძილობით გადაფითრებული თანამგზავრის სახეს მოვკარი თვალი, შუბლოზე ორივე ხელით დაჭერილი უშველებელი აჭარული ყამა-დანის ქვემოდან: ნამდვილად მითხარი, კარტებს როგორ ცნობ, თორემ პატარა დაიკოს გეფიცები, ეხლავე სულს გაგაფრთხობინებო, კბილებში გამოსცრა ცრემლმორეულმა. სისულელეს მორჩი, თავად კარგად იცი რაშიც არის საქმეთქო, ვუთხარი და ძილის გასაგრძელებლად გვერდზე გადავბრუნდი. მართლის თქმა ნამდვილად არ შეიძლებოდა წყობიდან გამოსული ადამიანისათვის. კიდევ კარგი, რესურსები მალე გამოგველია და თბილისში გამოვფრინდით. თავი რომ დამეზღვია, სიმართლე თვითმფრინავში არტახებდადებულს ვუთხარი. არ დაიჯერა. ასე ოსტატურად ნიშნებს ვერ დაადებდი კარტებს, ვარიანტი არ არის, ალბათ ქარხნული წესით არის გაკეთებული და შენ როგორღაც შეამჩნიეო. ასე რომ მოხდებოდა, დარწმუნებული ვიყავი და ამიტომ წინასწარ შეძენილი მეორე, ახალი, მართლაც გაუხსნელი კალოდა ამოვაცურე ჯიბიდან, თავად შეადარეთქო, ვუთხარი. მალე ისეთი ბორცვა ატეხა სავარძელზე ქამრებით მიკრულმა, რომ სტიჟარდესას შენიშვნა დაიმსახურა. ბოლოს შემირიგდა, ოღონდ ნურავის ნუ მოუყვები ამ ამბავსო. ეს პირობაც ვერ შევასრულე.

29.01.17

მესხეთ-ჯავახეთი

ექსპედიციაში პირველად თხუთმეტი წლისამ მივიღე მონაწილეობა. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მიერ დაქირავებული პატარა ავტობუსით და პროფესიონალი კინოოპერატორის თანხლებით, 1964 წლის ივნისში მესხეთ-ჯავახეთში გავემგზავრეთ. მამას უნდოდა იმ ადგილებში მოეწყო კიდევ ერთი ექსპედიცია, სადაც ოცდაათი წლის წინათ თანამშრომლებთან ერთად მთელი ზაფხული იმუშავა რუსთაველის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილის მზადების პერიოდში. ოდესღაც ნანახი ადგილების, გადასახლებასა და ომს გადარჩენილი ადამიანების და მათი შთამომავლების მონახულება აინტერესებდა. იმჯერად, სავლელე მუშაობაში ახალბედამ, დიდი ვარაფერი შევმატე ექსპედიციას, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი საინტერესო რამის თვითმხილველი გავხდი.

ფარავნის, სალამოს და ხანჩალის ტბები, მატერიალური კულტურის უამრავი უნიკალური ძეგლი, მესხების, ჯავახების, რუსი დუხობორების, თურქულენოვანი ბერძნების-ურუმების, ქართველი და სომეხი კათოლიკების და სხვათა ტრადიციული ყოფა-ცხოვრება და

კულტურა - ყველაფერი ეს ჩემთვის უცხო აღმოჩნდა. გაცეხული შევყურებდი საქონლის წივით და არა შეშით გამთბარ ლაბირინთის თარგზე ნაგებსა და მიწაში ღრმად ჩაფლულ დარბაზულ საცხოვრებლებს, რომლებშიც, გარეთ გასასვლელი კარების ძებნაში, გზა არაერთხელ ამბნევია. ხან ბოსელში, სახბორეში, საბძელში, სურსათ-სანოვაგით დატვირთულ სარძიე-საკუჭნაოში, კარტოფილის შესანხ სათავსოში, ბაბუა-ბებიების ან ახალგაზრდა წყვილების საძინებლებში თუ სასკოლო ასაკის ბავშვების ოთახებში შევრგავდი თავს. ერთხელ, ერთ-ერთ დედაბოძიან და ერდოიან ოდა-ოთახში შემთხვევით შესულმა, ჭრელი ხალიჩა-ფარდაგებით მორთულ-მოკაზმული გარემოს თვალბრუნების ღროს, ბალიშ-მუთაქებით დახუნძლულ უზარმაზარ ტახტზე დასასვენებლად წამოწოლილი ჭარმაგი მამაკაცის თვალები დავლოანდე. ბოდიში მოვუხადე და მეორე ოთახში გადავინაცვლე, სადაც ახალგაზრდა დედა ძუძუს აწოვებდა აკვანში ჩაკრულ ჩვილს. ძალიან მიკვირდა, რომ ამდენი ადამიანი ასე უხმაუროდ ცხოვრობდა, საქმიანობდა და ლოცულობდა მიწისქვეშა სასახლეებიან უჩინარ სოფლებში. ერთგან, სოფლის ცენტრში აღმართულ ეკლესიის სამრეკლოებზე, ყარყატებსა და წეროებს დაედოთ ბინა; მეორეგან, მიწით დაფარულ დარბაზში მოწყობილ კათოლიკურ სამლოცველოში შთაგონებით გალობდნენ „ფრანგი“ ქართველი მანდილოსნები. ამ ცხრაკლიტულების ერდო-გვირგვინიან დარბაზებში, გადმოცემით, ზოგჯერ თითქმის მთელი სოფელი იყრიდა თავს, მოგზაური აშუღების პოეზიის ნიმუშების მოსასმენად. ერთი ასეთი, უკანასკნელი მესხი აშუღის ეთო დავლაშერიძის სიმღერებს, გვიან ღამემდე იწერდა მაგნიროფონზე მაშინ ფოლკლორის არქივის გამგე ბატონი ვარლამ მაცაბერიძე. ოთახში ტევა არ იყო. ექსპედიციის წევრებთან ერთად, ეთოს ქართულ, სომხურ და თურქულ სიმღერა-ბაიათებს სულგანაბული უგდებდნენ ყურს მისი ოჯახის წევრები და გაამაყებელი ტოლოშელი მეზობლები.

ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობის ფერმის ეზოში, მეგალითური კულტურის იშვიათ ძეგლს წავადექი თავზე. რამდენიმე-ტონიან ქვის მალალ, თითქმის სამი მეტრის სიმაღლისა და ორი მეტრის გარშემოწერილობის ფალიკური იერსახის სვეტს, სანთლის ნაღვენთივით სდიოდა ყვითლად მზინავი ცხიმის ნაკადები, რომელშიც ადგილობრივი უშვილო მანდილოსნების მიერ შეწირული ერბო და კარაქი ერთმანეთში არეულიყო. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც სოფელ უდეში თავშეყრილი ხალხის ნახვა იყო. სოფელში ხმა გავრცელოდა, რომ თბილისიდან ჩამოსულების ხელმძღვანელს ანუ მამაჩემს მათ სოფელში ოცდაათი წლის წინათ გადაღებული ფოტოსურათები ჰქონდა ჩამოტანილი. ჩვენს სამყოფს ზღვა ხალხი მოაწყდა იმის იმედით, რომ ომში და გადასახლების ღროს დაკარგული ან დაღუპული ახლობლების სურათს პირველად ნახავდა.

მას შემდეგ, მესხეთ-ჯავახეთში სამუშაოდ არაერთხელ ვყოფილვარ. ყოველთვის მამაჩემის ნაქონი ძველი, ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ 1930 წელს გამოქვეყნებული რუკა მიმქონდა. რუკაზე არსებული, მამას ხელით შესრულებული მინაწერების მიხედვით, 30-იან წლებში სოფელ ანაკეთში (19 კომლი) და სოფელ ჯოლოდაში (35 კომლი) ქურობები, ხოლო ფიაში (10-15 კომლი), ნარინმანლიში (30-35 კომლი) და ჩარხში (32 კომლი) „თურქები“ ცხოვრობდნენ. 1937 წლის ივლის-აგვისტოში მას რეგიონში მომუშავე ორი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე შეხვედრია, რომლებით, მისი ვარაუდით, გადასახლებული სოფლების სტატისტიკურ მონაცემებს ადგენდნენ.

1975 წლის აპრილში, ახალციხის მუზეუმის ხელაწერების ფონდში სამუშაოდ გამგზავრებისათვის ვემზადებოდი, რომ ახალციხესთან ახლოს, გზის შეკეთების დროს, უცნაურ-წარწერიანი გრანიტის მოწოდული ბლოკი იპოვეს მუშებმა და ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიიტანეს. მუზეუმის თანამშრომლებს ეჭვი გაუჩნდათ, წარწერა ლურსმული ხომ არ არისო და ეს ამბავი თბილისში ივ.ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიოსს გიორგი მელიქიშვილის შეატყობინეს. ახალციხეში გამგზავრების წინ, ბ-ნმა გიორგიმ მთხოვა, თუ საშუალება გექნათ, იმ ახლად აღმოჩენილი ქვის სურათი ჩამომიტანეთო. ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში, ქვას რამდენიმე სურათი გადავუღე, მაგრამ რადგანაც წარწერა ძნელად გასარჩევი იყო, თბილისში დაბრუნების დროისათვის მუზეუმის თანამშრომლებმა ორგინალის თაბაშირის ზუსტი ასლი დამიმზადეს. კარგად მახსოვს, როდესაც ბ-ნ გიორგის კაბინეტში შევედი და საკმაოდ დიდი და მძიმე ფილა მაგიდაზე დავუდე, შეშფოთდა: მუზეუმის ექსპონატი ხომ არ წამოიღეთო?! უცნაური არაბული წარწერა ხიდის მშენებლობის თარიღთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

შემდეგ, ჯავახეთში 1989 წლის ივლისში ვიყავი, ჩვენს ინსტიტუტში ჩამოყალიბებული საზოგადოება „ჯავახეთის“ მიერ ორგანიზებული მასშტაბური კომპანიის დროს. მაშინ თბილისიდან ჯავახეთის მიმართულებით ხელსაწყო-იარაღებით, საოჯახო ინვენტარით და მოწყობილობით, სამშენებლო მასალებით და კიდევ მრავალი რამით დატვირთული მანქანების სოლიდური კოლონა დაიძრა. მას რესპუბლიკის დიდი ორგანიზაციებისა და საწარმოების შენაწირი და თანამშრომლების მიერ შეგროვებული თანხებით შექმნილი საგნები უნდა ჩაეტანა იქ ახლად ჩასახლებული აჭარელი ეკომიგრანტებისათვის. მაშინდელი მოსკოვური სტატისტიკური მონაცემებით, ახალციხის რაიონის მოსახლეობის 47%, ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის 91,9% და ბოგდანოვკის ანუ დღევანდელი ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობის 91,1% ეროვნებით სომეხი იყო. მიუხედავად ამისა, ახალქალაქის ხელისუფლების ოფიციალურმა

წარმომადგენლებმა ჩვენს შესახვედრად გამართულ ბანკეტზე დიდი შემფოთება გამოთქვეს: ჩამოსახლებულები კურდღლებივით მრავლდებიან და დემოგრაფიული სიტუაცია არ შეცვალონ რეგიონში.

ამის შემდეგ, მესხეთში გერმანელ ეთნოლოგთან ახიმ შიბოლოთან, ხოლო 1991 წლის ივლის-აგვისტოში, განყოფილების დიდ ექსპედიციაში, შორენასთან ერთად ვიმუშავე. სულ ბოლოს კი მესხეთ-ჯავახეთი 2007 წლის აგვისტოში „ბლიც კრიგის“ სტილში მოვიარე. ეს მგზავრობა მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა. ახალციხეში მუსლიმანი მესხების ერთ-ერთ თავკაცს შევხვდი. მას ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „მესხეთის“ სიახლოვეს, პატარა სასადილო ჰქონდა გახსნილი მისი ბინის ერთ-ერთ ოთახში და მეუღლის დამზადებული გემრიელი კერძებით უმასპინძლდებოდა მომხმარებლებს, მათ შორის მეც. ის თურმე ჩემს ერთ-ერთ კალიფორნიელ სტუდენტს, სტივ სვერდლოვსაც კარგად იცნობდა. უკანასკნელი, დიდხანს მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციაში მუსლიმი მესხების პრობლემებზე, ჯერ კრასნოდარის მხარეში და მერე აშშ-ში.

იმჯერად, ახალქალაქშიც მოვახერხე ჩასვლა და იქაური ქართველების, სომხებისა და ეკომიგრანტების ახალი და ძველი მიწურბანიან საცხოვრებლებიანი სოფლებიც მოვინახულე. ბოლო დღეს ახალქალაქის ცენტრალურ ბაზარში შევედი იქაური ჭირნახულის სანახავად და რამდენიმე სურათიც გადავიღე, კოპწიად მილაგებულ დახლების შორის მოხეტიალემ. უცებ, რუსული კანფეტებით მოვაჭრე სომეხი ახალგაზრდა გადამიდგა წინ და სრულიად უმიზეზოდ, როგორც საქართველოს მთავრობის მიერ მიგზავნილ მსტოვარს, უშვერი სიტყვებით ყველას გასაგონად დამტვრეული რუსულით ლანძღვა დამიწყო. ეს ბიჭი უკიდურესად აღზნებული ჩანდა და ჩემს ნათქვამს არაფრად აგდებდა. ყოველმხრივ ცდილობდა, დანარჩენი მოვაჭრეებიც აეყოლიებინა, რომ სხვებთან ერთად დახლებს შორის როგორმე ჩავჭინბლე. უცებ, “მშველელად” მსხლებით მოვაჭრე ახალგაზრდა ეკომიგრანტი გამოტყვრა და ახლა იმან, უკიდურესად აგრესიულად, მშობლიურ ენაზე შემომიტირა: არაფრის მაქნისები ხართ, აგერ თურქეთის მთავრობა თითოეულ ოჯახს \$50,000-ს აძლევს, რომ ახალ ადგილზე ფეხი მოიკიდონო და ა.შ. და ა.შ. ნაკლებად სასიამოვნო სიტუაციას კიდევ ის ართულებდა, რომ ეს ახალგაზრდა აშკარად შიმშ აეტანა და ამიტომ თავდაუზოგავად მიტევდა: ვითომ მეც კანფეტების მოვაჭრის მხარეზე ვარო. ამ დავიდარებას, თავისი კიოსკიდან, რომლის ფარჯარაშიც სტალინისა და ჩინტიკოპიანი დედამისის კეკეს გადაყვითლებული სურათები იყო გამოფენილი, სომეხი მამაკაცი და მისი 16-17 წლის ვაჟი შეჰყურებდნენ. ამ ლანძღვა- გინებაში, როგორღაც, უნებურად, მათი თითქმის ცარიელი კიოსკისაკენ გადავინაცვლე, რასაც მამა-შვილი თავშეკავებული

ღიმილით შეხვდა. გულზე მომეშვა, უკვე რამდენიმე დღე კეთილგანწყობილ ღიმილს მონატრებულ ადამიანს.

22.02.17

სან-ფრანცისკო - თბილისი

შო და მე, ატლანტიკის ოკეანეზე, სხვადასხვა ავიაკომპანიის თვითმფრინავებით, ბარე ოცდაათჯერ მაინც ვართ გადაფრენილ-გადმოფრენილები. სამსახურების ცვლადი გრაფიკის გამო, შედარებით ნაკლებ-ფასიან ბილეთებს წინასწარ ვერასოდეს ვიღებთ. ამიტომ, წინ და უკან მგზავრობა, ლუკამდე პერიოდში, საშუალოდ \$4,500-\$5,000 გვიჯდება. ახლა ლუკას უკვე საბავშვო ბილეთი სჭირდება და ამიტომ ხარჯი ლამის \$1,000-ით გაიზარდა. სიძვირეს რომ თავი დავანებოთ, ჩვეულებრივ თითქმის 24-საათიანი მგზავრობა თავისთავად მეტად მომქანცველია, მით უმეტეს თუ გზაში გაუთვალისწინებელი რამე ხდება.

ერთხელ, შედარებით იაფფასიან ბილეთებს დავხარბდით და Air France-ის უზარმაზარ Airbus-ს პარიზისაკენ გავყევით. დასუნამოებული სტიჟარდესები და სტიჟარდები ყურადღებას არ გვაკლებდნენ, მაგრამ სანამ დე გოლის აეროპორტში თვითმფრინავი გზატკეცილის პარალელურ სარბენ ბილიკზე, ტერმინალ #2-ში, თავის ადგილამდე მიღოლდებოდა, ჩვენებური „აირზენა“ გაფრინდა.

იმ დღეს სატრანზიტო რეისებზე ბევრმა დააგვიანა. მესაზღვრეებთან არაამერიკელი მგზავრების დიდი ჯგუფის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ბოლო-ბოლო ავიაკომპანიამ სან-ფრანცისკოდან ჩამოფრენილებს სხვებთან ერთად უფასო ვანშამი და სასტუმრო შემოგვთავაზა. ძალიან ნაგვიანები ვანშამი მეტად მწირი და უგემური იყო, რის გამოც ყველა შეწუხდა. თუმცა ამას არავისთვის ხელი არ შეუშლია, რომ სასტუმროში გოგო-ბიჭებს ნამდვილი ნადირობა გაემართათ. გოცმებული შევყურებდით ეთნო-კულტურულად თუ რასობრივად განსხვავებული, შემთხვევის წყალობით ერთად შეყრილი, აღწნებული ახალგაზრდების ბლლარძუნსა და მოურიდებელ გარიგებებს: თუ დილამდე ვის ვისთან და როგორ უნდა „გაეტარებინა დრო“.

რამდენიმე მგზავრთან ერთად, სასტუმროდან გამოვედით და ლამის პარიზში გასასეირნებლად არაბი ტაქსისტი საზიაროდ დავიქირავეთ. ფუნსაცმელებისა და ტანსამოსის მაღაზიების შემდეგ, ინვალიდთა სასახლეს შევაკლეთ თვალი და ის იყო ეიფელის კოშკს მივაშურეთ, რომ პიპი მომინდა. ქუჩის ავტომატურ-კარიანი საპირფარშოს გასაღებად ხურდა არ აღმოგვაჩნდა. იქვე მდგარმა ახალგაზრდა კაცმა

„ეგრევე იყიდა“ რაშიც იყო საქმე და ფრანგული გაპრანჭული ჩეჩმიდან გამოსულ ქალიშვილს შესძახა: კარები დაიჭირე, არ დაიხუროსო.
„სენქიუ მადამ!!! სენქიუ მისიეს!!!“ ძახილით შევალაჯე ვერსალის სასახლესავით ბჟღვიალა ფეხსალაგში.

თხელ-კედლებიან იაფ სასტუმროში დაბრუნებულებს, ნომრიდან ნომერში მოწოდებულ თანამგზავრები დაგვხვდნენ. ორგია ძალას იკრებდა. აშკარა იყო, ძილს უნდა გამოვმშვიდობებოდით. მთელი ღამე არ წყდებოდა ჩურჩულ-ხითხითი და შეკვივლება-შეძახილები. გამთენიის ხანს კარებზე დაგვიკაკუნეს. ხელში ვახშამზე გაცნობილი პალესტინელი გოგო შემრჩა. კავალერების მიერ ღამის განმავლობაში მისთვის მიერთმეული ფრანგული სუნამოები მობოდიშებით მოგვიტანა: ძალიან ვდარდობ, რომ არ დაგაძინეთ; სულ ერთია, ამეებს სახლში მაინც ვერ გამოვაჩენ და თქვენ კი შეიძლება გამოგადგეთო. კარი მივუხურე თუ არა, უცნაური ძღვენი ნაგვის ყუთში ჩავუძახე. მეორე დღეს თბილისში როგორც იქნა ჯერ ვენისა და მერე პრალის გავლით მოვხვდით.

ლონდონის ჰითროუს აეროპორტით ფრენის დროს არანაკლებ რიგებსა და სირბილ-გაწამაწიაში გვიწევდა ყოფნა. თქმა არ უნდა, პარიზთან შედარებით იქ ყველაფერი საათივით იყო აწყობილი, მაგრამ აეროპორტის შენობებში მოქცეული ზღვა ხალხი რეალური დისკომფორტის შეგრძნებას ბადებდა. ერთხელ, ინგლისურ საბაჟოზე თბილისიდან გამოტანებული ხაჭაპურები დაგვატოვებინეს. „ქათმის გრიპის“ შიშის გამო, მაშინ სახლში გამომცხვარი რამის შეტანა აშშ-ში აკრძალული იყო. იმავე რეისზე, უკვე ნიუ-იორკში ნარკოტიკების მეძებარმა ძაღლმა ჩანთაში ჩაყრილი ვაშლებს მიაგნო და იძულებული გავხდით „დელისის“ მეტროსთან შექნილი თურამაშულები გაამაყებელი მესაზღვრისათვის დიდის ამბით გადაგვეცა.

უკვე ათ წელზე მეტია რაც ექსპერიმენტებს თავი მივანებეთ და ფრენა მიუხეხნის გავლით დავიწყეთ. იქაურ აეროპორტში ნამდვილად გერმანული წესრიგი სუფევს, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესების უმრავლესობაში არაგერმანელები მუშაობენ. ჩვეულებრივ, საღამოს 9-10 საათზე სან-ფრანცისკოდან გამოფრენილები, მიუხეხნში 11.5 საათის შემდეგ, ადგილობრივი დროით დღის 4-5 საათზე ჩავდივართ. აეროპორტში 4-5-საათიანი ცდისა და სამსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ, გათანგულები ბოლოს თბილისის დროით ღამის 3-4 საათზე უკვე მშობლიური საბაჟოს პასპორტების შესამოწმებელ რიგში ვდგებით. უკანა გზაზე, 4-5 საათი ვითომ ვისვენებთ (საუზმე+შხაპი+ძილი+სადილი) მიუხეხნის აეროპორტის მახლობლად ქალაქ ფრეისინგის „დორინთ“ ჰოტელში, რომელიც ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო კარგავს წინანდელ პეწს.

ერთხელ თბილისში შოს გარეშე გავფრინდი და თითქმის 11-კილომეტრიან სიმაღლეზე საშინელო ტურბულანსში მოვხვდი. სამსაათიანი ძიგძიგ-ნჯღრევა თვითმფრინავს თითქმის გარდაუვალი დაშლით ემუქრებოდა. რყევა-ტორტმანით შეღონებული, ყოველთვის მომღიმარი მომსახურე პერსონალი, მგზავრებს თვალს ვერ გვისწორებდა. თავჩალუნული სტიუარდესები თითქოს მიეჯაჭვნენ სალონებში მათთვის გამოყოფილ სავარძლებს. ჩემს გვერდზე მჯდომ 18 წლის ბოსნიელ მუსლიმ ყმაწვილთან ერთად ღმერთს ხსნას შევთხოვდი. ამავე დროს, ორივენი ძალიან კმაყოფილები ვიყავით, რომ იმჯერად მას დედამისთან, მე კი შოსთან ერთად არ მოიწია მგზავრობა. ამ გაუთავებელი აღმა-დაღმა ავარდნა-ჩავარდნის დროს, როგორღაც მოვახერხე კისრის მიტრიალება და ფანჯარაში გახედვა. მინდოდა კიდევ ერთხელ შემემოწმებინა, ისევ მრავალრიცხოვანი ქედებით დაპუჭპუჭებული უკაცრიელი მთიანეთის თავზე მივფრინავდით თუ ბოლოს და ბოლოს თვითმფრინავის დასაჯდომად ვარგისი მიწა გამოჩნდა. უცებ, რაღაცამ ჩემი რიგის იქით და ცოტა უკან მჯდომი ხანდაზმული წყვილისაკენ მიმატრიალა. ნამდვილი სასწაული ვიხილე: ამ ალიაქოთში, ფრანგულად მოქლურტულე ჭაღარა ქალი და კაცი კარტს გატაცებით თამაშობდნენ! ჯერ ვიფიქრე, ასაკის გამო ვერ ხვდებიან რა უბედურ დღეში ვართ ჩავარდნილებითქო. მერე ვეღარ მოვითმინე და გავძახე - მიკვირს ასეთ სიტუაციაში „ოლიმპიურ სიმშვიდეს“ როგორ ინარჩუნებთ მეთქი. „თანამედროვე თვითმფრინავებს ტურბულანსი ვერაფერს აკლებსო“, პასუხად გამომძახა მამაკაცი და ღრჭიალ-გრიალში თამაში განაგრძო. მისმა სიტყვებმა არა მარტო მე და ბოსნიელს, არამედ ყველა დამუნჯებულ ადამიანს იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა და გათამამებული ხალხი უცბად აყაყანდა. მიუნხენში მშვიდობით ჩასული მგზავრები ხანდაზმულ კანადელებს მაღლიერით ღიმილით გამოემშვიდობნენ. ლოუკა ერთი წლის იყო, როდესაც ატლანტიკის ოკეანე წინ და უკან დედიკოს მკერდზე ქამანდებით მიკრულმა გადალახა. სტიუარდესამ საბავშვო ლოგინი ჩვენი სავარძლების წინ კედელზე დროულად დაამაგრა, მაგრამ დიდი ცდის მიუხედავად, ლოუ მასში ერთი წუთითაც კი არ გაჩერებულა. ადრე თუ შო ოკეანის თავზე ფრენის დროს ღამეებს ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე, ხან მეოთხე გამოსაცემი წიგნის ტექსტების მომზადებაში ათევედა, ახლა ხელოში სულო მძინარე ლოუკა უჭირავს, დედიკო თუ ახლოს არის, მე არ მეკარება და ცალი თვალით „თრილერის“ ყურებას მაინც ახერხებს.

გასულ ზაფხულს, სან-ფრანცისკო-მიუნხენის გადაფრენით გადაღლილმა უკვე ორი წლის ლოუკამ, მიუნხენი-თბილისის ფრენის ბოლო მონაკვეთში, უშუალოდ მიწაზე დაშვების წინ, საკუთარ სკამზე ჯდომაზე მტკიცე უარი თქვა, რითაც უფროსი სტიუარდესა კინალამ მოთმინებიდან გამოიყვანა. მხოლოდ თანამემამულეების თანადგომით შევძელით ბავშვივით გაჭინჭყლებული „ფრაუს“ დაყოლიება იმაზე,

რომ თბილისის აეროპორტში დაშვების დროს ლუკა დედიკოს სავარძლის ქამანდეზზე მიკრული ყოფილიყო. აეროპორტში ჩასულებმა ლუკს მამიდა და გია დავლანდეთ და ეს უსიამოვნო ეპიზოდი სულ გადაგვავიწყდა.

ადაპტაციისათვის, ხმაურიან თბილისში ორი, ხოლო სოფელივით წყნარ ბერკლიში ერთი კვირა მჭირდებოდა. წელს ეს რიტმი თბილისში ქუჩის ჩვენი მონაკვეთის არნახულმა, მეტად ხმაურიანმა და მტვრიანმა სადღეღამისო, წინასაარჩევნო სამუშაოებმა დაარღვია. თითქმის მთელი თვენახევრის განმავლობაში, ნორმალურად არ გვიძინია. ივლის-აგვისტოს თაკარა მზემ, გაუსაძლისმა გამონაბოლქვმა და მანქანების განუწყვეტელმა ხმურმა მე და შო სერიოზულად დაგვაფიქრა. იმედია, მომავალში, ღვთის წყალობით, შვებულების ნაწილს მაინც სადმე უფრო მყუდრო ადგილას გავატარებთ.

22.02.17

„მასოვკაში“

დედას ამბავი დიდი ტრამვა იყო ყოველი ჩვენთაგანისათვის. სამწლიანმა შიშნარევმა დარდმა და შემდეგ მძიმე გლოვამ ბევრი რამე შეცვალა. ამიტომ, სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლად 28 თბილისელ აბიტურიენტთან ერთად, მოსკოვის უნივერსიტეტის იაპონეთმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოსთვის გამოყოფილ ორ ადგილზე ჩავაბარე და სხვა 18-19-ქულიანი ბიჭებივით, ჯარში გაწვევაზე თავის არიდების მიზნით, თსუ-ს დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტის ინგლისური ენის განყოფილებაზე აღმოვჩდი. იქ მართალია ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე, მაგრამ დღენიადაგ მხოლოდ გოგონების გარემოცვაში მყოფმა სწავლას გული ვერ დავუდე და მეორე კურსიდან, ისევ ყოველგვარი წინასწარი გეგმის გარეშე, თავი უკვე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ამოვყავი.

პირველ კურსზე, ინგლისური ენის ჯგუფში, ჩემს გარდა მხოლოდ ერთადერთი ბიჭი იყო. ოთოს მამა მაშინ კინემატოგრაფის სახელმწიფო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მეუღლის თხოვნით, მან ოთო და მე ერთ-ერთი გადამღები ჯგუფის „მასოვკაში“ ჩავვართო და საზაფხულო არდადეგების დროს ჯერ მოსკოვის V საერთაშორისო კინოფესტივალზე, ხოლო შემდეგ ესტონეთში ფილმის გადაღებაში მონაწილეობის მისაღებად გავვაგზავნა.

მოსკოვში ჩასულებმა, ფესტივალის სხვა სტუმრებთან ერთად კრემლის სიახლოვეს ახლახან აშენებულ სასტუმრო „როსიაში“ დავიდეთ ბინა. თანაკლასელო ბიჭებთან ერთად მოსკოვში ადრეც ვიყავი ნამყოფი. მაშინ მეტრო „ოკტიაბრსკაიასთან“ ახლოს, შაპოვლოვკაზე, კერძო ბინაში

ვცნობდით და მეზობლად მცხოვრები გოგონები დროდადრო კინოში დაგვყავდა. ერთხელ, სწორედ ამის გამო, უბნის „ნათვა“-სთან კონფლიქტი მოგვივიდა. მაშინ „შტანგა-ტურნიკზე ნაკაჩავებმა ბრატუხებმა“ სამი თბილისელი ბიჭი მჭიდრო რკალში მოგვაქციეს და ის იყო ჩვენი გეგმაზომიერი დამუშავება უნდა დაეწყოთ, რომ შიშისაგან საქციელწამხდარმა თანაკლასელმა ჩინური ჯაყვა გახსნა და „საომარი პოზიცია“ დაიჭირა. რეაქციამ არ დააყოვნა: სლაკების „კოდლის“ ლიდერი უცებ წინ გამოვიდა და ტკეპნა-ტკეპნით მოგვმართა: „Ну-ну, хватит трепаться! Давайте ребята дружить!-ო. ახლად გაცნობილ ბიჭებთან ერთად, გვიან ღამემდე ვისხედით კორპუსებს შორის „ბაბუშკების“ მაგიდის გარშემო და ერთადერთი ჭიქით ვცლიდით გამვლელი ტაქსისტებისაგან შექენილ არყის ბოთლებს. „როსიაში“ და ყრილობათა სასახლეში სულ სხვა სიტუაცია იყო. სახელგანთქმული მსახიობებისა და რეჟისორების ხილვა ჩვეულებრივ ამბად გვექცა. ზოგს ფილმების ჩვენებებს შორის შესვენებებზე ხიზილალიანი ბუტერბროდების ასაღებად ბუფეტების უზარმაზარ რიგებში დგომის დროს და ზოგს კი სასტუმროს ლიფტში თუ ფოიეში მოკვრავდით თვალს. სწორედ ყრილობათა სასახლეში, სხვა მრავალ უცხოურ ფილმთან ერთად ვნახე სტენლი კრამერის „It’s a Mad, Mad, Mad World“, ლეონარდ ბერნსტეინის „West Side Story“ და რობერტ მულიგანის „Up the Down Stair Case“. უკანასკნელში, ახალგაზრდა მასწავლებლის როლს კინოფესტივალის საუკეთესო ქალი მსახიობის წოდების მქონე სანდი დენისი თამაშობდა.

ჩემთვის პირველ ევროპულ ქალაქში, ტალინში, სრულიად უკაპიკოდ ჩავედით. სასტუმრომდე და ე.ი. გადამღები ჯგუფის ბულალტრამდე მისაღწევად, ავტობუსის მძღოლს მზის სათვალე ვაჩუქე. სამაგიეროდ, შუახნის კაცმა მისი აზრით ახალგაზრდებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა: ამ ქალაქში ერთადერთი ქალწული პორტში გამოქანდაკებული ქალთევზაა და კიდევ, სულ მალე, 23-24 ივნისის, წმ.იოანეს დღეს, ღამით ტყე-ტყე შიშველი ქალიშვილები დაიწყებენ სიარულს, რათა ტრადიციისამებრ ნებისმიერ მამრთან დაწყვილდნენო. თავს დაკვებ, რომ ჩვენი სასტუმროს ახლოს მდებარე ტყე-პარკში არაფერი მსგავსი იმ ღამეს მაინც არ მომხდარა. იქ ჩასაფრებული „მასოკის“ ბიჭები თითქმის გათენებამდე ველოდეთ ტიტლიკანა გოგონების გამოჩენას.

„მასოკის“ წევრები ხან სამხედრო ტყვეები, ხან გერმანელი სამხედროები ვიყავით. ამიტომ ხან ჩვენ „გვხვრეტდნენ“ ან ჩვენ „ვხვრეტდით“ დანარჩენებს. ერთხელ, ნამდვილი გერმანელი ოფიცრების მუნდირებში გამოწყობილებმა და ნამდვილი გერმანული ავტომატებით შეიარაღებულებმა, მე და ერთმა ნიჭიერმა დამწყებმა მსახიობმა, ომისდროინდელი გერმანული სამთვლიანი მოტოციკლით უკაცრიელ სანაპიროზე მოწყობილი გადასაღები მოედნიდან ესტონურ

სოფელში გადავუხვიეთ და იქაური მაცხოვრებლები პირდაპირი ილუზიები დავტოვეთ. მალე, ღამდამობით, გერმანული ოფიცრების ფორმებში გამოწყობილმა ბიჭებმა, ადგილობრივი გოგონების თხოვნით, „სვიდანებზე“ ასე მორთულ-მოკაზმულებმა დაიწყეს სიარული, ხოლო ერთი მათგანი ისე შეიჭრა როლოში რომ სკოლის ეზოში შეკრებილ ბავშვებს ხუმრობით სროლა აუტენა. რეჟისორმა ის „ხუმარა“ იმავე დღეს თბილისში დააბრუნა.

ტალინში მეც სხვებივით ერთ გოგოსთან ვმეგობრობდი, რომელმაც, ერთხელაც, არც აცია და არც აცხელა, გაბრაზებულმა განმიცხადა: წინა დღეს რომ არ მოხვედი კინოთეატრთან, ღამით სრულიად უცხო, მაგრამ ძალიან სიმპათიურ ადამიანს შევხვდიო. თქმა არ უნდა, ამით ყველაფერს წერტილი დაუსვა. თბილისში დაბრუნებულს, „პავესტკა“ დამხვდა: ერთი ტალინელი სტუდენტი ქალიშვილის გამო, სამედიცინო შემოწმება უცილობლად უნდა გაიაროთო! БСМЭ-ს (Большая Советская Медицинская Энциклопедия) თავგადაკლული მკითხველს, ელდა მეცა. თუმცა ანალიზებით მალევე გაირკვა, რომ სწორედ ის „სრულიად უცხო, ძალიან სიმპათიური ადამიანი“ ანუ ცნობილი „მექალთანე“ იყო ნამდვილი „პრობლემა“ და რომ ყველაფერი სწორედ იმ „One Night Stand Sex Date“-ის დროს მოხდა.

ჩვენს სასტუმროში ორი სვერდლოვსკელი ახლოაზრდა, აყლაყუდა და „პუჭურა“ ვიქტორი ცხოვრობდა, ცხოვრობდა კი არა „უმაგრეს დროს ატარებდა“. ქალაქის ცნობილი ბარებისა და რესტორნების მუდმივ კლიენტებს ფული ჩეკივით ჰქონდათ, რადგან ვალუტით ვაჭრობდნენ. შაბათ-კვირას, „მშრალ კანონზე“ გადასული, შვეციიდან გემით ტალინში დასალევად ჩამოსული ტურისტებს ვალუტის, ძვირფასეულობის, ტექნიკისა და ტანისამოსის სანაცვლოდ, საბჭოთა ფულის ნიშნებით და დასალევით ამარაგებდნენ. მაშინ ოფიციალურად ინტურისტებს მხოლოდ \$25 თუ \$30-ის ტოლფასი შვედური მარკების გადახურდავების უფლება ჰქონდათ, რაც მშვიერ-წყურვალ ხალხს არაფერში არ ყოფნიდა. ამიტომ იყო, რომ ვიქტორების ბიზნესი ყვაოდა: მარტო სამ-სამ მანეთად ანუ ერთი ბოთლი არყის ფასად შეძენილი შვეიცარული საათებით, დიდძალ ფულს აკეთებდნენ. ოღონდ ის იყო, რომ ციმბირელ ძმაკაცებს ერთი სერიოზული პრობლემა ჰქონდათ: არასოდეს იყვნენ დარწმუნებულები თუ მომდევნო ღამეს კომფორტულ სასტუმროსა თუ ციხის „ნარებზე“ გაატარებდნენ. ამის გამო ცდილობდნენ, რომ ხელზე არასოდეს არ ჰქონოდათ \$50-ზე მეტი, რათა ციხეში მეტისმეტად დიდი ხნით არ ამოეყოთ თავი. უკვე ბრეჟნევის ეპოქაში, მგონი იმავე თანხაზე „ვალუტჩიკების“ დახვრეტის კანონი შემოიღეს. ამის გამო ქალაქში მუშაობის დროს სვერდლოვსკელები ვალუტას ხელის დამცლელების საშუალებით თავიდან იცილებდნენ და სანდო პირებთან ინახავდნენ.

ერთხელ ასეთი სანდო პირის როლში შემთხვევით მეც აღმოვჩდი, როდესაც აღელოვებულმა აყლაყუდამ სასტუმროს კორიდორში სირბილით გვერდზე ჩამიქროლა და მისგან ნაყიდი „აქლემის ბეწვის ქსოვილისაგან“ შეკერილი ამერიკული პიჯაკის უშველებელ ჯიბეში რაღაც ჩამიტენა. იმავე საღამოს, ციმბირელები დააპატიმრეს. ასე, მოსალოდნელი მძიმე სასჯელი, ჩემდაუნებურად, სვერდლოვსკელებს საკმაოდ ბევრი შვედური კრონით შევუმცირე.

მაღე მე და ოთო მოსკოვში დავბრუნდით და შაპოლოვკაზე ბინა ვალუტით ვიქირავეთ. რვა დღის განმავლობაში, ციმბირელების ნაშოვნს ვჭამდით და ვსვამდით; ტაქსისტებსა და ოფიციატებს ვალუტით ვუხწორებდით ანგარიშს, რადგან ფულის უკან დაბრუნებაზე ან გადახურდავებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. საბჭოთა მანეთები კი ჩვენ უკვე აღარ გვექონდა. გორკის ქუჩაზე, იმ დროს მეტად მოდურ „KM“-ში („Кафе Молодежная“), ერთმა ყმაწვილმა „ანგარიში გაგვიწია“ და „ბითლოზების“ ფირფიტის ყუთში ჩადებული გერმანული ენის გაკვეთილები ძალიან „იფად“ და „საიდუმლოდ“ მოგვყიდა. ფირფიტა საქაღალდიდან ამოვიღე თუ არა, იმ სიმპათიური თაღლი თის ალი-კვალი სადღაც გაქრა. გამიგონია, რომ მსგავსი რამ მოსკოვში სტუმრად მყოფ არაერთ ადამიანს შემთხვევია. ერთ-ერთ მათგანს, იქ მივლინებით ჩასულ მკვლევარს, „გუმში“ ანუ ქალაქის ცენტრალურ უნივერსიტეტში, ვითომ „სპეკულიანტმა“ გაზეთში შეხვეული მარვლის ცალი ტოტი მიჰყიდა თურმე, როგორც შემდეგ მისმა მეუღლემ სიცილით გამანდო. ასეთი თავგადასავლები ყოველთვის მაგონებს რევოლუციამდელი ჟურნალისტის ვლადიმერ გილიაროვსკის მიერ შესანიშნავად აღწერილი პოპულარული მოსკოვური ბაზრის "ნიტროვკის" პერსონაჟებს.

შვედური კრონების ნარჩენებით, „ბერიოზკაში“ ამხანაგებისათვის პასტის უცხოური კალმები შევიძინეთ, რომლებზედაც გამოხატული ლამაზმანები ხან შიშვლოდებოდნენ და ხან იმოსებოდნენ, იმისდა მიხედვით თუ კალამს საითკენ გადახრიდით. იქვე ვიყიდე ბეწვის „უშანკა“, რომელიც შემდეგ, წლების განმავლობაში, უჩემოდ მოგზაურობდა რუსეთში „Шапка Мономаха“-ს ფსევდონიმით, ახლო ნაცნობ-მეგობრებთან ერთად. ბოლოს, ამ ნადავლითა და თავზე გადახდენილი ამბებით დატვირთულმა, ოთოსთან ერთად თბილისისაკენ გამოვსწიე.

27.02.17

სადალაქო

მე და გ.დ-ს ბავშვობიდანვე ერთი დალაქი გვკრიჭავდა. ჯერ კუმისელი კოლა, მერე წყნეთელი ალექსა, შემდეგ სოღანლოუღელი ტარიელა და სულ ბოლოს, როდესაც ადრიანად გამელოტებულეებს თავზე დიდი საკრეჭ-საწვალეული არც არაფერი შეგვრჩა, ჩვენს საპრიკმახეროში საიდანღაც გადმოყვანილი, „მეორადი“ ქართულით მოლაპარაკე უშანგა. უკანასკნელს, საუბრების შემტევი სტილის გამო, „კუჭატნელი“ შევარქვი. თბილისში ბოლოს ჩასულმა რომ ვნახე, მისი ძველი კოლეგების ამბავი ვკითხე. პენსიაზე კარგა ხნის წინათ გასული კოლა, რატომღაც, ღვარძლიანად მოიხსენია: აბა, ვახოჯან, თავისთავად ნახე, კაცი რო „ლიჩნი“ გვარს გამოიცვლის, იმას როგორღა უნდა ენდოო. მივხვდი, რომ მათ შორის შავ კატას ჰქონია ჩარბენილი და მეოთხედი საუკუნის წინათ გამოცვლილი გვარი აქ არაფერ შუაში იყო.

ამ ოთხეულს ჩვენი სამეზობლო კი არა თითქმის მთელი ვაკე კარგად იცნობდა და პირუკუ. მეზობლის შესახებ თუ რამის გაგება გაინტერესებდა, ერთ-ერთი მათგანისათვის უნდა დაგესვა შესაბამისი კითხვა და პასუხს დაუყოვნებლივ მიიღებდი. მათ შორის, ყველაზე პოპულარული, მაინც, საპრიკმახეროს გამგის ფუნქციის შემთავსებელი ენაწყლიანი კოლა იყო. ეს მართლაც კარგი ოსტატი ზოგჯერ შეუძლოდ მყოფ მდიდარ კლიენტებს სახლშიც ეახლებოდა ხოლმე და ამაში, მისი თქმით, კაი გასამრჯელოსაც, ხუთ მანეთს იღებდა. სკოლის პერიოდში სწორედ მან მთხოვა მამაჩემისთვის როგორმე შემეხსენებინა, რომ უკვე გავიზარდე და გასაკრეჭ თანხას ცოტას კიდევ თუ წაუმატებდა, ურიგო არ იქნებოდა. დალაქებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ თუ უბანში ვისი ოჯახი რითი ირჩენდა თავს და ამითომ ფასების საკმაოდ მოქნილ პოლიტიკას ატარებდნენ. როდესაც საპრიკმახეროში ახალგაზრდა და გამოუცდელი ტარიელა გამოჩნდა, რიგში მდგომთაგან არავის უნდოდა მის სავარძელზე დაჯდომა. მამას უქმად მყოფი ტარო შეეცოდა და ერთხელაც წვერი გააპარსინა, მაგრამ ვაი იმ გაპარსვას. ეგ ბიჭი სამართებელს თოხივით იქნევს, დალაქობა აშკარად მაგის საქმე არ არისო, გვითხრა სახლში შემობრუნებულმა დასისხლიანებულმა მამამ.

როგორც ყველა საპრიკმახეროში, იქაც ქალაქური ცხოვრებისა თუ „ფოლოკლორის“ ბევრ ახალსა თუ ძველ ფაქტს ეზიარებოდა გასალამაზებლად შესული ადამიანი. თუმცა, ამ მხრივ, ბარნოვის ქუჩის დალაქები ჩემი მეუღლის ბერკლეო, არქიტექტორ ჯულია მორგანის მიერ აშენებულ „სიტი კლაბში“ ჩაბუდეებულ ლაქლაქა „ჰეარ ღრესერთან“ შედარებით, ყრუ-მუნჯები არიან. ეს კონსევატორი მამაკაცი აშშ-ს დასავლეთის ცენტრალური შტატების მიყრუებულ

დაბაშია დაბადებულ-გაზრდილი და თითქმის ყველა საუბრის დროს მის გეი-დ ჩამოყალიბებაში მეტისმეტედ მკაცრ მამამისს და სმის მოყვარულ ფერმერებს შორის ხანგრძლივად ცხოვრებას აბრალებს. ოჯახური ფასეულობების თავგადაკლული დამცველი, ერთსა და იმავე ადამიანთან უკვე თითქმის ორ-ათეულ წელზე მეტია ცხოვრობს და უკვირს თუ რა ადვილად იცვლიან პარტნიორებს მისი ნაცნობი ახალგაზრდები.

„გრემი“

სტუდენტობის ხანის ჩვენი დედაქალაქის ჭრიჭინა ინფრასტრუქტურაში მომსახურე პიროვნებებიდან, კიდევ რესტორან-დუქნების ოფიციალტებმა დამამახსოვრეს თავი. „ინტურისტის“ სარდაფში ოდესღაც არსებული რესტორანი „იუჟნი“, 60-იან წლებში რუსთაველის 800 წლისთავის იუბილისათვის რესტორან „გრემად“ გადააკეთეს. იქ თანაკურსელი მეგობრები სტიპენდიის აღების დღეებში თავს ვიყრიდით. თითქმის ყოველთვის ცარიელ დარბაზში, მოწყენით მჯდარი, შუა ხანს გადაცილებული ნაცნობი მიმტანი, მიშა ანუ მოშე, ჩვენი ჯგუფის დანახვაზე უმალ დატრიალდებოდა ხოლომე და შეკვეთის გარეშე, ცხელი კერძით, „ჩიჟიპიჟით“ ან ცხვრის ხორციით დამზადებული „ჩანახით“, შემწვარი კარტოფილით, მწვადებით, სალათითა და #8 ღვინით იწყებდა ჩვენს დაპურებას. ისეც მომხდარა, რომ ანგარიშწორების დროს, სათანადო თანხისათვის ვერ მოგვიყურია თავი და მოშეს ღიმილით დავუწყნარებდით: „არა უშავს, სხვა დროს იყოსო“. წლების შემდეგ, ძველი „იუჟნივით“ დაჩიავებულ „გრემში“ მოვხვდი. აღარ მახსოვს, რატომ და ვისთან ერთად. ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა, რომ ცარიელ დარბაზში ისევ კლიენტების მომლოდინე მოწყენილ მოშეს მოვკარი თვალი. ერთმანეთი დიდი ამბით მოვიკითხეთ. ისრაელში მეგონე წასულითქო, ვუთხარი. „რიჟა“, შენ და შენს მეგობრებს გელოდებოდით და აბა როგორ წავიდოდით, ღიმილით მომიგო.

ჩვეულებრივ, „გრემის“ შემდეგ, მეორე დღეს, თანამოდინახეები, დილაუთენია, ჯერ კიდევ უტრანსპორტო და ცარიელ ქალაქში ფეხით მივბორიალობდით ელბაქიდის დაღმართისაკენ და რესტორან „ყაზბეგის“ ნივრისა და არყის სუნით გაჟღენთილ სარდაფში ახლა უკვე მოხუც იოსკას რძეში მოხარშულ ორმაგ ხაშსა და 100-100 გრამს ვუკვეთავდით.

სწორედ ასეთ დღეებში სახლში დაბრუნებული, „გატანჯული“ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ზოშჩენკოს სტილში კომიკური მინიატურების წერით ვიქცევდი თავს. „Иногда выходишь на улицу с каким-то необыкновенным чувством, с чувством превосходства над

другими, и смотришь на людей окружающих тебя как на экспериментальных кроликов. Странное чувство, не правдали?! Смотришь на всех и на все с высока! Так было и в то утро. Но, Хвала Господу Богу, до начало лекции по политэкономии нежданно-негаданно вдруг подкотила знакомая зайчиха и в вес голос прокричала прямо мне на ухо: „Что это с тобой сегодня! Выглядеши как настоящий самоуверенный болван! Самодур какой-то! Уже своих не узнаеш, что-ли?!“ Со мной произошло то что происходит с покрывкой когда в нее втыкают гвоздь. Но собрав последние силы, как ни в чем не бывало, взял под ручку зайчиху и начал страстно объясняться в любви“.

სასწრაფო

ელბაქიდის დაღმართის ქვემოთ, ე.წ. „კალიუჩაია ბაღკის“ ახლოს, მტკვრის სანაპიროზე, ქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მთავარი სადგური იყო. იქ ღამის სკოლის პერიოდში სტაჟის დასაგრძობლად თითქმის წელიწად-ნახევარი ვიმუშავე და ბევრ პერსონაჟს ანუ მკვეთრად ჩამოყალიბებულ ხასიათს შევეყარე. იქ სტაჟის გამო სხვა ბიჭებიც მუშაობდნენ, ასე რომ უფროსი თაობის სანიტრებს, ექთნებსა და ექიმებს საკმაოდ ბევრი შეგირდი ჰყავდათ. ჩემი მთავარი მოვალეობა, 24 საათის განმავლობაში, ანუ სადღეღმისო მორიგეობების განმავლობაში, ავადმყოფების საავადმყოფოში საკაცით გადაყვანის დროს ექიმისა და ექთნის დახმარება და მედიკამენტებითა და მოწყობილობებით სავსე ხის დიდი ყუთისა და ჟანგბადის ბალიშების ტარება იყო. გარდა ამისა, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის პერსპექტიულ აბიტურიენტს, ბელოგიელი სომხების ჩამომავალი ნადია ექიმი ჩვეულებრივ ექთნის მოვალეობასაც მასრულებინებდა, პაციენტებისათვის სხვადასხვა სახის ნემსების გაკეთების უფლებას მაძლევდა. მისი ეშნიანი ქალიშვილის ყოველი გამოჩენა, სასწრაფოს ბიჭბუჭებში ყოველთვის საკმაოდ ემოციურ კვალს ტოვებდა. ნადია გულახდილად ცდილობდა ჩემს პატრონობას, რის გამოც დედაჩემი მისი დიდი მადლობელი იყო.

სასწრაფოს სადგურის სხვა პერსონაჟებს შორის, ყველაზე მეტ დროს სამორიგეო დარბაზში მომდევნო გამოძახების მომლოდინე ტანტ-ლოგინებზე წამოწოლილ სანიტრებთან ვატარებდი. იქაურებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხუმრობა-ღლაბუცისა და ნიძლავების დიდი მოყვარული, ენაწარე შინდისელი, კოჭლი ადამა. ის დროდადრო თსუ-ს სტუდენტებს მოხარშული წაბლის აკიდობებითაც ამარაგებდა. ერთხელ, ღამით ხანგრძლივი გამოძახებიდან დაბრუნებულს, ბიჭებმა ახალი ამბავი დამახვედრეს: ადამამ იონას კუებაშიც მოუგოო. ტანტზე წამოწოლოლმა, თავისი მოკლე ფეხი რომ

ასწია, ტყვიამფრქვევივით აკაკანდა და მეედნელმა იონამ ეგრევე აღიარა, რომ ეს „მაზიანიც“ სუფთად წააგოო.

ადამასაგან მეტად განსხვავდებოდა სულ ჩაფიქრებული „ბარიგა“ ვანო. ის სამსახურში გაკრიალებული შოკოლადისფერი „ვოლოგით“ დადიოდა. ვანო სანიტრად მხოლოდ იმიტომ მუშაობდა, რომ იმხანად პოპულარული კანონით, „ტუნიაცობის“ ანუ უსაქმურობის მუხლით ციხეში არ ჩაესვათ. ის სულ ვაჭრობდა; ხან მოდურ გაზის სანთებლებს, მზის სათვალეებს, ფეხსაცმელებს, მანქანის ნაწილებსა და კიდევ ათას რამეს ყიდულობდა და ჰყიდდა. ღმერთმა უწყის, შეიძლება ეს ადრინადად დასერიოზებული ბიჭი ერთ-ერთი თბილისელი მილიონერი, ან ვითარების შესაბამისად, მაშინდელი სასჯელ-გამოსასწორებელი დაწესებულებების „ზავსეგდატელი“ გახადა.

ერთ დღეს, სასწრაფო დახმარების რამდენიმე ბრიგადა ვარაზის ხევში გადავარდნილი და რამდენჯერმე ყირაზე გადასული „ვოლოგის“ მგზავრების გადასარჩენად გაგვავზავნეს. მძიმედ დამტვრეული ახალგაზრდა კაცი და მისი თანამგზავრი ქალები ხევიდან რის ვაივაგლახით ამოვიყვანეთ და ქალაქის იმჟამად ერთადერთ მორიგე საავადმყოფოში, „მიხაილოვში“, გადავიყვანეთ. მისაღები უამრავი პაციენტებით სავსე დაგვხვდა. გადაუდებელი ავადმყოფების მოვლით დაკავებულმა ექიმმა და ექთნებმა მე და ჩემს იმჟამინდელ მეგობარ პავლიკას გვთხოვეს, დამტვრეული ბრგე კაცისათვის ტანისამოსი მაკრატლით ფრთხილად შემოგვკვტრა, რათა დაზიანებული ადგილების დათვალიერება უფრო ადვილად შეძლებოდათ. დავალეხა შევასრულეთ და მიღებული წესისამებრ შარვლის ჯიბეები ისე შევაჭერთ, რომ შიგთავსი, ახალთახალი ასმანეთიანები და ორმოცდაათმანეთიანები არსად გაბნეულიყო. სამწუხაროდ, ის კაცი მალე გარდაიცვალა, ხოლო ოჯახმა ფულზე უარი თქვა. მოკლე ბეწვის ქურქებში გახვეული თანამგზავრები კი ნაკაწრის გარეშე გადარჩნენ და საავადმყოფოს მიმღებიდან შეუმჩნევლად გაიპარნენ. ეს ამბავი ქალაქს სწრაფად მოედო და მთელი კვირა, ჩემი და პავლიკას „დასაკითხად“ და „ჭკუის დასარიგებლად“, ათასი მილეეთის ხალხი მოდიოდა სასწრაფო დახმარების სადგურში: ამოდენა ფული მილიციას რატომ ჩააუგდეთ ხელში, თქვე ასეთებო და ისეთებო, ხომ ხახვივით შეგრჩებოდათო; ან ის გოგოები ხო მართლა შიშვლები იყვნენო და ა.შ.

იმავ დღეს, მიხაილოვის საავადმყოფოს პროზექტურაში შემთხვევით შევიხედე, რადგან გაჭივრებაში მყოფი ადამიანის გმინვა შემომესმა. კონსტიტუციის ქუჩაზე ტრამვაის მიერ გატანილი და შემდეგ კარგა ხანს ნათრევი რუსი „ბოსიაკი“ აღმოჩნდა. საშინლად ცხვირპირდაზიანებული და უგონოდ მყოფი, გარდაცვლილი ჰგონებია სხვების მოვლა-ზრუნვაში გართულ მორიგე ექიმს და მორგში გაუმწესებია. უნებლიე „ლაზარე“, მიხაილოველმა კოლეგებმა

ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე სასწრაფოდ გადააცუნცულებს საოპერაციოში.

სპორტი

ისე მოვალწიე ამ ასაკამდე, რომ ფეხბურთი არასოდეს მითამაშია. ბავშვობაში, მოუწესრიგებელი მტვრიან ქუჩაში ჩემს გაშვებაზე დედა ყოველთვის უარზე იყო. ამიტომ, ორმოვებითა და გუბეებით დაფარულ უასფალტო ბარნოვის ქუჩაზე მობურთალო ბავშვებსა და მუდამქამ „კლასობანას“ მოთამაშე დაიკოს აივნიდან ვუთვალთვალე. შემდეგ უკვე სკოლაში შესულს, თანაკლასელები ფეხბურთის „არმცოდნეს“, „ლიონი გრუზს“ გუნდში არ მიღებდნენ. ასე გაგრძელდა ბოლომდე, რადგან ჩემს გარშემო არავინ არასოდეს თამაშობდა ფეხბურთს სავარჯიშოდ, ყველა რატომღაც მხოლოდ მოწინააღმდეგე გუნდის დამარცხებაზე ოცნებობდა.

ცოტა რომ წამოვიზარდე, დედამ უნივერსიტეტის ბავშვების კალათბურთის სექციაში მიმიყვანა. მაშინ გავუგე ნამდვილი გემო გუნდურ თამაშს. საოცარი გატაცებით ვვარჯიშობდი. მწვრთნელიც კმაყოფილი იყო. ვიღაც ცნობილი ქართველ კალათბურთელს მამსგავსებდა: ნახე, ნახე, ნახტომი ნამდვილად „პტიცას“ არ უგავსო, ეუბნებოდა ხოლმე უფროს კოლეგას. ვარჯიშის შემდეგ შხაპს ვიღებდი და ერთხელაც გავცივდი. ის იყო და ის: მას შემდეგ, დედამ კალათბურთზე აღარ გამიშვა. სამაგიეროდ, კარგა ხნის შემდეგ, მშობლებმა ნება დამრთეს გ.ღ-თან ერთად ცურვაზე მევლო და ჩემი უსაყვარლესი სპორტი აღმომეჩინა. მას შემდეგ, მე და გოგია საცურაოდ და სანიჩბოსნოდ ხან კუს ტბაზე, ხან თბილისის ზღვაზე და კიდევ სად არ დავდიოდით.

ერთხელაც, უკვე სტუდენტები, თბილისის ზღვაზე წავედი. ნავი დავიქირავეთ და ჩვეულებრივსამებრ ცურვა-ჭყუმპალაობას შევუდექით. ყველაფერი ეს სწრაფად მომბეზრდა და ამ ხელოვნური წყალსაცავის სიგანეზე გადაცურვა გადავწყვიტე. გოგია ნავით გამომყვა და საქმეს შევუდექი. წყალში იმდენ ხანს ვიყავი, რომ მეორე ნაპირზე გასულს მთელი სხეული ყავისფერი ხავსის ბუსუსებით მქონდა დაფარული, წყალში ჩაგდებული მორის მსგავსად. მაშინ უკაცრიელ, ტალახიან და ქვეწარმავლებით სავსე ნაპირზე დიდხანს ვერ გავჩერდით და ნავი ისევ წყალთხელში შევაცურეთ, უკან დაბრუნების წინ რომ ცოტა დაგვესვენა. ნავის უკანა მხარეს წყალში ფეხებჩაყრილი კარგა ხანს ვიჯექი. საკმაო ენერგია რომ დავაგროვე, ფეხზე წამომდგარმა თავი ნავიდან ზურგშექცებით ისე გადავიგდე, რომ გაშლილი ფეხებით წყალზე ტყლაშუნი გავადინე. უცებ მარჯვენა ფეხის ტერფზე რაღაც შემომეჭდო და ცერა და მომდევნო თითის ქვემოთ ელვისებური

ჩხვლეტა ვიგრძენი. ჩემს თვალწინ დიდი ზომის უხსენებელი წყალში გაუჩინარდა. საგონებელში ჩავვარდით. რა გვექნა, არ ვიცოდით. მოპირდაპირე ნაპირამდე და ე.ი. სამედიცინო დახმარებამდე, სულ ცოტა ერთი საათი მაინც გვაშორებდა. არა და ვიცოდით, რომ ასეთ დროს დაუყოვნებლივ უნდა გველონა რამე. გოგიამ ნაკბენ ფეხზე ხელი წამავლო და ის იყო შხამი პირით უნდა ამოეწეუნა, რომ ენით თავისი გამოხრული კბილი მოსინჯა და ხელი გამიშვა, ასე არაფერი არ გამოვაო. ბოლოს წყალში ჩავხტი და წყნარად გავცურე მოპირდაპირე ნაპირისაკენ იმ განწყობით, რომ ამ დღის ცურვა მაინც ბოლომდე შემრგებოდა. ერთი საათის შემდეგ, გოგიას „ფიატამდე“ მივალწიეთ და სანამ საავადმყოფოში წავიდოდით, სახლში შევიარე ჩემების გასაფრთხილებლად. დაიკო და მამა ტელევიზორთან დამხვდნენ და აი, საოცრება: ქვეწარმავლებზე მიძღვნილ გადაცემას უყურებდნენ! ცოტა ხნით მათთან ჩამოვჯექი, რომ პირდაპირ არ მიმეხალა ჩემი ამბავი და შემდეგ წყნარად მოვუყევი რაც თავს გადამხდა. ჯერ ვერ გაერკვნენ თუ რას ვამბობდი და როდესაც გაიაზრეს რაც მოხდა, გოგიას მანქანით კამოს კლინიკისაკენ გამაქანეს.

საავადმყოფოს მოსაცდელში ბევრი დამწვარ-დაჭრილ-დაზიანებული ხალხი უცდიდა თავის ჯერს. ერთმა თავგახეთქილმა მთვრალმა კარგა ხანს მათვალიერა ჯერ ერთი და მერე მეორე თვალით და ბოლოს, გაკვირვებულმა, დორბლების სროლით მკითხა: შენ რომ არაფერი არ გეტყობა, აქ რამ მოგიყვანაო. ჩემი ამბავი რომ ვუთხარი და ოდნავ შესიებული ტერფი ვაჩვენე, აღელვებულმა დანარჩენ პაციენტებს ხმამაღლა მიმართა: ეს ბიჭი ნამდვილად საჩქარო დახმარებას საჭიროებს და მოდით რიგგარეშე გავუშვათო.

ასე მოვხვდი, რამდენიმე დღით, საკმაოდ ასატან პალატაში, სადაც ნუგბარებით ხელდამშვენებული მნახველი არ დამკლებია. ფრთებგაშლილი პატარა პეკლის მსგავსი ნაკბენის კვალი კი ფეხზე დღემდე ჩემომრჩა.

ძღვენი

საჩუქრებზე არასოდეს ვგიჟდებოდი, მაგრამ ნახევარი საუკუნის წინათ მოულოდნელად მორთმეულმა ერთმა ძვირფასმა ძღვენმა თავი აქამდე დამამახსოვრა. ცოტა შორიდან დავიწყებ. ჩემს თანაკურსელო მეგობარს, ოთოს, ერთხელ ლექციებზე ორმა ახლობელმა მეცხრეკლასელმა ბიჭმა მოაკითხა. ისინი სულ მალე გაუშინაურდნენ თსუ-ს ბაღის სტუდენტობას. ერთად დავიწყეთ სიარული უცხოურ ფილმებზე, ნაცნობ-მეგობრების დღეობა-დღესასწაულებზე, სახინკლეებსა თუ ერთმანთის ოჯახებში. ვერის ერთ-ერთი სკოლის მოწაფეებს აშკარად

ეტყობოდათ, რომ სტუდენტებთან მეგობრობა მოსწონდათ. ათას რამეზე ვმსჯელობდით: გოგოებზე, ხელოვნებაზე, „საქმეებზე“ და ა.შ.

ერთხელაც ბიჭები სახლში მეწვივნენ. მაშინ მაიაკოვსკის პიროვნებითა და მისი ავანგარდისტული ლექსთწყობით გატაცებულმა, ამ ტრაგიკული ბედის პოეტისა და ფუტურისტი მხატვრის დავით ბურლიუკის მეგობრობის ფაქტებზე ჩამოვავდე საუბარი. განსაკუთრებით მნიშვნავდა მაიაკოვსკის რევოლუციამდეელი პოეზიის „არაპოეტური“ თემატიკა, ყოველივე ტრადიციულისა და მიღებულის უარყოფელი პათოსი და მისი ლექსების რიტმული ჟღერადობა:

„А если умрешь от котлет и бульонов,
на памятнике прикажем высечь:
«Из стольких-то и стольких-то котлет миллионов —
твоих четыреста тысяч“.

აბ

„Вам ли, любящим баб да блюда,
жизнь отдавать в угоду?!
Я лучше в баре блядям буду
подавать ананасную воду!“

და კიდევ

„Я сразу смазал карту будня,
плеснувши краску из стакана;
я показал на блюде студня
косые скулы океана.
На чешуе жестяной рыбы
прочел я зовы новых губ.“

А вы

ноктюрн сыграть
могли бы
на флейте водосточных труб?“

ანეკდოტია, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინდელი აშკარად მორცხვი და მორიდებული მეცხრეკლასელი, მრავალი წლის შემდეგ მაიაკოვსკივით სკანდალურად ცნობილი მეამბოხე პოეტი, ხოლო მეორე, უფრო თამამი ბიჭი კი მშვენიერი თარგმანებისა და მოთხრობების ავტორი გახდა.

ყმაწვილკაცური მეგობრობა ნამდვილად მეტად დიდი რამეა, გარსაკუთრებით მაშინ თუ ყმაწვილებს შორის ასაკობრივი განსხვავებაც არის. ორივე მხარე ერთმანეთის ქცევაში უფრო მეტს ხედავს, ვიდრე სხვა, რასაც არც თუ იშვიათად ერთ-ერთით აღტაცებაც სდევს. სწორედ ასეთ მდგომარეობაში გახლდით მე და ის მეცხრეკლასელები, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ბიჭებმა მათ მამიკოებს ახალთახალი, ულოტრა

მოდური, უცხოური ცისფერი პერანგი, ფეხსაცმელები და მოჭერის კაშნე გამოსთხოვეს და თსუ-ში მომიტანეს. მაგრად შევცბი, მაგრამ ბოლოს საჩუქრები მაინც მივიღე, როდესაც დამარწმუნეს, რომ ჩამოთვლილი ნივთები მათი ოჯახის წევრების თანხმობით იყო სახლიდან წამოღებული და ვინმე „არიფისთვის“ არ ჰქონდათ შეწერილი.

ფოსტა

ერთხელ, ფოსტის ყუთში, ნაცნობისაგან გამოგზავნილი წერილი დამხვდა. ხანდაზმული კაცი მეუღლესთან ერთად მთხოვდა, რომ მისი ერთ-ერთი შვილიშვილი მომენათლა და ამა და ამ რიცხვში და საათზე მთიდან სპეციალურად ჩამოსულეებს მცხეთის სვეტიცხოვლის ეზოში შევხვედროდი. ამ ამბავში ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ მთიულეთ-გუდამაყრიდან გამოგზავნილი ბარათს კონვერტზე მისამართის მაგივრად შემდეგი ფრაზა ჰქონდა წაწერილი: „მიიღოს ვაკეში ვახტანგ ჩიქოვანმა“. არც ქალაქი, არც ფოსტის ნომერი და რაღა თქმა უნდა, არც ქუჩის სახელი და არც სახლისა და ბინის ნომერი არ იყო მითითებული. მიუხედავად ამისა, წერილი დროზე მივიღე და ძალიან ტკბილი მოხუცების სურვილი შევასრულე.

საქმე ის იყო, რომ ვაკეში მაშინ ერთადერთი ფოსტა იყო და აწერბაიჯანელი ყმაწვილი ალი-ალიკა, რომელიც ფოსტის ამანათებისა და წერილების განყოფილებაში მუშაობდა, კარგად მიცნობდა, რადგან მისი საშუალებით მამა და მე ხშირად ვიღებდით მოსკოვისა და ლენინგრადის „აკადემიკნის“ მალაზიებიდან გამოგზავნილი ამანათებს. ალბათ მან თუ მისცა ფოსტალიონს ჩვენი მისამართი.

მცხეთაში დროზე ჩასული, სვეტიცხოვლის ეზოში ჩემს მომლოდინე ჯგუფს შევუერთდი და ახლა ნათლობა-ქორწინებით დაკავებულ მამოს დავუწყეთ ლოდინი. მეორე ნათლია, ბავშვის მამის თანასოფლელი „ავტორიტეტული“ ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, რომელმაც დამაიმედა, რომ დიდხანს არ გვალოდინებდნენ. იქაურ მამოს, თურმე, დიდი ხანი იყო რაც იცნობდა, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც მამაო უბრალო მოკვდავი, მცხეთის უნივერსიტეტის სექციის გამგე ყოფილა.

იმ სუსხიან შემოდგომაზე ნათლობამ ჯერ ეკლესიაში და მერე სიძის ოჯახში სანაქებოდ ჩაიარა და ყველანი უკლებლივ კმაყოფილები დავრჩით, ახლად მონათლული ქრისტიანის, ჰაწია მარიაშის ჩათვლით.

თუთუნი

36 წლის განმავლობაში, რაც მე თამბაქოში ფული მაქვს გადაყრილი, რომ დამეგროვებინა, აქამდე თუთუნის სამშობლოში საკუთარ ოროთახიან ბინაში მაინც ვიცხოვრებდი. არა და კარგად მახსოვს, როგორ გამიჭირდა თუთუნთან შეჩვევა. თვეების განმავლობაში, პირველივე „ნაფაზზე“ საშინლად ვბრუვდებოდი, მაგრამ ამ უჩვეულო განსაცდელს ვაჟკაცურად ვუძლებდი, რათა ღამის სკოლის თანაკლასელებსა და სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს როგორღაც არ გამოვკვლებოდი. ერთხელ ისე შევიჭერი წრდასრული კაცის როლში, რომ საუზმის შემდეგ სამზარეულოში, მაშინდელი ცნობილი სენტენციის მიხედვით „По законам Архимеда, после сытного обеда, лучше всего закурить!“, 15 წლის ლაწირაკმა გაბოლება დავაპირე. მეტი რომ ვერაფერი მოვიფიქრე, აქაოდა ვითომ ვხუმრობდი, ეგებ გასინჯო ეს „უვნებელი“ სიგარეტებითქო, დედას ვუთხარი და ქალაქში შემოსული პირველი პოლონური ფილტრიანი სიგარეტების გაუხსნელი ყუთი ხელში შევათამაშე. ჯობია ბიძია გიორგის მისცეო, შეთავაზებულნი თამაშის წესების დაცვით მირჩია დედამ და ვითომ არც არაფერი არაჩვეულებრივი მომხდარიყოს, თეფშების რეცხვა ისე გააგრძელა. მეზობელ ეზოში მცხოვრები ოსი ხელოსანი ერთადერთი ადამიანი იყო სამეზობლოში, ვინც მაშინ სიგარეტის თავგადაკლული მწეველი იყო.

უკვე ოცი წელია რაც არ ვეწევი, მაგრამ წლები დამჭირდა „უვნებელი“ და „მსუბუქი“ სიგარეტებისათვის თავის დასაწებებლად. რა არ ვცადე! მუშტუკით, მარცხენა ხელით, „უნაფაზოდ“ მოწევა და სხვა. შეძლებიდაგვარად, მამა და დაიკო რომ სიგარეტის კვამლითა და სუნით არ შემეწუხებინა, ვცდილობდი ოთახებში საერთოდ არ მომეწია. ამის გამო, ზამთარ-ზაფხულ, ფანჯარაში და პატარა აივანზე ვაფუილებდი. ერთი პირობა თავმოყვარეობაზე ძლიერი ზემოქმედების მოსახდენად, სიგარეტის ყუთი ჭერში, სავარჯიშო რგოლების კაუჭზე დავამაგრე, რომ ყოველი სიგარეტისათვის თოკზე ავცოცებულაყავი და შემდეგ ჩამოვცოცებულაყავი. იმავე სადამოს ეს ტანჯვა რომ ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა, ყოველი შემთხვევისათვის მაღაზიაში სიგარეტების სათადარიგო ყუთი შევიძინე.

ბერკლიში ჩამოსვლის შემდეგ, საქმე სულ სხვაგვარად წავიდა. უწყვეტმა შრომამ და ცხოვრების უჩვეულოდ მაღალმა ტემპმა ენერჯის დაზოგვისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების პრობლემა რაელური გახადა. ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად და დიდი მანჭვა-გრუნის გარეშე, როგორც აქ იცინა თქმა, „cold turkey“-ით სიგარეტს თავი მივანებე. ნამდვილად არ მინდოდა, რომ შორენა დროზე ადრე

დაქვრივებულიყო და სრულადად მარტო დარჩენილიყო უცხო ქვეყანაში.

რადაც მსგავსზეა ალბათ ნათქვამი „ვანის გავეყარე და უის შევეყარეო“. ის-ის იყო ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ქალაქგარეთ გასვლით უნდა აღგვეღნიშნა, რომ უცნაური რამ დამემართა: სალსალამათმა კბილებმა უნიკოტინოდ ცხოვრებას ვერ გაუძლეს და ერთ მშვენიერ დღეს ყველა ერთად სამუდამოდ გამომემშვიდობა. საკუთარი თორმეტი კბილის ადგილზე, დენტისტმა თორმეტი ხელოვნური კბილი ჩასვა და ჭამა-სმის ფუნქცია სრულად აღმიდგინა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მეტად კარგად ორგანიზებული და ხანგრძლივი პროცესი მეტისმეტად ძვირი დაჯდა. ეს თანხა რომ წლების განმავლობაში სიგარეტებში გადაყრილი ფულისათვის დამემატებინა, ოროთახიანს კი არა არამედ სამოთახიან ბინასაც ვიყიდდიდით იაფობის დროს ბერკლიში.

ჩემს მიერ სიგარეტისათვის თავის დანებება თამბაქოს წინააღმდეგ წამოწყებულ მასშტაბურ კამპანიას დაემთხვა. დღეს, ბერკლიში, საათები უნდა იარო ქუჩა-ქუჩა, რომ მწეველ ადამიანს წააწყდე.

04.03.17

„ლოუკსიკონი“

ესები რა არი?

დედა კარგი დედა არი.

ბაბა, what are you doing?

ლოუკა კარგი ბიჭი არი.

ეს მთვარე არ არი, ეს მთვარის ნაწილია (ასე თქვა ნახევარმთვარეზე).

მთვარე წყალში ჩავარდა. ასე თქვა მთვარის ანარეკლოზე წყალში

დედა კარგი friend-ი არი.

ლოუკა funny ბიჭი არი.

ლოუკას კაფეში შია.

ლოუკას სახლოში შია.

12.03.17

დედა, შენ აქ იყე, ლოუკა მოვა.

ლოუკა კარგი ბიჭი არი.

დედა კარგი ბავში არი.

ლოუკა კარგი ბავში არი.

დიდი არი ეს ჰური. ეს არი იამი (ანუ გემრიელი) ჰური.

ბაბა, ეს არ არი შენი, ეს ლოუკასი არი.

ლოუკა ექიმი იყო. სად არი ექიმის თოები? ანუ სათამაშოები?

არა დაღამდა, გათენდა.

ეს არა მინდა.

ლოუკას აქ ჰურის "ბეგი" (ჩანთა) აქ.

ლოუკამ იყიდა ჰურიები იყიდა.

ჰური გვაქვს?

This is yummy... Oh boy...

ჭინჭილადა - ჭიანჭველა

სანჭელი - სანჭელი

ესეები, ესენი, ესეები რა არი?

ეს შენი არ არი, ეს ლოუკასია.

ლოუკა sad-ი არი (ანუ მოწყენილი).

ლოუკა კარგი ბავშვი არი.

ბაბა სად არი?

ლოუკამ ანთოს

ანთე დედა, ანთე.

დავიძინოთ.

ლოუკა მოვა. (დაწოლის შემდეგ ადგება, რომ სინათლე ჩამქრალია თუ არა შეამოწმოს).

ლოუკას და დედას კარგი ბაბა ყავს.

ლოუკა ჰეფია, დედა ჰეფია, ბაბა ჰეფია.

ვერა ხედავ შენ ბაბა (საბანის ქვეშიდან იძახის).

აი, დონთ სი იუ.

ჯონი მინდა.

დედას ოფსი სად არი?

ჩვენი მანქანა მინდა.

თირექსი მოდის.

ბაბა მოკიდე შენი "ქონი" (სიმინდის ტაროს მუღიაჟი).

რაღაცა სუნი არი „ოვენში“.

იამი არის ეს ბაბა.

დედას ჩანთა "სუპერქული" არის.

ბაბა ლოუკა დაიჭი არ დავარდეს (კარადაზე ასულმა დამიძახა).

17.03.17

Blippi is my best friend (ბლიპი ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია)

ბლიპი პატარა ბიჭი არ არის.

„იუ გოუ ინ ჯეილ“ მითხრა და თითზე გასაღების ასხმის რგოლი ჩამომაცვა.

16.03.17

კაპრიჩიო

1970 წლის ზაფხულში, მე და ჩემმა მეგობარმა ფოლოკლორული ექსპედიციის შემადგენლობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რამდენიმე კუთხე მოვიარეთ. ერთგან, მშვიდრები, მდინარის ნაპირას ფარღალაღა ხის შენობაში სახელოდახელოდ გამართულ სახინკლეში შევედით. რვეულითა და კალმით შეიარაღებული ზ.ი. უმაღლ ხანდაზმულ სიმპათიურ გლეხს მიუჯდა გვერდით, იმ იმედით, რომ ადგილობრივი პოეტური ფოლოკლორის ჯერ კიდევ უცნობ შედეგებს აღმოაჩენდა. შეჭიკჭიკებულმა ბაბუმ სწრაფად აუღო ალღო სიტუაციას და ხალხური ლექსების ახალბედა ადფრთოვანებულ ქალაქელ კოლექტორს ვაჟა-ფშაველას პოემების მისეული ვერსიები ჩააწიკჭიკებინა.

სანამ შეკვეთილ ხინკლებს გვიმზადებდნენ, გარეთ გავედი და მეტად უცნაური რამის შემსწრე გავხდი. ძალიან ნასვამ, ასე 30-35 წლის მთიელს უბელო, სრულიად ახალგაზრდა წითური ფაშატი მარცხენა ხელით ლაგამით დაეჭირა, ხოლო მარჯვენათი უშვერი გინების თანხლებით დიდი რიყის ქვით ლამაზ თავ-ყბას გულმოდგინედ უღეწავდა. ამ საცოდობას შეწუხებული ადგილობრივები, ჩემი არ იყოს, ეტყობა ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გავუმბეჭდი კაცის შიშით არ იმჩნევდნენ და ამის გამო უდანაშაულო ცხენის სასიკვდილოდ გამიზნული ტანჯვა-წამება კარგახანს გაგრძელდა. ბოლოს, მხეცური ლაწა-ლოწით სიქაგაცლილი მამაკაცი დასისხლიანებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარ ფაშატს ზურგზე შეაჯდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესაფერი ჭყვივილ-ღრიალით ხეობას აუყვა.

ამ ამბის შემყურეს გუდიაშვილის „კაპრიჩიოს“ ერთი-ერთი გრაფიკული ნახატი „უგუნური ვაჟკაცობა“ მომაგონა, რომელზედაც იმ მთიელივით გავუმბეჭდილი მამაკაცები შემოღობილში მომწყვრეულ ცხენების რემას დამბაჩებს ესვრიან. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ანალოგიურმა შემთხვევამ შეაქმნევინა მნატვარს ეს დრამატული და ალეგორიული არსით სავსე კომპოზიცია, რომელსაც შინაარსობრივად თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი ორი სიტყვიდან შედგენილი სათაური ოსტატურდ მოარგო.

მოგვიანებით, მთიელთა ერთ-ერთ ხალხმრავალ დღესასწაულზე კიდევ ერთხელ მსგავსი უსიამოვნო ამბის შემსწრე გავხდი. სხვადასხვა კუთხის ბერიკაცების თავშეყრას, ნასვამი და მართლაც რომ ლამაზი, სრულიად ახალგაზრდა, მთასავით წარმოსადეგი ორდენოსანი მწყემსი შეესწრო და ამკარად მასზე გონივრულად მოსაუბრე სხვა კუთხის ერთი ციდა ხანდაზმულ მამაკაცს საჯაროდ რა არ აკადრა. რადგან ბრძენმა

მოხუცმა მისი ნათქვამი და ნამოქმედარი ხუმრობაში გაატარა, აღზნებულმა გოლიათმა თავის ტორებში მოქცეული ცხელი ხაბიძგინით პირ-სახე ისე დაუწილა ამ დროულ კაცს, რომ კინაღამ სული ამოხადა. მიუხედავად ამისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიბლიური მოსეს მთიელ სეხნიას ღიმილი არ გაქრობია ხაბიძგინების ცხიმით გაპოხილ სახეზე, რითაც თავისი კუთხის ახალუხალებსა და დასწრე საზოგადოებას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა. როგორც იქნა, ბედისწერას ატანილი ის მთაკაცი იქაურობას გაცილდა. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქვა და ტრადიციისამებრ საყოველთაო ლხინს მიჰყო ხელი.

რამდენიმე წლის შემდეგ, საზარელი ამბავი შევიტყვე: მგონი იმ თავქარიანი ყმაწვილის, მთის პირობაზე მეტად შეძლებულ ოჯახს, ზვავი დასცემია და ყველა და ყველაფერი მიწასთან გაუსწორებია.

მე და ჩემმა მეგობარმა მშვიდობისმოყვარე მოსე პირველად სწორედ ზემოთ ხსენებული ექსპედიციის დროს გავიცანით. ეს ერთი ციდა, ბეჭებში მოხრილი კაცი თავისი ხელით ახალ სახლს იშენებდა ჩვენი იმჟამინდელი მასპინძლის უზოს გადაღმა. ეს რომ ექსპედიციის ხელმძღვანელმა დაინახა, ექსპრომტად შესძახა: „რას აშენებ ჩემო მოსე, მაგ შენსავით დაბალოსაო“. „აბა, რა ვქნა ჩემო დავით, ვერ შევწვდები მაღალსაო“, უპასუხა მუშაობაში გართულმა გლეხკაცმა.

კაცია და გუნება. მე და ის ჩემი ამხანაგი თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელი ექსპედიციის შესახებ რომ ვსაუბრობთ ხოლომე, სულ სახადასხვა მომენტებს ვიხსენებთ. ის სულ იმას იგონებს თუ როგორ გამოვკვებე ერთ საღამოს ჟიპიტაურში დამბალი ორცხოზილით ვირები და როგორ ყროყინებდა მერე მთელი ღამე ერთ-ერთი მათგანი ჩვენი ფანჯრის წინ ან როგორ შევხვდით კავკასიონზე გადმოსული რუსი ტურისტების ჯგუფის გოგონებს და სხვა.

ექსპედიციის შემდეგ, ჩემი მეგობარის მშობლების მანქანით დასასვენებლად შავი ზღვისაკენ გავსწიეთ ერთ ჩემს ყოფილ თანაკლასელთან ერთად. გზად, პაპანაქება ქუთაისში, ნაყინის გამყიდველი დავლანდე და საჭესთან მჯომს მანქანის გაჩერება ვთხოვე. შუახანს მიტანებული ღიპიანი გამყიდველი უმაღლ მოგვეახლა, „რამდენი გინდა, დაგენაცვლეუეთი“ და ის-ის იყო ფასის შესახებ ჩვეულებრივი ქუთათური ვაჭრობა უნდა დაგვეწყობ, რომ... გაზ-24 -ის უკანა საჯდომებზე წამოწოლილი, მაშინდელი სტანდარტებით მართლაც რომ ექსტრაორდინალურად გამოწყობილი, შორტებისა და საბოების ამარა მყოფ ჩვენს ნუკრის მოჰკრა თვალი. მოულოდნელი სანახაობის გამო, უშაქროდ და ყოველგვარი რძისა და ცხიმის გარეშე დამზადებული ნაყინის ქუთაისელი გამყიდველი შეცბა: „ ფუი, თქვენ კი შეგირცხვათ თავიო!!!“ წამოიძახა და ტყვიანაკრავით გაგვეცალა.

ნუკრისათვის ათასჯერ გვქონდა მეგობრებს ნათქვამი, რომ ქალაქად შორტებითა და საბოების კაკუნით სიარულისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ამაოდ. კიბერნეტიკა-კომპიუტერის ერთ-ერთი პირველი ჩვენებური პიონერი თავისას დღემდე არ იშლის და ამის გამო, როდესაც ზაფხულობით თბილისში ჩასულს ქუჩაში ზოგჯერ „ფუი, შენ კი შეგირცხვეს თავი!!!“ წამოძახილი მესმის, თვალებით ჩვენი საყვარელი პროგრამისტის, ზედმეტ სახელად „უჩას“ (რაც სრულ ვარიანტში მოფერებით „უჩათლახეს“ ნიშნავს) ძებნას ვიწყებ, მიუხედავად იმისა, თავად შორტებში ვარ ხოლომე გამოწყობილი. არა და მამაჩემისაგან გამიგია, რომ მისი ლექტორი, ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, პროფესორი ანდრია რაზმაძე ჯერ კიდევ 20-იან წლებში დადიოდა თურმე ქალაქში შორტებით.

ამრიგად, გამოდის, რომ სხვა უფრო სერიოზულო საქმეებს რომ თავი დავანებოთ, აგერ უკვე თითქმის 100 წელია რაც შორტების საკითხზე ვერ იქნა და ვერ შევთანხმებულვართ.

26.03.17

„რა გაქვს ამათთან საერთო...“

ოფიციალურად თითქმის სუპერლიბერალურ ბერკლში, თვალშისაცემია სხვა სახისა და იერის ტრადიციული თუ მოდერნიზებული სამოქალაქო, პროფესიული, პოლიტიკური, რელიგიური, ასაკობრივ-გენდერული თუ მოყვარულთა ასოციაცი-დაწესებულებები. აქ უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს, აგრეთვე, არაერთი არაფორმალური ჯგუფიც, რომლის რელიგიისა თუ პოლიტიკის გაგება შორს დგას კლასიკურისაგან. ერთ-ერთი მათგანის ცერემონიებს შემთხვევით ორჯერ შევესწართ მეზობელი ქალაქის ტყე-პარკში და კუდიანების თავყრილობა შევარქვით. იქ მეორეჯერ თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ, ისევ ზაფხულის მზებუდობის ჟამს მოვხვდით და იგივე ჯგუფი, თვალუწვდენელი ფიჭვების ქვეშ, ამჯერად დიდ ყავარჯენზე და არა გრძელტარიან ცოცხზე დაყრდნობილი, ჭადარა თმაგაშლილი მანდილოსნის წინამძღოლობით „დედამიწის დღეს“ დღესასწაულობდა.

„ჭეშმარიტებების მაძიებელთა“ ამ თავბრუდამხვევ მრავალფეროვნებაში ძნელია გარკვევა, თუმცა ისიც კარგად ჩანს, რომ ამრიგად სტრუქტურირებულ საზოგადოებაში ინდივიდისათვის „შენთვის ყოფნა“ გაცილებით ადვილია, თან ამავე დროს მმართველ ელიტას არც ყველაფრის წამლეკავი „ერთიანობის“ მოულოდნელად აღმოცენების არ ეშინია. ასეთ გარემოში მოხვედრილებმა, მალე ბევრი ჩვეული რამ დავინაკლისეთ და მათ შორის, პირველ ყოვლისა, ისეთი ადმინაბები,

ვისთანაც რაიმე საერთო გვექნებოდა. ამ თემასთან დაკავშირებით, მახსენდება საქართველოში ადრე მომხდარი ორი შემთხვევა და საუბრები, ერთი მამაჩემთან და მეორე კი ჩემს ყოფილ თანამშრომელთან.

წინამდებარე ჩანაწერის სათაურად გამოტანილი ფრაზა ერთხელ მამას უცაბედად წამოსცდა და თავად ამ ამბის შემსწრებს მისი გახსენება ყოველთვის ღიმილს გვგვრიდა. საქმე იმაშია, რომ ჩემი ძველი მეგობარი გ.დ. პირველ კურსზე თავისი თანაკურსელებისათვის მშობლიური უბნის მასშტაბში, ასე ვთქვათ, ექსკურსიამძღოლის როლს ასრულებდა და ერთ-ერთი “ღირსშესანიშნაობა”, რომელსაც ის ლექციების შემდეგ თითქმის ყოველდღედ აჩვენებდა ახალბედა სტუდენტებს, ვაკის პარკი და ჩვენი წიგნებით გადატენილი, იმდროინდელი მასშტაბებით, უზარმაზარი ბინა იყო. ასეთი ხშირი ხმაურიანი ვიზიტებისაგან გაბეზრებულმა, ყოველთვის ყველასადმი კეთილგანწყობილმა მამამ ერთ დღეს მისთვის სრულიად უჩვეულო რამ მოიმოქმედა: კაბინეტიდან გამოსულმა, ჩვენს კორიდორში სრულიად უმიზეზოდ მეტისმეტად ხმამაღლა მოჟიჟივე-მოხარხარე ყმაწვილებს საკმაოდ მკაცრ ტონში სახლებში სასწრაფოდ წასვლა ურჩია, ხოლო მე კი გაოცებულმა მკითხა: ერთი მითხარი ამათთან შენ რა გაქვს საერთო?!

მეორე შემთხვევა 80-იანი წლების ბოლოს მოხდა. ჩემმა თანამშრომელმა იტალიაში საცხოვრებლად წასვლა გადაწყვიტა და როცა ვკითხე: იქ რომ ჩახვალ რას გააკეთებთქო, თავდაჯერებულად გამოცანა-იგავით მიპასუხა; წრუწუნა რომ ლენინის მოედანზე ბელადის ქანდაკებას თავზე დაასვა, რას იზამს თუ იცის. უჩვეულო კითხვაზე პასუხი დავუგვიანე და თავად უპასუხა: თავუნია თავისთანა წრუწუნებთან მივაო. მეც მასსავით უნდა მოვიქცე და ჩემნაირებივით ვიცხოვრებო.

ბერკლიში გადმობარგების დროისათვის, ჩვენი იმჟამინდელი განწყობილების გამო, ისე მოგვეჩვენა, რომ ამ პატარა ქალაქში ისეთი არავინ იყო, რომ მასთან რაიმე საერთო გვექონოდა და ამიტომ თანამოაზრე თანამოდინახეებს დანატრებულეებმა, ჯერ მეზობელი ქალაქ ოკლენდის ბერძნულ ეკლესიას, ხოლო შემდეგ ბერკლელი მართლმადიდებლების საყდარს მივაკითხეთ. მიუხედავად იმისა რომ ბერძნებთან ჩვენმა ნაცნობმა ცოლო-ქმარმა მიგვიყვანა და ძალიან სიმპათიური მოძღვარიც გაგვაცნო, აღდგომის შემდეგ მაინც ჩვენთან ახლოს მყოფი ეკლესიისაკენ გაგვიწია გულმა და მომდევნო ბრწყინვალე დღესასწაულოზე ხახვის კანით შეღებილი წითელკვერცხებიანი კალათით ბერკლის იოანე ნათლისმცემლის სახელოზე აგებულ მართლმადიდებლო ეკლესიას ვეწვიეთ. ინგლისურ-აქცენტისანი რუსული ლოცვა-კურთხევის დროს ყველაფერი რიგიანად მიდიოდა; მხოლოდ, მეორე დღეს, საერთო

სუფრაზე მისულები, ერთმა ტანმორჩილმა ყავარჯნიანმა ბერიკაცმა ჯერ აშკარად ავად შეგვათვალა, მერე “Советские-«ო, დაუფარავი ზიზღით წარმოთქვა და ბოლოს დემონსტრატიულად ზურგი შეგვაქცია. ასეთი მიღება არ გვეპიტნავა და ბერკლის ეკლესიას წლების განმავლობაში აღარ გავკარებდით. მხოლოდ ძალიან გვიან, როდესაც თითქმის ათი წლის სამოქალაქო ქორწინების აქტის ეკლესიური ჯვრისწერის ცერემონიით გადახალისება გადავწყვიტეთ, მაშინ მივაკითხეთ ბერკლის ეკლესიას და უნივერსიტეტის ნაცნობი პროფესორისა და ამავე დროს ამ ეკლესიის ერთ-ერთი მზრუნველის დახმარებით, ეს ლამაზი და ღრმა საიდუმლო შინაარსით აღსავსე რიტუალი საქართველოდან მოვლინებულ მეგობარ მკვლევარებთან ერთად სანაქებოდ ჩავიტარეთ. იმ საღამოს, პატარა საქორწინო სუფრაზე იმდენი ვიხორხოცეთ, რომ პოპულარული ტაილანდური რესტორნის მეორე სართულზე მოკალათებულებს, ხალხით გადაჭედული პირველი სართულიდან არაერთმა ცნობისმოყვარემ ამოგვაკითხა, ნეტავი რა ხდებაო, ამბის დასადგენად. ერთი კურიოზი დღემდე მახსოვს, რის გამოც მაშინ სუფრის გარშემო მსხდომებმა პირი დავაფრინეთ. ერთმა შეზარხოშებულმა ჩვენმა თანამემამულემ, ეტყობა თანამოიხანე სლავი მანდილოსნის მოსახიბლავად, საქორწინო სუფრაზე სიმღერა წამოიწყო და ტრადიციული “მრავალჟამიერის” ნაცვლად ულტრა-საბჭოთა სიმღერა “На безымянной высоте» გასაოცარი ოსტატობით დააგუგუნა.

55-ე

ქართულ სკოლაში გადასულს, ბავშვებით გადაჭედული კლასში, უნაფქოშვილის საბავშვო ბაღის ბევრი ნაცნობი ჯგუფელი დამხვდა. ყველა ბიჭზე აქტიური, ენერგიული და ყველაზე გამორჩეული, სქელ-სათვალეებიანი დიმა-დიმიტრი-დიმულია-ქალთა მზე, სკოლაშიც ყველაფრის თავი, კლასის აღიარებული ლიდერი იყო და ბოლომდე ასეთად დარჩა. ის ყოველთვის, ყველაფერს, ასეთსაც და ისეთსაც, ყველაზე ადრე და სწრაფად აკეთებდა. სხვებთან შედარებით ნამდვილად უფრო მეტის მცოდნე, წარმატებული იურისტების უდაოდ ძალიან ნიჭიერი და მოუსვენარი ვაჟიშვილი, ხშირად მასწავლებლების ნებართვით თანაკლასელ ბავშვებს ზრდასრული ადამიანივით ზღაპრებს გვიყვებოდა, რომელთა უმრავლესობას თხრობის პროცესში თავადვე თხზავდა. ამ გამოგონილი ზღაპარ-მოთხრობების ეგზალტირებული დეკლარირება-შესრულების დროს, საკლასო დაფასთან მასწავლებლის მიერ დაყენებული დიმა მერხების რიგებს შორის იწყებდა უნებურად სიარულს, რის გამოც დამრიგებელს ხშირად უწევდა ხელით მისი საწყის პოზიაზე დაბრუნება. მაშინ როდესაც თანაკლასელთა უმეტესობა ჯერ კიდევ წერა-კითხვის დაუფლების პროცესს გაცილებული არ იყო, დიმას მიერ შეთხზული მშვენიერი

არასაბავშვო ლექსები პროფესიონალი პოეტების სჯა-ბაასის საგანი ხდებოდა. კლასში ლექსების წერაში მას ერთადერთი კონკურენტი ჰყავდა, საოცრად წყნარი ვუნდერკინდი, კაფანდარა ალიკო, რომელიც პოეზიის გარდა საკმაოდ სასიამოვნო მუსიკას, პატარა-პატარა ნოქტიურნებსაც თხზავდა. ერთხელ, სასკოლო სადამოწე, იოსებ გრიშაშვილზე ამ ორი ბიჭუნას შემოქმედებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მხცოვანი სახალხო პოეტი საჯაროდ აგვიტირდა.

იმავ დარბაზში, ცოტათი ადრე მეც მხვდა წილად გარკვეული წარმატება. მუსიკალური სკოლის მესამე კლასში გადამსვლელთა სავალდებულო კონცერტზე, ხუთკაციანი კომისიისა და კარებზე მოყურადებული დედაჩემის წინაშე, ხუთი საფორტეპიანო ნაწარმოები ნამდვილად სულმოუთქმელად შევასრულე: ჩერნის „ეტიუდი“, ბახის „ფუგა“, ბეთჰოვენის „სონატა“ და სხვა. როდესაც, როგორც იქნა დაკვრას მოვრჩი, ხელები კლავიატურას წესისამებრ ნელა მოვაცილე განაჩენის მოლოდინში და მუხლებზე ზუსტად ისე თეტრალურად დავუშვი, როგორც პედაგოგმა მასწავლა. ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში, კომისიის ერთ-ერთი უმცროსი წევრი გამოერკვა და ჩემსკენ შემობრუნდა: „ძალიან, ძალიან კარგი, ეხლა რიგით მეორე ნაწარმოები დაუკარიო“, თითქმის ენისჩლექით მითხრა... თქმა არ უნდა, მესმე კლასში მაინც გადამიყვანეს, როგორც პროფესორი მამის შვილი და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო: ფორტეპიანო, სოლოფეჯიო, გუნდი, მუსლიტერატურა და ამისთანები. მუსიკალური სკოლის რუტინა დიმასაც მაგრად ჰქონდა მობეზრებული და ერთხელ, სოლოფეჯიოდან გამოსულეებმა, ნოტები პროტესტის ნიშნად ნაგვის ყუთში ჩავყრეთ და... მშობლების შიშის გამო, რამდენიმე წუთში ისევ ამოვიღეთ. ორივეს განსაკუთრებით გვაღიზიანებდა ის, რომ სრულიად „უსმენო“ გოგია ფონს უფრო იოლად გადიოდა. მას გუნდის ლოტბარი, ბიძინა მასწავლებელი, ჩვენსავით სიმღერას კი არ აიძულებდა, „ჯუ-ჯუ-ჯუჯალალი“ და ასე შემდეგ, არამედ სიმღერების ტექსტებს ზეპირად ათქმევინებდა და ეს იყო და ეს.

დიმას პოეზიასა და ყველაფერზე მეტად ცელქობა უყვარდა და კიდევ ის რაც თანაკლასელების, თანაკურსელებისა და საეთოდ დამსწრე საზოგადოების ადფრთოვანებას, ხოლო უფროსობისა და მშობლების შეშფოთებას იწვევდა.

ერთხელ, ადრინად სკოლაში მისულმა, ეზოში მოფუსფუსე დიმიტრის მოვკარი თვალი. ის ელექტროტრანსფორმატორის შენობის უკან, სახლიდან გამოტანებულ დიდ წითელ ვაშლს შარდით „ამუშავებდა“. ნამდვილად ვერ გავერკვიე თუ რაში იყო საქმე და უნიფათო მანძილზე ახლოს მისულმა ვუთხარი, თუ არ გინდა, ზედ რაღას აფსამ, მეზობელ ეზოში მაინც მოისროლეო. მაცადე, ეხლა ნახე რაც მოხდებაო, მიპასუხა და ადგილიდან მოსწყდა. უცბად, ეზოში შემოვარდნილი მისი

უახლოესი მეგობარი და ყოველნაირ ცუდლოუტობაში აუცილებელი პარტნიორი „ბუჯი“ (დიმას შერქმეული სახელი გივის დღემდე შერჩა) ანუ ჰანტელებით მოვარჯიშე ჩვენი კლასის „პირველი ყოჩი“, უმაღლესი უკან გამოუდგა. ვაშლი ადვილად წაართვა და მადიანად ჩაკბიჩა. სახტად დავრჩი, ენა მუცელში ჩამივარდა, მაშინ როდესაც დიმიტრი სიცილისაგან კინალამ გაიგუდა. ჩვენმა შემხედვარე „ბუჯიმ“ ვაშლის ჭამას თავი მინება, ნადავლი კარგად დაათვალიერა, მერე დაყნოსა და დიმას ისევ უკან გამოეწოდა და ჭიდაობის დროს, მასზე ზომა-წონით თითქმის ორჯერ დიდ ბიჭს, შემთხვევით ლავიწის ძვალი ჩაუმხვრია. ამის გამო, ორივენი კარგა ხნით სკოლის ყველაზე ცნობად მოსწავლეებად იქცნენ.

სხვისი ცნობადობა ბავშვების ნაწილს მოსვენებას უკარგავდა და ამიტომ ათას ხერხს მიმართავდნენ, რათა როგორმე სხვაზე უკეთ წარმოეჩინათ თავი ან სხვები სასაცილო მდგომარეობაში ჩაეგდოთ. ერთხელ, შრომის გაკვეთილზე, დედისერთა „შიმშილამ“ ყასიდად დაზგაზე დადებულ რკინის მძიმე რელსის აწევა შემომთავაზა. ეს გრდემლის მაგიერი, ჩემი ატლეკილი ქოჩორის ზემოთ აწეული რომ დაინახა, უცხად გულწრფელი სიმპათიით განიმსჭვალა და სახლში ცივი კატლეტების საჭმელად მიმიპატიჟა. სამსახურში წასული დეიდა ეთერი, ჩვეულებრივ, კატლეტებს მაგიდაზე დადებულ ტაფაზე გვიტოვებდა და ოთახში ფანჯრიდან გადასულები უმაღლესი ვიწყებდით მათ განადგურებას. მას შემდეგ, „შიმშილას“ ჩემთვის არა ერთი მსგავსი ხასიათისა და სირთულის დავალება-გამოცდა შემოუთავაზებია. ბოლოს, დიდი ხნის უნახავები, უშუალოდ 9 აპრილის შემდეგ, მთავრობის სასახლის წინ ახლად გადარეცხილ ქვაფენილს ჩაშტერებულები, ერთმანეთს შევეჯახეთ და „შიმშილამ“ ეგრევე ჯარისკაცებზე სანადიროდ წასვლა შემომთავაზა. მადლობა ღმერთს, იმ საშინელ დღეს არც ერთ ჩვენთაგანს ცოდვაში არ ჩაგვიდგამს ფეხი. მსგავსი დავალება-გამოცდების მოგონება დიმას საქმე იყო. ერთხელ, ბოლო ზარის შემდეგ, ბიჭბუჭები სკოლის წინ ვლლაბუცობდით, რომ დიმამ მითხრა, სკოლის მთავარი კარებიდან ახლა რომ გამოვა გოგო, იმას თუ აკოცებო. რატომაც არათქო, ვუპასუხე და ბრაზიანი დარაჯის, რომელიც სკოლაში უცხოს არავითარ შემთხვევაში არ გააჭაჭანებდა, „დიადია სტიოპას“ და ჭავჭავაძის პროსპექტზე გამოფენილი უამრავი მოსწავლის თვალწინ, კარებში გამოსულ თანაკლასელ ტყუპისცალო ირინეს ტუჩები ლოყაზე მივადე. ის კვირა სულ მესიზმებოდა რომ ტყუპების ჯან-ღონით სავსე უფროსი ძმები მოსაკლავად დამდეგდნენ. განსაკუთრებით დილაობით, სკოლაში წასვლამდე მიჭირდა ტელევიზორის ყურება, რადგან ერთ-ერთი მათგანი, იმ დროის ცნობილი ტანმოვარჯიშე, „დილის გამამხნეველი ვარჯიშის“ გადაცემის დროს ზომაზე მეტად დაბერილი კუნთებს მეტად სერიოზული სახით ათამაშებდა.

„პირველი ამბორი“ მგონი არც გოლიათმა სტეფანემ არ მომიწონა და როგორც კი სკოლაში შემოსასვლელი კარების ახლოს მომკრავდა თავალს, გაბრაზებისა და მუქარის ნიშნად გოდორივით დიდ თავს აქეთ-იქით გადააქანებდა ხოლმე. სტიოპა-სტეფანეს, მარჯვენა ფეხის წვივი ომის დროს ჰქონდა დაკარგული და ამიტომ მუხლით მარტივ, თითქოს ძველი მეკობრეების ნაქონ, ხის ძელიდან გამოჩორკნილ ჯოხ-პროტეზ-ყავარჯენზე დაყრდნობილი დადიოდა, რომელსაც სკამიდან ყოველი წამოდგომის დროს ბარძაყზე ქამრებით იმაგერბდა. დარაჯის თეთრი თუჯის ზარს დიმიულიას მსგავსი ბავშვები ძალიან ეტანებოდნენ და ამიტომ ან ხელში ეჭირა ან შემოსასვლელი კარების ახლოს, მისი მაგიდის და სკამის გვერდზე, ფანჯრის რაფაზე ედო. ომგამოვლილ კაცს, გაკვეთილებს შორის იშვიათად რული თუ მოერეოდა ხოლმე და მაშინ იყო, რომ რისკიანი ბიჭები ზარს ჰპარავდნენ და ხუთსართულიანი სკოლის პირველი სართულის კიბეებთან უდროოდ დროს თავგამოდებით აჟღარუნებდნენ. არაერთხელ მინახვს თუ როგორ მისდევდა ხოლმე ბავშვების საყოველთაო ჟივილი-ყივილიში ცალოფება სტეფანე სახელის მოხვეჭის მსურველ ბიჭებს და თვითნაკეთი პროტეზით როგორ ოსტატურად და დაუნდობლად აპანდურებდა მათ. ამიტომ სკოლაში შესვლა-გამოსვლის დროს, ყოველთვის ფრთხილად ვიყავი, რომ უცებ უკან სტეფანეს თვითნაკეთი ყავარჯენი არ მომწეოდა.

28.03.17

დღეობა

შაბათს სამივენი ერიკას დღეობაზე ვიყავით. ის თურმე 60 წლის გახდა და რიჩმონდის სახლში მხოლოდ ოჯახის წევრები და რამდენიმე ამხანაგი დაგვპატიჟა. ლუკას ძალიან მოეწონა მისი სახლ-კარი, ეზო და აგრეთვე დამსწრე საზოგადოება: ერიკას უფროსი ძმა, ოთხმოცდაათს მიახლოებული ბებიები - ერიკას დედა კლარა, მისი და მილი, ჩვენი ყოფილი ლენდლორდი და სხვები. უკანასკნელი, ჩვენი ბიჭაჭოსადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. აღფრთოვანებული, სულ ლუკას მისჩერებოდა და ტორტის განაწილების დროს რამდენჯერმე შემჩნევა მისცა ქალს, თურმე ერიკას მომავალ, რიგით მეორე მეუღლეს, ვინც სუფრაზე გვემსახურებოდა: ტორტი ჯერ ლუკას უნდა მისცე და არა სხვას, გაიგე შენ თუ არაო?!

ერიკას ოცი წლის ტყუპი გოგონები სუფრაზე მსხდომთ მექსიკის იუკატანის ნახევარკუნძულიდან „სკაიპის“ საშუალებით შემოგვიერთდნენ. იუბილიარმა დღეობის შოკოლადის ტორტზე დანთებული სანთლები ლუკას ჩააქრობინა. ამ დროს, ყველა ერთად ტრადიციულ „Happy birthday to you, Happy birthday to you, Happy birthday dear Eric, Happy birthday to you!!!“-ს ვმღეროდით. შემდეგ, ერიკამ წითელი

ღვინით სავსე სასმისი ასწია და ჩანგლით ააქლარუნა, თანამოდინახეების ყურადღება რომ მიექცია და სუფრა-კერძების მომზადებლის, სარას შრომა ერთობლივი „Hip hip hooray/hurrah!!!“ აღგვანიშნინა. შემდეგ, თავად სარას ინიციატივით „Birthday Boy“-ს მივულოცეთ იმავე წესით და ასე გაგრძელდა, სანამ სუფრის თითქმის ყველა წევრს კარგად ყოფნა არ ვუსურვეთ. ლუკას ძალიან მოეწონა დღეობის ეს ნაწილი და მერე ხშირად აწკარუნებდა ჩანგალს ჭიქებზე „ჰურაის“ ძახილით.

თეთრ სუფრაზე ლამაზი დიდი თეფშების, დანა-ჩანგლის, ქათქათა ქსოვილის ხელსახოცებისა და სასმელების გარდა არაფერი არ იყო. უკლებლივ ყველა კერძი ოთახის კუთხეში ცალკე მდგარ მაგიდაზე ეწყო, საიდანაც ყველა, რაც სურდა, იმას იღებდა. მე ასპარაგუსის გემრიელი ღვეწლით, შემწვარი ქათმის ბარკლის გადანახსენით, პიკანების ანუ ნიგვზის ბიძაშვილის ნამცხვრისა და შოკოლადის ტორტის ნაჭრებით დაკვამყოფილდი. სხვა სტუმრებს დიდი საინები პირამდე გაეცსოთ თითქმის ყველაფერი იმით, რაც მასპინძელმა შემოგვთავაზა. დროდადრო, დაგემოვნებულ კულინარულ ნაწარმს, წითელი ღვინის დიდი ყლოუპებით „ჩარეცხავდნენ ხოლმე ქვემოთ“.

ტორტის შემდეგ, სარამ მაგიდის თავში მჯდარ იუბილარს სტუმრებისაგან შემოსასვლელში დატოვებული, საგანგებოდ შეფუთული საჩუქრები მიუტანა. ერიკამ მათ გახსნა-შეფასებას, მისალოცი ბარათების ხმამაღლა კითხვასა და თვითოეული ჩვენთაგანისათვის მადლობის გადახდას კარგა ხანი მოანდომა. მორთმეულ საჩუქრებს შორის იყო ელექტრონული წიგნების საკითხავი „კინდლი“, ჯაკუზის აუზის წყლის გამათბობელი და აუზის გასამართავ-მოსავლელი მოწყობილობები, ჩარჩოში ჩასმული ძველი გრავიურები და ა.შ.

აქ სადღესასწაულო სუფრაზე რომ გპატიჟებენ, ელექტრონულ მოსაწვევ ბარათს, სადაც მისამართი, დრო და სხვა საჭირო ინფორმაციაა (მაგალითად „ძალიან გთხოვთ სუნამოები არ იხმაროთ“ და ა.შ.), ხშირად მოჰყვება ხოლმე ე.წ. „Wish List“-ი, სადაც ჩამოთვლილია თუ რა სურს იუბილარს ან მექორწილეს საჩურად მიიღოს, თუკი დაპატიჟებულს ამის სურვილი და საშუალება აქვს. ამრიგად, უაზრო საგნებში, ჭიქებსა და ყავის სერვისებში ფულს არავინ ხარჯავს და თუ ასეთი რამე მაინც მოხდა, საჩუქარს სპეციალური ქვითარი მოსდევს, ფასის ჩვენების გარეშე, რომლის საშუალებითაც კაცს შეუძლია საჩუქარი მაღაზიას დაუბრუნოს და სათანადო თანხა დაუბრკოლებლად აიღოს. ჩვენ თითქმის ყოველთვის „Gift card“-ს ვყიდულობთ, რადგან საჩუქრების ძებნისა და ყიდვის დრო არა გვაქვს და ვთვლით, რომ თავად იუბილარი უკეთესად გადაწყვეტს თუ რაში უნდა იმ მცირე თანხის დახარჯვა.

ერიკამ ლუკას ნამდვილად სასარგებლო საჩუქარი დაახვედრა და რაც მთავარია, თავად აჩვენა თუ როგორ და რამდენნაირი მოძრავი კონსტრუქციის აგება შეიძლება ამ იშვიათი სამხრეთ კორეული საბავშვო კონსტრუქტორით. ამის გამო, ერიკას ნამდვილად ეკუთვნის „Hip hip hooray/hurrah!!!“

კინლამ დამავიწყდა: საჩუქრების საჯარო განხილვის შემდეგ, სუფრის ყველა წევრმა ერიკასთან დაკავშირებული ამბები გაიხსენა. აქ ასეთი ტრადიციაც არსებობს: გრძელ-გრძელი სადღერგძელოების მაგივრად, ვინ რას მოყვება და ვინ რას. ამჯერადაც ყველა ეცადა, რომ მისი მონათხრობი სხვაზე უკეთესი გამოსულიყო.

სრულიად მოულოდნელად, ამ არაოფიციალურ შეჯიბრში გამარჯვებული მე გამოვედი, რადგან ოცდაორი წლის წინათ მომხდარი ფაქტი, ერიკას მიერ ჩვენთვის მანქანის ჩუქების დეტალები, გავახსენე მათ, ვინც ეს ამბავი ისედაც იცოდა, ხოლო ვინც არ იცოდა, იმათთვის დაწვრილებით მოვყევი.

სულ ბოლოს, ტრადიციული რიტუალიზირებული თამაშის “პინიატას” შემსწრე გავხდით. ამ თამაშის დროს, თვალახვეული ბავშვი ან ზრდასრული ადამიანი ჯოხით ცდილობს ხეზე ჩამოკიდებული კანფეტებით სავსე ორნამენტებით მორთული საგნის, მუყაოს კოლოფის ან კონტეინერის გატეხა-გახლეჩას, რომ ტკბილეული დაისაკუთროს. ამ შემთხვევაში, უცნაური და მოულოდნელი ის იყო, რომ ერთ-ერთი ლოკალური პროფკავშირული ანუ ექსტრალიბერალური კალიფორნიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ჩვენს მასპინძელ ერიკას პინიატა აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ხატად უქცევია და შესაბამისად, ასე ვთქვათ, სტუმრებს მისი დაბეგვა შემოგვთავაზა.

სახლის წინ ხეზე გამოკიდებული პოლიტიზირებული პინიატას გამოსახულებას იუბილარის ხათრით მხოლოდ ორიოდ თანამოინახემ შემოჰკრა ჯოხი. დანარჩენები, ჩვენი არ იყოს, უნებლიე მოწმეების როლით დაკმაყოფილდნენ.

სახლში წასვლის წინ, სარამ ყველას ქოთანში დარგული სურნელოვანი ყვავილები დაგვირიგა.

ამ დღიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ ერიკამ დაგვპატიჟა ჯერ ნიშნობაზე ოკლეინდის რედვუდების ტყე-პარკში და შემდეგ ქორწილზე. ვერც ერთზე ვერ მოვახერხეთ წასვლა, რადგან იმ პერიოდში საქართველოში ვიყავით.

08.04.17

კალეიდოსკოპი

დღეისათვის, ლუკას სათამაშოები ბლომად დაუგროვდა. მათ შორის ისეთებიც, რომლებსათვის სხვის დაუხმარებლად, თავად არასოდეს მოუყიდია ხელი. ასეთია უსაფრთხოების მიზნით მაცივრის თავზე შემოდებული კალეიდოსკოპიც. ეს ვითომ ჭოგრიტი, აშკარად ძალიან ადრე ვუყიდე სულ კომპიუტერის მულტფილმებზე მიჩერებულ ბიჭაჭოს, რომელსაც ჯერ-ჯერობით კიდევ არა აქვს უნარი, რომ ცალთვალდახუჭულმა შიგ ჩაიხედოს. არადა სკოლამდელ ასაკში, ბავშვებს დიდ რამედ მიგვაჩნდა კალეიდოსკოპი, მამაჩემის ძველი ფრანგული ბინოკლი (ზაფხულის თბილ ღამეში ბავშვებს პატარა აივანზე პლედს გვიგებდნენ და ბინოკლით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და მაშინ ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცულ, დიდ ვერცხლისფერ მთვარეს საათობით შევცივინებდით: მამა მთვარეზე ხან მთებს და ჩამქრალ ვულკანებს, ხან დამშრალი ზღვების კალაპოტებს გვიჩვენებდა), ქუჩაში მშობლების მიერ ბოშა ქალებისაგან შექნილი „ვანკა-ვსტანკა“, გრძელ რეზინაზე ჩამოკიდებული, ნახერხით გატენილი პატარა ბრჭყვიალა ბურთები და მოკლე ჯოხებზე დამაგრებული ტკბილი წითელი „მამალოები“, რომლებსაც თურმე სასაქონლო სახის შესანარჩუნებლად მრავალშვილიანი ბოშა გამყიდვლები მალიმალ გამოივლებდნენ ხოლმე პირში.

1954 წლის 1 სექტემბერი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მახსოვს. მამას მიერ მოსკოვიდან ჩამოტანილი გიმნაზისტის სტილის ახალთახალ სასკოლო ფორმაში გამოწყობილს, დედამ თმები დამივარცხნა, ანუ ქოჩორზე დასველებული ორი თითით “ლასტოჩკა” გამიკეთა, ჩანთაში დიდი წიგნი-ყუთი ჩამიდო, რომელშიც ანბანი და ჩემი პირველი სახელმძღვანელო, რვეულები, ფერადი ფანქრები, სხვადასხვა ფორმის სახაზავები, საშლელი და კიდევ ბევრი საინტერესო რაღაცეები ეწყო. მერხზე მასწავლებელმა ერთი მოუსვენარი ბიჭის გვერდზე დამსვა. საშკამ მშობლების მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, საიდუმლო უცბად გამიმხილა: საქართველოს მეფის შვილი ვარ და თუ არ გჯერა, თვითონ ნახე, ფეხებზე საგანგებოდ ამ დღისათვის შეკერილი ტყავის ჩექმები მაცვიაო. ჩვენი პირველი გაკვეთილი ორივემ ერთად მერხის ქვეშ მისი შარვლის ტოტებით დაფარული მზინავი ჩექმების თვალიერებაში გავატარეთ. შესვენებაზე დედამ პურის ორ ნაჭერს შორის ჩადებული, მოშუშული ხახვითა და მწვანილით გვარიანად შეზავებული კატლეტი მაჭამა, ცხვირ-პირი, სკოლის “ფანტანის” წყლით, დასველებული ხელსახოცით გამისუფთავა და მეორე გაკვეთილის დასაწყებად დარეკილი ზარის შემდეგ საკლასო ოთახისაკენ შემატრიალა. კიდევ, შემდეგ შესვენებაზე ეზოში გავარდნილ ბავშვებთან სათამაშოდ არ გამიშვა, სანამ დაწყებული ვაშლი არ დავამთავრე. სახლში

დაბრუნებულს, შუშაბანდში კედელზე მიკრულ სასკოლო რუკასთან მიდგმული, ახლახანს ნაყიდი ჰატარა მაგიდა და სკამი დამხვდა. აქ დაჯექი და რაც დღეს გასწავლეს გაიმეორეო, ღიმილით მითხრა მამამ და სანამ კაბინეტში შებრუნდებოდა ჩემსკენ დაიხარა, აქაოდა მეტად მნიშვნელოვან რამეს გეუბნებიო, თითქმის დამიმარცვლა: "გახსოვდეს, არასოდეს არავინ არ დაჩაგრეო!!!". ასაკისა თუ უყურადღებობის გამო, ჩემებურად გადასხვაფერებული მამისეული ეს სენტეცია კინაღამ მომავალი ცხოვრების მოწოდებად მექცა: არასოდეს არავინ არავის არ დააჩაგრინოო, ასე მითხრა ვითომ მამამ და მშობლის ავტორიტეტით გამაგრებული ეს სიტყვები შემდეგ კარგახანს დროდადრო საბრძოლო ყიჟინასავით ჩამესმოდა ხოლმე ყურში. ეს ორი წინადადება ერთმანეთს მართლაც ძალიან ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მათი აქტუალიზაცია მეტად განსხვავებული შედეგების მომტანი აღმოჩნდა. უანგარო დანმარებისათვის ყოველთვის მზად მყოფი მამა, როდესაც უცნაურად აღაჟღაბებულ ჩემს ლოყებს მოჰკრავდა თვალს, ჯერ ამბავს გამომკითხავდა, მერე კი აუცილებლად დააყოლებდა: "შენ ამ ქვეყანას ვერ გაასწორებ, ჯობია გაკვეთილებს მიხედო!"

მეორე კლასში, უკვე ვაკის ერთ-ერთ რუსულ სკოლაში გადაყვანილი, ერთი ციდა ებრაელო ბიჭს, ვერცხლისწყალივით მოუსვენარ ლიონჩიკას გავუამხანაგდი. მომეჩვენა, თითქოს ზოგიერთმა თანაკლასელმა ჩქარი და ემოციური მეტყველების გამო, ცხვირი აუბზუა. მამისეული სენტენციის ჩემებურმა ინტერპრეტაციამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ როდესაც თითქმის სრულიად უცნობმა უბნელმა ბიჭმა მთხოვა, ზემო ვერელები მანქანას მართმევენ და დამეხმარეო, უკვე სტუდენტმა, ლექციებს თავი მივანებე და უსიტყვოდ გავყევი. მისულებს იქაურებმა იარადით შემოგვიტიეს. ის ვითომ ნაცნობი სად გაქრა, დღემდე არ ვიცი. მაშინ სრულიად შემთხვევით ამცდა გულში დამიზნებული მოფარიკავის წვერწათლილი მახვილი, მაგრამ ძიძგილაობის დროს ერთი ძალიან გრძელი ბიჭის მოქნეული მუშტი ყბაში მაინც მომხვდა. შეტაკებებს შორის, ერთმა ვერელომა ბიჭმა ველოსიპედი მომიგდო, თუ ძმა ხარ სწრაფად გაეცალოე აქაურობას, სანამ იმ ნაგავის გამო არ მოგკალითო და თავისიანების დასაწყენებლად მიბრუნდა. ამ შემთხვევის შემდეგ, უკვე უფრო ვფრთხილობდი და სხვების მუშტი-კრივით დაცვას, თუ არ ვცდები, მგონი საერთოდ თავი მივანებე. თუმცა, რაც მართალი მართალია, საკუთარი თავისა თუ ძალიან ახლოობელი ხალხის დასაცავად არასოდეს დამზარებია ფიზიკური გარჯა. კალიფორნიაში ეს თითქმის სრულიად გამორიცხულია, რადგან ლოკალური კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერ სიტუაციაში დამნაშავეა ის, ვინც პირველი შეეხება ადამიანსა თუ მანქანას.

23.09.17

ამონარიდები ურბანული ლექსიკონიდან

გუმინ, ის იყო მეექვსე ქუჩიდან მანქანებით გადაჭედილ უნივერსიტეტის ავნიუზე შემოვუხვით, რომ ახალი ამბების რადიოწამყვანმა დიდის ამბით, მორიგი, ვითომ მეტად მნიშვნელოვანი რამ გვამცნო: იმ წუთებში ანუ 4 საათსა და 02 წუთზე, პარასკევ დღეს, ჩრდილოეთ ჰემისფეროში შემოდგომა დაიწყო! ამრიგად, გამოვიდა, რომ მე და ლუკამ 2017 წლის ზაფხულის ბოლო ორი საათი თურმე ქალაქ ემერვილის „აიკიას“ სათამაშოების განყოფილებაში გავატარეთ. ამ „სამახსოვრო თარიღით“ განალისებულმა, ბავშვების სავარძელში ქამანდებით ჩაკრულ, ჩაძინებულ ლუკას სარკიდან უკან გავხედე და მექანიკურად ქუჩაში მსუყე შემოდგომის ნიშნების ძიებას მივყევი ხელი. ყოველ ცისმარე დღეს, ბერკლის ამ გადატვირთულ, ჩვეულებრივ ახალი და სანაქებოდ გამართული მანქანებით სავსე ფართო ქუჩაზე, საკუთარი პიპიას გარშემო თუ მიმოიხედავს კაცი, თორემ იმის იქით, წარამარა ცვლად მოძრაობაში, რაიმეზე მზერის დიდი ხნით შეჩერება ხომ არ შეიძლება. უცებ, ჩემს წინ „ტოიოტას“ უჩვეულოდ ძველი, ასე 80-90- იანი წლების, ეტყობა არაერთი პატრონის ხელში გამოვლილი, ვაშინგტონის შტატის ნომრებიანი ერთი ციდა „პიკაპი“ აღმოცენდა. ასეთი მანქანა საკუთარ სოფელსა თუ დაბას ძნელად თუ გასცდება. იქაც ალბათ მზის ჩასვლის შემდეგ, ღრჭიალ-გრუხუნით თუ მიდი-მოდის აქეთ-იქეთ. ამხელა გზაზე მეზობელი შტატიდან ბერკლში რამ ჩამოიყვანათქო, დავინტერესდი. მძღოლს, აზიურ-ინდიელური ანუ შერეული რასობრივი გამომეტყველების ახალგაზრდა მამაკაცის პროფილს, გვერდითი მზერით ერთი წამით შევავლე თვალი და კუსტარულად, ყოველგვარი ბზინვა-ბრჭყვიალის გარეშე შავად გადაღებულ მანქანას უკან ამოვუდექი. ცარიელი, ფარღალალა საბარგულის წინ, ფანჯრის მინაზე, თეთრი საღებავით, ხაზოვანი, პრეისტორიული პიქტოგრამებისა თუ პროვინციულ სტილში შესრულებული „სტიკერების“ რიგს მოვკარი თვალი. მძღოლის მხარეს, ერთმანეთზე მიტყუპებულ, უნაოჭო, კოკორებივით წამოზრდილ „ხინკლებში“, გუმანით, თითქოს ახალგაზრდა ქალიშვილის მკერდი ამოვიცანი. მის ქვეშ კი ასევე თეთრი საღებავით შესრულებულმა წარწერამ „Hello Titties!“, Urban Dictionary-ში წაკითხული ერთი განმარტება გამახსენა: „titties - term is that it denotes a particular quality of breast: Most often, but not limited to small breasts but also denoting other qualities such as firmness, perkyness and a generally fun, playfull quality to the breast that endears the viewer to the breast in question.“ და ა.შ. და ა.შ.

აქ ვითომ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ფანჯრის მარჯვენა კუთხეში, მინაზე მოთავსებული, იმავე სტილში შესრულებული ვრცელ-წარწერიანი ნახატი-სტიკერი ყველაფერ ამას კითხვის ნიშნის ქვეშ

აყენებდა. იქ, საკმაოდ ვრცელი კომპოზიციის დასაწყისში, ქორბუდა ირმის თავზე სამხედრო ტიპის ოპტიკური სამიზნე იყო გამოხატული, შემდეგ უკვე გაქცეული ირმის ტანის ქვეშ “BANG!!!” წაეწერათ, ხოლო ბოლოში კიდევ ერთხელ გამოხატული ირემი უკანა ტანს ჩვეული ხერხით ილოკავდა. მთელი ამ მინი-ჰანოს ქვემოთ შესრულებული, უცნაური, ცხოველების დაცვაზე გადაყოლილი საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი “სთეითმენტი” იყო გაცხადებული: “I Hunt Whitetail all Year Long!!!”

სახლში მისულმა, ისევ ჟარგონის ლექსიკონს მივაკითხე ინტერნეტზე და აი რა ამოვიკითხე: „whitetail - a term used to describe a female who has her white thong very visible. Term taken from a white tail deer“. . . „thong - a small sexy piece of underwear that girls wear and it attracts men. When a girl bends over, it tends to show out from under her jeans or hipsters. Men love them. By far one of the best forms of underwear. It is small, with strings going around the hips, a small piece of cloth in the back, and cloth in the front. Many girls wear them, useful in preventing "Panty Lines" from coming through when they wear tight pants. Also, a huge turnon for guys when girls bend over, and they pop up about the pants“. შემდეგ, თავად ხსენებული სთეითმენტის სრული ტექსტი აკრიფე და როდესაც კომპიუტერმა სტიკერის განსხვავებული, საეჭვო იუმორით შეზავებული უხამსი ვერსიები ამომიყარა, ყველაფერი ნათელი გახდა.

არა და ის ვაშინგტონელი მძღოლი არც “ირმებზე” მონადირესა და არც ჟურნალების „playboy“-ის ჰგავდა. ამიტომ, უცნაური იმიჯის მქონე კაც-მანქანის ქალაქში გამოჩენა მეორე დღეს ბერკლის უნივერსიტეტის ზელერბან ჰოლში კონსერვატორი სპიქერ-პროვოკატორის, ვითომ პრეზიდენტ ტრამპის მომხრე, გამხელილი გეის, მილო იანოპულოსის (Milo Yiannopoulos) მოსალოდნელ საჯარო გამოსვლასთან დავაკავშირე. როდესაც ბერკლის უნივერსიტეტში „თავისუფალი სიტყვის კვირეულის“ ფარგლებში რომელიმე კონსერვატორის გამოსვლა იგეგმება, ეს პატარა საუნივერსიტეტო ქალაქი დასავლეთ სანაპიროდან და კიდევ ათასი სხვა ადგილებიდან ჩამოსული ე.წ. მემარცხენე რევოლუციონერებით ანუ ძირითადად დეკლასირებული, „თავისუფალი სიყვარულის“ მოტრფიალე ელემენტებით ივსება. ისინი, ასე ვთქვათ, საპროტესტო გამოსვლებს აწყობენ და ისტორიული უნივერსიტეტის თვალწარმტაც კამპუსს პოლიციასთან ბარიკადული ბრძოლის ასპარეზად აქცევენ ხოლმე. ასეთ დღეებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იძულებულია ასიათასობით დოლარი დახარჯოს გაძლიერებული დაცვის მოსაწყობად.

მანქანების რიგში, არასაპროტესტოდ განწყობილი ველოსიპედისტების წყვილიც შევნიშნე. ველოზე აკოლიკებულ ორ-ათეულ წელს გადაცილებულ თეთკანიან, უხვ მაკიაჟიან მეძავე ქალს, რომელსაც

მხარზე დიდი და მრგვალი, ვერცხლისფერფარფლებიანი უზარმაზარი ჩანთა-სიმბოლო გადაეკიდებინა (უკანასკნელი ქალაქის განაპირა ჩაბნელებულ ქუჩებში, მანქანებიდან სექსზე მონადირე, იაფასიანი პროსტიტუტების ხელშემწყობებისათვის STOP სიგნალის როლს ასრულებს ხოლმე), წინ ძალიან წვრილად დახვეული და ბუჩქად შეკრული ნაწნავებიანი, სრულიად ახალგაზრდა აფრო-ამერიკელი pimp-ი, ბიზნეს პარტნიორისა და პოტენციური მცველის როლის შემსრულებელი დაკუნთული ბიჭი მიუძღვოდა. ალბათ, ამ წყვილის ერთადერთ მიზანს, ბერკლიში შეკრებილ „პროტესტანტებს“ შორის “ქუიქ-სექსის” სანაცვლოდ რაც შეიძლება მეტი დოლარების შეგროვება წარმოადგენდა.

11.10.17

„მიტოვებულ საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიანო“

მართლაც რომ ასე ხდება ზოგჯერ, მით უმეტეს თუ კაცი ქვეყნიდან დიდი ხნით მიდის. მაშინ, რაც მცირე რამ აბადია, შეიძლება ლუკმა-ლუკმა ჩამოათალონ სხვის ხარჯზე გამდიდრების მოსურნეებმა. იაფი პოპულარობის მაძიებელნი კი, როდესაც ადამიანს საკმაოდ უსაფრთხო დისტანციაზე დაიგულებენ, ათასი მიზეზით ან სრულიად უმიზეზოდ, წმინდა წყლის ცილისწამების საშუალებითა და მისი სახელის უხეში ხელყოფით, მათთვის სანატრელი კაპიტალის დაგროვებას ცდილობენ. თქმა არ უნდა, უკანასკნელ შემთხვევაში, მაღალი ღობეები საქმეს არ შველის. უმეტესწილად, მხოლოდ თავდაცვაც არაფერის მომცემია. ამის გამო, მოულოდნელი დარტყმით წონასწორობა-დაკარგული მსხვერპლი შეტევაზე გადადის და იწყება სწორედ ის, რაც მის ყოველგვარ მორალის მოკლებულ ვაი-ოპონენტებს ჰაერივით სჭირდებათ საკუთარი არსებობის გასამართლებლად: უკვე თითქმის ტრადიციად ქცეული „თავსლაფდასხმობანა“.

ორი დღის წინ, ერთ მეტად საჭირო ოფიციალურ საქმესთან დაკავშირებით, ერთგვარ წინააღმდეგობას წავაწყდი. გულმა რეჩხი მიყო, 90-იანი წლების გამოცდილებით ტრავმირებულს, რაიმე ახალს ხომ არ მაბრალევენ საყვარელი თანამემამულეებითქო და ინტერნეტზე ჩემს სახელთან და გვართთან დაკავშირებულ მასალებს გადავხედე. ვერაფერი საგანგაშო ვერ მოვიძიე.

ისე, რამე რომ ყოფილიყო, ის უფრო მერჩივნა, ვიდრე მამაჩემის სალანძღავი, აბსურდული ცილისწამებებით სავსე, „ვარაუდებზე“ და „თანადროული საზოგადოების ცოდნაზე“ აგებულ პასკვილს წავაწყდებოდი. წერილის ავტორი გასაოცარი მონდომებით, „მელას რაც ესიმებოდა ის ელანდებოდაო“ პრინციპით, ყოვლად უმწიკვლო და მუდამუჟამს სხვებზე მზრუნავი პიროვნების სახელის შებღალავს

ცდილობს. „პირტიტიელა მოყმეს“, „ყოფილ კომკავშირის მუშაკს, იმჟამად უკვე ჩეკისტს“, რომელიც „მიხაილოვსკის“ პსევდონიმს ამოფარებოდა, ანუ 28 წლის მამაჩემს („რომელმაც იცოდა რომ ფოლკლორით ხურმაა, მაგრამ რა ხილი იყო, ამაში ჯერ კიდევ არ გახლდათ გარკვეული“), არც მეტი არც ნაკლები, 1937 წელს რეპრესირებული ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და უფროსი კოლეგის, ბატონი ვახტანგ კოტეტიშვილის დასმენაში და შემდეგ დახვრეტილი მეცნიერის ნაშრომების მითვისებაში სდებს ბრალს. სხვას, ვთქვათ, ერთი წუთით მართლაც რომ თავი დაანებოს კაცმა, ამით პასკვილის ავტორი მამაჩემის მიერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში შექმნილი მრავალრიცხოვანი წიგნებისა და კრებულების, ინტელექტუალური ქონების (რომლებშიც თურმე ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში „ამოიცნო“ რეპრესირებული მოღვაწის ნაწერები!), კომპეტენტური ორგანოების სტილში, ერთი ხელის დაკვრით „ხმარებიდან ამოღებას“ ლამობს...

საგამომძიებლო ჟურნალიზმის ამ ჩვენებურმა ვერსიამ ის მძიმე პერიოდი გამახსენა, როდესაც ქვეყანას სპეცსამსახურების „ჭორბიუროების“, „თავისუფალი პრესის“ და ავტომატიანი ყმაწვილკაცების საშუალებით მართავდნენ და ყველას, ყველაფრისა და ყოველის მტრად გადაქცევას ცდილობდნენ. ერთ ასეთ დღეს, ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შესულს, თანამშრომლების დიდი ჯგუფის თვალწინ „შავი დღე მაყარა“ საერთოდ ჩემდამი აშკარად დადებითად განწყობილმა ინსტიტუტის ერთ-ერთმა თავკაცმა: „ფუი, შენს ვაჟკაცობას რა ვუთხარი, თურმე ფაშისტების მხარეზე ყოფილხარ და მალე თავად ნახავ ყველა შენნაირს რა დღე დაგადგებათო“ და ა.შ. მამის ტოლს კაცს სხვა ვერ შევხედე: “ნამდვილად ცდებით, აშკრად ვილაცხა გეშლებით ბატონოთქო”, ვუთხარი. „რას მიქვია მეშლები, საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა მითხრეს ეს ამბავი და უნდა გრცხვენოდესო“. უკვე აღარ ვიცოდი თუ რა გზას დავდგომოდი და ბიბლიოთეკიდან უტყვად გავვიდი. იმ პერიოდში, მსგავსი ჭორებითა და კიდევ ათასნაირი ხრიკებით „ხალხის მტრად“ გამოცხადების შიშით, არა ერთ ადამიანს ჩააგდებინეს მუცელში ენა.

სხვა შემთხვევაში, უკვე ხსენებული მკვლევარის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ, „პერესტროიკით“ გადაღწეული ხალხით გადაჭედული ფილარმონიის დარბაზში, ისევ საჯაროდ, „კაგებეს“ აგენტად გამოამაცხადა დამსწრეთა შორის სულ რამდენიმე წუთის წინ შემჩნეული კაცი. იმჯერად, უნებლიედ, მოულოდნელობისაგან თავშეუკავებელი ხმამაღალი სიცილი ამივარდა.

ასეთი „შემთხვევებიდან“, მგონი ყველაზე ოდიოზური მაინც უკვე კალიფორნიაში კარგა ხნის ცხოვრების შემდეგ მოხდა: თურმე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა საიდუმლო სამსახურმა, ისევ ვილაც

„კეთილიმოსურნის“ მიერ შეთხზული ჭორის საფუძველზე, საზღვარგარეთ მყოფი ყველაზე საშიში პიროვნებების 73-კაციან სიაში შემყვანა და შინ დატოვებული ახლობლები კარგა ხნით ამიფორიაქა. იმჯერად, Нет худа без добра-ო რომ იტყვიან, ისე გამოვიდა. ამ ამბების შემცველი („მანდ რას შვები მაგისტანას აქ რომ ასე გვაწიოკებენო“, მწერდა აშკარად გაბრაზებული ოჯახის წევრი), თბილისიდან სასწრაფოდ გამოგზავნილი ავიაბარათის ნახვით აღელვებულმა საემიგრაციო სამსახურის მოსამართლემ ჯერ „მწვანე ბარათი“ გვიბოძა და შემდეგ კი ცოტა მოგვიანებით აშშ-ის მოქალაქეობაც მოგვანიჭა.

ამგვარი მოგონებების წყებამ, ერთი პირობა, თავგზა ამიბნია. მით უმეტეს, რომ გამახსენდა, რამდენიმე თვის წინ ემიგრაციაში წამოსული ყოფილი ჩემი თანამშრომლის, მაშინ ახალგაზრდა, ეხლა კი სამოც წელს მიღწეული კაცის სიტყვები: ნამუსდაკარგულ ადამიანებთან ურთიერთობას ვეღარ გავუძელი; ჩვენი მამების გამო, „ანონიკებითა“ და სხვისი დასმენა-დაგებით გზა არ გაგვიკვლევია და ეხლა კი ეს ისევ ნორმად იქცაო.

ყოველივე ამის შემდეგ, სურვილი გამიჩნდა რეპრესირებულთა არქივებში ჩამეხედა, მაგრამ მალე გადავიფიქრე, რადგან ვიცოდი, რომ იმდროინდელი საიდუმლო სამსახურების თანამშრომლები „როგორც საქმე ითხოვდა (რეგიონში ცენტრიდან დაშვებული დასახვრეტი ადამიანების ლიმიტის ფარგლებში) ისე ჭრიდნენ და კერავდნენ“. მახსოვს, როდესაც 70-იან წლებში ათასობით უდანაშაულო რეპრესირებულების რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო, მასში მონაწილეობა მიაღებინეს საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებსაც, რომელთა შორის მამაც აღმოჩნდა. ის ასეთი შეხვედრებიდან, გასაგები მიზეზის გამო, უგუნებოდ ბრუნდებოდა. როდესაც ერთ-ერთი დღის ამბავი დაწვრილებით, ცნობილი გვარების ხსენებით გამოვკითხე, მითხრა: იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც გვაჩვენეს, ისე გამოდის, რომ უკლებლივ ყველა ყველას წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას, რაც ძალიან საეჭვოდ მეჩვენებოდა. ის რომ „ნკვედეს“ დოკუმენტები მართლაც ასე იყო შეთხზული, საბოლოოდ უკვე კარგა ხნის შემდეგ დავრწმუნდი, როდესაც 147 დასახვრეტი ძალიან ცნობილი ქართველი ინტელიგენტის სია გამოქვეყნდა, რომელიც ადრეც ვახსენე ჩანაწერებში და რომელშიც მამაჩემი მეცხრე ნომრად (იმავე სიაში მოხვედრილი, რამდენიმე მეტად საპატივცემულო ადამიანის „მხილების“ საუძველზე) მძიმე დიაგნოზით - აქტიურ კონტ-რევოლუციონერად და ახალგაზრდა ფაშისტად იყო გამოცხადებული.

და ბოლოს: იმედია, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ხსენებული ბოროტი ჭორებით სავსე „fake news“-ის ინტერნეტით ტირაჟირება მხოლოდ „ხალხის მტრებზე“ ნადირობის უცნაური მონატრების

იშვიათი რეციდივია და მეტი არაფერი და მიზნად არ აქვს ახალი თაობების გათიშვა-დაპირისპირება.

ჰო, კიდევ ერთი რამ, რაც ნამდვილად ზუსტად ვიცი: აგერ უკვე, თითქმის 70 წელია რაც მამაჩემის მიერ გაკეთებული არჩევანის გამო, თქვენი მონა-მორჩილი, დიდი ვახტანგ კოტეტიშვილის სენია გახლავართ.

15.10.17

უ.მ.

ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად სულ ახალი მიღებული ვიყავი, რომ მეცნიერებათა აკადემიაზე მომავრებულმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოველთვის სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა ახალგაზრდა ოფიცერმა, ჩემი „დამუშავების“ (ანუ „ვერბოვკა-კონტროლის“) პროცესს მოჰკიდა ხელი. მაშინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი დერჟინსკის ქუჩაზე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის შენობის მეორე სართულზე მდებარეობდა. ამ ძველი შენობის პირველ სართულზე, ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მხარეს, წარწერებიან და დანომრილ კარებს შორის ერთი უნომრო და უწარწერო ორფრთიანი მძიმე კარი იყო. მასში, „კაგებს“ ოფიცერთან „სასაუბროდ“ მიწვეულს (ოფიციალურად გამოძახებულს), არაერთხელ მიწვედა თვეების განმავლობაში ფეხათრევით შესვლა. იმ კარის უკან ჩაბნელებული უავჯო გრძელი წინკარის ბოლოს, იმავე სტილისა და მასშტაბის მეორე კარი ხელის ცეცებით უნდა შემეღო და დიდი უფანჯრო ოთახის ზუსტად ცენტრში, შესასვლელი კარის პირდაპირ მდგარ მაგიდასთან, ვიზიტორებისათვის განკუთვნილ სკამზე უნდა ჩამოვმჯდარიყავი. კომიტეტის წარმომადგენელი, როგორც წესი, ნახევარ საათზე მეტ ხანს იგვიანებდა ხოლმე, რათა სრულიად ცარიელ მაგიდაზე კომიტეტთან ვითომდაც „დაახლოებული“ ცნობილი მეცნიერების „შემთხვევით“ დატოვებულ სიაზე ფიქრის საშუალება მომცემოდა, ანდა ამ ცხრაკლიტულის ბოლო კარებში ისევ ნაცნობების „სრულიად შემთხვევით“ შემოყოფილი ღიმილიანი თავები კარგად დამელანდა. ასეთი სპექტაკლები ვინმეს შეიძლება სასაცილოდაც კი მოსჩვენებოდა, მაგრამ არა მე - უშიშროების წარმომადგენლის ამგვარი, რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ყოველკვირეული „ყურადღებით“ შეშფოთებულსა და გაღიზიანებულს. ეს ახალგაზრდა ოფიცერი ხან რითა და ხან რით ცდილობდა, ერთსა და იმავე დროს, (მაშინ ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველი და ყოვლისმცოდნე უსაფრთხოების კომიტეტით) ჩემს დაშინებასა და პერსპექტიული კარიერით მოხიბლვას: გაკვრით მიხსენებდა ხოლმე წინა დღეების ჩემი პირადი ცხოვრების სხვებისათვის ნაკლებად ცნობილ ეპიზოდებს,

დაწვრილებით მიყვებოდა აშშ-ში და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა ანსამბლებთან ერთად მის „უფასო“ მოგზაურობებთან დაკავშირებულ ამბებს, ემიგრაციაში წასული ჩემს სკოლელ ებრაელ ბიჭებთან შეხვედრების დეტალებსა და ა.შ. და ა.შ. ერთხელაც, ჩემმა მეგობარმა, ყოვლად სანდო და წესიერმა ახლახან დაოჯახებულმა ფენმძიმე, სრულიად ახალგაზრდა ქალმა, მაშინ მეტად იშვიათი აკრძალული წიგნი, ალექსანდრე სოლოჟენიცინის „არქიპელაგ გულაგი“ მათხოვა. ეს, როგორღაც, ოფიცრის ყურამდე მივიდა და სულ მალე დიდი ამბავი დატრიალდა: დანამდვილებით ვიცი, რომ ეს წიგნი წაკითხული გაქვს და აუცილებლად უნდა გვითხრა, ვინ მოგცაო. გამუდმებული წნეხის მიუხედავად, რამდენიმე შეხვედრის შემდეგაც რომ ვერაფერს გახდა, მერე თავად მითხრა იმ ცნობილი ოჯახიშვილის სახელი და გვარი და ის, რომ თავიდანვე იცოდა, რომ წიგნი სწორედ მან გადმომცა. იმჯერადაც სასტიკ უარზე გავედი (მაშინ ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელებისათვის სოლიდური სასჯელი იყო დაწესებული) და უცებ ისევ ვიღაცის მიერ გამოგონილი ჭორის საფუძველზე, ოფიცერმა შემდეგი დასკვნა გააკეთა: შენ მართლაც შეყვარებული ყოფილხარ იმ გოგონაზე, ასე თავგამოდებით რომ იცავო; და სამუდამოდ გამცილდა. ეტყობა, როგორც კომიტეტისათვის სრულიად უსარგებლო პიროვნება, უკვე მათ ადგილობრივ აგენტურაზე ვყავდი გადაბარებული.

კიდევ ერთი უ.მ.: ჩვენი ინსტიტუტის ფანჯრები აკადემიის პრეზიდენტიშენი შენობის შიდა ეზოზე გადიოდა. იქ პრეზიდენტიშენის „პირველი განყოფილების“ საკმაოდ ხანდაზმული ყოველთვის კოპწიად ჩაცმულ-დახურული უფროსი დროდადრო უხვკვამლიან „ავტოდაფეებს“ გვიწყობდა: საიდანღაც, იმ დღისათვის სპეციალურად მოტანილ თუნუქის პატარა ღუმელში, მრავალრიცხოვანი მაყურებლების თვალწინ, საიდუმლო დოკუმენტების სოლიდურ დასტას დიდი გულმოდგინებით, ფურცელ-ფურცელ, ფერფლად აქვევდა ხოლმე, ხოლო ღუმლის საგულდაგულოდ გამოწმენდის შემდეგ, შეგროვებული ნაცარი ქაღალდის პარკით სადღაც მიჰქონდა.

29.10.17

უშრომელი შემოსავალი

განზოგადება საერთოდ სარისკო საქმეა, მით უმეტეს ისეთი დინამიური ქვეყნის მასშტაბში, როგორიც ამერიკაა. ეს განსაკუთრებით მართალია კალიფორნიისა და მის იმ ნაწილთან მიმართებაში, როგორსაც სან-ფრანცისკოს ყურე წარმოადგენს. აქ ყველაფერი, ისედაც აჩქარებულ ეპოქაში, სილიკონის ველის კომპიუტერული ბიზნესების გამო, ძალიან სწრაფად იცვლება. ამიტომ, როდესაც რაიმეს აღვწერ, ეს უმეტესწილად ბერკლიში, კონკრეტულ დროსა და ადგილზე მიღებული, 90-იანი წლების მეორე ნახევარში კომერციულ დაწესებულებებში მუშაობის

დროს მიღებული გამოცდილებაა და არა ზოგადი და სამარადჟამო კანონზომიერება. თუმცა, ცვლად ფენომენებთან ერთად, როგორც ყველგან, აქაც ბევრი უცვლადი, ბაზისური ფაქტორი მოქმედებს. ერთი ცხადზე-ცხადია, რომ როდესაც რაიმე ნეგატიური მოვლენა იპყრობს ადგილობრივი ბიზნესის სფეროში დაკავებული მოსახლეობის, პოტენციური ამომრჩევლების ყურადღებას, ლოკალური ადმინისტრაცია ცდილობს ასეთი ფენომენი მისი კომპეტენციის ტერიტორიულ საზღვრებს იქით მოაქციოს. მაგალითად, სხვა ადგილებიდან ჩამოსული მოხეტიალე უსახლკაროების ბანაკები, ქალაქის მმართველობის სხვადასხვა სამსახურების გამუდმებული ყურადღების გამო, უფრო “წყნარ” ადგილებზე გადასადგილებლად განაწყოს და სხვა.

რას აკეთებ რათა ნორმალურად იცხოვროო? ამ პოპულარულ კითხვას უმრავლესობა ჩვეულებრივ მეტად მარტივად პასუხობს, რომ სადღაც მუშაობს. მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს უჭირს მასზე სხარტი პასუხის გაცემა, რადგან უმეტესწილად ელემენტარულ უნარ-ჩვევებსა და ყოველგვარ განათლებას მოკლებული, სხვადასხვა მიზეზის გამო, თვითიზოლიაციაში მყოფი ჯგუფების წევრები, დახმარებებით, შენაწირი საკვებით, უფასო სამომხმარებლო ტალონებითა და შემთხვევითი შემოსავლებით ირჩენენ თავს.

“თიუზდი მორნინგის” მენეჯერობის პერიოდში, უშრომელი შემოსავლის არაერთი მოყვარულის მრავალგვარი ხრიკის მომსწრე გავხდით. ბერკლის ერთ-ერთ პოპულარულ მაღაზიას არც კეთილგანწყობილი მომხმარებელი და არც საექვო ვიზიტორები აკლდა. ზოგი თაღლითი, კომპანიისათვის ან მენეჯერისათვის ფულის გამოძალვის მიზნით დროდადრო რას არ მოიმოქმედებდა: სავაჭრო დარბაზებში დაგებული ხალიჩას საგანგებოდ ფენს წამოკრვდა, თავს წაიქცევდა და ყვირილს ატეხდა - ხერხმალი დავიზიანეო ან ვითომ საქმეზე მოსული ოფისის კიბეებზე დაიგორებდა თავს და სხვა. რადგან შეძლებისდაგვარად ქურდ-ბაცაცებს და შოფლიფტერებს გასაქანს არ ვაძლევდით, დინტერესებულმა პირებმა და მათი ოჯახების შეწუხებულმა წევრებმა ეტყობა ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს და მაღაზიაში ადამიანის უფლებების დაცვისათვის მებრძოლი ერთ-ერთი ადგილობრივი აქტივისტი მოგვიგზავნეს, რათა მენეჯმენტისათვის რაც შეიძლება მძიმე ცოდვებში დაედო ბრალი. ეს მანდილოსანი რამოდენიმეჯერ ეწვია მაღაზიას და საგანგებოდ საექვოდ იქცეოდა: მის მიერ ვითომ მოპარულ ნივთებს სავაჭრო დარბაზების ძნელადმისაგნებ ადგილებში მაღავდა, რათა დაცვის თანამშრომლის მიერ მისი შემოწმების შემთხვევაში უდანაშაულო აღმოჩენილიყო და სხვა. ბოლო-ბოლო, ქალბატონმა “თიუზდი მორნინგის” კორპორაციას მუქარით სავსე წერილი გაუგზავნა: “თქვენი მენეჯერი და მაღაზიის სხვა თანამშრომლები კანის ფერის გამო

მითვალთვალებენ და სასამართლოში ჩივილი მაქვს გადაწყვეტილიო”. კორპორაცია მსგავს უსაფუძვლო ცილისწამებას ვექილების საშუალებით ადვილად უვლის ხოლომე, მაგრამ სულ სხვაგვარად შეიძლება წარმართოს საქმე, თუ თანამშრომელს მომხმარებლის სექსუალურ შეურაცყოფაში დაედება ბრალი. კაცი იფიქრებს, ეგ როგორღაო, მაგრამ საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ მსგავსი ბრალდება შეიძლება ადვილად წაუყენონ ინსტიტუტებს აყლილი თავგზააბნეულ ადამიანს. ამ თვალსაზრისით, ჩემი გამოცდა თითქმის მთელი ორი დღე გრძელდებოდა. საქმე იმაშია, რომ ერთხელ ოფისიდან ჩამოსულმა, მაღაზიაში ადრიანად შემოსულ გამორჩეული შესახედაობის მიმზიდველ, ტანთხელ, ახალგაზრდა ქალს ყურადღება მივაქციე. ის მომხმარებლებიდან თითქმის ცარიელ დარბაზებში აჩქარებით მიმოდიოდა და ხან რას და ხან რას უწყებდა თვალთვრებას. მეტისმეტად მოკლე, წითური თმებისფერ გაშლილ ქვედატანში გამოწყობილმა, როგორც კი ჩემი ყურადღება დააფიქსირა, იატკზე საგამოფენოდ დაწყობილი საგნების გულდაგულ გასინჯვას მიჰყო ხელი, ისე რომ წინ გადახრილს მინი ქვედატანი სრულიად შიშველ საჯდომს და სასირცხვოს ველარ უფარავდა. მაშინ, ეტყობა, ჰოლივუდის მსახიობებს აყლილი ზოგიერთი ქალიშვილი ჩანს მართლაც საცვლების გარეშე დადიოდა ქუჩა-ქუჩა. თქმა არ უნდა, ყოველივე ამაზე თვალის არიდება ვცადე, მაგრამ უშედეგოდ, რადგან დარბაზში სადაც არ გადავაადგილდი, ქალიშვილი იქ დამხვდა და ყველაფერი ეს მეორე დილასაც არაერთხელ განმეორდა. ბოლოს, ეტყობა ჩემი უყურადღებობით იმედეაკარგულმა გოგონამ მაღაზია ქუსლების კაკუნით დატოვა და ქუჩაში აღმოსავლეთევეროპული შესახედაობის ახალგაზრდას მიეხლა, რომელიც დაგრავნილ გაზეთს ხელის გულზე იტყლაშუნებდა. რამდენიმე დღის შემდეგ, მე და შომ იგივე წყვილი, მინი კაბაში გამოწყობილი უნიფხვო ქალიშვილი და გაზეთიანი ვაჟი, კერძო პატარა მაღაზიებით დახუნძლოულ ტელეგრაფის ქუჩაზე ნარკომომხმარებლების ჩვეულ გარემოში დავლანდეთ.

ეს ის დროა, როდესაც პატარა ოჯახს ბერკლის კარგ უბანში ერთოთახიანი აპარტამენტი თვეში ჯერ კიდევ \$400-\$450-ად შეიძლო დაექირავებინა. იგივე აპარტამენტი დღეს უკვე \$2,200-\$2,400 ღირს. მას ხშირად საზიაროდ ნაცნობ-მეგობრები ქირაობენ. მაშინ საბანკო ბარათები ჯერ კიდევ ასე მასიურად არ იყო გავრცელებული და მოსახლეობის უმრავლესობა საყიდლებზე ჩეკების წიგნაკით და ბურთულიანი კალმისტრებით დადიოდა. თუ ნავაჭრი თანხა მაღაზიაში დაწესებულ ლიმიტს გადასცდებოდა, მაშინ მოლარეს ბანკში უნდა დაერეკა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისი დახლის წინ მდგომ მომხმარებლს ანგარიშზე საკმაო ფული ჰქონდა. ამ პრაქტიკას უშრომელი შემოსავლის მოყვარულები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. ხსენებული ლიმიტის ფარგლებში იძენდნენ მათთვის სასურველ ნივთებს ისე, რომ საბანკო ანგარიშებზე გახვრეტილი

შაურნიანებიც აღარ გააჩნდათ. მსგავსი “ცუდი ჩეკები” კომერციული ბიზნესების მოსალოდნელი 2%-3,5%-იანი ზარალის განუყოფელი ნაწილი იყო.

06.11.17

გამონაგონი ამბები

რამდენიმე დღის წინათ გავიგე, რომ გასულ წელს, ვითომ მამაჩემის ერთ-ერთ ხანდაზმულ თანამშრომელსაც გამოუქვეყნებია მსგავსი ბრალდებებით სავსე წერილი. ვინც მელაპარაკა, ვერც ავტორის სახელი და გვარი და ვერც ის თუ რომელი გაზეთში ნახა ეს მასალა, ვერ მითხრა. ასე რომ, ჩვენი ოჯახისათვის ახლობელი სახეების გახსენებას მივყევი ხელი. ვერაფრით დავუშვი, რომ ერთ-ერთი მათგანი ზურგს უკან დამალული ქვით წლების განმავლობაში მორჩილად დაჰყვებოდა მამაჩემს ექსპედიციებში, თან “სანდო” ადამიანების მეშვეობით ბოროტ ჭორებს უვრცელებდა. აბა რას წარმოვიდგენდი, რომ ვილაცის მიერ გამონაგონი ბრალდებების გამო, ოდესმე მამაჩემის ან ჩვენი ოჯახის სახელის დაცვა დამჭირდებოდა.

ასპირანტურაში ყოფნის დროს, ერთი პერიოდი, სერიოზულად ვფიქრობდი საკვალიფიკაციო ნაშრომად ჭორის ფენომენი ამერჩია. თუმცა ვიცოდი, რომ ასეთ “არასერიოზულ” თემას ყოველმხრივ გასაიდუმლოებულ საზოგადოებაში სადისერტაციოდ არავინ დამიმტკიცებდა - იქ სადაც ერი და ბერი ათასგვარი ჭორის შემოქმედი და ამავე დროს მომხმარებელიც იყო. ისეთი პერიოდებიც კარგად მახსოვს, როდესაც “მის აღმატებულება” ჭორს მთლიანად მოეცვა ჩვენი ყოველდღიურობა: ის განსაზღვრავდა ვინ იყო თანამედროვეთა შორის “გმირი” ან ყველასათვის არასასურველი “ანტიპოდი”. მაშინ, თითქმის უკლებლივ ყველას ყურები დაცქვეტილი გვჰქონდა, რომ ნებისმიერი მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმა როგორმე თავიდან აგვეცილებინა. დარწმუნებული ვარ, “გაფუჭებული ტელეფონის” არ იყოს, ზოგჯერ თავად ჭორების პატივცემული ავტორები ველარ სცნობდნენ ველური ფანტაზიის მქონე “მთქმელების” პირში გამოვლელულ საკუთარ ქმნილებებს. ეს რომ ასე იყო, ექსპერიმენტმაც დამიდასტურა; ჩემს მიერ საგანგებოდ გამოგონილი და ნაცნობებში მოყოლილი “ტკბილი” ამბავი მალე ერთმა მეგობარმა, სრულიად განსხვავებული შინაარსით, უკან დამიბრუნა. როდესაც უკანასკნელს საიდუმლო გავუმხილე და თან ჩემი “ქმნილების” თავდაპირველი შინაარსი გავაცანი, ისე ძალიან გაიკვირვა, რომ ერთი პირობა, მოლა ნასრედიანის არ იყოს, სრულიად გადასხვაფერებული ვარიანტის ჭეშმარიტებაშიკინაღამ დამარწმუნა. ასეთი ეფექტი ინტერნეტის პირობებში თვალის დახამხამებაში მიიღწევა.

საერთოდ, სკეპტიკურად ვარ განწყობილი ფსიქოანალიზისადმი, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ზოგჯერ ადრე მიღებული ნეგატიური გამოცდილება საკმაოდ ზუსტად ხსნის პიროვნების უცნაური ქმედების მოტივაციას. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ასეთ ან რაიმე უფრო რთულ შემთხვევასთან ხომ არ გვაქვს საქმეთქო. ჩვეულებრივ, როდესაც კაცი სხვის თვალში ბეწვის ძებნას იწყებს, თავისაში დვირესაც ვეღარ ხედავს. უმეტეს შემთხვევაში, ეს ძირითადად სულმნათი საბას განმარტებით შეიძლება აიხსნას: “შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედაო”.

რადგან ჯერჯერობით არ ვიცი ვინ არის ხსენებული ოპუსის ავტორი, რასთან გვაქვს საქმე, დაბეჯითებით თქმა ძნელია. ერთი კი უდაოა: ჩემი აზრით, თითქმის 80 წლით დაგვიანებულ “მხილებას” არავითარი კავშირი არა აქვს ისეთ გმირულ საქციელთან, როგორსაც “მე ვიტყვი სიმართლეს!” წარმოადგენს. გამორიცხებული არ არის, რომ ასაკოვანი ავტორი ვილაცას აპყვა ან უბრალოდ დავალებას ასრულებს, შეიძლება იძულებითაც, რაღაც სათაკილო საქმის გამო კუთხეში მიმწყვრეული და ა.შ. და ა.შ., ან რაღაცით სერიოზულად გამწარებული საკუთარი მეომისა და ზეობის ასეთი სახით აღნიშვნა გადაწყვიტა.

აქ, უმჯობესია, მარჩიელობას, ბოდიალოს და მასშტაბური “შეთქმულების” ძიებას თავი დავანებო (თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ მალე იმქვეყნად გადასული ცნობილი ადამიანების მასიური “მხილების” კომპანია დაიწყოს), ცილისწამბლის ვინაობის დადგენამდე. მხოლოდ მერე შევეცდები ავხსნა, თუ რამ ან ვინ აიძულა ეს, ალბათ დღესდღეობით საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება, მამა-პაპისეული ტაბუ დაერღვია და თითქმის 40 წლის წინათ გარდაცვლილი, ყოვლად წესიერი უფროსი კოლეგა ახალბედა მკითხველისათვის იუდას მაგვარ პიროვნებად წარედგინა და რაც უმთავრესია, უდანაშაულოდ დახვრეტილი მკვლევარის შთამომავლებისათვის, ჩვენისა და საკუთარი ნაშიერისთვისაც, უძილო ღამეები მოემრავლებინა. “ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა”: ეგებ, მართლაც, ამ ადამიანმა ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა და ბოლოს და ბოლოს წლების განმავლობაში ნალოლიავები რევანშის სურვილი დაიკმაყოფილა?

კიდევ ერთი რამ: ყველაფრის მიუხედავად, აშკარად ვცდილობ, მამაჩემის ხსოვნის ხელმყოფ ხადაზმულ ადამიანს უნებლიედ შეურაცხყოფა არ მივაყენო. ამას, უდაოდ, ცნობილი მშობლების ცხოვრებისეულ კონცეფციას და მათ პირად მაგალითზე დამყარებულ აღზრდის მეთოდებს ვუმაღლო.

11.11.17

უსახელო წამალი

ბავშვობაში, პროვინციიდან ხან ვინ და ხან ვინ ჩამოგვაკითხავდა. ზოგი რამდენიმე საათით ან დღით, ზოგი რამდენიმე კვირით ან თვით, ზოგი კი წლებით რჩებოდა ჩვენთან. ამის გამო, გასაშლელი ლოგინები, “ლეჟანკები”, სათადარიგო ქვეშაგებელი და ჯამ-ჭურჭელი ყოველთვის მზად უნდა ჰქონოდა დიასახლისს დამარაგებული. ამ უნებლიე “მდგმურების” ყურადღება ბავშვებს ძალიან გვსიამოვნებდა. ახლობლები, ხშირად, მრავალჩანთიანი “მოსაკითხით”, დამხვდურ-ჩამოსულებისათვის სამყოფი სურსათით, ნუგბარ-ნუგბარი ჩურჩხელა-ტყლაპებითა და ფელამუშით ხელდამშვენებულები გვესტუმრებოდნენ.

ვიზიტორებს შორის, მამას განსაკუთრებით მისი მამიდაშვილის, ოყურეშელი ინტელიგენტის, აყლაყუდა ისტორიის მასწავლებლის სტუმრობა უყვარდა. კაფანდარა, მუდამ მომღიმარი, წითურ-სახიანი, მორიდებული, შუახანს გადაცილებული კაცი კარზე მოგვადგებოდა ხოლმე სახელურიანი მცირე ზომის მძიმე კასრით (“ბაჩონკით”), რომელიც ყოველთვის მამაპაპისეულ ვენახში მოწეული ყურძნიდან დაწურული ღვინით ჰქონდა სავსე. ჩვეულებრივ, ახლობლების, მშობლიური კუთხის ავ-კარგის შესახებ მსჯელობასა და ძველი ამბების გახსენებას, ჩამოტანილი ღვინის თვისებებზე გრძელი საუბრი მოჰყვებოდა, რაც ბავშვების ინტერესების სფეროს აშკარად სცილდებოდა. ამიტომ, უმეტესწილად, შალიკო ბიძიას მიერ ჩვენთვის დარიგებული, სოფლად დამზადებული ტკბილეულით ვიქცევდით თავს, თან გვიკვირდა, რომ სასმელისადმი აშკარად გულოვრილი მამა ამდენ დროს უთმობდა სადღაც გადაკრგულ, მთის სოფელში დაწურულ ღვინოზე მასლაათს.

ერთხელ, უკვე სტუდენტი, თანაკურსელოთან ერთად სახლში მშვიერი დავბრუნდი. სახელდახელოდ კერძი გავაცხელე და ის იყო “თოხლაობა” უნდა დაგვეწყო, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ოყურეშელი შალიკო ბიძია არ შემრჩა ხელში! გულით შემოვიპატიე, მაგრამ როდესაც გაიგო რომ მამა სახლში არ იყო, ვერ შემოვალ, მეჩქარებაო, მითხრა და პატარა კასრი წინ დამიდგა.

პუტკუნა ჭუბრიკას სიხარულოს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სამზარეულოს მაგიდასთან ღვინის ხის კასრით შეიარაღებული გამოვეცხადე. იმ დღეს ძალიან კარგად მოვულხინეთ. იშვიათმა წითელმა ღვინომ თავი ისე გვასვა, რომ როდესაც სამსახურიდან დაბრუნებული მამა ჩვენს იმპროვიზირებულ ლხინს შემოესწრო, კასრი უკვე თითქმის ნახევრამდე დალეული გვქონდა. რას სვამთ ასე

ნეტარებით ყმაწვილებო, ღიმილით გვკითხა მამამ და როდესაც ამბავი გაიგო, ხუმრობით თავზე შემოიკრა ხელი: “ამოდენა ჭიქებით “უსახელაურის” დალევა სად გაგონილა. ეგ წამალია და არა მალაზიის შაქრიანი ღვინო!”.

შეჭიკჭიკებულ ბიჭებს, მამამ ლეგენდად ქცეული ღვინის თავგადასავალი სწორედ მაშინ მოგვიყვა. ერთხელ, ოყურეშში, გუჩა მამიდას და ქიშვარდის ანუ შალიკო ბიძიას მშობლების სახლს თურმე შუალამით შინსახკომის თანამშრომლები გარს შემოეხვივნენ და მამარდაშვილების მარანში სრულადად ახლად თავახდილი ქვევრებიდან მდულარე წყლით დამუშავებულ ლიტრიან ბოთლებში ღვინო ჩამოასხეს; გამთენიის ხანს კი საგულდაგულოდ დალუქული ბოთლები მანქანით სადღაც წაიღეს... ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, რომ ვაკის სახლის სამზარეულოში მე და ჭუბრიკა, თურმე, სრულადად მოულოდნელად, იოსებ ბესარიონოვიჩის საყვარელ, მართლაც რომ უნიკალური თვისებების მქონე ღვინოს ვეზიარეთ.

მრავალი წლის შემდეგ, ცოლ-შვილთან ერთად თბილისიდან კალიფორნიისაკენ მივფრინავდი. ძალიან გვიან, ღამის 4 საათზე დაწყებული თითქმის 24 საათიანი ტრანსატლანტიკური მოგზაურობა ყოველთვის დისკომფორტის შეგრძნებას ბადებს და ასე იყო იმჯერადაც. ძილატენილებმა, თვითმფრინავში ჩვენი ადგილები დავიჭირეთ თუ არა, სიმპატიური მე-10 კლასის მოწაფე გაგვიმეზობლდა. ის რაღაც პროგრამით ერთი წლით ამერიკულ ოჯახში საცხოვრებლად მიფრინავდა. მარტოდმარტო მოგზაური გოგონას იერ-სახემ რაღაც თუ ვიღაც გამახსენა, მაგრამ დაღლილ-დაქანცულს დიდი კითხვა-პასუხის თავი აღარ მქონდა. ის კი ძალიან გამიკვირდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ იმერული გვარის პატრონი ქალიშვილი მთა-გორიანი ლეჩხუმის იმ ნაწილს, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მამა, ზედმიწევნით კარგად იცნობდა. ეს როგორღა თქო, ვკითხე: მამაჩემი “უსახელაურის” ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა-მარანის და ვენახების მეპატრონეაო, მიპასუხა. აი, შენი ნაქები კაპიტალიზმიც! შალიკო ბიძიას მამულებს, ეხლა, ეტყობა სულ სხვა ხალხი დაპატრონებიათქო, გავიფიქრე და მიუწუნამდე ცოტა წავუძინე. გერმანიაში ჩვენი გზები გაიყარა, ჩვენ სან-ფრანცისკოსაკენ მიმავალ რეისს დავუწყეთ ლოდინი, ხოლო გოგონა ნიუ-იორკისაკენ გაფრინდა. მხოლოდ, ბერკლში კარგა ხნის ჩასულს მომაგონდა, რომ შალიკო ბიძიას ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც სტუდენტობის პერიოდში ჩვენთან ცხოვრობდა, იმერელ თანაკურსელს გაჰყვა ცოლად და ე.ი. ნიუ-იორკში გაფრენილი მოწაფე შეიძლება ახლო ნათესავადაც კი მეკუთვნოდა.

18.11.17 აფთიაქი

ორწლიანი სავალდებულო სტაჟის გამო, წლინახევრის შემდეგ, სასწრაფოში მუშაობაზე მშობლებმა როგორც იყო თავი დამანებებინეს და დარჩენილი დროით, უფრო “ადვილ” სამსახურში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე # 2 აფთიაქში დამფასოებლად დამაწყებინეს მუშაობა. ფაქტიურად, ის ნახევარი წელი პროვიზორი მანდილოსნების სამუშაო ოთახის ქვეშ, მიწაში ღრმად ჩათხრილ, საწყობში ათასნაირი ქიმიკატებით, სპირტისა და წეთების ბოცებით, მალამოების ქილებითა და ბამბის “ტიუკებით” სავსე უფანჯრო სივრცეში გავატარე.

“მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი”, როდესაც ჯერ კიდევ ნამდვილ ბამბას წონით ჰყიდდნენ. მე და თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი -- ძალიან სიმპატიური, უმამოდ დარჩენილი, ჩემს უბნელ “სტილიაგაზე”, “გეპეის” ჯაზის კონტრაბასისტზე შეყვარებული გოგონა -- ერთადერთი “ილიჩის ნათურის” შუქზე, ბამბის მტვრით გაჯეჯგვილი იატაკქვეშეთში, “თეთრი ოქროს” ქულებს სასწორზე ვწონდით, ქაღალდში ვახვევდით და პატარა ბოთლებსა და ქილებში დაფასოებულ-ჩასხმულ-გადატანილ სითხეებსა თუ მალამოებს ეტიკეტებს ვაკრავდით ანუ გასაყიდად ვამზადებდით. როდესაც იატაკში დატანებულ მძიმე ლიუკიდან საპროვიზოროში თავს ამოვყოფდი, სუფთა ჰაერს დანატრებული, შეხუმრებული ახალგაზრდა პროვიზორი, რომლის ქმარი “Хрущёвская оттепель”-ის პერიოდის ცნობილი “გონშიკი” იყო, აუცილებლად მეტყობდა - შენთან ერთად დამწყვრეული გოგო არ გამინაწყენო, იცოდეთ.

აფთიაქის წინ ახლო-მახლო მცხოვრები ვერელების ბირჟა იყო. იქ მდგარი ბიჭები, გვერდითი მზერით, ინტერესით ათვალიერებდნენ გამვლელებს, ხოლო უკანასკნელები “ბირჟავიკებს”. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩემი თაობის ახალგაზრდებში სხვადასხვა სახის ნარკოტიკი იკიდებდა ფეხს და ზოგიერთი მათგანი ამ მიზნით აფთიაქსაც აკითხავდა. ერთხელ, ჩემი კბილა ბიჭი უცნაური მიქსტურის რეცეპტით მოგვადგა: ახლობელს საჩქაროდ სჭირდებაო. როდესაც რეცეპტი პროვიზორმა ნახა, ქალი შეშფოთდა, ეს რა უბედურება არისო, თქვა და “წამალი” არაფრით არ დაამზადა. მას შემდეგ, ის ბიჭი ჩემს დანახვაზე უხერხულად გრძობდა თავს და აუცილებლად ქუჩის მეორე მხარეზე გადადიოდა.

მრავალი წლის შემდეგ, საბჭოთა ფულის ფუნქციონირების ბოლო პერიოდში, სხვებივით ძალზედ შეჭირვებულმა, ჩვენი სახლის დიდ სარდაფში კერძო აფთიაქის გახსნა გადაწყვიტე. ამავე დროს ბევრი სხვა

რამეც ვცადე: კავკასიათმცოდნეობის საერთაშორისო საზოგადოება დავაარსე, თანაკურსელი მეგობრებისაგან წახალისებული კინოსტუდიის “მემატიანესა” და ტელევიზიების სტუდიებისათვის დოკუმენტური ფილმების სცენარებს ვწერდი (თბილისის ომის მიმდინარეობის პერიოდში “სიცოცხლის ხე ქართლის ცხოვრებისას” ყოველდღე რამდენიმეჯერ უჩვენებდნენ ალყაშემორტყმული ტელევიზიიდან). ერთი პირობა, კომერციული გამომცემლობებთან დავიწყე თანმშრომლობა და ხან ჩემი ხან კი მამაჩემის სახელით, ქართულსა და რუსულ ენებზე ქართული ხალხური ზღაპრების, ლეგენდებისა და მითების რამდენიმე კრებული მოვამზადე. ბოლოშევიკებამდელი “პოპულარული ქართული წიგნების თაროდან”, ბავშვობაში აგრაფინა ბეზასთან სოფელში ყოფნის დროს წაკითხული რამდენიმე წიგნის გამოცემა მოვახერხე. მათ შორის იყო ზაქარია ჭიჭინაძის “ქართველი ებრაელები საქართველოში” და ერნესტ რენენის “ცხოვრება იესო ქრისტესი”.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც ერთ-ერთი წიგნის გამოსაცემად მომზადებისათვის რამდენიმე კილო ხორცისა და ორი კოლოფი სიგარეტის საყიდლად სამყოფი “პონორარი” მომიტვალა გამომცემელმა, კერძო აფთიაქის გახსნაზე დავიწყე სერიოზულად ზრუნვა. ჯერ, ძალიან დიდი ძალისხმევის შემდეგ, მეგობართან ერთად უროთი კედელი გავანგრეე და ასე ძლივძლივობით უკან დავიბრუნე სამი წლის წინათ უკაპიკოდ გაქირავებული და რკინის კარით ჩარაზული სარდაფი. ახლობლების თანადგომით, მეტნაკლებად მოვაწესრიგე ნესტისა და ობისაგან საფუძვლიანად დაზიანებული სამივე ოთახი და აფთიაქის გასახსნელად საჭირო ბიუროკრატიულ ჭაპანწყვეტას შევუდექი. არც ეს საქმე აღმოჩნდა იოლი. ჯერ შეძლადული პასუხისმგებლობის ფირმა უნდა დაარეგისტრირო და მხოლოდ მას შემდეგ შეგიძლია აფთიაქი გახსნაო, ამიხსნეს მცოდნეებმა. ფირმის დასაარსებლად საჭირო საწყისი კაპიტალი რადგან არ გამაჩნდა, ჩვენი დიდი შავი და პრიალა როიალი “Bluthner”-ი დავიყენე თავდებად და ფირმა “Bluthner & Vachi” (Va+Chi = ვა-ხტანგ ჩი-ქოვანი) დავაარსე და აფთიაქ “Iskelita”-ს (მამაჩემის მშობლიური სოფლის წმინდა ხის სახელი დავარქვი) მომარაგებისა და ყოველდღეური ფუნქციონირების სამზადისს შევუდექი. აფთიაქის ლამაზი სარეკლამო წარწერა ალე ბაბუას შვილიშვილმა, ჩვენმა ალიკომ დამიმზადა. ჩემი სიძისა და სხვა მეგობარი ექიმების, უმეტესწილად ნ.ჯ.-ს და გ.დ.-ს დანმარებით, ზოგი ნაყიდი და უმეტესად კი ნისიად ნაშოვნი მედიკამენტებით სარდაფი გავავსე. მერე, #2 აფთიაქის ყოფილი თანამშრომელი დავიქირავე და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ქუჩის პირველი კერძო აფთიაქის გასახსნელად ყველაფერი მზად აღმოჩნდა. ის იყო, რომ აფთიაქის პირველი დღის კარის გასაღებად გავემართე, რომ ვიღაცამ დააკაკუნა. ჩემს მიერ ღიმილით ფართოდ გაღებულ კარებში შეიარაღებული ბიჭები შემოლაგდნენ. ეტყობა, მოულოდნელობისაგან სახე ისე

დამებრანჯა, რომ ავტომატიანმა ყმაწვილობმა მალე დაგვანებეს თავი უკეთესი მომავლის იმედზე მყოფ სრულიად უფულო ადამიანებს. მას შემდეგ, დამწყები რეკეტერები კიდევ არაერთხელ ეწვივნენ “ისკელიტას”. გამოცდილი ფარმაცევტი მათ ხან ფერადი პრეზერვატივებით, ხან სხვა აფთიაქში ჩასაბარებლად ვარგისი ძვირად ღირებული მედიკამენტებით ისტუმრებდა.

ერთი უბნელი ბიჭი განსაკუთრებით შემოგვეჩვია. ძალიან მოკლე წერილიც მომწერა: “მნახე”. ქვემოთ ხელმოწერის ადგილას ყველა უბნელისათვის მაშინ კარგად ცნობილი “კლიჩკა”, ქართულად, თიკუნი მოწოდებით გამოეყვანა. უპასუხოდ დავტოვე. ერთ დღეს, ჩემმა პროვიზორმა სარდაფიდან დამირეკა, ამასა და ამას ვიღაც უცხოსთან ერთად თქვენს ბინაში უნდა ამოსვლა მოსალაპარაკებლად და კარები გაუღეთ თუ შეიძლებაო. წიგნების თაროებით გადაჭედდით მამისეულ კაბინეტში საბეჭდ მანქანაზე წლიურ თემას ანუ სამეცნიერო საქმიანობის ერთი წლის ანგარიშში ორი თითით ვკენკავდი, როდესაც ამ 17-18 წლის, სვიტრით ვითომ დაფარული, პისტოლეტით და ხელყუმბარებით შეიადარებულმა ყმაწვილმა და მასზე ალბათ 3-4 წლით უფროსმა ავტომატიანმა ახლოგაზრდამ ღიად დატოვებულ კარებში შემოალაჯეს. ამ სურათის შემხედვარე, ისეთ ხასიათზე დავდექი, რომ ვიფიქრე, ნამდვილად რაღაც უბედურებას გადავეყრებითქო. ესაო და ისაო, ხომ კარგად იცი მე ვინცა ვარო, ეს კი ჩვენი რაიონის ოპერმუშაკია და შენს ბიზნესს სხვა მაღაზიებთან ერთად ჩვენ ვიცავთო... ეტყობა მწერალი თუ რაღაც ამნაირი ხარო და ა.შ. და ა.შ. ეს პატარა, ძალზე გამხდარი ბიჭი ლაპარაკს რომ მოიჩა, შეიარაღებულ ყმაწვილებს ისეთი ყვირილი ავუტუნე, რომ თავად გამიკვირდა: მთელი ცხოვრება ვიღაც-ვიღაცებს ვიცავ და თუ საჭირო გახდა თქვენი დახმარების გარეშე ამ ბიზნესაც დავიცავ და იმასაც თუ ვინმე კიდევ დასაცავი გამიხდებათქო და სხვა. ყმაწვილები ეტყობა მათ “საქმიან წინადადებაზე” ამგვარ რაექციას არ ელოდნენ და ცოტა არ იყოს შეცბნენ. ოპერმუშაკმა “ლიმონკებიანს” ანიშნა, ეტყობა ეს კაცი გონებაზე არ არის და სხვა დროს მოვიდეთ ჯობიაო. ასეთ ამბავში ვიყავით, რომ პროვიზორმა მეორეჯერ დამირეკა: გადასახადების ინსპექტორს თქვენთან საქმე აქვს და კარი გაუღეთ თუ შეიძლებაო. უკანასკნელმა ზარმა სულ გადამრია. ინსპექტორის მოლოდინში იარაღშემართული ყმაწვილები უცებ ჩვენი ბინის სხვადასხვა კარებებს ამოეფარნენ. როდესაც საფინანსო სამსახურის თანამშრომელმა შინ შემოსვლა დააპირა, უცხო დროულ კაცს ისევ ავუყვირდი, ეხლა შენთვის არ მეცალათქო, თან თვალებით იმ კარებებისაკენ ვანიშნებდი, რომლებიც უკან ჩემს დაუპატიჟებელ სტუმრებს საბრძოლო პოზიციები ჰქონდათ დაკავებული. ფულის გამოსაძალავად მოსულთა ასეთმა უნებლიე თანხვედრამ და დაპირისპირებამ, ორივე -- ოფიციალური და არაოფიციალური მხარეებიც -- ხელცარიელი დატოვა, მე კი ასეთ

ყოველად დაუცველ გარემოში ბიზნესის გაკეთების შესაძლებლობებზე დამაფიქრა.

ერთხელაც, ის ბიჭი სრული საბრძოლო აღჭურვილობით ისევ მესტუმრა და კაბინეტში საწერი მაგიდის წინ სკამზე, რაღაცით გაბრუებული, კარგახანს მობუზული უსიტყვოდ იჯდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომღაც ფეხს ითრევდა. ბოლოს ვკითხე, რაშია საქმეთქო. ცოტა დაყოვნებით კითხვითვე მიპასუხა: თუ იცი დღეს რა მოხდაო?! ესა და ეს, ვერ დავიმახსოვრე, მისთვის ცნობილი “მხედრიონელების” გვარები დამისახელა, (ალარ მახსოვს ზუსტად სად, მგონი სადღაც ვერა-ვაკის საზღვარზე) მანქანაში ააფეთქესო. უცხოურ კინოებში რომ გვინახავს, ზუსტად ისეო. ამ ტრაგიკული შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, რატომღაც პირდაპირ ჩემთან მოსვლა გადაეწყვიტა. “თეთრი მელა” გვიშორებს თავიდანო... იმ დღეს, ვერაფერი სანუგეშო ვერ ვუთხარი აშკარად შეწუხებულ ყმაწვილს. უბანში მალე ხმა დაირხა, რომ ეს რისკიანი პატარა ბიჭი სხვებივით უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. რა მოხდა მაშინ, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ, მგონი დღესაც არავინ იცის.

გაგრძელება

ოკუპის, რომელზედაც მქონდა საუბარი, არც მამაჩემის თანამშრომლის დაწერილი და არც გასულ წელს გამოქვეყნებული ყოფილა. შარშან მისცა თურმე ახლობელს ნაცნობმა, რომელიც წაუკითხავად შემოუწახავს, “მძაბავს ზოგიერთის ცილისწამებისაკენ მიდრეკილება და ამით ტკობაო”, მომწერა. ცხრა წლის წინათ გამოქვეყნებული იმ ავადსახსენებელი სტატიის ავტორი კი თავად რეპრესირებული მშობლების 90 წლის გამწარებული შვილი აღმოჩნდა.

უნდა გამოვტყდე, ბ-ნი ავტორის გასაოცრად აქტიურ ბოლო ათწლეულის შემოქმედებას საერთოდ არ ვიცნობ, ცხრა მთის იქით გადახვეწილი, მაგრამ ინტერნეტის მეშვეობით პარლამენტის ბიბლიოთეკის კატალოგის მიმოხილვიდანაც კი ნათელი გახდა, რომ რეპრესიების ტრაგიკული თემატიკით ესოდენ გატაცებული ეს ხა ნდაზმული ადამიანი, ნებით თუ უნებლიედ, ენკავდე-კაგებეს მიერ ოდესღაც შექმნილსა და გარკვეული ადამიანების ჯგუფის ძალისხმევით დღეს უკვე საკმაოდ გავრცელებულსა და კარგად “დოკუმენტირებულ” მითს - “ჩვენი ბრალი არაფერიც არ არის! აი, თვითონ ნახეთ ვინ “ამხელდა” უდანაშაულო ხალხსო” - თავგამოდებით ემსახურება (ყოფილი მაღალჩინოსანი "კაგებეჩნიკებისა" და რეპრესირებულთა შთამომავლების აფიშირებული "ბრომანსის" ფონზე).

არა მგონია, რომ წლების განმავლობაში მეტად მნიშვნელოვან დაწესებულებებში თანამდებობრივად, საზოგადოებასთან და

მით უმეტეს, სპეცსამსახურებთან უშუალო კონტაქტში მყოფ პიროვნებას არ ესმოდა თუ რას აკეთებს. ასეთი საქმიანობის უმთავრესი მიზანი ხომ - სამართლიანობისა და ერთიანობის აღდგენის მოწოდებით - გასაცოდავებული და გაგომების გზაზე ძალად დაყენებული მომავალი თაობების კიდევ უფრო დაყოფა და დაპირისპირებაა! ბარაქალა!

მმართველი “ელიტა” მწვანე გზას მხოლოდ ხალხის შემყოლიებელ მატრახაზებსა და თავისი მიზანდასახულობის ერთგულ ადამიანებს აძლევს. ასე იყო, არის და ასე იქნება. უფასო ბინა-საჩუქრებით, მოგზაურობებით, სახელობითი ქუჩებითა და სკვერებით, ძეგლებითა და ბიუსტებით, ფულით, მასმედიის უწყვეტი ყურადღებით, საგანგებო პუბლიკაციებითა და პრემიებით, ცნობადი და ხელშეუხები ადამიანების სიაში ჩართვითა და კიდევ ათასი რამით აჯილდოებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი “თავისიანებს”.

რატიონალურ მგონია, რომ ჯერ კიდევ წაუკითხავი ხსენებული სტატიის პატივცემული ავტორი სწორედ ასეთი რჩეულების კატეგორიას უნდა ეკუთვნოდეს. თუ ვცდები, ღმერთმა შემინდოს.

17.11.17

შემოდგომა

მე და ლუკა, გუშინ წვიმის გამო, დედიკოს მოსვლამდე გარეთ არ გავსულვართ. მზე ხუთ საათზე ჩავიდა. გაკვირვებული სამწლიანხევრის ბიჭაჭოს თვალწინ, ფანჯრებში უცებ ღამემ დაისადგურა. სამსახურიდან მოსულ შოსთან ერთად წავინებხეთ და ახალი “ბიუიკ-ანკორით” სათამაშოების მაღაზიისაკენ გავსწიეთ, ლუკას დღის გასამრავლოფეროვნებლად.

მე-4 ქუჩა ფერადი ნათურებითა და ორნამენტებით სანაქებოდ მორთულ-მოკაზმული დაგვხვდა. ლუკა უმალო “ხუთი პატარა მაიმუნის” მაღაზიაში გამოფენილი სათამაშოების საფუძვლიან დათვალიერებას შეუდგა. ჩვეულებისამებრ, მორიგეობით, კვალდაკვალ მის მწყემსვას შევუდექით. ლუკას ერთი წუთითაც ვერ მოაშორებს ხოლმე ადამიანი თვალს. მოულოდნელად შეიძლება სადღაც შეძვრეს, დაგვემალოს ან უარესი: ნებისმიერი მიმართულებით თავქუდმოდგოგლეჯილი სრბოლა დაიწყოს. ასეთი მარათონის დროს, თუ მარტო ვარ, შეძლებისდაგვარად აჩქარებული ნაბიჯით ვცდილობ ბავშვი მხედველობის არედან არ დამეკარგოს, თან დრამატული ხმით განუწყვეტლივ ვუძახი: “ლო-უ-კ-ა!!! ლ-უ-უ-უ-უ-კ-ა-ა-ა!!! ფრთხილად-დ-დ-დ!!! მანქანებია!!! ძაღლი!!!” და ა.შ. გარკვეული დროიდან, სამწუხაროდ, ეს უკვე აღარ მუშაობს. ამიტომ მანქანიდან გადმოსვლისთანავე ლუკას მაჯაში მაგრად ვავლებ ხელს და ასე მიმყავს მეტ-ნაკლებად

შემოწოდულ სივრცეში, იქნება ეს მის მიერ შერჩეული სათამაშოების მაღაზია, ბიბლიოთეკა თუ რომელიმე სათამაშო მოედანი. ერთი პირობა, ლუკას და ჩემი მოძრაობის სიჩქარეებში სულ უფრო და უფრო მზარდი განსხვავების გამო, ვიფიქრე, ხომ არ შემეძინა ბავშვის დაკარგვის საწინააღმდეგო მაჯაზე ან მკერდზე დასამაგრებელი გრძელ-ქამანდიანი აღკავებლობა ან სხვა რამ, მაგრამ შომ უცბად დამისურათხატა თუ რა მწვავე რეაქცია ექნებოდა ამაზე ლუს. რა თქმა უნდა, მალე შეველოე ამ იდეას, რომლის პროტოტიპი ჯერ კიდევ 70-წლებში მქონდა ნანახი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მუშაობის დროს: მთის ციცაბო ფერდობს ცელებით შესეულ მთიბაკებს, პატარა ბავშვები მიწაში ჩაფლულ სოლებზე ჰყავდათ თოკებით მიბმული...

ახლა მანქანას უფრო უსაფრთხო ადგილებში ვაპარკინებ და ლუკაც შედარებით დამჯერედ მექცევა, რადგან გრძობს, რომ ჩემი სპრინტერული შესაძლებლობები, თბილისში ფეხის ცერის დაზიანების შემდეგ, ისეთი აღარ არის, როგორც იყო. ამიტომ, ახლა სირბილით გართობის მომენტი მისთვის თითქმის მთლიანად დედიკოსთან არის დაკავშირებული. ერთ რამედ ღირს დედა-შვილის მთლიანად იმპროვიზებული, ზიგზაგან-მარშრუტებიანი, ყოვლად მოულოდნელი შეჯიბრებების ყურება: ლუკა, როგორც ბუჩქებიდან გამოვარდნილი ბაჭია, მოულოდნელად მოსწყდება ხოლმე ადგილიდან და ბიჭაჭოს უკან მიმინოსავით გამონთებული დედამისი როგორ უცბად კრებს დაუჯერებელ სიჩქარეს... ამ შეჯიბრებებიდან ჯერ-ჯერობით გამარჯვებული შო გამოდის, მაგრამ მომავალში რა მოხდება, ღმერთმა უწყის.

გრილმა საღამომ დაგვამშია. "სპენჯერის ცინცხალი თევზის ქვაბულში", წასაღებად გემრიელი თევზი, შემწვარი კარტოფილი და სალათი შევუკვეთეთ. სახლში მისულები, სიმოვნებით შემოვუსხედილ სამზარეულოს მაგიდას და სანაქებოდ მომზადებული კერძის ჭამას შევუდექით. აშკარად ძალიან კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ საკვებით დაკავებულებს თავი არ გვქონდა, რომ ეს როგორმე ვერბალურად გამოგვეხატა. უცებ, ლუკამ თეფშში ჩარგული თავი ასწია, ზრდასრული მამაკაცივით სკამის ზურგს მიეყრდნო და ყველას მაგივრად სიტუცია ასე შეაფასა: "კარგი dinner"-იაო (ვანშამი), თქვა და კერძს მიუბრუნდა.

11.21.17

ცოტა რამ წარსულიდან: მატერიალურ-საგნობრივი გარემო, მოდა და სხვა

რაც თავი მახსოვს, უცბად რაღაც ხდება ადამიანისთვის აუცილებელი, სასურველი ან მოდური. ბიჭებისათვის დაწყებით კლასებში ასეთი რამ სკოლის ფორმაზე შემოსაჭერი ოქროსფერი მეტალის-ბალთიანი ქამარი იყო. მოწაფეები ქამრებს ერთმანეთს აჯიბრებდნენ ზომის, ფერის, ხარისხის, გამძლეობისა და ბალთებზე ამოტვიფრული ვარსკვლავების მიხედვით. “ლახტი” თვითონ არასოდეს მითამაშია, მაგრამ არაერთხელ მინახავს, როგორ გამეტებით უტყლაშუნებდნენ ქამრებს ერთმანეთს ფეხებში უბანში მცხოვრები სომხის ბიჭები. ისინი ასევე გატაცებით და ოსტატურად თამაშობდნენ “კოჭობანას” კაკლებზე. მათ შორის დიდად პოპულარული იყო აგრეთვე “ლაგატკა”, რომლის საშუალებით ბელურებს საკმაოდ წარმატებით ხოცავდნენ. ამ დროს ჩვენი 55-ე სკოლის გოგონებს წინსაფრებზე და გაკრახმალებულ თეთრ ბაფთებზე ჰქონდათ დიდი გართულება.

მაშინ, სათანადო შეძლების მქონე ინტელიგენტ მამაკაცებს, შავი კრეპის, “ინგლისური” შალის ან ჩიჩუნჩის “აფშლაგანი” ფლაცუნა-შარვლებიანი კოსტუმები ეცვათ, ხოლო მანდილოსნებს სეზონისა და მოვლენა-შემთხვევის შესაფერისად კრეპდეშინის, ჩითის და შალის მუქი ფერის კაბები, შემოდგომა-ზამთარში, ხელოვნური, ზოგჯერ ნატურალური, შავი ან რუხი ხუჭუჭა “კრაკულის” ქურქები, თბილი ხან “დემისეზონური” პალტო-ლაბადები, მხრებზე სხვადასხვა ზომა-ხარისხის მელიის მთლიანი ტყავიდან დამზადებული ფაფუკ კუდიანი “ჩერნობურკები” ჰქონდათ მორგებული. ქალების ტანისამოსის ეს უკანასკნლი, მეტისმეტად ზოოლოგიური და ამავე დროს ეგზოტიკური აქსესუარი, პატარაობაში ჩემს დიდ დაინტერესებას იწვევდა. განსაკუთრებით ხელოვნურ-თვალეზიანი მელიის თავის ქვედა მხრის იმ ნაწილის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც საწყალი ცხოველის უკანა ფეხები “მელია კუდაგრძელიას” ყბის ქვეშ საიმედოდ მაგრდებოდა, რათა მანდილოსანს მოძრაობაში მისი ტანისამოსის ეს საამაყო ატრიბუტი მკერდიდან არ ჩამოცურებოდა.

დედა სულ მიშლიდა ძვირად ღირებული “ჩერნობურკით” თამაშს - მელიის ცხვირ-პირი, კლანჭებიანი ფეხები, მუცელი და კუდი ადვილად იქლიცებოდა. ამ შემთხვევაში ცხოველის ტყავი ატელიეში უნდა მიეტანათ, რომ თერძს დაზიანებული ნაწილები მოეკვეთა და ნალისებური თარგის, დუგმით შესაკრავი, ნაკლებ პრესტიჟული, უთავ-ფეხებო და უკუდო მელიის ტყავი ბამბით გატენილ ბეწვის უბრალო საყელოდ გადაექცია.

იმ დროს, ყველას ჯერ კიდევ რკინის ზამბრებიან საწოლებზე, პატარებს მშობლებს “საფერხეს”, გვეძინა. ზედ გვეხურა დედის მიერ სუფთა ზეწარშემოლაამბული, ჩინური ორნამენტებით დაჭრელებული აბრეშუმის შალითიანი საბნები. ამ ზეწრებს დედა “შჩოლოოკიანი” ხსნარით სავსე უზარმაზარ ქვაბში ხარშვის შემდეგ ხელით რეცხავდა, ახლად გაუთოებულებს კი ნემსითა და თეთრი ძაფით საბნებზე საიმედოდ ამაგრებდა. ზამთარში, საბანზე, მშობლების ქორწილში საჩუქრად მორთმეული, აქლემის ბეწვის “ადიალები” გვეფარა, რადგან ჩვენი ზომაზე დიდი ბინა, საკმაო ხანს, მხოლოდ კედელში ჩაშენებული და მოძრავი, მაგრამ ძნელად გადასადგილებელი შეშის ღუმლებით თბებოდა. მაშინ, ყველა, უასფალტო და მტვრიანი ქუჩებიდან სახლში შემოსული, “კერასინკაზე” გამთბარი წყალით იბანდა ფეხებს, ხოლო კვირაში ერთხელ, ისევ ნავთქურა-კეროგაზე ადულებული და დიდ ქვაბებში შეზავებული “თუთულია” წყლით ისუფთავებდა ტანს. პატარებს ყველაზე თბილ, ე.წ. სასადილო ოთახში კაფელის ღუმელთან ცინკის “ლახანკაში” გვაბანავდნენ. როდესაც წლების შემდეგ, დედა ჩემს დასაბანად აბაზანაში აღარ შემოვიდა, ძალიან გამიკვირდა. მაშინ, უკვე, ნაწილობრივი პარკეტით და “ტულპანის” გარნიტურით და სხვა მსგავსი რამეებით იყო გალამაზებული ჩვენი უშველებელი, უამრავი წიგნის თაროებით სავსე სახლი-ბიბლიოთეკა.

ზამთარში, ადრე, კერძები ძველი სამზარეულოს მარჯვენა კუთხეში აშენებულ სლავური ტიპის ფართო ღუმელზე მზადდებოდა. კარგახანს ის იყო საოჯახო საქმიანობის ნამდვილი ცენტრი და ჩვენი ფარღალაა, ურემონტო ბინის გათბობის უმნიშვნელოვანესი წყარო ცივ ამინდებში. სხვა დროს, კერძი უფრო ადვილად ასანთებ ფითილიან ნავთქურებზე მზადდებოდა, რის გამოც, ბინაში, დამწვარი შეშის სუნსა და კვამლს ნავთის არომატი და ჭყვარტლი ენაცვლებოდა. სიზმარივით მახსოვს, რომ ერთი ხანდაზმული, გერმანელების ოკუპაციას გამოქცეული რუსი შინამოსამსახურე ქალი, ცივ ზამთარში ღამით ლოგინს ამ ფართე, ჯერ კიდევ თბილ ღუმელზე იშლიდა.

ცენტრალური გათბობის გაკეთების შემდეგ, დაშლილი რუსული ღუმლის ადგილი, ერთი პირობა, ქვანახშირზე მომუშავე თუჯის ქვაბმა, “აგვემ” შეცვალა. მას შემდეგ, ძველი სამზარეულო, უბნის ცენტრალიზებულ გათბობის სისტემასთან შეერთებამდე, “შავი ოქროთი” სავსე ვედროებიან “კაჩიგარკა”- საცეცხლოფარეშოდ იქცა. უამრავი ფულის ფასად შექენილი და ვითომ სათანადოდ გამართული კერძო “აგვე” რომ საერთოდ არ მუშაობდა, ამას კიდევ არაფერი უშავდა. გათბობის სარაიონო სისტემასთან შეერთებამ ახალთახალი საზრუნავი გაგვიჩინა. ღამდამობით, სტუდენტალაქის უზარმაზარი საქვაბიდან ქუჩა-ქუჩა საარაკო წნევით წამოსული ადულებული წყალი, ხშირად, ბარნოვის ქუჩა #85ა-ში, ჟანგმორეულ მილებს ხმაურით

ხეთქავდა და ჩვენსა და ჩვენს ქვედა ახალ მეზობლებს ცივ ღამეებში თავსატეხი არა და არ გველეოდა.

ისინი ვინც მამაჩემით არ იჩქარეს და საკუთარი სახლი არ აიშენეს, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: სახელმწიფო სახლებში უფასოდ არემონტებდნენ დაზიანებულ მიწებს, “ჩასტნიკები” კი ღვთის და “ფინაჩი” კერძო ხელოსნების ანაბარა ვიყავით მიტოვებულნი. რომ წამოვიზარდე, თუ სათანადო მასალებს ვიშოვიდი, უკვე თავად ვადებდი ხუნდებს ოთხი მეტრი ჭერის სიმაღლის დონეზე დახეთქილი მიწების ცხელი წყლის ჩანჩქერებს; ზოგჯერ ისე სწრაფადაც, რომ ქვედა მეზობლებს ძილი არ გასტყდომიათ.

ბავშვებს გასართობი არასოდეს გვაკლდა, მაგრამ მე პირადად სათამაშოებზე უფრო არა-სათამაშოები, მაგალითად დედაჩემის მზითვში მოყოლილი დასაქოქი პატეფონი, მძიმე ფირფიტებით სავსე ხის-სახელურიანი წითელი ყუთი და შავი პრიალა ლაკის, ღია ყავისფერი ტყავის კიდეებით დამშვენებული და იმავე ფერის ტყავის სალტეებით შესაკრავი უცხოური დიდი ჩემოდანი და მისი შიგთავსი მაინტერესებდა. რადგან უმცროსი დაიკო მეზობელ გოგონასთან ერთად სახლობანას თამაშში ჩემი ჩართვის ხშირად წინააღმდეგი იყო, იძულებული ვიყავი, თავი როგორმე თავად შემექცია და ხან პატეფონის უნემსოდ აჟღერებას ვცდილობდი, ხან რადიო-მიმღების “კამას” მოკლე ტალღებზე გავსრიალდებოდი, ხან კი მამიდაჩემის მიერ გერმანიიდან გამოგზავნილ მაჯის საათებს ვშლიდი და “ვაწყობდი” და სხვა. თუ რადიოში პიესას “გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში” გოგუფა კუპრაშვილი ახმოვანებდა, კალციუმის ნებისმიერი სახით მოყვარული პატარა დაიკო მაშინვე გვერდზე დამისკუპდებოდა და ნერწყვით დასველებული საჩვენებელი თითით, რადიომიმღების ქვეშ, გაჯით გალესილ კედელში უკვე ადრე დაწყებული ნახვრეტის გაფართოებას ცდილობდა.

მოგვიანებით, არც ქსელის რადიოზე ვიყავი მაინცდამაინც მწყურალად. დროთა ვითარებაში, რადიოს ხაზი ისე დავაგრძელე, რომ საწოლში რადიოზე თავმიდებულს არაერთხელ ჩამძინებია. ნახევარი საუკუნის წინათ ქსელისა და მოკლეტალღებიანი “სამამულო” წარმოების რადიოები მამას მიერ იაკონიიდან ჩამოტანილმა ტრანზისტონულმა პატარა “სონიმ” ჩაანაცვლა, ხოლო დასავლეთის რადიოსადგურების ანტისაბჭოთა გადაცემებმა “სოციალისტურ” რეპორტაჟებს ნიბლი მთლინად დაუკარგა.

აბა, რა იქნებოდა, როდესაც ყოველ ცისმარე დღეს მოდაში შემოსული ყველა საგანი თუ სტილი უკლებლივ “თავისუფალ სამყაროსან” ასოცირდებოდა. კარგად მახსოვს, როდესაც პირველად მეზობლის გოგონამ საბჭოთა “ირისზე”, “მომპასზე” და “ზალატონი კლოუჩიკზე”

შეჩვეულ მე და ჩემს პატარა დაიკოს ფულოიანი მამამის მიერ მოცეკვავეებისაგან შექმნილი საოცრად გამრიელი “უცხო ხილი”, საღეჭი რეზინი გაგვასინჯა. მალე, ეს ოჯახი, მსგავსი იშვიათი საგან-ნივთების თუ ჩასაცმელ-დასახურის გამო, ჯერ სამეზობლოს, ხოლო მერე უბნის, შემდეგ ქალაქის, ბოლოს კი ქვეყნის ყოველნაირი მოდის, მათ შორის განსხვავებული ქცევა-საუბრის, ფუძემდებლებად მოგვევლინა. ამ ოჯახის უფროსმა მალე დასავლური ნივთ-საგნებისა და ტანისამოსის ერზაცების ანუ “სამამულო” ვარიანტების მასიური წარმოება წამოიწყო და ბევრისათვის სანატრელი “იტალიური პლაში”, “მოჭერის კაშნე”, “როლინგსტონები” ანუ “ვადალაზკები”, ნეილონის დასაკეცი ბადურები და სხვა მრავალი ყველაფერ უცხოს დახარბებული თანამოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი გახდა. ახალმა უფროსობამ ეს ამბიციურ ბიზნესმენს (იმდროინდელი ტერმინოლოგიით “საქმოსანს” და “დელეცს”) არ აპატია და “პატიოსანი და პატრიოტი მოქალაქეების” ტაშის გრილოში ათასობით “ანტისოციალისტურ ელემენტებთან” ერთად ციხეში ამოაყოფინა თავი, ხოლო მარჩენალის დაკარგვით გაუბედურებული ოჯახების წევრები კოლონიების ალაყაფის კარებებთან რიგში დააყენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი სახლის არ იყოს, რესპუბლიკაში ყოველ ხუთ წრდასრულ მამაკაცს შორის ორი “ვირის აბანოში” იყო “გამოსასწორებლად” გამომწყვრეული. შედეგმაც არ დააყოვნა: “გულაგის” შემდგომი პერიოდის ამ მეტად მასიურ, ყველასაგან თითქოს გადავიწყებულ “ჩასმებს” საპატიმროების სუბკულტურის, მენტალიტეტისა და ქუჩის “ავტორიტეტების” კულტის ფართოდ გავრცელება მოჰყვა. სწორედ მაშინდელი პერიოდის ფენომენია დღეს ხანდაზმული, ცნობადი პიროვნებების მთელი პლეადისა და მათი ახალგაზრდა მიმდევრების “ძველბიჭურ-ქალაქური” ღირებულებები და ქცევის “ეტიკეტი”. ეს ძირითადად ის ხალხია, ვინც ახალგაზრდობაში, ვითომდაც თავგადაკლოული “დემოკრატი”, “მედასავლეთე”-“ზაპადნიკი” იყო და “ბუტილკა” და “ჩარლსტონის” სტილის შარვლებით, წვრილცხვირიანი “მაკასინებით”, “ლაიკის პლაშებით”, “ქემელისა” და “კენტის” სიგარეტებით, ბრჭყვიალა გაზის სანთებლებით, ფერად-ფერადი ნეილონის ნასკებითა და - მხოლოდ ღმერთმა იცის კიდევ რითი - არ ყელყელობდა.

11.28.17 ლოგინი

ნამდვილად არ მახსოვს, ოდესღაც რაღაც მაქვს წაკითხული ისეთი საგნის მნიშვნელობის შესახებ, როგორსაც საწოლი წარმოადგენს: მასზე ვიზადებით, ღვთისაგან გამოყოფილი ღვთის დიდ ნაწილს ძილში და სიყვარულობანას თამაშში ვატარებთ, შემდეგ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის ფერებაში ახალ სიცოცხლეს ვუყურით საფუძველს და ბოლოს იქვე ვემშვიდობებით ქვეყნიერებასო, ალბათ ამგვარ რამეს წერდა

პოეტურად განწყობილი ავტორი. ეს ყველაფერი მართლაც ასეა თუ მცირე ინდივიდუალურ განხვავებებს და ინოვაციებს ყურადღებას არ მივაქცევთ. არა და სწორედ “სიმართლე დეტალებშია”-ო, ნათქვამია. [სულ ცოტა ხნით, უყურადღებოდ დატოვებული ლუკა მომადგა ჩემი ძველი ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტით და პოლიციელის ფორმაში გამოწყობილმა, წვერწატილი ფანქრით “გამოწერილი ჯარიმა” მომაწოდა და ასე გამიხმოვანა: “მუნთინში” (კომპიუტერში) “no play to much”-ო. დედამისს ბაძავს ამაში. როდესაც შემდეგ ერთი წუთით წამოვწევი, ისევ მოვიდა, შემომპოვრტყდა მისი ქცევით გახარებულს, და როდესაც ჩავიხუტე, მკითხა: “ჰეფი” ხარო? “ბეიბი” რომ საყვარელი იყო არ იცოდით? მეიზი მიყვარს (მეზობლის წლისა და რვა თვის გოგო, რომელიც დედამისს, ალისენს ხშირად მოჰყავს ლუკასთან სათამაშოდ), “ქიუთიაო”. “ჰაი ფაივი” (სპორცმენების მიერ აღტაცება-სინარული-გამხნეების გამომხატველი, ზევით აწეული გაშლილი ხელისგულების ერთმანეთზე მირტყმით შესრულებული ქესტი) ასე კი არა (ანუ მაგრად), არამედ ასე ნელა და სათუთად უნდა გაუკეთო. “ჰაი ფაივის” გაკეთება წლინახევრის ლუკას მეიზის მამამ ერიკამ თავისი ქალიშვილის დაბადებამდე ასწავლა.].

ზოგი დეტალი:

მამაჩემის ჩანაწერების მიხედვით, პირად მე, თურმე თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური კლინიკის სამედიკალური განყოფილებაში, დღის 4 საათსა და 30 წუთზე დავბადებულვარ, არა ლოგინში არამედ, ალბათ იმ დროისათვის სტანდარტულ სამშობიარო მაგიდაზე. ასევე მოევლინენ ქვეყანას მანი და თინ-უმა, შო და ლუკა და ახლობლებ-ნაცნობ-მეგობრების უმრავლესობა. წინა თაობაში ასე რომ არ იყო, ქეთო დეიდასაგან ვიცი: მე ბუნებრივად დავიბადე, ერთხელ მითხრა. ეხლაც არაიშვიათად ხდება, რომ ფეხმძიმე მანდილოსანს მშობიარობა მოულოდნელად ეწყება, ხან სად და ხან სად. სასწრაფოში მუშაობის დროს, ერთმა ახლოგაზრდა ქალმა, რომელიც სამშობიაროსაკენ მიგვყავდა, მისი პირმშო პირდაპირ გზაში მოძრავ მანქანაში “გააგდო”, ორი დარცხვნილი ახლოგაზრდის, ქმრისა და თქვენი მონა-მორჩილის თანდასწრებით.

ძალიან კარგად მახსოვს თინ-უმას დაბადებასთან დაკავშირებული პერიპეტეები. მშობიარობისაგან გათანგულმა მანიმ, პალატაში შეპარულს მთხოვა, მიდი ბავშვი ნახე, ვინმეს შემთხვევით არ შეეშალოსო.

მგავი რამე მითხრა შომ, ბერკლის Alta Bates Summit Medical Center-ში, საკეისროტი მშობიარობის პროცესში, რომელსაც ფარდის უკან მის სასთუმალთად სკამზე შესკუპებული ვესწრებოდი. ლუკას პირველი ტირილი-ჩხაკილისა და შოს კმაყოფილი სახის გარდა, მგონი არც არაფერს ვაქცვდი მაშინ ყურადღებას. ჩვენი მართლაც რომ შესანიშნავი,

ჰავაური წარმოშობის მეანე-გინეკოლოგი, მიმზიდველი გარეგნობისა და საქციელის მანდილოსანი, ეიმი უიბინუა და მისი ასისტენტი ექიმი, კიროვაკენელ სომეხზე გათხოვილი მაღალი, აღმოსავლური იერსახის ქალი, უდღეური ჩვილების განყოფილების (Neonatal Intensive Care Unit) დირექტორი, მიკრო-პედიატრი ალექს ესპინოზა და მისი ასისტენტი მანდილოსანი და ყველა იქ მყოფნი მართლაც რომ სანაქებოდ ირჯებოდნენ.

ძილის თემაც იმდენი დეტალისაგან შედგება, რომ ცალკე აღნიშვნის ღირსია. “საფერხეში” წოლის პერიოდში, ზოგჯერ თავს მოვიმძინარებდი და თვალდახუჭული ველოდებოდი უფროსების დაძინებას, რომ მერე სინათლე ამერთო და დაწყებული წიგნის კითხვა გამეგრძელებინა. ასე მაქვს წაკითხული დანელო დეფოს “რობიზონ კრუზო”, მაინ რიდის “უთავო მხედარი”, ჯეიმს კუპერის “უკანასკნელი მოპიკანი” და სხვა საბავშვო სათავგადასავლო “ბესტსელერები”. როდესაც ინდივიდუალური ლოგინები გვიყიდეს და დასაძინებლად ცალკე ოთახი გამოგვიყვეს, პატარა დაიკო ჯერ კიდევ ხშირად მთხოვდა საპირფარეშომდე მივყოლოდი, რადგან სინათლის ჩასართველებს ვერ წვდებოდა, ხოლო სიბნელეში ამოდენა გზაზე მარტო სიარულის ეშინოდა.

საკუთარ ლოგინში განცხრომას ასპირანტურის პერიოდში მოელო ბოლო: უცნაური გარემოსა და გაურკვევლობისაგან თავის დასაცავად, საწოლში რამდენჯერმე ვითომ გატენილი და შემართული შაშხანითაც კი ჩავწექი. წლების განმავლობაში, მთაში ექსპედიციებსა და ინდივიდუალურ მივლინებებში საძილე ტომარაში წოლამ თავისი ქმნა. მას შემდეგ, მუმის პოზაში, თითქმის ფეხებმიტყუპულს მძინავს, რაც ძალიან გამომადგა დაოჯახების შემდეგ: აღარ მეშინია, რომ ძილში ჩემს კომპაქტურ მეუღლეს ან პატარა ლუკიანეს გავჭყლიტავ.

რაც შეეხება ლოგინში სიყვარულობანას თამაშს, ყოველთვის მიკვირდა, როდესაც ვინმე იწყებდა ამ თემაზე “გულახდილ” საუბარს: ეს ასეთი და ის ისეთია და მეო... ახლოგაზრდები კიდევ ხო, მაგრამ რაც ზრადსრულებს შეეხება, აბა, რა არის აქ სამხიარულო, სახალისო და საამაყო ნამდვილად ვერ ვხვდები.

ახალი სიცოცხლის ჩასახვა: ამ სფეროში რაც ინოვაციებია, ლოგინი საერთოდ აღარ იქნება მალე საჭირო - მარიხუანას დეკრიმინალიზაციის ერთ-ერთ ზონაში შებრძანდები, ერთ “მასტირკას” ააფეთქებ და სადღაც ვინცა ბალანას იყოლიებს შენგან, აბა რა იქნება.

[სამი წლისა და შვიდი თვის ლუკას აუცილებლად უნდა ჰკითხო, სად უნდა წასვლა. ადრე, სადაც გვინდოდა, იქ დაგვყავდა. ის დრო ისტორიას ჩაბარდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ მის ცხოვრებაში

ახალთახალი, ძალიან მნიშვნელოვანი “ მე”- ეტაპი დაიწყო. დღეს “ხუთი პატარა მაიმუნის” სათამაშოების “მაღაზში” წავიდეთო, მირჩია. იქ ძალიან გაერთო ვიღაც ტყუპებთან ერთად. სათამაშო რომ იყიდა, ბიბლიოთეკისაკენ გაუწია გულმა. ცხელი ღვეზელი მივირთვით და ქალაქ ალბანის ბიბლიოთეკას მივაშურეთ. იქ კომპიუტერულ თამაშებს შეჰყვა და როდესაც ვუთხარი, ერთ წუთში დავბრუნდები, არსად არ წახვიდეთქო, მომეჩვენა, რომ ჩვეულებისამებრ დუმლით თავი დამიქნია. რამდენიმე წუთში უკან დაბრუნებულს, ბიჭაჭო სადაც დავტოვე, იქ აღარ დამხვდა. სწრაფად მიმოვიხილე ბავშვების განყოფილება და მანქანის სადგომისაკენ გავეშურე. შემოსასვლელში ბიბლიოთეკარის დახლის წინ, ლუკა ვიღაც მაღალ ქალთან დავინახე. ლუკა ბიბლიოთეკარის კითხვებს პასუხობდა: მე ლუკა ვარ და მამაჩემს ვაჩი ჰქვიაო. წარმოდგენა არ მქონდა თუ ლუკამ ჩემი აქაური თიკუნი იცოდა. ქალმა მითხრა, ბავშვი უზომში გეძებდათო. ლუკამ მე დამინახა თუ არა, ბავშვების განყოფილებისაკენ გაქანდა და ვიღაც ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავის პატარა ორწლიანხევრის გოგონას წიგნს ხმამაღლა უკითხავდა, ნახევარი საათით გვერდით მიუჯდა. ამ დროს შოს მესიჯი მივიღე, სახლში ვარ და “ანდრონიკოში” შეძენილ მრგვალად შემწვარ ქათამთან ერთადო. ქათმის ამბავმა ლუკას ბიბლიოთეკიდან წამოსვლა ძალიან გაადვილა.].

ჩემი ასაკის კაცი რომ არაერთი ადამიანის სიცოცხლესთან განშორებას შევსწრებივარ, ამაში გასაკვირი არაფერია. ოღონდ, უცნაური ის არის, თითქმის 55 წლის წინათ მომხდარი პირველი ასეთი შემთხვევა - ნათელში ამყოფოს ღმერთმა ცხონებულო - დღემდე საოცრად ცხადად მახსოვს. მაშინ, გვიან ღამით, სასწრაფო დახმარების სადგურში ცნობა შემოვიდა: მარტოხელა შუახანს გადაცილებულ ქალს დახმარება სჭირდებოდა. მეზობელს დაერეკა და დისპეტჩერისათვის დაწვრილებით აქსნა თუ როგორ უნდა მიგვეგნო ერთ-ერთ ე.წ. “იტალიურ ეზოში” “ჩერდაკზე” მცხოვრები ავადმყოფისათვის. სუსხიანი, ჭახჭახა მთვარიანი გვიანი შემოდგომის ღამე იდგა. ეზოში ყველას ეძინა და ამის გამო კარგახანს ვიტრიალეთ ექიმმა და მე, სანამ “ჩერდაკისაკენ” მიმავალ თითქოს საგანგებოდ დამალულ გრძელ კიბეს აღმოვაჩენდით. ერთი მბჟუტავი ნათურით განათებული “კამორკის” გაურანდავი ფიცრებიდან შეჭედილი კარი ღია დაგვხვდა. საოცრად პატარა ოთახში “კრაოტი”, “ტაბურეტკა” და ერთი ციდა მაგიდა იდგა. ვიწრო ლოჯინზე თვალებდახუჭული, “ფუფაიკის-ხალათიანი”, ხილაბანდიანი ქალი იჯდა კედელზე მიყრდნობილი და შიშველი ფეხები თბილი წყლით სავსე ტაშტში ჩაეყარა. შესვლისთანავე, მედიკამენტებით სავსე ყუთი იატაკზე დავდგი ექიმის დავალების მოლოდინში. დეიდა ნადიამ ჩაძინებულ თუ დაღლილ ავადმყოფს გამოსაფხიზლებლად ნიკაპზე მოუსვა ხელი და უცბად უკან დაიწია, რადგან შეუძლოდ მყოფს თავი უსიცოცხლოდ ქვემოთ ჩამოუვარდა.

“Мы прибыли слишком поздно”-ო, მითხრა შეწუხებულმა ექიმმა და პოტენციური ჭირისუფლების საძებნელად მეზობლებში გამაგზავნა.

ეტყობა, ეს სამწუხარო ამბავი გონებაში იმიტომ ჩამრჩა, რომ პირველად შევესწარი ასეთი რიგის ფაქტს და კიდევ იმიტომ, რომ უცხო მარტოხელა ადამიანის ამ ქვეყნიდან უჭირისუფლოდ განშორება ალბათ როგორღაც ამსუბუქებდა იმ ტრაგიკული მომენტების გახსენებას, რომლებიც მრავალრიცხოვანი ახლობლებით გარშემორტყმული უახლოესი ადამიანების დაკარგვით განვიცადე.

[დილას, შოს სამსახურში წასვლამდე, წინა დღეს გაკეთებულ ამ ჩანაწერს გადავხედე. მესმოდა, რომ ლუკა დედიკოს გაცილების “რიტუალის” შესრულებას შეუდგა. რამე ერთად ვჭამოთო, უთხრა ზუსტად გარეთ გასვლის წინ შოს. ბოლოს ტკბილეული გამოსტყუა და კარებში ჩემგან გაგებული სიტყვები-დარიგებებიც მიაყოლა: აუცილებლად ჭამე შესვენებაზეო. მერე, რამდენჯერმე “ჰაგი” (ჩახუტება) მოსთხოვა და ბოლოს დავალება მისცა: კრემიანი “ქეროთ ქაფ ქეიქი” (სტაფილოს პატარა ნამცხვარი), “პინათ ბათერ ქუქიზი” (მიწისთხილის ორცხობილა) და კიდევ რაღაცეები მომიტანეო. ასეა უკვე ბოლო ორი კვირა, შოს სამსახურში გაცილების პროცესში სრულად ჩამენაცვლა “რიტუალის” თავისებური ვერსიით.].

02.12.17

ფილიპე და ერიკა

გასული საუკუნის ბოლო წელი, შორენას მენეჯერობის ქვეშ, ბერკლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული “ინსტიტუტის” ჯ.ჯ.ნიუბერის დახურვა-ლიკვიდაციის პროცესში გავატარეთ. ათას საქმესთან ერთად, თითქმის სამ თვიან 30%-50%-75%-იან ფასდაკლება-“სეილებს”, მაღაზიისა და ოფისის ინვენტარისა და ავეჯის გაყიდვა მოჰყვა. სწორედ მაშინ გავიცანით ფილიპე შურმანი, ჩვენებურად ფილიპე, ერთი ადგილობრივი არტისტული ბუნების, მეტისმეტად თავშეკვებული, ორმოც წელს მიღწეული სიმპატიური ძალად ბინესმენი, რომელსაც ჩალის ფასად შევაჩეჩეთ სამსართულიანი უნივერსალური მაღაზიის მოწყობილობა, თაროები, დახლები, სტენდები, სალაროები, სეიფები, ურიკები და ა.შ. და ა.შ. სხვა შემთხვევაში, ყველაფერი ეს უნდა დაგვემსხვრია და გადაგვეყარა, რადგან მათი დემონტაჟი და კორპორაციის სხვა მაღაზიებში ტრანსპორტირება გაცილებით უფრო ძვირი დაუჯდებოდა ფირმას, ვიდრე უკანასკნელების თვითღირებულება იყო.

ფილიპე და ჩვენ მალე გავშინაურდით. არაერთხელ ვეწვიეთ მის მაღაზიებს, რომლებიდანაც ორი ბერკლიში, ერთი “ცენტრ სტრიტზე”,

მეორე სან პაბლოს ქუჩაზე და მესამე სან ფრანციკოში იყო. შურმანმა მისი ცენტრალური ქუჩის პატარა მაღაზიის შექმნაზე არა ერთხელ ჩამოგვიგდო საუბარი, მაგრამ საკმომ თანხის უქონლობის გამო არ დავთანხმდით. შენობის ქირავნობის ხელშეკრულება ხუთ წელიწადში უნდა დამთავრებულიყო და მეტად საეჭვო იყო, რომ ეს დრო ვალის დასაფარავად გვეყოფოდა.

ევროპიდან ამერიკაში გადმოსახლებულმა ფილიპეს მშობლებმა, 50-იან წლებში 200-მილიონიანი ბიზნესი (Schurman Retail Group) ბერკლის ერთ-ერთი სახლის სამზარეულოში დაიწეს. მათ კარგად გათვალეს მაშინდელი არა-გლობალისტი საშუალო კლასის წარმომადგენლების ევროპული ცხოვრების წესის იმიტირების სურვილი და ევროპული “ფოე-ფოე” და პრესტიჟული “ბუნდელუშკების” იმპორტი დაიწეს. დღეს მათ მიერ დაარსებული ფირმა აშშ-კანადაში 450, ხოლო დიდ ბრიტანეთში 400 მაღაზიას ფლობს. ბიზნესის ძირითადი პროფილი მაღალი ხარისხისა და გემოვნებით დამზადებული ქაღალდის იმპორტული და მათ მიერ საგანგებოდ შექმნილი მრავალფეროვანი პროდუქტებია (სხვადასხვა სახის ბარათები, ხელოვნების ნიმუშების ფერადი ასლები, საჩუქრები, საკანცელარიო მასალები და სხვა.). სპეციალიზირებული მაღაზიების პოპულარულ ქსელში, “PAPYRUS”-ში, გასაყიდად გამოფენილი საქონელი თუ მოდიდან გადადის ან რაღაც მიზეზის გამო მასზე მოთხოვნილება საგრძნობლად მცირდება, მაშინ ასეთი პროდუქცია ნაკლებშემოსავლიან მომხმარებელზე მათი ვაჟის კუთვნილ მაღაზიებში იყიდება.

როდესაც ფილიპეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა, მშობლებმა სან პაბლოს დიდი მაღაზიის გვერდზე ხელოვნების ორგინალური ნიმუშების მაღაზია-სალონი დაუარსეს, რომლის სადღესასწაულო გახსნაზე ჩვენც მიგვიწვიეს. გამოფენა-გაყიდვის მზადების პროცესში ყურადღება მივაქციე, რომ ფილიპეს მიერ შექმნილ მრავალრიცხოვან ქანდაკებებსა და დეკორატიულ მოტივებს, მამამისის, მარსელ შურმანის ბრინჯაოში ჩამოსხმული თავის გარდა სახელი არც ერთს არ ჰქონდა. როდესაც ეს გავიკვირვე - ადამიანმა რა შეიძინა, მისი სახელი ხომ უნდა იცოდესთქო -- ფილიპემ და მისმა იმჟამინდელმა მეუღლემ (წინა ქორწინებიდან ორივეს ორ-ორი ლამაზი, 8-9 წლის გოგონა ჰყავდათ მაშინ) სახელების შერჩევაში დახმარება მოხოვეს. დარბაზს დავყუვი და ფილიპეს ბლოკნოტით და კალმისტრით შეიარაღებული ცოლის თქმის არ იყოს, ჰოლივუდის რეჟისორივით ყველა ნაწარმოები, კომერციული თვალსაზრისით გამართლებული სახელებით “მოვნათლე”. მხოლოდ ერთი ფრაგმენტული ქანდაკებისათვის, სახელის შერჩევა გამიჭირდა. ფილიპემ მითხრა, რომ ამ დიდ-დრუნჩიანი ცხენის სახე თეთრი მარმარილოს მონაცრისფრო-მომწვანო ტალღებიან მოზრდილ ნატეხში “დაინახა”. ანტიკურ სტილში შესრულებული ქანდაკების მნახველს ისეთი შთაბეჭდილობა დამრჩა,

რომ თვალი ზღვის ტალღებში ჩაძირულ ცხენს მოვკარი. მარმარილოს საგანგებოდ დამუშავებულ დიდ ნატეხს ეტლოში შებმული ცხენების მოყვარული ბერძნული ზღვის ღმერთის ანუ ჩემი სტუდენტობის დროინდელი ცხენოსნობით გატაცების პერიოდის საყვარელი თეთრონის სახელი “პოსეიდონი” დავარქვი. “პოსიამ” თბილისის იპოდრომის მიწა არაერთხელ სულ ცხვირპირით მათხრევინა. ეს სტუდენტისათვის ძვირი სიამოვნება იყო, რადგან იმდროინდელი ტრადიციის მიხედვით ყველა გადმოვარდნა იპოდრომის ბიჭებთან ერთად “პოლ ლიტროვკით” უნდა აღმენიშნა. ერთი სამ “პოლ ლიტროვკიანი” ვარჯიშის შემდეგ “მივხვდი”, რომ ჩემს ფითქინა ბარკლებს მოლურჯო-სალათისფერ იერს ცხენზე ჯდომა და არა ფინური კოსტუმის შარვალი აძლევდა. მას შემდეგ იპოდრომზე მხოლოდ ტოტალიზატორზე სათამაშოდ დავდიოდი.

რამდენიმე წლის შემდეგ, ფილიპმა ყველა თავისი მაღაზია, როგორც იქნა, გაყიდა და მხედველობის სფეროდან გაქრა. ეტუობა, სახელოსნოში ჩაიკეტა მარმარილოს ნატეხებთან ერთად. მის უკვე მგონი ყოფილ და ეხლა საკმაოდ ხანდაზმულ მეუღლეს, რომელიც გაცნობის პერიოდში ძალიან ჰგავდა 90-იანი წლების პოპულარული სერიალის “სექს ინ ზი სითის” ჯესიკა პარკერს, ხშირად ვხვდები სან პაბლოს ჯ.ჯ ნიუბერიდან შექენილი ინვენტარით სავსე მაღაზიაში. წლების წინათ ამ ქალბატონმა მამამისთან ერთად ფილიპესაგან შეიძინა ეს უშველებელი მაღაზია და ყოველდღიური შრომით დასავლეთ ბერკლის ერთ-ერთ წარმატებულ “ფართი სთორად” აქცია. დღეს, მშობლების მიერ წამოწყებულ საქმეს, ფილიპეს და დომინიკა უძღვება. ამ და-ძმას თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიღწეული წარმატების ნიშნად ამერიკელების საყვარელი ემოციური ფრაზა წამოიძახონ: “I DID IT!”-ო.

ამ ფრაზას პირველად ყური სან-ფრანცისკოში მოვკარი. შო, ელისა და მე შვიდბორცვიანი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებდით, როდესაც ერთ-ერთ ციცაბო და უძნელესი მოსახვევების დაძლევათ აღტაცებაში მოსულმა, მანქანიდან გადმოსულმა ახალგაზრდამ, ლომბარდის ქუჩის წვერზე ქვაფენილს ჩასძახა: “მე-ე-ე-ე შევძელი ამის გაკეთებაო!” მსგავსი რამ შემდეგაც მრავალჯერ მინახავს, მაგრამ ამბავი, რომლის დეპეშურ სტილში მოყოლას ვაპირებ, მგონი მაინც განსაკუთრებულია.

ექვსი წლის წინათ, ჩვენი კარის მეზობლები ჯოანი და მარკი ტყუპებთან ერთად მშობლების დახმარებით შექენილ საკუთარ სახლში გადასახლდნენ და მათ ყოფილ ოროთახიან აპარტამენტში ფლორიდელი სიმპატიური წყვილი, პროგრამისტი ერიკ ჰაზზარდი და მისი “გერლფრენდი”, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ალისენ უორენი გადმოვიდნენ. იმ დროს, ეს აპარტამენტი თვეში \$1,600 ღირდა, ხოლო დღეს \$2,695 ღირს. ახალი მეზობლების გვარების გამო, მე და შომ ცოტა წავიჭორავეთ კიდევ, რადგან ერიკას გვარს რომ ერთი “ზ” ჩამოვაშოროთ მაშინ “სამიშროებას”

ნიშნავს, ხოლო ალისენის გვარი უორენი ინგლისური დარდის აღმნიშვნელი სიტყვის დარად ჟღერს. განწყობილებით და ემოციურად სამხრეთელებთან, წარმოშობით კი სკანდინავიელებთან, თავიდანვე ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

ერთ დღეს, ეს 24-25 წლის ახალგაზრდები დაქორწინდნენ და ჩვენი სიმპათიები მათ მიმართ გაიზარდა. ამ ასაკში დაოჯახებას კალიფორნიაში იშვიათად თუ ვინმე გადაწყვეტს. ამის გამო, ნაქირავებ ბინებში უმეტესწილად მარტოხელები ან “ბოიფრენდ-გერლფრენდები” ცხოვრობენ. ერთხელ ალისენს ვუთხარი კიდევ, რომ მათი აპარტამენტი, ჩემი აზრით, განსაკუთრებულია, რადგან იქ ადრეც და ეხლაც საგანგებო სვე-ბედის ადამიანები ცხოვრობდნენ: სამი წყვილი - ლოტოსა და ჯონი, ჯოანი და მარკი, ალისონი და ერიკა ჩვენს ხელში დაქორწინდა! იქიდან ორმა წყვილმა, ლოტოსამ და ჯონმა, ჯოანმა და მარკმა ბერკლოში საკუთარი სახლი იყიდა! ხოლო ჯოანსა და მარკს ტყუპები შეეძინათ!!! ეხლა, დარწმუნებული ვარ, თქვენი ჯერიათქო. ალისენს ასეთი “წინასწარმეტყველება” მოეწონა და ღიმილით იმავე სტილში მიპასუხა: “There must be something in the water”-ო - ალბათ რაღაც მაგიური არის ამ აპარტამენტის წყალშიო. ამასობაში, ერიკამ სამ ახალგაზრდა პროგრამისტთან ერთად ახალი “სტარტ აფი” “Outline.com” დააარსა და ისეთი კომპიუტერული აპლიკაციების შექმნას შეუდგენ, რომლებიც მომავალში სარფიანად გაიყიდებოდა. მალე მე და შო “დავფეხმძიმდით” და ლუკა შეგვიძინა. მაშინ უკვე ალისენმა მითხრა - ეტყობა თქვენი აპარტამენტის წყალშიც რაღაც არაჩვეულებრივი ურევიაო!

ფლორიდელებმა დიდ შავ კატას მეგობრად პატარა ჭრელი ლეკვი მოუყვანეს და ასე გავაგრძელებთ ცხოვრება: ჩვენ ლუკაზე მათ კი საყვარელ ლეკვზე გადაყოლილებმა. მოუსვენარ ლეკვს პოპულარული სატელევიზიო სიტუაციური კომედიის “The Big Bang Theory”-ის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ახალგაზრდა ამჩატებული ქალიშვილის, სახელი “პენი” დაარქვეს. თანდათან ლუკა და პენი სამეზობლოს ცნობადი წევრები გახდნენ. წამოზდილ ბიჭაჭოს ფლორიდელებმა ჯერ “ჯადოსნური” სახატავი დაფა, შემდეგ კი პოლიციელის სრული ფორმა და ფლორიდაში მისთვის შექმნილი “თიშერთი” აჩუქეს.

ერთხელაც, საქართველოდან დაბრუნებულებს, ალისენი ფეხმძიმედ დაგვხვდა, რამაც კიდევ დაადასტურა, რომ მათი აპარტამენტის “წყალს” მართლაც რაღაცა სჭირდა. ჩვენი საუბრების თემა რადიკალურად შეიცვალა: ფლორიდელებმა ლუკასთან დაკავშირებულ გამოცდილებების აქტიურად ათვისება დაწყეს. თანდათან ალისენი და ახლად დაბადებული, ლუკას გამონაცვლებში გამოწყობილი მეიზი ჩვენი ხშირი სტუმრები გახდნენ.

ისე გაირბინა ინვესტორების მიერ ერიკას ფირმისათვის სამუშაოდ გამოყოფილმა ხუთმა წელმა, რომ ოთხეულის არც ერთი პროგრამა კარგად არ გაიყიდა. ამის გამო ბიჭები მათი ფირმის დასახურად და მომავალი სამსახურების საძებნად გაემზადნენ. დარჩენილ დროში უქმად ყოფნის მაგივრად, კურიკულუმ ვიტაში შესატანად, კიდევ ერთი ახალი აპლიკაციის შედგენა გადაწყვიტეს და ახალგაზრდა მომხმარებელზე გათვლილ მთლიანად პოზიტიური შინაარსის პროგრამის შედგენას შეუდგნენ. აპლიკაცია ორი კვირაში მზად იყო. გიორგობამდე ანუ “Thanksgiving-ის” (მადლიერების) დღასაწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, ის “ფეისბუქმა” თითქმის ასმილიონ დოლარად იყიდა!!!

“THEY, DID IT!!!”

გიორგობას, ფლორიდალებმა ტრადიციულ ვახშამზე გადაგვიპატიჟეს და ერიკამ დაწვრილებით მომიყვა მათი ცხოვრების ძირფესვიანად შემცვლელი მოვლენა-გარიგების პერიპეტიები. TBH - “to be honest” - “სიმართლე რომ ვთქვათ”, პროგრამა საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს თავიანთ თანატოლებზე ვინაობის გაუმხელად იჭორაონ. ეს პროგრამა ჯერ რამდენიმე შტატის სასწავლებლის სტუდენტებზე გაუსინჯავთ, ხოლო შემდეგ “ეფლის” ინტერნეტ-მაღაზიაში უფასოდ ჩამოსატვირთად დაუდევთ. ასე, რეკორდულად მოკლე დროში, 4 მილიონი ხელმომწერი და ყველაზე წარმატებული პროგრამის ტიტულიც მოიპოვეს. ახალგაზრდებს უცბად დაუდგათ პოტენციური მყიდველების გრძელი რიგი. ზოგი კორპორაციის ხელმძღვანელი მექსიკის ცაში მყოფი ვერტფრენიდან ურეკავდათ, ხოლო ზოგი უბრალოდ ჩაცმული და გულგაღელილი მულტიმილიონერი თურმე კარებს პირადად უტალახებდათ. ყველაზე მიმზიდველი საგანგებოდ “დაზმანული” “ფეისბუქის” შვიდკაციანი დელეგაცია აღმოჩნდა და ხანგრძლივი ანალიზი-მოლაპარაკება-ვაჭრობა დაიწყო. ამ პერიოდში კვარტეტს ყოველდღე ათასგვარი წინააღმდეგობების დაძლევა უწევდა; მოლაპარაკების პროცესში, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ლიდერის ტიტულის და ახალი ხელმომწერების დღიური რაოდენობის შენარჩუნება, რათა “ფეისბუქის” მხარეს ფასის დასაკლებად ან მოლაპარაკების ჩასაშლელად მიზეზი არ მისცემოდა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილებაზე თხუთმეტივე ყოფილ ინვესტორს თანხმობა განეცხადებინა; და რაც უმთავრესი იყო, მოლაპარაკების განმავლობაში როგორმე თავიდან აეცილებინათ კონკურენტების ან უბრალოდ შურიანების მიერ მომზადებული ნეგატიური პუბლიკაციების გამოქვეყნება. ამ მიზეზით, აპლიკაციის საჯაროდ გავრცელებულ სარეკლამო მასალებში, ფირმის არც ერთი თანამშრომლის გვარ-სახელი არ იყო ნახსენები. თუ მსგავსი რამ მაინც მოხდებოდა, ასეთი დარტყმის მოსაგერიებლად, ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი “პრეს-სეკრეტარის” იმედი ჰქონდათ. არა და

საშიშროება ნამდვილად არსებობდა, რადგან ერთი მეტად გავლენიანი ორგანიზაციის უმიზეზოდ გაბრაზებული ხელმძღვანელი კვარტეტის წევრებს წლების განმავლობაში დაუფარავად მტრობდა.

მიუხედავად ყველაფრისა, მოლაპარაკება წარმატებით წარიმართა. "ფეისბუქმა", რომელსაც უფრო მეტი ახალგაზრდა მომხმარებლის მიზიდვა სურს, კვარტეტის მიერ შედგენილი პროგრამა შეიძინა, ხოლო მისი შემქმნელები მენლო პარკის შტაბ-ბინის, ქვეყნის ყველაზე დიდი "გახსნილი სივრცის" ოფისის (რომლის ერთი კუთხიდან მეორეში მისასვლელად უფასო საკვებით, სათამაშო და სავარჯიშო დარბაზებით კმაყოფილ ადამიანს 20-25 წუთი სჭირდება) მაღალანაზღაურებად თანამშრომლებად აქცია. ამის გამო, ჩვენს მეზობლებს ახალ სამსახურთან უფრო ახლომდებარე ქალაქში გადაბარებამ მოუწიათ, რომელშიც ბერკლიდან ჩასასვლელად მანქანით სულ მცირე ერთი საათი არის საჭირო. ამიტომ, იქითკენ წამსვლელი ადამიანი ორ საათს მაინც ატარებს გზაში, ხოლო ის ვინც ბერკლიდან სილიკონ ველის ქალაქებისაკენ სამუშაოდ დადის, შოს თანამშრომლის ქმრის არ იყოს, გზაში ყოველდღე მინიმუმ სამ-ოთხ საათს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ტრაფიკისათვის თავის ასარიდებლად სახლიდან დილის ოთხზე, ხან ხუთის ნახევარზე გადის.

ერიკამ "ფეისბუქის" უფასო და სამუშაოდ ყოველმხრივ გამართულ სუპერ-ავტობუსით მგზავრობას ორი კვირაც კი ვერ გაუძლო. გადაბარების ხარჯების დასაფარად, ფირმამ ფლორიდალებს შოს ნახევარი წლის ხელოფასზე მეტი მისცა, ხოლო სამ-საძინებლიან სახლში, რომელიც მათ რედვუდ სიტიში იქირავეს, მომავალი თვიდან ჩვენზე სამჯერ მეტი (!!!) უნდა გადაიხადონ. ამ ფასების ფონზე, ბერკლკში ცხოვრება იაფიც კი მოეჩვენება კაცს. პროგრამისტებს ექვსნიშნა ხელოფასები, მაგრამ ხარჯიც შეუდარებლად დიდი აქვთ.

ასეთ რამეს რომ წავაწყდები ხოლმე, რატომღაც სულ ყრუაშვილების ქალის, ბებიაჩემის სიტყვები მაგონდება: "მგონი ყველაფერს არქონა და არყოლა ჯობიაო!" თქმა არ უნდა, ძალიან საინტერესოა თუ რამდენი დარჩებათ ახალგაზრდებს 15 ინვესტორის გასტუმრების შემდეგ ან როგორ გაიყოფენ თანხასა და ფასიან ქაღალდებს ან რა ხელოფასი დაენიშნა თითოეულს და სხვა, მაგრამ ასეთი კითხვების დასმა შტატებში წესად არ არისო, ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში გვითხრა ჩიკაგოს კონგრესიდან დაბრუნებულმა მამამ: შეიძლება მთელი ცხოვრება არც კი იცოდე რომ ერთისა და იმავე თანამდებობისა და ფუნქციების შემსრულებელ თანამშრომელს შენზე ორჯერ მეტი ხელოფას აქვსო. ასეა!!! აქაურები ფულის შესახებ საერთოდ არ საუბრობენ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჩვენს გარდა უკლებლივ ყველას ვიღაც კეთილი არსება ეხმარება.

რაც შეეხება ისეთ ფირმებში მუშაობას, როგორც “გუგლი” და “ფეისბუქი”, ცოტა წარმოდგენა ყველას და მათ შორის ჩვენც გვაქვს. წლების წინათ, ჩვენი ერთი სტუდენტი, ნიჭიერი ლინგვისტი და ძალიან სასიამოვნო პიროვნება ასეთივე “სტარტ აფიდან” “გუგლში” მოხვდა და რომ იტყვიან, “შავი დედალიკით გაკეთდა” - სან ფრანცისკოში სახლიც კი შეიძინა. მალე მისმა მეუღლემაც მსგავს ადგილას დაიწყო მუშაობა და... ორივე უკიდურესად გადაქანცულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, აქ ყველა ვინც მსახურობს, ერთი დევიზის ქვეშ მუშაობს: “GO BIG OR GO HOME” - “დიდ საქმეს შეეჭიდე ან სახლში წადიო”.

იმედია, ჩვენი ახალი მილიონერები თავიანთ ცხოვრებას სხვანაირად წარმართავენ და მაღალანაზღაურებადი სამსახურის გამო ყოველდღიურობით ტკობაზე უარს არ იტყვიან, მით უმეტეს რომ ალისენს სამსახურს სახლში ტრიალი და მეიზისა და ერიკაზე ზრუნვა ურჩევნია.
ვნახოთ!

03.02.19

ერთხელაც...

ადგილობრივი ებრაელების საყვარელ მონტერეის მარკეტში სურსათს ვყიდულობდი. ტკბილი კარტოფილის - იამის შერჩევა დავიწყე, რომ ჩემს გვერდზე მდგარმა მანდილოსანმა შემჩნევა მომცა: აბა, განა რას აკეთებ თუ იცი? ასეთი დიდების გამოცხობაზე ხომ უზომოდ ბევრი დენი დაიხარჯება და სხვაო. მომჭირნეობის დისციპლინით ძვალსა და რბილში აღზრდილ ქალბატონს ეს ტირადა ჩემმა არჩევანმა წამოაცდენინა.

:+:+:+

ნაგავი გადავყარე და დამფსტერთან ისევ ნიზბოსნობის მოტრფიალე ჯოანი გადასაყრელებით წამომეწია. ძალიან დიდი ხანი არ ჩანდა. ეტყობოდა, სერიოზულად უავადმყოფია. მივიკითხეთ-მოვიკითხეთ ერთმანეთი: ვუთხარი, რომ მეც არ ვგრძნობდი თავს მთლად კარგად, კუნთების დამაკავშირებელი ქსოვილების მოულოდნელი ანთების გამო და რომ ის ჩემი აზრით ნამდვილი გმირია, რადგან, წლების წინათ, ქიმოთერაპიის ხანგრძლივ კურსს გაუძლო და ტვინში ჩაბუდებული სიმსივნე მოიშორა. თან ქალიშვილი, სამეზობლოს ბავშვების ლიდერი, ბარკალმსხვილა ემი, “ფოსტერ ფემილის” დახმარებით წამოზარდა.

ეს იყო და ეს: Give me a hug-ო! ცრემლმორეულმა ჯოანმა წამოიყვირა და ამჯერად წკრიალა საშემოდგომო ქურთუკი ისევ გასარეცხი გამიხადა.

:+:+:+

ეს ის პერიოდია, როდესაც მანდარინითა და ბორჯომის ამარა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის იდეა ჯერ კიდევ ცოცხალია და თითქმის ყოველდღიურად, ახლად გამოჩეკილ პრესის ორგანოებში, თვითმარქვია ექსპერტებს გახურებული მსჯელობა აქვთ მსგავსი კატეგორიის საკითხების შესახებ. უცებ, ყველა ვითარებაში ტიპტივს შეჩვეულმა ახალგაზრდამ, პროვინციაში როგორღაც კიდევ ერთი ახალი გაზეთის დაარსება მოახერხა და თბილისელ ნაცნობებსა და თითქმის უცნობებს მისი პირმშოს პირველი ნომრების შინაარსი თავმოსაწონებლად გაგვაცნო: აშკარად პროვოკაციული შინაარსის წერილებში, ის მშობლიური რეგიონის თავკაცს ისლამური იდეოლოგიის გავრცელებასა და პროტექციონიზმში სდებდა ბრალს.

ეს ყოველივე ძალიან მემწუთხა. ამ თვალსაზრისით რეგიონს კარგად ვიცნობდი, მეგონა და არც ვაციე და არც ვაცხელე, სრულიად გაუაზრებლად, ჩემდა გასაკვირად, სასტიკად დავემუქრე ამ მცირე თავყრილობის წინაშე ჩვენი ტრადიციული აღმსარებლობის თითქოსდა თავგადაკლოულ დამცველს: ჯერ კიდევ ლატენტურ ფაზაში არსებული კონფლიქტი შენი ისტერიული ჰუმლიკაციების გამო მწვავე დაპირისპირებაში თუ გადაიზარდა, იცოდე ცემით ამოგხდი სულსთქო!!!

ყოველივე ეს ამას წინათ გამახსენდა. იმ პიროვნების გვარ-სახელი აკვრიფე ინტერნეტზე და ეკრანზე ხალხმრავალ დარბაზში მისი გამოსვლის მოკლე ვიდეო ამოვარდა. ამჯერად ხანშიშესული, უკვე რეგიონის ერთ-ერთი ავტორიტეტი, საკუთარ თავს და შეკრებილ საზოგადოებას, როგორც მუსლიმებს ისე მოიხსენიებდა. “კაცია და გუნებაო”, განწყობის თეორიის არ იყოსთქო, გავიფიქრე.

ფიცი მართლაც მწამს, თუმცა ბოლო მაინც მაკვირვებს - ვითარება რომ კარდინალურად შეიცვალოს მაშინ?

:+:+:+

რამდენიმე წლის წინათ, ჩვენი აპარტამენტის პარკინგ ლოტზე ადგილობრივი ბანკის ჩეკების შელახულ წიგნაკს წავაწყდი. იგი კომპლექსის მენეჯერის ერთ-ერთი ასისტენტის, ფილიპინელი ენდის გამოდგა. ახალი გვერდი პატრონს უკვე მონდომებით შეეუსო და სამ-

ბავშვიანი ალიმენტის გადასახდელად ყველაფერი მზად იყო. მაშინ დავრწმუნდი, რომ მეუღლეებს შორის ადრეული კონფლიქტი გაყრით დასრულებულა, რასაც წლების წინათ გადასხვაფერებული და ნირშეცვლილი ენდი არავის უმხელდა. ამ ამბავს პენსილვანიიდან ახლად გადმოსახებული მდგმური, სატრანსპორტო მოდელების ინჟინერი, ბარბარა რიჩარდსონი შეესწრო. ჩეკების წიგნაკი სწორედ მას გადავულოცე, რომ კარგა ხნის წინათ გარდასული უსიამოვნო ამბების გახსენებით ენდი უნებურად არ შემეწუხებინა.

:+:+:+

ვერცხლისწყალივით სულ ხტუნვა-მოძრაობაში მყოფი, მრავალი წლის წინათ ქმარს გაშორებული, ირლანდიური ჩამომავლობის ბარბარა სამიოდე წელია რაც ბერკლიში ქალიშვილის დასახმარებლად, შვილიშვილის აღზრდაში მონაწილეობის მისაღებად გადმოსახლდა. თავიდანვე, ჩვენთან და მეზობლად მცხოვრებ ორ ინტელიგენტ ქალბატონთან, პენსიაზე გასული მასწავლებელთან, 60-იანი წლების მეტისმეტად ნაკვთებსწორი ამერიკული კინო-ვარსკვლავ-შხვართების მსგავს ნენსისთან (უბანში გადმოსული ძალიან აქტიურად მეპრანჭებოდა, მასთან ერთად უნივერსიტეტის ხელოვნებამცოდნეობის ლექციებზე სიარულს მთხოვდა, სამუშაო საათებში ლუკაზე ერთადერთ მზრუნველ კაცს) და ოკლენდის ერთ-ერთი კოლეჯის ლექტორ პამელასთან ახლო ურთიერთობაში ყოფნა ამჯობინა. წლინახევრის თმახუჭუჭა გოგუშასთან ერთად, არაერთხელ სახლშიც გვეწვია. ქერაფსუა ჰეიზელზე თითქმის ორი წლით უფროსმა ლუკამ უფროსის როლი ადვილად აითვისა და უმცროს ამხანაგს მშობლების არაერთი სენტენცია ჩვენივე თანდასწრებით გაანდო.

ბარბარამ ორიოდე წლის წინათ “სააღდგომო კვერცხებზე სანადიროდ” მიგვიწვია მისი სიძის მშობლების ოჯახში. ჰეიზელის მეორე ბებო ცნობილი მხატვარი-დეკორატორია, მაგრამ ამ საბავშვო თამაშს ვერ დავესწართ, აღარ მახსოვს რატომ. დრო გავიდა და ბარბარას შორს წასული მკერდის სიმსივნე აღმოაჩნდა. ძალიან დადარდიანდა, რადგან მის მიერ შერჩეული მკურნალობის მეთოდმა სასურველი შედეგი არ გამოიღო. ამ პერიოდში არა ერთხელ გვეწვია დარდის გასაქარვებლად. ჩვენც ვამხნევებდით და ვამხნევებდით, რაც შეგვეძლო: კიდევ კარგი აშშ-ში ხარ ღვთის წყალობითთქო და ა.შ. ერთხელაც, შოს მდიდარმა თანამშრომელმა, ბერკლის საქვეყნოდ ცნობილი, ყველაზე ძვირად ღირებული, ბილ კლინტონის საყვარელი რესტორნის Chez Panisse-ის (https://en.wikipedia.org/wiki/Chez_Panisse) \$300 -იანი სასაჩუქრო ქარდი მიართვა, რომელიც მან სახლში მოსვლისთანავე შეუძლოდ მყოფ მეზობელს გადაუტანა. დარდში ჩაღეული ბარბარა, შოს მოულოდნელმა ძღვენმა ზომაზე მეტად გაახარა. მალე სამკურნალო მეთოდი შეცვალა და ორასამდე სეანსის შემდეგ, უკვე მეტად ძვირფას

ტანისამოსში შემოსილმა, სრული გამოჯამთელების გზაზე მყარად შემდგარმა, აქეთ-იქით სიარული დაიწყო.

:+:+:+

ასპირანტურის პირველი ექსპედიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღაპრულ მთიანეთში გავატარე და ჩემთვის პირადად, არა-სპეციალობით ყურადღებაამისაქცევ მრავალ დამაფიქრებელ ფაქტს წავაწყდი. განსაკუთრებით გამაკვირვა იქაურ სოფლებში არასტანდარტული საქციელისა და შესახედაობის არაპოსპიტალიზირებული ბავშვების უჩვეულო სიმრავლემ. ამ ამბავმა დამაფიქრა და ერთხელაც განდობილ ადგილობრივ ახალგაზრდას მიზეზი ვკითხე. ეს საუბარი კოლმეურნეობის საწყობად გადაკეთებულ საარაკო ჩუქურთმებითა და ბიბლიური ნოეს - “ნუხფერი ღამბერის” კიდობნის ფერად-ფერადი ნახატებით შემკულ გაუქმებულ სალოცავში შედგა. შუა საუბარში ვიყავით, რომ ახალგაზრდა მოულოდნელად გაითიშა და დუჟმორეულმა გაშეშებული მზერა სადღაც უსასრულობაში გადაიტანა. ასე კარგახანს ერთმანეთმანეთზე ხელჩაკიებულები ვიდექით. ზურგის მხარეს უცნაურად გადახრილი ყმაწვილი თანდათან გონებაზე მოვიდა და უკლებლივ ყველაფერი, ბავშვების მდგომარეობაც, ადგილობრივების შორის მაგიური ძალის მქონე ჯადოების გაკეთების ჩვეულებას გადააბრალა.

თბილისში დაბრუნებულს, საკონსულტაციოდ ავლიმში ზურაბაშვილთან მიხდოდა მისვლა, რომ სამეზობლო სადალაქოში შემთხვევით შეხვედრილ მის ვაჟს, უკვე მამამისსავით ცნობილ ფსიქიატრს, ზაფხულის განმავლობაში დაგროვილი შთაბეჭდილებები გავუზიარე. არაფერი გაკვირვებია, ჩვენც ვიცით ამის შესახებო, მითხრა, მაგრამ რა არის მიზეზი: ადგილობრივი დიეტა, წყალი თუ რამე უფრო სოცილური ან ბიოლოგიური ფაქტორი, ჯერჯერობით არ არის დადგენილიო. რადგან სპეციალისტებიც საქმის კურსში იყვნენ, ცოტა გულოზე მომეშვა, თუმცა დღემდე მაინტერესებს თუ რა იყო ყველაფერი ამის გამომწვევი მიზეზი.

07.02.19

აჭარა

მთის სოფლებში მუშაობის დროს, არაერთი მართლაც საოცრად ორგინალური საცხოვრისი, საძოვრებზე აგებული საზაფხულო სახლი, სამეურნეო ნაგებობა თუ მოხერხებულად გამართული სარწყავ-სადრენაჟო სისტემა ვიხილე
(<https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/PhotoShows/xulo.pdf>).

განსაკუთრებით დამაინტერესეს სხვადასხვა სახის შენობების შიდა სივრცის განლაგებამ და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული მოხმარებისა და მოწყობა-გამართვის ლოკალურად სანქცირებულმა წესებმა. ამის გამო, საგანგებოდ ჩავუკირკიტდი ნაგებობების ისეთ ნაწილებს, რომლებიც ოჯახის წევრების გათბობა-განბანასთან და ადგილობრივი საკვების დამზადებასთან იყო დაკავშირებული - ველოზე საკმაოდ ინფორმატიული სტატიისათვის მასალებს, ნარატივს, ჩანახატებსა და ფოტოებს თავი მოვუყარე.

განსაკუთრებით მნიშვნავდა აღწერილი ობიექტების ტექნიკური და მხატვრული გადაწყვეტის გონებამახვილობა. მრავალი მათგანი, ლაზი ოსტატების შესრულებული აღმოჩნდა. წლების შემდეგ, ხასიათით მეგრელების მსგავსს და ამავე დროს ხშირად თურქი ნაციონალისტების დარად განწყობილი ლაზების ნახელავს, ჯერ ბუღარეთში და შემდეგ თურქეთში გავცანი: ხისა თუ ქვის ჩუქურთმებით მორთულ-მოკაზმული საცხოვრებლები და ბუხრები, სალოცავი და განსაბანი ნაგებობები, დუქნები, კონტა სავაჭრო უბან-მოედნები და ა.შ.

როდესაც ექსპედიციებიდან აჭარის ბარში ჩამოვედი, დარგის ერთ-ერთ ადგილობრივ ხელმძღვანელს მოვუყუვი ველოზე ყოფნის დროს დაგროვილი შთაბეჭდილებები და რამდენიმე უნიკალური სალოცავის - ჯამეს თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში გადმოტანის საქმის ორგანიზებაში თანადგომა შევთვაზე. ჩემდა გასაკვირად, ნათქვამი შორს დაიჭირა - არაა ნამდვილად საჭიროო; ჩემი წინადადებით აშკარად შეჭივრებულმა, მოკლედ მომიჭრა. მრავალი წლის შემდეგ, კალიფორნიიდან თბილისში ჩასულეხს, ერთ-ერთი ჯამე რომ ღია ცის ქვეშ მუზეუმში გადატანილი დაგვხვდა, გავიხარეთ. მივხვდით, რომ სხვა კონფესიებისადმი დამოკიდებულება ნელა, თუმცა მაინც იცვლებოდა.

მამა წლების განმავლობაში ბათუმის სამეცნიერო-საკვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი კურატორი იყო (<https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/PhotoShows/batumi.pdf>). შესაბამისად, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს საზღვარებს მიღმა მოქცეული ისტორიული პროვინციებისა და მოსახლეობის თემატიკა ჩვენთვის უცხო არ იყო. მით უმეტეს, რომ ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ლენინგრადიდან მის მიერ ჩამოტანილი წიგნებს შორის განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა 1911 წელს სანქტ-პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული აკად. ნიკო მარის შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის ფოტოებით უხვად დასურათებული დღიურები.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს დავიწყე სულმნათი ზაქარია ჭიჭინაძის (1857-1931) მიერ სამუსლიმანო საქართველოს შესახებ, მაშინ

თითქმის სრულიად უცნობი, ფაქტებით გაჯერებული, გასაბჭოებამდე პოპულარული და შემდეგ გასაგები მიზეზების გამო გადავიწყებული სახალხო წიგნების ხელმეორედ გამოსაცემად მომზადება (მუსლიმი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოსა და თურქეთში, ქართველების გამუსლიმანება და რელიგიის გამო ემიგრაცია - მუჰაჯირობა, ქართველობა კონსტანტინეპოლსა და ირანში და ა.შ.).

ვცდილობდი, მსგავსი პროექტებით გამომცემლობები დამეინტერესებინა, მაგრამ მკითხველ საზოგადოებას მაშინ ძირითადად სულ სხვა ინტერესები გააჩნდა. ის კი არა კალიფორნიაშიც კი ჩამოვიტანე გამოსაცემად გამზადებული, ჩასწორებული და ნაწილობრივ კომენტირებული წიგნების ქსეროკოპიები და აქაც ვცადე მსგავსი პრობლემატიკა ადგილიდან დამეძრა. აი, ამონარიდი განაცხადიდან, რომლის გამოსვლით ჩემთვის საინტერესო რეგიონში, ზუსტად ავად სახსენებელი ომის წინ ვიმუშავე, NCEEER-ის (National Council for Eurasian and East European Research) გრანტის წყალობით.

“The frequent geopolitical shifts that took part in the region during the last three centuries had a strong effect on the aforementioned ethnic groups and left traces in their material culture and social institutions. The groups often changed their ethnic identities as well as their religious and political orientation as they had to live under Ottoman, Turkish, or Russian rule. Moreover, such changes shaped a unique religious dualism and a partial ethnic identity phenomenon, – still existing today – that became widespread in the border area. For example, when living under Russian and Soviet rule, the Muslim population secretly performed Islamic rites, while the Christian population did the same under Turkish rule. Thus the Muslims and Christians became simultaneous followers of both the official and unofficial religious practices. The changes that are taking place in the region today are unprecedented as they are defined by the pro-western orientation of the Georgian government and the westernization of the country”. ომმა საქართველოსთან დაკავშირებული აქტიურობა კარდინალურად შეცვალა და შესაბამისი თემატიკა აშშ-ის განათლების დეპარტამენტის მიერ უნივერსიტეტებისათვის რეკომენდირებული და დაფინანსებული FLAS-იდანც (Foreign Language and Area Studies Fellowships Program) ამოღებული იქნა. მაშინ და ახლაც, ქვეყნად მეტად გავლენიანმა კალიფორნიელმა კონგრესმენმა, დემოკრატმა, დღესათვის აშშ-ის წარმომადგენლების სახლის სპიქერმა, ნენსი ჰელოსიმ მაშინ საქვეყნოდ განაცხადა: “Let Russia clean its backyard” - “დაე რუსეთმა თავად მოაწესრიგოს თავისი უკანა ეზო”.

12.20.19

“რასაც გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია”

კუნთების შემაერთებული სქოვილის ანთებას მოძრაობის შეზღუდვა, წონასწორობის დარღვევა, ფეხის ტერფების მგრძობელობის დაკარგვა

და გაციება მოჰყვა. ორიოდე დღის წინათ, აბაზანაში ფეხები თბილ წყალში ის იყო ჩავყარე, რომ ლუკას და ვილაცის საუბარი შემომესმა. იძულებული გავხდი, სასწრაფოდ გავმშრალე-ულოყავი და ფლოსტებით აპარტამენტის შემოსასვლელისაკენ გავტანტალდი. კარებში აშშ-ში განათლება-მიღებული, პენსიაზე გასული, მეტად პოპულარული, პალესტინური ჩამომავლობის არაბული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, ჩვეულებისამებრ, ძღვენით ხელდამშვენებული იდგა. მედიკამენტების გამო ჩემს მთვარესავით გაბადრულ-შესიებული სახეს და ძლივძლივობით გადადგმულ შიშველ ფეხებს თვალი რომ შეავლო, გოცებულმა მკითხა: რა ხდება, ხომ კარგად ხარო? სახლში შემოვიპატიჟე, თუმცა ვიცოდი, რომ ზღურბლზე არავითარ შემთხვევაში, რადაც უნდა უცნაურად არ მეჩვენოს კაცს, არ გადმოაბიჯებდა. უკვე მრავალი წელია, წელიწადში რამდენჯერმე, თავისი ბაღის ლედვით, ლიმონებითა და ტკბილულით დატვირთული, დაუპატიჟებლად გვესტუმრება ხოლმე. ნამდვილად უცნაური მორცხვობის, თუ დედაჩემის არ იყოს, ბავშვობიდან გამოყოლილი ეტიკეტის გამო, მოკეთე-მეზობლებს ყოველთვის კარებში გვაწვდის ძღვენს და უმეთვალყურეოდ მიტოვებული ველოსიპედით იმართლებს თავს.

აქურებს შორის საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა მეტად გავრცელებულია, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ფრანგი სოციოლოგის, მარსელ მოსის (1872-1950) ცნობილი მოწოდებაა საჩუქრების გაცვლის ეკონომიკის შესახებ უმრავლესობას ალბათ წაკითხული არცა აქვს. ბევრს საკუთარ სახლში საჩუქრების მოსამზადებლად საჭირო დეკორირებული ყუთები, ჩანთები და გასახვევ-გასალამაზებელი მასალებით, ბარათებითა თუ სხვა აქსესუარებით სავსე სპეციალური ოთახი ან დაზგა აქვს გამოყოფილი. ამ ფერხულში ჩვენც თავიდანვე ჩავერთეთ და დღესასწაულებზე, განსაკუთრებით ქრისტეშობასა და ახალ წელს, რამდენიმე ათეული საჩუქარს ვიღებთ (ტკბილეულს, სხვადასხვა ზომა-წონის შოკოლადის “ბამბანერკებს”, ძვირად ღირებულ ღვინოებს და \$25-\$100-იან სასაჩუქრო ბარათებს და ა.შ.), რომლებსაც მერე ნაცნობ-მეგობრებს, თანამშრომლებს, დოქტორანტებს და აპარტამენტის მომსახურე პერსონალს ვუნაწილებთ. ეს ყველაფერი ინგლისურ “ბოქსინგ დეის” ტრადიციას ჰგავს, სადაც ქრისტეშობის მეორე დღეს საჩუქრების დარიგება იცინა. შოს ხშირად საკმაოდ ძვირიან ძღვენს ან სასაჩუქრო ბარათს მიაერთებენ ხოლმე და ძალიან უხერხულობს, რაზეც ერთმა ცნობილმა პროფესორმა და ამავე დროს რაბინმა უთხრა - არაფერია აქ საუხერხულო, რადგან ეს ტრადიცია ჩვენი კულტურის ერთ-ერთი ქვაკუთხედიანია: მე შენ რომ რაღაც სიკეთეს გიკეთებ შენგანაც კეთილგანწყობას ველიო. თავად არაერთხელ წაგვიყვანა სან-ფრანცისკოს ოპერაში, რომლის თითვეული ბილეთში \$300-\$300 გადაიხადა.

14.02.19

ბერკლის “ალტა ბეითი”

შოს ფენმძიმობის დროს, “დონტონის სააბატოს” თითქმის ყველა უყურებდა. ჯონ გოლს-უორსის “ფორსაიტების საგის” სტილში გადაღებული ტელესერიალი გასული საუკუნის დასაწყისის ინგლისში მდიდრებისა და მათი მსახურების ურთიერთობებს ოსტატურად წარმოაჩენდა. მარტის შუა რაცხვები იდგა, რომ მაყურებლისათვის მოულოდნელად ფილმის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი, ფენმძიმედ მყოფი ლედი სიბილი სცენარისტის მიერ გამოგონებულმა დაავადებამ, პრე-ეკლამფსიამ - მაღალმა წნევამ შეიწირა. ამ ეპიზოდმა შოს გულოშემატკივრებს და მე ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. წნევის გაზომვა უფრო ინტენსიური გახდა და ერთ საღამოს მაჩვენებლებმა ნორმას საგრძნობლად გადააჭარბა. მეორე დღეს, მეან-გინეკოლოგმა საკონსულტაციოდ მისულეები პირდაპირ “ალტა ბეითის” ჰოსპიტალში გადგვიყვანა. იქ, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, ჩემს გვერდძე ამალღებულ ლოჯინზე წამოწოლილ შოს (დღისით თუ ღამით - ძილსა და მოსვენებაზე ფიქრი უკვე ზედმეტი იყო) ყოველ სამ საათში მრავალგვარ ტესტებს უტარებდნენ. საარაკოდ დატვირთული მეან-გინეკოლოგი დღეში რამდენჯერმე დაგვხედავდა, ხან ერთსა და ხან მეორე კოლეგასთან ერთად. ერთხელაც, სახლში საბანაოდ წასულს, ახალი ამბავი დამხვდა: ემის ერთ-ერთი უფროსი კოლეგის, ჰოსპიტალში ყველასგან მეტად უცნაურ ადამიანად მიჩნეული კაცის კატეგორიული მოთხოვნით, ხვალ დილას საკეისროს გაკეთება გადაწყდაო. ამ ექიმს ძალიან გაჰკვირვებია შოს ინგლისური და მსგავსი კონსილიუმისათვის სრულიად უადგილო კითხვა დაუსვამს: მართალია თუ არა რომ რუსეთში ისე კარგად ამზადებენ სხვა ქვეყნებში შესაგზავნ აგენტებს რომ მათი ადგილობრივებიდან გარჩევა შეუძლებელი ხდებაო?!

ლოუკას დაბადების შემდეგ, ამ ახირებულ წვერგაუპარსავ სიმპათიურ ექიმს ჰოსპიტლის კორიდორში შევხვდი და დახმარებისათვის დიდზე დიდი მაღლობა გადავუხადე. არც სხვებთან დავრჩენილვართ ვალში: ემის ცნობილი ამერიკელი ინდიელი ოსტატის დამზადებულ-ხემოწერილი, დანომრილი, უზარმაზარი ლამაზი ბეჭდის ფორმის, ბაჯალლო ვერცხლის მასიური სამაჯური ერგო, რომლის ფართო, ოვალურ დაფაზე ფერადი ინკრუსტაციით შეტევაზე გადასული მომხიბლავი არწივი იყო გამოხატული. მის ასისტენტს ასევე ინდიელების ნახელავი მივართვით, ხოლო ჩვილების განყოფილების უფროსს კი გერმანიაში გამოცემული ჩვენი \$200-იანი წიგნი ვაჩუქეთ, რადგან მოულოდნელად თავად გვითხრა (საიდან იცოდა დღემდე წარმოდგენა არა გვაქვს), რომ ძალიან კმაყოფილია, რადგან “ცნობილი ავტორების”(?! ასეთი მნიშვნელოვანი საქმის დაგვირგვინებაში წვლილის შეტანა შევძელიო. ეს ის კაცია, რომლის ხელებში ლოუკამ,

უშუალოდ დაბადების შემდეგ, ახალი ცხოვრებისათვის სამზადისში საკმაოდ დრო გაატარა. პალატისა და ლუის ექთნებს და სხვა დამხმარე პერსონალს ტკბილეულით და ყვავილებით სავსე კალათები ორჯერ მივართვით და სხვა.

მას შემდეგ “ალტა ბეთს” მხოლოდ მანქანით თუ ჩავუვლიდით, თუმცა ბიჭაჭოს ყოველთვის ხაზგასმით აღვუნიშნავდით, რომ სწორედ ამ შენობაშია დაბადებული. ამას წინათ, ლუკამ დედიკოს სთხოვა ჩემი დაბადების ადგილი შიგნიდან დამათვალიერებინეთო და დედა-შვილი ჰოსპიტალს ეწვია, თუმცა უშედეგოდ. დასვენების დღის გამო, დაცვამ ისინი შენობის სამეანო განყოფილებაში არ შეუშვა, ვისი ნახვაც გაინტერესებთ მაინც აქ არ არიანო. შესაბამისად, საგანგებო ვიზიტი სხვა დღისათვის გადავუტანეთ “ბავშვობის” პერიოდის დეტალებით დაინტერესებულ თითქმის ხუთი წლის ბიჭუნას.

რადგან რევმატოლოგთან აფონთიმენთი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მქონდა დანიშნული, გუშინ, სტეროიდის - პრედნიზონის გამო მისუსტებულმა, ხსენებული ჰოსპიტლის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დეპარტამენტში ჩვენი “ბიუკ-ენკორით” მისვლა გადავწყვიტე. ჰოსპიტლის მთავარი კორპუსის გვერდით მდგარ ცალკე შენობაში მივედით თუ არა, აეროპორტების სტილში მოწყობილი სარეგისტრაციო დარბაზის შესასვლელის მაგნიტური დეტექტორის ჩარჩოსთან და ნახევრად გასამხედროებული დაცვის თანამშრომლის წინ აღმოვჩნდით. ნაკლებად სასიამოვნო ნებაყოფლობითი ჩხრეკა-შემოწმებს შემდეგ, რამდენიმე შეჭვივებული ადამიანით მიყუჟული ჰოლში აღმოვჩნდით. ზოგიერთი მძიმედ ქოშინობდა, ზოგს აშკარად სიცხე ჰქონდა და მივხვდით, რომ ლუსა და დედიკოსათვის აქ დიდი ხნით დაყოვნება არ ივარგებდა. რეგისტრაცია გავიარე თუ არა, დედა-შვილი, მესიჯების გაცვლის იმედით, სახლში გავისტუმრე და დაცვის თანამშრომელმა ავადმყოფთა გამანაწილებელ ოფისში შემიყვანა. გამოკითხვის შემდეგ, ექიმმა ჩემი პასუხები ინტერნეტით სადაზღვევო სისტემის სამედიცინო მონაცემებს შეუჯერა და გვერდზე ოთახში სისხლის ანალიზების ასაღებად და კარდიოგრაფის გადასაღებად გადამამისამართა. მთელ პოცედურას თხუთმეტი-ოცი წუთი დასჭირდა.

შიდა მოსაცდელში ორსაათიანი ლოდინის დროს დავრწმუნდი, რომ იქ თავშეყრილ ადამიანებთან შედარებით არაფერი არ მიჭირდა. ზოგს აზიდებდა, ზოგს აგრესიულად ახველებდა-აბოყინებდა-ასლოკინებდა, ზოგიც მაღალ ტემპერატურას ისე გაეთანგა, რომ უკიდურესად მინავლებული თხიპაშეყრილი წიწილასავით თვალებს უაზროდ აფახუნებდა. შესაბამისად, ყველა ჩემზე ადრე გაიყვანეს გათავისუფლებულ სადიაგნოსტიკო ოთახებში, სპორტული აღნაგობისა და ჩაცმულობის სიცხიანი სტუდენტი გოგონას გარდა,

რომელიც დადგმული წვეთოვანით უმაღლეს მოსაცდელში დაბრუნდა. რამდენიმე ტელეფონის ზარის შემდეგ, მის სანახავად დედა და უმცროსი, ასე 10-12 წლის დაიკო მოვიდნენ. ბოლოს, ზურგჩანთიანი და ცილინდრიანი გაპრანჭული მამაც გამოჩნდა, რომელსაც უმცროსი ქალიშვილისა და ეტყობა ყოფილი მეუღლისაკენ (უკანასკნელი უხერხულობისაგან სულ ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული) - არც კი გაუხედავს. ამ დროს მე ცალკე ოთახი გამამწესეს და ჰოსპიტლის შიდაგანაწესის მიხედვით, ექთანმა შიშველ სხეულზე საავადმყოფოს ხალათისა და მოსახურის წამოსხმა მირჩია. მალე ექთანმა სოდიუმის ქლორიდის ლიტრიანი წვეთოვანი დამიდგა და მაჯისცემა-წნევა-სისხლში ქანგბადის რაოდენობის დამდგენ კარდიო-აპარატთან კაბელით დამაკავშირა.

იაპონური წარმოშობის ექიმიც მოვიდა და მის ტელეფონში ჩამოტვირთული, ჰოსპიტალში ჩატარებული და ძველი ანალიზების ფონზე, ჩემი სიმპტომები, შოსი არ იყოს, სტეროიდის მაღალ დოზასთან დააკავშირა - კუნთების აღსადგენად ვარჯიშის დაწყება მირჩია.

სახლში დავბრუნდით თუ არა, დედიკომ ყველა ჩვენთაგანის მიერ ჰოსპიტალში ყოფნის დროს ნაცვამი ტანსაცმელი საგულდაგულოდ გარეცხა.

16.02.19

ნიკოლი, არისი და სხვები

გუშინ საღამოს, ქვედა სართულიდან აღელვებული არისის ხმა შემომესმა და უმოქმედობით გაბეზრებულმა, გადავწყვიტე თავშესაქცევად მეზობლებზეც ორიოდე სიტყვა მეთქვა.

აპარტამენტის კომპლექსი, სადაც უკვე წლებია ვცხოვრობთ, ოდესღაც მონაწევრების საერთო საცხოვრებელი ყოფილა. ის 50-იან წლებში რუსეთიდან ოდესღაც გამოსულ ებრაელ ბერგერებს ბანკში აღებული კრედიტით ჩალის ფასად შეუძენიათ. პასტელის ღია ფერებში შეღებილი ხუთი ორსართულიანი შენობა კალიფორნიისათვის ჩვეული სტილის წყალგაუმტარი ხსნარით გალესილი ხის მასალითაა ნაგები. მათ შორის, ჩვენს მწვანე-ეზოიან რუსული ასო “F”-ს გეგმარების ნაგებობას განსაკუთრებული, პრესტიჟული ადგილი უჭურავს. პატარა ქალაქის ეს ყველაზე დიდი საცხოვრებელი კომპლექსი, ერთ-საძინებელიანი, 500 “სქვარ ფუტიანი” ანუ 46.4515 კვ.მ.-იანი (+ მისაღები ოთახი + სამზარეულო + აბაზანა-საპირფარეშო) და ორ საძინებელიანი 700 “სქვარ ფუტიანი” ანუ 65.0321 კვ.მ.-იანი ფართის საერთო ღია აივნით ერთმანეთთან დაკავშირებული აპარტამენტებისაგან შედგება. პირველი დღეს, ვაკანსიის შემთხვევაში, თვეში \$2,200-ად, ხოლო მეორე

კი \$2,695-ად შეიძლება იქირაო, თუ სათანადო ფინანსური შემოსავლის ცხადყოფი საბუთები და რეკომენდაციები მენეჯერმა მოიწონა.

უშუალოდ ჩვენს ქვემოთ მცხოვრები წყვილი, ნიკოლი და მისი ბოიფრენდი არისი, მხოლოდ სამი წელია დაგვიმეზობლდენ. პირველივე წელს, ლუკას “რემოუტ კონტროლით” სამართავი ძვირფასი მანქანა მოართვეს. ისინი ერთადერთი ფერადკანიანები არიან მთელ კომპლექსში. ნიკოლის თეთრი დედა აფრო-ამერიკელ მეუღლესთან ერთად მეზობლად ცხოვრობს და გასულ წაფხულამდე ყოველდღიური ვიზიტებით ზრუნვას არ აკლებდა ახალგაზრდებს. ჩვენი თბილისში ყოფნის პერიოდში, ეტყობა მათ შორის რაღაც მოხდა და ქვედა სართულიდან კამათის ხმა გახშირდა. მერე ნიკოლი კარგა ხნით გაქრა და მხოლოდ ძალის გასასეირნებლად გარეთ გამოსულ ხასიათშეცვლილ არისს ვხედავდი. გუშინ ღამით, მოულოდნელად, ახალგაზრდა ქალი უკან დაბრუნდა, ზუსტად მაშინ, როდესაც კარგა ხნით მდუმარედ მყოფი არისი ვიღაც გოგონას ტელეფონზე ხმამაღლა ელაპარაკებოდა - საუბარში მისი ყოფილი გერლფრენდიც ახენა. ამ დროს კარებზე წვიმით გაწუწულმა ნიკოლმა დააკაკუნა და არისმა ტელეფონზე საუბარი უცბად შეწყვიტა. მერე კარგანანს გვესმოდა ახალგაზრდა კაცის შეძახილები - ქალიშვილს სახლში წადიო დაჯინებით ურჩევდა. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ნიკოლი ღამის გასათევად მაინც აპარტამენტში დარჩა. ყოველივე ამის გამო, შო ქორწინებაში მყოფ წყვილებს უფრო სტაბილურებად მიიჩნევს, რადგან ერთმანეთთან მეტი რამ აკავშირებთო.

ერთი რამე გვაკვირვებს მხოლოდ, როგორ უძლებს ამ ქალ-ვაჟის პერიოდულ ხმამაღალ მასლაათს მათი კარის უშუალო მეზობელი, უზომოდ გადაფუნებული და სუპერ მგრძობიარე ელისაბედი. ის შანს არ უშვებს, რომ ეზოში მოქლურტულე ბავშვებს ნერვიულად შეჩნევა არ მისცეს. ერთხელ ჩვენც გაგვაფრთხილა, თქვენი ბიჭი მეტისმეტს ხტუნავს და მთელ სახლს აზანზარებსო. ამის შემდეგ ქრონიკულად შეუძლოდ, უგუნებოდ მყოფ მანდილოხანს ღიმილიანი კეთილგანწყობა გავუძვირე და უმაღლ მიწყნარდა. მასთან ბერკლის ერთ-ერთი რეფორმისტული სინაგოგის ჩასუქებული გეი - ქალი რაბინი მეგობრობს, რომელიც დროდადრო სუპერ მძიმე ჩემოდნით ადგება თავზე. კიდევ, ერთი ხანში შესული ებრაელი მამაკაცი, ალბათ იმავე სამლოცველოდან მომაგრებული, მარტოხელა ავადყოფების მოხალისე-დამხმარე, თითქმის ყოველდღე აკითხავს, რათა საყიდლებში დაეხმაროს ზოგჯერ გორგოლაჭებიანი ჭოჭინას დახმარებით მოძრავ ელისბედს. უკანასკნელს, ბოლო ხანებში უკვე საკმაოდ ხანდაზმული, პანკებივით სხვადასხვაფერად-შეღებილობებიანი ქალბატონი ელისაბედი, რატომღაც როგორც ბოიფრენდს ისე მოიხსენიებს. სამეზობლოში მისი სხვა მდგმურებთან

შედარებით მაღალი სტატუსის საფუძველი აპარტამენტის კომპლექსის მეპატრონესთან ახლობლობა-კავშირი თუ ნაცნობობაა, რის ხაზგასმით აღნიშვნასაც ნებისმიერი საუბრის დროს ახერხებს. ამით და ზოგჯერ საქციელ-შესახედაობითაც, ის ხშირად მაგონებს ჩემს ერთ ყოფილ თბილისელ თანამშრომელს, რომელიც იმჟამად პოპულარული მეტად ახალგაზრდა მინისტრის მეუღლის კლასელი იყო.

მეორე მხრიდან, ნიკოლისა და არისის კარის მეზობლად, მთლიანად სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი, ინვალიდების ელექტროსავარძელზე, ვგონებ ახალგაზრდობნიდანვე მიჯაჭვული, ირლანდიური ჩამომავლობის საოცრად გაწონასწორებული, მუდამ ღიმილიანი ასაკოვანი ქრისტიანა და გაძვირებული აპარტამენტისა და სამსახურის რამდენიმე წლის წინათ დაკარგვის შემდეგ მასთან გადმოსული (ეტყობა სამუდამოდ ჩასახლებული) მკვიდრი და კარლა ცხოვრობს. ის ქრისტიანს ერთადერთი ოფიციალური მომვლელია, რაშიც მთავრობა გასამრჯელოს თვითურად უხდის.

ყოფილ ბარტენდერს, კეთილ კარლას, სამი ქალიშვილი ჰყავს. უმცროსებს, ჯესიკას და ალექსას, კარგად ვიცნობთ, ჩვენს ეზოში გაიზარდნენ. ჩანთებით შეიარაღებული პატარები ჰელოუინის კანფეტების გამო კარებზე ხშირად მოგვადგებოდნენ ხოლმე. შემდეგ, უწლოვანმა ჯესიკამ სკოლაში ვიღაც ლაწინაკი ეგვიპტელისაგან ქალიშვილი გააჩინა. ეხლა თურმე ჰიუსტონის ერთ-ერთ ღამის ბარში ბარისტად მუშაობს და კარგ ფულს აკეთებსო, კმაყოფილი კარლას თქმით.

მომხიბლავი ალექსას (ამჟამად ბერკლის საშუალო სკოლის ერთ-ერთი კლასის 15 წლის პრეზიდენტის) დაბადება გუშინდელი დღესავით მახსოვს: შესვენებაზე ეზოში გამოსულმა კარლამ სიგარეტი გააბოლა და წითელი ღვინით სავსე ჭიქა მოიტუჩა, მისალმების ნიშნად გვერდზე რომ ჩავუარე. მერე სამრეცხაოში შემოიჭყიტა და საოცარი ახალი ამბავი მამცნო - წინა საღამოს ქალიშვილი შემეძინაო! სახტად დავრჩი, რადგან ტანსრულ, ჩვენი გაგებით უქმრო მანდილოსანს არც ფეხმძიმობა და არც წინა დღის მშობიარობა არ ეტყობოდა.

ლამაზი ალექსა ეზოში სკუტერზე სრიალში წამოიზარდა და როდესაც ცამეტი წლისა დეიდამისს შევუქე, ქრისტიანამ ამაყად მითხრა, რომ მის საყვარელ გოგონას უკვე ბოიფრენდიც ჰყოლია... რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა ქალიშვილივით ადრე დაღვინებული ალექსა დეიდამისვით მარტოხელა მრავალშვილიანი მანდილოსანის კარიერას არ აირჩევს - რათა შვილები ანუ ნაკლებად კვალიფიცირებული იაფი მუშახელი მთავრობის ფინანსური დახმარებით აღზარდოს - და სწავლას დახარბებული სხვა გზით წავა.

დიდმარხვაში მწვანეებში გამოიწყო ბილი ქრისტიანს ოჯახის წევრები სიამოვნებით აღიშნავენ ხოლმე ირლანდიის ეროვნულ დღესასწაულს, წმინდა პატრიკის დღეს. ამ დროს სან-ფრანცისკოს და სხვა ქალაქების ირლანდიელებს თავისუფლად შეუძლიათ რაც უნდათ ის მიირთვან და რამდენიც უნდათ სვან, რასაც კიდევ სიამოვნებით აკეთებენ.

უნებლიე მოგონება: ოქსფორდის ქუჩაზე ცხოვრების პერიოდში, ხშირად გვსტუმრობდა ბერკლის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის კათედრის გამგე, შოტლანდიელი არქეოლოგი დევიდ სტრონაკი და მისი ბუნარელი ებრაელების ჩამომავლობის მქონე მეუღლე, ისრაელელი არქეოლოგი რუთი ვაადია. ბ-ნი დევიდი, ასე ბერკლში არავის არ მიმართავენ, ძველი ირანის, ერაყის და კიროს დიდის აგებული აქემენიდების იმპერიის დედაქალაქის ფასარგადის ზედმიწევნით მცოდნედ ითვლება. მას, 1960-1970 წლებში თეირანის “ირანული კვლევების ბრიტანული ინსტიტუტის” ყოფილ დირექტორს, საინტერესო ცხოვრება აქვს განვლილი, რომელთან დაკავშირებულ ამბებს სიამოვნებით გვიყვება - მათ შორის, მწერალ აგათა კრისტისთან და უკანასკნელის მეუღლესთან, ბრიტანელ არქეოლოგ სერ მაქს მალოუენთან და თავგადაკლოულ შოტლანდიელ ნაციონალისტთან, საკუთარ დედასთან ურთიერთობის დეტალებს.

აქ ერთხელ ვითომ სააკაშვილის შემცვლელის ძებნა დაიწყეს და უცებ ბერკლის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ინსტიტუტში ირაკლი ალასანია ჩამოვიდა. როდესაც დევიდმა გაიგო, რომ ორგანიზატორებმა წინასწარ დაგეგმილ შეხვედრაზე ჩვენ არ დაგვიძახეს, ერთი ამბავი ატეხა და პროტესტის ნიშნად თავადაც არ დაესწრო “მიტინგს”, მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად, მკვლევარების მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, საგანგებოდ იყო მიწვეული.

პენსიაზე გასლამდე, დევიდი ხშირად გვპატიჟებდა სახლში, გამოფენა-მუზეუმებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე. ერთხელაც სან-ფრანცისკოში საქვეყნოდ სახელოვანთქმული შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის სადღესასწაულო ვანშამზე წაგვიყვანა. ჩვენ და ფრაკისმაგვარ კოსტუმებში და ჭრელ შოტლანდიურ ქვედატანებში გამოიწყო ბილი უამრავ მაღალწინდებიან მამაკაცს და საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულ მანდილოსანს დარბაზში გუდასტვირიანი მუსიკოსი მოგვეგება. გაწყობილ სუფრას რომ მივუსხედით, ცერემონიის წამყვანი მასპინძელი მოგვესალმა და მჭევრმეტყველი სიტყვით ყველას შეკრების მიზანი შეგვანხენა. ის, როგორც შემდეგ გავიგეთ, ცნობილი სან-ფრანცისკოელი ვექილი, ჩვენი მეგობარი ერიკას მომავალი პირველი ცოლის მამა ყოფილა. იმ ღირსეშენიშნავ საღამოს, მან სანაქებო შრომა გასწია - რობერტ ბერნსისეული არაერთი ლექსი, სადღეგრძელო თუ სიმღერა ოსტატურად შეასრულა. სანამ ტრადიციულ წვნიანს შევუდგებოდით, სხვებთან ერთად, დევიდის

დახმარებით, ჯერ შოტლანდიურად ვილოცეთ. მერე შეკრების მთავარი ცერემონიაც დაიწყო. გუდასტვირის თანხლებით, მასპინძლის მაგიდასთან მზარეულებმა ცხვრის კუჭებში მოხარშული ტრადიციული შოტლანდიური პურიინგი - "Haggis"-ი, ჩვენებურად კუჭმაჭი მიიტანეს, რომელიც ძირითადად სანელებლებით შეკმაწული ცხვრის ფილტვების, გულ-ღვიძლისა და დაცეხილი კორკოტისაგან მზადდება. ამ დროს, ერიკას მომავალმა სიმამრმა ბერნსისეული ცნობილი ეგალიტარული - საყოველთაო თანასწორობის იდეისადმი მიძღვნილი - ჰიმნი-სიმღერა "კაცი ვარ და ქუდი მხურავს" ომახიანად შემოსძახა. შემდეგ, ერთ-ერთმა სტუმარმა პოეტის საყვარელი პუდინგისადმი მიძღვნილი ბერნსისეული ლექსის "Address to a Haggis" შოტლანდიურად დეკლარირება დაიწყო. როდესაც ლექსის მთქმელმა ბლაგვი დანის სტროფს მიაღწია, დევიდამ აგვიხსნა, რომ წვეულების მასპინძელი, ცერემონიის წამყვანი, მზარეულის დიდი დანის ლესვას მიჰყოფდა ხელს. შემდეგ, ცერემონიის წამყვანმა ალაპლაპებული მახვილით მის წინ დალაგებული ცხვრის ცხელი ფაშვები გასერა, ხოლო მიმტანებმა პუდინგი სასწრაფოდ ჩამოგვირიგეს. პოემის ბოლოს, დამსწრეებმა შოტლანდიური ვისკით მართლაც რომ გემრიელი კუჭმაჭი საგანგებოდ დალოცეს და ბერნსის ცხოვრებასთან და პოეზიასთან დაკავშირებულ ეპიზოდებზე დაიწყეს სადღეგრძელოების წარმოთქმა. ეს სანაქებო წვეულება შოტლანდიური "Johnnie Walker"-ით საკმაოდ შეჭიკჭიკებულებმა, საახალწლო ჰანგების მსგავსი, ბერნსის სიმღერით "Auld Lang Syne"-ით დავასრულეთ.

:+:+:+:

ქრისტინას თავზე, ჩვენი კარის მეზობლად, ყოველმხრივ სიმპათიური შეძლებული ექიმი, ადრიანად პენსიაზე გასული სუზანი და მისი მუსიკოსი დაიკო ცხოვრობენ. მათ ბინაში თვეში რამდენჯერმე მუსიკალური ინსტრუმენტებით კარგად აღჭურვილი სიმღერის მოყვარულთა პატარა ჯგუფი იკრიბება და მათ წყნარ, მეტად სასიამოვნო, ძველ ვისკონსინურ ჰანგებს მოვკრავთ ხოლომე ყურს.

19.02.19

ტრანსფორმაცია

როდესაც იაფი 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჩვენს ამჟამინდელ ბინაში გადმოვსახლდით, სულ სხვა მეზობლები ირეოდენ გარშემო. მათ შორის იყო მოპირდაპირე შენობის ოროთახიან ბინაში დღემდე მცხოვრები პოლ მოორიც - სპორტული შესახედაობის მეტად სიმპატიური, მორიდებული ახალგაზრდა, რომელიც რა საქმიანობით ირჩენდა თავს მაშინ და დღესაც, არ ვიცით; მაგრამ ფაქტია, რომ დამატებით შემოსავალს ველოსიპედების შეკეთება-გამართვით

იღებდა. მის მიერ ახლომანლო ბოძებზე გაკრული განცხადებები გამვლელებს ატყობინებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ იქვე მოცემულ ტელეფონზე დაერეკათ, რომ ნამდვილად მეგობრულად განწყობილ ხელოსანს დაკავშირებოდნენ, რომელთანაც, ვარიანტი არ იყო, რომ გაწეული სამუშაოს საფასურზე ვერ შეთანხმებულიყვნენ.

იმ დროს ინტერნეტი და შესაბამისი რეკლამები ჯერ კიდევ ჩანასახობრივ მდგომარეობაში იყო და ადამიანები პირად საუბრებს, ბოძებზე გაკრულ განცხადებებს უფრო მეტ დროს უთმობდნენ. ჩვენც, სხვებივით, “ქართული ენისა და კულტურის კურსის” რეკლამას უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე მიკრული, კომპიუტერის საშუალებით დამზადებული ფერადი “ფლაიერებით” ვახერხებდით. მაშინ ბევრ ჩვენ სტუდენტსაც კი ჯერ კიდევ ახალი ავტომარაგის მოკასუბეები აღიზიანებდა: დააჭირე ამა და ამ ღილაკს ხელი თუ გინდა ესა და ეს ინფორმაცია მოისმინო ან ჩაწერო და სხვა. სამაგიეროდ, ახლად გამოჩენილი დროდადრო მოწრიპინე “ფეიჯერები” სუპერ პრესტიჟული იყო. ვითომდაც მეტისმეტად საქმიანები, საუბრის დროს, პოლის არ იყოს, არაერთხელ ჩახედავდნენ ფეიჯერებს, რომ გამოშვებული ზარის ნომრის ადრესატი ამოეცნოთ. ერთხელ პოლიმა საუბრის დროს ფეიჯერიდან ამომხედა და თითქოს გამოსაცდელად ღიმილით მითხრა: იცი, მამაჩემი 1957 წელს მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალის მონაწილე იყო. არ გამკვირებია, რადგან ბერკლის მცირეშემოსავლიან, ლიბერალური შეხედულებების მქონე რეზიდენტს ვესაუბრებოდი, რომელთა შორის მემარცხენეობას დღესაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული. უკვე ისიც გაგებული მქონდა, რომ კომუნისტების მიერ დიდი ზარზეიმით მოწყობილ ფესტივალზე, ჩვენმა ბერკლელმა ბასუნისტმა ბობ სტერნმა თურმე საარაკო დრო გაატარა და სხვა.

პოლის გვარი, “Moor” (= მავრი) მისი შორეული წინაპრების მავრულ-არაბულ-ბერბერულ-ესპანურ თუ ანდალუზიურ წარმომავლობაზე მიანიშნებს, რაც თავად ტიპიურ თეთკანიან კალიფორნიელს ნათლად აქვს გაცნობიერებული. თუმცა, ერთხელ როდესაც მოულოდნელად სტუმრად მოსულ ნახევარძმას აცილებდა, მითხრა რომ უკანასკნელი მათი ოჯახის ებრაული ნაწილის წევრი არისო. შეეტყო, რომ ეს ოჯახი კიდევ არაერთ ეთნოსსა თუ ეროვნებას მოიცავდა.

დრო გაფრინდა. დაახლოებით 10-15 წლის წინათ, პოლი ჩვენი აპარტამენტების კოპლექსის ტეხასელმა მენეჯერმა, 70-ს მიღწეულმა ჭემმარტად ვაჟკაცური შემართების მერფიმ, ასისტენტად დაინიშნა. იმ დროიდან დაიწყო ჩვენი მავრის ნამდვილად გასაკვირი გადასხვაფერება - სახლში დასაქმებას ვერ გაუძლო და საქციელი გაუფუჭდა. ვეღარ გაეგო, ვინ ვინ იყო მის გარშემო, მეზობელები თუ

დაზიანებული მოწყობილება-ინვენტარის მუდამ შეკეთების მომთხოვნის უცხო ადამიანები. ამას კიდევ ის დაერთო, რომ მისი აზრით, კარგა ხნით გარანტირებული სამუშაოს მქონემ, ასაკით მასზე თითქმის ორჯერ პატარა მეზობელ ქალიშვილებს აქტიური კურკური დაუწყო. ერთის დედამ მერფისთან იჩივლა, მეორე ჩვენსავით გახევებული უყურებდა მათი აპარტამენტის წინ ბალახზე მოკალათებულ პოლსა და მის გულუბრიყვო პირმშოს. ერთი სიტყვით, რამდენიმე თვეში პოლმა სამუშაო დაკარგა და მერფის სამკვდილ-საციცოცხლოდ გადაეკიდა - სასამართლოში უჩივლა.

ამჯერად, მავრის ცვლილებების მეორე, მეტად ხანგრძლივი ეტაპი დაიწყო. სულ აღზნებული, აქეთ-იქით თითქოს სამართლებლებზე დადიოდა და მეზობლებთან მენეჯერს რაც შეიძლება ცუდად მოიხსენებდა. ამით ბევრი გაანაწყენა, მათ შორის ელისაბედიც. მეპატრონემ პოლის აპარტამენტიდან გაშვება სასამართლოს საშუალებით ვერ შეძლო, ბინის დამქირავებლის დასაცავად მიმართული ლოკალური კანონმდებლობის გამო. ამ ხნის განმავლობაში, ჯერ მერფის ლოგინად ჩავარდნილი მეუღლე და მერე თვითონ მერფიც გარდაიცვალა, თავად პოლი კი გამელოტდა და წკნელივით ახლოგაზრდა, სედატიური საშუალებების უაზრო ხმარების გამო, მორგვის მაგვარ დიდ ფაშვიან შუახნის მამაკაცად ჩამოყალიბდა. გვეგონა, რომ ამით დამთავრდა პოლის სამართლებრივი “ოდისეა”, რომ ელისაბედის ვერსიით, ჩვენს პირდაპირ მდებარე “როლუზ პარკში” მოწყობილ საზოგადოებრივ საპირფარეშოსთან “მომუშავე” შვილიანი, აშკარად ჭკუათხელი, მეძავი ქალიშვილი მოიყვანა ცოლად და ნამდვილი კომმარიც დაიწყო. სახეზე თეთრ საღებავ წასმულმა, პათოლოგიურად მორცხვმა “ფუფალამ”, მალე ნაკლოული პუტკუნა გოგონაც გაუჩინა და მძიმე ნარკოტიკების ქვეშ გააგრძელა მავრთან ცხოვრება.

ასე რომ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, ნათელი იყო. ისე ყველაფერი აგინდათ - ორი თუ სამი წლის თავზე, ეზოში შესულმა, პოლიცია დავლანდე. აღელვებულმა ელისაბედმა დაწვრილებით მომიყვა რა მოხდა: მეზობლების თვალწინ, ეზოში რაღაც მიზეზით გავეშებულმა პოლმა ნარკოტიკებით და ალკოჰოლით გაჟღენთილი მეუღლის გაგუდვა სცადა, ხოლო დედის საშველად მისულ გერს, 7-8 წლის ლესლის ხელი მოუქნიაო. მოულოდნელად, თითქოს შექსპირის “ოტელოდ” გადაქცეული ჩვენი მავრი ელისაბედის მიერ სასწრაფოდ გამოძახებულ პოლიციას უმალო ვირის აბანოში წაუბრძანებია. ისევ სასამართლოები, ისევ ბინიდან გასახლების უშედეგო მცდელობა და რამდენიმე თვეში დაცარიელებულ აპარტამენტს ნამკურნალები, წონაში კიდევ უფრო მომატებული პოლი დაუბრუნდა, ხოლო მისი ცოლ-შვილი, ლესლისთან ერთად, უკანასკნელის ბებომ, ექსტრავაგანტული სიშიშვლისა და საქციელის “ნიკოლოზის

დროინდელმა” პროფესიონალმა, სადღაც წაიყვანა. მას შემდეგ პოლს მეზობლების უმრავლესობა აღარ იმჩნევს და თითქმის დამურად ქცეული, თავადაც გვერიდება.

გაზაბნეულმა ბერკლელმა მავრმა ორიოდე წლის წინათ, ეტყობა, რაღაც მემკვიდრეობა მიიღო, სხვა ნახმარი მანქანებით და 70-იანი წლების ძვირად ღირებული შვებულების შესაფერი ტანისამოსით დაიწყო ახლად გაცნობილ ქალებთან ქალაქში მოძრაობა...

კარლამ რამდენიმე დღის წინ ჭმუნვით მითხრა, რომ მისი ალექსას ხუთი წლით უფროს მეგობარს, მომხიბლავ ქალიშვილად ქცეულ პოლის ყოფილ გერს ლესლის, თურმე, რამდენიმე კვირის წინ მეზობელი ოკლენდის რკინიგზის ერთ-ერთ გადასასვლელზე მატარებელი დასჯახებია. ექსპერტის დასკვნით, გოგონამ ყურებში გაკეთებული მუსიკის მოსასმენების გამო, მოახლოებული ეშელონის ხმა ვერ გაიგონა და ამიტომ თვითმკვლელობის ვერსიის ჩაწერა ოფიციალურ დოკუმენტებში გამორიცხებულია.

21.02.19

უნივერსიტეტი

არქეოლოგ დევიდ სტრონაკისა და ასიროლოგ ან კილმერის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის “ჩეარი”, ოდნავ მო-დონ-კინოტო ეგვიპტოლოგი ქეთლინ კელოერი გახდა. სიმპათიურ ქალბატონს ყველა ბავშვობაში შერქმეულ სახელს “ქენდი”-ს უძახდა. აშშ-ის ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე ხალხით დასახლებულ პატარა კალიფორნიულ ქალაქ ათერტონში აღზრდილი, მის ხალხმრავალ საჯარო ლექციებზე, ხშირად შორტებში და თიშერთში გამოწყობილი, ავსტრალიური ნაგაზის “დენის” თანხლებით ან პირადი მეგობრის - თითქმის “ჩიჩერონეს”, კოკტური კულტურის მკვლევარის ქეროლ რ-თან ერთად დადიოდა. ამ ბეიბუმებერი მანდილოსნების მატრიარ ქალურ-სადაქალო ჯგუფს, რომელიც შოს ყველაფერში გულშემატკირობდა, განუყრელი წევრები დღესაც ჰყავს: პრო-ისრაელი ლი, რაც ებრაული ჩამომავლობის პროფესურას შორის იშვიათობაა, ლიტერატურათმცოდრე ჰანა კ-ი და არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, მარგარეტ ლ-ი. უკანასკნელი, აბდელ ნასერის ხელმძღვანელობით, არაბი ოფიცრების მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შედეგად ტანტიდან ჩამოგდებული, ჩერქეზულ-თურქულ-ალბანური გენების მქონე, ეგვიპტისა და სუდანის მეფის, ფარუხის ყოფილ პირად ასისტანტზეა გათხოვილი. მის მეუღლესთან საუბრების დროს ბევრს საინტერესოს იგებს კაცი: მაგალითად, რომ ფარუხის ბებია, ჩერქეზ მონას, ბაბუამისის -

“ბრწყინვალე ისმაილის” - ბრძანებით მკლავი მოკვეთეს, რადგან ახალგაზრდა ქალს თურმე სულმა წასძლია და სამკაული მოუპარავს... ერთხელაც, უკვე მძიმედ დაავადებულმა ქენდიმ, მშობლების ათერტონის სახლში კილმერთან, ირანელ ლექტორთან და სხვებთან ერთად, დედამისის პატივსაცემად გამართულ სუფრაზე დაგვპატიჟა. სამწუხაროდ, რამდენიმე თვეში ის გარდაიცვალა და მთელი ავლადიდება, ბერკლიში ახლად შექმნილი კონტა სახლიც, არა ბარ-ალკოჰოლის მოყვარულ დას, არამედ უახლოეს მეგობარს ქეროლს დაუტოვა. უკანასკნელმა, მისი ფერფლი, ანდერძის თანახმად, აქოჩრილი წყნარი ოკეანის ტალღებს მიაბარა.

ცოტა ადრე, ქეროლის მექალთანე ქმარმა, მეუღლის ერთ-ერთი ქარაფშუტა სტუდენტი გოგონა გააბრიყვა და მასთან ერთად საცხოვრებლად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადაიხვეწა. წინა, პირველი ქორწინებიდან გაჩენილი სტუდენტი ვაჟი კი ყოფილი მეუღლის იმედზე მიატოვა. ალბათ ამის გამო იყო, რომ თერაპიული ეფექტის მომლოდინე ქეროლმა ახალ სახლში “სამკურნალო” ძაღლთან, კატასთან და ორ თუთიყუშთან ერთად განაგრძო ცხოვრება, რომელთა სამედიცინო დაძღვევა სოლიდური თანხა უჯდება.

22.02.19

ჯონი

ლოუკას დეპარტამენტში ბევრი ზრდასრული მეგობარი ჰყავს, რომლებთანაც ურთიერთობის დროს ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს. ყველა უკლებლივ როგორც თანასწორს, ენის ჩლექის გარეშე, ესაუბრება და ისიც მნიშვნელოვან თემებზე ელაპარაკება მათ - უხსნის აიპედში რას უყურებს, რა ხდება, ვინ ვინ არის, რა განხვავებაა მთვარეს, კომეტასა და ასტეროიდს შორის და ა.შ. ის უკვე წლებია, განსაკუთრებით კარგ დროს არამეული ენისა და არაბული სამყაროს მკვლევართან ჯონ ჰეისთან ატარებს. ჯონს ბავშვებთან ურთიერთობის იშვიათი უნარ-ჩვევები აქვს. მისი ლამაზად გაფორმებული ოფისი ათასი სათამაშოთი, სუვენირით და სხვა პაჭიპუჭით არის გატენილი, რაც ლოუკას ძალიან მოსწონს. ბიჭაჭო ჩვეულებრივ დედიკოს ოფისში უფროსი მეგობრის მიერ მოტანილი სათამაშოებით ერთობა. ზოგჯერ სუპერაქტიურ ლოუკას “Gap”-ის თიშერთი აცვია, რომლის წარწერა-სიმბოლოს სპორტის მოყვარული ჯონი ღიმილით თავისებურად შიფრავს - ბიჭუნა ნამდვილი “Georgian Athletic Person”-ი - ქართველი ათლეტიკური პიროვნება არისო.

ჯონის ჰობი სირბილია. როგორც თავად ამბობს, გრძელ დისტანციებზე რბოლა ეხმარება, რომ ლექცია-სემინარებით გადატვირთულს სულიერი სიმშვიდე შეუნარჩუნდეს - ჭკუაზე არ გადავიდეს. ის

ყოველთვის დარბის, ლექციებს შორის შხაპის მიღებასაც ასწრებს და ყველა ლოკალური მართონის სათანადო ასაკობრივ ჯგუფში საპატიო ადგილს იკავებს. უკვე წლებია, რაც ჯონს უნივერსიტეტის თვალწარმტაცი კამპუსის გარშემო მორბენაღს ვხედავთ - მეტისმეტად ახლომხედველ კაფანდარა კაცს, ზამთარ-ზაფხულ მოკლე მაისურსა და ტრუსებით მორბენაღს, რომელიც შემხვედრებს გზას მარჯვედ უთმობს.

ჯონი დღემდე ძველად რეგისტრირებული რესპუბლიკელია. ის თვლის, რომ მისმა პარტიამ ბოლო წლებში უღალატა მას და რომ კალიფორნიის კონსერვატიულ სამხრეთში უფრო ადვილია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა, ვიდრე ვითომდაც დემოკრატიული ღირებულებების მიმდევარ ბერკლიში.

23.02.19

ტილდენი

აქ, შრომა-ცხოვრების მაღალი ტემპის გამო, ჩქაროსნული გზები ღამის განმავლობაში ზუსტად ისევეა დატვირთული, როგორც დღისით. ამიტომ, ადგილობრივებისათვის დროდადრო ბუნებაში მოხვედრა უბრალოდ აუცილებელია, ფედერალური თუ რეგიონალური მთავრობების მიერ მოწესრიგებულ ნაკრძალებსა და პარკებში დასვენება-სიარული. ასეთი ადგილებით ყველა შტატი დახუნძლულია, განსაკუთრებით სან-ფრანცისკოს ყურე. ბერკლის ჰილზების აღმოსავლეთ ფერდობზე ტილდენის რეგიონალური ტყე-პარკი იწყება, რომლის გზა-ბილიკებით შეიძლება სან-ფრანცისკოს ვეება სანაოსნო ტბის მსგავსი ყურის გარშემო ყველა დაცული ტერიტორია მოინახულო.

ტილდენი მთელი რეგიონის საყვარელი დასასვენებელი ადგილია, რომელთან მისასვლელად სულ 10-15 წუთი გვჭირდება. აქ განსაკუთრებით ბევრი ადამიანი უქმეებზე იყრის თავს: ზოგი კანონით დადგენილი უალკოჰოლო ლხინის გადასახდელად, სპეციალურად გამართულ სამწვადე-მაყალო-ბარბიქიუდისა და მაგიდა-სკამების გარშემო, ზოგი კი ევკალიპტის ტყით დაფარულ მთებსა და ბორცვებზე ჰაიკინგობს, დარბის, გარეულ ფრინველებს და ცხოველებს დურბინდით უჭვრეტს, ტბებთან სეირნობს, ცურავს, ირუჯება, ადგილობრივი ბუნების ცენტრს ან ფერმის ცხოველებს ათვალიერებს. ზოგი, არა მარტო მცირეწლოვანი, სწორედ აქ ხედავს პირველად ცოცხალ ძროხებსა და ხბოებს, თხებს და ცხვრებს, დედლებსა და მამალებს, ბატებსა და კვატებს, კურდღლებსა და ბაჭებს და ა.შ. და ა.შ. ფერმას მოხალისეებთან ერთად ძველი ნაცნობი, ავსტრალიურ-ბრიტანული წარმოშობის ფერმერი სტენლი უვლის. წარმოსადეგი,

ტანთხელი, ვესტერნის კინო-გმირივით კოვბოურ-ქუდიანი სერიოზული გამომეტყველების მაღალი მამაკაცი, ჩვენ რომ დაგვინახავს, სახე უნათდება და რასაც არ უნდა აკეთებდეს ლუკას ელექტრო-ტრაქტორით გასეირნებას სთავაზობს. სტენლისთან დიდი ხნის ურთიერთობა გავკავშირებს, მას შემდეგ რაც ფერმაში მოხეტიალეები ერთი მაკე ძროხის - “დეიზის” მშობიარობაზე დასასწრებად მიგვიპატიჟა. რთული და ხანგრძლივი პროცესის ფირზე აღბეჭდვა მოვახერხეთ. მერე სტენლისა და მისი ასისტენტის გარჯა იუთუბის საშუალებით გავასაჯაროვეთ (<https://www.youtube.com/watch?v=cIE3R9sqPIE>) და პოპულარული პატარა ფერმის მომვლელის სასურველ სტუმრებად ვიქეცით.

24.02.19

მონეტაირებული ნეგატივიზმი

ლუკას დაბადებამდე, ვერც კი ვამჩნევდი თუ ბერკლიში ბავშვიანი ოჯახები არსებობდნენ. ის კი არა, შოსთან ამ საკითხზე საგანგებოდ მისაუბრია კიდეც. ასეთი რამ დამემართა ხანშიშესულებისა და მოძრაობა-შეზღუდული ადამიანების შემთხვევაშიც, სანამ პრობლემების წინაშე თავად არ აღმოვჩნდი. ეს ჩვენი ფსიქიკის ერთ-ერთი თავისებურებაა, ეტყობა, თუმცა, რასაც მედია “შიშს დიდი თვალეები აქვს” პრინციპით ტენის მომხმარებელს თავში, მოქალაქეების არაპირდაპირი მართვის ცდაა, ამკარად.

კალიფორნიელებს ყოველდღიური ვრცელი კრიმინალური სიუჟეტებითა და ქუჩის ხმებით შეახსენებენ იმას, რაც მათ ნაკლებად უნდათ, მაინც გააკეთებინონ - ანუ პოლიტიკურ კორექტულობაზე დღე და ღამე მზრუნველი ბიუროკრატია, პოლიცია, სახანძრო და სამოქალაქო სამსახურების სხვა თანამშრომლები შესაბამისი გადასახადებით შეუსვენებლად გამოკვებონ. ამას თანმყოფ ჰანგად და თვალხილულ მაგალითად, მუეძინების მიერ ლოცვისაკენ მოწოდების არ იყოს, პოლიციელების, მეხანძრეებისა და პარამედიკოსების დიდი სიჩქარით, ვიზუალური და ხმოვანი საგანგაშო სირენებით მოძრავი მზინავი მანქანების და მოჭრილ მუხრუჭების ხმა ერთვის. ამ კინოს მსგავს სპექტაკლებს კუნთმაგარი თანამშრომლები მართლაც უბადლოდ ასრულებენ. პირველად, მათი “გმირული თავგანწირვისათვის” მზადყოფნას ნიუბერის ძველ საბარგო ლიფტში გაჩხერილი ვადევნები თვალს. ხელსაწყო-იარაღ-ასხმულ აჩოჩქოლებულ ჯგუფს “გადარჩენისათვის” მადლობა მორცხვად გადავუხადე, როდესაც ლიფტის მორყეულ ღილაკს ხელი ერთხელ კიდეც ყასიდად დავაჭირე და კარები მოულოდნელად გაიღო.

ზაფხულ-შემოდგომაზე, გრიპითა და ჯერ არავის ნანახი ნილოსის კოლოს ვაქცინების გასავრცლებლად შიშის მომგვრელი კომპანია იწყება - განსაკუთრებით აქტიური კი მაშინ, თუ ხელისუფლების სათავეში ფარმაკოლოგიურ ბიზნესთან მჭიდროდ დაკავშირებული დემოკრატები არიან. ამ ჩამონათვალს სხვაგან ფობიების ლოკალური ვარიანტები ერთვის, კალიფორნიაში - ტრამპი, პუტინი და ირანი, საქარველოში + სააკაშვილი-ივანიშვილი და სხვა.

ერთხელ მე და შოს ტილდენის ლელქაშით გარშემოტყმულ ტბასთან - “ჯუელ ლეიქთან” დადგმულ მერხზე, ინდოელი მათემატიკის პროფესორი მოგვიჯდა და ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ ღიმილით გვითხრა: ხომ ხედავთ მედიას რომ არ ვუსმენთ, არც არაფერი საგანგაშო არ ხდება. რა საოცრად ლამაზი და წყნარია აქაურობაო...

26.02.19

მაუი

როდესაც კალიფორნიის იანვრის შესაფერ სამგზავრო ტანისამოსში გამოწყობილები თვითმფრინავში შევვდიეთ, თანამგზავრებიდან ერთმა თიშერთ-შორტებიანმა გვკითხა: ჩრდილოეთ პოლოუსზე თუ ჰავაიზე აპირებთ გაფრენასო?! მისი ირონიის საფუძვლიანობაში ზუსტად ხუთ საათში დავრწმუნდით, როდესაც ოკეანეში გადაკარგული ვულკანური წარმოშობის პოლინეზიური არქიპელაგის ასეულობით კუნძულიდან ერთ-ერთზე - მაუიზე ფეხი შევდგით და წამიერად თითქმის გავშიშვლდით. დახვედრილი თბილი და რბილი ტროპიკული კლიმატით კმაყოფილებმა, აეროპორტში სხვებივით ახალი გაწკრივებული მანქანა მთელი კვირით ვიქირავეთ და იაფი, სარემონტოდ გამზადებული სასტუმროსაკენ დაჭყეტილი თვალებით გავსწიეთ.

ოკეანის ნაპირზე აგებული პალმებითა და მწვანე მოლით გარშემოტყმულ სამვარსკვლავიან სასტუმროს ჩვენი დასაწუნი არაფერი აღმოაჩნდა და სანაპიროზე წინასწარ საცურაოდ მოკაზმულები უმაღლეს გავედით. ძნელია ადექვატურად აღწერო ის გაკვირვება და გრძნობა, რაც სხეულის, ჰაერის და წყლის ტემპერატურის თანხვედრის აღმოჩენამ გამოიწვია. ცურვა- ყუმპალაობას მონატრებულები, დაბინდებამდე წყალში ვეყარეთ და მხოლოდ შიმშილის გრძნობამ გვაიძულა ახლომანლო კაფე-რასტორნებში საკვები მოგვეძია. ასე გაგრძელდა მთელი კვირა. ჯერ ცურვა, ბუნებითა და თევზის ადგილობრივი კერძებით ტკბობა, ძილი და ა.შ.

მეორე დღას, “მაკენა ლენდინგის” თვალწარმტაც სანაპიროზე გადავინაცვლეთ, სადაც დანარჩენი დღეები სიამოვნებაში გავატარეთ

(<https://www.youtube.com/watch?v=rPgUy4UCEXs>). ძალიან ვერთობოდი მუდამ საქმიან შოს თვალთვალთ, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე მარჯნის წარმონაქმნებით დაფარული ლავის ქვაბულში შეცურდებოდა მრავალფერი თევზების სანახავად.

ზოგჯერ, წყლიდან თავებს ამოყოფას ვაიძულებდით, რომ ადგილობრივი ღირსშესანიშნოები მოგვენახულებინა. ასე ვნახეთ სქელი გაციებული და ჯერ კიდევ თბილი ვულკანური ლავით - მოყავისფო-მოწითალო-მოშავო პემზის მაგვარი მასით - დაფარული მთების ფერდობები და მინდორ-ველები, კერძო ბოტანიკური ბაღი-საოცრება, ჰავის დამოუკიდლობისათვის მებრძოლი არაოფიციალური მთავრობის გადაკარგულ სოფელში მოთავსებული შტაბ-ბინა, ჰანას მუდამ ნესტიანი ტყით დაფარული ვულკანის ნაკადებით პლისირებული მთის ფერდებზე ადგილობრივი მეფის მიერ ოდესღაც გაყვანილი საოცარად მიხვეულ-მოხვეული გზა და სხვა მრავალი. სულ ბოლოს, დიდ მალაზიაშიც შევირბინეთ, რომ თბილისელი ანობლებსათვის სუვენირები და მაკადამის გულებით შეზავებული შოკოლადები შეგვქდინა.

მაუიზე ყოფნის დროს სულ მახსოვდა ყოფილი სტუდენტის, ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი ფონდის თანამშრომლის სიტყვები: ქობულეთი არაფრით არ ჩამოუვარდება ნებისმიერ ჰავურ კურორტს, ზოგს ჯობია კიდევცო. ამ ქალიშვილმა მთელი წელი გაატარა “მშვიდობის კორპუსის” ინგლისურის მოხელისე მასწავლებლად გურიში და კარგად იცოდა, რაზეც ლაპარაკობდა. გალოგრების ოჯახში ცხოვრებით ათვისებული მისი კილოკავი ნათლად გამახსენა “ამერიკის ხმის” ქართული რედაქციის მიერ მომზადებულმა და იუთუბზე ატვირთულმა ინტერვიუმ. განსხვავება მაინც არის: ერთხელ ისე კოკისპირულად დასცხო, რომ მანქანის ტარება შეუძლებელი გახდა. ნახევარ საათში კი წარღვნის მსგავსი წვიმის კვალი საერთოდ არსად ჩანდა.

ართვინი

სარფის საბაჟოზე ჯერ ჩვენმა, მერე კი თურქმა მესაზღვრეებმა, კარგახანს გვაყურყუტეს, მეტად აფორიაქებულ მოქალაქეთა ჭრელ ჯგუფთან ერთად. იქითა მხარის მესაზღვრეებს რომ მივკახლოთ, უცებ ორივემ შესვენებაზე წასვლა გადაწყვიტა და ათასი მილეთის ხალხით გარშემოტყმულებს მთელი ჯან-ღონის დაძაბვა მოგვიხდა, რომ პასპორტის გადასაწოდებელი ფანჯრის ჩარჩოს არ ჩამვშორებოდით.

ბოლო-ბოლო, ხოფაში ლაზმა ტაქსისტმა ბიჭუნამ ჯერ ფულის გადასახურდავებელ პუნქტში და მერე ართვინის მიმართულებით

მიმავალი მიკროავტობუსების სადგურში მიგვიყვანა. საოცრად ლამზად გადამწვანებული მთა-გორაკებით გზას აყუევით. მანაქანაში ვერავინ აღმოჩნდა ჩვენი კითხვების შინაარსის გამგები. იმედი რომ საბოლოოდ გადაგვეწურა, მეტად სიმპათიური, მძიმე წონის მოჭიდავის აღნაგობის, ღია ფერის შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი ღიმილიანი ვაჟი გვერდზე მოგვიჯდა და დარბაისლოური ქართულით გაგვესაუბრა. გულზე მოგვეშვა. ათას კითხვაზე პასუხის შემდეგ ჩავეკითხეთ, მისი მშვენიერი მეტყველება ჩვენში ხშირად ყოფნის შედეგი ხომ არ იყო. არაო, მე ძალიან მინდა საქართველოს ნახვა, მაგრამ დედისერთას დედა არ მიშვებს, ეშინიაო. ჩასვლის წინ მძლოლი დააკვალიანა, თუ მთა-გორიანი ქალაქის რომელ სასტუმროსთან უნდა მივეყვანეთ და კეთილი მგზავრობა გვისურვა.

პატარა სასტუმროს ერთი ციდა საძინებელი ოთახში, აბაზანასა და საპირფარეოში ყველაფერი აღმოჩნდა, რაც დაგვჭირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩიკაგოდან საქართველოსკენ თურქეთით არაერთხელ წამოსულმა ელისამ რაღაცეების წინასწარ მომარაგება გვირჩია. დილას საუზმე გაგვიწყო სასტუმროში გამოკეტილმა ორმა ქართველმა ახალგაზრდა ქალმა, იმერული სოფლიდან და “ლოტკინის გორიდან”, შეჭივრების გამო გადმოხვეწილებმა. აშკარად, ჯიხურის მაგვარ პატარა ოთახში ჩაბუდებულ, სასტუმროს მეპატრონესთან წინასწარი ანგარიშის გასწორების შემდეგ შემოსწრებულმა სამმა ახალგაზრდა ბოყვერა მამაკაცმა, ჩვენს დასანახად, დემონსტრაციულად, ისეთი ხელების ფათური დაუწყოთ თვალებში ნაპერწკალ-გამქრალ მორჩილ დიასახლისებს, რომ იძულებული გაგვხადეს სუფრიდან მშვივრები წამოვმდგარიყავით და სასადილოში აღარასაოდეს აღარ გამოვჩენილიყავით. მერე, გამთენიის ხანს, ორჯერ, საბრძოლოველად მუდამ მზად მყოფი მძიმედ შეიარაღებული ჟანდარმერიის სადგურის წინ, მიწაში ღრმად ჩათხრილი ღამის ბარიდან, აწიოკებული ჩვენებურებური ქალების განწირულ შეძახილებს მოვკარით ყური, მაგრამ თავს იქით ძალა არ იყო...

პირველივე დღიდან შევუდექით თადარიგს, რომ საქართველოსთან დაკავშირებული რაც შეიძლება მეტი ისტორიული ძეგლი და ადგილი მოგვენახულებინა. სომეხმა ვიდუოგრაფმა, ნაცნობ, ვითომ მანქანების გაქირავების ბიზნესში მყოფ ადგილობრივ ჩვენებურთან დაგვაკაშირა. უკანასკნელთან მისალმებაც კი არ გვქონდა დამთავრებული, რომ მან მეზობელი ბორჩხელი გათურქებული ქართველების აუგად ხსენება დაგვიწყო: ჯერ კიდევ მამაჩემი ამბობდა, რომ მათი ნდობა არ შეიძლება, საშინელი მატყუარები არიანო და სხვა. თავად კი გასაქირავებლად ისეთი ჯაბახანა მოაგორა აწივვივებულ ბიჭ-ბუჭებთან ერთად, რომ მსგავსი არც მანამდე და მას შემდეგ არ გვინახავს. მის ნებას დაყუევით, თითქოს ჩვენებურებს რაიმე შემწეობა მაინც აღმოვუჩინოთთქო და ერთი კვირის ქირის გადახდის შემდეგ ცარიელ-

ავზიანი მანქანა ბენზინის გასამართი სადგურისაკენ დავძარით. ავზი არნახულად ძვირი საწვავით გავაკსეთ. დაღმართს ჩავუყევით, რომ სკოლასთან მანქანამ თქვენი ჭირიც წაიღო. იქ ეზოში გამოეფნილ თავსაფრიანებს შორის, ერთი ახალგაზრდა ქალი ქართულის მშვენივრად მცოდნე ჩვენებურის მეუღლე აღმოჩნდა, რომელმაც მერე სრულიად უსასყიდლოდ თავისი ახალთახალი “რენოტი” სად არ გვატარა. ახალი ნაცნობი, რეგიონის ოფიციალური მეტყვე, ჯაბახანა-მანქანის გამქირავებლის საქციელმა სერიოზულად გააღიზიანა და მას ფულის დაბრუნება და საწვავის ფასის ანაზღაურება მოსთხოვა. საწვავის ფასზე თავად ვთქვით უარი, ხოლო ძირითადი თანხა დავიბრუნეთ. ამრიგად, მისი დახმარებით, ბევრი ადგილი მოვინახულეთ კლარჯეთში, მათ შორის დოლისყანის მეჩეთად გადაკეთებული ძველქართულო-წარწერებიანი ეკლესია, ხოლო შავშეთის იმერხევში გათურქებული ჩვენებურების ხალხმრავალ შთამბეჭდავ ფესტივალს “სათავეს” დავესწარიით (<https://www.youtube.com/watch?v=PUwa2jzobTU>) და სხვა.

ამ ფესტივალზე რაღაც საინტერესოს გადამკიდემ, რამდენიმე წუთით ტყის მცველის და შორენას დატოვებამ მომიწია, რის გამოც ჩვენს მასპინძელს მოსთვის არაერთხელ უთქვამს თურმე: შენს ქმარს უთხარი, შორს ნუ მიდის, მარტო ნუ გტოვებსო. არ ვიცით, მხოლოდ შარიათის გამო იქცეოდა ის ასე თუ ნაცნობ-მეგობრებითა და ოჯახით გარშემოტყმული უცხო ქართველი მანდილოოსნის თანხლებას უხერხულობდა.

ერთი კიდევ ადვილად ასახსნელი ამბავი: წასახემსებლად, მეჩეთის გვერდზე, თითქმის ცარიელ კაფეში შევედით, რომ ქათქათა პერანგსა და ქამრიან შარვალში, პარასკევის ლოცვისათვის საგანგებოდ ჩაცმულმა სიმპატიურმა, მეტად ღირსეულად ჩაპუტკუნებულმა ბიძიამ, თავი კერძით სავსე მათლაფიდან ასწია და შორტებსა და თანადროული მოდის მიხედვით უკუღმა შეკერილ თიშერთში გამოწყობილი, საგულდაგულოდ ამათვალ-ჩამათვალიერა... და შორენას თვალწინ გამართული ქართულით მკაცრად მითხრა: რა გაცვია, რას ჰგეჯხარ, არ გრცხვენიაო?! ეს იყო და ეს, იმ დღის შემდეგ, ართვინის ცენტრალურ ქუჩაზე შორტებითა და თიშერთით აღარ გამოვჩენილვარ და მომეჩვენა, რომ ჩაიხანის წინ დადგმული მაგიდის გარშემო შეკრებილი ჩვენებური გათურქებული მამაკაცების ირონიული ქიჩილის დონემ საგრძობლად იკლო. (<https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/PhotoShows/turketi.pdf>).

28.02.19

დედუღეთი

მეოთხედი საუკუნის წინათ, ყველა მოუთმენლად ველოდით სულ ცოტა ხანში ჭეშმარიტად დემოკრატიული საქართველოს გაბრწყინებას. როდესაც ფულბრაიტელი მოსაგან და მამაჩემის კალიფორნიელი კოლეგისაგან ოფიციალური მიწვევები მივიღე, კერძო აფთიაქის ბიზნეს-საქმიანობით და სხვა გარემოებებით გადაღლილმა, გადავწყვიტე ნანატრი დროის დადგომამდე რამდენიმე თვით ახლად ხელმოწერილ მეუღლესთან ერთად შტატებში გვარიანად დამესვენა.

ამერიკის საელჩოსთან ვიზის ასაღებად მისულს, იმავე მიზეზით იქ უკვე ნამყოფი ინსტიტუტის წყაროთმცდნეობის განყოფილების გამგე, პროფესორის წოდების მქონე გიული ალასანია შემხვდა. სამეცნიერო საბჭოს ყველაზე ახალგაზრდა წევრები ერთ შეკრებაზე გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. გიულიმ, მაშინ, 24-25 წლის მისი ვაჟის ამბიციური ოცნება ჩურჩულით გამანდო - საქართველოს პრეზიდენტი მინდა გავხდეო, - უთქვამს გოცებული დედისათვის მიშიკოს. მაშინ უკვე წაკითხული მქონდა მის მიერ გამოქვეყნებული, იმხანად მეტად თამამი და სუპერ კრიტიკული წერილი შევარდნაძის მმართველობის შესახებ და ნამდვილად გამინარდა, რომ ერთ-ერთი გამორჩეული თანამშრომლის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვაჟიშვილი უკეთესი მომავლისათვის ასე ირჯებოდა. წერილს აგდებული შინაარსის ნაბეჭდი და ზეპირი გამოხმაურობების ნიაღვარი მოყვა, სადაც ზოგიერთებმა ავტორის ქართველობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენეს. თუ გიორგი სააკაძე ქართველი იყო, მაშინ სააკაშვილს რაღა უჭირსთქო, ვუთხარი არაკორექტული რეაქციით შეფიქრიანებულ დედას. მაშინ გულწრფელად მჯეროდა, რომ სწორედ მკვლევარების ოჯახიდან გამოსული პიროვნება შეძლებდა ყოფილიყო ქვეყნის ღირსეული პრეზიდენტი.

მალე, მოსკოვის გავლით, სადაც გაცვეთილი “ბოტასების” მაგივრად მამასისხლად შეძენილი ვითომ ესპანური მოფლავული ფენსაცმელი წამოვიცვი და საგულდაგულოდ შენახული, სიძის ნაჩუქარი \$500-ის იმედით, ხრუშჩოვის “ოტეკელის” ერთ-ერთი გმირის, პოეტ ეგენი ევტუშენკოს თითქმის გვერდით მჯდომმა, თვითმფრინავით ნიუ-იორკისაგან გავსწიე. უკანასკნელის არც ერთი ლექსი არ მაქვს წაკითხული. სამაგიეროდ მისი სპეციფიკური 60-70- იანი წლების ენერგიული სტილით შესრულებული არაერთი ნაწარმოების ტელედეკლარირება მქონდა ნანახი. მის შესახებ ისიც ვიცოდი, რომ მეზობელი მეღვინის ბოლო ხანებში მომრავლებულ პურ-მარილებს ხშირად სტუმრობდა მოსკოვიდან ჩამოსული და რომ ბიჭვინთის სანაპიროზე მწერლების უბანში საკუთარი აგარაკი - “Зима”-ს მფლობელი იყო.

საზღვარგარეთ თუ “სამიწდატის” მიერ გამოცემული “ავტობიოგრაფიიდან” ვიცოდით აგრეთვე, რომ ეს უცნაური, ქვაზე ფერადი მოზაიკით შესრულებული სახელი, მზეუხვ აფხაზეთში აგებული აგარაკის ეზოში მშობლიური პატარა ციმბირული ქალაქის სამახსოვრად ჰქონდა დადებული. რატომღაც, ევტუშენკოს მაშინდელმა ქცევამ ოდესღაც ნანახი სცენა გამახსენა. მოსკოვში ჩასულმა გორკის პროსპექტზე “ლაიკის” ლაბადიან და “კეპკიან” მაღალსა და გამნდარ მამაკაცს მივაქციე ყურადღება. ის თითქოს ოსური “სიმდის” მსგავსი თავდაჯერებული რჩევით, რაღაცით ძალიან გაამაყებული მიუყვებოდა ქუჩას. როდესაც წამოვეწიე, მასში მოსკოვის წიგნის მაღაზიებში ახლახან გამოჩენილი რუსულად ნათარგმნი “დათა თუთაშნიას” ავტორი შევიცანი...

ბერკლიში ჩასული, შომ იტალიური კუპატებით სანაქებოდ დამაპურა და სხვა ახლად დაწყვილებულების მსგავსად სასაუბრო ძველი და უახლესი თემების განხილვას შევუდექით. მათ შორის, ბავშვობის პერიოდის არდადეგებთან დაკავშირებულ ადგილებსა და პიროვნებებს დღესაც საგანგებო ადგილი უჭირავს. მეგონა, რომ შოს მიერ ზღაპრულ ფერებში დახასიათებული დედუღეთი მხოლოდ ნოსტალგიით გამოწვეული რეაქცია იყო. რაოდენ გავოცდი, როდესაც წლების შემდეგ იქ ჩასულმა სწორედ ის ვიხილე, რასაც შო პატარა ჭოლევის შესახებ გამუდმებით მიაბობდა (<https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/PhotoShows/imereti.pdf>). აღმოჩნდა რომ ქუთაის-მოწამეთა-გელათის ახლოს მდებარე მწვანედ გადაფოფინებული და ხვასმოდებული დიდი ლოდებით თითქოს საგანგებოდ დეკორირებული, გამჭოლი გზის არქონით საიმედოდ დაცული ლამაზი სოფელი და მისი მკვიდრნი შოს ფოტოგრაფიული სიზუსტით, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, აღუწერია.

არც მე მქონდა ნაკლები გასაზარიალებელი, ხან რას ვუყვებოდი და ხან რას ვუყვები დღემდე. ამ მონათხრობში, ჩემი დედუღეთის ბიჭური თვალთახვედვით შემჩნეულ ამბებს საგანგებო ადგილი უჭირავს - მათ შორის, დღნორისელი აყლაყუდა ფოსტალიონის, სასაიას, გვარად მეგონი მიქაუტაძის მთლად გაჭარადარავებული, ქურანი ცხენის გულის ფანცქალით მოლოდინის თემას. სასაიას, სოფელ მექვენთან, რომელიც რიონს გაღმა დაახლოებით 10-12-კილომეტრ აღმართ-დაღმართით იყო დღნორისას დაშორებული, ხან მამას და ხან მაკოს ახლო მეგობრისა და კლასელის, უკვე ცნობილი ბავშვი მახიობის, “მაგდანას ლურჯას” კატოს - ნანი ჩიქვინიძის წერილები მოჰქონდა, თვეში რამდენჯერმე, “გრაფინიას” ჭიშკართან. ნაცრისფერ, სამხედრო, გარედან უშუალებელ ჯიბეებ-დაკერებულ “კიტელში”, ჯარისკაცის შარვალში და კირზის ჩექმებში გამოწყობილ, პატარკაციშვილის მსგავს ულვაშას ყოველ გამოჩენას სულ სხვადასხვაგვარი განწყობით ვხვდებოდით მარინე და მე. დაიკო სულმოუთქმელად იწყებდა მეგობრის მიერ ბავშვური

ფანტაზიით სავსე წერილის ხმამაღლა და დამარცვლით კითხვას; მე კი ჭაღარა ფოსტალიონს და მის ქურანს თითქმის ნერწყვმორეული ცოცხალი კითხვის ნიშანივით შევყურებდი, რადგან მინდოდა ამომეცნო - ამჯერად სასაია შემასკუპებდა თუ არა საოცნებო მერანზე...

ამას წინათ, ოთხი შვილის საამაყო გაჭაღარავებულ მამას, ჩვენს საყვარლ მალხაზის, გადასხვაფერებული დედულეთი მოუვლია და ვეღარც აგრაფინა ბებიას ყოფილი სახლ-კარის, ვერც უზარმაზარი კაკლის ხისა თუ რიონზე დაკიდებული ხიდის ალი-კვალისათვის მიუგნია. ამაზეა ნათქვამი - “დრონი მეფობენო”...

მცირე რამ, ასე ვთქვათ, პირადი გამოცდილებიდან: ეტყობა ხანდაზმულობა ის ხანაა, როდესაც ჯერ კიდევ გინდა, მაგრამ ძველებურად უკვე წყალსაც კი ვერ სვამ, ხოლო მოხუცებულობაში, ვითომდა წითელ ლოყებას, უაზრო ღიმილი დაგთამაშებს სახეზე და ღრმა სუნთქვის გარდა მეტი არც არაფერი გაინტერესებს.

01.03.19

Собака друг человека?!

ამ ათი-თორმეტი წლის წინათ, “რესეშენის” დროს, კიდევ ერთხელ გაგვიჩდა იმედი, რომ ახლომანლო ქალაქებში ბანკის კრედიტით სახლის შეძენა შეგვეძლო და უძრავი ქონების აგენტებთან ერთად შესაბამის უბნებსა და გასაყიდ გამზადებული ბინების ძებნას შევუდექით. თითქმის ყველა მათგანი გვარწმუნებდა, რომ სამეზობლო სადაც სასეირნოდ გამოსულ ძაღლიან მანდილოსანს მოვკრავდით თვალს, საცნოვრებლად საუკეთესო და უნიფათო იყო. ეს მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული პერიოდი ობამას მმართველობის პერიოდში საბოლოოდ დასრულდა.

დღეს ძაღლის მფლობელია აშშ-ის პრეზიდენტი, ძალიან მდიდარი ადამიანიც, შეძლებულიც, ნაკლებ შეძლებულიც და სრულიად უსახსროც. შესაბამისად, ძაღლებიც შეიცვალნენ: ძვირფას-ჯიშის, ლამაზ, გაწვრთნილ, ყუფას გადაჩვეულებს, მეგობრულებსა და მეპატრონის მაღალი სოციალური სტატუსის ცხადყოფებს, თანდათან სოციალური უსამართლობის იდეოლოგიის მიმდევრებისა და ვითომ მათი თანამოაზრე დემოკრატი-ლიბერალების და სხვანაირთა მიერ საზოგადოებაში გამეფებული უთანასწორობით დაჩაგრული, უპატრონო ცხოველების თავშესაფრებიდან უფასოდ გამოყვანილი უჯიშო, ართვალი, გაუწვრთნელი, მყუფარე და აგრესიული, არცთუ იშვიათად სხვების დასაშინებლად წაქეზებული ძაღლები თანდათან შეერივნ. მაგალითი: ერთხელ, შემთხვევით, ჯერ კიდევ შვილი ბუმის მმართველობის დროს, ტილდენის ტყე-პარკის ძნელად მისასვლელ

ადგილში, მაშინ მკაცრად აკრძალული მარინუანას სვირინგიანი მომხმარებლების პატარა ჯგუფს გადავეყარეთ, რომელმაც მყუფარე და ღრენია ვეება მოქსეული ძაღლის ხანგრძლივი შეტევით ბოლოს მაინც თავიდან მოგვიშორა.

უკანასკნელ წლებში, საყოველთაო სენად ქცეულ, ნებისმიერი საშუალებით თანასწორი პრესტიჟის მაძებართა მოდას უკვე თვით მობილურ-ტელეფონიანი უსახლოკაროებიც აყვნი და ზოგჯერ ნახევრად მშიერები, ზომაზე მეტად გასუქებულ ამუნიებს ხშირად საყოველთაოდ ცნობილ ავზნიან პითბულებს, წესისამებრ, ჩაბმული ყელსაბამებით აქეთ-იქეთ დააკონწიალებენ. დღეს ჩვენს თომეტაპარტამენტთან შენობაში ზუსტად ცხრა, ზომა-წონით და ჯიშით თუ უჯიშობით განხვავებული ძაღლი ბინადრობს. კიდევ ორი, რამდენიმე კვირის წინათ საცხოვრებლად მეზობელ ქალაქში გადასულმა პატრონმა გაიყოლა. ამიტომ, არცთუ იშვიათად, მათი გაბმული ყმუილ-ყეფა-წკმუტუნი გვესმის. თავს ვერ დავდებ, მაგრამ ასეთივე ვითარებაა მგონი სხვაგანაც.

ბერკლიში ძაღლების სასეირნო რამდენიმე ბაღი არსებობს, სადაც უქამანდოდ მიშვებული ხვადები და ძუკნები პატრონებთან ერთად დანავარდობენ. ბევრს სჯერა, რომ ძაღლის ყოლა ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს და ლოკალური მერიის ლიმიტის ფარგლებში, ხშირად, სამ ძაღლს პატრონობს: აჭმევს-ასმევს, დღეში რამდენჯერმე ჰაერზე მოსასაქმებლად გაჰყავს და პარკში მოთავსებული ჯერ კიდევ თბილი ბიომასით სეირნობას აგრძელებს; ბანს, კრიჭავს, სავარცხლით ან წამლებით მკბენარებს აშორებს, კბილებს უწმენდს და ექიმთან დაჰყავს ან ყველაფერს ამას და კიდევ ბევრ რამეს საათობრივად დაქირავებული პიროვნების საშუალებით აკეთებს. უკანასკნელთა ხარჯზე, ქვეყანაში დასაქმებულთა სტატისტიკა მგონი გაუმჯობესდა. თუ, ვთქვათ, რამე დააკელი ან უხეშად მოეპყარი უადგილოდ აყეფებულ ძაღლს, ყოველთვის არის შანსი, რომ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წევრებთან და არაწევრებთან კონფლიქტი მოგვივიდეს.

მ-ა-ა-ა-მ !!!

უკიდურესი ინდივიდუალიზმით თითქმის გათითოკაცებულ საზოგადოებაში, სადაც “საქმიან ბიზნესზე” ორიენტირებული კონსერვატორებისა და “საყოველთაო სამართლიანი გადანაწილების” მომხრე დემოკრატების პარტიები ერთმანეთს არასასიკეთოდ დაპირისპირებიან, ძაღლი საკუთარ ბედს არასოდეს არ დაჰყეფს. სწორედ აქაურ ამუნიებზეა ზედგამოჭრილი გამოთქმა: ძაღლის ბედი ჰქონიათ.

იმედია, ერთიანობის იდეის ერთგულებამ სანამდე მიგვიყვანა ზოგიერთს მაინც ახსოვს: როგორ თავგამოდებით დაგვდევენ ქუჩა-ქუჩა მშვიერ მოქალაქეებს დასაგლეჯად პატრონებისაგან კარგა ხნის წინათ მოძულეებული ძაღლები...

02.03.19

ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრით წიგნების კითხვა-თვლიერებაში გაცილებით მეტი დრო მაქვს დახარჯული ვიდრე ადამიანებთან ურთიერთობაში, ტიპიურ წიგნის ჭიად მაინც არ ჩამოვყალიბდი. კითხვით დაკმაყოფილებულ ცნობისმოყვარეობას, ყოველთვის ოჯახური ტრადიციით ლაგამამოდებული, მოძრაობა-მოქმედების სურვილი ჯაბნიდა.

საოჯახო, უბნის, საჯარო თუ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები, ახალი წიგნების და ბუკინისტური მაღაზიები ის გარემო იყო, სადაც თანამედროვე ინტერნეტის მოძლიერებამდე ბევრ დროს ვხარჯავდი. რომელი ჭკაუთამყოფელი წიგნის მოყვარულს ან მოდას აყოლილ წიგნებით სახლის გამფორმებელს მოუვიდოდა აზრად, რომ მალე ბეჭდური წიგნის მწვავე კრიზისის მოწმენი გავხდებოდით. საუნივერსიტეტო ბერკლის წიგნის მაღაზიებიდან მხოლოდ სტუდენტების სავალდებულო სახელმძღვანელოებით მოვაჭრებმა და კიდევ თითზე ჩამოსათვლელმა რამდენიმე დაწესებულებამ შეძლო არსებობის გახანგრძლივება, ისიც ერთგული კლიენტურის, საბავშვო წიგნების და ტურისტების წყალობით. თუმცა, ყველა ქაუნთი-რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი, ძირითადად მაინც შემოწირულობების ხარჯით დაფინანსებული ბიბლიოთეკები ვიზიტორების სიმრავლეს ჯერ არ უჩივიან - ბავშვების, აუდიო-ვიზუალური და სხვა კოლექციების, აგრეთვე მრავალრიცხოვანი პროგრამების, უფასო კომპიუტერული წვდომის და ათასგვარ პროფესია-ხელობის ათვისებასთან, შესაბამისი სამუშაოს მოვნასთან დაკავშირებული ოპერატიული ინფორმაციის, მცოდნე ბიბლიოთეკარების და კიდევ მრავალი სიკეთის გამო.

:+:+:+

საქართველოსთან დაკავშირებული წიგნების ბერკლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ღარიბ კოლექციებში მამას სამი რუსული და ჩვენი ინგლისურენოვანი ოთხი წიგნია, რომლებიც, მათი ბოლოს ჩაკრული მოთხოვნების აღსარიცხი ფურცლების მიხედვით, არაერთხელ გაუტანიათ წასაკითხად.

:+:+:+

უცნაური ხანძრებით გაცისკოვნებულ ქვეყანაში, ცენტრით წახალისებული ახლად გა-ცეკას-გა-მდივნებული შევარდნაძის მიერ ორგანიზებული რეპრესიების პროცესში, “განვითარებული სოციალიზიმის ცხოვრების წესიდან გადახვევის” გამო ათასობით მამაკაცი და ქალი ციხეში მოხვდა. მათ შორის ჩვენი, ბარნოვის #85-ა-ს, სამსართულიანი და ხუთბინიანი სახლის ორი ოჯახის უფროსი და ოპერის შენობის დაწვის მეტად საეჭვო ბრალდებით, გ.ლ-ს სიძე, ვახტანგ ჭაბუკიანის დის შვილი, ყველასთვის საყვარელი თ.რ-ძე. მაშინ, “ანტი-ესთაბლიშმენტურად” განწყობილი ანუ ხელისუფლების მმართველი წრეების ერთ-ერთ “ფრონტზე” საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული წიგნისათვის მასალებს ვაგროვებდი. ამის გამო საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში, რომელსაც გასაბჭოებამდე გამოცემული ქართული პრესის მრავალტომიანი ბიბლიოგრაფიის გამოცემის ინიციატორი და ავტორი, ხანდაზმული ქალბატონი, თამარ მაჭავარიანი ჯერ კიდევ ხელმძღვანელობდა, თითქმის ყოველ დღე დავდიოდდი. ერთხელ ქალიშვილს, რომელიც წიგნების გაცემა-ჩაბარებას უძღვებოდა, ვთხოვე ჩემთვის მე-19 საუკუნის პრესის რამდენიმე კომპლექტი მეორე დღისათვის გადაენახა და თან დავაყოლე - თუ კიდევ რამე შენობა არ დაიწვა ქალაქში, აუცილებლად მოვალთქო. იმ ღამეს, მოსკოვიდან ახლახანს გადმოყვანილი პარტიული მუშაკის მიერ დაარსებული “ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტი და მუზეუმი” აბრიალდა და ბიბლიოთეკაში მისულს ის ქალიშვილი კარგა ხანის ეჭვის თვალით მიყურებდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, იმავე თანამდებობაზე მომუშავე ეხლა უკვე ხანშიშესულ ქალბატონს, წიგნების ხვალისათვის გადანახვა ზუსტად იმავე ფრაზით ვთხოვე. დაბნეულმა, მასიური სათვალისა და ამომხედა აზრსდაკარგული და უკბილო ხუმრობის ავტორს.

სამკითხველო დარბაზებში ძველი ნაცობები, ჩვენი ინსტიტუტის პენსიაზე გასული თანამშრომელები - პირველი მოწვევის პარლამენტის ყოფილი დეპუტატები და იმავე თანამდებობაზე ნახევარი საუკუნის განმავლობაში მომუშავე რამდენიმე ბიბლიოთეკარი აღმოვაჩინე. ერთი, საზოგადოებაზე ბუნებრივი პირობების “უახლოესი” იდეით მეტად გატაცებული მკვლევარი, მომავალი პროფესორი და პარლამენტის წევრი, ნათლად მახსოვდა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდებიდან. თუ რაოდენ ემოციურად იწყებდა, მაშინ უკვე მეცნიერმუშაკი თუ ასპირანტი, მსჯელობა-დისკუსიებს სულ ახლახანს წაკითხული თემების შესახებ მუდმივად იქ მყოფ ყმაწვილებთან, ბიბლიოთეკის სიგარეტის მოსაწევ გაჭყვარტლო-გაბუღულ უფანჯრო სარდაფში.

:+:+:+:

აქ წამოსვლის წინ, თბილისში მომხდარმა შემთხვევამ შოს კიდევ კარგი ბიბლიოთეკები სულ არ გადაავიწყა. ვითომ პოსტ-მხედრიონის თბილისის დაცარიელებულ საჯარო ბიბლიოთეკაში, მძიმე ნარკოდეპრესიაში მყოფმა სამწარეულოს დანით შეიარაღებულმა ახალგაზრდამ მას ჩანთის წართმევა დაუპირა. მოულოდნელად ეტყობა “წამლის” მეტიმეტმა დიდმა დოზამ თავად თავდამსხმელი ისე გააშეშა, რომ უკიდურესად შეშფოთებული შო და სამგზავრო საბუთებით სავსე ჩანთა უვნებლად გადარჩა.

04.03.19

შენმატკბილებულად

ჩემი ბავშვობის გამოცდილების გამო, ხშირად ვმსჯელობთ იმის შესახებ თუ რა ენებზე ილასპარაკებს მომავალში ლუკა, რომელსაც დაბადებიდან ყოველდღიურად მხოლოდ მშობლების ქართული საუბარი ესმის. სანამ გაბმულ მეტყველებას შეიძლება, ყოველივე ბუნებრივად ხდებოდა. მოკლე ქართული ფრაზებით გვესაუბრებოდა, ხოლო საბავშვო მოედნებზე უფროსებთან და თანატოლებთან უმეტესწილად უსიტყვოდ ამყარებდა კონტაქტს. ასევე იქცეოდა დასაწყისში ჯონ ჰეისის ოფისში სტუმრობისას, რომელიც საუბრის დროს ყოველი ნივთის თუ სათამაშოს სახელწოდებას წყნარად წარმოთქვამდა - პატარას ყოველ შეხვედრაზე ახალ ინგლისურ ლექსიკურ ერთეულს აცნობდა.

სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, რაც ტელევიზორში და აიპედში საბავშვო ვიდეოების, კომპიუტერული თამაშების და სათამაშოების რეკლამასთან დაკავშირებული ენობრივად სამაგალითო დადგმების ყურება დაიწყო. სადღაც სამი წლის ბოლოს თუ ოთხი წლიდან, მოულოდნელად გამართული, შინაარსობრივად და ენობრივად რთული, დეტალებით სავსე ქვეწყობილი ინგლისური წინადადებებით, სათანადო ემოციური დატვირთვითა და სახით, დაიწყო გაბმული მსჯელობა, ჩვენი უცვლელი ქართულის საპასუხოდ. აშკარაა, რომ ლუკას მშობლების მეტყველება მშვენივრად ესმის, მხოლოდ სრულყოფილი პასუხის გასაცემად ინგლისურს ამჯობინებს. ენობრივი უნარ-ჩვევების გამყარებამდე, ჩარევას შეიძლება ნეგატიური შედეგი მოჰყვეს და ამის გამო ზაფხულობით ბებიებთან და ახლობლებთან ურთიერთობით გამყარებულ ყოველდღიურ ქართულს ველოდებით.

გამოდის, რომ ბიბლიური ბაბილონის გოდოლის არ იყოს, სხვადასხვა ენაზე ვსუბრობთ. ზოგჯერ შო და მე “საიდუმლო” რუსულსაც ვიხმართ, მაგრამ კოშკის მშენებლებისაგან განსხვავებით, ერთმანეთის ზედმიწევნით კარგად გვესმის. ლუკა ძალიან ხშირად მოგვმართავს პოპულარული ფრაზით - “I LOVE YOU”, რომელზეც პასუხს მის მიერ ნებისმიერი წარმოთქმული წინადადების დარად ზუსტი ქართული თარგმანით ვიწყებთ. ზოგჯერ ისეთ ქართულ წინადადებას, ფრაზასა და სიტყვას “დააბრეხვებს” ლაზათიანად, რომ პირი ღია გვრჩება, თან გვეკითხება ხომ სწორად ვთქვიო.

ერთი გამონაკლისი: ძილის წინ ლოგინში დედიკოს სურათებიანი ინგლისური წიგნების კითხვას თხოვს და ისიც სურვილს ყოველთვის უსრულებს.

05.03.19

“რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლოუნგი?”

რევოლუციამდე რა ხდებოდა, არ ვიცი; მაგრამ ბავშვობაში საკმარისი სათამაშოები არც მე მქონდა. ვერა და ვერ ველირსე შეპირებულ ველოსიპედს. უამრავი წლის შემდეგ, ოცნება ავისრულე - ბერკლის პოლიციის მიერ მოწყობილ - მიტოვებული და ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გამოფენა - გაყიდვაზე \$8 და \$10 დოლარად ჩვენთვის ორი კარგი ველო ვიყიდე.

ერთი რაც მახსოვს ბავშვობიდან, მამიდის მიერ გერმანიიდან ჩამოტანილი პატარა ვარდისფერი “ფოკუსნიკის” ყავარჯენი იყო, რომელიც უცაბედად სახელურზე გადამიტყდა. გერმანიაში დასაბრუნებლად გამზადებულმა მამიდამ მკითხა, მომავალში რა სათამაშო ჩამოგიტანო, წ-ე-ბ-ო-თ-ქ-ო, გადჭრით მითქვამს. კიდევ მისი ნაჩუქარი მინი-ხელსაწყო-იარაღებით - ჩაქუჩით, ხერხით, სალაშინით, ქლიბებით, ბურღებით, თარაზო-სახაზავ-საზომებით, გირაგით, ბრტყელტუჩათი და სხვადასხვა ზომისა და ფერის ლამაზი ლურსმნებით სავსე სახელურიანი გერმანული ყუთი იყო, რომელსაც დაჟეჟილ-გადახეხილი ხელებით სულ თან დავატრევდი, სალსალამათი საგნების “შეკეთებლად”.

დაიკოს უფრო მეტი სათამაშო ჰქონდა - თოჯინები, მათი ავეჯი, სამზარეულოს მოწყობილობა და ა.შ. თუმცა ერთხელ ვერაფრით ვერ გააგდებინა ხელიდან საკუთარი საყვარელი ატლასის კაბაში გამოწყობილი გერმანული თოჯინა სტუმრად მოსულ უმცროს გოგონას, რომელმაც ისტერიული ტირილი მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა, როცა ცისფერთვალება გარეთ გასასვლელი კარების ზღურბლს ძალით გადააცილა. მაკოს არ უყვარდა “სახლობანაში” ჩემი

მონაწილეობა, რადგან სათამაშოდ მოსული ექიმის შვილიშვილი პატარა გოგონა ხშირად ითხოვდა მისი ქვედატანის ჯანმრთელობის საფუძვლიან შემოწმებას. დაახლოებით წლინახევრის წინათ, გაკვირვებულმა ლუკამ გვითხრა რომ ასეთივე რამ შესთავაზა მას სათამაშო მოედნის მცირე გამოქვაბულში მყოფმა პატარა ბიჭმა, რომლის სიმპათიურ და ჩვენთან კონტაქტების გახანგრძლივების მოსურნე ბაბუას ყოველ დარეკვაზე სხვადასხვა მიზეზით შეხვედრებზე უარს ვუბნებოდით.

ერთხელ მამამ ბამბის ქულასავით კრავი მოგვიყვანა, რომელსაც წყნეთელი მემაწვნიის მიერ ჩამოტანილ ბალახს შუშაბანდის გადაღობილ კუთხეში ვაჭმევდით. წამოზრდილი ბატკანი მემაწვნიემ სოფლის გზას გაუყენა და კარგახნის შემდეგ მისი ხორცი მოგვიკითხა... იქვე, შუშაბანდში, ზაფხულობით დიდ “ლახანკაში” დაგროვილ მზით გამთბარ წყალში ვჭყუმპალაობდით და სხვა.

ლუკას სათამაშოების კოლექციის ჩვეთან შედარება არ შეიძლება, არც ხარისხით და მითუმეტეს რაოდენობით. ერთი რამ, რასაც წლებია ყოველდღიურად ბეჯითად ვაკეთებთ, ეს ბებიებთან დილა-საღამოს ტელეფონით მასლაათი და ლუკას მიერ შერჩეული სათამაშოს შექენაა. ის ამ თვალსაზრისით თითქმის პროფესიონალია. თვალს ადევნებს რეკლამებს და მხოლოდ იმ პროდუქტს ირჩევს, რომელიც სხვებისაგან მექანიკური-ფუნქცია-მოქმედება-შინაარსით და გაფომება-დიზაინით გაორჩეულია. ოთხი წლიდან სიამოვნებით მხოლოდ ფირმა “იმაჯინექსთის” და “ჰოთ ვილ სითის” სათამაშოების ახალ ვერსიებს იძენს. თუ მსგავსი არაფერი აქვს, იმ დღეს მალაზიის მცირედიტაც კმაყოფილდება - რამეს იაფს და იმ წუთში გასართობად აუცილებელს წამოაკლებს ხელს და სახლში მოარბენინებს. ხსენებული კომპანიების სათამაშოებიდან, განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ბავშვური ფანტაზიის განსაკუთრებლად გათვლილი თემატური დისკოლები, რომლებიც ხან მეკობრეების გემით ან ეგვიპტური პირამიდების საიდუმლო, ხაფანგებით დაფარულ დარბაზებში განძის ძიებას ან უამრავი სუპერ-გმირის ფანტასტიკურ სამყოფსა და თავგადასავლს ეძღვნება.

ლუ ყოველთვის ყველგან თამაშობს, მაშინაც კი როდესაც ვბანთ, ვუცვლით, საკვებს იღებს და სხვა, რაც ზოგჯერ ჩვენს გაკვირვებას იწვევს, რადგან დროდადრო ისე იქცევა, რომ მისი ასაკი სულ გვაკვირდება. სათამაშოების გარდა დარბის, ხტუნავს, ბრძოლა-ჭიდაობაში გვეჯიბრება, კედლებზე ხატავს, ვიდეო სიმღერების ტექსტებს ჰყვება და გვარწმუნებს, რომ ახალი სათამაშოები მისი განვითარება-წინსვლისათვის აუცილებელია. სულ რაღაც წარმოდგენებშია. ბოლო ხანებში ხშირად ლაპარაკობს თავის მომავალ შვილებზე, ორ ბიჭსა და ერთ გოგოზე, რომლებსაც თავის

გამონაცვალეებს ჩააცმევს და “პატარაობის” დროინდელი სათამაშოებით გაართობს. ეს შოხ დაპატარავებული ტანისამოსის და მობეზრებული სათამაშოების გასწვისების პროცესს ურთულებს. დედიკო მათ მხოლოდ კარგახნის გადამალვის შემდეგ გასცემს ხოლმე.

07.03.19

უსახლკაროები

სხვა შტატებში ისევ ზამთარი იქნევს კუდს და ამიტომ ბერკლიში ჯერ კიდევ ბევრი სიცივეს გამოირიდებული უსახლკარო შეჭფარებია კარვებს. წლევანდელი თებერვლის ბოლო დეკადა და საერთოდ გაზაფხულის დასაწყისი უჩვეულოდ წვიმიანია - თითქმის დღე და ღამე კოკისპირულად წვიმს, რაც წლის ამ დროს კალიფორნაში მომრავლებულ, სხვა ადგილებიდან გამოსაზამთრებლად ჩამოსულ უსახლკაროებს ხშირად ადილმდებარეობის შეცვლას აიძულებს. ბერკლიში ხან სად და ხან სად აღმოცენდება ფერადი კარვების მინი-ქალაქები: უნივერსიტეტთან დასანგრევად გამზადებულ ავტო-სადგომთან და ჩქაროსნული მაგისტრალის შესასვლელო-გამოსასვლელების პარარელურ ქუჩებზე. ხალხმრავალ თავყრილობებს პოლიციის მორიგე მანქანები აკონტროლებენ. ამ მხრივ მთლინად ბერკლი, ისე ჩვენი უბანიც, საიმედოდ არის დაცული.

ჩვენი სახლის პირდაპირ, “როუზის პარკთან” უკვე წლებია ერთადერთი თეთრკანიანი, არა ნარკომანი, არა ალკოჰოლიკი, არა მათხოვარი ანუ ყოვლად წესიერი, მაგრამ მაინც უცნაური უსახლკარო ათევს ღამეს საკუთარ გადახურულ პიკაპში, რომელიც ნაგვის უხმარ პარკებში ჩადებული საგნებით აქვს გამოტენილი. ყოველთვის სუფთად ჩაცმულ-დახურული, პარკის ონკანის წყლის საშუალებით გაპარსულ-პირდაბანილ-კბილებგამოწმენდილი, ალბათ მეზობლი სახლების მცხოვრებთა სიმპატიით სარგებლობს, თორემ ბავშვებით სავსე პარკის სიახლოვეს აქამდე არ გააჩერებდნენ. მითუმეტეს, რომ ლოკალური კანონით საგანგებოდ გამოყოფილი ფასიანი ადგილების გარდა, მანქანაში ძილი ქუჩებში აკრძალულია. ეს უმუშევარი, შუახნის, რადიო-ფარანით აღჭურვილი მამაკაცი რითი ირჩენს თავს ან რისი იმედი აქვს ცხოვრებაში, ალაჰმა უწყის.

ერთი ტანადი და ომახიანი, უკვე საკმაოდ მოტეხილი აფრო-ამერიკელი დროდადრო ჩნდება ფულის შესაგროვებლად უბნის ერთ-ერთ დიდ მაღაზია-აფთიაქთან. ამას წინათ, როგოც სჩვევია, შორიდან შემომძახა, შენს საქმეს რომ მორჩები ეგებ დამეხმარო. მაღაზიიდან გამოსულმა ფული რომ გავუწოდე, ცრემლმორეულმა მითხრა, რომ კარგა ხანია სისხლზე გადის, თურმე პროსტატის კიბო აღმოაჩნდა. ეხლა ძალიან ვნანობ, რომ ექიმთან უფრო ხშირად არ დავდიოდით. შემეცოდა - მით

უმეტეს რომ წლების წინათ ჯ.ჯ.ნიუბერის უნივერსალურ მაღაზიაში, სხვა მომხმარებლის მოთხოვნით, ერთხელ ქურბაცაცობაზე დავაკავე და ძალიან იწერვიულა. ამ საუბრის შემდეგ, თვალს თუ სადმე მოვკრავ, მიხარია, რომ ჯერ-ჯერობით ოკეია.

09.03.19

“სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია...”

ბერკლიში უამრავი მაღაზია და რესტორანია. უმეტესობა შატუკზე და ჩქაროსნული გზით ქალაქში შემოსასვლელ-გასასვლელ უნივერსიტეტის ავენიუზე და გილმანის ქუჩაზე მდებარეობს. მათი მეტი წილი პატარაა და სან-ფრანცისკოს ყურეში მცხოვრებ ბიზნესმენებს ეკუთვნით. რამდენიმე დიდი სასურსათო ქსელის მაღაზია, მათ შორის მეტად პოპულარული ყოფილი “ანდრონიკო”, დღეს “სეიფვეის” მიერ შესყიდული “Safeway Community Market”-ია. იქ ზოგჯერ სახლოში დამზადებული საჭმელებით გაბეზრებულები ან მათზე დასამატებლად გემრიელად გაკეთებულ შემწვარ ორგანულ ქათმებს და მზა კერძებს - ტერიაკის წვენიტ მოჭიქულ ორაგულს, პიურეს, შემწვარ კარტოფილს, მოშუშულ ბოსტნეულს, საქონლის ხორცის “ბიფ სთიუს” (“სალიანკას”) ან “ბიფშტროგანოვს”, სხვადასხვა სალათსა და ქალაქარეთ წასაღებად სენდვიჩებს ვყიდულობთ. იქვე ვიძენთ ორგანულ ბოსტნეულს, ხილს და ბოლო ხანებში ნამცხვრებსაც, რადგან ქალაქის 65 წლის სახელოვანი საცხობი - ტკბილეულის მაღაზია “Virginia Bakery” ახლა და ჯონ ერდმანებმა თვეზე მეტია დაკეტეს, რადგან შვილიშვილებთან უფრო მეტი დრო უნდათ გაატარონ.

კიდევ ერთი, ჩვენთან ახლოს მდებარე პატარა მაღაზია, რომლითაც ყველაზე ხშირად ვსარგებლობთ, “Berkeley Natural Grocery Company”-ს ეკუთვნის, სადაც ყველაფერს, მათ შორის ორგანული ქათმების მკერდებს ვიძენთ ლუკას საყვარელი მაკარონიანი ბულიონის დასამზადებლად. ეს ლუკა პირველი სასურსათო მაღაზიაა, სადაც თითქმის ყველა ძველი თანამშრომელი კარგად იცნობს და მის უფრო ხშირად მიყვანას მთხოვენ. განსაკუთრებით პატარა ბავშვების დედები: ტიბეტელი ყურადღებიანი კალსანგი და ბერბერი გოგო ნადია, რომელსაც ოთხი წლის აუტიზმიანი ბიჭუნა ჰყავს. ისინი პატარა მომხმარებელს სახლოში ხელგარიელს არასოდეს არ უშვებენ, ჩვეულებრივ ცნობილი ვიდუო-პერსონაჟების “სტიკერებით” აჯილდოებენ.

დროდადრო, ნიუ-იორკის ან რომელიმე ადგილობრივი სტილის პიცასაც ვყიდულობთ, ერთს ჰოპკინსზე “გიოიას პიცერიაში”, მეორეს კი შატუკზე, უპოპულარულეს “The Cheeseboard Pizza”-ში, რომლის მოწილე მოს ყოფილი თანამშრომელი ახალგაზრდა ქალია. ზოგჯერ, ცნობილი

ტაილანდურ რესტორანში, ლუის საყვარელ ქათმის მკერდის მწვადებს, ხან მოშუშულ ტოფუს მივირთმევთ ან სახლში მოგვაქვს. ხშირად ლუკა ჰორმონებიდან თავისუფალი ჰამბურგერის შეკვეთასაც გვთხოვს “ფეთ ფფლოის” რესტორანში, რასაც ზოგჯერ კიდევ ვუსრულებთ და ა.შ.

კინალამ დამავიწყდა ჩვენი უპოპულარულიესი პურის პროდუქტების საცხობი “აკმე”, სადაც ყოველ მეორე დღეს ბერკლისათვის ყოვლად უჩვეულო რიგში უნდა ჩავდგეთ, რომ უგემრიელესი პურეული და ფუნთუშეული შევიძინოთ. აქ ლუკას პატარაობიდან იცნობენ და მამამისსაც, რომელსაც წლებია უკვე მექსიკური ჩამომავლობის ანა “ბახტანგ”- ად, ხოლო ნახევრად სიცილიელი და ნახევრად კორსიკელი ლამაზი ქალიშვილი ღიმილით მხოლოდ “სვითად” მოიხსენიებს.

:+:+:+

ეს წუთია, ლუკა და დედიკო ბერკლის უნივერსიტეტთან არსებული ხელოვნების მუზეუმიდან დაბრუნდნენ. შომ აი რა მომიყვა: მუზეუმიდან გამოსულმა, ტელეფონში საათს დახედა და ლუ მანქანაში ჩასვა. ბავშვმა საბარგულოში დარჩენილი ნამცხვრის ნაჭერი მოითხოვა, რომელიც შომ მიაწოდა და ის იყო მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო, რომ ქუჩაში უცბად მის წინ გაჩენილმა ზურგჩანთიანმა ახალგაზრდამ ჰკითხა, ხომ არ იცოდა, როგორ უნდა მიეგნო უიაფესი საქალაქათაშორისო ავტობუსების “გრეიჰაუნდის” ტერმინალისთვის. შომ უპასუხა, რომ ასეთი მგონი მხოლოდ სან-ფრანცისკოში და ოკლენდში არის. ტელეფონში მისამართს ხომ ვერ ნახავო, ისევ მორიდებით ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა და როდესაც თხოვნა შეუსრულა, ახლა მიმართულების ჩვენება სთხოვა: დედიკოსკენ ძალიან ახლოს მიიწია და უთხრა, რომ თვითონ ნახავდა ტელეფონში, რასაც ეძებდა, რადგან ვითომ შომ არასწორად აკრიბა მისამართი.

შო მიხვდა, რომ ახალგაზრდა ტელეფონის წართმევას უპირებდა და რამდენჯერაც უკანასკნელმა უთხრა, მომეცი ტელეფონი, მე თვითონ ვნახავო, იმდენჯერვე უპასუხა: არა, ტელეფონს არ მოგცემ და თუ გინდა მე თვითონ მოგიძებნი და თუ არა, კარგად იყავიო; თან რაღაც საჩქაროდ გასაკეთებელი საქმე მოიმიწუნა და იქაურობას გაეცალა.

ეტყობა, მსგავსი ამბების გამოა, რომ ბერკლის ცენტრი მომრავლებულ ვიზიტორ უსახლკაროებზე მოყურადე პოლიციელებით არ ის გადავსებული. პოტენციური ტელეფონის ქურდი აშკარად კარგად ერკვეოდა ლოკალურ კანონმდებლობაში, რომელიც წამრთმეველს და ნებაყოლობით მიცემულის გამტაცებელს სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავედ მიიჩნევს. ისიც გათვლილი ჰქონდა, რომ ფასიან პარკინგ

ლოტზე გაჩერებულ ბავშვიან მანქანას დედა მის სადევნად დიდხანს ვერ მიატოვებდა, მაგრამ შოს მტკიცე პოზიციის გამო კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

10.03.19

ემიგრანტები

შომ ბერკლიში საქართველოსთან დაკავშირებული აუდიო-ვიზუალური მასალების დიდი კოლექცია ჩამოიტანა. მათ შორის იყო დოკუმენტური, ეთნოგრაფიული და მხატვრული ფილმები, რომლებიც იმჟამად ტელე-ფილმების სტუდიის დირექტორმა, ჩვენმა ახლო მეგობარმა, კინორეჟისორმა ზურაბ ინაშვილმა შეარჩია. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ ვიდეო კასეტები ევროპული DVD-ის სტანდარტული PAL და არა ამერიკისათვის ჩვეული NTSC-ის სისტემით იყო ჩაწერილი. შესაბამისად, მათ სადემონსტრაციოდ, ძნელად საშოვნო და მეტად ხარჯიანი ევროპული აპარატურა ან მასალების ამერიკულ სტანდარტზე გადაყვანა იყო საჭირო - რაც მაშინ ძალიან იშვიათი, რთული და ძვირად ღირებული საქმე აღმოჩნდა. ეს პრობლემა ერთხელ სან-ფრანცისკოელ ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტთან, შანხაიში დაბადებულ რუსულენოვან გიგო თევზაძესთან საუბრის დროს ვახსენეთ. მან დაუყოვნებლივ ძნელად განსახორციელებელ საქმეში დახმარება შემოგვთავაზა. გიგომ რამდენიმე კვირის შემდეგ კასეტების ახალი ასლები ჩაგვაბარა, თან “ტრანსფერის” ფასი \$400 არ გამოგვართვა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ოდნავ მოვიხედეთ და ცოტაოდენი საშუალება გაგვიჩნდა (მაშინ ორივე მენეჯერებად ვმუშაობდით ბერკლის დაუნთაუნის წარმატებულ კომერციულ დაწესებულებებში), გიგოს ყოფილი მეუღლის, სიმჰათიური ჩინელი ახალგაზრდა ქალბატონის საშუალებით, 70 წელს გადაცილებული, მაგრამ ჭარმაგად მყოფი ყოფილი კინომსახიობი, ახალი ტალღის ქართველი ემიგრანტი მანდილოსნებით გარშემორტყმული აღმოვაჩინეთ და ვალად ჩათვლილი თანხის ჩეკი მაღლიერებით გადავეცით. როდესაც მოვიკითხეთ, მეტად წარმოსადეგმა მამაკაცმა, გარშემო მყოფ ქალბატონებს თვალი შეავლო და იხუმრა: «Чувствую себя как мертвая муха в сметане»-ო. თვითირონია ცხადყოფდა, რომ კინო კარიერიდან შემონახული თვისებებით ის ჯერ კიდევ სანაქებო ფორმაში იყო.

90-იანი წლების შუახანებში, ჯერ კიდევ სუსტი ინტერნეტის პირობებში, “იელოუ ფეჯების” რეკლამებით სავსე ტელეფონების და მისამართების წიგნი ყველაზე კარგი საცნობარო გამოცემა იყო. ერთხელ მე და შომ მისი საშუალებით ჩვენი გვარების მქონე ადამიანების მოძიება გადავწყვიტეთ და სან-ფრანცისკოში ჩემი მოგვარის შესახებ

ინფორმაციას წავაწყდით. მალე სარანგეთიდან გადმოსახლებულ, ძველი ემიგრაციის მორუსულე მემკვიდრეების ქართულ-რუსულ ოჯახთან მჯიდრო ურთიერთობა გავაბით. ხან ისინი გვეწვეოდნენ ბერკლიში, ხან ჩვენ ვსტუმრობდით სან-ფრანცისკოში. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მათთან დიდხანს უცხოვრია დიასახლისის დედის ახლო მეგობარს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლ ალექსანდრე სულხანიშვილს, რომლის პარიზიდან გურამ შარაძის მიერ ჩამოტანილი მოგონებების წიგნი, შემთხვევის წყალობით, ქსეროკოპიის ერთ-ერთ საამქროში უკვე გადაკითხული მქონდა. იმხანად ამ გამოცემის არა მარტო შინაარსი, არამედ ავტორის შეკვეთით დამზადებული შრიფტიც კარგად მახსოვდა. როდესაც დიასახლისმა სულხანიშვილის ნაქონი და ქართულის არმცოდნეებისათვის გამოუსადეგარი საბეჭდი მანქანა შემომთავაზა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. შემდეგ, წლების განმავლობაში, “ქართული ენისა და კულტურის პროგრამის” მასალებს სწორედ სულხანიშვილისეულ საბეჭდ მანქანაზე ვბეჭდავდით. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, რომ ამ მანქანის ადგილი ჩოლოყაშვილის სამუზეუმო ექსპონატების გვერდზე იყო. შესაბამისი ბარათი ვაშინგტონში საელჩოს გავუზავრე, რომ საკმაოდ მძიმე საბეჭდი აპარატის თბილისში გადაგზავნა დიპლომატიური ფოსტით ხომ არ მოხებდებოდა, მაგრამ რომ იტყვიან “не ответа, ни привета”...

ერთხელ ქუჩაში ბერკლის უნივერსიტეტში მოწვევით ჩამოსული შევარდნაძის მმართველობის პერიოდის დღემდე კარგად ცნობილი პოლიტოლოგი შემხვდა და პრაქტიკული პოლიტიკიდან ძალიან შორს მდგარ ადამიანს, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, თანამშრომლობა შემომთავაზა: ჩვენთან იყო, ეხლა შენთვისაც ნამდვილად ჯობიაო! რამდენიმე დღეში, სან-ფრანცისკოელმა მოგვარემ, პოლიტოლოგის პატივსაცემ სუფრაზე მიგვიპატიჟა. როდესაც რაღაც მოვიმიზეზე, რომ არ წავსულიყავით, ძალიან გაბრაზდა. ამ წარის შემდეგ, ორმხრივ სასიამოვნო ურთიერთობა საბოლოოდ დასრულდა.

ჩემ ჩამოსვლამდე, შოს უფრო მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა. ის ხშირად ხვდებოდა ძველ ქართველ ემიგრანტებს. მათ შორის სტუმართმოყვარე, სანტა როზელი მირიან გალაშვილის ქართულ-პუერტორიკოულ ოჯახს. მოუცლევლობის გამო, სამწუხაროდ, პირადად ვერ გავიცანი ეს მეტად საინტერესო ბედის პიროვნება; მაგრამ მისი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული მოგონებები, პარიზში გამოცემული ჟურნალის “ივერიის” რამდენიმე ნომერში მქონდა წაკითხული. ისინი აღნიშნული გამოცემის რედაქტორმა ლონდონის უნივერსიტეტის “ქართული დღეების” მონაწილეებს გადმოგვცა.

როგორც ჩვეულებრივად ხდება, ჩვენი ნაცნობების ძირითადი წრე სამსახურებთან და ინგლისურენოვან სამეზობლოებთან არის

დაკავშირებული. გამონაკლისია ქართველი ემიგრანტების მოშორებულ ქალაქში მცხოვრები ერთი ოჯახი, რომლის დიასახლისი ოდესღაც ახალგაზრდებს შორის ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ყოფილა ჩოგბურთში (უკანასკნელის ბაბუა ჭყონიას ბუკინისტურ მალაზიაში გავიცანი დიდი ხნის წინათ) და მისი მასხიობი მეუღლე. მათი საყვარელი, თავისუფლად მოქართულე, 9 და 5 წლის ბიჭები ლუკას, ჩვეულებრივ, ხალხმრავალ დღეობებზე ალამოს მშვენიერ პარკში პატიუბენ, სადაც ბევრ თანამემამულეს ვხვდებით და ერთმანეთს დიდი ინტერესით ვათვალიერებთ.

ერთი კალიფორნიელი ქართველი ემიგრანტის მოგონებები ჯერ კიდევ სკოლაში მაქვს წაკითხული, როდესაც მამამ სახლში სხვა ახალ წიგნებთან ერთად ჯორჯ პაპაშვილის და მისი მეუღლის ჰელენ უაიტის ქართულად ნათარგმნი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები მოიტანა - დიდი ხნის საერთაშორისო ბესტსელსერი - “Anything Can Happen” (თარგმანში “ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს”). წლების შემდეგ, ამ პატარა წიგნის 1945 წელს გამოცემული ორგინალი ბერკლის ეხლა უკვე სამუდამოდ დახურულ ერთ-ერთ საინტერესო ბუკინისტთან, “Sedentary Bookstore”-ში \$25 -ად შევიძინე და დიდი სიამოვნებით გადავიკითხეთ. ის კი არა ამ ავტორების სხვა წიგნებსაც “ქართული ენისა და კულტურის პროგრამაში” ხშირად ვიყენებდით.

31.13.19

2008 წლის აგვისტო

ნორმალური არა, სეზონური დროით, კალიფორნიაში რომ შუადღეა, თბილისში ზუსტად შუალამეა. მიუხედავად 12 საათის განსხვავებისა, ახლობლებისა და მასმედიის გამო, ქართული ამბების შესახებ ყოველთვის საქმის კურსში ვართ. ასე იყო აგვისტოს ომისა და შემდგომ პერიოდშიც. იმ დღეებში, ასორმოდ ათამდე ადამიანმა მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ორგანიზებულ რუსეთის საკონსულოსთან გამართულ საპროტესტო მრავალსაათიან აქციაში. შემდეგ ქუჩა-ქუჩა დემოსტრატიულად გავემართეთ, ზოგი სან-ფრანსკოელის მხარდამჭერი შეძახილებით გამხნეებულები, კალიფორნიის სენატორ დაიანა ფაინშტაინის უკვე დახურული ოფისაკენ. გზად უკრაინის საკონსულოსთან გავიარეთ, სადაც მოწინააღმდეგე მხარის რამდენიმე, ჩანს სპეციალურად მომზადებულ, ადამიანს ვეკამათეთ...

ყველა გაოგნებული იყო საქართველოს დასაზიანებლად გამიზნული ომის გამო. უკვე მაშინ, ხშირად გაისმოდა პროვოკაციას აყოლილი საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკა, რომელიც თბილისში 80-იანებში ნამყოფმა ასირიოლოგმა, პროფ. ჯერალდ კუპერმა პირადი საუბრის

დროს ასე შეაჯამა: “All he had to do was to stay quiet and do nothing”-ო - “ყველაფერი რაც მას მოეთხოვებოდა იყო ის, რომ მშვიდად ყოფილიყო და არც არაფერი არ უნდა გაეკეთებინაო”.

ახლობლებისა და სხვადასხვა სიახლის ნახვით კმაყოფილები, ომამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულეებს საქართველოდან, ტრაგიკულმა მოვლენებმა თავზარი დაგვცა. უარესის მოლოდინი ჩვენც გადმოგვედო და გაურკვევლობაში მყოფები, მშველელსა და მხსნელს ყველგან ვეძებდით. ამ დროს, ქართული ენისა და კულტურის კლასში “East Bay Times”-ის ჟურნალისტიკა და ფოტო-კორესპონდენტმა მომაკითხეს და ომისა და უნივერსიტეტში ჩვენი საქმიანობის შესახებ მასალის მომზადებაში მონაწილეობის მიღება მთხოვეს. გამოქვეყნებული წერილი ძალიან ვიუცხოვე, თუმცა იმედი მაინც მქონდა, რომ ის სან-ფრანცისკოს ყურის ქალაქებში საქართველოსადმი იმჯერად ძალიან საჭირო ტოლერანული დამოკიდებულების გავრცელებას როგორღაც ხელს შეუწყობდა (<https://www.easbaytimes.com/2008/08/30/georgian-couple-dokuments-folklore-in-new-book/>): ომთან დაკავშირებულ შოს ორი ყველაზე პოპულარული სატელევიზიო არხის მიერ გადაცემული ინტერვიუსთან ერთად, საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდა თუ როგორ უყურებდა ადგილობრივი ქართველობა რუსეთის მიერ პროვოცირებულ აგრესიას.

15.03.19

:+:+:+:

ბავშვობაში რაზე არ გვიოცნებია, მიუხედავად იმისა, რომ გარემო ამის საზრდოს ნამდვილად არ იძლეოდა. კარგად მახსოვს, როგორ შემაშფოთა იმ მსგავსებამ, რომელიც “თეთრი ღამეების” გამოუსწორებელ მეოცნებესა და 12 წლის საკუთარ თავს შევნიშნე. ჯერ გავოცდი, იმდენად ჩემი პირადული სჭირდა ფილმის მთავარ გმირს. მეგონა, საგანგებოდ დაფარული ფიქრები ყველასათვის ხელწასავლები გახდა. შემრცხვა, თან დოსტოვესკიზე გავბრაზდი, რატომ ეპყრობოდა ასე დაუნდობლად მარტოსულს, ვერ გამეგო. მერე საკმაო დრო დამჭირდა რომ უდაო მსგავსება საბოლოოდ უარმეყო.

თანდათან ამგვარ რაღაცეებს პრაქტიკული ამბები ჩაენაცვლა, ხოლო მათი ხორცშესხმა დროთა ვითარებაში ჩვევად იქცა. ბოლოს, კალიფორნიაში ყოვლისმომცველ ფიქრს პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებულმა ყოველდღიურობამ ფერი საგრძნობლად უცვალა. მხოლოდ ერთი რამ უცვლელი დარჩა - ახლობლებთან ერთად ყოფნის ოცნებად ქცეული სურვილი, რადგან საზაფხულო დასვენების ურთიერთობები აშკარად საკმარისი არ აღმოჩნდა.

იმედია, ოცნება ადრე თუ გვიან ლუკასთან ერთად აგვისრულოდება და ახლოობლების თვალთა უკვე არაერთხელ ნანახ აქაურ ღირსშესანიშნაობებს უკვე მართლაც ერთ ჯგუფად შეკრულები მოვიხატულებით.

კერძოდ რას?!

პირველ ყოვლისა, შვიდ ბორცვზე განლაგებულ აღმართ-დაღმართიან, მრავლი სტილის არქიტექტურული ნიმუშებით სავსე სან-ფრანცისკოსა და “გოლდენ გეითის” ხიდიო წყნარი ოკეანისაგან გამოყოფილ ყურეს; ლეგენდარული ალკატრასის კუნძულზე მოთავსებულ გაუქმებულ საპატიმროს, სადაც ქვეყნის ყველაზე საშიში კრიმინალები იხდიდნენ სასჯელს. მათ შორის ალკაპონე და ტომას გადისის განმაურებული წიგნის “Birdman of Alcatraz” (“ალკატრასის ჩიტკაცა”) რეალური პერსონაჟი - რობერტ ფრანკლინ სტრაუდი, რომელმაც ფანჯრიდან ბელურები შეიჩვია და სამუდამო პატიმრობამისჯილი შემდგომ ცნობილ ორინტოლოგად იქცა. თუმცა, ამავე დროს, ამერიკის ყველაზე სასტიკი ბოროტმოქმედის სახელი ბოლომდე შერჩა.

ვიქტორიანულ ძველ სან-ფრანცისკოში ხომ კიდევ ათასი რამ არის სანახავი...

შემდეგ,, ალბათ კარგი იქნება თუ სამხრეთისაკენ, წყნარი ოკეანის სანაპიროს #1 ჩქაროსნული გზით ლოს-ანჯელესამდე ჩავყვებით, სადაც ერთმანეთს ცვლის მასშტაბური ბუნების ულამაზესი სურათები: პაციფიკა, დევილს სლაიდი, ჰალფ მუნ ბეი, პოინტ ლობოსი, მონტერეი, სანტა კრუზი და ა.შ.

თუ ჩრდილოეთისაკენ ამავე გზით წავალთ ბერკლიდან ერთ საათში ფოინტ რეისის საყვარელ, სანაპირო ზოლით გამორჩეულ დიდ ნაკრძალში აღმოვჩნდებით. შემდეგ, ულამაზესი, ათასი რამით სახელგანთქმული მენდოსინო, სონომა და ნაპა ქაუნთები, კიდევ იქით თოვლიანი შასტას მწვერვალი, ლასენის ვულკანური ეროვნული პარკი - ცეცხლზე შემოდგმული ჩაიდანისით მოთუხთუხე გეოთერმული “ბამპასის ჯოჯობეთით”; მოჰავის ეროვნული ნაკრძალი - ვულკანურ ლავაში დარჩენილი გამოქვაბულების მსგავსი, 700 უზარმაზარი “მილით”, სიერას მხარის მთისწინეთის ბუნებრივი გამოქვაბულები და სხვა მრავალი.

ასეთივე საოცრებებია, საერთოდ, უკლებლივ ყველა მიმართულებით, საარაკო ოქროს ციებ-ცხელებით უკვე საუკუნე-ნახევრზე მეტი ხნის წინათ სახელგანთქმული შტატში, სადაც თითქმის ყველა მდინარისა და ნაკადულის ქვიშა-ლორღი ძვირფასი მეტალის მაძიებელთა საცრებშია მისხალ-მისხალ გატარებულ-გადარეცხილი.

და ბოლოს ბერკლი!
 აბა არა?!

18.03.19

“სკოლისაკენ ჰერი-ჰერი”...

გუშინ, წმ.პატრიკის დღეს, ბერკლი მარინაზე - სანაპიროზე წასვლის წინ, ფოსტის ყუთიდან ლუკას სახელოზე მოსული ბარათი ამოვიღე. საკმაოდ სასიამოვნო ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა. ბერკლის გაერთიანებული სკოლების დისტრიქტი გვატყობინებდა, რომ ლუკა “მშობლების და მასწავლებლების ასოციაციის” (PTA) ჯეფერსონის ელემენტარული სკოლის საბავშვო ბაღში ჩასარიცხთა სიაში შეუყვანიათ. ეს ამბავი ძალიან გაგვიხარდა რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ჯეფერსონი ქალაქის ყველაზე კარგ სკოლად ითვლება, თან ჩვენთან ახლოსაა და რაც მთავარია ლუკს მოსწონს - სკოლის დირექტორს, ოთხი შვილის დედას, აქაურად “პრინციპალს” უკვე ესაუბრა.

საქმე ისაა, რომ აქ სკოლებში ბავშვებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ანაწილებენ. ჩვენ ჩრდილოეთ ბერკლიში ვცხოვრობთ, ამიტომ ოთხი საბავშვო ბაღიანი სკოლიდან ნებისმიერში შეიძლება აღმოვჩენილიყავით. შომ ყველა მათგანი მშობლების კრებების დროს, თითქმის ხუთი წლის ლუკსთან ერთად დაწვერა. შესაბამის განაცხადში პირველ ადგილზე ჩვენთვის ყველაზე სასურველი ჯეფერსონი, მეორეზე სოლანოს, მესამეზე შატუკის და მეოთხეზე კიტრიჯის სკოლაა მონიშნა.

სკოლაში ჩასარიცხად ბევრ დოკუმენტს უნდა მოვუყაროთ თავი და სადაც ჯერ არს, 15 აპრილიდან 15 მაისამდე წარვადგინოთ: მთავრობის გაცემული ფოტოსურათიანი პირადობის მოწმობა - რომელიც გასანახლებელია, ბავშვის იმუნიზაციის ანგარიში (+ DtaP - 5 doses, Hepatitis B - 3 doses, Varicella - 2 doses, Polio - 4 doses, MMR - 2 doses), დაბადების მოწმობა, კალიფორნიის ჯანმრთელობისა და შრომის უნარიანობის (CHDP) ფორმა, 2019 წლის 3 მარტის შემდეგ გაცემული კბილის ექიმის დასკვნა. აგრეთვე უნდა შევატყობინოთ, გვინდა თუ არა რომ ბავშვი სკოლაში ავტობუსით მიიყვანონ და სკოლისაკე ბუფეტში იკვებებოდეს, რაც თვეში \$62 დაჯდება (https://www.berkeleyschools.net/wp-content/uploads/2016/08/2016_Calendar_Elem_Menu.pdf.) და სხვა.

ცალკე წერილში, სკოლის დირექტორი ბავშვებს სწავლის დაწყებამდე შემდგომ გასაცნობ ღონისძიებებზე იწვევს: ხელოვნებისა და მუსიკის

შეხვედრაზე - 26 აპრილს საღამოს 6-დან 8 საათამდე, საგაზაფხულო ღია კარის შეხვედრაზე - 16 მაისს 6-7 საათამდე და სამაისო კარნავალზე, 2 ივნისს 2-5 საათამდე.

სწავლა 26 აგვისტოს იწყება.

აი დღის წესრიგიც:

8:12 - დილის წარი,

8:15 - ინსტრუქტაჟი,

9:25 - შესვენება,

9:45 - ინსტრუქტაჟი,

11:00 - საუზმე,

11:50 - ინსტრუქტაჟი,

1:25 - ინსტრუქტაჟის დასასრული.

მშვიდობით უდარდელი ბავშვობავ, არა?!

20.03.19

თიკუნი

ამას წინათ, ლუკამ დედიკოს ჰკითხა, შენი “ნიქნიმი” - ზედმეტი სახელი რა არისო. შოო, უპასუხა შორენამ, რომელსაც ეს შემოკლებული ვარიანტი მე შევარქვი. ლუკა თავად არაერთი თიკუნის ავტორი გახდა: მე “ბაბას” მიძახის; თან დარწმუნებულია, რომ ესაა ჩემი ნამდვილი სახელი. ასევე, დედამისის სახელი მისთვის “დედა” ან “მომი”-ა. ასე შეარქვა მამიდას “მანი”, ხოლო ლალი ბებოს “ბებე” და სხვა. ლუ დაინტერესდა, რა იყო ჩემი თიკუნი და როდესაც შომ უკანახა, ”ვაჩი“-ო შემომძახა, ხოლო სრული სახელი ისევ დედიკოს შეხსენებით გაშიფრა.

ეს შემოკლებული სახელი და გვარი “წოპეს” მოგონილია, როდესაც ჯერ კიდევ 80-იანი წლებში კერძო ფირმის დაარსებაზე ერთად ვოცნებობდით. შემდეგ ის ბერკლის კომერციულ დაწესებულებებში მუშაობის დროს გამომადგა და დღეს ზოგჯერ სამეზობლოში და უნივერსიტეტშიც ბევრი ამ თიკუნით მომმართავს, რადგან ნამდვილი სახელის წარმოთქმა უჭირთ. დღემდე, ერთ-ერთი დაწესებულებიდან სარეკლამო მასალებს “Vakh - Tang - Chiko - Vani”-ის გაჩინებულ-გავიქნამურებულ სახელზე ვიღებ. შოს გვარს არცთუ იშვიათად “კურსიციკაია” ან “კურსიციკად” გადააბრუნებენ და სხვა.

სკოლაში “ბუდიონი”, “შიმშილა” და “ბუჯი” გვყავდა, სტუდენტობაში “ჭოხო”, “კერესა” და “ჭუბრიკა”. რადიკალურედ განხვავებულებს - “იმნაირებს”, უნივერსიტეტის პროფესურას, რომელთა უმეტესი ნაწილი ებრაელებისაგან შესდგება - “პედაგოგებს”, შუამდინარეთის

ჰოლანდიელი მკვლევარს, რომელიც ბახის სახელობის გუნდში საეკლესიო ქორალებს გატაცებით ასრულებს - “მომღერალს”, ყოფილ მეზობელ ლოტოსას - “ყვავილს”, ხოლო მეზობელ მავრს “ჯუმბერას” ვუძახით და ა.შ.

ლოუკამ რატომღაც ერთ-ერთი ვიდეოს ნახვის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მისი თიკუნთი ანუ “ნიქნეიმი” ასო “B” - “ბი” იქნება.

20.03.19

ახლოვდება...

პირველ აპრილს ლოუკა ხუთი წლის ხდება!

რალა დარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, სად ან როგორ გადავუხდით დღეობას. საქმე ისაა, რომ დღეგამომშვებით წვიმს და ბალახიანი მინდვრები და პარკები ისევ გაჟღენთილია წყლით. ალბათ მაისის ბოლომდე ისინი დამცავი ღობეებით იქნება შემოფარგლული. პროგნოზის მიხედვით, ისეთი პირი უჩანს, რომ დღეობის დღესაც იწვიმებს. ასე რომ, ჩვეულებისამებრ, ბუნების წიაღში, სათამაშო მოედნების სიახლოვეს, წვეულებას ვერ გავმართავთ; ხოლო ერთი ციცქნა სახლი ლოუკას წამოზრდილი და სუპერაქტიური ამხანაგების საგრძნობლად გაფართოებულ წრეს + მშობლებს ველარ დაიტევს.

ის დრო წარსულს ჩაბარდა, როდესაც პატარები ძლივს დაბაჩუნობდნენ და სულ დედ-მამის სიახლოვეს ტრიალებდნენ. ახლა პირიქით, მშობლები ცდილობენ, რომ ბავშვები ხელიდან არ გაუსხლტდნენ და ღობე-ყორეს არ მოედონ. თან ასეთი წვეულების შემდეგ, სახლი ძნელად დასალაგებელია. მით უმეტეს, რომ ასეთ აქტივობას ჩემი “კონდიშენის” გამო ამჟამად მოკლებული ვართ.

ერთი სიტყვით, პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. ჩვეულებრივი რესტორნის იმედიც არ უნდა გვქონდეს, რადგან ამ ასაკში თამაშ-გართობაა ყველაფერი და არა პიცა და თოხლაობა. არადა, ბავშვების დღეობის გადასახდელად ვარგისი ყველა დარბაზი თურმე სამი კვირით ადრე უნდა შეუკვეთო და შიდაგანაწესის უამრავ შეზღუდვას უნდა დაემორჩილო და თან საკმაოდ ძვირი აღმოჩნდა. არა და ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სპეციალურად წინასწარ შეკვეთილი სხვადასხვა სტილის 5-6 პიცით, სადღეობოდ გაფორმებული ტორტით და ალერგიული ბავშვებისათვის საგანგებოდ დამზადებული ტკბილეულით, სასმელებით, იუბილარისა და მისი მეგობრებისათვის შექმნილი დეკორირებული ბუშტებით, კანფეტებით და მინი-სათამაშოებით სავსე პინიატით ვაპირებდით იოლად გამოსვლას.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ლუკა არაფრის შესახებ არ გვაგებინებს მის აზრს, თუ როგორი დღეობა უნდა რომ ჰქონდეს: არაფერსაც არ გეტყვით, ხომ კარგად იცით, რომ მე სიურპრიზები მიყვარსო, გამოგვიცხადა.

ეტყობა დღეობა სხვა რიცხვში უნდა გადავიტანოთ ან რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ.

არადა პოტენციური სტუმრები უკვე წვეულებას დაუფარავად ელიან... კიდევ ერთი რამ: ნოემბრიდან ვიღებ ანტი-იმუნო-დეპრესანტს - პრედნიზონს და ბაგა-ბალებში ყოველდღე მოსიარულე წკვინტილიან ბავშვებთან შეხვედრა სარისკოა მგონი, შორენას აზრით...

22.03.19

“ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს”...

ამ ჩანაწერიდან რა გამოვა და შევა თუ არა ის მოგონებების დასრულებულ ვარიანტში, ნამდვილად არ ვიცი. თუმცა ყოველმხრივ ვეცდები, რომ “არც მწვადი დავწვა და არც შამფური” და არც არავის გული დავწყვიტო. როგორი საქმეა “იმნაირების”, “სხავანაირების”, გეების, უკანასკნელთა ოპონენტებისათვის და კიდევ ჩვეულებრივებისათვის ერთისა და იმავე საკითხების შეჯერება. იმეღია იმას მაინც შევძლებ, რომ დღესდღეობით ვითომ ყველაზე მწვავე პრობლემაზე, კალიფორნიაში ცხოვრების პერიოდში, ჩვენი პირადი დამოკიდებულების ნეიტრალურიდან ტოლერანტულობამდე ცვლილება დავაფიქსირო.

საერთოდ, ასეთ რამეებზე, რაც თავი მახსოვს, ბოლო დრომდე არ იყო ლაპარაკი მიღებულში, თითქოს ტაბუც ჰქონდა დადებული. მხოლოდ პირადულ საუბარში თუ შეეხებოდნენ მსგავს თემას, ისიც ზოგადად. იმიტომ რომ ეს სფერო, სულ ახლახანსაც, უკიდურესად პირადულად ითვლებოდა. ამის გამო, ქალ-ვაჟის გაოფიციალურებულ თუ მალულ ლტოლვასთან დაკავშირებული ამბები ძირითადად ლიტერატურის და ჭორის სფეროს განეკუთვნებოდა, სადაც აშკარად იმჟამად ხელმისაწვდომი წყაროებიდან გადმორუსულებულ-გადმოქართულებული ფრანგული მწერლობა და ლოკალური ზეპირი გადმოცემები დომინირებდნენ - ამავე დროს სათანადოდ გვაყალიბებდნენ კიდევ. ამ სახის მხატვრული ლიტერატურის - ბალოზაკის, სტენდალის, ზოლას, მოპასანის, ანატოლ ფრანსის და სასიყვარულო რომანების სხვა მეტრების და ჩურჩულით გავცელებული ყურმოკრული ამბების შემყურეს, ჯერ კიდევ სულიად ნორჩს, “ამურულ” საკითხებში განსწავლულ პიროვნებად მიმაჩნდა თავი; მაშინაც, როდესაც საერთოდ წარმოდგენა არ მქონდა რა იყო

გატაცება, ვნება, მით უმეტეს სქესთა შორის ჩვეული სიყვარული და ბოლოს, ყბადაღებული სექსი.

ერთი რამე მაშინ მეგონა, ნამდვილად კარგად ვიცოდი, რომ საოცნებო “თავისუფალ სამყაროში” ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივი იყო, ჩვენთან კი არ გასამხელი (“სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა” და ა.შ.), საიდუმლო, ბურუსით მოცული და არც თუ იშვიათად, დასაგმობ და გასაჭორ რამეებთან დაკავშირებული.

ზოგჯერ, ხან ერთი ხან კი მეორე მხრიდან, იმ დროს სრულიად საარაკო ერთსქესიანთა ურთიერთობის ძნელად დასაჯერებელი არაკებიც ჩაგვესმოდა - ყველასაგან პატივცემულმა ადამიანმა ძველი თბილისის კულტისაგან რთულად გამოსაცალკეებელი კინტოები აუგად მოიხსენიაო და სხვა. “კინტაური” შემსრულებლები რომ სცენაზე ნაკლებ მამაკაცურ სახეებს ქმნიდნენ, ვითომდაც კომიკურად იქცეოდნენ, ყმაწვილებს ძალიან გვაკვირვებდა. მაშინ, სრული ახსნა ამ მოვლენების უმრავლესობიდან, არც არავის შეეძლო, ხოლო მცოდნეები დაუწერელი ტაბუს გამო, დუმილს ამჯობინებდნენ. ოპერის უკან, სანაპიროზე მდებარე საზოგადოებრივ საპირფარაშოში, რაღაც ძნელად ასახსნელი ამბები რომ ხდებოდა, ჭორის დონეზე თითქმის ყველამ იცოდა, მაგრამ, ამის შესახებ კრინტს არავინ ძრავდა. უცებ, სულ რაღაც ორიოდე ათწლეულში, იქამდე ოფიციალურად დასაძრახი და დასასჯელი საქციელი საამაყო რამედ გახადა ევროპა-ამერიკის უმეტესმა ნაწილმა - აქტიურად დაუწყეს აქამდე უგულებელყოფილთა უფლებებს დაცვა და გარკვეულწილად აღწევებასაც შეეცადნენ. ამას უთვალავი მიზეზი განაპირობებდა, როგორც დემოგრაფიული პროცესების მართვის, ისე სოციო-ეკონომიკური მოთხოვნა-მოცემულობიდან გამომდინარე. საოჯახო ღირებულებების კოროზიისა და ინდივიდის “სუპერ გმირად” გადანათვლის პროცესში, ბევრი რამ მოხდა: თითქმის მოდად ქცეულ გეობას ნამდვილი და თვალთმაქცი ქომაგების, აპოლოგეტებისა და წარმატების გზაზე შემდგარების მხრიდან დაცვის მოიმედე, რაღაცის გამო გულნაკლოულთა გუნდები შეუერთდა და სხვა.

ამ დროს, ცხოვრება გრძელდებოდა და თანდათან უცნაური სიახლით გამოწვეულმა საყოველთაო აჟიოტაჟმა საგრძნობლად იკლო. ერთ დროს სანახაობრივად პოპულარული “გეური სიამაყის დღეების” და ჰელოუინის დემონსტრაციები თავად გეების, მათი მხარდამჭერებისა და ტურისტების ამარა დარჩა. თვითონ გეებმა კი ჩვეულებრივი უმცირესობების დარად განაგრძეს საზოგადოებაში არსებობა. კერძო სახლში მეზობლად გადმოსულმა წყვილმა, უბანში ფეხაკრეფით და მალვით სიარულს თავი მიახება და დიასახლისის როლში მყოფმა ქალმა თვალეზამდე ჩამოფხატული ფარფლებიანი ქუდი თავიდან მოიშორა. უნივერსიტეტში და ბიზნესებში შიშადავიწყებული

გამხელოილი გეები მომრავლდნენ და ნამდვილ “კოჰაბიტაციის” პროცესს ჩაეყარა საფუძველი.

ასეთი რეალობა, დროთა ვითარებაში, ეტყობა საქართველოშიც ფეხს მოიკიდებს.

04.04.19

:+:+:+:

13-დან 19 წლამდე ანუ 1961-1967 წლებში, მეც საკმაოდ “აჭრილი” ვიყავი, თუმცა არც მანამდე და არც შემდეგ “ზემდგომი ორგანოების” მიერ მართული “წუთისოფლისადმი” გააზრებული მიდგომით არ გამოვირჩეოდი. ერთმა ყველაფრის მცოდნე სტუდენტმა გოგონამ მაშინ ასე “ამიწია მარკა” თავის დაქალთან: “ამის კლასელებიდან ჩემი დეიდაშვილი და ეგ გადარჩა მარტო, დანარჩენები ქუჩურ ჩხუბებს და ნარკოტიკებს გადაჰყვნენ ან კოლონიებისა და ფსიქიატრიულის მუდმივი კლიენტები გახდნენო”. იმდროინდელი რეალობა უფრო ღია ფერებშიც შეიძლება აღწერილიყო, თუმცა ეს ფრაზა მაინც საკმაოდ კარგად ახასიათებს “ჩინური წვრილი დანების ეპოქას”, როდესაც ჩვენი თაობის ბიჭბუჭები ვთინეიჯერობდით.

დედას შემდეგ მალე ახალი ტრაგედია მოგვადგა კარს: ყველასაგან გამორჩეულმა თანაკლასელმა და მეზობელმა მამამისის სანადირო თოფით თავი მოიკლა, ჩხუბის დროს მის მიერ დაჭრილი ბიჭის სიკვდილი რომ გაიგო. ამ ამბავმა მთელი უბანი შეძრა. დედამისთან ყოველი შეხვედრის დროს ალმურში ვეხვეოდი...

იმ დღეებში, მეგობრებმა მისი სურათი გავადიდებინეთ. ხის ფიცარზე დაკრული ფოტო წლების განმავლობაში შუშაბანდში თაროზე ჩამწკრივებული წიგნების თავზე იდო. შემდეგ უფრო მაღლა ჭერისკენ მივუჩინე ადგილი. ერთხელაც ფართოდ გაღებულ ფანჯარაში მტრედი შემოფრინდა და პირდაპირ იმ სურათს დაასკუპდა - ღულუნით გულ-მკერდის ნისკარტით წმენდა დაიწყო...

07.04.19

:+:+:+:

რამდენიმე დღის წინათ, ჩვენს სამეზობლოში სამწუხარო ამბავი მოხდა. სამსახურიდან დაბრუნებულმა შომ პარკინგ ლოტზე ჯოანის აპარტამენტის წინ პოლიციელებს და უცხო ქალებს მოჰკრა თვალი. გულმა რეჩხი მიყო, წინა კვირაში, სეირნობის დროს, ცელოფანის კონვერტებში ჩადებული აპარტამენტების ადმინისტრაციის მესიჯებით დახუნძლული ჯოანის კარის სახელური გამახსენდა. რადგან დედამისის დანატოვარი ფულით შექნილი “ტოიოტა ჰაილენდერი”

იქვე იდგა, ქალიშვილის მანქანით სადღაც სამოგზაუროდ წავიდა-მეთქი, გავიფიქრე. მერე მეზობლებისაგან გავიგეთ, რომ ჯოანმა, ლესლის დაღუპვის შემდეგ, სმასა და დამაწყნარებელი საშუალებების ხმარებას მოუხშირა, თან თურმე მამამისთან საცხოვრებლად გადასულ თავის ქალიშვილს უკვე ორი წელი იყო რაც ხმას არ სცემდა. ბოლოს, იმავე ქალბატონების მოწმობით აღმოჩნდა, რომ სამეზობლოში ცნობილი ძველი ნიჩბოსანი და ველომსრობელი, ორი კვირის წინათ, გამაბრუნებელი საშუალებების დიდი ულოუფის მიღების შემდეგ, უნაყოფოდ გასცლოდა აქაურობას. ამ ამბავმა გული ბევრს დასწყვიტა. განსაკუთრებით იმათ, ვინც ჯოანის არაჯანმრთელი მიდრეკილებების შესახებ მეტი იცოდა და სპეციალიზირებულ კლინიკებში არაერთხელ ჰყავდათ თურმე სამკურნალოდ მიყვანილი.

იმედია, მსგავს სამწუნარო ამბებზე ჩანაწერების გაკეთება, ღვთის წყალობით, აღარ მომიწევს.

09.04.19

:+:+:+

დღევანდელმა ქართულმა საიუბილეო ტელეგადაცემებმა, აი რა გამახსენა:

ოცდაათი წლის წინათ, მივლინებიდან დაბრუნებულმა, აეროპორტში ტაქსი დავიქირავე და სახლისაკენ გამოვსწიე. რუსთაველი ისევ მოშიმშილეების გამო გადაკეტილი დამხვდა და სანაპიროთი მოგვიწია ვაკისკენ წამოსვლამ. სახლის კარი შევალე თუ არა, საზღვარგარეთ მყოფი მეზობლის მეუღლე გამომეცხადა და მთავრობის სასახლესთან მოშიმშილეთა მხარდასაჭერ მიტინგზე წასვლა შემომთავაზა. მიუხედავად იმისა რომ მოსკოვურმა მივლინებამ ნამდვილად დამღალა, მაინც სიამოვნებით დავთანხმდი. ჭადრაკის კლუბთან, რუსთაველის პროსპექტი ტროლეიბუსებით ჩახერგილი იყო, ხოლო ახალგაზრდების ცოცხალმა ჯაჭვმა გზა გადაგვიღობა. ბიჭები ცდილობდნენ, რომ მთავრობის სასახლისაკენ მიმავალი ხალხი უკან გაებრუნებინათ. მათ შორის იყო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ახალგაზრდა აქტივისტი, შემდგომ შევარდნაძის ერთ-ერთი მინისტრი. ეტყობა ჯაჭვში მყოფებმა უკვე დანამდვილებით იცოდნენ, რომ ჯარი მობილიზებული იყო და ყოველნაირად ცდილობდნენ, იქით არ გავეშვით. უკვე ძალიან გვიანი იყო და ჩვენც შინ დავბრუნდით.

გათენდა თუ არა, ჭავჭავაძის პროსპექტით ისევ მოშიმშილეებისაკენ გავსწიე, მაგრამ “ლეჩკომბინატამდეც” კი ვერ ჩავალწიე. “ავრორას” წინ, ქუჩის გამყოფ ზოლოზე, მილიციის მაღალჩინოსანი მოდიოდა და აივნებზე გადმოყუდებულ ხალხს ევედრობოდა რომ მის უკან მოძრავი ტანკისათვის არაფერი არ ესროლათ. ყველაფრიდნ ჩანდა, რომ წინა

ღამით დიდი უბედურება დატრიალებულიყო რუსთაველზე. როდესაც პარალელური ქუჩებით თსუ-ს პირველ კორპუსთან მივდი, იქაც მედესანტეების ორი პატარა ტანკი დამხვდა. ერთს კეკელიძის ქუჩის დასაწყისი გადაეკეტა, რომლის გვერდზე სამხედრო ფორმაში ჩაცმული რუსი გოლიათი ღიმილით უმასპინძლებოდა იშვიათ გამვლელებს, ხოლო მეორე ცენტრალური კორპუსის წინ ძრავა-ჩართული იდგა. უკანასკნელთან მოულოდნელად პირისპირ მივიდა მცხეთის ქუჩაზე მცხოვრები ნაცნობი ბიჭი და ტანკის მძღოლს “ლიუკიდან” ლაპარაკი დაუწყო. დაძაბული ვითარების განმუხტვა ორმა მანდილოსანმა სცადა, მაგრამ რაჭველი მეხინკლეების უბნელი არც ერთის ნებას არ დაჰყვა. ისევ წყნარად აგრძელებდა ტანკში ჩაჭედებულ მძღოლთან საუბარს... უცებ ტანკს დაგდაგ-ჭრიალით რაღაც მოეშალა, ასფალტზე მუქი სითხის მოზრდილი გუბე გაჩინა და მანქანა დადუმდა. ცოტა ხანში, ტექნიკური სამსახურის ტვირთმზიდზე რის ვაი-ვაგლანით აგორებულნი საბრძოლო მანქანა იქაურობას მოაშორეს.

ამ დღეებში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, გრიგოლ ვეშაპელის წიგნზე მუშაობას ვასრულებდი. ახალი გამოცემის შესავალი წერილის მომზადების დროს, ტრგედიით შეღონებულს, მკრეხლოურმა აზრმა გამიეღვა თავში - ქვეყანაში შესაძლებელია საქმე ისე წაგვივდეს, რომ ამ დღის ხსოვნა საერთოდ გაქრეს ან ვინმემ ეს ამბავი სხვა მიზნების მისაღწევად გამოიყენოსთქო. ხელნაწერი ჩვენი ინსტიტუტის სწავლო-მდივანს, ვეშაპელის ემიგრაციის პერიოდის პარიზელი მოღვაწის ვაჟს მივუტანე და რედაქტორობა შევთავაზე. პასუხმა დიდხანს დაიგვიანა. სამაგიეროდ, მისი საშუალებით გაირკვა, რომ ეს ნიჭიერი პუბლიცისტი საფრანგეთში ცხოვრების ბოლო პერიოდში პროსაბჭოთა პროპაგანდისტი გამხდარიყო, რის გამოც ის ავთანდილ მერაბიშვილს მოუკლავს კიდევ. შესაბამისად, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ვეშაპელის წიგნის ხელმეორედ გამოსაცემად დრო ნამდვილად არ მქონდა კარგად შერჩეული.

24.04.19

წვრილმან-მსხვილმანი

ოქსფორდის ქუჩაზე ცხოვრების პერიოდში, საღამოობით უნივერსიტეტში ხშირად ფეხით მივდიოდით. ჩვენი ბინიდან ორიოდე კვარტლით დაშორებულ კამპუსში, ამ დროს ახლად ჩამოსულებსათვის ბევრი უჩვეულო რამე ხდებოდა. განსაკუთრებით, სფრულო ჰოლის მოედანზე, სადაც 1964-65 წლებში ბერკლის სტუდენტების მიერ დაარსებული “თავისუფალი სიტყვის” მოძრაობის (https://en.wikipedia.org/wiki/Free_Speech_Movement) მემორიალია ქვაფენილში ჩამაგრებული. თითქმის ყოველ საღამოს, ამ დიდი ზომის

დეკორატიული დისკოს გარშემო მსხდომი ღამის ვიზიტორები ჯოხების რიტმული დარტყმებით სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ცარიელ ჭურჭლებს აქლარუნებდნენ. ამით, თითქოს მათ საყურებლად თავშეყრილ ადამიანებს მეტი გამბედაობის გამოჩენისაკენ მოუწოდებდნენ.

ამ უცნაური სანახაობის უკან ვინ იდგა, ძნელი სათქმელია: რევოლუციური წარსულის მქონე ლიბერალურად განწყობილი პროფესორა, დემოკრატიით გაბეზრებული ადამიანები თუ სხვები, არავინ იცოდა. უკანასკნელთა რიგებში უნდა ყოფილიყო ერთი ადგილობრივი ინსტიტუტის დირექტორიც. ამ ქალბატონმა “პრადის გაზაფხულის” გახსენების დროს მოულოდნელად მკითხა: რა სხვანაირი წარმოდგენა გვქონდა მაშინ დემოკრატიაზე, ხომ გახსოვსო?!

დასარტყმელი ინსტრუმენტების ენთუზიასტების ჯგუფებს ხან წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ხან აქაურ ტყე-პარკებში ვხვდებით. ადგილობრივები თვლიან, რომ რიტმული ჰანგების კოლექტიურ შესრულებას სამკურნალო-თერაპიული ეფექტიც გააჩნია. ეტყობა ასევე ფიქრობდა ცხონებული ჯოანიც, რომელიც სხვადასხვა ტიპის დოღებს თავად ამზადებდა. მის პატივსაცემად გამართულ მეზობლების შეკრებას მოხალისე მედოლეების ჯგუფი და სიმღერის მოყვარულთა გუნდიც დაესწრება თურმე, რათა რელიგიური ქორალებით და დაფდაფებით მისი ცხოვრება სათანადოდ იდღესასწაულონ.

⋈⋈⋈⋈

ჰოპკინსის ქუჩაზე გადაბარგების შემდეგ, ქართული კლასის დაწყებამდე მანქანას ისევ ოქსფორდზე ვაჩერებდი: აჩქარებული ნაბიჯით, კამპუსის გავლით, დვინელის ჰოლისაკენ მივდიოდი. იქ კვირაში ორჯერ ან სამჯერ 90-წუთიანი გაკვეთილი + გზაზე დახარჯული დრო ორ საათში უნდა ჩამეტენა, რომ პარკინგის წესების დარღვევის გამო \$50-იანი ჯარიმის გადახდა არ დამჭირვებოდა. გზად ბუნებისმეტყველების ჰოლს ჩავურბენდი ხოლმე, რომლის სკვერში ეგზოტიკური ხის ერთ-ერთი ტოტი სავარჯიშო ძელს დამსგავსებოდა. საკმარისი დრო არასოდეს არ მქონდა, თორემ არაერთხელ მიფიქრია ზედ ჩამოკონწიალება. ერთხელ, დილა ადრინად, იმ ლამაზ ხესთან პოლიციელების ჯგუფი დავლანდე, რომლებსაც იქაურობა კარვის მაგვარი ლურჯი შალითით საგანგებოდ შეუფუფთათ.

მერე, ბუნებისმეტყველების კორპუსთან ჩავლილი, ხშირად ვფიქრობდი იმაზე თუ რას უმაღავდნენ მაშინ პოლიციელები გამვლელებს. ვიცოდი, რომ ვიღაცას იმ ძელზე თავი ჩამოეხრჩო: ვინ და რატომ გადადგა ეს საბედისწერო ნაბიჯი, ვერ დავადგინე.

:+:+:+:

ერთხელ მოფიტის ბიბლიოთეკასთან ნამდვილად ბერკლოური სტილის დემოკრატიის გამოვლინება ვიხილე. უკვე შუადღე მოტანებული იყო, შენობებს შორის სტუდენტები მიმოდიოდნენ: გზის პირას კი თეთრებში გამოწყობილ ყმაწვილს თვითნაკეთ აბრაზე დიდი ასობით პირადი გამოცდილება შემდეგნაირად ჩამოეყალიბებინა - “სისუფთავის შესანარჩუნებლად მასტურბაცია უებარი საშუალებააო!”

იქვე, სატერ გეითის თაღთან, სანიაღვრე ბადით დაფარულ კოლექტორზე ვიღაც ყმაწვილი წამოწოლილიყო და ტუალეტის ჩვეულებრივი დგუშის რიტმული მოძრაობებით მონდომებით “ასუფთავებდა დაბინძურებულ სამყაროს”. ცოტა მოშორებით, რომელიღაც რელიგიური კონგრეგაციის წევრი ემოციურად მოუწოდებდა გამვლელებს ცხოვრების არსსზე დაფიქრებულობას და ღმერთისათვის პატიება ეთხოვდა.

ცოტა მოშორებით, გასაშლელ კიბეზე შემდგარ წვრილთვალება მამაკაცს ჩინური დამწერლობის სიმბოლოებით სავსე დიდი აბრა აწეულ ხელებში უკვე წლებია რაც გამოუფენია, თუმცა ყურადღებას მგონი თავისიანებიც კი აღარ აქცევენ. გაზაფხულობით შორიანლოს ხანშიშესული ერთი ჩინელი კაცი სიმებიან ინსტრუმენტზე მშვილდისმაგვარი “სტიკის” გასმა-გამოსმით უცნაურ ჰანგებს აწრიპინებს და ა.შ.

:+:+:+:

ბერკლიში ლექციების პროცესში აუდიტორიის კარი ღია უნდა იყოს, რომ ყველამ იცოდეს თუ რა ხდება ამ დროს კლასში. ასეთი რამ სტუდენტებს ახალი საგნისა თუ ლექტორის შერჩევაში ეხმარება, თან კორპუსების შიგნით სიტუაციის კონტროლს აადვილებს. არცთუ ისე იშვიათად, ღია კართან პოტენციური მომავალი მსმენელების ჯგუფი იყრის თავს. დროთა ვითარებაში ღია კარს ისე გავუშინაურდი, რომ გარეთ მყოფები აუდიტორიაში არაერთხელ შემოპატიჟებია.

ერთხელ, ლექციის პროცესში შევამჩნიე, რომ შემოსასვლელთან ახლოს მსხდომებს, ალბანელ ბიჭს და ისრაელში დაბადებულ ქართველ ებრაელს, რაღაც ხელს უშლიდათ. ღია კარისკენ შეტრიალებულს, ღიობი ლამაზად ჩაცმული მანდილოსნებით ამოვსებული დამხვდა. ერთ-ერთ მათგანი კლასში ნახევრად შემოსულიყო და ვიდეოს იღებდა. არაბერკლოურად ჩაცმული ქალბატონები აუდიტორიაში შემოვიპატიჟე, მაგრამ ჩქარობდნენ და მადლობის გადახდის შემდეგ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების კაკუნით გზა განაგრძეს. მათ უკან, უქუსლო

ფენსაცმელებიანი სტუდენტი ტლაშა-ტლოშით მიუყვებოდა კორიდორს...

03.10.19

«Сумчатый волк» და მამა

დილით იუთუბს ვხსნი და ათასი წარმომავლობის ვიდეოსა და ამბავს ვეცნობი. გუშინ ერთ რუსულ ფილმს ვუყურე. ის გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისის, მაჟავანაძე-შევარდნაძის დაპირისპირების ხანის ერთ-ერთ “ანტიგმირს”, ჩვენი სახლის პირველ სართულზე მცხოვრებ “დელეცს” ეძღვნებოდა. დოკუმენტური ფილმი ყავლგასული შოვინისტური მითის გადამღერება იყო - “Грузины лучше всех жили в СССР!”-შიო.

დღე ჩვეულებისამებრ მიიწურა. სალამოს საწოლში ჩავგორდი, მაგრამ მალე ფიქრმა გამაღვიძა. ნახევარი საუკუნის წინათ მომხდარმა ამბებმა თავი შემახსენა; თან ისე, რომ თითქოს ძალიან შორიდან ვაკვირდებოდი ნაცნობ სიტუაციას: ექსპედიციიდან დაბრუნებულ სტუდენტს, მეზობელი უკვე დასახვრეტი მუხლით დაკავებული დამხვდა. ქალების ამარა დარჩენილი ოჯახის ყოფით შეწუხებულმა, დაპატიმრებულზე ორჯერ უფროსმა მამამ ჯერ კიდევ ზურგჩანთამოკიდებულს ქვედა სართულზე ჩასვლა მთხოვა: მიდი, ნახე ეგებ რაიმეთი მიეხმარო. მას კარგად ახსოვდა თუ როგორ დარდობდნენ ქვედაურები რამდენიმე წლით ადრე ჩვენი ოჯახის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას...

მოკლედ რომ ვთქვა, იმ დღეს ჩვენი ბინის ყველაზე დაცული ოთახი 15 წლით (sic!) ქვედაურების ავლა-დიდებით გაივსო, ხოლო მამას შეურყვნელი პატიოსანი კაცის რეპუტაცია “სახელმწიფო დამნაშავის მიერ არაკანონიერი გზით მიღებული” შემოსავლებით შექნილი მოძრავი ქონების ხელშეუხლებლობის გარანტიად იქცა. ეს “კრიმინალებთან” სამკვდრო-სასიცოცხლო კარიერულ ომში ჩართულ პარტიულ ელიტას არ ეპიტნავა, რის გამოც მამაჩემის დასჯა გადაწყვიტა.

კი მაგრამ, როგორ და რა მიზეზითო, იკითხავს კაცი. როგორ და “ობიექტური მეცნიერული კრიტიკითო”, ვასუხი მზად ჰქონდათ. განდობილებს შორის ჩურჩულით გადაცემული ბრძანება მალე ამოქმედდა. ამრიგად, საზოგადო საქმეზე თავგადაკლოულ მკვლევარს საჯილდაო ქვასა და იაფ პოპულარობას დახარბებული ახალგაზრდა “ვაი ოპონენტი” მიუსიეს. უკანასკნელი, მამას ხელმძღვანელობით მომზადებულ მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს წლების განმავლობაში საშური რეგულარულობით “კრიტიკის ქარ-ცეცხლში” ატარებდა და

თან “ვაჟკაცდებოდა”. ერთხელ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთი უნიკალური მრავალტომეულის გამოცემის გაგრძელებას რეალური საფრთხე დაემუქრა და მამა იძულებული გახადეს «სადაო» გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში მისი “კრიტიკოსის” ბოსი - “მთავრობის კაცი” შეეყვანა, რომელმაც “გაკრიტიკებულ” გამოცემაზე მომუშავე შემოქმედებით კოლექტივთან ერთად, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფო პრემია მიიღო - “გააჩალიჩა”.
ღმერთმა შეუნდოთ!

შორენას კალიფორნიული ფაილი:

“ქართული ენისა და კულტურის პროგრამა” ბერკლის უნივერსიტეტში 1994-2014 წწ.

შორენა 1972-1983 წლებში თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლობდა. მშობლებმა სკოლაში ხუთი წლის შეიყვანეს. უკვე წერა-კითხვის მცოდნეს, მალე მობეზრდა იქაურობა. მისი სკოლის მოწაფეები ამავე პერიოდში იყვნენ შემდგომ კარგად ცნობილი პიროვნებები: მაშინ სკოლის ბუფეტის მასშტაბში სუპერაქტიური მიშა სააკაშვილი (ბუფეტში შეუჩერებელი სირბილის დროს მან შესვენებაზე შოს შემთხვევით დაჯახებისას ნეკა თითი მოტეხა და რამდენიმე თვე მუსიკის გაკვეთილებიდან „გაათავისუფლა“), ზურა ჟვანია, ირინა სარიშვილი, ლალი მაროშკინა და სხვები.

პირველ ექსპერიმენტულში სწავლა შალვა ამონაშვილის პედაგოგიური ექსპერიმენტების, მოსწავლეებს შორის დიდი კონკურენციისა და მომთხროვნი მასწავლებლების გამო ადვილი არ იყო; მით უმეტეს, თუ მოსწავლე შორენასავით იქვე არსებულ მუსიკალურ და სპორტულ სკოლებშიც დადიოდა.

სკოლაში სწავლის მთელი ხნის განმავლობაში ის ინგლისურ ენაში, ფორტეპიანოს კლასში, ცეკვასა და ცურვაში ერთნაირი მონდომებით მეცადინეობდა და თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ან კინოდოკუმენტალისტიკის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელებას ფიქრობდა. ბოლოს, სკოლის დირექტორის ნორა ტარიელაშვილის გეორგაფის ცნობილი გაკვეთილების, “მოგზაურთა კლუბის” ტელეგადაცემებისა თუ მოგზაურობის მოყვარული ოჯახის წევრების - გეოლოგი მამის, აღმოსავლეთმცოდნე დედისა და სვანეთ-ხევსურეთში დასვენებას შეჩვეული ინჟინერი დეიდის ზეგავლენით, ეთნოლოგიის შესწავლა გადაწყვიტა და თსუ-ში შესასვლელად დაიწყო შესაბამის საგნებში თვითონ მომზადება.

იმ დროს, თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე „ზემოდან“ დაშვებული სიის გარეშე იშვიათად თუ ვინმე ხვდებოდა. შორენამ, მისაღები გამოცდების ჩაბარების დროს, „სიაში“ არყოფნის გამო, ისე დაამახსოვრა თავი მის „გასაწურავად“ თავშეყრილ კომისიის წევრებს, მის მომავალ ლექტორებს, რომ თსუ-ს ყოფილი პროფესორი, ისტორიკოსი გოგი დემეტრაძე შემდეგ წლების განმავლობაში აღფრთოვანებით უყვებოდა ხოლმე ნაცნობ-მეგობრებს თუ როგორ შემოაკლდათ იმ დღეს მის კოლეგებს ხუთიანის პრეტენზიის მქონე აბიტურიენტის ჩასაჭრელი კითხვები. გოგი დემეტრაძე მერე წლების განმავლობაში თითქმის ყველა ლექციაზე სპეციალურად რთულ კითხვებს უსვამდა *ქურციკიძეს* სტუდენტებით სავსე აუდიტორიის წინაშე, რომ მისი მაგალითის საშუალებით, სხვები ისტორიის შესწავლით დაეინტერესებინა. რამდენიმე წლის წინათ, თსუ-ს პირველი კორპუსის ჰოლოში ეს ამბავი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილი სტუდენტის ნახვით გახარებულმა, თავად დაწვრილებით მოგვიყვა, საქართველოში შვებულებით ჩასულა. მრავალრიცხოვანი მსმენელებით გარშემორტყმული, თან გამვლელ-გამომვლელ ნაცნობ პროფესორ-მასწავლებლებს აჩერებდა და იმ საარაკო გამოცდის ამბავს ამაყად წარმოთქმული ფრაზით ამთავრებდა: “აი, ეს ჩვენი ყოფილი სტუდენტი ეხლა ბერკლის უნივერსიტეტში ასწავლის და ინგლისურ ენაზე სქელტანიან წიგნებს აქვეყნებს ევროპასა და ამერიკაშიო.”

მალე, შორენას სწავლაში მიღწეული წარმატებების გამო, ფაკულტეტზე ყველაზე პრესტიჟული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია დაენიშნა, რომელიც მას მთელი ხუთი წლის განმავლობაში ეძლეოდა. შორენამ თსუ-ში (1983-1988წწ.) სტუდენტების საფორტეპიანო და მომღერალთა გუნდების არაერთ კონცერტსა და სპორტულ შეჯიბრებაში (ტანვარჯიში, ცურვა, სირბილი) მიიღო მონაწილეობა, რის გამოც სტუდენტების ნაწილის ინერტულობით შეწუხებულმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა მას ისტორიის კათედრის ვარსკვლავი - „ზვიოზდოვკა ისტორიჩესკოგო ფაკულტეტა“ შეარქვა. ერთხელ, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონიც კი გახდა მისი „სპეციალობით“ ზურგზე ცურვაში და თანრიგის დაიმსახურა.

1987-88 წლებში, შორენა სტუდენტების გაცვლითი პროგრამით ინდოეთში ბომბეის უნივერსიტეტსა და კ.რ. კამას სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მიავლინეს, სადაც ბომბეის ზოროასტრელი ფარსების ანუ ირანელი ცეცხლთაყვანისმცემელების ტრადიციულ, მეტად ეგზოტიკურ ყოფასაც სწავლობდა. სწორედ მაშინ მოიპოვა მან ის მდიდარი სავლელე ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემები, რომლებიც მოგვიანებით თავის

სადისერტაციო ნაშრომში “ზოროასტრიზმის გადმონაშთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციულ ყოფაში” გამოიყენა. ამ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევენ და აქტიურად იყენებენ ქართველი ეთნოლოგები, აღმოსავლეთმცოდნეები და ხელოვნებათმცოდნეები.

1988 წელს, შორენამ “წითელი დიპლომზე” (ერთადერთმა თავის კურსზე) დაამთავრა თსუ-ს ისტორიული ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ასპირანტი და ეთნოგრაფიული ექსპედიციების (აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის და ბარის რაიონები) უცვლელი წევრი გახდა. ასპირანტურის პარალელურად, ი.ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტის უმაღლეს მთარგმნელობით კურსებზე სწავლობდა და დისერტაციის დაცვასთან ერთად (1993 წ.) თარჯიმნის დიპლომიც აიღო. ის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ასპირანტურაში სწავლისა და შემდგომ მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობის განმავლობაში, ინსტიტუტში და განყოფილებაში მოვლინებულ უცხოელ მეცნიერებსა და ასპირანტებს (აშშ, ინგლისი, გერმანია) დახმარებას უწევდა ლიტერატურის თარგმანსა და სავსე მუშაობაში, ამავე დროს საქართველოში ჩამოსულ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სამონეტარო ფონდის მისიის თანამშრომლებს ეხმარებოდა მათ საქმიანობაში.

1993 წელის შემოდგომაზე, შორენამ საქართველოში პირველად ჩატარებულ Fulbright Post-doctoral Visiting Scholar Program-ის კონკურსში გაიმარჯვა და პირველი ქართველი ფულობარიტელთა სამეულოში მოხვდა. ბერკლიში ჩამოსვლისთანავე, მან როგორც ფულობარიტის პროგრამით მივლინებულმა მკვლევარმა, ბერკლის უნივერსიტეტის Near Eastern Studies Department-სა (<http://nes.berkeley.edu/>) და Institute of Slavic, East European, and Eurasian Studies- ის (<http://iseees.berkeley.edu/>) სემინარებსა და “ბრაუნ ბეგ თოქებში” დაიწყო მონაწილეობის მიღება. როდესაც საშუალება ეძლეოდა, ესწრებოდა მისთვის საინტერესო თემატიკისადმი მიძღვნილი ლექციების კურსებს, როგორც ახლო აღმოსავლეთის, ანთროპოლოგიისა და სლავური ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტებში, ასევე ანთროპოლოგიის დეპარტამენტთან (<http://anthropology.berkeley.edu/>) არსებულ ფოლკლორის პროგრამასა და არქივში, რომელსაც სახელოვანი მეცნიერი და პოპულარული ავტორი, პროფ. ალან დანდესი (http://en.wikipedia.org/wiki/Alan_Dundes) ხელმძღვანელობდა. უკანასკნელისათვის, უცხო არ იყო ანთროპოლოგების, ეთნოლოგებისა და ნარატიული ფოლკლორის შემსწავლელთა საერთაშორისო კონგრესებში მონაწილე ქართველი კოლეგების საკვლევი თემატიკა, რაც მასთან საქმიან ურთიერთობას აადვილებდა და უფრო ნაყოფიერს ხდიდა. ბოლოს, ეს

კეთილგანწყობილი მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობა საქართველო-ჩეჩნეთის სასაზღვრო ზოლის ეთნოლოგიის, ვიზუალური ანთროპოლოგიის, ნარატიული ფოლკლორისა და მითოლოგიისადმი მიძღვნილი სქელტანიანი ინგლისურენოვანი ილუსტრირებული გამოცემით -- *Ethnography and Folklore of the Georgia-Chechnya Border: Images, Customs, Myths & Folk Tales of the Peripheries*, Munich: Lincom Europa, 2008 - დასრულდა. დღეისათვის უკვე ექვსჯერ გამოცემული ეს 710 გვერდიანი მრავალმხრივ უნიკალური ქართველოლოგიური ნაშრომი, WorldCat.com-ისა და სხვა ელექტრონული კატალოგების მონაცემების მიხედვით, ამერიკა-კანადის, დასავლეთ ევროპისა და ავსტრალიის თითქმის ყველა დიდი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის არის ხელმისაწვდომი და სხვადასხვა დარგის მკვლევარების ხშირი ციტირების საგანია. წიგნის გამვლისთანავე, ინდიანას უნივერსიტეტის *Journal of Folklore Research*-ში გამოქვეყნდა მარგარეტ რიდ მაკდონალდის მეტად პოზიტიური რევიუ (<http://www.indiana.edu/~jofr/review.php?id=898>).

ამ მეტად ინფორმატიული ეთნოლოგიური შინაარსის მქონე წიგნის გამოქვეყნებას, სხვებისაგან განსხვავებით, სრულიად მოულოდნელად, დაუფარავი ნეგატივიზმით შეხვდა ერთი კანადელი ანთროპოლოგი, რომელმაც ავტორების ეს დიდი ინგლისურენოვანი პუბლიკაცია ეტყობა პირადად მისი და საერთოდ დასავლეთელი მკვლევარების კომპეტენციის სფეროში შეჭრად ჩაუთვალა; მკითხველები რომ ჩვენს კომპეტენტურობაში დაეჭვებინა, მან სრულიად უსაფუძვლო „პოლიტიკური ბრალდებები“ წამოგვიყენა (<http://scholarworks.iu.edu/journals/index.php/aeer/article/view/670/763>), მაგრამ აშკარად საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია: უნებურად საკუთარი არაკომპეტენტურობა ცხადი გახდა ჟურნალ *Anthropology of East Europe Review*-ს მკითხველებისათვის. არადა ეს ნამდვილად დასანანია, რადგან ის დასავლეთში განათლება-მიღებული ინგლისურენოვანი ჰუმანიტარი მკვლევარების იმ მეტისმეტად მცირერიცხოვან, უფრო სწორად მიკროსკოპულ, ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც დროდადრო ქართულ თემატიკაზეც წერენ. *Anthropology of East Europe Review*-მ მალე გამოქვეყნა ჩვენი ამომწურავი პასუხიც ხსენებული ავტორის აშკარად ტენდენციურ მიმოხილვაზე (<https://scholarworks.iu.edu/journals/index.php/aeer/article/view/947/1046>).

იმავ პერიოდში, შორენა ისმენდა აგრეთვე პროფ. მარტინ შვარცის ლექციებს ძველ სპარსულ და ავესტურ ლიტერატურაში და პროფ. დევიდ სტრონაკის ლექციებს არქაული და ანტიკური ხანის ირანის არქეოლოგიაში. უკანასკნელს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა კავკასიელ კოლეგებთან: ქართველ, სომეხ და დაღესტნელ არქეოლოგებთან, რომლებთანაც არაერთხელ იყო საქმიანი ვიზიტით

და ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად ჩასული, რომელთა ნაწილთან (პროფ. ოთარ ლორთქიფანიძე, პროფ. იულონ გაგოშიძე -- შორენას დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი, პროფ. მიხეილ აგლაროვი -- დადესტნელი ეთნოლოგების ასოციაციის თავჯდომარე) კონტაქტები შორენას დახმარებით დაამყარა. შორენამ პროფ. შვარცი ქართველ ირანისტებთან, მის ყოფილ ლექტორებთან, პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილთან და სხვებთან დააკავშირა.

ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელების, ასირიოლოგი პროფ. ან კილმერის (მან შუმეროლოგი პროფ. ჯერი კუპერთან ერთად 80-იან წლებში თბილისში გაიცნო თვალსაჩინო ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები, გიორგი და კოტე წერეთლები და სხვ.), ირანისტი დევიდ სტრონაკის, ეგვიპტოლოგი ქეთლინ (“კენდი”) კელერისა (<http://www.universityofcalifornia.edu/senate/inmemoriam/cathleenkeller.html>) და ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორის ბარბარა ვოიტეკის აქტიური ხელშეწყობით, შორენამ რამდენიმე ლექცია და დისკუსია ჩაატარა საქართველო-ირანის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ცენტრალური კავკასიონის მთიელთა ტრადიციული ყოფის, ძველი და კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურის, ენის, გრამატიკისა და კულტურის თავისებურებების შესახებ და აგრეთვე საქართველოს ტელე და კინოსტუდიებში შექმნილი დოკუმენტური ეთნოგრაფიული ფილმის სერიის ჩვენება-პრეზენტაცია მოაწყო.

ყოველივე ამან, დეპარტამენტში, ინსტიტუტსა და საერთოდ უნივერსიტეტის კამპუსში ქართული თემატიკით არაერთი მკვლევარის, სტუდენტისა და ასპირანტის დაინტერესება გამოიწვია. თანდათან შორენამ ქართული ენისა და კულტურის ორწლიანი საუნივერსიტეტო კურსის პირველი ვარიანტი, სათანადო სილაბუსი და კურსის მსმენელებისათვის სასარგებლო ინფორმაციით უზვად დატვირთული პოპულარული ვებ-გვერდი “Georgian Language and Culture” მოამზადა და ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის ბაზაზე მის მიერ დაარსებულ “ჯორჯიან კლასში” ფორდის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით დაიწყო შესაბამისი ლექსიების კითხვა (1994-95, 1999-2000).

ბერკლის უნივერსიტეტის ქართული კლასის პირველ მსმენელთა შორის, სტუდენტ ლინგვისტებთან და აღმოსავლეთმცოდნეებთან ერთად აღმოჩნდნენ არა-სტუდენტებიც: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული თანამშრომელი, “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის ზეპირად მცოდნე ბერი ჯორდანი, ირლანდიური წარმოშობის ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელი გროვერ დეილი, რომელიც მის ბერძენ მეუღლესთან ერთად

საქართველოში სამოგზაუროდ წასვლაზე ოცნებობდა და თბილისელი სომეხის ბერკლელი შთამომავალი, პენსიაზე გასული მზარეული, რომელიც შემდეგ მთელი სემესტრი ესწრებოდა ანთროპოლოგიის დეპარტამენტში შორენას მიერ მომზადებულ ქართული ფოლკლორისა და ეთნოლოგიის სპეცკურსს.

იმჟამად, ქართული კლასის ძირითადი, ბეჭდური წესით გამოცემული სახელმძღვანელოები იყო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის, ლინგვისტ ჰოვარდ ი. არონსონის წიგნი *Georgian: A Reading Grammar*, Columbus, Ohio: Slavica Publishers, 1990, და Kraveishvili, M. & Nakhutsrishvili, G. (1972), *Teach Yourself Georgian for English Speaking Georgians*. Tbilisi: The Georgian Society for Cultural Relations with Compatriots Abroad, რომლებსაც შემდეგ წლებში დაემატა Hewitt, B. G. (1995). *Georgian: a structural reference grammar*. Amsterdam: John Benjamins და Hewitt, B. G. (1996). *Georgian: a Learner's Grammar*. London: Routledge, ხოლო სულ ბოლოს, ჰოვარდ არონსონისა და დოდონა კიზირიას ერთობლივი წიგნი *Georgian Language and Culture: A Continuing Course*, Blomington, Indiana, Slavica, 1999.

2000 წელს, შორენამ თავისი ნებით დატოვა ბერკლის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ჯ.ჯ. ნიუბერის კორპორაციის კუთვნილი, მილიონი დოლარის ბრუნვის მქონე სამსართულიანი Art Deco style-ში ნაგები (http://berkeleyheritage.com/berkeley_landmarks/kress.html) უნივერსალური მაღაზიის წარმატებული უფროსი მენეჯერის, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად შრომატევადი თანამდებობა, ამ ისტორიულ კომერციულ დაწესებულებაში ექვსი წლის განმავლობაში თითქმის ყველა პოზიციაზე მუშაობის შემდეგ და ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ფიზიკის სახელობის ანთროპოლოგიის მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტში კონკურსის წესით დაიკავა შემსყიდველ-მენეჯერის ვაკანტური თანამდებობა (Phoebe A. Hearst Museum of Anthropology, University of California – Berkeley, <http://hearstmuseum.berkeley.edu/>).

1911-1916 წლებში, სწორედ ამ მუზეუმში ცხოვრობდა და მუშაობდა მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი, ანთროპოლოგ Theodora Kroeber-ის სუპერ-პოპულარული წიგნიდან “Ishi: The Last of His Tribe” და მის საფუძველზე შექმნილი ფილმებიდან საყოველთაოდ ცნობილი “უკანასკნელი ველური ამერიკელი ინდიელი,” (“The last member of the Yahi, the last surviving group of the Yana people”) იში (1860-1916), რომლის დახმარებით, გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერებმა - ანთროპოლოგმა ალოფრედ კრობერმა და ლინგვისტმა ედუარდ საპირმა ამ გადაშენებული კალიფორნიელი ინდიელების ტომის ტრადიციული კულტურისა და ენის ფიქსაცია და რეკონსტრუქცია შეძლეს. ჯ.ჯ. ნიუბერიდან წამოსვლის წინ, ამ კომპანიის სან-ფრანცისკოს ყურის ერთ-ერთი დისტრიქტის ხელმძღვანელმა შორენას პირად „ფაილში“ “ჯადოსნური ფრაზა” ჩაწერა: “Excellent people skills” – “ძალიან სწრაფად

ითვისებს ახალ მეთოდებს და ტექნოლოგიას, წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერ ადგილას ნებისმიერ პოზიციაზე.”

ახალ სამსახურში შორენა ანთროპოლოგიის მუზეუმის მაღაზია-გალერეას, ნიუ-მექსიკოელი ამერიკელი ინდიელების მიერ დამზადებული სამკაულებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების ყოველწლიურ პოპულარულ გამოფენა-გაყიდვას, მუზეუმის სამეცნიერო გამოცემების გავრცელების საქმეს ხელმძღვანელობდა და მის მიერ დაქირავებული ბერკლეელი სტუდენტების სწავლება-ტრენინგის და ვიზიტორებთან მუშაობის პროცესს უძღვებოდა. ამერიკელი ინდიელების რეზერვაციებში (აკომას, ზუნის, ტაოსა და სხვა პუებლოებში) ბიზნეს-მივლინებების დროს, მის მიერ ადგილობრივი ოსტატებისაგან და ინდიელების “ტრეიდ პოსტებში” შექნილი ორგინალური სამკაულების, კერამიკის, რიტუალური დანიშნულების კაჩინა-თოჯინებისა თუ სხვა არტიფაქტების რეალიზაციით მოპოვებული სოლიდური თანხებით, მუზეუმი წლების განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილს ფარავდა. ანთროპოლოგიის მუზეუმში შვიდი წლის მუშაობის პერიოდში ენერგიული, ინოვაციური და მუზეუმისათვის ფინანსურად მეტად ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი შრომისათვის, შორენამ არაერთხელ დაიმსახურა დირექციის (დირექტორების პროფ. პატრიკ კირჩის, დოქ. დუგლას შარონის, ფინანსების დარგში დირექტორის მოადგილის სინტია ქლიერუოთერის) და მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს თვალსაჩინო წევრების (ანთროპოლოგიის ცნობილი პროფესორების ბარტონ ბენედიქტი (<http://www.universityofcalifornia.edu/senate/burtonbenedict.html>, William F. Hanks, Kent Lightfoot, Steven Shackley, Nelson H. Graburn, Ira Jacknis) მაღლობა. განსაკუთრებულ კეთილგანწყობასა და ყურადღებას შორენას სამუზეუმო საქმიანობისადმი იჩენდა ბერკლის უნივერსიტეტში სტრუქტურული, სოციალური და ეკონომიკური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი პატრიარქი პროფ. ბარტონ ბენედიქტი, რომელიც შორენას ყოველ ახალ პუბლიკაციას დიდი ინტერესით ხვდებოდა. ჰერსტის მუზეუმის ყოფილ დირექტორს, თავად მრავალი ცნობილი სამეცნიერო წიგნისა და თეორიული შრომის ავტორს, არა ერთხელ უთქვამს კომპლიმენტად შორენასათვის, Essentials of Georgian Grammar-ის გამოსვლის შემდეგ, რომ ქვეყანაზე ნამდვილად არც ერთი ავტორის ისე არ “შურს,” როგორც იმ ადამიანების, ვისაც მისი აზრით, წარმოუდგენლად რთული საქმის, გრამატიკის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იშვიათი უნარი აქვსო. ის მუზეუმს ყოველწლიურად პირადად ათიათას დოლარს ურიცხავდა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და შორენას ფინანსურად მეტად წარმატებულ სამუზეუმო საქმიანობას ყოველნაირად ხელს უწყობდა.

ანთროპოლოგიის მუზეუმში მუშაობასთან ერთად, შორენა პარალელურად 2001-2004 წლებში ბერკლის უნივერსიტეტის სლავური ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტში (<http://slavic.berkeley.edu/>) კითხულობდა ქართული ენისა და კულტურის ორ-წლიან კურსს, რომელსაც ცნობილი კავკასიათმცოდნე ლინგვისტი, პროფ. ჯოანა ნიკოლსი (<http://slavic.berkeley.edu/faculty.html#nichols>) კურირებდა და მფარველობდა. შორენას შემდეგ, მისი მოუცლელელობის გამო, ამ კურსს ამავე დეპარტამენტში, 2004-2009 წლებში უკვე მე ვუკითხავდი სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომელთა ერთი ნაწილი დღეს ასისტენტი პროფესორია და ძირითად საქმიანობასთან ერთად, დროდადრო ქართულ-კავკასიურ თემებზე აქვეყნებს ნარკვევებს. ერთ-ერთმა მათგანმა, ისტორიკოსმა ერიკ სკოტმა (<http://www.wilsoncenter.org/staff/erik-r-scott>), რომელმაც სამი წელი დაჰყო ქართულ კლასში, ქართულ თემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა და ბოლოს თავისი სადოქტორო დისერტაციაც ქართულ თემაზე დაწერა (“Familiar Strangers: The Georgian Diaspora in the Multiethnic Soviet Empire”), რომელზე მუშაობის პროცესშიც, სხვა სტუდენტების მსგავსად, აქტიურად სარგებლობდა ჩვენი კონსულტაციებითა და ჩვენს მიერ მოძიებული მასალებით.

ქართული ენისა და კულტურის კურსის მენტორი პროფ. ნიკოლსი არაერთხელ იყო საქართველოში ნამყოფი. ის წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ენათმეცნიერებთან; მან გამოსაცემად მოამზადა დიდი აკადემიური ინგუშურ-ინგლისური და ჩეჩნურ-ინგლისური ლექსიკონები, აკად. თამაზ გამყრელიძის და ვიაჩესლავ ივანოვის ცნობილი ნაშრომის ინგლისური ვერსია და სხვა მრ. ამ პერიოდში, შორენამ პროფ. ნიკოლსის მხარდაჭერით ქართული ენის გრამატიკის ახალ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნაზე დაიწყო სერიოზული ზრუნვა. საქმე იმაში იყო, რომ არსებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, წლების განმავლობაში, მათში გამოყენებული სხვადასხვაგვარი ლინგვისტური კონცეფციისა და რთული, ხშირად არა მარტო არა-ლინგვისტებისათვის ძნელად გასაგები ტერმინოლოგიის გამო, ქართული კლასის სხვადასხვა ნაკადის სტუდენტი და არა-სტუდენტი მსმენელების მიუდმივი კრიტიკისა და უკმაყოფილების საგანი გახდა. არცთუ იშვიათად, სტუდენტები, რომელთა უმრავლესობა, როგორც წესი, ასპირანტურაში - “გრედუეით სქულოში” სწავლობდა და პროფესორ-მასწავლებლები (ქართულ თემაზე არა ერთი საინტერესო გამოკვლევის ავტორი ლიტერატურათმცოდნე ჰარშა რამი: http://complit.berkeley.edu/?page_id=255, ისტორიკოსი სტეფანე ასტურიანი: <http://history.berkeley.edu/people/stephan-astourian>), რომლებიც ქართული ენის ათვისებას მონდომებით ცდილობდნენ, მათი ლექტორისაგან პირდაპირ მოითხოვდნენ შესასწავლი თემისა თუ ამა თუ იმ კერძო საკითხის არსებული სახელმძღვანელოებისაგან

განსხვავებული ენით, მეთოდითა და “ნაკლებად-ბუნდოვან-ტერმინებში” ახსნას. ამის გამო, შორენა იძულებული იყო თითქმის ყველა გრამატიკული წესისა თუ გამოწვევის განმარტების და პრეზენტაციის ახალი, განსხვავებული, სტუდენტებისათვის ადვილად აღსაქმელი და უფრო მარტივი და მოკლე ვერსია შეექმნა, ამ უკანასკნელთა უშუალო რეაქციის, შენიშვნებისა და კრიტიკის გათვალისწინებით. ამრიგად, ფაქიურად, მან ბერკლის უნივერსიტეტის საკლასო ოთახებში წლების განმავლობაში სტუდენტებთან ინტენსიური მუშაობის პროცესში, ქართული გრამატიკის ახალი და ინგლისურენოვანი მკითხველისათვის უფრო ადვილად გასაგები 50-გაკვეთილიანი კურსი შექმნა, რომელსაც სავარჯიშოები, თემატიკური ლექსიკონები, ქართულ-ინგლისური პარალელური საკითხავი ტექსტები (პოეზიის, იგავ-არაკების, ლექსების, ზღაპრებისა და ანდაზების მისეული თარგმანები), საქართველოს შესახებ საკითხავი ინგლისურენოვანი ლიტერატურის სია და ყველაზე ხშირად ხმარებული 250 ზმნის უღლების ცხრილები დაურთო. ასეთი ცხრილები მან სტუდენტების თხოვნით შედგინა და ქართული ენის სწავლების პროცესის უშუალო შემადგენელ ნაწილად აქცია. ამ ინოვაციამ სტუდენტებს ქართული ზმნის უღლების საკმაოდ რთული წესების გაგება-ათვისება და შესაბამისად წერისა თუ საუბრის დროს ახალი ქართული წინადადებების შეთხზვა-შედგენის პროცესი საგრძნობლად გაუადვილა. შორენას ყოფილი სტუდენტების უმეტესობას დღეს ლინგვისტიკის ასისტენტ პროფესორების თანამდებობები უჭირავთ აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში (ნიკ ფლეიშერი, ანდრიუ სიმფსონი, რაიან მოსტედი, ოლია გურევიჩი და სხვ. უკანასკნელმა, შორენას რჩევით ქართული ზმნის უღლების სისტემას მიუძღვნა სადოქტორო დისერტაცია - “Constructional Morphology: The Georgian Version,” რომელიც შემდეგ წარმატებით დაიცვა ბერკლის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტში). წლების განმავლობაში, საკლასო ოთახებში ამგვარი მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ქართული ენის გრამატიკის ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, *Essentials of Georgian Grammar with Conjugation Tables of 250 Most Commonly Used Verbs*, 2006 წელს გამოსცა გერმანულმა აკადემიურმა გამომცემლობამ “ლინკომ-ევროპამ” მიუნხენში. WorldCat.org-ის და სხვა საერთაშორისო ელექტრონული კატალოგების მიხედვით, ეს ნაშრომი ევროპისა და აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის ბევრი ცნობილი უნივერსიტეტისა და სამთავრობო ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის არის ხელმისაწვდომი (http://www.worldcat.org/title/essentials-of-georgian-grammar-with-conjugation-tables-of-250-most-commonly-used-verbs/oclc/77077879&referer=brief_results) და ქართული ენის შემსწავლელთა მიერ ერთ-ერთ საუკეთესო სამაგიდო წიგნად არის აღიარებული. აი, უახლესი ამონარიდი ერთ-ერთი ბლოგიდან: “Lincom, a German publisher, offers a book called ‘Essentials of Georgian Grammar’ by Shorena Kurtsikidze. This book is used by

UC Berkeley's Georgian language students, and it is actually very good, better than almost all of the books listed above (ზემოთ მას ჩამოთვლილი და დახასიათებული აქვს ქართული ენის უკლებლივ ყველა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო: ჰოვარდ არონსონის, ჯორჯ ჰუიტის, დოდონა კიზირიას და სხვების წიგნები, ვ.ჩ.). Unfortunately, it is now obscenely expensive (unless they print a second edition). If you can find a used copy, it is well worth it." (<http://georgiaphiles.wordpress.com/resources/>). ამ წიგნის რევიუ გერმანელმა ლინგვისტმა პროფ. ვოლფგანგ შულცმა გამოაქვეყნა. ამ სახელმძღვანელოს საფუძველზე, შორენამ კალიფორნიის უნივერსიტეტების "ენების კონსორტიუმის" (<http://ucclit.ucdavis.edu/>) გრანტით, 2011 წელს ქართული ენის "ონლაინ" კურსის გაკვეთილები მოამზადა (<http://www.ocf.berkeley.edu/~shorena/GeorgianOnline.html>), როგორც აშშ-ში უნივერსიტეტების დონეზე "იშვიათად სწავლებადი" ენების დისტანციური სწავლების პროგრამის ნაწილი.

ფიზიკის სახელობის ანთროპოლოგიის მუზეუმში გატარებული წლები მრავალმხრივ ნაყოფიერი აღმოჩნდა შორენასათვის. იქ მან ბერკლის უნივერსიტეტში მოღვაწე არაერთ ცნობილ მკვლევართან დაამყარა საქმიანი ურთიერთობა, რომელთა მხარდაჭერით საქართველოსთან და კავკასიასთან დაკავშირებული არაერთი სამეცნიერო პროექტის განხორციელება გახდა შესაძლებელი.

2002 წლის გაზაფხულზე, აშშ-ის მასმედიაში რუსეთ-ჩეჩენეთის ომისა და პანკისის ხეობაში ალ-ქაიდას წარმომადგენლების არსებობის თემამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიჭირა. ამ საერთაშორისო კრიზისთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, ბერკლის სლავური, აღმოსავლეთ ევროპული და ევრაზიული კვლევების ინსტიტუტმა სპეციალური დისკუსიის მოწყობა გადაწყვიტა, რომელზეც ინსტიტუტის დირექტორმა ძირითადი მომხსენებლისა და ექსპერტების სტატუსში შორენა და მე მიგვიწვია. ამერიკელი მკვლევარებისათვის თითქმის სრულიად უცნობი და ვიზიტორებისათვის დახურულ რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაციისადმი ინტერესი მაშინ ძალზედ დიდი იყო უნივერსიტეტის კამპუსში (ქართული ენისა და კულტურის კურსის მსმენელების რაოდენობა გასამაგდა და მანამდე არნახულ რიცხვს - 15-ს მიაღწია!). ყოველივე ამის გამო, ჩვენს მიერ მომზადებულ ისტორიულ-კულტუროლოგიურ ნარკვევს ("The Pankisi Gorge: Historical and Ethnographic Survey of Chechens in Georgia," Sponsored by ISEES at the University of California, Berkeley) პანკისის ხეობისა და იმჟამად საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ, უჩვეულო ინტერესით შეხვდა საზოგადოება. მოხსენების გარშემო გამართული დისკუსიით შემდეგ, Berkeley Program in Eurasian and East European Studies (BPS)-ის დირექტორმა, პოლიტოლოგმა პროფ. ედუარდ ვოლკერმა (<http://vcresearch.berkeley.edu/faculty/edward-w->

walker) ამ ნარკვევის საფუძველზე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უფრო ვრცელი ნაშრომის მომზადება შემოგვთავაზა, რომლის ცალკე პატარა წიგნის სახის გამოცემის ორგანიზაციას, ხარჯებს და გავრცელებას მისი პროგრამა კისრულობდა. ეს იშვიათი საშუალება იყო უეცრად საქართველო-რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების გამწვავების პრობლემებით დაინტერესებული ინგლისურენოვანი მკითხველებისათვის ქართული პოზიციის, კავკასიაში ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევის შედეგებისა და რეგიონში რეალურად არსებული სიტუაციის გასაცნობად. ამიტომ, ვოლკერის წინადადებას დავთანხმდით და 24/7 პრინციპით მუშაობის რეჟიმში ორთაბაზიანი ნარკვევი რამდენიმე კვირაში მოვამზადეთ (Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey, by Shorena Kurtsikidze and Vakhtang Chikovani, Working Paper Series of Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Spring 2002; Online version: http://repositories.cdlib.org/iseees/bps/2002_03-kurt/). მალე, ნაშრომი არაერთი უნივერსიტეტის (ბერკლი, ბოსტონი, ბლუმინგტონი, ჩიკაგო, მონრეალი, ბუენოს აირესი, ლონდონი, ოსლო) ანთროპოლოგიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო კვლევების დეპარტამენტების პოსტ-საბჭოთა და ეთნიკური კონფლიქტების კვლევებისადმი მიძღვნილი სასწავლო კურსების სილაბუსების ლიტერატურის სიებში "ძალიან სასარგებლო საკითხავის" გრაფით შევიდა, რის გამოც მისი ელექტრონული ვერსია ინტერნეტის საშუალებით ოთხიათასჯერ ჩამოიტვირთა და ავტორებმა მისი დამოწმება დაიწყეს ("The Pankisi Gorge: Georgia's Achilles Heel in its Relations with Russia?" by Tracey C. German, Central Asian Survey, vol. 23, November 1/March 2004, pp. 27-39, Routledge; "Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and USA," by Tracey German, Conflict Studies Research Center, Royal Military Academy, February 3, 2004 (available web page: www.da.mod.uk/csdc/documents/caucasus/p41)).

პანკისის კრიზისის პერიოდში, საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრო ზონა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. ითვლებოდა, რომ სწორედ მასზე გადიოდა ის სატრანზიტო გზა-ბილიკები, რომელთა საშუალებით აჯანყებულ ჩეჩნეთში იარაღი, ფული და არაბი და ავღანელი ისლამისტების ახალი ჯგუფები შედიოდა, ხოლო დაჭრილი და დაქანცული მეზობლები სამკურნალოდ და მოსამაგრებლად პანკისის ხეობაში ჩადიოდნენ. რა გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ, ეთნო-კულტურულ და მატერიალურ გარემოში მოუწევდათ საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი მოქმედება ამერიკული სამხედრო-საწვრთნელი მისიის ინსტრუქტორებსა და ქართველ ჯარისკცებს, ეს კითხვა იმ დროს ძალიან ბევრს აინტერესებდა. მასზე ამომწურავი პასუხის გაცემა ჩვენ, კავკასიათმცოდნე ეთნოლოგებს შეგვიძლო, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს და მთლიანად ცენტრალური კავკასიონის რეგიონს ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით წლების განმავლობაში

ვსწავლობდით. შესაბამისად, ფიზიკის სახელობის ანთროპოლოგიის მუზეუმის ადმინისტრაციისა და მზრუნველთა საბჭოს ერთ-ერთ შეკრებაზე, შორენამ, ჩვენს მიერ სავსელი მუშაობის შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, საქართველო-ჩეჩნეთის სასაზღვრო ზონისადმი მიძღვნილი ვიზუალური ანთროპოლოგიის გამოფენის გაკეთების იდეა წამოაყენა, რომელსაც დამსწრეებმა პრეზენტაციის მასალების განხილვის შემდეგ ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომავალი გამოფენის კურატორებად დირექციამ ჩვენ მიგვიწვია და მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, ექვსთვიანი (2004 წლის აპრილი-აგვისტო) ექსპოზიციის გეგმის შედგენასა და სტილზე, ვიზუალური მასალებზე, არტიფაქტებზე, მათ თანმყოფ განმარტებით ტექსტებზე, ეთნოგრაფიული ფილმის ახალ ვერსიასა და თარგმანზე და გამოფენის “ონლაინ” ვერსიის მომზადებასა და კიდევ ათას მსხვილმანსა თუ წვრილმანზე დავიწყეთ ზრუნვა. მარტო ჩვენი ძველი ნეგატივებიდან, საგამოფენოდ ვარგისი ფოტოსურათების სპეციალურ საარქივო ქაღალდზე ბეჭდვას არაერთი კვირა მოვანდომე ბერკლის უნივერსიტეტის არქიტექტურის დეპარტამენტის ფოტო-ლაბორატორიაში. ბოლოს, რამდენიმე თვის დაძაბულმა შრომამ სათანადო შედეგი გამოიღო: მუზეუმის ძირითად დარაზში გამართულმა გამოფენამ საქართველო-კავკასიის ტრადიციული კულტურა და თანამედროვეობა ბერკლის უნივერსიტეტის თანამშრომლების, სტუდენტების და კამპუსის მრავალრიცხოვანი ვიზიტორების ერთ-ერთ სასაუბრო თემად აქცია. შესაბამისად, ქართული ენისა და კულტურის კურსის მსმენელთა რაოდენობამაც მოიმატა. აშშ-ში საქართველო-კავკასიის ვიზუალური ანთროპოლოგიის პირველი გამოფენის განხილვაზე მუზეუმის დირექციის მიერ მიწვეულმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუმრებმა თავიანთ გამოსვლებში მათთვის იმჟამად მეტად ეგზოტიკურ ექსპოზიციას - *Images from the Georgia-Chechnya Border, 1970-1980: Visual Anthropology of the Peripheries* და შორენას მიერ Alfred L. Kroeber-ის სახელობის ჰოლის ლექტორიუმში წაკითხულ საჯარო მოხსენებას (*Georgia-Chechnya Border: An Anthropological Survey, Sponsored by the Hearst Museum of Anthropology and ISEES at the University of California, Berkeley*) მაღალი შეფასება მისცეს. გამოფენის ერთ-ერთი იმიჯი, ქართველი მთიელი მანდილოსანის პორტრეტი, ანთროპოლოგიის მუზეუმის ოფიციალურ ბანერზე წლების განმავლობაში იყო გამოხატული. ბერკლის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ცნობილმა მკვლევარმა, პროფ. ალან დანდესმა, საგანგებოდ აღნიშნა, რომ “დოქ. ქურციკიძე არა მარტო კულტურული ანთროპოლოგიის კარგი სპეციალისტი, არამედ შესანიშნავი ლექტორი და მჭერმეტყველი მთხრობელიც ყოფილაო.” მალე, მან შორენა ანთროპოლოგიის დეპარტამენტში ლექციების წასაკითხად

ოფიციალურად მიიწვია და საქართველოს ეთნოლოგიისა და ფოლკლორის საუნივერსიტეტო სპეცკურსის მომზადება, სათანადო სილაბუსის, საკითხავი მასალების კრებულის შედგენა და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საქართველო-ჩეჩნეთის სასაზღვრო ზონის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის და მითოლოგიის შესახებ ნაშრომის შექმნა შესთავაზა. ყოველივე ამის შესრულებას დაძაბული და ხანგრძლივი შრომა დასჭირდა: მხოლოდ Georgian Folklor Reader-ის ნარატიული ფოლკლორის სექციისათვის, ქართულიდან ინგლისურ ენაზე პირველად ითარგმნა მე-17-მე-20 საუკუნეებში ჩაწერილი 55 აუთენტიკური სრული ტექსტი (15 მითი და 40 ჯადოსნური ზღაპარი), რომელთა სიტყვების საერთო რაოდენობამ 135,000-ს გადააჭარბა. შემდეგ, ეს კოლექცია გერმანიაში გამოცემულ ჩვენს წიგნში (Ethnography and Folklore of the Georgia-Chechnya Border: Images, Customs, Myths & Folk Tales of the Peripheries) შევიდა და მას ბლუმინგტონის უნივერსიტეტის ბაზაზე გამომავალ ჟურნალში (Journal of Folklore Research, An International Journal of Folklore and Ethnomusicology) გამოქვეყნებულ მიმოხილვაში “მსოფლის ფოლკლორული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი” უწოდეს. (<http://www.indiana.edu/~jofr/review.php?id=898>).

ქართული ფოლკლორის სპეცკურსისადმი ფოლკლორის პროგრამის ხელმძღვანელმა და ჰუმანიტარული დეპარტამენტების სტუდენტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს. კლასში 35 სტუდენტი ჩაეწერა და უკლებლივ ყველამ სემესტრის ბოლოს წარმატებით დაწერა საკურსო ნაშრომი საქართველოს ფოლკლორის, ეთნოლოგიისა და მითოლოგიის სხვადასხვა საკითხზე. კურსმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ერთ-ერთმა სტუდენტმა, ვინაობის გაუმხელად, შემდეგი ჩანაწერი გააკეთა ლექციების შეფასების ფორმაში: “ბერკლის უნივერსიტეტში ოთხი წლის განმავლობაში სწავლის პერიოდში მოხმენილ ლექციებს შორის, “ქართული ფოლკლორის” კურსი ყველაზე ორგანიზებული, საინტერესო და კარგად წარმოდგენილი იყო.” ტრადიციის თანახმად, ანთროპოლოგიის სპეცკურსის დასრულება დეპარტამენტის საჯარო ლექციების დარბაზში მოწყობილი “ფართით” აღინიშნა, რომელზედაც შორენას კოლექცებმა, ჰერსტის მუზეუმის კოლექციების მენეჯერმა ლესლი ფრუნდმა და ამერიკელი ინდიელებისათვის არტიფაქტების გადაცემის სამუშაო ჯგუფის წევრმა მიჯ ფოქსმა, მათ მიერ მოძიებული რეკვიპტებით დამზადებული ქართული კერძები გაასინჯეს სტუდენტებს.

სწორედ ამ პერიოდში, პროფ. დანდესის ერთ-ერთმა ყოფილმა სტუდენტმა, ინკოვნიტოდ, მის სახელოზე, ბერკლის უნივერსიტეტის ფოლკლორის პროგრამის სასარგებლოდ, ერთი მილიონი დოლარი შესწირა. სამწუხაროდ, ძალიან მალე, ქართული და კავკასიური ფოლკლორის კურსის სწავლების ინიციატორი და მომხრე პროფ. ალან

დანდესი მისი ერთ-ერთი ხალხმრავალი სემინარის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო მისი თანამდებობის დასაკავებლად ერთი წლის შემდეგ გამართულ კონკურსში გამარჯვებულმა მკვლევარმა ბერკლის უნივერსიტეტის ფოლკლორის პროგრამა სრულიად განსხვავებული მიმართულებით წაიყვანა. პროფ. დანდესმა თავისი თანადგომით დიდად შეუწყო ხელი ქართული ფოლკლორის საუნივერსიტეტო კურსისა და საქართველო-ჩეჩნეთის სასაზღვრო ზონის ეთნოლოგიისადმი მიძღვნილი წიგნის მომზადებას და ამის გამო, ხსენებული ნაშრომი მის ხსოვნას მივუძღვენით.

2007 წელს, შორენამ კონკურსის წესით (კონკურსში 42 სპეციალისტი იღებდა მონაწილეობას), ბერკლის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის (<http://nes.berkeley.edu>) Graduate Student Services Advisor-ის თანამდებობა დაიკავა, რომელზედაც მისი წინამორბედი, ქ-ნი ჯუდი შატუკი, 32 წლის განმავლობაში მუშაობდა. შორენა დეპარტამენტის “გრედუეით სქულში” მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის სხვადასხვა პროგრამებზე (Arabic, Hebrew, and Persian languages and literatures, Near Eastern Archaeology, Art History, Cuneiform, Hebrew Bible, Biblical and Judaic Studies, Old Iranian Studies, Egyptology, Islamic and Jewish Studies) სტუდენტთა შერჩევის, მიღების, სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების, ორიენტაციის, სწავლება-პროგრესის, გამოცდების, პროფესორ-მასწავლებლებთან და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებთან ურთიერთობის რთულ ადმინისტრაციულ პროცესს უძღვება. ამავე დროს, ის დეპარტამენტის ვებ-გვერდის რედაქტორ-დიზაინერი და Journal of Associated Graduates in Near Eastern Studies (JAGNES) -ის (<http://www.ocf.berkeley.edu/~kan/contact.html>) თანამშრომელია. მან მოკლე დროში დოქტორანტებისა და მათი ხელმძღვანელებისათვის დეპარტამენტის და უნივერსიტეტის პოლისების ახსნა-განმარტებების რამდენიმე სახელმძღვანელო “ჰენდ ბუქი” შეადგინა და აგრეთვე მის ოფისთან დაკავშირებული თითქმის ყველა პროცედურის კომპიუტერიზაცია შეძლო, მონაცემების არაერთი ციფრული სისტემა შექმნა და აამოქმედა. მეტად ენერგიული, მაღალკვალიფიცირებული და პროდუქტიული საქმიანობით, პრობლემების გადაჭრის იშვიათი უნარით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სტაბილური პოზიტიური მიდგომა-დამოკიდებულებით (“ეთითიუდით”), შორენამ დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, ასპირანტების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ღრმა პატივისცემა დაიმსახურა. უნივერსიტეტში ათი წლის ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავად, 2010 წელს შორენამ, როგორც დადებით შედეგებზე ორიენტირებულმა პიროვნებამ, უნივერსიტეტის კანცლერის სპეციალური სიგელი და სამკერდე ნიშანი მიიღო და აგრეთვე საგანგებო მადლობა დაიმსახურა მის სახელზე მისი ერთ-ერთი დოქტორანტის მიერ ბერკლის უნივერსიტეტისათვის,

ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის სასარგებლოდ, სოლიდური თანხის ორჯერ შეწირვის გამო. 2012 წელს, შორენამ ბერკლის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფინანსური მენეჯმენტის ორწლიანი, სირთულით ცნობილი პროგრამა (Financial Management Certificate Program (FMCP)- გაიარა (<http://controller.berkeley.edu/financialManagementTraining/index.htm>), რომლის დამთავრება 40-კაციანი ჯგუფიდან უნივერსიტეტის მხოლოდ 6-მა თანამშრომელმა შეძლო.

(<http://controller.berkeley.edu/financialManagementTraining/FMCP/graduates201202.htm>). ამ პროგრამის ბოლო გამოცდაზე კურიოზული შემთხვევა მოხდა: შორენამ გამომცდელების მიერ შედგენილ ბიზნეს-ამოცანაში გაპარული შეცდომა აღმოაჩინა.

შორენას საქმიანი ურთიერთობა აქვს მედიის წარმომადგენლებთან. 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომთან დაკავშირებით KTVU FOX Channel 2-ს ცნობილმა წამყვანმა ტელე-ჟურნალისტებმა, ჯერ რიტა უილიამსმა (<http://www.ktvu.com/staff/rita-williams/>) და შემდეგ ჯიმ ვარგასმა (<http://www.ktvu.com/search/?q=jim+vargas>) შორენას სთხოვეს თავისი აზრი გამოეთქვა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ნაკლებ-ინფორმირებული მრავალმილიონიანი ტელე-აუდიტორიის წინაშე. ამ გამოსვლებმა, ისევე როგორც ბერკლის უნივერსიტეტის სტუდენტური ტელე-არხის მიერ გადაღებულმა შორენას საუბარმა (ბიუჯეტური პრობლემების გამო, უცხო ენების მთელი რიგი კურსებისა და მათ შორის ქართული ენის კურსის გაუქმების თაობაზე), აგრეთვე ჩვენი საქმიანობისა და ახალი წიგნის გამოცემის შესახებ გაზეთებში -- ჯერ "Oakland Tribune"-ში, მერე "Bay Area News Group"-ში, "Contra Costa Times"-სა და სხვა გამოცემებში დაბეჭდილმა მასალებმა (მათიუ ო'ბრაიენის-ის "Georgian Couple Documents Folklore in New Book. As conflict hits homeland, Berkeley residents look back at centuries of culture"), გარკვეული როლი შეასრულა სან-ფრანცისკოს ყურის ქალაქებში საქართველოს შესახებ ობიექტური და ბალანსირებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. შორენასთან საუბარი გადაიღო აგრეთვე კალიფორნიელმა დოკუმენტალისტმა, რომელიც მუხიკოს ბოცო კორიშელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე იღებს ფილმს და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ შორენას ნამდვილად მნიშვნელოვანი მიზანი ამოძრავებს: მას უნდა, რომ ბერკლის უნივერსიტეტში, რომელიც უკვე ათეული წლებია მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სამეულში შედის, დაარსოს Georgian Studies Program-ა, სადაც ამერიკელი სტუდენტები და დოქტორანტები შეისწავლიან ქართულ ენას, მის დიალექტებს, საქართველოს ისტორიასა და თანამედროვეობას, ეთნოპოლიტიკას, ანთროპოლოგიას, ლიტერატურას, კულტურას, იურისპუდენციის ძველსა და თანამედროვე სისტემებს, საქართველოში

მცხოვრები ეთნო-კულტურულ ჯგუფების ყოფას და ა.შ. დღეს ყველასათვის ცხადზე ცხადია, რომ ასეთი სასწავლო პროგრამების საშუალებით, ინგლისურენოვანი მკვლევარებისა და სპეციალისტების მომზადება ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში, ტოტალური გლობალიზაციის პირობებში, აუცილებელი პირობა გახდა, იმისათვის რომ ამა თუ იმ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ინტერესები სათანადოდ იყოს დაცული და წარმოდგენილი სამეცნიერო და საერთაშორისო ასპარეზზე. ამის გამო, ბოლო ათწლეულში, ბერკლისა და აშშ-ის სხვა ცნობილ უნივერსიტეტებში არაერთი ასეთი ახალი პროგრამა, სასწავლო ცენტრი და „ენდო-უდ ჩეარი“ ამოქმედდა აქტიურად, მათ შორის საქართველოს მეზობელი და ახლობელი ქვეყნების მთავრობებისა თუ ამ ქვეყნების მეცენატი მოქალაქეების ჯგუფების მხარდაჭერით (Armenian Studies, Azeri Studies, Turkish Studies, Iranian Studies, Jewish Studies, Russian Studies, Kazakh Studies and ets.), რომლებიც აშშ-ში მათი ქვეყნისადმი კეთილგანწყობილი მეცნიერი-ექსპერტების „ლობის“ შექმნას და ლოიალური მოქალაქეების მომრავლებას ისახავენ მიზნად. მსგავსი იდეის ხორცშესახმელად საჭირო ოფიციალურ-იურიდიულ, საორგანიზაციო-ტექნიკურ და ფინანსურ მხარეებს შორენა უკვე კარგა ხანია გულისდასმით სწავლობს. ამავე დროს ის გატაცებით მუშაობს შესაბამისი ინგლისურენოვანი სასწავლო მასალების, დარგობრივი სახელმძღვანელოების, საკითხავი წიგნებისა და აუდიო-ვიზუალური მასალების მოსამზადებლად. ბერკლის უნივერსიტეტში მუშაობის წლებმა მისთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ სათანადო ინგლისურენოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო რესურსების სიმცირე ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო იმისათვის, რომ აშშ-ში Georgian Studies Program საუნივერსიტეტო დისციპლინად ჩამოყალიბებულიყო და რომ ცამდე მართალნი იყვნენ მისი ამერიკელი კოლეგები, როდესაც თვლიდენ, რომ ამ მხრივ “the enormous gaps are in the English language literature.” სწორედ ამ მრავალრიცხოვანი “ცარიელი სივრცეების” შევსება და ისახა მიზნად შორენამ და ფუნდამენტური პუბლიკაციებით, საგანმანათლებლო საქმიანობითა და თარგმანებით, ეს საქმე მნიშვნელოვანოვლად წასწია წინ. ამჟამად ის რამდენიმე პროექტზე მუშაობას, რომელთაგან ერთს, “Advanced Georgian Reader,” აშშ-ის მთავრობის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრაქტორის McNeil Technologies, Inc. შეკვეთით ასრულებს და მომავალ წელს გამომცემლობა ‘Dunwoody Press’-ი გამოსცემს. ეს დიდი ორენოვანი, ქართულ-ინგლისური პარალელურ-ტექსტებიანი, ვრცელი გრამატიკული და კულტუროლოგიური კომენტარებით აღჭურვილი წიგნი მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის პროცესში დაგროვილი გამოცდილების შედეგია. ის პირველ რიგში განკუთვნილია იმათთვის, ვინც ქართული ენისა და კულტურის საფუძვლებს უკვე დაეუფლა და სურს ამ სფეროში ცოდნის გაღრმავება ენობრივად რთული აუთენტური ქართული ტექსტების კითხვით,

მათი ლექსიკური, გრამატიკული და კულტურულ-ისტორიული კონტექსტის შესწავლით. ამიტომ, შორენამ წიგნში თავი მოუყარა სხვადასხვა ჟანრის ისეთ ორგინალურ ქართულ ტექსტებს (მოთხრობები, ნოველები, ესეები, ნარკვევები, ავტობიოგრაფიები, მოგონებები, რეპორტაჟები, საგაზეთო წერილები და სხვ.) და უკანასკნელების მისეულ ინგლისურ თარგმანებს, რომელთა შინაარსი და ავტორების შემოქმედებითი ბიოგრაფიები მკითხველს მეტი ინფორმაცის მიაწვდის თანამედროვე ქართული ნარატივის და კულტურის მოდელის ჩამოყალიბების პროცესის თავისებურებებზე. წიგნში ორენოვან ფორმატში წარმოდგენილი ნაწარმოებების ავტორები არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, სამსონ ფირცხალავა, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, ოტია იოსელიანი, რეზო ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი, სარა ჭელიძე, აკაკი ანდრიაშვილი, მურატ შაჰინი და მალხაზ ასლამაზაშვილი. შორენა მუშაობას აგრძელებს აგრეთვე ქართულ-ინგლისური საკითხავი წიგნების სერიის კიდევ ორ კრებულზე, რომელთაგან ერთი თანამედროვე ქართულ პუბლიცისტიკას, ხოლო მეორე კი ტრადიციულ ნარატიულ ფოლკლორს გააცნობს ქართული ენის და კულტურის შესწავლით დაინტერესებულ ინგლისურენოვან მკითხველს.

ცნობილია, თუ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში რაოდენ დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული მწიგნობრობისა და მთარგმნელობითი საქმიანობის კერები -- ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული - ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ხოლო მე-20 საუკუნიდან გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში. ბერკლის უნივერსიტეტში, დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო და კულტურულ ცენტრში, სადაც განათლებას იღებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ქვეყნების ახალი თაობა, Georgian Studies Program-ის დაარსება ხსენებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ღირსეული, თანამედროვეობის შესაფერი გაგრძელება იქნება.

სამსახურიდან და საოჯახო საქმეებიდან თავისუფალ დროს, შორენა “ჰაიკინგობს,” ხატავს, ცურავს, მოგზაურობს, გარეული ცხოველების ვიდეო-კლიპებს იღებს კალიფორნიის პარკებსა და ნაკრძალებში. (http://www.youtube.com/watch?v=0F5e_4ImqPc), წერს სიმღერებს, როიალზე უკრავს შოკენის ვალსებსა და ნოქტურნებს და დიდი სიამოვნებით ზეპირად წარმოთქვამს სკოლაში ნასწავლ „კეფხისტყაოსანს“, უთვალავ სავალდებულო თუ არასავალდებულო „საზეპიროს“ და სხვა.

P.S.

ამ ჩანაწერის შემდეგ, დედიკოს უხუტუნესი ლუკა დაიბადა და ამავე დროს რამდენიმე პუბლიკაციაც გამოქვეყნდა:

1. *Advanced Georgian Reader*, by Shorena Kurtsikidze, Dunwoody Press 2014, 504pp.

2. *Essentials of Georgian Grammar With Conjugation Tables of 250 Most Commonly Used Verbs and Answer Key to Exercises*, by Shorena Kurtsikidze, 2nd edition, LINCOM Student Grammars 02, LINCOM EUROPA 2014, 502pp.

3. "Georgian Tales," by Shorena Kurtsikidze & Vakhtang Chikovani, *Encyclopedia of Folktales and Fairy Tales: Traditions and Texts from around the World*, Revised & Expanded Edition, ABC-CLIO 2015, p. 402-405.

4. *Georgian Myths and Folktales*, Traslated from Georgian by Shorena Kurtsikidze, LINCOM EUROPA 2019, 330pp.

კიდევ ერთი რამ:

წინამდებარე წიგნიც ჩემი მეუღლის ყოველმხრივი და ყოველდღიური თანადგომის შედეგია. ზოგი თვლის, რომ ყოველივე წინასწარ ზედმიწევნით კარგად "გავთვალე", არადა ღმერთი-რჯული ყველაფერი შემთხვევით, მონდომების და კიდევ ცოტათი ბედის გამოისობით მოხდა; ქართული ჯადოსნური ზღაპრის არ იყოს, თუ უძირო უფრსკულოში ჩავარდნილს სამზეოზე ამოსვლა ნამდვილად გინდა, მუდამ მზად უნდა იყო უცბად გამოჩენილ თეთრ რაშს ან ადამიანის ენაზე მოსაუბრე ფასკუნჯს ზურგზე მოახტე, რათა გრძნეულმა არსებამ სამშვიდობოს გაგიყვანოს.

ესაა და ეს!!!

ილუსტრაციების აღწერილობა

1. 1963 წელს თბილისის „ინტურისტში“ გადაღებული ქართველი კულტურის მოღვაწეებისა და ინგლისელი ქართველოლოგის პროფ. დევიდ ლანგის ჯგუფური სურათი. სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: 1. ილია აბულაძე, 2. გიორგი ჩიტაია. 3. ვერა ბარდაველიძე, 4. სიმონ ყაუხჩიშვილი, 5. დევიდ მარშალ ლანგი, 6. აკაკი შანიძე, 7. გიორგი ლეონიძე. ფეხზე დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: სერგი ჟღენტი(?). 2. შოთა მესხია, 3. გრიგოლ ჩხიკვაძე, 4. უცნობი, 5. იოსებ მეგრელიძე, 6. შოთა ძიძიგური, 7. მიხეილ ჩიქოვანი, 8. უცნობი, 9. დავითაშვილი (?!), 10. გიორგი წერეთელი, 11. ელენე ვირსალაძე, 12. პაატა გუგუშვილი, 13. ვარლამ თოფურია (?), 14. ალექსანდრე ბარამიძე.
2. სამხრეთ ოსეთი, 1932 წელი. ქართველ მწერალთა დელეგაცია ოსი მწერლების ყრილობაზე; მათ შორის პოეტი გალაქტიონ ტაბიძე. მარცხნივ სხედან მ.ჩიქოვანი, ბ.ჩხეიძე. მარჯვნივ: ა.ჭუმბაძე, ა.გომიაშვილი. დგანან: ს.ეული, ი.ლისიაშვილი, ი.ვაკლი, ფარნიევი, ჩერმენი და სხვები.
3. 1936 წელი. მარცხნიდან მარჯვნივ: კარლო მელაძე, ირაკლი აბაშიძე და მიხეილ ჩიქოვანი.
4. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-2 ასეულის მე-2 ოცეული. სურათი გადაღებულია თბილისში პირველ ქართულ ლეგიონში სტუდენტთა სამკვირიანი შეკრების დროს, ლეგიონის სარდლობასთან ერთად. მარცხენა კუთხეში, ტყვიამფრქვევთან მ.ჩიქოვანია. 1929 წლის 25 ოქტომბერი.
5. მიხეილ ჩიქოვანი იყალთოს აკადემიაში. 70-იანი წლები.
6. მეგობრის მიერ სპეციალურად სურათის გადასაღებად მორთულ-მოკაზმული ნათელა ახვლედიანი, 50-იანი წლების დასაწყისი.
7. მამა და მე, 1949 წელი.
8. დედა, მარინე და მე, 50-იანი წლების შუახანები.
9. შვებულებით მშობლიურ ქალაქში - დეიდა, დედა და შორენა, თბილისი, 2010 წელი.
10. ლუკა და შო, ბერკლი, 2014 წელი.
11. ლუკა ჩიქოვანი ჩოხა-ახალუხში, ბერკლი, 2017 წელი.
12. ბერკლის უნივერსიტეტის ფიზიკის კერსტის სახელობის ანთროპოლოგიის მუზეუმი. საქართველო-ჩეჩნეთის სასაზღვრო ზონისადმი მიძღვნილი ვიზუალური ანთროპოლოგიის გამოფენის გახსნა, 2004 წელი.
13. ამერიკელი ინდიელი იუველირის სახელოსნოში, სანტა ანას პუებლო, ნიუ-მექსიკოს შტატი, 2006 წელი.
14. “შეხვედრა წარსულთან”, ქვემო ქართლის ერთ-ერთი ოჯახის საკუჭნაოში, 2017 წელი.



1



2



3



4







7




8











13



14

წიგნის გარეკანის ილუსტრაციების აღწერილობა

1. მიწის ფუღუროს ბუ - “burrowing owl” (*athene cunicularia*), რომელიც დღის სინათლეზე ვერაფერს ხედავს, სან-ფრანცისკოს ყურის ბერკლის სანაპირო, 2007 წელი, ფოტო გადაღებულია ვახტანგ ჩიქოვანის მიერ.
2. “Don’t Pass This Point”, ავტორი ჩამქრალი ვულკანის კრატერთან, ნიუ მექსიკოს შტატი, 2006 წელი, ფოტო გადაღებულია შორენა ქურციკიძის მიერ.

ვახტანგ ჩიქოვანი რამდენიმე წიგნის ავტორი, თანაავტორი და შემდგენელ-რედაქტორია. ის უკვე მეოთხედი საუკუნეა, ოჯახთან ერთად კალიფორნიაში ცხოვრობს. წლების განმავლობაში, მეუღლესთან, ინგლისურენოვან ქართველ ავტორთან ერთად, “ქართული ენისა და კულტურის კურსს” კითხულობდა ბერკლის უნივერსიტეტში. მათი ყოფილი სტუდენტები და დოქტორანტები დღეს აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობენ და ხშირად აქვეყნებენ ნაშრომებს ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის შესახებ.

ეს ჩანაწერები და მოგონებები ავტორს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვისა და ახლობელ ადამიანებთან საუბრების მონატრებამ დააწყებინა. ას ოცნე მეტი სათაურიანი ამბავი დაგროვდა, რომლებშიც ქართულ-კალიფორნიული, სოციალისტურ-კაპიტალისტური თუ თითქმის ინტიმური თემატიკა მოულოდნელად ემიგრანტად ქცეული ადამიანის თვალთახედვითაა წარმოდგენილი.

“შინაურული კოპური ანუ ის რაც ტელეფონით საუბრის დროს არ გვითქვამს” სასიამოვნო საკითხავი ავტობიოგრაფიული ჩანაწერებისაგან შედგება, რომლებშიც პირადულისა და საზოგადოებრივის ურთიერთმიმართება იშვიათი სიცხადით არის გადმოცემული. კითხვის პროცესში ადამიანს ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება შეექმნას, თითქოს კინოსერიალის ან გრაფიკული ნოველის პერსონაჟის თავგადასავალს და არა რეალური პიროვნების ცხოვრების ეპიზოდებს ეცნობა.



DO NOT PASS

THIS POINT